## თავი 1 - სწავლება იგავებით

როდესაც იგავების მეშვეობით გვმოძღვრავს, ქრისტე მიმართავს იმავე პრინციპს, რომელიც მან ამ წუთისოფლად თავისი მისიის განსახორციელებლად გამოიყენა. ქრისტემ მიიღო ჩვენი ბუნება და ცხოვრობდა ჩვენ შორის, რათა შეგვეცნო მისი ღვთიური არსი და ხასიათი. ღვთაებრივი გაცხადდა ადამიანში; უხილავი დიდება - ადამიანის ხილულ ხატებაში. ადამიანს შესაძლებლობა მიეცა, უცნობი ცნობილის მეშვეობით შეესწავლა; ზეციური მიწიერის მეშვეობით გვეჩვენა; ღმერთი ადამიანის სახით მოგვევლინა. იგივეს ვხედავთ ქრისტეს სწავლებაში: შეუცნობელი გადმოცემული იყო ცნობილის მეშვეობით; ღვთიური ჭეშმარიტებანი - წარმოდგენილი მიწიერით, რომელიც ადამიანს გაცილებით უკეთ ჰქონდა გაცნობიერებული.

წმიდა წერილი გვეუბნება: "ყოველივე ამას იგავებით ეუბნებოდა იესო ხალხს... რათა აღსრულებულიყო წინასწარმეტყველის მიერ ნათქვამი, რომელიც ამბობს: იგავებით გავხსნი ჩემს პირს. ვიტყვი, რაც დასაბამიდან დაფარულია" (მათ. 13:34,35). ჩვეულებრივი სულიერის შეცნობის საშუალებად იქცა; ქრისტეს მსმენელთა ირგვლივ მყოფი ჩვეული გარემო და მათი ცხოვრებისეული გამოცდილება წერილობით გადმოცემულ ჭეშმარიტებებთან უშუალო კავშირში აღმოჩნდა. აი ასე მიუძღვის ქრისტეს იგავები ადამიანს ჩვეულებრივიდან სულიერისაკენ და წარმოადგენს რგოლებს იმ ჭეშმარიტების შეცნობის ჯაჭვში, რომელიც ადამიანს ღმერთთან და დედამიწას ზეცასთან აკავშირებს.

თავის მოძღვრებებში ბუნებიდან მოყვანილი მაგალითების მეშვეობით საუბრობდა ქრისტე იმაზე, რაც მისი საკუთარი ხელით იყო შექმნილი და რასაც თვით მის მიერ ბოძებული თვისებები და შესაძლებლობები გააჩნდა. ყოველივე შექმნილის თავდაპირველი სრულყოფილება ღმერთის ჩანაფიქრის გამოვლინებას წარმოადგენდა. ედემის სახლში ბუნება აღვსილი იყო ღმერთის შემეცნებით, რომელიც ადამისა და ევასთვის ღვთიურ დარიგებათა ნაკადად იღვრებოდა. სიბრძნე თვალს ესაუბრებოდა და გულით მიიღებოდა, ვინაიდან ადამისა და ევას ურთიერთობა უფალთან მის მიერვე შექმნილ დიდებულ სამყაროში ხდებოდა. როგორც კი წმიდა წყვილმა უზენაესის რჯული დაარღვია, უფლის სახიდან გამოსული ნათელი შემოეცალა ბუნების სამყაროს. ახლა დედამიწა შებღალული და ცოდვით წაბილწულია. თუმცა, მიუხედავად მისი სავალალო მდგომარეობისა, მას მაინც ბევრი მშვენიერი რამ შემორჩა. ღმერთის თვალსაჩინო გაკვეთილები არ გამოლეულა; სწორად შეცნობილი ბუნება თავის შემოქმედზე მეტყველებს.

ქრისტეს დღეებში ეს გაკვეთილები დავიწყებას მიეცა. ადამიანები თითქმის ვეღარ ამჩნევდნენ ღმერთს მის შემოქმედებაში. კაცობრიობის ცოდვამ უფლის შემოქმედების ნათელი ნაყოფი ბნელი საფარვლით დაფარა. ღმერთზე ჭეშმარიტებითა და სიხარულით მოწმობის ნაცვლად მისი შემოქმედება მისი შეცნობის გზაზე დაბრკოლებად იქცა. ადამიანები "თაყვანს სცემდნენ და ემსახურებოდნენ ქმნილებას, ნაცვლად შემოქმედისა". ამგვარად, "ამაო გახდა მათი გონიერება და დაუბნელდათ უმეცარი გული" (რომ. 1:25,21). ასე შეცვალა ისრაელში უფლის მოძღვრებები ადამიანთა სწავლებამ. არა მარტო ბუნების გაკვეთილები, არამედ მსხვერპლშეწირვის მსახურება და თვით წმიდა

წერილებიც კი - ყოველივე, რაც შემოქმედის შეცნობისათვის იყო მოცემული, ისე იქნა დამახინჯებული, რომ ღვთიურ ჭეშმარიტებათა დაფარვის საშუალებად იქცა.
ქრისტეს მიზნად ჰქონდა იმის ჩამოცილება, რაც ჭეშმარიტებას ჩრდილავდა. იგი მოვიდა, რათა აეხადა საფარველი, რომელიც ცოდვამ ბუნების წიაღს გადააფარა და ეჩვენებინა ადამიანთათვის ის სულიერი სიდიადე, რომლის გამოსაცხადებლადაც შეიქმნა წუთისოფელში ყოველივე. მისი სიტყვები ბუნების გაკვეთილებსაც და ბიბლიურ მოძღვრებებსაც ახალ ნათელში წარმოაჩენდა და მათ ახალ გამოცხადებად აქცევდა.
იესომ მშვენიერი შროშანა მოწყვიტა და ყმაწვილებს გაუწოდა. და, ვინაიდან ისინი ყურადღებით შესცქეროდნენ მის ახალგაზრდა სახეს, რომელიც მისი მამის სათნოებით იყო გასხივოსნებული, ასწავლიდათ: "შეხედეთ ველის შროშანებს, როგორ იზრდებიან (ბუნებრივი სილამაზის სისადავეში): არც შრომობენ, არც ართავენ. მაგრამ გეუბნებით თქვენ, რომ სოლომონიც კი, მთელ თავის დიდებაში, არ შემოსილა ისე, როგორც ერთი ამათგანი". ამას მოჰყვა დიდებული აღთქმა და მნიშვნელოვანი გაკვეთილი: "თუკი მინდვრის ბალახს, რომელიც დღეს არის, ხვალ კი თონეში ჩაიყრება, ღმერთი ასე მოსავს, თქვენ უფრო მეტად არ შეგმოსავთ, მცირედ მორწმუნენო?"
მთაზე ქადაგებისას ამ სიტყვებით იესომ მიმართა არა მარტო ბავშვებსა და ყმაწვილებს, არამედ იქ შეკრებილ უამრავ ხალხს - დარდითა და მწუხარებით აღსავსე, გატანჯულ, იმედგაცრუებულ კაცებსა და ქალებს. იესომ განაგრძო: "ნუ ზრუნავთ და ნუ ამბობთ: რა ვჭამოთ? ან: რა ვსვათ? ან: რით შევიმოსოთო? ვინაიდან ყოველივე ამას წარმართნი ეძებენ. ვინაიდან თქვენმა ზეციერმა მამამ იცის, რომ თქვენ გჭირდებათ ყოველივე ეს". შემდეგ ხელები ირგვლივ მყოფი ხალხისკენ გაიწვდინა და განაგრძო: "თქვენ კი უწინარეს ღვთის სასუფეველი ეძიეთ და მისი სიმართლე, და ეს ყოველივე შეგემატებათ" (მათ. 6:28-33).
ასე განმარტა ქრისტემ უწყება, რომელიც შროშანებსა და მინდვრის ბალახში თავადვე ჩააქსოვა. მას სურს, ეს უწყება ყოველ შროშანაში და მინდვრის ბალახის ყოველ ღეროში ამოვიკითხოთ. რწმენით წარმოთქმული მისი ეს სიტყვები დიდად განამტკიცებს ღმერთისადმი ნდობას.
ჭეშმარიტების იმდენად ფართო ხედვა ჰქონდა ქრისტეს, იმდენად ყოვლისმომცველი იყო მისი მოძღვრება, რომ ბუნების ყოველ ასპექტს ჭეშმარიტების მაგალითად იყენებდა. ჩვენ თვალწინ გადაშლილი პეიზაჟები, რომლებსაც ყოველდღე ვხედავთ, რომელიმე სულიერ ჭეშმარიტებასთან არის დაკავშირებული. ასე რომ, ბუნება მოძღვრის იგავებითაა შემოსილი.
თავისი მსახურების დასაწყისში ქრისტე ისეთი ადვილად გასაგები სიტყვებით ესაუბრებოდა ხალხს, რომ ყველა მის მსმენელს შეეძლო იმ ჭეშმარიტებათა შემეცნება, რომლებსაც ძალუძდა მათი დაბრძენება სახსნელად. მაგრამ მრავალი ადამიანის გულში ჭეშმარიტება ღრმად ვერ დამკვიდრდა და დავიწყებას მიეცა. "იგავებით იმიტომ ველაპარაკები მათ, - ამბობდა იგი, - რომ ისინი უყურებენ და ვერ ხედავენ, უსმენენ და არ ესმით... რადგან დაეხშო ამ ხალხს გული, ყურით მძიმედ ესმით და დახუჭეს თვალები" (მათ. 13:13-15).
იესოს სურდა, ადამიანში ჭეშმარიტებისადმი ინტერესი გაეღვიძებინა, უყურადღებო გამოეფხიზლებინა და გულში ჭეშმარიტება შთაებეჭდა. იგავების მეშვეობით სწავლება იმ დროს არა მხოლოდ იუდეველთა, არამედ სხვა ხალხთა

შორისაც კი პოპულარობით სარგებლობდა, პატივისცემას იმსახურებდა და ყურადღებას იპყრობდა. არ არსებობდა დამოძღვრის სხვა, ამაზე უფრო ეფექტური მეთოდი. თუკი იესოს მსმენელნი ღვთიურ ჭეშმარიტებათა შეცნობას მოისურვებდნენ, შეძლებდნენ მისი სიტყვების გაგებას, ვინაიდან იესო მუდამ მზად იყო, გულწრფელი მაძიებლისათვის ამ სიტყვების მნიშვნელობა აეხსნა. ხალხი მზად არ იყო, მიეღო ან გაეცნობიერებინა მაინც ის ჭეშმარიტებანი, რომლებიც ქრისტეს მათთვის უნდა გადაეცა. ეს იყო კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ იესო იგავებით ასწავლიდა მათ. ახალ, მათთვის ძნელად მისაღებ ჭეშმარიტებას იგი ბუნების წიაღში მომხდარ მოვლენებსა და მსმენელთა ცხოვრებისეულ გამოცდილებებს უკავშირებდა, რითაც მათს ყურადღებასა და გულს იპყრობდა. შემდგომში, როდესაც ადამიანები თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში ქრისტეს გაკვეთილების ამსახველ საგნებს ხედავდნენ, ღვთიური მასწავლებლის სიტყვები ახსენდებოდათ. გონება, რომელიც სულიწმიდის მოქმედებისთვის იყო გახსნილი, მაცხოვრის სწავლების მნიშვნელობას სულ უფრო და უფრო აცნობიერებდა. და ის, რაც თავიდან მიუწვდომელი და ასე ძნელად გასაგები იყო მათთვის, ახლა ნათელი და ცხადი ხდებოდა.
ყოველ გულთან მისასვლელ გზას ეძებდა იესო. გამოყენებულ ილუსტრაციათა მრავალფეროვნებით იგი არა მხოლოდ გაცხადებული ჭეშმარიტების სხვადასხვა მხარეზე მიუთითებდა, არამედ ერთმანეთისაგან განსხვავებულ მსმენელებს მიმართავდა. მათს ინტერესს აღძრავდა ის, რაც მათი ყოველდღიური ცხოვრებიდან იყო მოყვანილი. მათ შორის, ვინც მაცხოვარს უსმენდა, ვერავინ იგრძნობდა, რომ მიტოვებული და დავიწყებულია. ყველას - თავმდაბალსა თუ ყველაზე ცოდვილს - მის სწავლებაში ესმოდა ხმა, რომელიც თანაგრძნობითა და სინაზით ელაპარაკებოდა მათ.
არსებობდა სხვა მიზეზიც, რის გამოც იესო თავის მოძღვრებებში იგავებს იყენებდა. მის გარშემო შეკრებილთა შორის იყვნენ მღვდელმსახურნი და რაბინები, მწიგნობარნი და უხუცესნი, ჰეროდიანელები და მთავარნი, წუთისოფლის მოყვარული, მიკერძოებული, ამბიციური ადამიანები, რომელთაც ყველაზე მეტად სურდათ, რაიმე დანაშაული ეპოვათ ქრისტეში. მათ მიერ მიჩენილი ჯაშუშები მუდამ თან დასდევდნენ იესოს, რათა რაიმე დანაშაული ეპოვათ მის ბაგეთაგან წარმოთქმულ სიტყვებში და სამუდამოდ დაედუმებინათ ის, ვინც წუთისოფელს თავისკენ იზიდავდა. მაცხოვარი კარგად იცნობდა ამ ადამიანთა ხასიათს და ჭეშმარიტებას ისეთი ფორმით გადმოსცემდა, რომ მათთვის მისი საქმის სინედრიონის წინაშე წარდგენის საბაბი არ მიეცა. იგავებში იგი ამხელდა მაღალი თანამდებობის პირთა თვალთმაქცობასა და ბოროტ საქმეებს და ისეთი ალეგორიებით წარმოთქვამდა მათი მისამართით მწარე სიმართლეს, რომ მისი პირდაპირ თქმის შემთხვევაში მას საერთოდ არ მოუსმენდნენ და მის მსახურებას მალე მოუღებდნენ ბოლოს. ამის მცირეოდენ საბაბსაც კი არ აძლევდა იესო ჯაშუშებს, მაგრამ, ამავე დროს, ჭეშმარიტებას ისე ქადაგებდა, რომ ცოდვა მხილებული რჩებოდა, პატიოსანი ადამიანები კი ხვდებოდნენ საკუთარ შეცდომებს და მაცხოვრის ქადაგებიდან მათთვის საჭირო და სასარგებლო გაკვეთილებს ღებულობდნენ. ღვთაებრივი სიბრძნე და უსასრულო მადლი უფლის შემოქმედებაში გაცხადდა. ბუნების წიაღისა და საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების მაგალითებით ადამიანები ღმერთს

ეცნობოდნენ. "ვინაიდან მისი უხილავი, მისი მარადიული ძალა და ღვთაება სოფლის დასაბამიდან ქმნილებათა ხილვით შეიცნობა" (რომ. 1:20). მაცხოვრის იგავებში წარმოდგენილი მოძღვრება იმის გამოვლინებაა, რაც ჭეშმარიტ "უმაღლეს განათლებას" წარმოადგენს. ქრისტეს შეეძლო, ადამიანებისათვის უდიდესი მეცნიერული ჭეშმარიტებანი გაეცხადებინა. შეეძლო, გაეხსნა საიდუმლოებანი, რომელთა ახსნას კაცობრიობა მრავალი საუკუნის გამოკვლევებსა და მძიმე შრომას მოანდომებდა. მას შეეძლო, მეცნიერული ხაზით მიეცა ისეთი რჩევები, რომლებიც საზრდოს მიაწვდიდა გონებას და ხელს შეუწყობდა ახალ-ახალ აღმოჩენებს ჟამის აღსასრულამდე, მაგრამ არ გააკეთა ეს. მას ერთი სიტყვაც არ წარმოუთქვამს ისეთი, რომელიც ადამიანის მხოლოდ უბრალო ცნობისმოყვარეობას ან პატივმოყვარეობას დააკმაყოფილებდა და ამქვეყნიური დიდებისაკენ გზას გაუხსნიდა. თავისი მოძღვრებებით ქრისტე ადამიანის გონებას უსასრულო გონებასთან აკავშირებდა. იგი არ ასწავლიდა ადამიანებს, გამოეკვლიათ ადამიანთა თეორიები ღმერთის, მისი სიტყვის ან მისი საქმეების შესახებ. იგი მოძღვრავდა, აღექვათ იგი ისეთი, როგორიც თავის საქმეებში, თავის სიტყვაში და თავის განგებაში იყო გაცხადებული.
ქრისტეს არ შემოუთავაზებია განყენებული თეორიები, არამედ ასწავლიდა მხოლოდ იმას, რაც ხასიათის ჩამოყალიბებისათვის იყო მნიშვნელოვანი; რაც ხელს შეუწყობდა ადამიანს ღმერთის შეცნობაში და კეთილი საქმეების კეთებაში. იგი ადამიანებს ესაუბრებოდა იმ ჭეშმარიტებებზე, რომლებიც ცხოვრების წესს ეხებოდა და რომლებიც მათ მარადიულობასთან აკავშირებდა.
სწორედ ქრისტე წარმართავდა განათლების პროცესს ისრაელში. უფლის მცნებებსა და დადგენილებებთან დაკავშირებით მან თქვა: "ჩაუნერგე ისინი შენს ძეთ და ელაპარაკე მათზე სახლში ჯდომისას, და გზაზე სიარულისას, დაწოლისას, და ადგომისას. და შეიბი ისინი ნიშნად ხელზე, და იყოს ისინი შუბლსაკრავად შენს თვალებს ზემოთ, და დააწერე ისინი შენი სახლის კარის წირთხლებსა და შენს კარიბჭეებს" (რჯლ. 6:7-9). თავის სწავლებაში იესომ აჩვენა, როგორ უნდა შესრულებულიყო ეს მცნება, როგორ შეიძლება ღვთის სასუფევლის კანონებისა და პრინციპების ისე წარდგენა, რომ მათი სილამაზე და ჭეშმარიტი მნიშვნელობა გაცხადდეს. როდესაც უფალი ისრაელს იმისათვის ამზადებდა, რომ იგი მისი განსაკუთრებული წარმომადგენელი ყოფილიყო, მან მთებსა და მდელოებს შორის დაასახლა ისინი, რათა თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში და ყოველი რელიგიური მსახურებისას ბუნების წიაღსა და ღვთის სიტყვასთან მუდმივ კონტაქტში ყოფილიყვნენ. ქრისტეც ასე ასწავლიდა თავის მოწაფეებს: ტბის ნაპირებთან, მთის ფერდობებზე, მინდვრებსა და ტყიან მდელოებზე - ყველგან, სადაც მოძღვრის ქადაგებაში გამოყენებული ილუსტრაციების ცოცხლად დანახვა შეეძლოთ. შემდგომში კი ქრისტეს მოწაფეებმა მაცხოვრისგან მიღებული ცოდნა მასთან თანამშრომლობისათვის გამოიყენეს.
ამრიგად, ქმნილების მეშვეობით შემოქმედი უნდა გავიცნოთ. ბუნების წიგნი - ეს დიდებული სახელმძღვანელოა, რომელსაც წმიდა წერილებთან ერთად ადამიანებისათვის უფლის ხასიათის გასაცნობად და გზააბნეული ცხვრების უფლის ფარეხში დასაბრუნებლად უნდა ვიყენებდეთ. როდესაც ღმერთის საქმეებს ვიკვლევთ, სულიწმიდა გონებას გვინათებს და რწმენას გვაძლევს. ეს არ არის ის რწმენა, რომელსაც ლოგიკური მსჯელობის გზით აღწევენ; მაგრამ

თუ გონება საბოლოოდ არ დაბნელებულა უფლის შემეცნებისათვის, თვალი საბოლოოდ არ დაბინდულა შემოქმედის დანახვისათვის, ყური საბოლოოდ არ დახშულა მისი ხმის შესმენისათვის, გასაგები გახდება დაწერილი სიტყვის უფრო ღრმა მნიშვნელობა და დიადი სულიერი ჭეშმარიტებანი ადამიანის გულზე ამოიტვიფრება.
ბუნების ამ გაკვეთილებში არის სწორედ ის უბრალოება და სიწმინდე, რომლებიც მეტად ძვირფასს ხდის მათ. ყველა საჭიროებს სწავლებას, რომელიც ამ წყაროდან მოედინება. თავად ბუნების სილამაზეს ადამიანი ცოდვისა და აქვეყნიური ცდუნებისაგან სიწმიდისაკენ, სიმშვიდისა და ღვთისაკენ მიჰყავს. სწავლულთა გონება ძალიან ხშირად გადატვირთულია ადამიანთა თეორიებითა და ვარაუდებით, რომლებსაც მცდარად უწოდებენ მეცნიერებასა და ფილოსოფიას. მათ სჭირდებათ ბუნებასთან დაახლოება. დაე შეიცნონ, რომ ქმნილებასა და ქრისტიანობას ერთი ღმერთი ჰყავს. დაე იხილონ ჩვეულებრივისა და სულიერის ჰარმონია. დაე ყველაფერი, რასაც მათი თვალი ხედავს და რასაც მათი ხელი ეხება, სასარგებლო გაკვეთილად იქცეს მათი ხასიათის ფორმირებაში. ეს განამტკიცებს მათს გონებრივ ძალებს, ჩამოაყალიბებს მათს ხასიათს და გააკეთილშობილებს მთელ მათს ცხოვრებას.
მიზანი, რომელსაც ქრისტე იგავებით სწავლებისას ისახავდა, პირდაპირ კავშირშია შაბათის მცნების დანიშნულებასა და მიზანთან. ღმერთმა შაბათი ადამიანს თავისი აღმშენებლური ძალის მუდამ გასახსენებლად დაუწესა, რათა მის ხელთქმნილ საქმეებში თავად შემოქმედი ეხილა. შაბათი დადგენილია შემოქმედის დიდების ხილვისათვის, რაც მისი შემოქმედების ნაყოფში ვლინდება. და სწორედ იმიტომ, რომ ჩვენთვის ამის დანახვა შესაძლებელი გამხდარიყო, მაცხოვარი თავის დიდებულ გაკვეთილებს მის მიერვე შექმნილი ბუნების სილამაზეს უკავშირებდა. სიმშვიდის ამ წმიდა დღეს სხვა დღეებზე მეტად უნდა შევისწავლოთ ის უწყება, რომელიც უფალმა ბუნების მეშვეობით გვამცნო. უმჯობესია, მაცხოვრის იგავები სწორედ იქ შევისწავლოთ, სადაც თავად ასწავლიდა ხალხს თავდაპირველად - მინდვრებსა და ტყიან წარაფებში, ღია ცის ქვეშ, ამწვანებულ ხეებსა და ყვავილთა შორის. რაც უფრო ახლოს ვიქნებით ბუნებასთან, მით უფრო რეალურად ვიხილავთ ქრისტეს, რომელიც იმ დიდ სიყვარულსა და სიმშვიდეზე გვესაუბრება, თავად რომ გვიბოძა.
არა მხოლდ სიმშვიდის ამ წმიდა დღეს დაუკავშირა ქრისტემ თავისი მოძღვრება, არამედ სამუშაო კვირის სხვა დღეებსაც. იგი თავისი სიბრძნით აჯილდოებს მეგუთნესა და მთესველს. ხვნასა და თესვაში, მოსავლის მოყვანასა და აღებაში იგი გვასწავლის, ადამიანის გულზე ღვთის მადლის ზემოქმედების ილუსტრაცია დავინახოთ. ამგვარად, მას სურს, რომ ყოველ კეთილ, სასარგებლო საქმიანობაში, ცხოვრების ყოველ მონაკვეთში ღვთიური ჭეშმარიტების გაკვეთილები აღმოვაჩინოთ. მაშინ ჩვენი ყოველდღიური შრომა არ შთანთქავს ჩვენს ყურადღებას იმდენად, რომ ღმერთი დაგვავიწყდეს; პირიქით, მუდამ გაგვახსენებს ჩვენს შემოქმედსა და გამომსყიდველს. ღმერთზე ფიქრი ოქროს ძაფად ჩაექსოვება ჩვენს ყველა საზრუნავსა და საქმიანობას. ჩვენთვის უფლის დიდება კვლავ დაედება ბუნების სამყაროს. სულ უფრო მეტად შევიცნობთ ზეციურ ჭეშმარიტებათა ახალ-ახალ გაკვეთილებს და გავიზრდებით მისი სიწმიდის მსგავსებაში. აი ასე ვიქნებით "უფლის განსწავლული" და დავრჩებით

"ღვთის წინაშე" იმ მოწოდებით, რომელშიც მოწოდებული ვიყავით (ეს. 54:13; 1კორ. 7:24).

## თავი 2 - "გამოვიდა მთესველი დასათესად"

მათ. 13:1-9, 18-23; მარკ. 4:1-20; ლუკ. 8:4-15

მთესველი და თესლი

იგავში მთესველის შესახებ ქრისტე თვალსაჩინოდ გვიხატავს ჭეშმარიტებას ზეციური სასუფევლისა და სამყაროს მბრძანებლის მიერ თავის შვილთათვის გაწეული უდიდესი შრომის შესახებ. იმ მთესველის მსგავსად, ყანის დასათესად რომ გავიდა, იგი მოვიდა დედამიწაზე ზეციურ ჭეშმარიტებათა დასათესად. მისი იგავები თავად იყო თესლი, რომელსაც მისი მადლის უძვირფასესი ჭეშმარიტებანი მოჰქონდა. თავისი მოჩვენებითი უბრალოების გამო ზოგჯერ იგავს მთესველის შესახებ სათანადოდ არ აფასებენ. ბუნებრივ თესლზე საუბრით, რომელიც ნიადაგში უნდა ჩაიმარხოს, ქრისტეს სურს, გონებით მივწვდეთ სახარების თესლს, რომელიც ადამიანს ღვთისადმი ერთგულებას უბრუნებს. ამ პატარა თესლის შესახებ იგავის ავტორი მთელი ზეცის უზენაესი მბრძანებელია და კანონი, რომლითაც მიწაში მოხვედრილი ეს ბუნებრივი თესლი აღმოცენდება, ჭეშმარიტების თესლის აღმოცენებასაც ხელმძღვანელობს. გალილეის ზღვის ნაპირებთან იესოს სანახავად და მოსასმენად უამრავი ხალხი შეგროვდა. ესენი იყვნენ ჭეშმარიტებას მოწყურებული ადამიანები. მათ შორის - სარეცელზე მწოლიარე სნეულები, რომლებიც ქრისტესთან მიახლოებასა და განკურნებაზე ოცნებობდნენ. უზენაესის მიერ ბოძებული უფლებამოსილებით შეეძლო ქრისტეს ცოდვილი კაცობრიობის ტკივილის დაამება და ახლა, როდესაც ავადმყოფებს კურნავდა, თავის ირგვლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და მშვიდობას აფრქვევდა.

მომსვლელთა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა და ქრისტეს გარშემო ხალხი ისე შემჭიდროვდა, რომ მასთან ახლოს მისვლა შეუძლებელი შეიქნა. მაშინ იგი გაესაუბრა მეთევზეთა ნავებში მსხდომთ, რომელთაც მოძღვარი ტბის მეორე მხარეს უნდა გადაეყვანათ და ერთ-ერთი მათგანის ნავში ავიდა. შემდეგ მოწაფეებს სთხოვა, ნავი ცოტა უფრო ღრმად შეეყვანათ წყალში და, როდესაც ნაპირს მოშორდნენ, ნაპირზე დარჩენილ ხალხს სიტყვით მიმართა.

ზღვის ნაპირთან გენესარეთის მშვენიერი ველი გადაშლილიყო, მის უკან კი გორაკები აღმართულიყო. გორაკთა ფერდობებს და მიმდებარე დაბლობებს მთესველნი და მომკელნი შესეოდნენ. პირველნი თესლს აბნევდნენ დასათესად, მეორენი კი ნაადრევ მოსავალს იღებდნენ. თვალი შეავლო ქრისტემ ამ სურათს და წარმოთქვა: "აჰა, გამოვიდა მთესველი დასათესად. თესვისას ზოგი მარცვალი გზისპირას დავარდა, მოვიდნენ ფრინველები და აკენკეს იგი. ზოგი კლდოვანზე დაცვივდა, სადაც მიწა ბევრი არ იყო, და მალე აღმოცენდა, ვინაიდან ნიადაგს სიღრმე არ ჰქონდა. ხოლო მზე რომ ამოვიდა, დაჭკნა და, რაკი ფესვი არ ჰქონდა, გახმა. ზოგი ეკლებში ჩაცვივდა. გაიზარდა ეკლები და გააჩანაგა ისინი. ზოგი კი კარგ მიწაზე დავარდა და ნაყოფი გამოიღო: ზოგმა ასი, ზოგმა სამოცი და ზოგმა ოცდაათი".

რაზე საუბრობდა ქრისტე? მაცხოვარმა კარგად იცოდა, რომ მისი მისია ჯერ კიდევ შეუცნობელი იყო მის თანამედროვეთათვის. მისმა წუთისოფელში მოსვლის მიზანმა მოლოდინი არ გაუმართლა მათ. უფალი იესო თავად იყო იუდეველთა მთელი ცხოვრების წესის დამფუძნებელი. მსახურებას, რომელსაც ებრაელები ატარებდნენ, ღვთიური დანიშნულება ჰქონდა. მას ადამიანთათვის უნდა ესწავლებინა, რომ განსაზღვრულ დროს მოვა ის, ვისზეც ყველა ეს ცერემონიალი მიუთითებს. მაგრამ ცერემონიებისა და მსახურების ფორმათა განდიდებით იუდეველებს მხედველობიდან გამორჩათ თვით ამ რიტუალების არსი და დანიშნულება. ადამიანთა მიერ დადგენილმა კანონებმა და ტრადიციებმა დაჩრდილა ცოცხალი გაკვეთილები, რომლებიც ღმერთს მათთვის უნდა გადაეცა. ეს უსიცოცხლო, მოძველებული წესები და დადგენილებანი დაბრკოლებად ექცათ იუდეველებს ჭეშმარიტი რელიგიის შემეცნებისა და მისი ცხოვრებაში გატარების გზაზე. და, როდესაც რეალობა ქრისტეს პიროვნებაში გაცხადდა, მასში ვერ ამოიცნეს მათთვის მიცემული ყველა წინასახის აღსრულება და ყველა სიმბოლოს არსი. უარყვეს რა აღმსრულებელი, ამ სიმბოლოებსა და უსარგებლო რიტუალებს ჩაეჭიდნენ. ღვთის ძე უკვე მოვიდა, ისინი კი კვლავ მისი მოსვლის ნიშანს ითხოვდნენ. მოწოდების: "მოინანიეთ, ვინაიდან მოახლოებულია ცათა სასუფეველი" - მიღების ნაცვლად სასწაულებს ელოდნენ (მათ. 3:2). სახარება ქრისტეს შესახებ დაბრკოლების ქვად ექცათ, ვინაიდან მხსნელის ნაცვლად ნიშნებს ითხოვდნენ. ისინი ელოდნენ მესიას, რომელიც თავის აღთქმას უდიდესი დამპყრობლური ბრძოლებით დაამტკიცებდა და თავის იმპერიას მიწიერ სამეფოთა ნანგრევებზე ააღორძინებდა. მათს ამ მოლოდინს ქრისტემ მთესველზე იგავით უპასუხა. უფლის სამეფო უნდა დამყარებულიყო არა იარაღის ძალით, არა დაპყრობის, იძულებისა და ბრძოლის გზით, არამედ ადამიანთა გულში ახალი პრინციპების ჩანერგვით.
"კეთილი თესლის მთესველი კაცის ძეა" (მათ. 13:37). ქრისტე მოვიდა არა როგორც მეფე, არამედ მთესველის სახით; არა სამეფოთა დასაპყრობად, არამედ თესლის დასათესად; არა იმისათვის, რომ ამქვეყნიური დიდებისა და ეროვნული ტრიუმფისაკენ წასძღოლოდა თანამემამულეთ, არამედ, რათა ესწავლებინა, გაბედულად, მამაცურად და მოთმინებით ევლოთ მწუხარებისა და ტანჯვის, იმედგაცრუებისა და მძიმე შრომის გზით ნანატრი მკის დაწყებამდე. ფარისეველნი მიხვდნენ ქრისტეს იგავის აზრს, მაგრამ მაცხოვრის გაკვეთილები მათთვის სასურველი არ აღმოჩნდა და თავი ისე მოაჩვენეს, თითქოს ვერაფერი გაიგეს. უმრავლესობისათვის კი ამ იგავმა უფრო იდუმალი გახადა მიზანი ამ ახალი მოძღვრისა, რომლის სიტყვებიც თავისი უჩვეულობით მათი გულის სიმებს შეეხო და იმავდროულად მოლოდინი მწარედ გაუცრუა. იგავი იესოს მოწაფეებმაც ვერ გაიგეს, მაგრამ ძლიერ დაინტერესდნენ და, როცა იესოსთან მარტო დარჩნენ, სთხოვეს, აეხსნა ამ იგავის აზრი.
სწორედ ასეთი ინტერესის გაღვიძება სურდა ქრისტეს მათში, რათა შემდგომში უფრო განსაზღვრული ამოცანები დაესახა მათ წინაშე. მაშინ იესომ განუმარტა იგავი თავის მოწაფეებს, მაგრამ იგი მზადაა, თავისი ყოველი სიტყვა განუმარტოს ყველას, ვისაც ეს გულწრფელად სურს. ვინც უფლის სიტყვის შესწავლას მოინდომებს და გულს ღვთის სულიწმიდას გაუხსნის მასზე ზემოქმედებისათვის, გაუგებარი არ დარჩება მაცხოვრის სიტყვის აზრი. "ვისაც სურს აღასრულოს მისი ნება, - თქვა იესომ, - იგი გაიგებს ამ მოძღვრების

შესახებ - ღვთისგანაა თუ ჩემით ვლაპარაკობ" (იოან. 7:17). ყოველი ადამიანი, რომელიც ქრისტესთან მოდის და ჭეშმარიტებას ეძებს, უსათუოდ მიიღებს მას. იგი ამცნობს მას ზეციური სასუფევლის საიდუმლოს და იგი გასაგები გახდება ყველასათვის, ვისაც ჭეშმარიტების შეცნობა სწყურია. ზეციური ნათელი გაანათებს ადამიანის სულის ტაძარს და იგი დაემსგავსება ანთებულ სანთელს, სხვებსაც რომ გზებს გაუნათებს.
"გამოვიდა მთესველი დასათესად" (მათ. 13:3). იმ დროს აღმოსავლეთში იმდენად რთული იყო ვითარება და იმდენად დიდი - თავდასხმის საშიშროება, რომ ადამიანები ძირითადად ქალაქის კედლებს შიგნით ცხოვრობდნენ. მიწათმოქმედნი ყოველდღიურად გამოდიოდნენ ქალაქის კედლებს გარეთ მინდვრებში სამუშაოდ. ასევე მოიქცა ქრისტეც: ზეციდან მოსულმა მთესველმა დატოვა თავისი მშვიდობის სახლი, დიდება, რომელიც ჰქონდა მამის გვერდით ჯერ კიდევ სამყაროს შექმნამდე, სამყაროს მბრძანებლის ტახტი და მოვიდა, როგორც ადამიანი, რომელიც მრავალ ტანჯვასა და ცდუნებას უნდა შეჰყროდა; გამოვიდა მარტოდმარტო, რათა დაკარგული წუთისოფლისათვის ცრემლით დაეთესა და საკუთარი სისხლით მოერწყო სიცოცხლის თესლი.
მისი მსახურნიც ზუსტად ასევე უნდა გამოვიდნენ დასათესად. როცა აბრაამს ჭეშმარიტების თესლის დათესვა დაევალა, უფალმა ასე უბრძანა: "დატოვე შენი ქვეყანა, შენი შობის ადგილი და შენი მამის სახლი, და წადი იმ ქვეყანაში, რომელსაც გიჩვენებ" (დაბ. 12:1). და აბრაამიც "ისე წავიდა, რომ არ იცოდა, სად მიდიოდა" (ებრ. 11:8). ასევე ებრძანა ღვთისაგან იერუსალიმის ტაძარში მლოცველ პავლე მოციქულს: "წადი, შორს მიგავლენ წარმართებთან" (საქმე. 22:21). ასევე უნდა მოიქცნენ ისინიც, ვინც ქრისტესთან თანამშრომლობისთვისაა მოწოდებული: ყველაფერი უნდა მიატოვონ და გაბედულად გაჰყვნენ მხსნელს. ძველი ურთიერთობები უნდა დაირღვეს, ძველი გეგმებიც უნდა შეიცვალოს და ამქვეყნიური იმედებიც დავიწყებას უნდა მიეცეს. მძიმე შრომითა და ცრემლით, მარტოობაში და მსხვერპლის გაღებით უნდა ითესებოდეს უდიდესი ჭეშმარიტების ძვირფასი თესლი.
"მთესველი სიტყვას თესავს" (მარკ. 4:14). წუთისოფელში ჭეშმარიტების დასათესად მოვიდა ქრისტე. ადამიანის დაცემის წუთიდან სატანა მუდმივად, მოუღლელად თესავს ცდუნების თესლს. მან ოდესღაც აცდუნა და ტყუილით დაისაკუთრა ადამიანი. და მას შემდეგ კვლავ იბრძვის დედამიწაზე უფლის სამეფოს დამყარების წინააღმდეგ და ადამიანის ნებაზე ბატონობისათვის. ქრისტე კი, უზენაესი მთესველი, ჭეშმარიტი თესლის დასათესად მოგვევლინა. მას, ვინც ყოველი გეგმის შედგენისას მამის გვერდით იმყოფებოდა, ვინც მარადიული მბრძანებლის სანუკვარ საწმიდარში მკვიდრობდა, შეეძლო, კაცობრიობისათვის ჭეშმარიტების წმიდა პრინციპები მოეტანა. ქრისტე იყო ის, ვინც ადამიანის დაცემის დღიდან წუთისოფელს ჭეშმარიტებას აუწყებდა. ქრისტეს მეშვეობით გადაეცემა ადამიანს "ღვთის ცოცხალი და მარადარსებული სიტყვის" უხრწნელი თესლი (1პეტრ. 1:23). ჯერ კიდევ ედემში, დაცემული კაცობრიობისათვის მიცემულ პირველ აღთქმაში, დათესა ქრისტემ სახარების კეთილი თესლი. მაგრამ ეს არის მისი პირადი მსახურება ადამიანთა შორის და ამგვარად, იგავი მთესველის შესახებ დაკავშირებულია მის მიერ დადგენილ საქმესთან, რომელიც შემდგომში მისმა მოწაფეებმა გააგრძელეს.

ღვთის სიტყვა თესლია. ყოველ თესლში მისი აღმოცენების პრინციპი და მომავალი მცენარის სიცოცხლეა ჩადებული. ასე რომ, ღვთის სიტყვა სიცოცხლეა. მაცხოვარი ამბობს: "სიტყვები, რომლებიც გითხარით, სული და სიცოცხლეა" (იოან. 6:63). "ვინც ჩემს სიტყვებს ისმენს და ჩემი მომავლინებელი სწამს, მას აქვს საუკუნო სიცოცხლე" (იოან. 5:24). ღვთის სიტყვის ყოველ აღთქმაში, მის ყოველ ბრძანებაში არის ძალა, ღვთიური სიცოცხლე, რომლის წყალობითაც ყოველი მცნების შესრულებაა შესაძლებელი და ყოველი აღთქმა აღსრულდება. ის, ვინც ღვთის სიტყვას რწმენით მიიღებს, ღვთიურ სიცოცხლესა და ძალას შეიძენს.

ყოველ თესლს თავისი ნაყოფი გამოაქვს. ჩათესეთ იგი კარგ ნიადაგში და მისგან ბუნებრივად აღმოცენდება მცენარე. რწმენით მიიღეთ სულში ღვთის სიტყვის უხრწნადი თესლი და იგი უთუოდ გამოიღებს ნაყოფს თქვენს ხასიათში და თქვენი ცხოვრება უფლისას დაემსგავსება.

ისრაელის მოძღვრები არ თესავდნენ ღვთის სიტყვის თესლს. ქრისტეს, როგორც მოძღვრის, მისია მკვეთრად განსხვავდებოდა იმდროინდელ რაბინთა სწავლებისაგან. ისინი ტრადიციებს, ადამიანთა თეორიებსა და დადგენილებებს ეყრდნობოდნენ. ძალზე ხშირად ღვთის სიტყვა იმით იცვლებოდა, რასაც ამ სიტყვის შესახებ ადამიანები წერდნენ. მათმა სწავლებამ დაკარგა ადამიანის სულის განმტკიცების უნარი. ქრისტეს ქადაგებისა და სწავლების საგანი კი მხოლოდ უფლის სიტყვა იყო. ყოველ შემკითხველს ასე უბრალოდ და გასაგებად პასუხობდა: "დაწერილია", "რას ამბობს წერილი?", "როგორ კითხულობ?" როგორც კი ნებისმიერ ადამიანში, მტერსა თუ მოყვარეში, დაინახავდა გაღვიძებულ ინტერესს, მაშინვე აწვდიდა ღვთის სიტყვის თესლს. ის, ვინც თავად არის გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე, ვინც თავად არის ცოცხალი სიტყვა, წმიდა წერილზე მიუთითებს და ასწავლის: "ისინი... ჩემზე მოწმობენ". "დაიწყო მოსედან და ყველა წინასწარმეტყველიდან და განუმარტავდა მათ ყოველ წერილში მასზე ნათქვამს" (იოან. 5:39; ლუკ. 24:27). იგივე უნდა მოიმოქმედონ ქრისტეს მსახურებმაც. დღესაც ისევე, როგორც ძველ დროს, სიცოცხლის მომცემი ღვთიური ჭეშმარიტებანი ხშირად ადამიანთა თეორიებითა და დადგენილებებით იცვლება. სახარების მქადაგებელი მრავალი ღვთისმსახური არ მიიჩნევს მთელ ბიბლიას ღვთივსულიერ სიტყვად. ერთი რომელიმე ბრძენი მის ერთ ნაწილს უარყოფს, მეორეს ეჭვი სხვაში ეპარება, ვინაიდან საკუთარი სიბრძნით ბიბლიაზე მსჯელობასა და საკუთარ აზრს ღვთის სიტყვის ავტორიტეტზე მაღლა აყენებენ. ამრიგად, წმიდა წერილი, რომელსაც ისინი ასწავლიან, საკუთარ დადგენილებებამდე დაჰყავთ. ასე ირღვევა წმიდა წერილების ღვთიური ჭეშმარიტება. ასე ითესება ეჭვის თესლი; დაბნეულმა ადამიანებმა არ იციან, ვის დაუჯერონ. არსებობს მრავალი სახის სარწმუნოება, რომელთა მიღების უფლება გონებას არ გააჩნია. ქრისტეს დღეებში რაბინებმა დიდად დაამძიმეს წმიდა წერილის მრავალი ნაწილი საკუთარი, მოგონილი მისტიკური დამატებებით. ვინაიდან ღვთის სიტყვის უბრალო და გასაგები სწავლება ამხელდა მათს საქმეებს, ისინი ცდილობდნენ, მოესპოთ მისი ძალა. იგივე ხდება დღესაც. დღესაც ცდილობენ, ღვთის სიტყვა რაღაც იდუმალ და ძნელად გასაგებ წიგნად წარმოგვიდგინონ. ეს იმიტომ, რომ თავი იმართლონ უფლის რჯულის დარღვევასთან დაკავშირებით. მსგავს ხრიკებს ხშირად ამხელდა მაცხოვარი თავისი დედამიწაზე ყოფნის დროს. იგი ასწავლიდა, რომ

უფლის სიტყვის გაგება ყველასათვის ხელმისაწვდომია. იგი წმიდა წერილს უტყუარ ავტორიტეტად მიიჩნევდა და ჩვენც მის მაგალითს უნდა მივბაძოთ. ბიბლია აღიარებულ უნდა იქნას მარად ცოცხალი ღმერთის სიტყვად, ყოველგვარ უთანხმოებათა დასასრულად და რწმენის მტკიცე საფუძვლად. გაიძარცვა ბიბლია; წაართვეს თავისი ძალა; შედეგი - სულიერების დაცემა, რაც დღეს ყველგან ადვილად შეიმჩნევა. მრავალი ქადაგება, რომელიც დღეს ტაძრებში გაისმის, ვერ ასახავს იმ ღვთიურ ჭეშმარიტებებს, რომელსაც ადამიანის გონებისა და სულის გაცოცხლება შეუძლია. ხშირ შემთხვევაში მსმენელთ არ შეუძლიათ, თქვან: "განა არ გიზგიზებდა ჩვენი გული ჩვენში, როცა გზაში გველაპარაკებოდა და როცა წერილებს განგვიმარტავდა?" (ლუკ. 24:32). ადამიანებს კი კვლავინდებურად სურთ ცოცხალი ღმერთის სიტყვის გაგონება, ღვთიური ხელის შეგრძნება. ფილოსოფიურ თეორიებსა და ლიტერატურულ ესეებს, მიუხედავად შესაძლო ბრწყინვალებისა, არ ძალუძს ადამიანის სულის დაპურება. ამ შემთხვევაში უძლურია ადამიანური მტკიცებანი და გამოგონებანი. მიუშვით ხალხთან ღვთის სიტყვა, რათა ყველამ, ვისაც აქამდე მხოლოდ ადამიანთა ტრადიციებზე, თეორიებსა და წესებზე სმენია, გაიგონოს იმის ხმა, ვისაც საუკუნო სიცოცხლისათვის სულის განახლება შეუძლია.

ქრისტეს საყვარელი სასაუბრო თემა იყო უფლის მამაშვილური სიყვარული და უხვი ღვთიური მადლი. იგი ბევრს საუბრობდა უფლის ხასიათისა და რჯულის სიწმიდეზე. ასწავლიდა, რომ იგია გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე. განა ყოველივე ეს არ უნდა იყოს ქრისტეს მსახურთა ქადაგების აზრი? აჩვენეთ ადამიანებს ჭეშმარიტება ისე, როგორც ეს ქრისტეშია. ზუსტად და გასაგებად ასწავლეთ მათ რჯულისა და სახარების მოთხოვნები. ესაუბრეთ ადამიანებს ქრისტეს თავგანწირულ ცხოვრებაზე; მოუყევით, თუ როგორ დაიმდაბლა მხსნელმა თავი და როგორ ევნო ჩვენთვის; უამბეთ მისი მკვდრეთით აღდგომისა და ზეცად ამაღლების შესახებ; უთხარით, რომ იგი ჩვენი შუამდგომელია ზეციურ საწმიდარში და რომ აღგვითქვა: "ისევ მოვალ და ჩემთან წაგიყვანთ" (იოან. 14:3).

იმის ნაცვლად, რომ გავაკრიტიკოთ მცდარი თეორიები ან ვეცადოთ, რაციონალური წინადადებებით დავამარცხოთ სახარების მოწინააღმდეგენი, მივბაძოთ ქრისტეს მაგალითს. დაე თავად გაბრწყინდეს ცხოვრებაში უფლის საგანძურის წმიდა ჭეშმარიტებანი. "იქადაგე სიტყვა". დათესე "ყველა წყლის პირზე". "მან, ვისთანაც ჩემი სიტყვაა, თქვას ჩემი ჭეშმარიტი სიტყვა. სად ბზე, სად ხორბალი? - სიტყვა უფლისა". "ღმერთის ყოველი ნათქვამი ხალასია... ნურაფერს მიუმატებ მის სიტყვებს, რათა არ დაგსაჯოს და არ გამოდგე მატყუარა" (2ტიმ. 4:2; ეს. 32:20; იერ. 23:28; იგავ. 30:5,6).

"მთესველი სიტყვას თესავს". აქ ნაჩვენებია უდიდესი პრინციპი, რომელიც საფუძვლად უნდა ედოს ყოველგვარ განმანათლებელ მოღვაწეობას. "ის თესლი ღვთის სიტყვაა". მაგრამ დღევანდელ სასწავლებლებში ღვთის სიტყვა გვერდზეა გადადებული. თანამედროვე ადამიანთა გონება სულ სხვა რამითაა დაკავებული. დღევანდელ საგანმანათლებლო სისტემაში მთავარი ადგილი განდგომილ ავტორთა ნაშრომების შესწავლას უკავია. სასკოლო წიგნების უმრავლესობა სკეპტიციზმითაა სავსე. თანამედროვე მეცნიერული გამოკვლევებიც ჭეშმარიტებას გვაშორებენ, რადგან მათი შედეგები დამახინჯებულია და არასწორად

გადმოიცემა. უფლის სიტყვას ცრუმეცნიერულ თეორიებს ადარებენ, რის შედეგადაც იგი არასაიმედოდ და საეჭვოდ ცხადდება. ასე ითესება ყმაწვილთა გონებაში ეჭვის თესლი, რაც დამღუპველად მოქმედებს ცდუნების მომენტში. როდესაც ღვთის სიტყვისადმი ნდობა იკარგება, ადამიანი რჩება დაცვისა და ხელმძღვანელობის გარეშე. და ახალგაზრდები ირჩევენ გზას, რომელიც აშორებს მათ ღმერთს და საუკუნო სიცოცხლეს.
უმეტეს შემთხვევაში სწორედ ამით აიხსნება დანაშაულისა და მანკიერების ასე ფართო გავრცელება დღეს წუთისოფელში. როცა ღვთის სიტყვა უარყოფილია, უგულებელყოფილია მისი შესაძლებლობაც, შეაკავოს ადამიანის დაუოკებელი გულის დანაშაულებრივი ვნებანი. ადამიანს მხოლოდ ხორციელის დათესვა შეუძლია და ხორციელიდან იმკის ხრწნადობას.
ამას გარდა, ესაა მიზეზი ჩვენი გონებრივი სისუსტისა და მისი უუნარობისა. როდესაც ადამიანი ღვთის დაწერილ სიტყვას გვერდზე გადადებს და საკუთარ სულს არაღვთივსულიერ კაცთა ნაწერებით კვებავს, მისი გონება კნინდება და ძლიერ სუსტდება, ვინაიდან მას მარადიულ ჭეშმარიტებათა უდიდეს პრინციპებთან შეხების წერტილი არა აქვს. გონება საბოლოოდ ეჩვევა მისთვის უკვე კარგად ნაცნობ თეორიებს და ამ უკანასკნელზე გამახვილებით იგი უფრო სუსტდება, აღქმის უნარი და შესაძლებლობანი მცირდება და იგი თანდათანობით კარგავს ჭეშმარიტების შემეცნების უნარს.
ყოველივე ეს ცრუ სწავლების შედეგია. ყოველი მასწავლებელი მიზნად უნდა ისახავდეს ახალგაზრდობის გონების გამოღვიძებას და მათი ყურადღების ღვთივსულიერი ჭეშმარიტებისაკენ მიპყრობას. სწორედ ასეთი სწავლებაა საჭირო როგორც აწმყო, ასევე მომავალი ცხოვრებისათვის.
მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი განათლება ხელს შეუშლის მეცნიერების შესწავლას ან განათლების დონეს დააქვეითებს. მაღალი და უსასრულოა უფლის არსი, როგორც უსაზღვროა ზეცა და მთელი სამყარო. არაფერი ისე არ აკეთილშობილებს და აძლიერებს ადამიანს, როგორც იმ უდიდეს ჭეშმარიტებათა გამოკვლევა, რომლებიც ჩვენს საუკუნო სიცოცხლეს ეხება. დაე ახალგაზრდობამ გამოიკვლიოს ღვთის მიერ ბოძებული ჭეშმარიტებანი, რომლებიც გააკეთილშობილებს და გააჯანსაღებს მათს გონებას და გაუძლიერებს ლტოლვას შემეცნებისაკენ. ეს კი ჭეშმარიტების ყოველ მკვლევარს და მის აღმსრულებელს აზრთა უჩვეულო აღმაფრენას შესძენს და უხრწნადი ცოდნის საგანძურისკენ გზას გაუხსნის.
წმიდა წერილების გამოკვლევით მიღებული განათლება - ეს არის ხსნის გეგმის საკუთარ ცხოვრებაში განხორციელება, რაც ადამიანში ღვთის ხატების აღდგენას უწყობს ხელს. იგი აძლიერებს და სიმტკიცეს მატებს გონებას ცდუნების წინააღმდეგ საბრძოლველად. და მკვლევარი იწყებს ქრისტესთან თანამშრომლობას მაცხოვრის მისიის - დედამიწაზე სიკეთისა და მოწყალების დაფუძნების საქმეში. ქრისტიანული განათლება ადამიანს ზეციურ ოჯახში აერთიანებს და წმიდებთან ერთად საუკუნო სიცოცხლის მემკვიდრეობისათვის ამზადებს.
მაგრამ წმიდა ჭეშმარიტებათა მასწავლებელს სხვებისთვის მხოლოდ იმის სწავლება შეუძლია, რაც საკუთარი ცოცხალი გამოცდილებით თავად შეიცნო. "გამოვიდა მთესველი თავისი თესლის დასათესად". ქრისტე ასწავლიდა ჭეშმარიტებას, ვინაიდან თავად იყო ჭეშმარიტება. მის მოძღვრებებში მისივე

ხასიათი, მისი ცხოვრებისეული გამოცდილება, მისი საკუთარი აზრი იყო ჩაქსოვილი. მას უნდა ემსგავსონ ქრისტეს ის ერთგული მოწაფეები, რომელთაც სურთ, ღვთის სიტყვა ასწავლონ; თავდაპირველად მათ თავად უნდა გაითავისონ იგი პირადი გამოცდილებით. მათ თავად უნდა შეიმეცნონ, თუ რას ნიშნავს, იყო ქრისტეში, რომელიც გაძლევს თავის სიბრძნეს, სიმართლეს, განწმედასა და გამოსყიდვას. როდესაც ქრისტეს მოწაფეები უფლის სიტყვას ადამიანთა გულში თესავენ, მათ ეს უნდა გააკეთონ მტკიცედ და უფლის დაწერილი სიტყვა უნდა განმარტონ დამაჯერებლად და არა როგორც ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი. მათ მტკიცედ უნდა წარმოთქვან პეტრე მოციქულთან ერთად: "ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს ძალი და მოსვლა ბრძნული იგავების მოყოლით კი არ გაუწყეთ, არამედ მისი სიდიადე საკუთარი თვალით ვიხილეთ" (2პეტრ. 1:16). ქრისტეს ყოველმა მსახურმა, მისმა ყოველმა თანამშრომელმა მზადყოფნით უნდა წარმოთქვას მაცხოვრის საყვარელ მოწაფე იოანესთან ერთად: "სიცოცხლე გამოჩნდა და ჩვენ ვიხილეთ და ვმოწმობთ, და გაუწყებთ თქვენ ამ საუკუნო სიცოცხლეს, რომელიც იყო მამასთან და გამოგვეცხადა ჩვენ" (1იოან. 1:2).

## გზისპირა ნიადაგი

იგავი მთესველის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, გვასწავლის, თუ რა ზეგავლენას ახდენს თესლზე ნიადაგი, რომელშიც მას თესავენ. ამ იგავით ქრისტე მსმენელს ეუბნება: საშიშროება გელით, თუკი ჩემს საქმეებს აკრიტიკებთ ან არ მოგწონთ, ჩემი საქმეები თქვენს იდეებსა და წარმოდგენებს რომ არ ემთხვევა. თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, თუ რა აზრი გაქვთ ჩემს სიტყვაზე. თქვენი საუკუნო ხვედრი დამოკიდებულია იმაზე, მიიღებთ თუ არ მიიღებთ მას.
გზისპირზე დავარდნილი თესლის შესახებ თქმული მაცხოვარმა ასე განმარტა: "ყველას, ვისაც ესმის სიტყვა სასუფეველზე და ვერ ხვდება, მიუვა ბოროტი და მოსტაცებს მის გულში ჩათესილს: აი, რას ნიშნავს გზისპირას დათესილი". გზისპირას დათესილი თესლი იგავში წარმოადგენს გულგრილი მსმენელის გულში მოხვედრილ ღვთის სიტყვას. ადამიანთა და ცხოველთა ფეხით დატკეპნილი ბილიკის მსგავსად, ეს გული ამქვეყნიური ვნებების, ცდუნებებისა და ცოდვებისაკენ გახსნილ გზად იქცა. ასეთი მანკიერი თვისებებითა და ეგოისტური მიზნებით შეპყრობილი ადამიანი სასტიკი ხდება "ცოდვის საცდურით" (ებრ. 3:13). მისი სულიერი შესაძლებლობანი ამ დროს პარალიზებულია. ასეთ ადამიანს თუმცა კი ესმის სიტყვა, მაგრამ მასში ჩადებულ აზრს ვერ იგებს; ვერ ხვდება, რომ სიტყვა სახელდობრ მისკენაა მიმართული; საკუთარ გასაჭირს ვერ ხედავს; ვერ გრძნობს, რა განსაცდელში იმყოფება და მის სულს რა სჭირდება. იგი არ პასუხობს ქრისტეს სიყვარულს, ყურს არიდებს მისი მადლის მოწოდებას და ჰგონია, რომ იგი მას არ ეხება. იმ ჩიტების მსგავსად, რომლებიც გზისპირზე დავარდნილი თესლის აკენკვას არ აყოვნებენ, სატანაც ყოველ წუთს მზად არის, ღვთიური ჭეშმარიტება მოსტაცოს ადამიანის სულს. ეშმაკი შიშობს, რომ ღვთის სიტყვა მძინარე ადამიანის სულსაც კი გააღვიძებს და მის გაქვავებულ გულს შეცვლის. სატანა და მისი ანგელოზები ხშირად იმყოფებიან იქ, სადაც ქრისტეს სახარება იქადაგება. და იმ დროს, როცა ზეციური ანგელოზები ადამიანის გულში ღვთის სიტყვის

დამკვიდრებას ცდილობენ, მტერი მუდამ ფხიზლადაა, რათა ეს სიტყვა უშედეგო გახადოს. მისთვის ჩვეული ბოროტი სიჯიუტით ცდილობს იგი ღვთის წმიდა სულის მოქმედების დაბრკოლებას. იმ დროს, როცა მაცხოვარი თავისი საოცარი სიყვარულით ადამიანებს თავისკენ იზიდავს, სატანა მხსნელთან მიმავალი ყოველი სულის ყურადღების მიტაცებას, მასში დამანგრეველი კრიტიციზმის, მის გონებაში კი ურწმუნოებისა და სკეპტიციზმის შთანერგვას ლამობს. მსმენელს, შესაძლოა, არ მოეწონოს მქადაგებლის მეტყველება ან საუბრის მანერა და მთელ ყურადღებას ამაზე ამახვილებს. უფლისაგან უხვად გამოგზავნილი, ადამიანისათვის მეტად საჭირო ჭეშმარიტება კი მასზე სათანადო შთაბეჭდილებას ვერ ახდენს.
სატანას მრავალი თანამზრახველი და თანაშემწე ჰყავს. ზოგი ადამიანი, რომელიც თავს ქრისტიანად თვლის, თავად ეხმარება მაცდურს სხვა ადამიანთა გულიდან ჭეშმარიტების გატაცებაში. უფლის სიტყვის ზოგიერთი მსმენელი ხშირად თავის ოჯახში აკრიტიკებს მოსმენილს. წარმოთქმულ ქადაგებაზე ზოგჯერ ისე მსჯელობენ, როგორც სხვა ნებისმიერ ლექციაზე ან პოლიტიკურ გამოსვლაზე. ქადაგება, რომელიც ჩვენთვის წარმოთქმულ ღვთის სიტყვად უნდა მივიღოთ, ხშირად უაზრო ხუმრობისა და ირონიული შენიშვნების ობიექტადაა ქცეული; ეკლესიის წევრები მკრეხელური ტონით, აგდებულად მსჯელობენ მქადაგებლის ხასიათზე, მის ჩანაფიქრზე, მოქმედებასა და საქციელზე. მას ხშირად მკაცრი განსჯის, ჭორისა და ცილისწამების საგნად აქცევენ და ყოველივე ამას ურწმუნო ადამიანთა თანდასწრებით აკეთებენ. ძალზე ხშირად მშობლებიც ასევე იქცევიან შვილების წინაშე. ეს კი უფლის მაცნეებისა და მათი სიტყვების მიმართ პატივისცემას უკარგავს ადამიანებს და ბევრიც არასერიოზულად ეპყრობა თვით ღვთის სიტყვასაც კი.
ასე კარგავენ რწმენას ამგვარ ქრისტიანთა შვილები. მშობლებისათვის კი ხშირად გაუგებარი რჩება, თუ რატომ არ აინტერესებთ მათს შვილებს წმიდა წერილები და ასე რატომ აეჭვებთ ბიბლიური ჭეშმარიტება. მშობლებს ხშირად უკვირთ, თუ რატომ ითვისებენ ასე ძნელად ახალგაზრდები ზნეობრივ და რელიგიურ ჭეშმარიტებებს. და ვერ ხვდებიან, რომ მათმა საკუთარმა მაგალითმა შეუწყო ხელი შვილების სულის ასე გასასტიკებას. სიკეთის თესლმა მათში ვერ იპოვა ნოყიერი ნიადაგი ფესვების გასადგმელად და სატანამ მოსტაცა იგი.

ქვიანი ნიადაგი
"კლდოვანზე დათესილი ის არის, ვინც სიტყვას მოისმენს და მაშინვე სიხარულით მიიღებს მას, მაგრამ ფესვები არა აქვს თავისში და ხანმოკლეა. რაჟამს დადგება გასაჭირი ანდა დევნა სიტყვის გამო, მაშინვე ცდუნდება". კლდოვან ადგილზე დაცემული თესლი ვერ პოულობს საჭირო ღრმა ნიადაგს. იგი სწრაფად აღმოცენდება, მაგრამ ქვების გამო მისი ფესვები ღრმად ვერ ჩადის მიწაში, რათა მისი სიღრმიდან ზრდისათვის საჭირო საკვები მიიღოს. ამიტომ იგი სწრაფად იღუპება. რელიგიის მრავალ მიმდევარს აქვს ასეთი ქვის გული. მიწის თხელი ფენის ქვეშ მყოფი ქვა-ღორღიანი ნიადაგის მსგავსად, ხშირად ადამიანის გულისათვის დამახასიათებელი პატივმოყვარეობა მისი კეთილი ზრახვებისა და მისწრაფებების ნიადაგქვეშ იმალება. იგი საკუთარი თავისადმი ეგოისტური სიყვარულისაგან არ არის გათავისუფლებული, ამიტომ მას არ შეუძლია, მორჩილებით შეიცნოს საკუთარი დანაშაული. ასეთი

ადამიანები სწრაფად იტაცებენ ღვთის სიტყვას, ადვილად ექცევიან მისი ზეგავლენის ქვეშ და, ერთი შეხედვით, გარეგნულად ბედნიერნი არიან ქრისტიანული ცხოვრების დაწყების გამო; სინამდვილეში კი მათი ღვთისმოსაობა ზედაპირულია.
ნუ გვეგონება, რომ ამ ადამიანთა უფლისაგან ასე ადვილად განდგომის მიზეზი მათ მიერ ღვთის სიტყვის ასე სწრაფად, მთელი მზადყოფნითა და უდიდესი სიხარულით მიღებაში მდგომარეობს. გავიხსენოთ, თუ როგორ უცბად წამოდგა მათე უფლის მოწოდების გაგონებისას, მიატოვა ყველაფერი და ქრისტეს გაჰყვა. უფლის სურვილიც ეს არის, რომ ადამიანმა მაშინვე მიიღოს ღვთის სიტყვა, როგორც კი იგი მის გულს შეეხება. და, როდესაც ადამიანი ამ სიტყვას სიხარულით ეხმაურება, იგი სავსებით სწორად იქცევა. "ასევე მეტი სიხარული იქნება ზეცაში ერთი ცოდვილის გამო" (ლუკ. 15:7). და ქრისტეს მორწმუნის გულიც უდიდესი სიხარულით აივსება. მაგრამ მათ, ვის შესახებაც იგავშია საუბარი, ხშირად არ ესმით, თუ რა პასუხისმგებლობა და მოვალეობა ეკისრებათ და არც ის იციან, თუ რა საფასური უნდა გაიღონ. არც ის ესმით, თუ რას ითხოვს მათგან ღვთის სიტყვა და ამ სიტყვას არ უპირისპირებენ ხასიათის იმ თვისებებს, რომლებიც წარსულში ჰქონდათ, რათა შემდგომ სრულად დაემორჩილონ უფლის მაკონტროლებელ ძალას.
მცენარე ღრმად იდგამს ფესვებს ნიადაგში და მას, ადამიანის თვალთაგან დაფარულს, მიწა კვებავს. მსგავსი რამ ხდება ქრისტიანის გულშიც; მისი სულიერი სიცოცხლე მისი სულის ქრისტესთან რწმენით გაერთიანებით იკვებება. მაგრამ კლდოვანი ნიადაგის მქონე მსმენელი ქრისტეს ნაცვლად საკუთარ თავს ეყრდნობა. იგი კმაყოფილია თავისი კეთილი საქმეებითა და მისწრაფებებით და საკუთარი სიმართლის იმედი აქვს. ასეთი ადამიანები არ არიან ძლიერნი უფალში და განმტკიცებულნი - უზენაესის ყოვლისშემძლე ძალით. ასეთ მორწმუნეს "ფესვები არა აქვს თავისში", ვინაიდან ქრისტესთან კავშირი არ გააჩნია.
ზაფხულის მხურვალე მზეს, რომელიც დათესილ მარცვალს ძალითა და ძლიერებით ავსებს, შეუძლია, დაღუპოს მცენარე, რომელსაც ფესვები ღრმად არა აქვს გადგმული. იგივე მოსდით მათ, ვისაც "ფესვები არა აქვს თავისში და ხანმოკლეა. რაჟამს დადგება გასაჭირი ანდა დევნა სიტყვის გამო, მაშინვე ცდუნდება". ბევრი ადამიანი სახარებას მიიჩნევს სიძნელეებისა და მწუხარებისაგან ხსნის გზად და არა ცოდვისაგან გათავისუფლების საშუალებად. რაღაც გარკვეული დროის მანძილზე ისინი ბედნიერნი არიან, რადგან ჰგონიათ, რომ რელიგია მათ გაჭირვებისა და განსაცდელისაგან გაათავისუფლებს. და, სანამ მათი ცხოვრება ნორმალურ პირობებში, ყოველგვარი გართულების გარეშე მიედინება, ისინი ჭეშმარიტ ქრისტიანებს ჰგვანან. მაგრამ მკაცრი განსაცდელის წინაშე უკან იხევენ, ვინაიდან მათთვის აუტანელია მაცხოვრის რწმენისათვის ტანჯვა და შევიწროება. როდესაც ღვთის სიტყვა მათს დანაშაულებრივ მისწრაფებებს ამხილებს ან მათგან თავგანწირვასა და მსხვერპლს ითხოვს, ისინი შიშობენ და უკუდგებიან. მათი ცხოვრების ნირის რადიკალური გარდაქმნა დიდ ძალისხმევას ითხოვს. ისინი უფრო ამძიმებენ და აზვიადებენ ამქვეყნიურ სიძნელეებსა და გაჭირვებას, რომელიც მათ უნდა გადალახონ და სრულიად ავიწყდებათ მარადიული, ძვირფასი ჭეშმარიტებანი. და იმ მოწაფეთა მსგავსად,

რომლებმაც იესო მიატოვეს, ისინი ამბობენ: "მძიმე სიტყვაა, ვის შეუძლია მისი მოსმენა?" (იოან. 6:60).
ბევრი ქრისტიანი უწოდებს თავს ღვთის მსახურს, სინამდვილეში კი სრულებით არ იცნობს ღმერთს. მართალია, ისინი მზად არიან, შეასრულონ უზენაესის ნება, მაგრამ ამისათვის საკუთარ სურვილებსა და მისწრაფებებს უფრო ეყრდნობიან, ვიდრე მათს გულზე სულიწმიდის ზემოქმედებით მიღებულ რწმენას. მათი საქციელი უფლის რჯულს არ ექვემდებარება და, თუმცა ქრისტეს საკუთარ მხსნელად მიიჩნევენ, სინამდვილეში არ სჯერათ, რომ იგი მისცემს მათ ცოდვებზე გამარჯვებისათვის საჭირო ძალას. მათ არა აქვთ პირადი სიახლოვე ცოცხალ მაცხოვართან, ამიტომ ინარჩუნებენ თავიანთ ხასიათში თანდაყოლილ და შემდგომში შეძენილ მანკიერებებს.
ერთი საქმეა, ზოგადად აღიარო სულიწმიდის ძალა და მეორე - შეიცნო მისი მამხილებელი მსახურება, რომელიც მონანიებისაკენ მოგვიწოდებს. ბევრი მწარედ განიცდის უფლისაგან დაშორებას და ეგოიზმისა და ცოდვისაკენ გადახრას, სხვადასხვა ღონეს ხმარობს საკუთარი სულის გარდაქმნისათვის, მაგრამ ამასთან ერთად არ აკვდინებს საკუთარ "მე"-ს; სრულად არ ენდობა ქრისტეს, რათა მიიღოს ღვთიური ძალა უზენაესის ნების აღსასრულებლად. ასეთ ადამიანებს არ სურთ საკუთარი ხასიათის ღვთიურის მსგავსად ჩამოყალიბება. ისინი აღიარებენ საკუთარ ნაკლოვანებებს, მაგრამ კონკრეტულ ცოდვებს არ ტოვებენ. და ყოველი არასწორი ნაბიჯის გადადგმასთან ერთად მათი პირვანდელი ცოდვილი ბუნება ახალ-ახალ ძალებს იკრებს.
ერთადერთი იმედი და ხსნა ამ ადამიანებისათვის არის ის, რომ ყოველმა მათგანმა პირადად, თავისთვის შეიცნოს და შეიგნოს სიტყვები, რომლითაც ქრისტემ ნიკოდემუსს მიმართა: "თქვენ ხელახლად უნდა იშვათ". "ვინც ხელახლად არ იშვება, ვერ იხილავს ღვთის სასუფეველს" (იოან. 3:7,3).
ჭეშმარიტი ღვთისმოსაობა იმაში მდგომარეობს, რომ სრულად მიუძღვნა თავი უფლისადმი მსახურებას. ეს ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრების აუცილებელი პირობაა. ქრისტე ელის ნამდვილ ერთგულებას, უმწიკვლო მსახურებას მთელი გულით, გონებით, სულითა და ძალისხმევით. საკუთარი "მე" უნდა მოკვდეს. მას, ვინც მხოლოდ საკუთარი თავისთვის ცხოვრობს, შეუძლებელია, ქრისტიანი ეწოდოს.
ადამიანის ყოველგვარი მოქმედების საფუძველი სიყვარული უნდა იყოს. სიყვარული - ეს არის ღვთიური მმართველობის პრინციპი ზეცაშიც და დედამიწაზეც. სწორედ იგი უნდა იქცეს საძირკვლად, რომელზედაც ქრისტიანის ხასიათი ჩამოყალიბდება. მხოლოდ მას შეუძლია მისი განმტკიცება და გაძლიერება; მხოლოდ სიყვარულს ძალუძს, შემატოს ძალა ქრისტიანს, რათა მან ნებისმიერ ცდუნებასა და განსაცდელს გაუძლოს.
სიყვარული კი თავგანწირვაში ვლინდება. ადამიანის ხსნის გეგმა მაცხოვრის მიერ გაღებულ მსხვერპლში გაცხადდა; მსხვერპლში, რომელიც საოცრად ღრმა, უსასრულო და შეუფასებელია. ქრისტემ ყველაფერი გაიღო ჩვენთვის და ადამიანები, რომელთაც შეიცნეს და მიიღეს იგი, მზად იქნებიან, სიცოცხლე შესწირონ მას. მისი სახელი და დიდება უმაღლესი ავტორიტეტია მათთვის. თუკი მაცხოვარი გვიყვარს, ჩვენს ცხოვრებას მას მივაკუთვნებთ, მადლიერებით შევწირავთ მსხვერპლს და მხოლოდ მისთვის ვიშრომებთ. მისთვის შრომა კი დიდად შეგვიმსუბუქდება. მისთვის სიხარულით შევეგებებით განსაცდელს,

ტკივილსა და ტანჯვას. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ მასში კაცობრიობის გადარჩენის წყურვილის შეცნობას. მხოლოდ ამ გზით ჩავწვდებით იმ დიდ სიყვარულსა და ადამიანებთან სიახლოვის სურვილს, რომლითაც იგი ცხოვრობდა.
ასეთია ქრისტიანობის ჭეშმარიტი არსი. სხვა ყველაფერი სიცრუეა. ვერავითარი სხვა თეორია ჭეშმარიტების შესახებ, ვერავითარი სხვაგვარი მოწაფეობა ვერ გადაარჩენს ადამიანს. ჩვენ არ ვეკუთვნით ქრისტეს, თუკი მთლად მასში არა ვართ. სწორედ ნაწილობრივი რწმენაა ქრისტიანულ ცხოვრებაში მიზეზი ჩვენი მიზნების სისუსტისა და მერყევი სურვილებისა. როდესაც ადამიანი ერთდროულად საკუთარ თავსაც ემსახურება და ქრისტესაც, იგი იქცევა ქვად, რომელზედაც ღვთის სიტყვა ვერ აღმოცენდება და რომელიც დაასუსტებს მას განსაცდელისა და გამოცდის ჟამს.

ეკლებში ჩათესილი
"ხოლო ეკლებში დათესილი ის არის, ვინც სიტყვას ისმენს, მაგრამ სოფლის საზრუნავი და სიმდიდრის საცდური აჩანაგებენ სიტყვას და იგი უნაყოფო შეიქმნება".
ჭეშმარიტების თესლი ხშირად ვარდება ეკლებსა და სარეველა მცენარეებში. და თუ ადამიანის გულში ზნეობრივი ცვლილებები არ ხდება, თუკი მას ადრინდელი მანკიერი თვისებები და ცოდვილი ცხოვრება არ მიუტოვებია, თუკი მასში კვლავინდებურად სატანის სული სუფევს, მასში კეთილი საწყისები მოიშთობა და ასეთი ადამიანი მოსავლად მხოლოდ ეკალს მოიმკის.
მადლს მხოლოდ იმ გულში შეუძლია ზრდა, რომელიც ჭეშმარიტების ძვირფასი თესლის მისაღებად მუდმივ მზადებაშია. ცოდვის ეკლები ყოველგვარ მიწაზე ადვილად იზრდება; მათ მოვლა არ სჭირდება. მადლს კი მუდმივი ზრუნვა ესაჭიროება. ეკლიან მცენარეებს ნებისმიერ ნიადაგზე და ნებისმიერ დროს შეუძლიათ აღმოცენება და მათ აღმოსაფხვრელად დაუზოგავი და მუდმივი შრომაა საჭირო. თუკი ადამიანის გული უფლის მუდმივი ყურადღების ქვეშ არ არის, თუკი ღვთის წმიდა სული თავისი მუდმივი მსახურებით არ ანახლებს და აკეთილშობილებს ადამიანის ხასიათს, ადრე თუ გვიან მასში აუცილებლად იჩენს თავს ძველი ნაკლი და მანკიერებანი. ადამიანს შეუძლია, სიხარულით ისაუბროს თავის რწმენაზე, მაგრამ თუ მასში სახარების ნათელი არ არის, მის სიტყვებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. თუკი მან რეალურად არ გაიმარჯვა ცოდვაზე, მაშინ ცოდვა დაამარცხებს მას. მოჭრილი ეკლები, რომელთა ფესვებიც ამოძირკვული არ არის, ისე მალე იზრდება, რომ შესაძლოა, მალე მთელი დედამიწა დაფაროს.
ქრისტე ნათლად და გასაგებად გვაფრთხილებს, თუ რა ხიფათი ელის ადამიანის სულს. მარკოზი წერდა, რომ მაცხოვარი ხშირად ამხელდა ამქვეყნიურ საქმეებზე ზრუნვით, სიმდიდრითა და სხვა ვნებებით ადამიანის ცდუნების მოსალოდნელ საშიშროებას. ყოველივე ეს აშთობს ღვთის სიტყვას - აღმოცენებულ სულიერ თესლს. სულს აღარ სურს ქრისტეს საკვების მიღება და სულიერებაც ტოვებს მას.
"სოფლის საზრუნავი". არავინაა დაზღვეული ამგვარი ცდუნებისაგან. ღარიბი ადამიანისათვის მუდმივ საწუხარს და საზრუნავს წარმოადგენს მძიმე შრომა, გაჭირვება და მოსალოდნელი სიღატაკე. მდიდარს თავისი დოვლათისა და

დაგროვილი სიმდიდრის დაკარგვის საშიშროების დარდი ჰკლავს. ქრისტეს მრავალ მიმდევარს ხშირად ავიწყდება მაცხოვრის გაკვეთილი, რომელშიც გვასწავლიდა, მინდვრის ყვავილებისთვის მიგვებაძა. ეს ადამიანები, ფაქტობრივად, არ ენდობიან უზენაესის მათზე მუდმივი მზრუნველობის აღთქმას. ქრისტეს კი არ შეუძლია, იტვირთოს მათზე ზრუნვა, როცა მას არ ენდობიან. ასე რომ, ცხოვრებისეული საზრუნავი, რომელმაც ადამიანები უფრო მტკიცედ უნდა დაუკავშიროს მაცხოვარს მისგან დახმარებისა და ნუგეშის მიღებისათვის, სიახლოვის ნაცვლად უფრო აშორებს მას.
მრავალი ადამიანი, რომელსაც უაღრესად დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო უფლის სამსახურში, სიმდიდრის მოპოვების დაუოკებელი სურვილით არის ანთებული. მთელი მათი ენერგია და ძალა ამქვეყნიურ საქმეებს ხმარდება. ისინი თვლიან, რომ მათი სულიერ განძთაგან განდგომა გარდაუვალია. და ასე შორდებიან ღმერთს. წმიდა წერილი კი მოგვიწოდებს: "იბეჯითეთ და ნუ დაიღლებით" (რომ. 12:11). მტკიცედ უნდა ვიშრომოთ, რათა გაჭირვებულთ დავეხმაროთ. ქრისტიანმა აქტიურად, გონივრულად უნდა იშრომოს, მაგრამ მის საქმიანობაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს რაიმე დანაშაულს. ზოგი ქრისტიანი ისე ღრმადაა ჩაფლული ამქვეყნიურ საქმეებში, რომ დროს ვერც ლოცვისათვის პოულობს და ვერც ბიბლიის შესწავლისათვის და ვერც იმისათვის, რომ უფალი ეძებოს და მას ემსახუროს. ზოგჯერ ამ ადამიანებს ზეციური, წმიდა ცხოვრების სურვილი მოეძალებათ, მაგრამ "სოფლის საზრუნავით" ძლიერ დაკავებული არიან და დროს ვერ პოულობენ ყველაზე მნიშვნელოვანი საქმისათვის - უსმინონ სულიწმიდის ხმას. მარადიულობა მათთვის მეორეულ საქმედ, წუთისოფლის საზრუნავი კი პირველად მოთხოვნილებად იქცა. და ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია, ღვთის სიტყვამ ნაყოფი გამოიღოს, ვინაიდან სულს წუთისოფლის ეკალ-ბარდები ახშობს.
სხვადასხვა მიზნებისაკენ მლტოლველი მრავალი ადამიანი ვარდება მსგავს ცდუნებაში. ასეთები ხშირად გულწრფელად და თავგამეტებით იღვწიან სხვების კეთილდღეობისათვის და თავიანთ საქმიანობას, მოვალეობასა და პასუხისმგებლობას იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, რომ უზენაესისადმი ჭეშმარიტ მსახურებაზე მაღლა აყენებენ; უფალთან ლოცვითა და მისი სიტყვის შესწავლით ურთიერთობას უგულებელყოფენ და ავიწყდებათ ქრისტეს სიტყვები: "უჩემოდ არაფრის კეთება არ შეგიძლიათ" (იოან. 15:5). ისინი გვერდს უვლიან ქრისტეს გზას, მისი მადლის გარეშე ცხოვრობენ და მათს ხასიათში არსებული ეგოიზმიც მკვეთრად ვლინდება, რის შედეგადაც მათი მსახურება მათი დაუმორჩილებელი, გაუხეშებული გულის სურვილთა აღსრულებისაკენ, პატივმოყვარეობისა და პირველობისაკენ სწრაფვით არის განპირობებული. სწორედ ესაა ქრისტიანული მსახურების წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი და მისი სავალალო შედეგი.
"სიმდიდრის საცდურს" მეტად მიმზიდველი, მომაჯადოებელი ძალა გააჩნია. ამქვეყნიურ ფასეულობათა მფლობელთ ძალზე ხშირად ავიწყდებათ, რომ სიმდიდრის შესაძენად ძალას ღმერთი აძლევთ. ისინი აცხადებენ: "ჩემმა ძალამ და ჩემმა ხელის სიმტკიცემ შემძინა მე ეს ქონება" (რჯლ. 8:17). სიმდიდრის შეძენა ღვთისადმი მადლიერების გრძნობას კი არ იწვევს მათში, არამედ საკუთარი "მე"-ს აღზევებას. მათ ავიწყდებათ, თუ რამდენად არიან დამოკიდებული ღმერთზე ყველა საქმეში და რა მოვალეობა აკისრიათ მოყვასის

წინაშე. თავის სიმდიდრეს ისინი არ მიიჩნევენ ღვთით ბოძებულ ძღვნად, რომელიც უზენაესის განდიდებისა და მოყვასის კეთილდღეობისათვის უნდა გამოიყენონ. ისინი თავიანთ დოვლათს თვითდამკვიდრების საშუალებად მიიჩნევენ. სიმდიდრისადმი ამგვარი დამოკიდებულება ადამიანს ღვთიურ თვისებებს ვერ შესძენს, არამედ, პირიქით, მასში სატანის ხასიათს ამკვიდრებს. ამგვარად, ღვთის სიტყვის თესლს ამ შემთხვევაშიც ეკალ-ბარდები აშთობს. ადამიანებისათვის უდიდეს საშიშროებას წარმოადგენს ამქვეყნიური სიამტკბილობანი და "განცხრომანი", რითაც ისინი საკუთარ ვნებებს იკმაყოფილებენ. ყოველი მანკიერი ჩვევა, რომელიც ადამიანის ფიზიკურ ძალებს ანადგურებს, გონებას უბნელებს და სულიერ ჭეშმარიტებათა აღქმაში ხელს უშლის, - ეს არის ხორციელი გულისთქმანი, "რომლებიც სულის წინააღმდეგ იბრძვიან" (1პეტრ. 2:11).

დამღუპველ ვნებად შეიძლება იქცეს ადამიანთა სხვა საქმეებიც, რომლებიც თავისთავად დანაშაულებრივი როდია, მაგრამ არანაკლებ სახიფათოა, როცა მათ პირველ ადგილს უთმობენ და ღვთის სასუფეველზე მაღლა აყენებენ. ყველაფერი, რაც ადამიანის გონებასა და გრძნობებს ღვთისაგან აშორებს, დამღუპველია მისი სულისათვის.

როდესაც გონება ჯერ კიდევ ჯანსაღი და ახალგაზრდაა და აქტიურად და სწრაფად ვითარდება, მის პატრონს უჩნდება მაცდური სურვილი, მთელი თავისი ყურადღება საკუთარი "მე"-ს განვითარებასა და ზრდაზე გადაიტანოს და საკუთარ თავს ემსახუროს. და, თუკი ამ დროს მისი ამქვეყნიური საქმიანობა წარმატებულია, შესაძლოა, სინდისის ხმა მისთვის იმდენად დახშული აღმოჩნდეს, რომ ვეღარ შეაფასოს, თუ რა არის ხასიათის ჭეშმარიტად უკეთილშობილესი თვისებები. ძალზე ხშირად თვით ცხოვრებისეული ვითარება უწყობს ხელს ადამიანის იმ გზით განვითარებას, რომელიც დაგმობილია ღვთის სიტყვის მიერ.

უდიდესი პასუხიმგებლობა აწევთ მშობლებს მათი შვილების ხასიათის ჩამოყალიბების პერიოდში. უდიდესი ძალისხმევა სჭირდებათ ამ დროს მათ, რათა ახალგაზრდებს შეუქმნან პირობები და გარემო, რომელიც მათზე დადებით ზეგავლენას მოახდენს და ცხოვრებასა და ცხოვრებისეულ წარმატებებზე ჭეშმარიტ წარმოდგენასა და თვალსაზრისს შეუქმნის მათ. მაგრამ, სამწუხაროდ, რა დიდია წუთისოფელში იმ მშობელთა რიცხვი, რომელთაც ამ ამოცანის აღსრულებად შვილების მატერიალური უზრუნველყოფა მიაჩნიათ და გულმოდგინედ ზრუნავენ მათი კეთილდღეობისათვის ამ ცოდვილ წუთისოფელში. თავიანთ ნაცნობობასა და საზოგადოებრივ კავშირებს სწორედ ამ მიზნის განსახორციელებლად იყენებენ. მრავალი მშობელი საცხოვრებლად დიდ ქალაქებს ირჩევს, რათა შვილები მაღალი საზოგადოების გარემოცვაში გაზარდოს, რითაც მათში ელიტარული პატივმოყვარეობისა და სიამაყის განვითარებას უწყობს ხელს. ასეთ გარემოცვაში არ ხდება ადამიანის სულისა და გონების ცოცხალი განვითარება და იკარგება კეთილშობილური მიზნები. ამქვეყნიური სიმდიდრის მოხვეჭის მცდელობისას მარადიული სასუფევლის მემკვიდრეთ ავიწყდებათ ის უპირატესობანი, რომელიც მათ მიეცათ, როგორც ღვთის შვილთ.

ბევრი მშობელი ბედნიერების მინიჭების მიზნით შვილებს სხვადასხვა გართობებისადმი სიყვარულს უნერგავს. ისინი იწონებენ მათს სპორტულ

გატაცებებს, სხვადასხვა საზეიმო და გასართობ საღამოებს და შეკრებებზე წასვლის ნებას რთავენ, აძლევენ სახარჯო ფულს თავიანთ სურვილთა დასაკმაყოფილებლად, რითაც შვილები თავს იწონებენ საზოგადოებაში. მაგრამ რაც უფრო მეტად უწყობენ ხელს ვნებათა დაკმაყოფილებაში, მით უფრო უძლიერებენ ამ ვნებებისკენ ლტოლვას. ახალგაზრდობის ცხოვრების ერთადერთი ინტერესი გართობა და დროსტარება ხდება. დროთა განმავლობაში კი იგი მათი ცხოვრების ერთადერთ მიზნად იქცევა, რის შედეგადაც ადამიანი თავისი სურვილების, უსაქმურობისა და სიზარმაცის მონა ხდება და საეჭვოა, რომ იგი ოდესმე გონიერი, ჭეშმარიტი ქრისტიანი გახდება.
სამწუხაროდ, თვით ეკლესიაც კი, რომელიც ჭეშმარიტების საფუძველი და სვეტი უნდა იყოს, ხშირად აღძრავს ადამიანებში სიამოვნებისადმი ეგოისტურ სიყვარულს. რა მეთოდით აგროვებენ ხშირად ეკლესიები შესაწირავს რელიგიური საჭიროებისათვის? ისინი აწყობენ საქველმოქმედო ბაზრობებს, ვახშმობებს, ლატარეასაც კი და მრავალ სხვა მის მსგავს გასართობ ღონისძიებებს. ძალზე ხშირად ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი წმიდა ადგილები ღრეობებით, სავაჭრო საქმიანობითა და სხვადასხვაგვარი დროსტარებით უწმიდურდება, რის შედეგადაც კატასტროფული სისწრაფით ეკარგებათ ახალგაზრდებს ღვთის ტაძრის მიმართ პატივისცემა და ღვთისმსახურებისადმი მოწიწება. ირღვევა თავშეკავების ბარიერი; მთელი ძალით თავს იჩენს ეგოიზმი, საკუთარი მადის დაკმაყოფილებისაკენ სწრაფვა და თავის გამოჩენის სურვილი. და ხასიათის ეს თვისებები ახალგაზრდებში უდიდესი სისწრაფით იზრდება და ძლიერდება, ვინაიდან მათ არავინ ზღუდავს. დროსტარებისა და მრავალსახოვანი გართობებისადმი ლტოლვა განსაკუთრებით და უფრო ძლიერ დიდ ქალაქებში იჩენს თავს. ბევრი მშობელი შვილებისათვის უკეთესი ცხოვრების შექმნის მიზნით მათთვის საცხოვრებელ ადგილად ქალაქს ირჩევს; ხშირად ისინი იმედგაცრუებულნი რჩებიან და, თუმცა გვიან, მაგრამ ძლიერ ნანობენ ჩადენილ შეცდომას. თანამედროვე ქალაქები სულ უფრო და უფრო ემსგავსებიან სოდომსა და გომორას. სადღესასწაულო და უქმე დღეების მრავალრიცხოვნება დიდად უწყობს ხელს უსაქმურობისა და უზრუნველობის დამკვიდრებასა და განვითარებას. ადამიანის სულის აღმგზნები გართობები - თეატრები, საცხენოსნო სანახაობები, აზარტული თამაშები, სასმელი და დროსტარება - ძლიერ ემოციურ დაძაბულობას მოითხოვს. ახალგაზრდებს დიდად იტაცებს ეს საერთო დინება. და ის, ვინც ამგვარ გართობებს ეჩვევა და საკუთარი ცხოვრების წესად იხდის, ფართოდ უხსნის კარს ცდუნებათა ნიაღვარს. ახალგაზრდები დაუფიქრებლად მიჰყვებიან ამ საზოგადოდ მიღებული დროსტარებისა და მრავალფეროვანი გართობების ძლიერ ნაკადს და ამგვარ სიამოვნებათა მოყვარულებთან ერთად გონების დამბინდველ ვნებათა ღელვას ეძლევიან. და დროსტარების მრავალსახეობას არჩევენ, სანამ საბოლოოდ ყოველგვარ სურვილს და, რაც მთავარია, გონივრული და სასარგებლო ცხოვრების უნარს არ დაკარგავენ. მათი რელიგიური სული ქრება, მათში ანთებული რელიგიური ცეცხლი ნელდება და მათი სულიერი ცხოვრება თანდათან წყვდიადში იძირება. ადამიანის სულის ყოველი კეთილშობილური თვისება, სულიერ სამყაროსთან მისი ყოველგვარი კავშირი მცირდება და ქრება. მართალია, ზოგჯერ ასეც ხდება ხოლმე, რომ ზოგი მათგანი დაფიქრდება თავის უგუნურ ცხოვრებაზე, შეიგნებს თავის სავალალო მდგომარეობას და მოინანიებს.

და უფალიც მიუტევებს. მაგრამ მათ ისეთი ღრმა ჭრილობა მიაყენეს საკუთარ სულს, რომ სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვებათ დაცემის საშიშროება, რადგან მათში შესუსტებულია ბოროტების სიკეთისაგან გარჩევის უნარი, რასაც გაფრთხილება და განმტკიცება სჭირდება. მათ აღარ შესწევთ სულიწმიდის კარგად გარჩევისა და მისი ხელმძღვანელობის საჭიროების შეცნობის უნარი და სატანის მზაკვრობასაც ისე ნათლად ვეღარ ხვდებიან. ისინი შეიძლება კვლავ დაეცნენ განსაცდელისა და ცდუნების ჟამს და კვლავ დაშორდნენ ღმერთს. ამქვეყნიური სიამოვნებებისა და გართობების მოყვარულთა სიცოცხლის ბოლო არის სიკვდილი მიწიერ და მომავალ ცხოვრებაშიც.
წუთისოფლის საზრუნავი, ფუფუნება და ამქვეყნიური სიამოვნებანი - ყოველივე ამას სატანა თავის მზაკვრულ თამაშში ადამიანთა ჩასათრევად იყენებს. ჩვენ გაგვაფრთხილეს: "ნუ შეიყვარებთ სოფელს, ნურც იმას, რაც სოფელშია. ვისაც სოფელი უყვარს, მასში არ არის მამის სიყვარული. ვინაიდან ყოველივე, რაც სოფელშია: ხორციელი გულისთქმა, თვალთა გულისთქმა და სიამაყე ცხოვრებისა, მამისგან კი არა, სოფლისგან არის" (1იოან. 2:15,16). ის, ვისთვისაც ადამიანის გული გადაშლილი წიგნია, ამბობს: "გაფრთხილდით, არ დამძიმდეს თქვენი გული ღრეობით, ლოთობითა და სიცოცხლეზე ზრუნვით, და იმ დღემ არ გიწიოთ უცაბედად" (ლუკ. 21:34). სულიწმიდით შთაგონებულმა პავლე მოციქულმა კი დაგვიწერა: "ხოლო გამდიდრების მსურველნი ცვივიან განსაცდელსა და მახეში, მრავალ ბრიყვულ და მავნე გულისთქმაში, რომელნიც გასანადგურებლად და დასაღუპად უბიძგებენ ადამიანს. ვინაიდან ყოველგვარი ბოროტების ფესვი ვერცხლის მოყვარეობაა და ზოგიერთები, რომლებიც მან გაიტაცა, განშორდნენ რწმენას და თავიანთ თავს მრავალი ტკივილი მიაყენეს" (1ტიმ. 6:9,10).

ნიადაგის მომზადება

მთესველის შესახებ იგავში ქრისტე თესვის შედეგს უკავშირებს ნიადაგს, რომელზედაც თესლი ეცემა. ყველა აქ მოყვანილ შემთხვევაში მთესველი და თესლი უცვლელია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, თუკი ღვთის სიტყვა ჩვენს გულსა და ცხოვრებას არ ცვლის, მიზეზი საკუთარ თავში უნდა ვეძიოთ. შედეგი დამოკიდებულია იმაზე, გვსურს თუ არა სულის ასეთი განახლება. საკუთარი თავის გარდაქმნა თავად, რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია, მაგრამ არჩევანი ჩვენზეა, რაც საბოლოო ჯამში განსაზღვრავს, რანი ვიქნებით. ნებისმიერი ნიადაგის, იქნება ის გზისპირა, კლდოვანი თუ ეკლიანი, შეცვლა შესაძლებელია და ეს უნდა გაკეთდეს კიდეც. ღვთის წმიდა სული ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ადამიანს მარადიული ფასეულობებისაკენ სწრაფვის სურვილი გაუღვიძოს და იმ მომაჯადოებელი მარწუხებისაგან იხსნას, რომლებიც მას ამქვეყნიურ ცდუნებათა მორევში ითრევს. მაგრამ, როცა ადამიანი სულიწმიდის ნებას ეურჩება, უფლის სიტყვის შესმენის უნარს კარგავს ან საერთოდ უარყოფს მას. ადამიანები თავად არიან დამნაშავენი საკუთარი გულის გაუკუღმართებაში, როცა მასში კეთილი თესლის დათესვას ეწინააღმდეგებიან და თავად აგებენ პასუხს იმ ბოროტი ეკლებისათვის, რომლებიც კეთილი თესლის აღმოცენებას უშლის ხელს.

ადამიანის სულში გაშენებული ბაღნარი მოვლას საჭიროებს. მისი ნიადაგი ცოდვების ღრმა და გულწრფელი მონანიებით უნდა გაფხვიერდეს. ადამიანის ცხოვრების მომწამვლელი და დამღუპველი ეკალ-ბარდები გამუდმებით უნდა იძირკვებოდეს. ასეთი ნიადაგის აღდგენა, ისევე, როგორც ჩვენი გულის თანდაყოლილი, ძნელად აღმოსაფხვრელი მანკიერი თვისებების ამოძირკვა, მხოლოდ გულმოდგინე შრომით, თავდადებული ერთგულებით და იესო ქრისტეს სახელითა და დახმარებითაა შესაძლებელი. თავისი წინასწარმეტყველის მეშვეობით უფალი მოგვიწოდებს: "მოხანით თქვენთვის ანეული და ნუ დათესავთ ეკალთა შორის" (იერ. 4:3; ოს. 10:12). მაცხოვარს სურს, თავად გააკეთოს ეს საქმე, ოღონდ ჩვენს თანამშრომლობას ითხოვს.
ღვთის სიტყვის მთესველთა წინაშე დგას მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა: მოამზადონ ადამიანები უფლის სახარების მისაღებად. ხშირად მთესველთა მსახურებაში ძალზე დიდი ადგილი უჭირავს სიტყვით ქადაგებას და მეტად მცირე - ცოცხალ და გულითად პირად საუბრებს. გზააბნეულ კაცს კი, უპირველეს ყოვლისა, დიდი გულისყურით უნდა მოვეკიდოთ; თითოეული მათგანის მიმართ ღრმა თანაგრძნობა და სიყვარული უნდა გამოვიჩინოთ და საუკუნო სიცოცხლის ჭეშმარიტებებისადმი ცოცხალი ინტერესი გავუღვივოთ. შესაძლოა, მათი გული მრავალგზის დატკეპნილ ბილიკად მოგვეჩვენოს, რომლის მაცხოვრისაკენ მოქცევის ყოველი მცდელობა ამაო გარჯაა, მაგრამ იქ, სადაც ლოგიკა და სიბრძნე უძლურია, ადამიანთან ღვთიური მაცნის პირადი ურთიერთობის შედეგად გაცხადებულ ქრისტეს სიყვარულს ძალუძს, მოალბოს მისი გაქვავებული გული და მასში ჭეშმარიტების თესლი დათესოს.
ღვთის სიტყვის მთესველთ მუდმივი ზრუნვა მართებთ იმისათვის, რომ აღმოცენებული თესლი ეკალ-ბარდებმა არ მოაშთოს ან ნიადაგის მოუვლელობამ და მის მიმართ გულგრილმა დამოკიდებულებამ არ დაღუპოს. ყოველი მორწმუნე თავისი ქრისტიანული ცხოვრების დასაწყისშივე უნდა გაეცნოს ქრისტიანული ცხოვრების პრინციპებს. მან უნდა გაიგოს, რომ ქრისტეს მიერ გაღებული მსხვერპლი მისთვის მხოლოდ ხსნა კი არ არის, არამედ მოწოდებაც: გაითავისოს ქრისტეს ცხოვრება, მისი ხასიათი. ასწავლეთ ადამიანებს, ღირსეულად ატარონ თავიანთი ტვირთი და იბრძოლონ მათს ხასიათში დამკვიდრებულ მანკიერ თვისებათა აღმოსაფხვრელად. დაე შეიგრძნონ ქრისტესადმი მსახურებით გამოწვეული ნეტარება და მის გზაზე მოთმინებითა და თავდადებით, ერთგული შრომით მიღებული სიხარული, როგორც უფლის სახელოვანმა მეომრებმა. დაარწმუნეთ ადამიანები მხსნელის სიყვარულში; დაე სრულად მიანდონ მას თავიანთი საზრუნავი; ასწავლეთ, როგორ პოვონ სიხარული სულთა ქრისტესკენ მოქცევაში. და დაკარგულთა მიმართ სიყვარულსა და ზრუნვაში დაივიწყებენ საკუთარ "მე"-ს; წუთისოფლის ფასეულობანი მათს თვალში მიმზიდველობას დაკარგავს და სულს ვეღარ აუფორიაქებს. ჭეშმარიტების გუთანი გააფხვიერებს ნიადაგს, გაქვავებულ ყამირს გატეხს და ეკალ-ბარდებს უბრალოდ კი არ მოჭრის, არამედ ფესვიანად ამოთხრის.

კარგი ნიადაგი

მთესველის შრომა, საბედნიეროდ, ყოველთვის ფუჭი არ არის. კარგ ნიადაგზე დაცემული თესლის შესახებ მაცხოვარი ამბობს: "კარგ მიწაზე დათესილი ის არის, ვინც მოისმენს სიტყვას და გონებით ჩასწვდება, და სწორედ ის არის ნაყოფიერი. და ზოგი ასს გამოიღებს, ზოგი სამოცს და ზოგიც ოცდაათს". "ხოლო კარგ მიწაზე დაცვენილნი ისინი არიან, ვინც კეთილი და წრფელი გულით ისმენენ სიტყვას, იცავენ და მოთმინებით იძლევიან ნაყოფს". "კეთილი და წრფელი გული", რომელზედაც იგავშია საუბარი, არ ნიშნავს უცოდველ გულს. სახარება ხომ დაკარგული ცხვრებისთვისაა განკუთვნილი. ქრისტემ თქვა: "მართალთა კი არა, ცოდვილთა მოსახმობად მოვედი" (მარკ. 2:17). კეთილი და სუფთა გული აქვს მას, ვინც სულიწმიდის ხმას ისმენს და პასუხობს; ვინც თავის ცოდვილ მდგომარეობას შეიგნებს და უფლის მოწყალებისა და სიყვარულის საჭიროებას შეიგრძნობს; ვისაც ჭეშმარიტების შეცნობა გულწრფელად სურს, რათა მას სიხარულით დამორჩილდეს. კეთილი გული - ესაა მორწმუნის გული, რომელსაც სწამს ღვთის სიტყვა, ვინაიდან ამ სიტყვის რწმენის გარეშე მიღება შეუძლებელია. "ვინაიდან ვინც ღმერთთან მიდის, უნდა სწამდეს, რომ ღმერთი არსებობს და თავის მაძიებელს სანაცვლოს მიაგებს" (ებრ. 11:6).

აი, თურმე, რას ნიშნავს "ვინც მოისმენს სიტყვას და გონებით ჩასწვდება". ფარისევლები ქრისტეს დღეებში თვალებს ხუჭავდნენ, რომ არ დაენახათ და ყურს იყრუებდნენ, რომ არ ესმინათ. ამიტომ ვერ შეაღწია მათს გულში ჭეშმარიტებამ. და მისი შეგნებულად უარყოფისა და განზრახ სიბრმავისათვის საკადრისი საზღაური მიეგებათ მათ. თავის მოწაფეთ კი ქრისტე მოუწოდებდა, მთელი გულითა და გონებით შეეცნოთ და ერწმუნათ მისი სიტყვა.

იმ მსმენელის მიერ, რომელიც კარგ ნიადაგთანაა შედარებული, უფლის სიტყვა მიიღება "არა როგორც კაცთა სიტყვა, არამედ როგორც ღვთის სიტყვა" (1თეს. 2:13). წმიდა წერილის შეცნობა მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც იგი პირადად მისკენ მიმართულ ღვთის სიტყვად მიაჩნია; ვინც მოწიწებით ისმენს მას და ვისთვისაც იგი ცოცხალ ჭეშმარიტებას წარმოადგენს; ვინც გულსა და გონებას უხსნის ღვთის სიტყვას, რათა სრულად შეიცნოს და გაითავისოს იგი. სწორედ ასეთი მსმენელნი იყვნენ კორნელიოსი და მისი მეგობრები, რომელთაც პეტრე მოციქულს შემდეგი სიტყვებით მიმართეს: "ახლა ჩვენ ყველანი ვდგავართ ღვთის წინაშე, რომ მოვისმინოთ ყოველივე, რაც უფლისაგან გაქვს ნაბრძანები" (საქმე. 10:33).

ჭეშმარიტების შემეცნება დამოკიდებულია არა იმდენად ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებზე, არამედ მიზნების სიწმიდეზე და უთვალთმაქცო რწმენის უბრალოებაზე. უფლის ანგელოზები მუდამ მათ გვერდით არიან, ვინც უფლის ხელმძღვანელობას მთელი გულითა და მოწიწებით ეძებს. სწორედ მათ უცხადებს ღვთის წმიდა სული თავის ჭეშმარიტებათა საგანძურს.

კაცი, რომელსაც ქრისტე კარგ ნიადაგს ადარებს, საიმედოდ ინახავს მოსმენილ სიტყვას, რომელსაც მას ვერავინ წაართმევს: ვერც სატანა და ვერც მისი ბოროტი მსახურნი.

საკმარისი არაა ღვთის სიტყვის უბრალოდ წაკითხვა ან მოსმენა. ის, ვისაც ჭეშმარიტად უფრო მეტის შეძენა სურს, დიდხანს და გულმოდგინედ, მიზანდასახულად, უდიდესი ყურადღებითა და ლოცვებით უნდა იკვლევდეს

უზენაესის ყოველი სიტყვის მნიშვნელობას, რითაც ღრმად ჩასწვდება წმიდა წერილების სულსა და არსს.
უფალი გვასწავლის, რომ ჩვენი გონება მხოლოდ მაღალი, წმიდა აზრებით უნდა იყოს დაკავებული. მისი სურვილია, მუდამ მის სიყვარულსა და მოწყალებაზე ვიფიქროთ და ღრმად შევიმეცნოთ ადამიანის გამოსყიდვის ღვთიური გეგმის აღსრულების საოცარი სიდიადე. მაშინ ჩვენთვის უფრო ნათელი და გასაგები გახდება მისი უდიდესი ჭეშმარიტებები; ჩვენი სწრაფვა გულის სიწმიდისა და საღი აზროვნებისაკენ უფრო გაძლიერდება და კეთილშობილებას შეიძენს; სული, რომელიც წმიდა აზრთა სუფთა ატმოსფეროში იმყოფება, უფალთან ურთიერთობისა და მისი სიტყვის შესწავლის შედეგად აუცილებლად გარდაიქმნება.
"და გამოაქვთ ნაყოფი". ის, ვინც უფლის სიტყვას ისმენს და იცავს, მორჩილი და თავმდაბალი ხდება. წრფელი გულით მიღებული სიტყვა უეჭველად გამოვლინდება ადამიანის კეთილ საქმეებში, მის ქრისტიანულ ხასიათსა და ცხოვრებაში. ასე ამბობდა მაცხოვარი თავის თავზე: "შენი სურვილის შესრულება მინდოდა, ღმერთო, და რჯული შენი ჩემს გულშია" (ფსალმ. 39:9). და კვლავ: "მე ჩემს ნებას არ ვეძებ, არამედ ჩემი მომავლინებლის ნებას" (იოან. 5:30). წმიდა წერილში ნათქვამია: "ვინც ამბობს, რომ მასში რჩება, ისევე უნდა მოიქცეს, როგორც ის იქცეოდა" (1იოან. 2:6).
ღმერთის სიტყვა ხშირ შემთხვევაში ეწინააღმდეგება ადამიანის ჩვევებსა და ხასიათის მემკვიდრეობით მიღებულ თუ შეძენილ თვისებებს. მაგრამ მსმენელი, რომელიც კარგ ნიადაგთანაა შედარებული, ღვთის სიტყვის შეცნობისას ყველა მის პირობასა და მოთხოვნას ღებულობს და თავის ჩვევებსა და ცხოვრების წესებს ღვთის სიტყვას უმორჩილებს. მის თვალში გონებაშეზღუდული, ცოდვილი ადამიანის დადგენილებანი სრულიად კარგავს თავის მნიშვნელობას უსასრულო ღმერთის წმიდა სიტყვასთან შედარებისას. წრფელი გულითა და მტკიცე იმედით მიისწრაფვის იგი საუკუნო სიცოცხლისაკენ. ნებისმიერ ვითარებაში, ხშირად მთელი ცხოვრების დევნისა და თვით სიკვდილის ფასადაც კი, იგი სიხარულით დაემორჩილება ღვთის მართალ სიტყვას.
ასეთი ადამიანები "მოთმინებით იძლევიან ნაყოფს". ღვთის სიტყვის შემსმენელთაგან სიძნელეებისა და განსაცდელისაგან არავინაა დაზღვეული. მაგრამ ტანჯვისა და მწუხარების ჟამს ჭეშმარიტი ქრისტიანი სიმშვიდეს, რწმენასა და იმედს შეინარჩუნებს. თუმცა ზოგჯერ შექმნილი ვითარებიდან ვერავითარ გამოსავალს ვერ ვხედავთ; უფლის ჩანაფიქრის აზრსა და მიზანს ვერ ვხვდებით, მაგრამ რწმენას არ ვკარგავთ. მუდამ უნდა გვახსოვდეს მისი სიყვარულით აღსავსე, მოწყალე ხასიათი; მთელი ჩვენი საზრუნავი მას მივანდოთ და მოთმინებით ველოდოთ ხსნას.
ბრძოლისა და განსაცდელის მომენტები ხშირად ხელს უწყობს ჩვენი სულიერი ცხოვრების განმტკიცებას. ტანჯვისა და მწუხარების მოთმინებით ატანა სათანადოდ განამტკიცებს ჩვენს ხასიათს და დიდებულ სულიერ ნიჭებსა და მშვენიერ თვისებებს შესძენს მას. რწმენის, თვინიერებისა და სიყვარულის სრულყოფილი ნაყოფი ხშირად ქარიშხალში, შავ ღრუბლებსა და წყვდიადში მწიფდება.
"მიწისმუშაკი ელოდება მიწის ძვირფას ნაყოფს, სულგრძელად ელის ადრეული და გვიანი წვიმის მოსვლას" (იაკ. 5:7). ქრისტიანიც მოთმინებით უნდა

ელოდოს, როდის გამოიღებს მის ცხოვრებაში ღვთის წმიდა სიტყვა ნაყოფს. ხშირად, როდესაც ლოცვებით სულიწმიდის ნაყოფის შეძენას ვითხოვთ, უფალი გვისმენს და პასუხად ისეთ პირობებს გვიქმნის, რომელიც ამ ნაყოფის მომწიფებას უწყობს ხელს. მაგრამ ჩვენ ხშირად არ გვესმის მისი ჩანაფიქრის მიზანი, გვიკვირს მოვლენათა ასეთი უჩვეულო ცვლილებები და გაურკვევლობა გვიპყრობს. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ნაყოფის მომწიფება ასეთი ხანგრძლივი პროცესების გარეშე შეუძლებელია. ჩვენი ერთადერთი ამოცანაა, მივიღოთ ღვთის სიტყვა და მტკიცედ დავეყრდნოთ მას.
"ვისაც ვუყვარვარ, - თქვა მაცხოვარმა, - ის ჩემს სიტყვას დაიცავს და ჩემი მამაც შეიყვარებს მას. ჩვენც მივალთ და მასთან დავიდებთ სავანეს" (იოან. 14:23). მაშინ ჩვენს ცხოვრებას უფრო ძლიერი და სრულყოფილი გონება უხელმძღვანელებს, ვინაიდან ჩვენ თავად გვექნება ყოვლისშემძლე ძალის წყაროსთან კავშირი. მთელი ჩვენი სულიერი ცხოვრება ქრისტეს სამსახურს უნდა მოვანდომოთ. და მაშინ აღარ ვიცხოვრებთ ჩვენთვის ჩვეული ეგოიზმით, არამედ ქრისტე იქნება ჩვენში და ხასიათითაც მას დავემსგავსებით. ეს კი სულიწმიდის ნაყოფს გამოიღებს ჩვენში: "ზოგი ასს... ზოგი სამოცს და ზოგიც ოცდაათს".

## თავი 3 - "პირველად ჯეჯილს, მერე თავთავს"

მარკ. 4:26-29

იგავმა მთესველის შესახებ მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. გაჩნდა უამრავი კითხვა. ბევრი მიხვდა, რომ ქრისტე მიწიერი სამეფოს დასამყარებლად არ იყო მოსული და... დაიბნა. ამ შემცბარი ადამიანების გამოსაფხიზლებლად ქრისტემ სხვა ალეგორიებს მიმართა, რათა მათი ფიქრები მიწიერი სამეფოდან ზეციურისაკენ, ადამიანის სულში ღვთიური მადლის მუდმივი მსახურებისაკენ წარემართა.
"თქვა: ასეთია ღვთის სასუფეველი: კაცმა რომ თესლი ჩააგდოს მიწაში, ეძინოს და დგებოდეს ღამით თუ დღისით. თესლი აღმოცენდება და იზრდება, მან კი არ იცის, როგორ. რადგან მიწა თვითონ გამოიღებს ნაყოფს: პირველად ჯეჯილს, მერე თავთავს, შემდეგ კი სავსე მარცვალს თავთავში. რაჟამს მომწიფდება ნაყოფი, მყისვე გამოგზავნის ნამგალს, რადგან მოაწია მკამ".
მომკელი, ვინც "გამოგზავნის ნამგალს, რადგან მოაწია მკამ", - თვით ქრისტეა, რომელიც იმ უკანასკნელ, დიად დღეს დედამიწაზე სამკალს მოიმკის. მაგრამ მთესველი იგავში ყველა იმ ადამიანს წარმოადგენს, ვინც ქრისტესთვის შრომობს. იგავში ნათქვამია, რომ მთესველმა არ იცის, თესლი როგორ "აღმოცენდება და იზრდება". მაგრამ ეს სიტყვები, რა თქმა უნდა, უფლის ძეს არ ეხება. მაცხოვარს არ სძინავს და არც თვლემს, არამედ დღედაღამ ფხიზლად დარაჯობს თავის სამწყსოს.
იგავი თესლის შესახებ გვიჩვენებს, რომ უფალი კვლავ განაგრძობს შრომას ბუნების წიაღში. მან თავად ჩაუდო თესლს მისი გაღვივებისა და აღმოცენების პრინციპები. მაგრამ უმეთვალყურეოდ დატოვებული, მზრუნველობას მოკლებული თესლი საკუთარი ძალისხმევით ვერ აღმოცენდება. ამიტომ განსაზღვრული როლი ამ პროცესში ადამიანს ეკუთვნის. მან უნდა მოამზადოს და გააფხვიეროს ნიადაგი, შემდეგ კი თესლი დათესოს. მანვე უნდა გაწმინდოს

მიწა სარეველა ბალახებისაგან. მაგრამ არსებობს ზღვარი, რომლის იქითაც კაცი ვერაფერს გააწყობს; ვერც ადამიანთა ძალისხმევა, ვერც სიბრძნე თესლისაგან ცოცხალ მცენარეს ვერ აღმოაცენებს. ყოველგვარი მცდელობის შემდეგ მან, ბოლოსდაბოლოს, სხვა დანარჩენი უნდა მიანდოს მას, ვინც თავისი უსასრულო ძალითა და ძლიერებით, კარგად აწყობილი ჯაჭვით აკავშირებს ერთმანეთთან თესვისა და მოსავლის აღების პროცესებს.
თესლში ჩადებულია სიცოცხლე, ნიადაგში კი - მაცოცხლებელი ძალა. მაგრამ უფლის განუწყვეტელი შრომის, მისი უსაზღვრო ძალის გამოვლინებისა და მისი მზრუნველობის გარეშე თესლი მოსავალს არ მოგვცემს. გამომშრალი მინდვრები წვიმით უნდა მოირწყას, ჩამარხული თესლიც უნდა გამოიკვებოს. მაგრამ შემოქმედის მიერ თესლში ჩადებული სიცოცხლე თავად შემოქმედმა უნდა გააღვიძოს. ყოველი თესლის აღმოცენება, ყოველი მცენარის ზრდა და განვითარება მხოლოდ ღმერთის ძალით ხდება.
"როგორც მიწა აღმოაცენებს მცენარეს და როგორც ბაღი ზრდის თავის ნათესს, ისე უფალი ღმერთი ამოზრდის სამართალს და ქება-დიდებას ყოველი ხალხის წინაშე" (ეს. 61:11). სულიერ ცხოვრებაშიც იგივე ხდება, რაც თესვის დროს: ჭეშმარიტების მოძღვარმა ადამიანის გული უნდა მოამზადოს, მანვე უნდა ჩათესოს მასში თესლი, მაგრამ მისი გაცოცხლება მხოლოდ ღმერთს შეუძლია. არსებობს ზღვარი, რომლის მიღმაც ადამიანის ყოველგვარი ძალისხმევა ამაოა. ჩვენ შეგვიძლია, ვიქადაგოთ უფლის სიტყვა, მაგრამ არ გაგვაჩნია ძალა, რომელიც გააღვიძებს სულს და მასში სიმართლისა და დიდების ნაყოფს გამოიღებს. ღვთის სიტყვის ქადაგებაში უნდა მონაწილეობდეს ისეთი რამ, რაც ადამიანის შესაძლებლობებს უზომოდ აღემატება. მხოლოდ ღვთის სულის მეშვეობით ეძლევა სიტყვას სიცოცხლე და ძლიერება, რომელიც ადამიანს საუკუნო სიცოცხლისათვის აღადგენს. სწორედ ეს სურდა ქრისტეს, შთაეგონებინა თავისი მოწაფეებისათვის, როცა ასწავლიდა, რომ მათ არაფერი გააჩნიათ ისეთი, რაც მათს მცდელობასა და შრომას წარმატებას შესძენს; მხოლოდ ღმერთის სასწაულმოქმედ ძალას შესწევს უნარი, ძლიერება შემატოს თავისსავე სიტყვას.
მთესველის შრომა - ეს რწმენით შრომაა. მან არ იცის თესლის აღმოცენების, შემდეგ კი მცენარის ზრდისა და განვითარების საიდუმლო. მაგრამ მას აქვს რწმენა იმ ღვთიური ძალების მიმართ, რომელთა მეშვეობითაც მცენარე იზრდება. თესლის მიწაში ჩამარხვით მთესველი თითქოსდა კარგავს ძვირფას მარცვალს, რომელსაც მისი ოჯახის გამოკვება შეეძლო. მაგრამ, სინამდვილეში, იგი მას ცვლის იმ უხვ მოსავალზე, რომელსაც მომავალში მიიღებს. იგი აბნევს მარცვლებს ბევრად უფრო მეტის მიღების იმედით. ასევე უნდა იშრომონ ქრისტეს მსახურებმა მათ მიერ გაბნეული თესლით უფრო უხვი მოსავლის მიღების მოლოდინში.
შესაძლოა, კეთილი თესლი ცივ, ეგოისტურ და ურწმუნო გულში მოხვდეს და ერთხანს სიცოცხლისა და მასში დაფუძნების რაიმე ნიშანწყალიც კი არ უჩანდეს; მაგრამ გაივლის დრო და, როდესაც მას ღვთის სული სიცოცხლეს შთაბერავს, დამარხული თესლი გაიღვიძებს, აღმოცენდება და გამოიღებს ნანატრ ნაყოფს ღვთის სადიდებლად. ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში ხშირად, შესაძლოა, არ ვიცოდეთ, რა მოგვიტანს სასურველ შედეგს: ესა თუ ის. მაგრამ ეს სულაც არ უნდა იყოს ჩვენთვის საინტერესო საკითხი. ჩვენ მხოლოდ ჩვენი

საქმე უნდა ვაკეთოთ, შედეგი კი ღმერთს მივანდოთ. "დილით დათესე შენი თესლი და საღამოს ნუ დაასვენებ შენს ხელს" (ეკლ. 11:6). უფლის დიდებული აღთქმა გვაუწყებს, რომ "ვიდრე დედამიწა იქნება, არ გაუქმდება თესვა და მკა" (დაბ. 8:22). ამ აღთქმისამებრ ხნავს და თესავს მიწათმოქმედი. მის მიმართ არანაკლები რწმენით უნდა ვიშრომოთ ჩვენც და ვაკეთოთ სულიერი საქმეები. "ასეთი იქნება ჩემი სიტყვა, რომელიც გამოდის ჩემი პირიდან; არ დამიბრუნდება ცარიელი, რადგან მოიმოქმედებს იმას, რაც მე მწადდა, და წარმატება ექნება იმაში, რისთვისაც მე მივავლინე" (ეს. 55:11). "მიდის და ტირის მთესველი თესლისა, მოდის და სიმღერით მოაქვს თავისი ძნები" (ფსალმ. 125:6).
თესლის აღმოცენება სულიერი ცხოვრების დასაწყისის მაჩვენებელია, მცენარის ზრდა და განვითარება კი - სრულფასოვანი ქრისტიანის ჩამოყალიბების მშვენიერი სურათი. აქაც ისევე, როგორც ბუნების სამყაროში, არ არსებობს სიცოცხლე ზრდის გარეშე. ნიადაგიდან უკვე ამოწვერილი მცენარე ან იზრდება, ან კვდება. ზრდა ჩუმად, შეუმჩნევლად, მაგრამ უწყვეტად მიმდინარეობს. ასევე ხდება ქრისტიანული სულის განვითარებაც. ზრდის ყოველ საფეხურზე ჩვენი ცხოვრება ამ მომენტისათვის შეიძლება იყოს სრულყოფილი. და, თუმცა უფლის ჩვენ მიმართ ჩანაფიქრი ამ ეტაპზე შეიძლება აღსრულებული იყოს, მაგრამ სულიერი ზრდისათვის მოძრაობა არ წყდება. სულიერი განწმედა ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე მიმდინარეობს. ჩვენი შესაძლებლობების ზრდის პარალელურად იზრდება ჩვენი შემეცნებაც და გამოცდილებაც; ვიძენთ უფრო მეტი პასუხისმგებლობის უნარს და დასახული ამოცანების გართულებასთან ერთად მიმდინარეობს ჩვენი სულიერი მომწიფებაც.
მცენარე იზრდება იმ საკვებით, რასაც მას უფალი აძლევს. იგი ფესვს იდგამს მიწაში, შთანთქავს მზის სხივებს, შეიწოვს ცვარსა და წვიმას და ჰაერიდან სიცოცხლისათვის აუცილებელ ნივთიერებებს იღებს. ასევე ხდება ქრისტიანის ცხოვრებაშიც: იგი სულიერად იზრდება ღვთიურ ძალებთან ურთიერთობაში. შევიცნობთ რა საკუთარ უძლურებას, უნდა განვავითაროთ ჩვენთვის ბოძებული ყველა ნიჭი, რათა უფალთან ურთიერთობის უფრო მეტი გამოცდილება შევიძინოთ. მიწაში ფესვგადგმული მცენარის მსგავსად ჩვენც უფრო ღრმად უნდა დავფუძნდეთ ქრისტეში. როგორც მცენარე იღებს და შთანთქავს მზის ენერგიას, ცვარსა და წვიმას, ასევე ფართოდ უნდა გავუხსნათ გული ღვთის წმიდა სულს. ეს უნდა ხდებოდეს "არა ძალითა და ძლიერებით, არამედ ჩემი სულითო, - ამბობს ცაბაოთ უფალი" (ზაქ. 4:6). თუკი ჩვენ მთელი ჩვენი არსებით მივენდობით ქრისტეს, იგი "წვიმასავით მოგვივა, ისხარივით, მიწას რომ რწყავს" (ოს. 6:3). სიმართლის მზესავით ამობრწყინდება ჩვენთვის და "კურნება იქნება მის ფრთებზე" (მალ. 4:2). მაშინ მისი ხალხი "აყვავდება, როგორც შროშანი", მისი მორწმუნენი "სიცოცხლეს მიანიჭებენ ხორბალს და ვაზივით აყვავილდებიან" (ოს. 14:6,8). და დასასრული არ ექნება ჩვენს სულიერ ზრდას, თუკი სრულად მივენდობით ქრისტეს, როგორც ჩვენს პირად მხსნელს. ხორბალი "გამოიღებს ნაყოფს: პირველად ჯეჯილს, მერე თავთავს, შემდეგ კი სავსე მარცვალს თავთავში". მიწათმოქმედის ამგვარი შრომის - თესლის დათესვისა და მცენარის ზრდის - მიზანი ერთია: სრულფასოვანი და უხვი მოსავლის მიღება. მთესველს სჭირდება პური საკვებად და თესლი - მომავალში დასათესად. ასევე ელის ზეციური მთესველი მოსავლის აღებას, როგორც

ჯილდოს მისი განუწყვეტელი შრომისა და ზრუნვისათვის. ქრისტეს სურს, დაფუძნდეს ადამიანთა გულში. და ამას იგი თავის მორწმუნეთა მეშვეობით აკეთებს. მთელი ქრისტიანული ცხოვრების მიზანი მდგომარეობს ნაყოფის გამოღებაში - მორწმუნის გულში ქრისტეს ხასიათის დამკვიდრებაში, რათა შემდგომში იგივე თესლი სხვებში დაითესოს.
მცენარე იზრდება, ვითარდება და ნაყოფს იძლევა არა თავისთვის, არამედ იმისათვის, რომ მისცეს "თესლი მთესველს და პური მჭამელს" (ეს. 55:10). ადამიანიც არ უნდა ცხოვრობდეს მხოლოდ საკუთარი თავისთვის. ქრისტიანი არის ქრისტეს წარმომადგენელი ამ წუთისოფელში, რათა სხვებიც მოიყვანოს ხსნის წყაროსთან.
მაგრამ ადამიანს, რომელიც მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავს, არასოდეს ექნება სულიერი ზრდა და ვერც ჭეშმარიტ ნაყოფს გამოიღებს. თუკი ქრისტე ჩვენს პირად მხსნელად მივიღეთ, მაშინ საკუთარ თავზე ზრუნვა უნდა დავივიწყოთ და სხვებს უნდა დავეხმაროთ. ესაუბრეთ ადამიანებს ქრისტეს სიყვარულის, მოწყალებისა და თანაგრძნობის შესახებ. შეასრულეთ ყველა დავალება, რომელიც მოგეცათ. გაითავისეთ სხვისი ტვირთი და სიმძიმე და ყველა თქვენს ხელთ არსებული საშუალებებით ეცადეთ, გადაარჩინოთ დაკარგულნი. როდესაც თქვენში შემოდის ქრისტეს სული - სული უანგარო სიყვარულისა და სხვებისადმი მსახურებისა, თავადაც გაიზრდებით და ნაყოფსაც გამოიღებთ. თქვენს ხასიათში სულის მშვენიერი ნაყოფი იმწიფებს. სულ უფრო და უფრო დაემსგავსებით ქრისტეს ყოველივე იმაში, რაც წმიდა, კეთილშობილური და მშვენიერია.
"ხოლო სულის ნაყოფია: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელება, სახიერება, სიკეთე, ერთგულება, სიმშვიდე, თავშეკავება" (გალ. 5:22,23). ეს ნაყოფი არასოდეს დაიღუპება, არამედ თავის მსგავს მრავალ ახალ ნაყოფს გამოიღებს საუკუნო სიცოცხლის სამკალისათვის.
"რაჟამს მომწიფდება ნაყოფი, მყისვე გამოგზავნის ნამგალს, რადგან მოაწია მკამ". მოუთმენლად ელის ამას მაცხოვარი თავის ეკლესიაში. როდესაც მისი ერთგული ხალხი სრულად აირეკლავს მის ხასიათს, მოვა იესო, რათა თავისი შვილები უწოდოს მათ.
ყოველი ქრისტიანის უპირატესობაა, არა მხოლოდ ელოდოს მაცხოვრის მეორედ მოსვლას, არამედ ყოველმხრივ ხელი შეუწყოს ამ დიდებული მომენტის მოახლოებას (2პეტრ. 3:12). ყველას, ვისაც სწამს მისი სახელი, ღვთის სადიდებლად რომ გამოეღო ნაყოფი, სწრაფად დაითესებოდა სახარების თესლი მთელ მსოფლიოში; სწრაფად მომწიფდებოდა საყოველთაო, უკანასკნელი სამკალი და ქრისტე ძვირფასი ხორბლის შესაგროვებლად მოვიდოდა.

## თავი 4 - ღვარძლი

მათ. 13:24-30, 37-43
"სხვა იგავი მიაწოდა მათ და უთხრა: ცათა სასუფეველი ჰგავს ადამიანს, რომელმაც კარგი თესლი დათესა თავის ყანაში. როცა ხალხს ეძინა, მოვიდა მისი მტერი, ხორბალში ღვარძლი ჩათესა და წავიდა. ხოლო როცა ჯეჯილი ამოვიდა და ნაყოფი გამოიღო, ღვარძლმაც მაშინ იჩინა თავი".

"საყანე კი სოფელია" - თქვა მაცხოვარმა. ცხადია, აქ საუბარია ქრისტეს ეკლესიაზეც, რომელიც წუთისოფელშია. იგავში ლაპარაკია ღვთის სასუფეველზე და ქრისტეს მსახურებაზე ადამიანთა გადასარჩენად. ამ საქმიანობას კი მისი ეკლესია ახორციელებს. სიმართლეა ისიც, რომ ღვთის წმიდა სული მთელ წუთისოფელში სუფევს და ყველა ადამიანის გულს სწვდება; მაგრამ ნაყოფის აღმოცენება და მომწიფება უფლის ბეღლისათვის მხოლოდ ქრისტეს ეკლესიაში ხდება.
"კეთილი თესლის მთესველი კაცის ძეა... კეთილი თესლი სასუფევლის ძენი არიან, ხოლო ღვარძლი - ბოროტის ძენი". კეთილი თესლი ეწოდა მათ, ვინც ღვთის სიტყვითა და ჭეშმარიტებითაა შობილი. ღვარძლი კი ცდუნებულთა და ცრუ პრინციპთა ნაყოფის განსახიერებაა. "ხოლო მტერი, რომელმაც ის დათესა, არის ეშმაკი". ღმერთსა და მის ანგელოზთ არასოდეს დაუთესიათ ღვარძლის თესლი. სარეველას ყოველთვის ღმერთისა და ადამიანის ბოროტი მტერი - სატანა თესავს.
აღმოსავლეთში ადამიანები შურისძიების მიზნით ზოგჯერ მტრის მოხნულ და დათესილ ყანაში სარეველა ბალახის თესლს აბნევდნენ, რომელიც აღმოცენებისას ძლიერ ჰგავდა ხორბალს. ღვარძლი მინდორში ძლიერ სწრაფად ვრცელდება, ხორბალს აშთობს და დიდ ზიანს აყენებს ყანის პატრონს. ასევე აკეთებს სატანაც, როცა ქრისტეს მტრობს და ბოროტების თესლს თესავს მაცხოვრის სასუფევლის კეთილ თესლს შორის. დათესილის ნაყოფს კი უფლის ძის დამსახურებად წარმოგვიდგენს. მას ეკლესიაში მოჰყავს ადამიანები, რომლებიც ქრისტეს სახელს ატარებენ, მაგრამ მისი ხასიათის თვისებები არ გააჩნიათ; მზაკვარი ცდილობს, ამით უფლის სახელი დაამცირის, მის გამომსყიდველ მსახურებაზე წარმოდგენა დაამახინჯოს და ადამიანთა სულები დაღუპოს.
ქრისტეს მსახურთ დიდად აწუხებს ის ფაქტი, რომ ეკლესიაში ჭეშმარიტ ქრისტიანებთან ერთად ცრუქრისტიანებიც არიან და ცდილობენ, როგორღაც გაწმინდონ ეკლესია. სახლის პატრონის ერთგულ მონათა მსგავსად ისინიც მზად არიან ღვარძლის ამოსაძირკვად, მაგრამ მაცხოვარი მიმართავს მათ: "არა, რათა გამარგვლისას ღვარძლთან ერთად ხორბალიც არ გაგლიჯოთ. დაიცადეთ, ერთად იზარდოს ორივემ მკის დრომდე".
სრულიად გასაგებად თქვა მაცხოვარმა, რომ ადამიანები, რომელთაც ჯიუტად არ სურთ ცოდვების მიტოვება, ეკლესიიდან უნდა მოიკვეთონ; მაგრამ მას ჩვენთვის არ დაუვალებია განვსაჯოთ მორწმუნის ხასიათი და ქცევის მოტივები. იგი შესანიშნავად იცნობს ჩვენს ბუნებას იმისათვის, რომ ასეთი საქმე არ მოგვანდოს. თუ შევეცდებით, ეკლესია იმ ადამიანებისაგან გავწმინდოთ, ვისაც ცრუქრისტიანებად ვთვლით, უამრავ შეცდომას დავუშვებთ. ჩვენ ხშირად უიმედოდ ვთვლით ადამიანს, რომელსაც ქრისტე, შესაძლოა, სწორედ იმ მომენტში იწვევს თავისთან. ჩვენ რომ ამ ადამიანებისათვის განაჩენი ჩვენი მათზე უარყოფითი შეხედულებებით გამოგვეტანა, უკანასკნელ იმედს წავართმევდით. მრავალი ადამიანი, რომელიც თავს ქრისტიანად თვლის, ბოლოს სასუფევლისათვის დაკარგული აღმოჩნდება. ბევრი კი ისეთი შევა ზეციურ სამეფოში, რომელთა იქ მოხვედრას ახლობლები ვერც კი წარმოიდგენდნენ. ადამიანები ადამიანს გარეგნობის მიხედვით აფასებენ, ღმერთი კი მის გულს ხედავს. ღვარძლი და ხორბალი ერთად გაიზრდებიან მკის ჟამის დადგომამდე, რაც გამოსაცდელი პერიოდის დასასრულს ნიშნავს.

საოცარი მოთმინების, უდიდესი თანაგრძნობისა და უანგარო, ნაზი სიყვარულის კიდევ ერთ მაგალითს გვასწავლის მაცხოვრის სიტყვა. როგორც ღვარძლისა და კეთილი მცენარის ფესვებია ერთმანეთში მჭიდროდ გადახლართული, ისე იარსებებენ ერთმანეთის გვერდით ეკლესიაში ცრუ ძმები და ქრისტეს ერთგული მსახურები. ეგრეთ წოდებულ მორწმუნეთა შინაგანი არსი გარეგნულად არანაირად არ ვლინდება, მათი ეკლესიიდან გაძევებამ კი, შესაძლოა, უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს და რწმენის საფუძველი შეურყიოს მათ, რომლებიც სწორედ მათი წყალობით იდგნენ მტკიცედ რწმენაში.
ეს იგავი ნათლად ასახავს ღმერთის დამოკიდებულებას ადამიანებისა და ანგელოზებისადმი. სატანა მატყუარაა. როდესაც მან ზეცაში შესცოდა, უფლის ერთგულმა ანგელოზებმაც კი ვერ ამოიცნეს ბოლომდე მისი ნამდვილი სული. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ღმერთმა მაშინვე არ გაანადგურა იგი. წინააღმდეგ შემთხვევაში წმიდა ანგელოზები ვერასოდეს ჩასწვდებოდნენ უფლის ჭეშმარიტ სამართლიანობასა და სიყვარულს. უფლის სიკეთესა და სულგრძელობაში ეჭვის შეტანა კი სწორედ ის ბოროტი თესლი იქნებოდა, რომელიც ცოდვისა და მწუხარების მწარე ნაყოფს გამოიღებდა. ამიტომ დროებით დაინდო ღმერთმა ბოროტების მამამთავარი მისი ნამდვილი ხასიათის სრულად, საბოლოოდ გამომჟღავნებამდე. საუკუნეთა განმავლობაში წუხდა და იტანჯებოდა ზეციერი მამა წუთისოფლის ცოდვილ საქმეთა გამო. გოლგოთაზე შემოგვწირა ყველაზე ძვირფასი, რაც მას გააჩნდა, რათა არავინ გაბმულიყო მაცდურის მიერ ოსტატურად დაგებულ სიცრუის ბადეში. ღვარძლის ამოძირკვა ძვირფასი კულტურის დაზიანების გარეშე შეუძლებელია. განა უფალი ღმერთი ჩვენთვის სათანადო მაგალითი არ არის? განა ჩვენს მოყვასს ისეთივე მოთმინებით არ უნდა მოვეპყროთ, როგორიც ცისა და დედამიწის მეუფემ სატანის მიმართ გამოამჟღავნა?
კაცობრიობა ეჭვით არ უნდა უმზერდეს ქრისტიანობას იმის გამო, რომ ქრისტეს ეკლესიას უღირსი წევრები ჰყავს; არც ქრისტეს ერთგულნი უნდა იყვნენ სასოწარკვეთილნი ეკლესიაში ცრუ ძმების ყოფნის გამო. გავიხსენოთ ადრეული ეკლესია: ანანია და საფირა, რომელნიც მოციქულებს შეუერთდნენ; სიმონ მოგვი, რომელიც ქრისტეს სახელით მოინათლა; მორწმუნედ ითვლებოდა დემა, რომელმაც პავლე მიატოვა; იუდა ისკარიოტელი კი ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული იყო თორმეტთა შორის. არც ერთი სულის დაკარგვა არ სურდა მაცხოვარს. მისი იუდასთან დამოკიდებულება ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რა დიდი მოთმინებითა და სულგრძელობით ეკიდებოდა იგი დაცემული, ცოდვილი ბუნების მქონე ადამიანს. ასეთივე მოთმინებისა და გულისხმიერების გამოვლენას ითხოვს ქრისტე ჩვენგან ადამიანების მიმართ. თანაც გვაფრთხილებს, რომ ცრუ ძმები ბოლომდე, საუკუნის აღსასრულამდე იქნებიან ეკლესიაში.
მიუხედავად ქრისტეს გაფრთხილებისა, ადამიანები მაინც ცდილობენ ღვარძლის ამოძირკვას და იმ ადამიანთა დასასჯელად, რომელნიც ეკლესიამ ბოროტად წარმოაჩინა, ისინი ხშირად სამოქალაქო ხელისუფლებას მიმართავენ. ეკლესიაში დამკვიდრებული დოქტრინებისაგან განსხვავებული აზრის მქონეთ საპყრობილეში ყრიდნენ და წამებით სულს ხდიდნენ. და ყოველივე ეს იმ თვითდაჯერებულ მორწმუნეთა წაქეზებით ხდებოდა, რომელნიც თავიანთ მოქმედებას ქრისტეს ნებას მიაწერდნენ. სინამდვილეში კი მათს ამგვარ საქმიანობას იწონებს არა

მაცხოვრის, არამედ სატანის სული. ეს მეთოდი ეკუთვნის სატანას, რომელიც ცდილობს, წუთისოფელი დაიმორჩილოს. ასე უმოწყალოდ უსწორდებოდნენ ეგრეთ წოდებულ ერეტიკოსებს, რითაც ეკლესია ხელს უწყობდა ღმერთზე ცრუ შეხედულების გავრცელებას.
იგავში ქრისტე გვასწავლის არა სხვების განკითხვასა და განსჯას, არამედ, პირიქით, მორჩილებისა და თვითანალიზისაკენ მოგვიწოდებს. როგორც მინდორში დათესილი ყველა თესლი კეთილი არაა, ასევე ქრისტეს სახელით მონათლული ეკლესიის ყველა წევრიც არაა ჭეშმარიტი ქრისტიანი.
ღვარძლი და ხორბალი გარეგნულად ძლიერ ჰგავს ერთმანეთს მანამ, სანამ ჯეჯილი ჯერ კიდევ მწვანეა. მაგრამ როგორც კი ყანა დამწიფდება და ოქროსფრად ღელვას დაიწყებს და მკის დრო დადგება, ღვარძლი დაკარგავს მწიფე თავთავებით დამძიმებულ ხორბალთან მსგავსებას. მორწმუნე ცოდვილნიც, შესაძლოა, ერთხანს არც გამოირჩეოდნენ ქრისტეს ერთგულ მიმდევართაგან და მათ შორის მსგავსებამ მრავალნიც კი აცდუნოს, მაგრამ წუთისოფელში მკის დადგომისთანავე ეს მაცდუნებელი მსგავსება კეთილსა და ბოროტს შორის აღარ იარსებებს და მაშინ მხილებულ იქნებიან ისინი, ვინც მხოლოდ ეკლესიას შეუერთდა და არა ქრისტეს.
ღვარძლს ნება ეძლევა, გაიზარდოს ხორბალთან ერთად; მასთან ერთად გაიხაროს მზითა და წვიმით; მაგრამ მკის დადგომის ჟამს "კვლავ დაინახავთ განსხვავებას მართალსა და უკეთურს შორის, ღვთის მორჩილსა და მის ურჩს შორის" (მალ. 3:18). მაცხოვარი თავად გადაწყვეტს, თუ ვინ არის ზეციურ ოჯახში შესვლის ღირსი. იგი თითოეულს განიკითხავს არა მისი სიტყვის, არამედ საქმეების მიხედვით. ადამიანის სიტყვა იმ დროს სრულიად უმნიშვნელო იქნება, ვინაიდან მხოლოდ მისი ხასიათი გადაწყვეტს მის ბედს. მაცხოვარი არ გვპირდება, რომ დადგება დრო და ყველა სარეველა ჯეჯილად გადაიქცევა. ღვარძლი და ხორბალი ერთად გაიზრდებიან მკამდე, წუთისოფლის აღსასრულამდე. მკის დროს კი ღვარძლს მოაგროვებენ და ძნებად შეკრავენ დასაწვავად, ხორბალს კი ბეღელში შეაგროვებენ. "მაშინ მართალნი მზესავით გაბრწყინდებიან თავიანთი მამის სასუფეველში". მაშინ "მოავლენს კაცის ძე თავის ანგელოზებს და მოაგროვებენ მისი სამეფოდან ყოველ საცდურსა და ურჯულოების მოქმედს, და ჩაყრიან მათ ცეცხლის ქურაში. იქნება იქ ტირილი და კბილთა ღრჭენა".

## თავი 5 - "წააგავს მდოგვის მარცვალს"

მათ. 13:31,32; მარკ. 4:30-32; ლუკ. 13:18,19

ქრისტეს მსმენელთა შორის ბევრი ფარისეველი იყო. ისინი ღვარძლიანად აღნიშნავდნენ, თუ რა ცოტა იყო მათ შორის ისეთი, ვინც ქრისტეს ჭეშმარიტ მესიად აღიარებდა. გაკვირვებას გამოთქვამდნენ ისინი, თუ როგორ შეძლებდა ეს უბრალო მასწავლებელი ისრაელის აღზევებასა და გაძლიერებას; ხელმწიფების, სიმდიდრისა და დიდების გარეშე ახალი სამეფოს დამკვიდრებას?
"რას შევუდაროთ ღვთის სასუფეველი? ან რომელი იგავით გამოვთქვათ?" წუთისოფელში არაფერია ისეთი, რომ მისი შედარება შეიძლებოდეს. არც რაიმე სამოქალაქო საზოგადოება გამოდგება ღვთის სასუფევლის სიმბოლოდ. "იგი

მდოგვის მარცვალსა ჰგავს, - თქვა მაცხოვარმა, - რომელიც მიწაზე დათესვისას ყველაზე მცირეა მიწაზე არსებულ თესლთა შორის, დათესვის მერე კი ამოდის და ყველაზე დიდ მწვანილად გადაიქცევა. დიდ ტოტებს გამოისხამს, ისე რომ მის ჩრდილში ცის ფრინველნი იბუდებენ" (მარკ. 4:31,32).
მიწაში ჩათესილი თესლი თვით ღვთის მიერ მასში ჩადებული სიცოცხლის პრინციპის ამოქმედების წყალობით იზრდება. იგი სულაც არ არის დამოკიდებული ადამიანის ძალისხმევაზე. იგივე შეიძლება ითქვას ქრისტეს სასუფეველზეც. ეს სრულიად ახალი ცნებაა. მისი განვითარების პრინციპები მიწიერ სამეფოთა მმართველობის პრინციპებისაგან სრულიად განსხვავებულია. მიწიერი მმართველნი თავიანთ ხელმწიფებას ფიზიკური ძალის გამოყენებით, ომებით ამკვიდრებენ და სამხედრო ძალებით იცავენ. ახალი სამეფოს ფუძემდებელი კი მშვიდობის მეფეა. წმიდა წერილი მიწიერ სამეფოებს გარეულ ნადირთა - მტაცებელთა სახით წარმოგვიდგენს; ქრისტე კი არის "ღვთის კრავი, რომელმაც აიღო სოფლის ცოდვა" (იოან. 1:29). იგი არ იყენებს მმართველობის უხეშ ფორმებს, რომლებიც ადამიანის სინდისის თავისუფლებას შეურაცხყოფს. ებრაელები ფიქრობდნენ, რომ ღვთის სასუფეველი ისეთივე ჩვეულებრივი გზით დამკვიდრდება, როგორც ეს წუთისოფელში ხდებოდა. ისინი ძალის გამოყენებით ახვევდნენ თავს ადამიანებს ღვთისმოსაურ ცხოვრებას და ამისათვის სხვადასხვა გეგმასა და მეთოდს მიმართავდნენ. ქრისტე კი ახალ ცხოვრებას ღვთიური სიმართლის საფუძველს უდებს. უცვლელი ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის დაფუძნებით ამარცხებს იგი სიცრუესა და ცოდვას.
როდესაც იესო ამ იგავს ამბობდა, ყველგან შეიძლებოდა მდოგვის მცენარეთა დანახვა. მდოგვი მაღლიდან დაჰყურებდა მწვანილსა და ჯეჯილს, მის ტოტებს ნიავი აქეთ-იქით არწევდა, მის ხშირ ფოთლებში კი ჩიტები დახტოდნენ და მხიარულად ჟივჟივებდნენ. თესლი, რომლისგანაც ეს გიგანტური მცენარე აღმოცენდება, სხვადასხვა მარცვლებს შორის ყველაზე მცირეა. თავიდან ამ თესლისაგან პატარა, ნაზი ყლორტი ამოიწვერება. გარეგნულად იგი ძლიერ სუსტია, სინამდვილეში კი უდიდესი მაცოცხლებელი ძალა გააჩნია; სწრაფად იზრდება და ფოთლებით იმოსება, სანამ გიგანტურ სიმაღლეებს არ მიაღწევს. ასევეა ქრისტეს სასუფეველიც: თავიდან თითქოს უმნიშვნელო და უბრალო. მიწიერი სამეფოების გვერდით იგი მეტად სუსტად გამოიყურება. ამქვეყნიური კანონებითა და სტანდარტებით ქრისტეს სიტყვები, შესაძლოა, სასაცილოდ მოსჩვენებოდათ. მაგრამ სახარების სასუფევლის ამ უდიდეს ჭეშმარიტებებში, რომელნიც ქრისტეს მიმდევრებს მიეცათ, უძლიერესი ღვთიური სიცოცხლე იყო ჩადებული. რა სწრაფად გაიზარდა იგი, რა სწრაფად გავრცელდა მთელ დედამიწაზე! როდესაც ქრისტე მდოგვის მარცვლის შესახებ იგავს ამბობდა, ახალ სასუფეველში მხოლოდ რამდენიმე გალილეველი გლეხი შედიოდა. მათი სიღარიბე და რიცხობრივი სიმცირე კიდევ ერთი საბაბი იყო, რომელსაც იმისათვის იყენებდნენ, რომ ამ უბრალო, გონებაშეზღუდულ მეთევზეთ, რომელნიც ქრისტეს მიმდევრებად იწოდებოდნენ, ხალხი არ გაჰყოლოდა. მაგრამ მდოგვის თესლი უნდა გაზრდილიყო და მთელ წუთისოფელში უნდა გავრცელებულიყო. მიწიერი სამეფოები, რომელთა დიდებაც ასე ხიბლავდა ადამიანებს, ადრე თუ გვიან ინგრეოდა და იღუპებოდა, ქრისტეს სამეფო კი მარადიული, ძლიერი და ყოვლისმომცველია.

იგივე შეიძლება ითქვას მადლზეც. იგი თავიდან თითქოსდა შეუმჩნევლად ფუძნდება ადამიანის გულში. მაგრამ სიტყვა უკვე ითქვა, სინათლის სხივმაც სულში უკვე შეაღწია და მოქმედება დაიწყო, რაც ახალი ცხოვრების დასაწყისს ნიშნავს. ვის ძალუძს მისი შედეგების დათვლა?!
იგავი მდოგვის თესლის შესახებ არა მხოლოდ ქრისტეს სასუფევლის საერთოდ ზრდას გვიჩვენებს, არამედ ზრდის ამ პროცესის ყოველი საფეხური იგავში აღწერილი განვითარების მომენტებს იმეორებს. ღვთის ეკლესიის ყოველ თაობას უფალი განსაკუთრებულ ჭეშმარიტებასა და განსაკუთრებულ ამოცანებს აძლევს. და ყოველ საფეხურზე ამა სოფლის წინდახედულ და მეტად ფრთხილ ბრძენთაგან დაფარული ჭეშმარიტება ბავშვივით გულღია და უბრალო ადამიანებს ეხსნებათ. ჭეშმარიტება თავდადებას ითხოვს; ბრძოლისა და გამარჯვებისაკენ მოუწოდებს. თავიდან მას ერთეულები ისმენენ. მათ დასცინიან წუთისოფლის ძლიერნი და მასთან შერწყმული ეკლესია. ასევე ექცეოდნენ ქრისტეს წინამორბედს, იოანე ნათლისმცემელს, რომელმაც გაბედულად ამხილა იუდეველთა პატივმოყვარეობა და ფორმალიზმი. ასევე მოექცნენ ევროპაში სახარების პირველ მქადაგებელთ. რა ბუნდოვნად და უიმედოდ გამოიყურებოდა ტროადან ფილიპეში გემით მიმავალი უბრალო მეკარვეების - პავლესა და სილას - მისია! ასევე მოექცნენ პავლეს, ბორკილგაყრილი ცეზართა სასახლეებში ქრისტეს სახარებას რომ ქადაგებდა. იგივე ხდებოდა მონებისა და უბრალო გლეხთა მცირე საკრებულოების მიმართ, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ რომის იმპერიის წარმართულ რელიგიას. ასევე ექცეოდნენ მარტინ ლუთერს, რომელიც წინ აღუდგა უძლიერეს კათოლიკურ ეკლესიას, იმ დროისათვის ამქვეყნიური სიბრძნით გაბრწყინებულს. რა მტკიცედ იცავდა ღვთის სიტყვას იმპერატორისა და პაპის წინაშე: "ჩემს აზრზე ვრჩები. სხვაგვარად არ შემიძლია. უფალს ვთხოვ, დამეხმაროს!" ასევე იყო ჯონ უესლისთან დაკავშირებით, რომელიც საერთო საეკლესიო ფორმალიზმის, სენსუალიზმისა და ურწმუნოების ეპოქაში ქრისტეს სიტყვას და მის სიმართლეს ავრცელებდა. გონების თვალით გადახედეთ ამ წარმართული სამყაროს უბედურებით სულდამძიმებულ ადამიანს, რომელიც წუთისოფელს მაცხოვრის სიყვარულზე ესაუბრებოდა, პასუხად კი თავისი სულიერი მოძღვრის ასეთი სიტყვები ესმოდა: "დაბრძანდით, ყმაწვილო. როდესაც უფალი ღმერთი წარმართთა მოქცევას განიზრახავს, ამას იგი უთქვენოდ გააკეთებს".
დღევანდელი რელიგიური ხელმძღვანელები ქება-დიდებით ამკობენ და ძეგლებს უგებენ წარსულ საუკუნეთა ჭეშმარიტების მთესველთ. მაგრამ განა ამ დროს ხშირად ფეხით არ თელავენ იმ თესლიდან თანამედროვე სამყაროში აღმოცენებულ ყლორტებს? დღეს კვლავ ძველებურად ამბობენ: "ჩვენ ვიცით, რომ მოსეს ელაპარაკებოდა ღმერთი. ამაზე კი არაფერი ვიცით, საიდანაა იგი" (იოან. 9:29). ისევე, როგორც ადრეულ საუკუნეებში, ჩვენი დროისათვის განკუთვნილი ჭეშმარიტებანი გვეცხადება არა სამღვდელოების ავტორიტეტით, არამედ იმ ადამიანების - მამაკაცებისა და ქალების - მეშვეობით, რომლებიც არც სწავლულები არიან, არც ამა სოფლის ბრძენნი, არამედ ადამიანები, რომლებმაც, შესაძლოა, სწორედ ამ მიზეზთა გამო შეინარჩუნეს ცოცხალი რწმენა ღვთის სიტყვის მიმართ.
"ნახეთ, ძმანო, ვინ ხართ მოწოდებულნი: ბევრი არ არის ხორციელად ბრძენი, ბევრი არ არის ძლიერი და ბევრი არ არის წარჩინებული. არამედ სოფლის

უმეცარნი ამოარჩია ღმერთმა, რათა შეარცხვინოს ბრძენნი, და სოფლის უძლურნი ამოარჩია ღმერთმა, რათა შეარცხვინოს ძლიერნი. მდაბიონი ამოარჩია ღმერთმა და დამცირებულნი, და არარსებული, რათა გააუქმოს არსებული" (1კორ. 1:26-28). "რათა თქვენი რწმენა იყოს არა კაცთა სიბრძნით, არამედ ღვთის ძალით" (1კორ. 2:5).
ჭეშმარიტ ქრისტიანთა ამ უკანასკნელ თაობაში პოვებს თავის ბრწყინვალე განხორციელებას იგავი მდოგვის თესლის შესახებ. და მაშინ პატარა მარცვალი უზარმაზარ ხედ იქცევა. ღვთიური მოწყალებისა და გაფრთხილების ხმა "ყოველი ერის და ტომის, ენისა და ხალხისათვის სახარებლად" გაისმის (გამოცხ. 14:6), რათა გამოკრიბოს "ხალხი თავისი სახელისათვის" (საქმე. 15:14; გამოცხ. 18:1). და მაშინ მისი დიდებით გაბრწყინდება მთელი დედამიწა.

## თავი 6 - სხვა გაკვეთილები იგავებიდან თესლის შესახებ

მეტად დიდებული, ოჯახისა და სკოლისათვის ფრიად მნიშვნელოვანი სხვა გაკვეთილებიცაა მოცემული ქრისტეს ამ იგავებში. დაე მოზარდებმა და ჭაბუკებმა ისწავლონ უფლის ძალის ბუნებაში მოქმედების შეცნობა და რწმენით უდიდეს წყალობას მიიღებენ. და, როდესაც შეიცნობენ უფლის საოცარ საქმეებს, რომლებიც უზენაესის დიდი ოჯახის მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს აკმაყოფილებს, როცა ისინი შემოქმედთან თანამშრომლობას დაიწყებენ, ადვილად შეძლებენ უფლის ძალისა და ძლიერების თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებას.
უფალმა თესლი იმავე საშუალებით შექმნა, რა საშუალებითაც - დედამიწა, ანუ თავისი სიტყვით. იმავე სიტყვით დაუწესა აღმოცენებისა და გამრავლების უნარი. მან თქვა: "აღმოაცენოს მიწამ მცენარე, თესლის მთესველი, ხე ნაყოფიერი - მიწაზე თავისი გვარისამებრ, თესლოვანი ნაყოფის მომტანი. და იქმნა ასე... და იხილა ღმერთმა ყოველივე, რაც შექმნა, და ძალზე კარგი იყო" (დაბ. 1:11,31). ყოველი თესლი უფლის სიტყვით იწყებს აღმოცენებას. ყოველი მარცვალი, რომლის ახლადაღმოცენებული ყლორტი მზისკენ მიიწევს, იმ უდიდესი შემოქმედის სიტყვის სასწაულმოქმედ ძალაზე მეტყველებს, რომელმაც "თქვა და შეიქმნა, მან ბრძანა და არსებობს" (ფსალმ. 32:9).
მაცხოვარი თავის მოწაფეებს ასწავლიდა, ასე ელოცათ: "პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს"; ყვავილებზე მიუთითებდა და არწმუნებდა: "თუკი მინდვრის ბალახს... ღმერთი ასე მოსავს, თქვენ უფრო მეტად არ შეგმოსავთ?" (მათ. 6:11,30). განუწყვეტლივ შრომობს ქრისტე იმისათვის, რომ ამ ლოცვას უპასუხოს და თავისი დანაპირები შეასრულოს. ღმერთის უხილავი ძალა გამუდმებით იღვწის ადამიანის საკეთილდღეოდ: აცმევს და კვებავს. იგივე მაცოცხლებელი ძალა აძლევს სიცოცხლეს მინდორში მობნეულ თესლს და საკმარისად ყოველივეს, რაც სრულყოფილი მოსავლის მისაღებადაა საჭირო. "კეთილად გაიხსენე ქვეყანა და მორწყე, დიდად გაამდიდრე იგი; - ნაკადი ღმერთისა სავსეა წყლით; მოამზადე მათი პური, რადგან ასე წარმართე იგი. მის კვლებს არწყულებ, ასწორებ მის ბელტებს, ჟუჟუნა წვიმით ალბობ, მის აღმონაცენს აკურთხებ. აკურთხე წელიწადის გვირგვინი შენი სიკეთით, და შენი ნაკვალევიდან წვეთავს პოხიერება" (ფსალმ. 64:10-12).

მატერიალური სამყარო ბუნების კანონებს ემორჩილება, მაგრამ ბუნებაშიც ყველაფერი უზენაესის ნებითა და ხელმძღვანელობით ხდება. მზე და ღრუბელი, ცვარი და წვიმა, ქარი და გრიგალი - ყოველივეს უფალი აკონტროლებს და ყოველივე მას ემორჩილება. სწორედ უფლის კანონის აღსრულებით ხდება, რომ მარცვლიდან ნორჩი ყლორტი ამოიწვერება და გვაძლევს "პირველად ჯეჯილს, მერე თავთავს, შემდეგ კი სავსე მარცვალს თავთავში" (მარკ. 4:28). განვითარების ყოველ ამ საფეხურს მცენარე მისთვის განსაზღვრულ დროში გაივლის, ვინაიდან იგი უზენაესის დადგენილ წესს არ ეწინააღმდეგება. რატომ არ ემორჩილება მის უზენაეს ნებას და რატომ არ იღებს მის ასეთ დიდებულ ძღვენს ადამიანი, ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი, ღვთის სხვა უამრავ ქმნილებათა შორის ერთადერთი არსება, რომელსაც მან გონიერება და მეტყველების უნარი უბოძა? ნუთუ სწორედ ეს გონიერი არსება გახდება ჩვენი პლანეტის სერიოზული შეშფოთების მიზეზი?
ყველაფერში, რაც ადამიანის არსებობის შენარჩუნებას ეხება, ღმერთისა და ადამიანის ძალისხმევათა ერთობა მოჩანს. არ მომწიფდება სამკალი, თუკი ადამიანმა თესლი არ დათესა. მაგრამ ამ პროცესში უფლის მონაწილეობის გარეშე, რომელიც გვიგზავნის მზის სხივებსა და წვიმას, ცვარსა და ღრუბელს, მოსავალი არ მოვა. ასევე ხდება სულიერ სფეროში, ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბებასა და ნებისმიერ ქრისტიანულ მოღვაწეობაში. თავადაც უნდა ვიმოქმედოთ, მაგრამ უფლის დახმარების გარეშე ჩვენი ძალისხმევა ამაო იქნება. როდესაც ადამიანს აქვს რაიმე მიღწევები სულიერ სფეროსა თუ ყოველდღიურ ამქვეყნიურ საქმეებში, არ უნდა დაავიწყდეს, რომ ყოველივე ამას მხოლოდ შემოქმედთან ურთიერთკავშირით მიაღწია. აუცილებელია, ღრმად ჩავწვდეთ იმ ფაქტს, რომ უფლის გარეშე არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია. ჩვენ ხშირად ვაზვიადებთ ადამიანის შესაძლებლობებს და ვეყრდნობით მის საქმეებს. და არ ვენდობით ძალას, რომლის მოსაცემადაც უფალი ყოველ წუთს მზად არის. "ჩვენ ღვთის თანამშრომელნი ვართ" (1კორ. 3:9). ძლიერ მცირეა ადამიანის წილი ყველა ამ საქმეში; მაგრამ თუკი მისი ძალისხმევა ქრისტეს ღვთაებრივ თანამშრომლობას ეყრდნობა, ქრისტეს ძალით იგი ყველაფერს მიაღწევს.
თესლის აღმოცენებისა და ზრდის პროცესი თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება იქცეს ბავშვების აღზრდის საქმეში. "პირველად ჯეჯილს, მერე თავთავს, შემდეგ კი სავსე მარცვალს თავთავში" (მარკ. 4:28). მან, ვინც ეს იგავი მოგვითხრო, თავად შექმნა პაწაწინა მარცვალი, მისცა სიცოცხლე და ზრდის წესი დაუდგინა. ჭეშმარიტება კი, რომელსაც იგი ამ იგავით გვასწავლის, მისი საკუთარი ცხოვრების ცოცხალი რეალობაა. ქრისტე თავად ემორჩილებოდა უფლის მიერ მცენარისთვის დადგენილ ზრდის კანონებს თავის სულიერ თუ ფიზიკურ განვითარებაში და სურს, რომ ახალგაზრდობამაც მას მიბაძოს. ქრისტე, მთელი სამყაროს მბრძანებელი და დიდების მეფე, თავად პატარა, სუსტ ყრმად იშვა ბეთლემში. ბავშვობაში მშობლების მორჩილი იყო, არა დიდი კაცის, არამედ ბავშვური გონებით ლაპარაკობდა და მოქმედებდა; პატივს სცემდა მშობლების ნებას და როგორც შეეძლო, ეხმარებოდა მათ. თავისი განვითარების ყოველ ეტაპზე თავისებურად სრულყოფილი იყო იგი და გამოირჩეოდა ხასიათის იმ ბუნებრივი, უბრალო თვისებებით, რომლებსაც უცოდველი ცხოვრება სძენს ადამიანს. წმიდა წერილი ასე გვიშუქებს მის ბავშვობას: "ხოლო ყრმა იზრდებოდა, მტკიცდებოდა სულით და ივსებოდა სიბრძნით და ღვთის მადლი

იყო მასზე". მისი ადრეული სიყმაწვილის შესახებ კი ასეთი მოწმობა გვაქვს: "ხოლო იესოს ემატებოდა სიბრძნე და ტანი, და მადლი ღვთისა და ადამიანთა წინაშე" (ლუკ. 2:40,52).
აქ მშობლებისა და მასწავლებლების თავდაუზოგავი შრომაა საჭირო. მათი მიზანი უნდა იყოს მოზარდთა სულში ისეთი ამაღლებული თვისებების დანერგვა, რომ თავისი განვითარების ყოველ საფეხურზე მათ ამ ეტაპისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი სილამაზე გამოავლინონ. ადამიანი თანდათანობით უნდა გაიზარდოს და განვითარდეს ისე, როგორც მცენარე - ბაღში.
ბავშვი მაშინ არის უფრო მიმზიდველი, როცა დაკარგული არა აქვს ბუნებრიობა და უშუალობა. არ არის აუცილებელი მის ცალკეულ მიღწევებზე განსაკუთრებული ყურადღების შეჩერება და ბავშვის თანდასწრებით მისი ბრძნული გამონათქვამების ხშირად გამეორება. ნუ შეუწყობთ ხელს მათში ბავშვური პატივმოყვარეობის განვითარებას მათი გარეგნობის, სიტყვებისა და საქციელის ხშირი შექებით. არ არის საჭირო ბავშვების შემოსვა ძვირფასი, მოდური ტანსაცმლით, ვინაიდან ეს ხელს უწყობს მათს ბავშვურ სულში სიამაყის ჩასახვას, მათ მეგობრებში კი - შურის გაღვივებას.
ბავშვები უბრალო, მათი ასაკისათვის შესაფერის პირობებში უნდა აღიზარდონ. უნდა ვასწავლოთ, რომ ისინი მოვალენი არიან, დაეხმარონ მშობლებს. გართობაც და სწავლაც ბუნებრივი მოთხოვნილება უნდა იყოს მათს ასაკში. ბავშვობა იგავში იმ მწვანე ჯეჯილს ემსგავსება, რომლის ყლორტებსაც განსაკუთრებული, მხოლოდ ამ ასაკისათვის დამახასიათებელი მიმზიდველობა აქვს. ნუ შევუწყობთ ხელს ბავშვის ნაადრევ დასრულებას; დაე რაც შეიძლება მეტხანს შეინარჩუნონ სიყმაწვილის სისპეტაკე და მიმზიდველობა.
ქრისტიანული სული უნდა გავუღვივოთ პატარებს. მათაც შეუძლიათ, მათი ასაკისათვის შესაფერისი რწმენა ჰქონდეთ. მხოლოდ ეს სურს მათგან უფალს. აუცილებელია მათთან სულიერ საგნებზე საუბარი. მშობლები თავიანთ შვილებში მუდამ ისეთი ხასიათის ჩამოყალიბებას უნდა ცდილობდნენ, რომელიც ქრისტესთან დაახლოებას გაუადვილებს მათ.
უფლის კანონის თანახმად, ბუნებაში მიზეზს აუცილებლად მოსდევს შედეგი. მკა მუდამ თესვის ხარისხზე მიგვითითებს. ზარმაცი მუშა შესაბამის მოსავალს იმკის. თავად მოსავალი მოწმობს მის წინააღმდეგ. იგივე შეინიშნება სულიერ ცხოვრებაშიც: მუშის მუყაითობა მისი შესრულებული სამუშაოს შედეგით მოწმდება. მისი შრომისმოყვარეობა და სიბეჯითე ან სიზანტე მოსავლის აღებისას გამოჩნდება. ასევე გადაწყდება მისი ბედიც საუკუნო სიცოცხლისათვის. ყოველ დათესილ თესლს ნაყოფი თავისი გვარისამებრ გამოაქვს. ამიტომ მუდამ თანაგრძნობისა და სიყვარულის თესლს უნდა ვთესავდეთ. ვინაიდან, რასაც დავთესავთ, იმას მოვიმკით. ხასიათის ისეთი თვისებები კი, როგორიცაა ეგოიზმი, მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვა და გულის ყველა სურვილთა შესრულებისაკენ სწრაფვა, სათანადო ნაყოფს გამოიღებს. ის, ვინც მხოლოდ საკუთარი თავისთვის ცხოვრობს, ხორციელს თესავს, ხორცი კი ხრწნადია. ღმერთი არავის ანადგურებს. ყოველი დაღუპული თავად ინადგურებს საკუთარ თავს. ის, ვინც საკუთარ გულში სინდისის ხმას ახშობს, მასში ურწმუნოების თესლს თესავს, რასაც სათანადოდ მოიმკის კიდეც. უფლის პირველი გაფრთხილების უგულებელყოფით ფარაონმა გულში სიჯიუტის თესლი ჩაითესა, რაც მოიმკა კიდეც. უფალს არ დაუძალებია მისთვის, ურწმუნოებისაკენ ნაბიჯი

გადაედგა. ეს იმ ურწმუნოების თესლის ნაყოფი იყო, რომელიც ფარაონმა თავად ჩაითესა გულში. იგი ჯიუტობდა მანამ, სანამ თავისი მიწა-წყალი განადგურებული არ იხილა; სანამ თავისი სახლის და მთელი თავისი სამეფოს ოჯახების პირმშოთა სიკვდილის მოწმე არ გახდა; სანამ ზღვის ტალღებმა არ დაფარა მისი ცხენები, ეტლები და მეომრები. მისი ისტორია ბრძენის ჭეშმარიტი სიტყვის საშინელ მტკიცებულებას წარმოადგენს: "რასაც დათესავს კაცი, იმას მოიმკის" (გალ. 6:7). ადამიანები რომ ამ სიტყვების აზრს ჩასწვდომოდნენ, დასათესი თესლის არჩევისას დიდ სიფრთხილეს გამოიჩენდნენ და მხოლოდ იმ თესლს დათესავდნენ, რომლის ნაყოფიც საუკუნო სიცოცხლისაკენ წაუძღვებოდათ.
დათესილი თესლიდან მიღებული მოსავალი კვლავ ითესება და ამგვარად, მოსავალი თანდათან უფრო მრავლდება. ეს კანონი სამართლიანია ჩვენს მოყვასთან ურთიერთობაშიც. ყოველი ჩვენი მოქმედება თუ სიტყვა არის თესლი, რომელიც ნაყოფს გამოიღებს. ყოველი ჩვენი კეთილი საქმე, სხვებზე ზრუნვა, მორჩილება და თავგანწირვა სხვებში გამრავლდება, მათგან კი - სხვა კიდევ უფრო მრავალში. ასევე ყოველი ჩვენი ბოროტი საქციელი, შური თუ განხეთქილებისაკენ სწრაფვა, ბოროტ თესლად დათესილი, "მწარე ფესვს" გამოიღებს (ებრ. 12:15), რომელიც შემდგომში მრავალს გააუწმიდურებს. და ეს მრავალიც, თავის მხრივ, რამდენ ადამიანს მოუწამლავს სიცოცხლეს! ასე უწყვეტად ითესება სიკეთე და ბოროტება, რომლებიც სულ ახალ-ახალ მოსავალს იძლევა როგორც ამქვეყნიური, ასევე მარადიული სიცოცხლისათვის.
იგავი მთესველის შესახებ ხელგაშლილობის გაკვეთილებსაც გვასწავლის როგორც სულიერ, ასევე მატერიალურ ცხოვრებაში. უფალი ამბობს: "ნეტარნი ხართ, ყველა წყლის პირზე რომ თესავთ" (ეს. 32:20). "ამასთან გეტყვით, ვინც ძუნწად თესავს, ის ძუნწად მოიმკის, ხოლო ვინც კურთხევით თესავს, ის კურთხევით მოიმკის" (2კორ. 9:6). ყველა წყალთან თესვა უფლის საბოძვარის მუდამ სხვებისთვის განაწილებას ნიშნავს. ეს ნიშნავს, დავეხმაროთ ყველას და ყველგან; იქ, სადაც ამას საჭიროება და უფლის ნება მოითხოვს. ამგვარი მსახურება არ გაგვაღარიბებს, პირიქით, "ვინც კურთხევით თესავს, ის კურთხევით მოიმკის". თესლის გაბნევით მთესველი თესლს ამრავლებს. ასევე მრავლდება მათი ქონებაც, ვინც ერთგულია ღვთის სიტყვისა და უხვად გასცემს ღვთისაგან ბოძებულს. და უფალიც უფრო მეტად აკურთხებს ამ ადამიანებს. უფალი ღმერთი უფრო მეტ მადლს პირდება მათ, რათა კვლავ უხვად გასცენ. "მიეცით და თქვენც მოგეცემათ: კარგი საწყაო, დატკეპნილი, გატენილი და პირთამდე სავსე, მოგეცემათ თქვენსავე კალთაში" (ლუკ. 6:38).
უფრო მეტსაც გვასწავლის თესვა და მკა. ხშირად იმ ადამიანთა გული, რომელთაც ღვთის ბოძებულ წყალობას, სიყვარულსა და თანაგრძნობას ვუზიარებთ, უფლისადმი მადლიერების გრძნობით ივსება; მათი გულის ნიადაგი მასში ჩათესილი სულიერი ჭეშმარიტების თესლის აღმოცენებისათვის ემზადება. ხოლო ის, ვინც მთესველს თესლს აძლევს, თავად უზრუნველყოფს მის აღმოცენებას, განვითარებას და საუკუნო სიცოცხლისათვის მომზადებას.
მიწაში ჩამარხული თესლი სიმბოლოა ჩვენი ხსნისათვის ქრისტეს მიერ გაღებული მსხვერპლისა. "თუ მიწაში ჩავარდნილი ხორბლის მარცვალი არ მოკვდა, - ამბობს მაცხოვარი, - მარტო დარჩება. და თუ მოკვდა, ბევრ ნაყოფს გამოიღებს" (იოან. 12:24). ასევე ქრისტეს სიკვდილიც უხვ ნაყოფს გამოიღებს

ღვთიური სასუფევლისათვის. ისევე, როგორც ეს მცენარეთა სამყაროში ხდება, ქრისტეს სიკვდილის ნაყოფი სიცოცხლე იქნება.
ადამიანი, რომელსაც ქრისტესთან თანამშრომლობით ღირსეული ნაყოფის გამოღება სურს, თავიდან მიწაში უნდა დაიმარხოს და მოკვდეს. მისი სიცოცხლე წუთისოფლის საჭიროებათა ხნულში უნდა ჩავარდეს. საკუთარი თავისადმი ეგოისტური სიყვარული და საკუთარ თავზე ზრუნვა კი სამუდამოდ უნდა მოისპოს. მაშინ თვითგანწირვის კანონი თავდაცვის ჭეშმარიტ კანონად იქცევა. მიწაში ჩათესილი თესლი იძლევა ნაყოფს, რომელიც შემდგომში სათესად გამოიყენება და სამკალიც მრავლდება. ამგვარად, როცა მთესველი თესლს მიწაში თესავს, სინამდვილეში, ინახავს მას. ასევეა ადამიანთა ცხოვრებაშიც: გაცემა სიცოცხლეა. მარადიულობისათვის შენახული სიცოცხლე - ეს არის ღვთისა და ადამიანის მსახურებისათვის შეწირული სიცოცხლე. ის, ვინც თავის ცხოვრებას ამ წუთისოფელში ქრისტეს მიუძღვნის, საუკუნო სიცოცხლისათვის შეინახავს მას.
ამგვარად, თესლი კვდება, რათა ახალი სიცოცხლე აღმოცენდეს. ამ პროცესში მკვდრეთით აღდგომის იდეაა ჩაქსოვილი. ვისაც ღმერთი უყვარს, იგი კვლავ იცხოვრებს ზეციურ სამოთხეში. ადამიანის სხეულზე, რომელიც სამარხში იხრწნება, უფალი ამბობს: "ითესება ხრწნილებით და აღდგება უხრწნელებით. ითესება დამცირებით და აღდგება დიდებით. ითესება უძლურებაში და აღდგება ძლიერებაში" (1კორ. 15:42,43).
ასეთია თვით ბუნების წიაღიდან აღებული და მთესველისა და თესლის შესახებ უბრალო იგავში გადმოცემული ზოგიერთი გაკვეთილი. მშობლებმა და მასწავლებლებმა, რომლებიც მოზარდებს ამ ჭეშმარიტებებს შეასწავლიან, თავად უნდა იცოდნენ, რა თესლს თესავენ. მათ ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ პრაქტიკულად განუმტკიცონ ბავშვებს სახარების გაკვეთილები, რათა ჭეშმარიტების მაღალი იდეალები დაანახონ მათ. დაეხმარეთ ბავშვებს, თავად მოამზადონ ნიადაგი და დათესონ თესლი. ამ სამუშაოს შესრულებისას მშობლებმა და მასწავლებლებმა ბაღი, სადაც ბავშვები შრომობენ, შეადარონ ადამიანის გულს, რომელშიც აგრეთვე ითესება ბოროტი და კეთილი თესლი; ასწავლონ, რომ ადამიანის გულიც ისევე უნდა მომზადდეს მასში ჭეშმარიტების თესლის დასათესად და დასაფუძნებლად, როგორც ბაღი - დასათესად. თესლის დათესვისას კი უამბეთ ბავშვებს ქრისტეს სიკვდილის ამბავი, ხოლო პირველი ყლორტის აღმოცენებისას - მკვდრეთით აღდგომის საიდუმლო. მცენარეების შემდგომი განვითარების პროცესში განაგრძეთ გაკვეთილი და მოახდინეთ შედარება ბუნებრივ და სულიერ თესვას შორის.
ასევე უნდა ვასწავლოთ ახალგაზრდობასაც. მათ მიწაზე მუშაობა უნდა შევაყვაროთ. ამისათვის კარგი იქნებოდა, ყოველ სკოლას თავისი მიწის ნაკვეთი ჰქონოდა, სადაც უფლის განსაკუთრებულ გაკვეთილებს ჩაატარებდნენ. ბუნება და ყველაფერი, რაც მასში ხდება, თავისებური სახელმძღვანელოა, რომლითაც ღვთის შვილებმა უნდა ისარგებლონ და რომლითაც ადამიანთა სულების მომზადება უნდა ისწავლონ.
იგავიდან მთესველისა და თესლის შესახებ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გაკვეთილი უნდა შევიმეცნოთ. დაუმუშავებელი მიწა ვერავის მისცემს მოსავალს. ნიადაგის სათესად მომზადებას კი გულმოდგინე შრომა და მოშურნეობა სჭირდება. ასეთივე სულიერი შრომაა საჭირო ადამიანის გულის

მოსამზადებლად. ის, ვისაც ადამიანთა ხსნის საქმეში წარმატების მოპოვება სურს, უდიდესი მოშურნეობით უნდა შეუდგეს ღვთის სიტყვის წუთისოფელში დათესვას. და მაშინ აღმოაჩენს იგი ღვთის წმიდა სულის ზეგავლენით გაფხვიერებულ და დარბილებულ გულის ნიადაგს. მიწა არ მოგვცემს უხვ ნაყოფს, თუკი მასზე მუდმივად არ ვიზრუნებთ. იგი ყოველდღიურ, რეგულარულ შრომას მოითხოვს. მას ხშირი და ღრმა მოხვნა სჭირდება, რათა გათავისუფლდეს ღვარძლისაგან, რომელიც კეთილი თესლისათვის განკუთვნილი საკვებით იკვებება. სწორედ ამ გზით იღებენ მოსავალს ისინი, ვინც ხნავს და თესავს. არ არის საჭირო, იდგე შუაგულ ყანაში და ნაღვლიანად შესცქეროდე აუხდენელი იმედების მსხვრევას.
უფალი კურთხევას უგზავნის ყველას, ვინც გულმოდგინედ ამუშავებს მიწას და იმავდროულად ბუნების სულიერ გაკვეთილებსაც სწავლობს. ნიადაგის დამუშავების დაწყებისას მიწათმოქმედს წარმოდგენა არა აქვს, თუ რა დიდ საგანძურს მიაგნებს იგი დროთა განმავლობაში. თუმცა იგი ყურადღებით უსმენს გონიერ და გამოცდილ ადამიანთა შეგონებებსა და რჩევებს, მაგრამ მუშაობის პროცესში მიღებული გაკვეთილები საკუთრად უნდა შეიმეცნოს, რაც სულის წარმატებით აღზრდის აუცილებელი პირობაა.
ის, ვინც დღედაღამ თესლის აღმოცენებასა და განვითარებაზე ზრუნავს, ვინც მას ამის ძალას და უნარს აძლევს - ჩვენი სამყაროს შემოქმედი და მეუფე - უდიდეს მზრუნველობასა და ყურადღებას იჩენს თავისი შვილებისადმი. ადამიანი თესლს თავისი მიწიერი ცხოვრების შესანარჩუნებლად მიწაში თესავს, ზეციერი მთესველი კი - ადამიანის სულში, რათა გამოიღოს კეთილი ნაყოფი საუკუნო სიცოცხლისათვის.

## თავი 7 - "წააგავს საფუარს"

მათ. 13:33; ლუკ. 13:20,21

მრავალი განათლებული და გავლენიანი პირი მოდიოდა გალილეველი წინასწარმეტყველის მოსასმენად. ბევრი მათგანი ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა ზღვის ნაპირას ქრისტეს ირგვლივ შეკრებილ ხალხს. ამ უზარმაზარ ბრბოს საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი შერეოდა. აქ ნახავდით ღარიბს, გაუნათლებელს, ძონძებში გახვეულ მათხოვარს, მძარცველს, რომელსაც სახეზე ეწერა თავისი ნამოქმედარი, ხეიბარს, დამცირებულს, ვაჭარს და უსაქმურს, საზოგადოების მაღალი თუ დაბალი ფენის წარმომადგენელს, მდიდარსა თუ ღარიბს - ყველა ერთმანეთში არეულიყო და ქრისტესთან მიახლოებას ცდილობდა, რათა უკეთ მოესმინა მისი სიტყვა. სხვა განათლებული ხალხი ამ უცნაური შეკრების დანახვაზე განცვიფრებით ამბობდა: ნუთუ ასეთი ადამიანები იცხოვრებენ ცათა სასუფეველში? მაცხოვარი კი კვლავ იგავებით პასუხობდა:
"ცათა სასუფეველი წააგავს საფუარს, რომელიც დედაკაცმა აიღო და დაფარა სამ წყვა ფქვილში, ვიდრე მთლიანად არ გაფუვდა".
იუდეველნი საფუარს ხშირად ცოდვის სიმბოლოდ იყენებდნენ. პასექის დღესასწაულზე მათ სახლიდან ყოველგვარი საფუარი უნდა გაეტანათ, რაც მათი გულის ცოდვისაგან განწმედის ნიშანი იყო. ქრისტეც აფრთხილებდა თავის

მოწაფეთ: "მოერიდეთ ფარისეველთა საფუარს, რომელიც პირმოთნეობაა" (ლუკ. 12:1). პავლე მოციქული კი გვესაუბრება "ბოროტებისა და უკეთურების" საფუარზე (1კორ. 5:8). მაგრამ მაცხოვრის იგავში, რომლის შესახებაც ახლა ვსაუბრობთ, საფუარი, როგორც სიმბოლო, სულ სხვა მნიშვნელობითაა გამოყენებული. აქ იგი ღვთის სასუფეველს წააგავს და ყოველგვარი გარდაქმნის დამაჩქარებელი და ღვთის მადლით გამაერთიანებელი ფუნქცია აკისრია. მთელი დედამიწის ზურგზე არავინაა იმდენად დაცემული და იმდენად მანკიერი, რომ ამ ძალამ მისი განწმედა ვერ შეძლოს. ყოველი მორწმუნის გულში, რომელიც ღიაა ღვთის წმიდა სულისათვის, ჩაიბეჭდება ცხოვრების ახალი პრინციპი; ადამიანში აღდგენილ იქნება დაკარგული ღვთის ხატება. მაგრამ ადამიანს თავად არ ძალუძს თავისი სურვილით საკუთარი თავის გარდაქმნა; არა აქვს ძალა, რომელიც მის ცხოვრებას შეცვლიდა. მოსამზადებელ საჭმელში სასურველი ცვლილების მისაღწევად მისი გარდამქმნელი საფუარი უნდა ჩაიდოს. ასევეა ცოდვილიც: იგი რომ დიდების სასუფევლისათვის გამოსადეგ პიროვნებად იქცეს, ღვთის მადლი უნდა მიიღოს. ვერავითარი ამქვეყნიური განათლება, ვერავითარი კულტურა და წუთისოფელში მიღებული აღზრდა ვერ შეძლებს, ცოდვის შვილი ზეციური სამეფოს შვილად აქციოს. ადამიანის გარდამქმნელი ენერგია მხოლოდ უფლისაგან მოდის. მასში სასურველი ცვლილებების მოხდენა მხოლოდ სულიწმიდას შეუძლია. გადარჩენის ყოველი მსურველი - საზოგადოების მაღალი თუ დაბალი ფენის წარმომადგენელი, ღარიბი თუ მდიდარი - მხოლოდ ამ საოცარ გარდამქმნელ ძალას უნდა დაემორჩილოს.

როგორც საკვებში ჩადებული საფუარი ჯერ შიგნიდან მოქმედებს, შემდეგ კი გარედან შეიმჩნევა, ასევეა ქრისტეს მადლიც, რომელიც ჯერ ადამიანის გულს გარდაქმნის, შემდეგ კი მთელ მის ცხოვრებას. მხოლოდ გარეგნული ცვლილება ვერ მოგვიტანს ღმერთთან თანხმობას. ბევრი საკუთარი თავის გარდაქმნას ხასიათის ამა თუ იმ თვისების აღმოფხვრით ცდილობს და ჰგონია, რომ ამით ქრისტიანი გახდება. მაგრამ ისინი იმით არ იწყებენ, რითაც უნდა დაიწყონ. უპირველეს ყოვლისა, გულის შეცვლაა საჭირო.

რწმენის სიტყვით აღიარება და ჭეშმარიტებით განწმედილი გულით ცხოვრება - ეს ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ცნებაა. ჭეშმარიტების უბრალოდ ცოდნა საკმარისი არაა. შეიძლება გვქონდეს ცოდნა, მაგრამ აზრთა მიმართულება ჩვენში უცვლელი დარჩეს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი გულის მოქცევა და განწმედაა.

ადამიანი, რომელიც უფლის მცნებებს მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით იცავს, ვერასოდეს იგრძნობს შემოქმედისადმი მორჩილებით გამოწვეულ სიხარულს. ამას კი დაუმორჩილებლობა ჰქვია. როდესაც უფლის მოთხოვნები მძიმე ტვირთად ითვლება, ვინაიდან იგი ხშირად ადამიანის სურვილს ეწინააღმდეგება, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს არ არის ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრება. უფლისადმი ჭეშმარიტი მორჩილება ახალ შინაგან სულიერ საყრდენზე შენდება; უზენაესის რჯულისა და სიმართლისადმი სიყვარულზე აღმოცენდება. ჩვენი ჭეშმარიტი სიმართლის საფუძველი უფლისადმი ერთგულებაა. ეს კი სწორ ქცევაში დაგვეხმარება, რადგან ჩვენთვის უფლისადმი უსაზღვრო მადლიერებით მსახურება მართლაც ბედნიერებაა.

უდიდესი ჭეშმარიტება ადამიანის გულზე სულიწმიდის ზემოქმედების შესახებ გამოიხატა სიტყვებში, რომლითაც ქრისტემ ნიკოდემოსს მიმართა: "ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ვინც ხელახლად არ იშვება, ვერ იხილავს ღვთის სასუფეველს... ხორცისაგან შობილი ხორცია და სულისაგან შობილი სულია. ნუ გაგიკვირდება, რომ გითხარი: თქვენ ხელახლად უნდა იშვათ-მეთქი. ქარი ქრის, სადაც მოისურვებს. მისი ხმა გესმის, მაგრამ არ იცი, საიდან მოდის და სად მიდის. ასევეა ყველა, ვინც სულისაგან არის შობილი" (იოან. 3:3-8).
პავლე მოციქული ღვთის წმიდა სულის შთაგონებით წერდა: "წყალობით მდიდარმა ღმერთმა თავისი დიდი სიყვარულით, რომლითაც ჩვენ შეგვიყვარა, ჩვენ, დანაშაულთა გამო მკვდრები, გაგვაცოცხლა ქრისტესთან ერთად (მადლითა ხართ დახსნილნი), და თანააღგვადგინა და ცათა შინა თანადაგვსხა ქრისტე იესოში, რათა მომავალ საუკუნეებში აჩვენოს თავისი მადლის გარდამეტებული სიმდიდრე ჩვენდამი მოწყალებით ქრისტე იესოში. ვინაიდან მადლით ხართ გადარჩენილები, რწმენის მეშვეობით, და ეს თქვენგნით კი არ არის, არამედ ღვთის ნიჭია" (ეფეს. 2:4-8).
ცომში ჩადებული საფუარი დაფარულად მოქმედებს და თანდათანობით მთელ ცომს აღვივებს. ჭეშმარიტების საფუარიც ასევე შეუმჩნევლად, ჩუმად მოქმედებს, რასაც, საბოლოოდ, სულის განახლება მოჰყვება. სტიქიური სურვილები და გრძნობები მასში თანდათან სუსტდება და ადამიანი ახალ აზრებს, ახალ გრძნობებს და ახალ სურვილებს იძენს. სულში იღვიძებს ახალი იდეალი - ქრისტეს ცხოვრება. იცვლება ადამიანის გონებაც: იგი უკვე სხვაგვარად აზროვნებს და თავის შესაძლებლობებსაც სულ სხვაგვარი შრომისაკენ მიმართავს. ადამიანი არ იძენს ახალ ნიჭებს, არამედ ძველის განწმედა და აღორძინება ხდება. მასში სინდისი იღვიძებს; ხასიათში კი ჩნდება ახალი თვისებები, რომლებსაც იგი ღვთის სამსახურში იყენებს.
ხშირად ისმის კითხვა: რატომ არის, რომ ბევრ ადამიანს, რომელიც თავს ღვთის სიტყვის მორწმუნედ თვლის, ვერ ვამჩნევთ აქ აღწერილ ცვლილებას ვერც მის სიტყვებში, ვერც ხასიათში და ვერც სულში? რატომ არიან ასე მრავლად ჩვენ გარშემო ადამიანები, რომლებიც მათი მისწრაფებებისა და გეგმების საწინააღმდეგო აზრს ვერაფრით ვერ ეგუებიან; რომლებიც დანაშაულებრივ მოუთმენლობას იჩენენ; რომლებიც უხეშად, მბრძანებლური ტონით საუბრობენ და რომლებსაც სიტყვაში ზომიერება დაკარგული აქვთ? მათში კვლავ ჭარბობს ანგარება, პატივმოყვარეობა, ეგოიზმი, მოუთმენლობა, სიფიცხე, დაუფიქრებელი მსჯელობა, რაც ამქვეყნიური ქაოსური ცხოვრებისთვისაა დამახასიათებელი; იგივე მოჭარბებული სიამაყე, ცოდვილ ვნებათა ტყვეობაში ყოფნა, იგივე გაუკუღმართებული ხასიათი, თითქოსდა, ჭეშმარიტებას არასოდეს გასცნობიან. საქმე იმაშია, რომ ეს ადამიანები, სინამდვილეში, საერთოდ არ მოქცეულან. მათ არ შეუშვეს თავიანთ გულში ჭეშმარიტების საფუარი, ამიტომაც იგი მათს ბუნებრივ თუ შეძენილ მანკიერ თვისებებზე ზეგავლენას ვერ მოახდენს. ისინი ქრისტეს მადლის გარეშე ცხოვრობენ და არ სჯერათ მისი გარდამქმნელი ძალისა.
"რწმენა - მოსმენისაგან, ხოლო მოსმენა - ქრისტეს სიტყვისაგან" (რომ. 10:17). წმიდა წერილები ხასიათის გარდაქმნის უდიდესი საშუალებაა. მაცხოვარი ლოცულობდა: "განწმიდე ისინი ჭეშმარიტებით. შენი სიტყვა ჭეშმარიტებაა" (იოან. 17:17). თუკი ღვთის სიტყვას ყურადღებით შევისწავლით და მის

მოთხოვნებს დავემორჩილებით, იგი აუცილებლად შეცვლის ჩვენს გულს და მასში ჩაბუდებულ ყოველ მანკიერ თვისებას აღმოფხვრის. ადამიანის სინდისზე ზემოქმედების გზით სულიწმიდა ამხილებს ჩვენს ცოდვებს, რწმენა კი, რომელიც ქრისტეს სიყვარულით შემოდის და იზრდება ადამიანის გულში, მის ხატად გარდაქმნის ჩვენს ხორცსა და სულს. მხოლოდ მაშინ შეძლებს უფალი, გვაქციოს თავისი ნების აღმასრულებელ ინსტრუმენტად. ძალა, რომელიც მისგან გვებოძა, ჩვენი გულის სიღრმეში მოქმედებს, შემდეგ კი გარეგნულადაც მჟღავნდება და შეძენილი ჭეშმარიტების სხვებისთვის გაზიარების სურვილით გვავსებს.
ღვთის სიტყვის ჭეშმარიტებანი პასუხობს ადამიანის ყველაზე მთავარ და მნიშვნელოვან საჭიროებას - სულის რწმენით მოქცევას. ნუ ვიფიქრებთ, რომ ამ ჭეშმარიტებებში ჩადებული წმიდა პრინციპებით ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ხელმძღვანელობა შეუძლებელია. ისინი ზეცისკენ, მარადიული სიცოცხლისაკენ მიმავალ გზას გვიჩვენებენ, მაგრამ მათი ცოცხალი ძალა ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაშიც უნდა გამოვიყენოთ.
ჭეშმარიტების საფუარი, რომელიც გულში შემოვუშვით, მართავს ჩვენს სურვილებს, ცვლის აზრებსა და ხასიათის თვისებებს; ამახვილებს გონებას, აძლიერებს ენერგიას და უნარს - გვიყვარდეს და თანავუგრძნოთ.
ღვთიური პრინციპების გამტარებელი ქრისტიანი საიდუმლოა წუთისოფლისათვის. ეგოისტი, განდიდებისა და მომხვეჭელობის ჟინით შეპყრობილი ადამიანი მხოლოდ სიმდიდრის, დიდებისა და ამქვეყნიური ტკბობისაკენ ისწრაფვის. მარადიულობას მისთვის აღარა აქვს რაიმე მნიშვნელობა. ქრისტიანებს კი ამქვეყნიური ფასეულობანი არ იზიდავს. ისინი ქრისტეს სახელის განსადიდებლად თავდადებით შრომობენ იმ იმედდაკარგულ ადამიანთა გადარჩენისათვის, რომელთაც ჯერ ვერ იპოვეს ქრისტესკენ მიმავალი გზა. ცოდვილი წუთისოფლისათვის იდუმალებითაა მოცული ასეთი ადამიანი, რომელსაც რეალობად მხოლოდ მარადიული ფასეულობანი მიაჩნია. მისი გული აღსავსეა ქრისტეს სიყვარულით. ეს სიყვარული ყველა სხვა სურვილს აბათილებს და უფლის ერთგული შვილი ცოდვის მორევში ჩაფლული წუთისოფლისაგან გამოჰყავს, რათა მის გამხრწნელ ზეგავლენას გამოარიდოს.
ღვთის სიტყვას აქვს ჩვენი ადამიანებთან ურთიერთდამოკიდებულების განწმენდის უნარი. ჭეშმარიტების საფუარი არ ბადებს ჩვენში მოცილეობის, ამბიციურობისა და პირველობისაკენ სწრაფვის სულს. ჭეშმარიტი, ზეციური სიყვარული უცვლელია, მასში არ არის ეგოიზმი და შური. იგი არ საჭიროებს ადამიანისაგან ქება-დიდებას. ღვთიური მადლით განწმედილი გული სავსეა ღვთისა და იმ ადამიანებისადმი უსაზღვრო სიყვარულით, ვისთვისაც ქრისტე მოკვდა. ასეთი გულის მქონე ადამიანის "მე" არ ეძებს საყოველთაო აღიარებას. მას ადამიანები იმიტომ კი არ უყვარს, რომ იგი უყვართ, აქებენ ან მის ღირსებებს მაღალ შეფასებას აძლევენ, არამედ იმიტომ, რომ ისინი ქრისტეს მადლით არიან გამოსყიდულნი. თუკი ასეთი ადამიანის სიტყვას ან მოქმედებას არასწორად იგებენ, მას არ სწყინს, არამედ ღირსეულად და მშვიდად განაგრძობს შრომას. იგი მუდამ კეთილი, მზრუნველი და თავმდაბალია, არ კარგავს უფლის მოწყალებისადმი ნდობას და იმედს.
მოციქული გვამცნობს: "თვითონაც იყავით წმიდები ყოველ საქციელში, როგორც წმიდაა იგი, ვინც თქვენ მოგიწოდათ. რადგან სწერია: იყავით წმიდები, რადგან

წმიდა ვარ მე" (1პეტრ. 1:15,16). ქრისტეს მადლი შესაძლებლობას გვაძლევს, ვაკონტროლოთ ჩვენი ემოციები და საუბრის ტონი, როგორც თავად ქრისტე აკეთებდა. ღვთიური მადლის მოქმედება ერთურთის მიმართ თავაზიანობასა და კეთილგანწყობაში, ურთიერთპატივისცემასა და კეთილი სიტყვებით გამხნევებაში გამოვლინდება. ასეთ ატმოსფეროში მუდამ არიან ღვთის ანგელოზები. მაშინ ცხოვრება სავსე იქნება სურნელებით, რომელიც უფლის სასურველ საკმევლად იქცევა. სიყვარული სულგრძელობაში, სიკეთეში, მოთმინებასა და თავაზიანობაში ვლინდება.
ქრისტიანი გარეგნულადაც იცვლება. ღვთიური ნათელი აცისკროვნებს იმ ადამიანის სახეს, რომელიც ქრისტეს გულით ატარებს და სიყვარულით იცავს მის მცნებებს. ჭეშმარიტების ბეჭედი ადევს ასეთ სახეს. მის თვალებში სუფევს ზეციური სიმშვიდე და სიკეთე, რომელიც ჩვეულებრივ ადამიანურ სიყვარულს მრავალჯერ აღემატება.
ჭეშმარიტების საფუარი სრულ გარდაქმნას ახდენს ადამიანში. მის უხეშობას თავაზიანობითა და დახვეწილობით, კეთილშობილებითა და სინაზით ცვლის; ეგოიზმს - სიყვარულითა და სათნოებით. კრავის სისხლი წმენდს ყოველგვარ უკეთურებას. თავისი მაცოცხლებელი ძალით იგი ჰარმონიულად უთანხმებს ადამიანის გონებას, სულსა და ძალებს ღვთიურ სიცოცხლეს. ადამიანი იძენს ღვთიურ თვისებებს და ამასთანავე, არ კარგავს ადამიანურ ბუნებას. თავისი წმიდა და სრულყოფილი ხასიათით იგი ქრისტეს განადიდებს. როდესაც ადამიანი ამგვარად იცვლება და დადებით თვისებებს იძენს, ანგელოზები სიხარულით გალობენ ქება-დიდების საგალობელს და მამაც და ძეც სიყვარულით უმზერენ ღვთის ხატად გარდაქმნილ სულთ.

## თავი 8 - დაფარული საუნჯე

მათ. 13:44

"ცათა სასუფეველი წააგავს განძს, მინდორში დაფარულს, რომელსაც წააწყდება კაცი და ჩამალავს, სიხარულით მიდის და ყიდის ყოველივეს, რაც აბადია, და ყიდულობს იმ მინდორს".
ძველად ადამიანები თავიანთ განძს ხშირად მიწაში მალავდნენ, რადგან ხშირი იყო ქურდობა და ძარცვა. ამას გარდა, ხელისუფლების ყოველი შეცვლისას მდიდრებს დიდძალი ხარკის გადახდას აკისრებდნენ. ქონების დამალვის კიდევ ერთი მიზეზი ქვეყანაში მძარცველთა და დამრბევთა ლაშქრის შემოჭრის საშიშროება იყო. ასეთ პირობებში მიწა ერთადერთი საიმედო ადგილი იყო განძის დასამალავად. მაგრამ ზოგჯერ ეს ადგილი იკარგებოდა განძის პატრონის გარდაცვალების, დაპატიმრების ან მისი ამ ადგილებიდან გასახლების გამო. და მაშინ, ასე გულმოდგინედ გადამალული და შენახული განძი დიდხანს რჩებოდა მიწაში, სანამ ვინმე იღბლიანს ბედი არ გაუღიმებდა და მას არ წააწყდებოდა. ქრისტეს დღეებშიც ხშირად პოულობდნენ მიწაში ჩამარხულ ძველ მონეტებსა და ოქროსა და ვერცხლის სამკაულებს.
მოხდა ისე, რომ ერთმა კაცმა მიწის ნაკვეთი დაიგირავა. მოხვნისას მიწაში ჩამარხული განძი იპოვა და მიხვდა, შეეძლო დიდი ქონების პატრონი

გამხდარიყო. განძი კვლავ მიწაში ჩამარხა, სახლში დაბრუნდა და გაყიდა ყველაფერი, რაც ეზადა, რათა ის მინდორი შეესყიდა. ოჯახის წევრები და მეზობლებიც, რა თქმა უნდა, გიჟად თვლიან მას, ვინაიდან ამ მიტოვებულ მინდორში ისინი ვერავითარ საუნჯეს ვერ ხედავენ. მაგრამ კაცმა იცის, რასაც აკეთებს; და როცა მინდორს ყიდულობს, იკვლევს მის ყოველ მონაკვეთს, რათა მასში დამალული ყველა საუნჯე იპოვოს.
ქრისტეს ეს იგავი გვიამბობს ზეციურ საუნჯეზე და იმ ძალისხმევაზე, რომელიც მისი მოპოვებისა და შენახვისათვის უნდა გამოვიყენოთ. განძის მპოვნელი მზად იყო, მთელი თავისი სარჩო-საბადებელი გაეყიდა, ძალ-ღონე არ დაეზოგა იმისათვის, რომ ამ დამარხული საუნჯის ბატონ-პატრონი გამხდარიყო. ასევეა ზეციური საუნჯის მპოვნელიც: მთელ თავის ძალისხმევასა და ყოველგვარ მსხვერპლს გაიღებს ამ საუნჯის მოსაპოვებლად.
ამ იგავში მინდორი, სადაც განძია ჩამარხული, წმიდა წერილს გულისხმობს. საუნჯე კი ქრისტეს სახარებაა. მთელი დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება იმდენი ძვირფასეულობა, რამდენიც - ღვთის ჭეშმარიტ სიტყვაში.

## რამდენად დაფარულია ზეციური განძი

სახარებას ხშირად დაფარულს უწოდებენ. და მართლაც, მათთვის, ვინც საკუთარ სიბრძნეს მასზე უფრო მაღლა აყენებს, ვინც ფუჭი სქოლასტიკური ფილოსოფიით არის დატყვევებული, კაცობრიობის გამოსყიდვის ღვთიური გეგმა დაფარული და გაუგებარია. მათ აქვთ თვალები, მაგრამ ვერ ხედავენ; აქვთ ყური, მაგრამ არ ესმით; აქვთ გონება, მაგრამ ჭეშმარიტი განძის შეცნობა არ ძალუძთ.
ადამიანმა შეიძლება ფეხი დაადგას ადგილს, სადაც განძია დამარხული. ღარიბმა, გაჭირვებულმა, ამ ცხოვრებისაგან დაღლილ-დაქანცულმა კაცმა შესაძლოა, იმ ხის ქვეშ შეისვენოს, რომლის ქვეშაც ძვირფასი განძია დამალული, მაგრამ ამის შესახებ არაფერი იცოდეს. ასევე იყვნენ ებრაელებიც: სწორედ მათ მიანდო უფალმა თავისი ჭეშმარიტიების ძვირფასი საგანძური. ებრაელთა ცხოვრების წესი, რომელსაც ზეციური ბეჭედი ესვა, ქრისტემ თავად დაუდგინა მათ. იუდეველთათვის დადგენილ პირველსახეებსა და სიმბოლოებში წუთისოფლის გადარჩენის უდიდესი პრინციპები იყო ჩადებული. მაგრამ ბოლოს, როცა მესია მოვიდა, ებრაელებმა ვერ იცნეს ის, ვისზედაც ეს სიმბოლოები მიუთითებდა. მათ ხელთ ჰქონდათ ღვთის სიტყვა, მაგრამ მათ მიერ თაობიდან თაობაში დაკანონებულმა ტრადიციებმა და წმიდა წერილების სულიწმიდის დახმარების გარეშე განმარტებამ დაფარა მათგან ჭეშმარიტება, რომელიც იესო ქრისტეში გაცხადდა. და წმიდა წერილთა სულიერი აზრი მათთვის დაკარგული აღმოჩნდა. ჭეშმარიტი ცოდნის საგანძურის კარი ფართოდ გაეხსნათ, მაგრამ ვერ შეიმეცნეს.
უფალი ღმერთი არ უმალავს ადამიანს თავის ჭეშმარიტებას. მაგრამ ადამიანები საკუთარი მოქმედებებით თავად იქმნიან დაბრკოლებებს მისი შემეცნების გზაზე. საკმაო მტკიცებები მისცა მაცხოვარმა ებრაელ ხალხს იმისა, რომ იგი ჭეშმარიტი მესია იყო, მაგრამ მისი მოძღვრება მათი ცხოვრების წესის მკვეთრ შეცვლას ითხოვდა. და იუდეველები მიხვდნენ, რომ, თუკი ქრისტეს მესიად მიიღებდნენ,

უარი უნდა ეთქვათ  საკუთარ ეგოიზმზე, მათთვის მისაღებ წესებსა და ტრადიციებზე; თავიანთ უწმიდურ ჩვეულებებზე. მარადიულ ჭეშმარიტებათა მიღება მსხვერპლს ითხოვდა. ამიტომ იუდეველებმა არ მიიღეს ის უაღრესად დამაჯერებელი ღვთიური მოწმობები, რომლებიც ქრისტესადმი რწმენას განუმტკიცებდათ. და, თუმცა აცხადებდნენ, რომ სჯერათ ძველი აღთქმის წერილებისა, უარყვეს მასში მოცემული მოწმობა ქრისტეს ცხოვრებისა და ხასიათის შესახებ. მათ ეშინოდათ, რომ მართლა არ ერწმუნათ და არ მიეღოთ ქრისტე, რადგან ამ შემთხვევაში თავიანთი ძველი მცდარი გზა უნდა მიეტოვებინათ. სახარებისეული საუნჯე - ქრისტე, რომელიც იყო გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე, მათ შორის იყო, მაგრამ მათ საბოლოოდ, გულგრილად უარყვეს ზეცის ეს უდიდესი საბოძვარი.
"თუმცა ბევრი მთავარიც ერწმუნა მას, - ვკითხულობთ სახარებაში, - მაგრამ ფარისეველთა გამო ვერ აღიარებდნენ, რათა სინაგოგიდან არ მოეკვეთათ" (იოან. 12:42). ირწმუნეს, დაიჯერეს კიდეც, რომ ქრისტე უფლის ძეა, მაგრამ ამის აღიარება საკუთარ პატივმოყვარე სურვილთა უკუგდებას ნიშნავდა; მათ არ გააჩნდათ რწმენა, რომელიც მათ ზეციური საგანძურის მფლობელთ გახდიდა. ისინი მხოლოდ მიწიერ განძს ეძებდნენ.
ადამიანები დღესაც ხარბად ისწრაფვიან მიწიერი საგანძურის მოპოვებისაკენ. მათი გონება მხოლოდ ასეთი ეგოისტური სურვილებითა და ამბიციებითაა შეპყრობილი. ამქვეყნიური, ხრწნადი საუნჯის, დიდებისა და ხელმწიფების მოსაპოვებლად ადამიანურ წესებს, ტრადიციებსა და დადგენილებებს უფლის მოთხოვნებზე მაღლა აყენებენ. მათთვის დახშულია უზენაესის სიტყვის უძვირფასესი საგანძურის კარი.
"მიწიერი ადამიანი არ ღებულობს იმას, რაც ღვთის სულისაგან არის, ვინაიდან უგუნურებად მიიჩნევს და არც ძალუძს შეცნობა, რადგან სულიერად არის განსასჯელი" (1კორ. 2:14).
"და თუ ჩვენი სახარება დაფარულია, დაღუპულთათვის არის დაფარული, ურწმუნოთათვის, ვისაც ამ საუკუნის ღმერთმა დაუბრმავა გონება, რათა მათთვის არ ებრწყინა სახარებისეულ ნათელს ქრისტეს დიდებისა, რომელიც უხილავი ღვთის ხატია" (2კორ. 4:3,4).

საუნჯის ფასი
მაცხოვარი კარგად ხედავდა, რომ ადამიანებს მხოლოდ ამქვეყნიური კეთილდღეობა და საზრუნავი აინტერესებთ, მარადიული ფასეულობები კი არც აღელვებთ. და ამ ბოროტების აღმოფხვრას შეუდგა. იგი ცდილობდა იმ წყეული მიმზიდველობის განადგურებას, რომლითაც ადამიანის სული იყო პარალიზებული. მან ხმა აღიმაღლა და მთელი ძალით შესძახა: "რა სარგებელი ექნება ადამიანს, თუ მთელ ქვეყანას შეიძენს, თავის სულს კი დაღუპავს? ან რას გაიღებს ადამიანი თავისი სულის სანაცვლოდ?" (მათ. 16:26). მაცხოვარს სურს, დაკარგული უზენაესი სამყარო დაანახოს და მარადიული ფასეულობანი დაუბრუნოს დაცემულ კაცობრიობას. და იგი მიჰყავს უსასრულო, უფლის საოცარი დიდებით გასხივოსნებული კარიბჭისაკენ, რომლის მიღმაც ეს უდიდესი საუნჯე ინახება.
შეუფასებელია ეს განძი, ყოველგვარ ოქროსა და ვერცხლზე ძვირფასი. წუთისოფლის ვერც ერთი ძვირფასი მარგალიტი ვერ შეედრება მას.

"უფსკრული ამბობს: ის ჩემში არ არის!
და ზღვაც ამბობს: ჩემთან არ არის!
არ გაიცვლება ხალას ოქროში,
და არ აიწონება ვერცხლი მის საფასურად.
არ შეფასდება ოფირის ოქროდ,
არც ძვირფასი ონიქსითა და საფირონით.
ვერ გაუსწორდება მას ოქრო და ბროლი,
და ვერც ბაჯაღლოს ჭურჭელში გაიცვლება.
მარჯანი და ბროლი არ არის სახსენებელი,
და სიბრძნის მოხვეჭა მარგალიტთა უმჯობესია"
იობ. 28:14-18.

აი რა საოცარი განძი იმალება წმიდა წერილების სიღრმეებში. ბიბლია უფლის უდიდესი სახელმძღვანელოა, ჩვენთვის ბოძებული მისი სიბრძნის წყარო. მთელი ჭეშმარიტი მეცნიერების საფუძველი ბიბლიაშია ჩადებული. ღვთის წმიდა სიტყვაში შეიძლება მოინახოს ჭეშმარიტება შემეცნების ყველა სფეროსთან დაკავშირებით. მაგრამ წმიდა წერილი გვასწავლის ყველაზე მაღალ მეცნიერებას - მეცნიერებას გადარჩენის შესახებ. ბიბლია - ეს ქრისტეს უსასრულო საუნჯეა. ჭეშმარიტი უმაღლესი განათლების მიღება მხოლოდ ღვთის სიტყვის გამოკვლევითა და შესმენითაა შესაძლებელი. მაგრამ როდესაც იგი გვერდზეა გადადებული იმ წიგნების გამო, რომლებიც არაფერს გვასწავლის ღმერთისა და ზეციური სასუფევლისაკენ მიმავალი გზის შესახებ, ასეთი ცოდნა თვით სიტყვა "განათლების" ჭეშმარიტ არსს ამახინჯებს.
უპირველეს ყოვლისა, თავად ბუნება გვასწავლის უდიდეს ჭეშმარიტებებს. ამის საოცარი მტკიცება ცა და მიწაა. ზეციურ სიბრძნესა და მარადიულ ჭეშმარიტებებზე მოგვითხრობს იგი. მაგრამ ცოდვილ კაცს არ ესმის ეს. ცოდვამ დაუკარგა მხედველობის უნარი, ამიტომ აღარ ძალუძს ბუნების სწორად შეცნობა და ღმერთზე მაღლა აყენებს მას. ღვთის სიტყვის უარმყოფელთა გონება ვერ ითვისებს ღვთიურ გაკვეთილებს. ასეთი ადამიანები იმდენად არასწორად აღიქვამენ ბუნებაში გაცხადებულ ჭეშმარიტებებს, რომ ამით შემოქმედს შორდებიან.
ბევრი ადამიანთა სიბრძნეს ღვთიური მასწავლებლის სიბრძნეზე მაღლა აყენებს, ღვთიური სახელმძღვანელო კი უკვე მოძველებულ და უინტერესო წიგნად მიაჩნია. მაგრამ სულ სხვაგვარად ფიქრობენ ისინი, ვისაც გონება ღვთის წმიდა სულმა გაუნათა. ისინი მასში ხედავენ უსასრულო საუნჯეს, ძვირფას საგანძურს, ამიტომაც ყველაფერს გაყიდიან, ყოველივეს შეელევიან იმ მინდვრის შესასყიდად, სადაც ეს დიდებული განძია ჩამარხული. იმ ლეგენდების ნაცვლად, რომელთა ავტორებს ასე დიდად აფასებენ წუთისოფელში, ისინი პატივს მიაგებენ იმის სიტყვას, ვინც ყველაზე დიდია ამ წუთისოფლის მიერ დაფასებულ მასწავლებელთა და ავტორთა შორის; ვინც საკუთარი სიცოცხლე შემოგვწირა, რათა მისი მეშვეობით საუკუნო სიცოცხლე მოგვეპოვებინა.

საგანძურის უარყოფის შედეგები

სატანა მუდამ ცდილობს, აცდუნოს ადამიანი, დაუბნელოს გონება და შთააგონოს, რომ უმაღლესი განათლების მიღება ღმერთის გარეშეც შეიძლება. ასეთი მზაკვრული მსჯელობით დააეჭვა მან ადამი და ევა ღვთის სიტყვის ჭეშმარიტებაში და ამბოხების სული ჩაუდგა მათ. სატანის სოფისტიკა დღესაც განაგრძობს მის მიერ ედემის ბაღში დაწყებულ შავ საქმეს. მასწავლებლებს განათლების პროგრამაში ხშირად შეაქვთ უღვთო ავტორთა ის გამონათქვამები, რომელთაც ადამიანები ურწმუნოებისა და ღვთის რჯულის შეუსმენლობისაკენ მიჰყავს. ამ მასწავლებლებმა თავად არ იციან, რას სჩადიან. და ვერც წარმოუდგენიათ, თუ რა სამწუხარო ნაყოფს გამოიღებს მათი ყოველი ასეთი მოქმედება.
სტუდენტს შეუძლია, წარმატებით განვლოს განათლების ყველა საფეხური თანამედროვე სკოლებსა და კოლეჯებში; მთელი ძალ-ღონე შეალიოს უმაღლესი განათლების მიღებას. მაგრამ ღმერთის შეცნობისა და მისი მმართველი კანონების შესმენის გარეშე იგი თავს დაიღუპავს; თავისი მანკიერი ჩვევების ტყვეობაში მყოფი, იგი ადვილად კარგავს სწორი თვითშეფასების, თვითკონტროლისა და მასთან უშუალო კავშირში მყოფ საგნებზე სწორი მსჯელობის უნარს; უგუნურებითა და არასერიოზულობით ეკიდება თავის გონებასა და სხეულს; მანკიერი თვისებები თავის დამღუპველ საქმიანობას განაგრძობს მასში და იგი ვერსად პოულობს შვებასა და ბედნიერებას, ვინაიდან საკუთარ თავში ჯანსაღი ცხოვრების პრინციპების განვითარების შესაძლებლობანი სიმშვიდისა და სულიერი ჰარმონიის დამანგრეველ თვისებებზე გაცვალა. და ბოლოს აღმოჩნდება, რომ მისი ამდენი წლის მძიმე შრომა და გულმოდგინება ცოდნის მიღების მიზნით ფუჭი ყოფილა, რადგან მან არასწორად გამოიყენა თავისი ფიზიკური და გონებრივი ძალები; დაღუპა სულიც და ხორციც. იგი აღარც ამქვეყნიური ცხოვრებისათვის გამოდგება და მომავალი საუკუნო სიცოცხლისათვისაც დაკარგულია. საზოგადოებრივი განათლების მიღებით მან ამქვეყნიური საუნჯის მოპოვება განიზრახა, მაგრამ ბიბლიის უარყოფით იგი იმ ჭეშმარიტ განძს ასცდა, რომელიც ყველა ფასეულობას აღემატება.

საგანძურის ძებნა
ჩვენი მუდმივი შესწავლის საგანი ბიბლია უნდა იყოს და ჩვენი შვილებიც მის ჭეშმარიტებებს უნდა ვაზიაროთ. მასში, როგორც უკვე ვთქვით, ძევს აურაცხელი სიმდიდრე, რომელსაც დასასრული არა აქვს. მაგრამ ადამიანები გვერდს უვლიან მას, რადგან არ აინტერესებთ და თავიანთი ზრუნვის საგნად არ მიაჩნიათ. ბევრი სრულიად კმაყოფილდება იმით, რომ რაღაც მიახლოებითი წარმოდგენა და ვარაუდი გააჩნია ჭეშმარიტებაზე და მის გულმოდგინე გამოკვლევას სულაც არ თვლის საჭიროდ. ისინი საკმარისად მიიჩნევენ იმ ზედაპირულ ცოდნას, რომელიც გააჩნიათ. ამ საბრალო ადამიანებს ადვილად სჯერათ ყველაფერი, რასაც სხვები ჭეშმარიტებაზე ლაპარაკობენ, თავად კი ეზარებათ დამოუკიდებელი, ბეჯითი შრომის დაწყება, რაც წმიდა წერილში დამალული საუნჯის ძებნას ნიშნავს. მაგრამ ადამიანის გამონაგონი არა მარტო საეჭვოა, არამედ სახიფათოც, რადგან იგი ადამიანს ღმერთის ადგილზე აყენებს, ადამიანის გამონათქვამს კი - იქ, სადაც "ასე ამბობს უფალი" უნდა იყოს. ქრისტე ჭეშმარიტებაა და მის ჭეშმარიტ სიტყვებში უფრო ღრმა აზრია ჩადებული, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. უდიდესი ფასი აქვს მაცხოვრის

თითოეულ გამონათქვამს, თუმცა ჭეშმარიტება მეტად უბრალო სიტყვებითაა გამოთქმული. მაგრამ სულიწმიდის ძალით განმტკიცებულ და განწმედილ გონებას ძალუძს ამ უბრალო სიტყვებში დაფარული ჭეშმარიტების ძვირფასი მარგალიტის შეცნობა. ადამიანთა თეორიები და მოსაზრებები არასოდეს მიგვიყვანს ღვთის სიტყვის შემეცნებამდე. ხშირად ისინი, ვისაც თავი ფილოსოფიის ბრწყინვალე მცოდნედ მოაქვს, თვლიან, რომ მათი ფილოსოფიური ახსნა-განმარტება აუცილებელი და მეტად საჭიროა ღვთის სიტყვის შემეცნებისა და ეკლესიაში ერესის შემოსვლის თავიდან აცილებისათვის. მაგრამ ძალზე ხშირად მათი მცდელობა უფრო ბუნდოვანს ხდის იმას, რის ახსნასაც ისინი ცდილობენ.
მღვდელმსახურთ და ფარისეველთ ეგონათ, რომ ისინი, როგორც მოძღვრები, დიდ საქმეს აკეთებდნენ, როდესაც ღვთის სიტყვას თავისებურად განმარტავდნენ. მაგრამ ქრისტემ უთხრა მათ: "ცდებით, ვინაიდან არც წერილები იცით და არც ღვთის ძალა" (მათ. 22:29). და ამხილა იმაში, რომ ისინი "ასწავლიან... ადამიანთა მცნებებს და მოძღვრებებს" (მარკ. 7:7). მართალია, ისინი ღვთის სიტყვას ასწავლიდნენ, მაგრამ თავად არ იყვნენ მისი აღმსრულებელნი. სატანამ დაუბინდა მათ გონება, რომ ღვთის სიტყვის ჭეშმარიტი აზრი დაეფარა მათგან.
ასეა დღესაც: ბევრ ეკლესიაში ტრიალებს ასეთი ცოდვა; წუთისოფელში დიდი საშიშროება არსებობს იმისა, რომ თანამედროვე ბრძენკაცები იუდეველ მოძღვართა შეცდომებს გაიმეორებენ. ისინი ხშირად ცრუდ განმარტავენ ღვთის სიტყვას, რის შედეგადაც დაბნეული ადამიანები უფრო დიდ წყვდიადში ეფლობიან და ღვთიურ ჭეშმარიტებებში ვეღარ ერკვევიან.
ამიტომ წმიდა წერილები არ უნდა წავიკითხოთ ტრადიციული წარმოდგენებისა და ადამიანთა გამონაგონის ნათელში. წმიდა წერილის ადამიანთა გადმოცემებსა და წარმოდგენებზე დაყრდნობით განმარტების მცდელობა - ეს იგივეა, რომ ბრწყინვალების გასაძლიერებლად მზეს სანთლის სუსტი შუქი დავუმატოთ. ღვთის წმიდა სიტყვა მიწიერი სანთლის სუსტ შუქს არ საჭიროებს. იგი თავად არის სინათლის ძლიერი წყარო - ადამიანთა წინაშე გამოცხადებული უფლის დიდება და მის გვერდით სხვა ნებისმიერი სინათლე არარაობას წარმოადგენს. ღვთის სიტყვის შესწავლა ღვთიურ ჭეშმარიტებათა ღრმა და გულმოდგინე გამოკვლევას ნიშნავს. ზარმაცი და უქნარა გონება ვერასოდეს ჩასწვდება მის ნათელ ჭეშმარიტებებს. საერო განათლების მიღებასაც ხომ გულმოდგინე, თავდადებული შრომა, გონების ძალთა მოკრება და დიდი მოთმინება სჭირდება. ადამიანს, რომელსაც რაიმე საქმის წარმატებით დაგვირგვინება სურს, შრომის დიდი სურვილი და დასახულის განხორციელების იმედიც უნდა ჰქონდეს. ასევეა სულიერ სფეროშიც: გულმოდგინების გარეშე სულიერი ცოდნის მიღება შეუძლებელია. მან, ვისაც უხრწნად ჭეშმარიტებათა განძის აღმოჩენა სურს, უნდა თხაროს და ეძებოს, როგორც ამას მიწაში ჩაფლული განძის მძებნელი აკეთებს. უგულო, გულგრილი მუშაობა სასურველ ნაყოფს ვერ გამოიღებს. ყოველი ადამიანისათვის, მიუხედავად ასაკისა, აუცილებელია ღვთის სიტყვის არა მხოლოდ უბრალოდ წაკითხვა, არამედ მისი საგულდაგულოდ, ლოცვით გამოკვლევა, როგორც დაფარული საუნჯისა. ამგვარად მოქმედნი შესაბამის საზღაურს მიიღებენ, რადგან თავად ქრისტე მისცემთ ამისათვის ნიჭსა და ძალას.

ჩვენი გადარჩენა დიდადაა დამოკიდებული წმიდა წერილებში მოცემული ჭეშმარიტების შეცნობაზე. უფალს სურს, ვიცოდეთ იგი. მწყურვალე გულით ეძებეთ ბიბლიური ჭეშმარიტებანი. გამოიკვლიეთ უფლის სიტყვა. დაემსგავსეთ მიწის სიღრმეებში ოქროს მაძიებელთ. ნუ შეწყვეტთ ძიებას, სანამ არ განმტკიცდებით უფალთან ურთიერთობაში, სანამ თქვენ მიმართ მის ნებას არ შეიტყობთ. მაცხოვარი ამბობს: "რასაც ითხოვთ ჩემი სახელით, გავაკეთებ, რათა განდიდდეს მამა ძეში. თუ რამეს ითხოვთ ჩემი სახელით, გავაკეთებ" (იოან. 14:13,14).

ღვთისმოსავ და ნიჭიერ ადამიანს მეტ-ნაკლებად შეუძლია მარადიულ ფასეულობათა აღქმა, მაგრამ ხშირად მასაც უჭირს ეს, ვინაიდან ხილულს უხილავის დაჩრდილვა შეუძლია. ის, ვისაც დაფარული განძის პოვნა სურს, მისი ძებნისას ამქვეყნიურ ფასეულობებზე მაღლა უნდა დადგეს და უფრო ამაღლებული მიზნები უნდა დაისახოს. მთელი თავისი ნიჭი და შესაძლებლობები მან ამ გამოკვლევას უნდა მიუძღვნას.

ადამიანის ურჩობა ხშირად კარს უკეტავს იმ ცოდნას, რომლის მიღებაც მას წმიდა წერილებიდან შეეძლო. წერილების ჭეშმარიტი შეცნობა ღვთის მცნებებისადმი მორჩილებას ითვალისწინებს. სრულიად მიუღებელია წერილების შეთავსება ადამიანთა ცრურწმენასა და ბოროტ მისწრაფებებთან. ღვთის წერილების შეცნობა მხოლოდ მას შეუძლია, ვინც გულწრფელად ეძებს ჭეშმარიტებას და უფლის ნების შესრულება სწადია.

თქვენ, ალბათ, იკითხავთ: რა უნდა გავაკეთო, რომ გადავრჩე? უპირველეს ყოვლისა, დაიწყეთ ბიბლიის გამოკვლევა; უკან მოიტოვეთ ყოველი მიკერძოებული თვალსაზრისი და თანდაყოლილი თუ შეძენილი წარმოდგენა. თუკი ბიბლიის გამოკვლევას მხოლოდ თქვენი საკუთარი აზრის დასამტკიცებლად შეუდგებით, ჭეშმარიტებას ვერასოდეს შეიძენთ. გამოიკვლიეთ ბიბლია მხოლოდ იმისათვის, რომ გაიგოთ, რას ამბობს უფალი. თუკი კვლევის პროცესში აღმოაჩენთ, რომ ჭეშმარიტება თქვენს რწმენას არ ეთანხმება, ნუ შეეცდებით, ბიბლიური სიმართლე თქვენს წარმოდგენებს დაუქვემდებაროთ, არამედ მიიღეთ მასში მოცემული ნათელი. შემოუშვით თქვენს გულსა და გონებაში ღვთის სიტყვის საოცარი ჭეშმარიტებანი.

ქრისტეს, როგორც კაცობრიობის მხსნელის, რწმენა გვთავაზობს ჭეშმარიტების მიღებას განწმედილი გონებითა და წრფელი გულით, რათა სათანადოდ შევიცნოთ და შევაფასოთ ზეციური საუნჯე. ასეთი რწმენა დაკავშირებულია მუდმივ მონანიებასა და ადამიანის ხასიათის გარდაქმნასთან. რწმენა სახარებისეული განძის პოვნას, დაუფარავად მიღებასა და მასთან დაკავშირებული ყოველი მოვალეობის შესრულებას ნიშნავს.

"ვინც ხელახლად არ იშვება, ვერ იხილავს ღვთის სასუფეველს" (იოან. 3:3). შესაძლოა, ადამიანს რაიმე ვარაუდი ან წარმოდგენა გააჩნდეს ბიბლიურ ჭეშმარიტებაზე, მაგრამ სულიერი თვალთახედვის გარეშე, რომელიც მას რწმენით ეძლევა, განძის დანახვა შეუძლებელია. ქრისტემ საკუთარი სიცოცხლე გაწირა იმისათვის, რომ ეს საუნჯე ჩვენთვის მოეძღვნა; მაგრამ იმ აღორძინების გარეშე, რომელსაც ქრისტეს მიერ გაღებული სისხლისადმი რწმენა გვაძლევს, არ არსებობს არც მიტევება და არც ზეციური განძი.

ამგვარად, იმისათვის, რომ ღვთის წმიდა სიტყვაში ჭეშმარიტების დანახვა ვისწავლოთ, საჭიროა გული გავუხსნათ სულიწმიდას, რომელიც განწმედს და

განაახლებს ჩვენს გონებას. ბუნებაში არსებული ყოველი მშვენიერი ქმნილება მხოლოდ მაშინ ხდება ხილული, როდესაც მზის სხივები წყვდიადს გაფანტავს და ირგვლივ ყველაფერს გაასხივოსნებს. ასევეა ღვთის სიტყვის საუნჯეც: მისი სრულყოფილად შეფასება შეუძლებელია, სანამ სიმართლის მზის სხივი არ გაანათებს მას.
სულიწმიდა, რომელიც უფალმა ღმერთმა ჩვენდამი თავისი უსაზღვრო სიყვარულის გამო გვიბოძა, განამტკიცებს ქრისტეს მინდობილი ყოველი ადამიანის გულში შემოსულ ღვთიურ ჭეშმარიტებას. ისე ძლიერად აღბეჭდავს იგი ადამიანის გულსა და გონებაში მისი გადარჩენისათვის ასე მნიშვნელოვან და საჭირო ჭეშმარიტებებს, ისე თვალსაჩინოდ დაანახებს ხსნის გზას, რომ მისი მორწმუნე ბნელ ლაბირინთებში აღარასოდეს დაიკარგება. წმიდა წერილის გამოკვლევისას მუდამ ლოცვით უნდა ვითხოვოთ ღვთის წმიდა სულის ნათელი, რათა თვალნათლივ დავინახოთ და შევაფასოთ მისი სიტყვის საუნჯე.

შრომის საზღაური

ნურავინ მოიტყუებს თავს იმით, რომ შეუცნობელი აღარაფერი დარჩა. ადამიანის ყოველგვარი ინტელექტის გაზომვა შეიძლება; წუთისოფლის ავტორთა ნაშრომების სრულად შესწავლაც ადვილი შესაძლებელია; მაგრამ ვერც ერთი გონება, რაგინდ ღრმა და მაღალიც არ უნდა იყოს იგი, ვერც ერთი გაბედული და ვრცელი ფანტაზია ბოლომდე ვერ ჩასწვდება უფლის სიღრმეებს. ჩვენ მიერ ოდესმე შეცნობილ საგანთა მიღმა ყოველთვის რჩება შეუცნობელი უსასრულობა. ჩვენ უსასრულო ღვთიური დიდების მხოლოდ სულ მცირე ანარეკლის დანახვა და მისი უსასრულო სიბრძნისა და შემეცნების მხოლოდ უმცირესი საწყისის შეცნობა შეგვიძლია; ჩვენ ვაღწევთ მხოლოდ საბადოს ზედაპირს, მის სიღრმეში კი ინახება ოქროს მადანი, რომელსაც უსასრულოდ შეუძლია, საზღაური მიაგოს მას, ვინც უფრო ღრმად დაიწყებს თხრას. მაღარო სულ უფრო ღრმად უნდა ითხრებოდეს, რათა მასში ღრმად ჩამარხულ განძს მიაკვლიონ. ჭეშმარიტი რწმენის წყალობით ადამიანი ღვთიური ცოდნის შეძენას შეძლებს.
არც ერთი ადამიანი არ დარჩება საზღაურის გარეშე, თუკი იგი წმიდა წერილებს ქრისტეს სულის შეწევნით იკვლევს. თუკი ჭეშმარიტების მკვლევარი დაემსგავსება რჩევა-დარიგების მძებნელ ბავშვს და ღვთის ნებას სრულად დაემორჩილება, აუცილებლად იპოვის მას. ადამიანები რომ ღვთისმორჩილნი ყოფილიყვნენ, მათთვის გასაგები იქნებოდა უფლის მმართველობის გეგმა. ზეცა თავად გაუხსნიდა მათ ღვთიური მადლისა და დიდების საგანძურის კარს. მაშინ ადამიანები არ იქნებოდნენ ისეთები, როგორიც ახლა არიან, ვინაიდან ნაპოვნი ჭეშმარიტება კეთილშობილებას შესძენდა მათ. მაშინ მათთვის უფრო გასაგები გახდებოდა ქრისტეს განკაცება და მისი გამომსყიდველი მსხვერპლი. და, არა მხოლოდ უკეთესად შეიცნობდნენ, არამედ სულ სხვაგვარად შეაფასებდნენ მას.
ლოცვა, რომლითაც ქრისტემ მამას მიმართა, მაგალითია მთელი კაცობრიობისათვის და იგი გონებასა და გულში უნდა გვქონდეს ჩაბეჭდილი. "ესაა საუკუნო სიცოცხლე, - თქვა მან, - რომ გიცნობდნენ შენ, ერთ ჭეშმარიტ ღმერთს, და მას, ვინც მოავლინე - იესო ქრისტეს" (იოან. 17:3). სწორედ ეს არის ჭეშმარიტი ცოდნა, ადამიანს რომ აძლიერებს. უფალი ღმერთისა და მის

მიერ წუთისოფელში მოვლენილი იესო ქრისტეს ჭეშმარიტი არსის ცოდნა, რომელიც ღვთის მსგავსად და ხატად გარდაქმნის ადამიანს. იგი ეხმარება მას საკუთარ თავზე გამარჯვებაში და დაცემული კაცის ვნებებისა და სურვილების განწმენდილი გონების ძალებისადმი დამორჩილებაში. უფლის შეცნობა ადამიანს ღვთის შვილად და ზეციური სამეფოს მემკვიდრედ აქცევს. იგი ერწყმის უზენაესის გონიერებას და მისთვის იხსნება სამყაროს უსასრულო საუნჯის კარი. ასეთია ღვთის სიტყვის გამოკვლევით მიღებული ჭეშმარიტი განათლება. და ამ განძის პოვნა შეუძლია ყოველს, ვინც მის შესაძენად მიწიერს გაიმეტებს. "თუ გონებას მოუხმობ, საზრიანობას მისცემ შენს ხმას; თუ მოძებნი მას, როგორც ვერცხლს და მონახავ მას, როგორც საუნჯეს, მაშინ გაიგებ უფლის შიშსა და უფლის შეცნობას ჰპოვებ" (იგავ. 2:3-5).

## თავი 9 - მარგალიტი

მათ. 13:45,46

თავისი გამომსყიდველი სიყვარულის კურთხევას მაცხოვარი ძვირფას მარგალიტს ადარებს. ამას იგი გვასწავლის იგავით ვაჭრის შესახებ, რომელიც "ლამაზ მარგალიტს ეძებს. როცა წააწყდება ერთ ძვირფას მარგალიტს, წავა, გაყიდის ყველაფერს, რაც აბადია, და იმას შეიძენს". ძვირფასი მარგალიტი თავად ქრისტეა. მასში თავმოყრილია მამის მთელი დიდება და ღვთაებრივი სისავსე. იგია მამის დიდების ბრწყინვალება და მისი ხატება. მისი ხასიათი კი - მამის ხასიათის დიდებულ თვისებათა გამოვლინება. წმიდა წერილის ყოველი ფურცელი მისი ზეციური ნათლითაა მოსილი. ქრისტეს სიმართლე - ეს არის თეთრი, წმიდა მარგალიტი, უნაკლო და უმანკო. ადამიანის ვერავითარი ძალისხმევა ან საქმე ვერ შეძლებს უფლის ამ ძვირფასი ძღვნის გაუმჯობესებას; მასში არ არსებობს რაიმე ხინჯი. წმიდა წერილი გვამცნობს, რომ იესო ქრისტეში "დაფარულია სიბრძნისა და ცოდნის ყველა განძი" (კოლ. 2:3). იგი "გახდა ჩვენთვის სიბრძნედ ღვთისმიერ, სიმართლედ, განწმედად და გამოსყიდვად" (1კორ. 1:30). მხოლოდ ქრისტეში ვპოულობთ ყოველივეს, რაც ადამიანის სულის მისწრაფებებსა და მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს ამ წუთისოფელშიც და საუკუნო სასუფეველშიც. ჩვენი მხსნელი - ეს ის ძვირფასი მარგალიტია, რომელსაც არაფერი შეედრება მთელ სამყაროში. მის გვერდით ყოველივე არარაობაა.
იესო "თავისიანებთან მოვიდა და თავისიანებმა არ მიიღეს იგი" (იოან. 1:11). მაგრამ ღვთიურმა ნათელმა გაანათა წყვდიადი; "ნათელი ბნელში ანათებს და ბნელმა ვერ მოიცვა იგი" (იოან. 1:5). საბედნიეროდ, ყველა არ დარჩა გულგრილი ამ ზეციური ძღვნის მიმართ. ვაჭარი იგავში იმ ადამიანთა სიმბოლოა, ვინც გულწრფელად მიილტვის ჭეშმარიტებისაკენ. ყველა ერში და ხალხში იყვნენ გონიერი და სერიოზული ადამიანები, რომლებიც წარმართთა ლიტერატურაში, მეცნიერებასა და რელიგიაში თავიანთი მწყურვალე სულისათვის საკვებს - სულიერ განძს ეძებდნენ. იუდეველთა შორისაც იყვნენ ადამიანები, რომელნიც იმისკენ ილტვოდნენ, რაც თავად არ გააჩნდათ; რელიგიის ფორმალური რიტუალებით დათრგუნულთ და იმედგაცრუებულთ

სულიერება და ამაღლებული ღვთისმოსაობა სწყუროდათ. ქრისტეს რჩეული მოწაფეები - კორნელიოსი და ეთიოპელი საჭურისი - სწორედ საკუთარი სულისათვის განძის მძებნელთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ. ისინი ლოცვით ითხოვდნენ ზეციურ ნათელს. და როცა მაცხოვარი მოევლინათ, სიხარულით მიიღეს იგი.
იგავში მარგალიტი ძღვნად არ არის წარმოდგენილი. მისი შესყიდვისათვის ვაჭარმა ყველაფერი გაყიდა, რაც კი ებადა. აქ ზოგი ორ ურთიერთსაწინააღმდეგო აზრს ხედავს, ვინაიდან წმიდა წერილებში ქრისტე თავად არის ძღვნად წარმოდგენილი. სინამდვილეში, აქ ყოველივე ექვემდებარება ლოგიკას. ქრისტე, რა თქმა უნდა, ძღვენია, მაგრამ იგი საბოძვარია მხოლოდ მათთვის, ვინც ყველაფერი, რაც აბადია: სული თუ ხორცი, სრულად მიუძღვნა მას. იმისათვის, რომ უფლის ნების მორჩილნი ვიყოთ და სიხარულით ვასრულებდეთ მის მცნებებს, ჩვენი ცხოვრება სრულად უნდა მივუძღვნათ ქრისტეს. ყოველი ჩვენი ნიჭი და უნარი უფალს ეკუთვნის და მისი მსახურებისთვისაა განკუთვნილი. და როცა მის მიმართ ასეთი ერთგულნი ვართ, თავად იგიც გვეძლევა მთელ ზეციურ საუნჯესთან ერთად. და უძვირფასესი მარგალიტიც ჩვენი საკუთრება ხდება.
გადარჩენა - ეს თავისუფალი და უანგარო ძღვენია, თუმცა მისი ყიდვა-გაყიდვაც აუცილებელია. მაგრამ ამის მნიშვნელობა კარგად უნდა გვესმოდეს. ბაზარზე, რომელიც უფლის ღვთიური მოწყალებით იმართება, ფასდაუდებელი ძვირფასი მარგალიტი უფულოდ იყიდება. ამ ბაზარზე ყველაზე ღარიბსა და უქონელსაც შეუძლია ზეციური განძის შეძენა. ძვირფასი მარგალიტი ყველასათვისაა ხელმისაწვდომი. "აჰა, შენს წინაშე დავდგი ღია კარი, რომლის დაკეტვაც არავის ძალუძს". არანაირი მახვილი არ იცავს ამ კარის შესასვლელს. მისი იქითა მხრიდან გვიწვევენ: "შემოდი". დაჟინებით და, ამავე დროს, სიყვარულით გვიხმობს მაცხოვრის ხმა: "გირჩევ იყიდო ჩემგან ცეცხლით განწმედილი ოქრო, რომ გამდიდრდე" (გამოცხ. 3:8,18).
სახარება ქრისტეს შესახებ არის კურთხევა, რომლის შეძენა ყველას შეუძლია. ხსნა შეუძლია მიიღოს მდიდარმაც და ღარიბმაც, ვინაიდან ვერავითარი მიწიერი სიმდიდრე ვერ დაგვეხმარება მის მოპოვებაში. მისი შეძენა ქრისტეს მიმართ სრული ნდობითა და მორჩილებითაა შესაძლებელი, რადგან მის მიერ გამოსყიდულნი, მისივე საკუთრება ვართ. სწავლა-განათლება და ცოდნა, რაგინდ საფუძვლიანიც არ უნდა იყოს იგი, თავისთავად არ არის ადამიანის ღმერთთან დაახლოების საშუალება. ფარისეველნი მუდამ ამაყობდნენ თავიანთი საზოგადოებრივი თუ სულიერი უპირატესობით და ამაყად აცხადებდნენ: "მე მდიდარი ვარ, გავმდიდრდი და არაფერი მაკლიაო"; მაგრამ, სინამდვილეში, ისინი "უბედური... საცოდავი, ღატაკი, ბრმა და შიშველი" იყვნენ (გამოცხ. 3:17). ქრისტემ უძვირფასესი მარგალიტი შესთავაზა მათ, მაგრამ არ ინდომეს და მაცხოვარმაც განუცხადა: "მებაჟეები და მეძავები თქვენზე წინ შევლენ ღვთის სასუფეველში" (მათ. 21:31).
ჩვენ საკუთარი დამსახურებით ვერ გადავრჩებით, მაგრამ იმდენად დიდი უნდა იყოს მისკენ სწრაფვა და იმდენად უნდა გვწყუროდეს იგი, რომ ყოველგვარი ამქვეყნიური განძის გაღება შეგვეძლოს მის მოსაპოვებლად.
ჩვენ მუდამ უნდა ვეძებდეთ უძვირფასეს მარგალიტს, მაგრამ არა წუთისოფლის ბაზრებზე და გზებზე. არც ოქრო-ვერცხლით შეისყიდება იგი, ვინაიდან იგი

ღმერთის საკუთრებაა. ნუ ვიფიქრებთ, რომ ჩვენი მიწიერი ან სულიერი უპირატესობანი გადაგვარჩენს. უფალს ჩვენი ნებაყოფლობითი მორჩილება სურს და ცოდვების მიტოვებას გვთხოვს. "გამარჯვებულს გვერდში მოვისვამ ჩემს ტახტზე, - ამბობს მაცხოვარი, - ისევე, როგორც მე გავიმარჯვე და დავჯექი ჩემს მამასთან მის ტახტზე" (გამოცხ. 3:21).
არიან ადამიანები, რომლებმაც, თითქოსდა, მთელი თავისი ცხოვრება ზეციური ძვირფასი მარგალიტის ძებნას შეალიეს, მაგრამ საკუთარი ცოდვები და მანკიერი თვისებები ვერ მიატოვეს. ისინი არ აკვდინებენ საკუთარ "მე"-ს, რათა ქრისტემ მათში ცხოვრება შეძლოს. ამიტომაც ვერ პოულობენ ძვირფას მარგალიტს. მათ ვერ დაძლიეს თავიანთი მანკიერი სწრაფვანი, წუთისოფლისადმი სიყვარული და საკუთარი ამბიციები. მათ არ აიღეს თავიანთი ჯვარი და არ გაჰყვნენ ქრისტეს გზას, რომელიც თავგანწირვისა და ერთგულების გზაა. ეს თითქმის ქრისტიანები, მაგრამ ჯერ კიდევ არა ბოლომდე ქრისტიანები, ძლიერ ახლოს არიან ღვთის სასუფეველთან, მაგრამ შიგნით ვერ შევლენ. არა სრულად, არამედ თითქმის გადარჩენილი სამუდამოდ დაკარგულს ნიშნავს.
იგავს ძვირფასი მარგალიტის მძებნელი ვაჭრის შესახებ ორმაგი მნიშვნელობა აქვს: იგი გვაცნობს არა მხოლოდ ღვთის სასუფეველში შესვლისათვის მოშურნე ადამიანებს, არამედ თავისი დაკარგული მემკვიდრეობის მძებნელ ქრისტესაც. მან, ზეციურმა ვაჭარმა, რომელიც კარგ მარგალიტებს ეძებდა, დაღუპულ კაცობრიობაში უძვირფასესი მარგალიტი დაინახა; ცოდვისაგან შელახულ და დამახინჯებულ ადამიანში მისი ხსნის შესაძლებლობა იხილა. გულები, რომლებიც წუთისოფელში უფალსა და სატანას შორის ბრძოლის ველად იქცა და რომლებიც უფლის სიყვარულმა იხსნა, უფრო ძვირფასია მაცხოვრისათვის, ვიდრე ისინი, რომლებიც არასოდეს დაცემულან. უფალი არ თვლის კაცობრიობას იმდენად გადაგვარებულად და საბოლოოდ დაღუპულად, რომ მისი გადარჩენა არ შეიძლებოდეს; იგი მას უკვე ქრისტეს სიყვარულით გამოსყიდულს ხედავს. მან მთელი ზეციური სამყაროს საგანძური გასცა ამ ერთი ძვირფასი მარგალიტის შესაძენად. და იესომ, ოპოვა რა იგი, თავის დიდების გვირგვინში მიუჩინა ადგილი, "რადგან გვირგვინის თვლები არიან ისინი და გაბრწყინდებიან მის მიწაზე" (ზაქ. 9:16). "ჩემი იქნებიან ისინი, - ამბობს უფალი, - იმ დღისთვის, როცა უნჯად გავამზადებ მათ და შევიბრალებ" (მალ. 3:17).
მაგრამ ყველაზე მთავარი, რაც მუდამ უნდა გვახსოვდეს, არის ის, რომ ძვირფასი მარგალიტი თავად ქრისტეა. და ამ განძის დასაკუთრება ჩვენი უდიდესი უპირატესობაა. მარგალიტის საფასურზე კი სულიწმიდა მიგვანიშნებს. სულიწმიდის ძალის გამოვლინების დრო სწორედ ის პერიოდია, როდესაც ზეციური განძის ძებნა განსაკუთრებული მოშურნეობითა და ინტენსიურობით ხდება. ქრისტეს დღეებში ბევრი ისმენდა მის სახარებას, მაგრამ მათი გონება იმდენად იყო დაბნელებული ცრუ მოძღვრებებით, რომ უბრალო გალილეველ მოძღვარში ღვთიური მაცნე ვერ შეიცნეს. მაგრამ ქრისტეს ზეცად ამაღლების შემდგომ, მისი მამის ტახტზე აღზევება და შუამდგომლური მსახურების დაწყება სულიწმიდის გარდმოფენით აღინიშნა. ღვთის სული მოევლინა ორმოცდაათობის დღეს ქრისტეს ერთგულ მოწმეთ, რომლებმაც მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვრის ძალა იქადაგეს წუთისოფელში. ზეციურმა ნათელმა გაუნათა გონება ქრისტეს მტრის მიერ მოტყუებულ, წყვდიადში მყოფ

ადამიანებს. და ახლა მათაც იხილეს ის, ზეციური დიდებით მოსილი, რომელიც "ღმერთმა წინამძღვრად და მაცხოვრად აღამაღლა თავისი მარჯვენით, რომ მიეცეს ისრაელს მონანიება და ცოდვების მიტევება" (საქმე. 5:31), მის მორჩილთათვის გამზადებული ურიცხვი განძით ხელში. როდესაც მოციქულებმა მხოლოდშობილი ძის ეს დიდება ხალხს ამცნეს, სამი ათასი კაცი მოინათლა მაცხოვრის სახელით. ახლა ამ ადამიანებმა იხილეს თავიანთი ცოდვილი, მანკიერი მდგომარეობა, ქრისტეში კი მეგობარი და მხსნელი ამოიცნეს. ქრისტე განდიდებულ და აღზევებულ იქნა სულიწმიდის ძალის მიერ, რომელიც მის მოწაფეთ გარდმოევლინა. ახლა ირწმუნეს და მიხვდნენ, რომ ქრისტეა სწორედ ის, ვინც დაითმინა ყოველი: დამცირება, ტანჯვა და სიკვდილი, რათა ისინი არ დაღუპულიყვნენ და საუკუნოდ ეცოცხლათ. სულიწმიდის მსახურების წყალობით დაინახეს მათ ქრისტეს ჭეშმარიტი ხასიათი, რამაც შემდგომ მისი უზენაესი ძალა და დიდება შეაცნობინა. აღუწერელი სიხარულით გაიწოდეს მისკენ ხელი და წარმოთქვეს: "მწამს, უფალო!"

შემდეგ კი მთელ წუთისოფელს, დედამიწის ყველაზე შორეულ კუთხეებს მოედო მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომის სასიხარულო ამბავი. და ეკლესია მრავალთა მოქცევის მოწმე გახდა. უამრავმა ხალხმა ყოველი მხრიდან ეკლესიას მიაშურა. ბევრმა მორწმუნემ განმეორებით მოქცევის საჭიროება იგრძნო. ცოდვილნი ქრისტიანებს შეუერთდნენ ძვირფასი განძის მოსაპოვებლად. აღსრულდა წინასწარმეტყველება: "ძაბუნი მათ შორის დავითივით იქნება იმ დღეს. დავითის სახლი კი... უფლის ანგელოზივით" (ზაქ. 12:8). ყოველი ქრისტიანი თავის ძმაში ღვთიურ სიყვარულსა და კეთილგანწყობას ხედავდა. ყველას ერთი სწრაფვა და ერთი მიზანი ჰქონდა. ყველას გული თანხმობით ძგერდა. მორწმუნეთა საერთო მიზანი ქრისტეს ხასიათის შეძენა და მაცხოვრის სამფლობელოთა გაფართოება იყო. "მორწმუნეთა სიმრავლეს ერთი გული და სული ჰქონდა... დიდი ძალით მოწმობდნენ მოციქულები უფალ იესოს აღდგომას და დიდი მადლი იყო ყოველ მათგანზე" (საქმე. 4:32,33); "უფალი კი ყოველდღე უმატებდა დახსნილებს მათ რიცხვს" (საქმე. 2:47). ქრისტეს სული აცოცხლებდა ქრისტიანულ საკრებულოებს, რადგან ამ ადამიანებმა იპოვეს უძვირფასესი მარგალიტი.

მსგავსი რამ მომავალშიც უნდა განმეორდეს, ოღონდ უფრო დიდი ძალით. ორმოცდაათობის დღესასწაულზე სულიწმიდის გარდმოფენა - ეს მხოლოდ ადრეული წვიმა იყო; გვიანი წვიმა უფრო ძლიერი იქნება. სულიწმიდა ელის ჩვენს თხოვნასა და მზადყოფნას. ქრისტე მთელი თავისი სრულყოფილებით კვლავ უნდა გამოეცხადოს წუთისოფელს სულიწმიდის ძლიერი ძალით. ადამიანები კვლავ იხილავენ უძვირფასეს მარგალიტს და პავლე მოციქულთან ერთად იტყვიან: "რაც ჩემთვის მოგება იყო, წაგებად ჩავთვალე ქრისტეს გულისათვის. ახლაც ყველაფერი წაგებად მიმაჩნია ჩემი უფლის იესო ქრისტეს ცოდნის უპირატესობისათვის" (ფილიპ. 3:7,8).

## თავი 10 - ბადე

მათ. 13:47-50

"კიდევ: ცათა სასუფეველი წააგავს ბადეს, რომელსაც ზღვაში მოისვრიან და ყოველნაირი სახის თევზს იჭერენ. როცა ივსება, გამოაქვთ ნაპირზე, მერე დასხდებიან, კარგებს ჭურჭელში მოათავსებენ, ხოლო ცუდებს გარეთ გადაყრიან. ასევე იქნება სოფლის აღსასრულის დროს: გამოვლენ ანგელოზები და განაცალკევებენ ბოროტებს მართლებისაგან. და ჩაყრიან მათ ცეცხლის ქურაში. იქნება იქ ტირილი და კბილთა ღრჭენა" (მათ. 13:47-50).
ბადის სროლა სიმბოლოა სახარების ქადაგებისა, რომელსაც ეკლესიაში მოჰყავს ბოროტიც და კეთილიც. როდესაც სახარების ქადაგების მისია დასრულდება, დადგება განკითხვის ჟამიც და მართლებს ბოროტისაგან საბოლოოდ გამოარჩევენ. მაცხოვარმა კარგად იცოდა, რომ ეკლესიაში ცრუ ძმების არსებობა ცუდ სამსახურს უწევდა ჭეშმარიტებას. და მართლაც, წუთისოფელს ხშირად ეჭვი შეაქვს უფლის სახარებაში იმის გამო, რომ ცრუქრისტიანები ჭეშმარიტ ღვთისმოსაურ ცხოვრებას არ ეწევიან. თვით ერთგული ქრისტიანებიც კი ბრკოლდებიან, როცა ხედავენ, რომ ეგრეთ წოდებულ ღვთისმოსავთ თავიანთ საქმეებში ღვთიური ხელმძღვანელობა არა აქვთ. ეკლესიაში ამ ცოდვილთა ყოფნის გამო ადამიანები ხშირად ფიქრობენ, რომ ღმერთი თვალს ხუჭავს მათს დანაშაულზე. მაგრამ ქრისტე ფარდას ხდის ყოველივეს და გვარწმუნებს, რომ მხოლოდ ადამიანის ხასიათი და არა სხვა რამ განსაზღვრავს მის მომავალს. ღვარძლზე იგავის მსგავსად, ეს იგავიც გვასწავლის, რომ წუთისოფელში არასოდეს დადგება ისეთი დრო, როცა ყველა ურჯულო უფლისკენ მოიქცევა. ღვარძლი და ხორბალი მკის დადგომამდე ერთად გაიზრდება. ცუდი და კარგი თევზი ერთად ხვდება ბადეში, რათა ნაპირზე გაიტანონ და საბოლოოდ გადაარჩიონ.
ორივე იგავი გვასწავლის, რომ სამსჯავროს დადგომისთანავე მთავრდება ადამიანის გამოცდისა თუ გამოსწორების დრო. როგორც კი წუთისოფელში სახარების ქადაგება დასრულდება, დაუყოვნებლივ მოხდება მართლების ბოროტთაგან გამორჩევა და ორივე მხარის ბედი საბოლოოდ გადაწყდება.
არც ერთი ცოდვილის დაღუპვა არ სურს უფალს. "ცოცხალი ვარ მე, - სიტყვა უფალი ღმერთისა, - არ მსურს მე ბოროტმოქმედის სიკვდილი, არამედ ბოროტმოქმედის მოქცევა მისი გზიდან, რომ იცოცხლოს მან. მოიქეცით, მოიქეცით თქვენი ბოროტი გზებიდან და რატომღა მოკვდებით?" (ეზეკ. 33:11).
სანამ გამოცდის დრო ჯერ კიდევ არ დასრულებულა, ღვთის წმიდა სული სიცოცხლის ძღვენს სთავაზობს ადამიანებს. ამ ძღვნის უარმყოფელნი განწირულნი არიან. უფალმა ბრძანა, რომ ცოდვა სამუდამოდ უნდა მოისპოს, ვინაიდან იგი ბოროტებაა მთელი სამყაროსათვის. და ის, ვინც ცოდვას არ მიატოვებს, მასთან ერთად განადგურდება.

## თავი 11 - ძველი და ახალი

მათ. 13:51,52

ქრისტე ხალხს სახარებას ამცნობდა და, ამავე დროს, თავის მოციქულებს მომავალი მსახურებისათვის ამზადებდა. მისი ყოველი მოძღვრება თვალსაჩინო გაკვეთილი იყო მათთვის. უამბო იგავი ზღვაში გადაგდებული ბადის შესახებ

და შემდეგ ჰკითხა: "თუ გაიგეთ ყოველივე ეს? - დიახო, - მიუგეს მას". მაშინ შემდეგი იგავის მეშვეობით მან მიუთითა იმ უდიდეს პასუხისმგებლობაზე, რომელიც მიღებული ჭეშმარიტების გამო ევალებოდათ. "ამიტომ, - თქვა მან, - ყოველი მწიგნობარი, რომელიც ცათა სასუფევლის მოწაფე გახდა, წააგავს ადამიანს, სახლის პატრონს, რომელსაც თავისი საუნჯიდან გამოაქვს ძველი და ახალი".
სახლის პატრონი არ მალავს თავის განძს. არამედ გამოაქვს გარეთ, რათა ადამიანებს უამბოს მის შესახებ. განძი უფრო ძვირფასი მაშინ ხდება, როცა მისით სარგებლობენ. ამით ქრისტეს იმის თქმა უნდა, რომ მიბარებული ჭეშმარიტება მოწაფეებმა წუთისოფელს უნდა ამცნონ. და, როცა იგი სხვებს გადაეცემა, მათი ცოდნა უფრო გაიზრდება და გამრავლდება.
ყოველი ადამიანი, შეუშვებს რა გულში სახარების ჭეშმარიტებას, შეეცდება, სხვებს გადასცეს იგი. ზეციური ძღვენი - ქრისტეს სიყვარული, ადამიანთა გულში უნდა განხორციელდეს. ის, ვინც ქრისტე უკვე შეიცნო, აუცილებლად გაუზიარებს სხვებს საკუთარ გამოცდილებას, რომელიც მიიღო ქრისტესკენ მიმავალ გზაზე; უამბობს, თუ როგორ სწყუროდა მას ჭეშმარიტების შეცნობა და როგორ ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყავდა ღვთის წმიდა სულს ამ გზაზე; თუ რა მტანჯველი იყო ძიება სიმართლისა წმიდა წერილებში; როგორ სტანჯავდა ეჭვი და როგორ გამუდმებით და დაჟინებით სთხოვდა ლოცვებში უფალს, დახმარებოდა იესო ქრისტეს შეცნობაში, რომელიც მან თავად გამოაგზავნა წუთისოფელში; და ბოლოს, თუ როგორ ნათლად ჩაესმა ქრისტეს სიტყვები: "მოგეტევა შენი ცოდვები". უცნაური იქნებოდა მსგავსი განცდების დამალვა და ის, ვინც ქრისტეს სიყვარული უკვე იგემა, ვერც შეძლებს ამას. რაც უფრო მეტ ცოდნას შეიძენენ ქრისტეს მოწაფეები, მით უფრო გაუძლიერდებათ მისი გაზიარების სურვილი, რათა სხვებმაც მიიღონ იგივე მადლი და კურთხევა. და, რაც უფრო მეტ ადამიანს გადასცემენ სიმართლეს უფლის მადლის საგანძურის შესახებ, მით უფრო კურთხეულნი იქნებიან თავად. ისინი დაემსგავსებიან პატარა ბავშვებს, რომლებიც ასე გულწრფელნი და მორჩილნი არიან. მათ გაუჩნდებათ უდიდესი სურვილი, იცხოვრონ წმიდა, ქრისტიანული ცხოვრებით. და მიეცემათ სულ უფრო მეტი და მეტი მადლი და ცოდნა სხვებისთვის გადასაცემად.
ჭეშმარიტების ყველაზე დიდი საგანძურია ღვთის სიტყვა - წმიდა წერილები, ბუნების წიგნი და უფლის საქმეები ადამიანის პირად ცხოვრებაში. სწორედ ამ საგანძურიდან უნდა შეიძინონ სიბრძნე ქრისტეს მიმდევრებმა და აკეთონ მისი საქმეები. ჭეშმარიტების ძებნაში კი ისინი უფალს უნდა ეყრდნობოდნენ და არა ადამიანთა სიბრძნეს, ვინაიდან იგი უაზრობაა ღვთის წინაშე. თავად უფალი გადასცემს საჭირო ცოდნას მის მიერვე განსაზღვრული ღვთიური გზებით ყველას, ვისაც უზენაესის შეცნობის სურვილი აქვს.
თუკი ქრისტეს მიმდევარი ღვთის სიტყვას შეისმენს და მისით იცხოვრებს, მაშინ თავის გარშემო ყოველივეს სწორად შეიცნობს და შეაფასებს. მაშინ ამ წუთისოფელში ვეღარაფერი შეუშლის ხელს ჭეშმარიტების გავრცელების საქმეში. ბუნების წიაღი - ეს ცოდნის ისეთი საუნჯეა, საიდანაც ქრისტეს სკოლის მოსწავლე ბევრ რამეს ისწავლის. როდესაც ბუნების გაკვეთილებსა და მის სილამაზეს ვეცნობით, როდესაც მიწას ვამუშავებთ, ხეებს ვრგავთ და ცისა და ზღვის საოცრებებს ვუმზერთ, - ჭეშმარიტებას ახლებურად ვაცნობიერებთ. ჩვენ

წინაშე იხსნება საიდუმლო, რომელიც ღმერთისა და ადამიანის ურთიერთობასთანაა დაკავშირებული, მისი სიბრძნე და სამართლიანობა, რომელიც ადამიანის ცხოვრებაში ვლინდება. და ყოველივე ეს ზეციური საგანძურიდან გვეძლევა.
მხოლოდ წმიდა წერილების მეშვეობით შეიცნობს ნათლად ღმერთის ხასიათს ცოდვილი ადამიანი; დიახ, სწორედ იგია ქრისტეს სიმდიდრის უსასრულო საუნჯე.
როგორც ცნობილია, ღვთის სიტყვა ორი ნაწილისაგან შედგება: ძველი და ახალი აღთქმისაგან. ცალ-ცალკე არც ერთი მათგანი არ არის სრულყოფილი. მაცხოვარმა თავად განაცხადა, რომ ძველი აღთქმა ისევე ძვირფასი და მნიშვნელოვანია, როგორც ახალი. ქრისტე კაცობრიობის მხსნელად გვევლინება როგორც ძველ, ასევე ახალ აღთქმაში. სანამ იგი თავის ღვთიურ არსს ხორცით შემოსავდა, სახარება უკვე წარმოითქმებოდა ადამის, შეთის, ენოშის, მეთუშალახისა და ნოეს მიერ. სახარების მქადაგებელი იყო აბრაამიც ქანაანში და ლოტი - სოდომში; ყველა საუკუნეში თაობიდან თაობას გადასცემდნენ ღვთიური მაცნენი სახარებას ქრისტეს წუთისოფელში მოსვლის შესახებ. თავად ქრისტეს მიერ იქნა დაწესებული ებრაელთა ცხოვრების წესი და ღვთისმსახურების რიტუალები. სწორედ მან დააფუძნა იუდეველთა მსხვერპლშეწირვის სისტემა - ჭეშმარიტი შესაწირავის პირველსახეები. აღსავლენის დაღვრილი სისხლი ღვთის კრავის მსხვერპლზე მიუთითებდა. მსხვერპლშეწირვის ყველა რიტუალმა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლო იყო, საბოლოო განხორციელება ქრისტეში პოვა.
ქრისტე, რომელიც ეცხადებოდა პატრიარქებსა და წინასწარმეტყველებს, რომელიც სიმბოლურად წარმოდგენილია მსხვერპლშეწირვის მსახურებაში და ასახულია რჯულში, ძველი აღთქმის ძვირფასი განძია. ხოლო მთელი თავისი სიცოცხლით, სიკვდილითა და აღდგომით, წარდგენილი სულიწმიდის მიერ, იგი ახალი აღთქმის საუნჯეს წარმოადგენს. ჩვენი მაცხოვარი, მამის დიდების ბრწყინვალება, მარადიული განძია, განძი "ძველი და ახალი".
ქრისტეს ცხოვრება, მისი სიკვდილი და ზეცაში შუამდგომლური მსახურება, რომლის შესახებაც წინასწარ გვამცნეს წინასწარმეტყველებმა, მოციქულებმაც დაამოწმეს. მაცხოვრის მორჩილება და თავმდაბლობა, მისი სიწმიდე და შეუდარებელი სიყვარული მათი ქადაგების ძირითად თემად იქცა. სახარების სრულყოფილად ქადაგებისათვის საჭირო იყო, ხალხისათვის გაეცნოთ არა მხოლოდ ქრისტეს ხილული ცხოვრება და მისი მოძღვრებები, არამედ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა მიერ დანახული და მსხვერპლშეწირვის მსახურებაში სიმბოლოებით წარმოჩენილი მესია.
თავის მოძღვრებებში ქრისტე ხშირად უბრუნდებოდა ძველი აღთქმის ჭეშმარიტებებს, რომელთა სათავეც იგი თავად იყო. ჭეშმარიტებებს, რომელთაც ოდესღაც პატრიარქთა და წინასწარმეტყველთა მეშვეობით გადასცემდა ადამიანებს და რომელთაც ახალი ნათელი მოჰფინა. რა ახლებურად ჟღერდა მათი მნიშვნელობა ახლა! რაოდენ დიდი სულიერება და სიახლე იყო ჩაქსოვილი მის სიტყვაში. და რა დიდებული იყო მაცხოვრის აღთქმა იმის შესახებ, რომ ღვთის წმიდა სული გაანათლებდა ქრისტეს მოწაფეებს; რომ უფლის სიტყვა თანდათან სულ უფრო გასაგები გახდებოდა მათთვის და მას ახალ ნათელში იქადაგებდნენ.

მას შემდეგ, რაც ედემში პირველად გაისმა აღთქმა კაცობრიობის გამოსყიდვის შესახებ, ქრისტეს სიცოცხლე, არსი და შუამდგომლური მსახურება ადამიანის მუდმივი მსჯელობის საგნად იქცა. სულიწმიდის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ყოველი ადამიანი მას ახლებურ ნათელში გადმოსცემდა, ვინაიდან ხსნის ჭეშმარიტებანი განვითარებისა და განვრცობის მუდმივ პროცესშია. თუმცა ეს ჭეშმარიტებანი შორეულ წარსულშია წარმოდგენილი, მაგრამ მარად ახალია და სიმართლის მძებნელი კაცი ახლებურად იხილავს მათში ღვთის სიდიადესა და ძლიერებას.
ჭეშმარიტება ყველა საუკუნეში ახლებურად, ახალი ძალით გადმოიცემა. ესაა ღვთის სიტყვა, განსაზღვრული დროისა და განსაზღვრული თაობებისათვის გადმოცემული, თუმცა ძველსაც თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს. ახალი არ არსებობს ძველისაგან დამოუკიდებლად, იგი ძველის გაგრძელება და განვითარებაა. მხოლოდ ძველ ჭეშმარიტებათა ღრმა და საფუძვლიანი შემეცნებით გახდება ახალი სიმართლის გაგება შესაძლებელი. როდესაც მაცხოვარმა გადაწყვიტა, მოწაფეებისათვის მისი მკვდრეთით აღდგომის საიდუმლო ემცნო, "დაიწყო მოსედან და ყველა წინასწარმეტყველიდან და განუმარტავდა მათ ყოველ წერილში მასზე ნათქვამს" (ლუკ. 24:27). მეორე მხრივ, კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ ძველ ჭეშმარიტებათა ახლებურად გაშუქება და განდიდება ახალი ზეციური სინათლის მეშვეობით ხდება. მას, ვინც ახალს უარყოფს, ფაქტობრივად, ძველიც არ გააჩნია, რადგან ძველს მისთვის ცხოველმყოფელი ძალა დაკარგული აქვს და მხოლოდ მკვდარ დოგმად არის ქცეული.
მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც აცხადებენ, რომ მხოლოდ ძველი აღთქმის სჯერათ და მას ქადაგებენ. და ვერ ხვდებიან, რომ ქრისტეს მოძღვრების უარყოფით, ფაქტობრივად, უნდობლობას უცხადებენ იმას, რასაც პატრიარქები და წინასწარმეტყველები ამბობენ. "თქვენ რომ მოსესი გწამდეთ, - ამბობდა მაცხოვარი, - მეც მიწამებდით, ვინაიდან მან ჩემზე დაწერა" (იოან. 5:46). ამიტომ ძველი აღთქმიდან მათს მოძღვრებასაც არა აქვს ძალა.
ასევე ცდებიან ის ეგრეთ წოდებული მორწმუნენიც, რომლებიც მხოლოდ სახარებას ასწავლიან, ვინაიდან უგულებელყოფენ ძველი აღთქმის წერილებს, რომლებზეც ქრისტემ თქვა: "ისინი კი ჩემზე მოწმობენ" (იოან. 5:39). ძველ ჭეშმარიტებათა უარყოფით ისინი, ფაქტობრივად, ახალსაც უარყოფენ, რადგან ეს ორი ერთმანეთისაგან განუყოფელია. არავის შეუძლია, უფლის რჯული ჭეშმარიტად წარმოაჩინოს სახარების გარეშე და პირიქით, სახარება - უფლის რჯულის გარეშე. რჯული ხორცშესხმული სახარებაა; სახარება კი - გახსნილი რჯული. რჯული არის ფესვი, სახარება კი - მისგან აღმოცენებული სურნელოვანი ყვავილი და ნაყოფი.
ახალი აღთქმა ნათელს ჰფენს ძველს, ძველი კი - ახალს. ერთიც და მეორეც ღვთიური დიდების ქრისტეში გამოცხადებაა. ორივე წარმოადგენს ჭეშმარიტებას, რომელიც სიმართლის მძებნელს სულ ახალ-ახალ სიღრმეებს დაანახვებს. აუწყველია ჭეშმარიტება, რომელსაც ქრისტეში და ქრისტეს მეოხებით შევიმეცნებთ. ჭეშმარიტების მძებნელი წმიდა წერილების კვლევისას აწყდება წყაროს, რომელიც მით უფრო ღრმავდება და ფართოვდება, რაც უფრო ღრმად იხედება იგი მასში. ამ ცხოვრებაში ჩვენ ვერასოდეს ჩავწვდებით იმ ღვთიური სიყვარულის საიდუმლოს, რომლის გამოც მოგვეცა უფლის ძე ჩვენი

ცოდვებისაგან სახსნელად. ის, რაც მაცხოვარმა ჩვენთვის ამ დედამიწაზე გააკეთა, საოცარი და დიდებული საქმეა, რომელიც არის და მუდამ იქნება ჩვენი მსჯელობის საგანი და რომელსაც სრულად ვერასოდეს შევიცნობთ, რაგინდ უდიდესი წარმოდგენის უნარიც არ უნდა გაგვაჩნდეს. როგორც არ უნდა მოვიკრიბოთ ჩვენი გონებრივი ძალები ამ საიდუმლოს ამოსაცნობად, ვერაფერს გავხდებით. და ჭეშმარიტების ყოველი მძებნელი მიხვდება, რომ მის წინაშე უკიდეგანო, უსასრულო ოკეანეა.
იესოში ხორცშესხმული ჭეშმარიტება შეიძლება შევიგრძნოთ სულითა და ჩვენი ცხოვრებისეული გამოცდილებებით, მაგრამ მისი ახსნა შეუძლებელია. მისი სიმაღლე, სიგანე და სიღრმე ჩვენი შემეცნების შესაძლებლობებს აღემატება. შეიძლება, უაღრესად დავძაბოთ გონება და წარმოდგენის უნარი, მაგრამ მხოლოდ ბუნდოვან კონტურებს თუ ვიხილავთ მაცხოვრის იმ უსასრულო, ამოუხსნელი სიყვარულისა, რომელიც მაღალია, ვითარცა ზეცა, მაგრამ, ამავე დროს, - მოსული დედამიწაზე კაცობრიობისათვის ღვთიური ხატების აღსადგენად.
მაგრამ ღვთიური თანაგრძნობის დანახვა კი ნამდვილად შეგვიძლია. ამის უნარი ღვთისმორჩილ, მომნანიებელ ადამიანს ძალუძს მხოლოდ. ღვთიური თანაგრძნობის დანახვა მხოლოდ ქრისტეს მიერ გაღებული მსხვერპლის შეფასებითაა შესაძლებელი. ღვთის სიტყვის მორჩილი გულით შესწავლისას თვალსაჩინოდ წარმოგვიდგება ცოდვილი კაცობრიობის გამოსყიდვის უდიდესი ჭეშმარიტებანი. რაც უფრო მეტს ვსწავლობთ, მით უფრო ნათლად ვხედავთ მის კაშკაშა ნათელს, სიღრმეებსა და ძლიერ ზეგავლენას.
ჩვენი ცხოვრება მტკიცედ უნდა იყოს დაკავშირებული ქრისტესთან, რათა გამუდმებით ვიკვებებოდეთ მისგან, ვინც თავად არის ცოცხალი პური, ზეცით მოსული და წყარო, რომელიც სულიერ წყურვილს დაგვიკმაყოფილებს თავისი უსასრულო საგანძურიდან. თუკი ჩვენი გონება მუდამ მაცხოვრით იქნება დაკავებული, რომელსაც მადლიერებით, გულწრფელად ვადიდებთ, რელიგიური ცხოვრების სიწმინდესა და სულის სიახლეს შევინარჩუნებთ. მაშინ ჩვენი ლოცვები უფალთან მეგობრულ საუბრებს დაემსგავსება და ისიც თითოეულ ჩვენგანს პირადად გაგვანდობს თავის საიდუმლოებებს. ამ დროს დაგვეუფლება სიხარულის განცდა უფალთან სიახლოვის შეგრძნების გამო. ცეცხლად აინთება სიხარული ჩვენს გულში, როცა იგი მოგვიახლოვდება და გაგვესაუბრება, როგორც ენოქს. და, როცა ქრისტიანის ცხოვრებაში ასეთი რამ ხდება, მისი სული იცვლება: მასში თავს იჩენს უბრალოება, თავმდაბლობა, სათნოება და მორჩილება, რაც ცხადად მეტყველებს იმაზე, რომ იგი ქრისტეს მოწაფეა.
ამ ადამიანებისათვის ქრისტიანული რწმენა არის მაცოცხლებელი ძალა, ყოვლისმომცველი ცხოვრებისეული პრინციპი და უდიდესი სულიერი ენერგია. ასეთ ადამიანში მუდამ შეიგრძნობა ძალა, სიცოცხლე და ახალგაზრდული სული. გული, რომელმაც ღვთის წმიდა სიტყვა მიიღო, არასოდეს დაემსგავსება წყლის გუბეს, რომელიც სიცხისგან აორთქლდება; ან გაბზარულ ჭურჭელს, საიდანაც მაცოცხლებელი სითხე ფუჭად იღვრება. იგი მიაგავს მთის დაუშშრალ წყაროს, რომლის კამკამა ნაკადი კლდის ნაპრალებიდან მოედინება და მწყურვალ, მაშვრალ, ტვირთმძიმე ადამიანებს არწყულებს.
რწმენის ასეთი გამოცდილება უფლებას აძლევს ჭეშმარიტების ყოველ მოძღვარს, თავს ქრისტეს წარმომადგენელი უწოდოს. ქრისტეს სიტყვის სული აძლიერებს

და მიზანდასახულს ხდის ადამიანს, მის სხვებთან უშუალო ურთიერთობასა და ლოცვას. მისი მოწმობა ქრისტეს შესახებ არ იქნება ხალისს მოკლებული, უსიცოცხლო მოძღვრება და მუდამ ერთისა და იგივეს გამეორება. მისი გონება მუდამ განახლებული იქნება სულიწმიდის ზეგავლენით.
მაცხოვარმა თქვა: "ჩემი ხორცის მჭამელს და ჩემი სისხლის შემსმელს საუკუნო სიცოცხლე აქვს... როგორც მე მომავლინა ცოცხალმა მამამ და მე მამაში ვცოცხლობ, ასევე ჩემი მჭამელი იცოცხლებს ჩემში... სული ცხოველმყოფელია... სიტყვები, რომლებიც გითხარით, სული და სიცოცხლეა" (იოან. 6:54-63).
როდესაც ქრისტეს სხეულსა და სისხლს ვეზიარებით, ვხვდებით, რომ ამ მსახურებაში საუკუნო სიცოცხლის ნაწილია ჩაქსოვილი. ეს მსახურება არ არის მშრალი, მოძველებული, გაცვეთილი იდეა. ჩვეული რიტუალების ადგილს ამიერიდან სხვა, ახალი რამ იკავებს; ძალაში რჩება ძველი ჭეშმარიტებანი, ოღონდ ახალი ნათლით იმოსება; იგი ახლებურად გვესმის და ყველასათვის თვალსაჩინო სიწმიდითა და მიმზიდველობით გვევლინება. ის, ვისაც ასეთ მსახურებაში მონაწილეობის ბედნიერება ხვდა წილად და ვინც სულიწმიდის ზეგავლენას ემორჩილება, აუცილებლად იგრძნობს ახალი სიცოცხლის განმამტკიცებელ და განმაახლებელ ძალას; ღვთიური სიყვარულით აინთება მისი გული; აღქმის უნარი გაუმახვილდება და მთელი ძალითა და არსებით შეიგრძნობს ჭეშმარიტების მთელ სილამაზესა და სიდიადეს.
სახლის პატრონში, რომელზედაც ამ იგავშია საუბარი, იგულისხმება ჭეშმარიტი, ბრძენი მოძღვარი, რომელიც ასე სჭირდება ყმაწვილებსა და მოზარდებს. თუკი ასეთი ადამიანისათვის მთავარი საგანძური ღვთის სიტყვაა, იგი მუდამ ეცდება, ახლებურად აჩვენოს ადამიანებს სახარების უჩვეულო სილამაზე. როდესაც ასეთი მოძღვარი მხოლოდ ქრისტეს ხელმძღვანელობას ემორჩილება და განუწყვეტლივ ლოცულობს, ქრისტეს სული გადმოვა მასზე და თავად ღმერთი თავისი სულიწმიდის ძალით იმოქმედებს მისი მეშვეობით ადამიანთა გულებზე. ასეთი მასწავლებელი ღვთის წმიდა სულის მეშვეობით ადვილად ჩასწვდება ბიბლიურ პირველსახეთა მნიშვნელობას; ღვთის წმიდა სული გაუნათებს გულსა და გონებას; მხნეობას შემატებს, გული მომავლის იმედით აევსება და ყოველივეს ყმაწვილებს გადასცემს.
ზეციური სიმშვიდისა და სიხარულის წყაროები, რომლებსაც მასწავლებელი ღვთისმოსაური სიტყვის შესწავლის შედეგად იპოვის, მისი ზეგავლენისა და კურთხევის ძლიერ ნაკადად იქცევა ყველასთვის, ვისაც მასთან შეხება ექნება. მის მოწაფეებს არასოდეს მობეზრდებათ ბიბლიის კითხვა. ბრძენი მასწავლებლის ზეგავლენით ღვთის სიტყვა მარად სასურველი იქნება შემსწავლელთათვის. იგი მათთვის იქნება სიცოცხლის პური, რომელიც არასოდეს ძველდება. მისი სიახლე და სილამაზე მეტად მიმზიდველი და მომხიბვლელი იქნება ახალგაზრდობისათვის და ბავშვებისათვის. ღვთის სიტყვა არის მზის სხივი, რომელიც მუდამ ანათებს, ათბობს და არასოდეს ილევა.
ღვთის სიტყვა უზენაესის წმიდა, მანათობელი სულითაა აღვსილი. წმიდა წერილების ყოველი ფურცლიდან ახალი, ძვირფასი ნათელი ბრწყინავს. იქ ცხადდება უდიდესი ჭეშმარიტებანი, სიტყვები და წინადადებები კი ისეთი ნათელი და გასაგები ხდება და ისე ზუსტად გადმოგვცემს ღვთის ჩანაფიქრს, თითქოს, უფალი თავად, პირისპირ გვესაუბრება.

ღვთის წმიდა სული სიხარულით უცხადებს ახალგაზრდებს ღვთის სიტყვაში დაფარულ საუნჯეს და მის სილამაზეს. ზეციური მოძღვრის აღთქმები უდიდეს ბედნიერებას ანიჭებს მათ; თავისი ღვთიური ძალით კურნავს სულს და აღადგენს მასში სიმშვიდეს. ღვთიური მადლით განათებული გონება და სული სულ უფრო უახლოვდება ბიბლიურ ჭეშმარიტებებს, რომლებიც ადამიანს მრავალი ცდუნებისაგან დაიცავს.
ჭეშმარიტების სიტყვა სულ უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს; მასში ჩაქსოვილი აზრი ისეთ გაქანებას პოვებს, რომელსაც ვერასოდეს წარმოვიდგენდით. ღვთის სიტყვის სილამაზესა და სიმდიდრეს ადამიანის სულისა და ხასიათის გარდაქმნა ძალუძს. ზეციური სიყვარულის ნათელი კი შთაგონებისა და აღმაფრენის ფრთებს გაშლის მის გულში.
რაც უფრო ღრმად ვსწავლობთ ბიბლიურ ჭეშმარიტებებს, მით უფრო იზრდება ჩვენი შემეცნების უნარი. ბიბლიის მკვლევარი მის ნებისმიერ მუხლში ღვთის უსასრულო სიბრძნესა და სიყვარულს იხილავს.
ჩვენ ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ ჩავწვდით ძველ ებრაელთა ცხოვრების წესის მნიშვნელობას. მათი ღვთისმსახურების ცერემონიალებსა და რიტუალებში უდიდეს და უღრმეს ჭეშმარიტებათა სიმბოლოებია დაფარული. სახარება არის სწორედ ის გასაღები, რომელიც ამ რიტუალების საიდუმლოს ხსნის. მათში დაფარული ყოველი ჭეშმარიტება ადამიანის ხსნის გეგმის შეცნობით გაცხადდება. ჩვენ უპირატესობა გვეძლევა, შევისწავლოთ და ჩავწვდეთ ამ დიდებულ, მშვენიერ ღვთიურ ჭეშმარიტებებს. ეს ადამიანთა დიდი უპირატესობა და უფლებაა. თვით ანგელოზებიც ლამობენ, ჩაიხედონ იმ ჭეშმარიტებებში, რომელნიც გახსნილია მათთვის, ვინც მორჩილი გულით, ლოცვებით სწავლობს ღვთის სიტყვას და მის სიღრმეებში ჩასაწვდომად ითხოვს ნიჭს, რომლის მოცემაც მხოლოდ უზენაესს შეუძლია.
ვინაიდან ჩვენ კაცობრიობის ისტორიის დასასრულს ვუახლოვდებით, განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შევისწავლოთ ბოლო ჟამთან დაკავშირებული წინასწარმეტყველებანი, რომლებიც ახალი აღთქმის ბოლო წიგნშია ჩაწერილი. სატანამ იმდენად დაუბრმავა გონება ადამიანებს, რომ ისინი ათასგვარ მიზეზს ასახელებენ, რათა არ შეისწავლონ გამოცხადების წიგნი. მაგრამ ჩვენი მაცხოვარი გვამცნობს იმის შესახებ, თუ რა იქნება ბოლო ჟამს და გვაფრთხილებს: "ნეტარია წამკითხველი და მომსმენი ამ საწინასწარმეტყველო სიტყვისა და მასში დაწერილის შემნახველი" (გამოცხ. 1:3).
"ესაა საუკუნო სიცოცხლე, რომ გიცნობდნენ შენ, ერთ ჭეშმარიტ ღმერთს, და მას, ვინც მოავლინე - იესო ქრისტეს" (იოან. 17:3). მაშინ, რატომ ვერ ვხვდებით ამ ჭეშმარიტი წიგნის ასეთ დიდ მნიშვნელობას, რატომ ვერ ვაფასებთ მას? რატომ არ ვღებულობთ მთელი ჩვენი არსებით ამ წიგნის უდიდეს ჭეშმარიტებებს? რატომ არ ვატარებთ გულით და არ ვქადაგებთ მას?
უფალმა მოგვცა თავისი სიტყვა და მასში - ჩვენი გადარჩენისათვის აუცილებელი ყველა ჭეშმარიტება. ათასობით ადამიანი იკლავს წყურვილს ამ სიცოცხლის წყაროდან, მაგრამ იგი არ შრება, მას არაფერი აკლდება. ათასობით ადამიანი ღებულობს უფალს და იძენს მის ხასიათს. სულიწმიდით შთაგონებულნი, ისინი საუბრობენ ქრისტეს ხასიათის სილამაზეზე; იმაზე, თუ რა არის ქრისტე მათთვის და ისინი - ქრისტესთვის. მაგრამ იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ღვთის სიტყვის მუდმივ კვლევაში არიან, მისი

უწმიდესი და ულამაზესი ჭეშმარიტებანი ამოუწურავია. ათასობით ახალი ადამიანი შეიძლება ჩაებას წმიდა წერილების კვლევისა და გადარჩენის საიდუმლოთა ძებნის საქმეში. ზეციური ნათელი უფრო მეტად ბრწყინდება მათთვის, ვინც განუწყვეტლივ ფიქრობს ქრისტეს ცხოვრებასა და მისი მისიის არსზე და ვინც მუდამ ბიბლიურ ჭეშმარიტებათა ძიებაშია. ძებნის ყოველი ახალი მცდელობა წინანდელზე უფრო ამაღელვებელი და სიხარულის მომტანი იქნება. უძირო და უსასრულოა ჭეშმარიტების ღვთიური საუნჯე. ქრისტეს განკაცება, ადამიანის ხსნისათვის მის მიერ გაღებული მსხვერპლი, მისი შუამდგომლური მსახურება - აი საკითხები, რომლებიც მუდამ ადამიანის კვლევისა და მსჯელობის საგანი იქნება საუკუნის აღსასრულამდე. და, მიუხედავად ამისა, ურიცხვ წელთა მწვერვალებიდან ზეცისკენ გადახედვისას მას მაინც აღმოხდება: "დიდია ღვთისმოსაობის საიდუმლო!"
მხოლოდ მარადიულობაში შევძლებთ იმის შეცნობას, რაც ამ ცოდვილ დედამიწაზე დაახლოებით, ბუნდოვნად შევიცანით. ადამიანის გამოსყიდვის თემა გამოსყიდულთა მარადიული ფიქრისა და მსჯელობის საგანი იქნება უსასრულო საუკუნეთა მანძილზე. მხოლოდ იქ გახდება გასაგები ბოლომდე მათთვის ის ჭეშმარიტებანი, რომლებსაც ქრისტე თავის მოწაფეებს ასწავლიდა და რომლებიც მაშინ რწმენის უქონლობის გამო ვერ მიიღეს. იქ ქრისტეს დიდებისა და სრულყოფილების ახალ-ახალ მომენტებს მოეფინება ნათელი და დროთა უსასრულობაში სახლის ერთგული პატრონი თავისი საგანძურიდან გამოიტანს ძველსა და ახალს.

## თავი 12 - ითხოვეთ, რათა გასცეთ

ლუკ. 11:1-13

მაცხოვარი მუდმივად ღებულობდა მამისაგან, რათა ჩვენთვის მოეცა. "სიტყვა, რომელსაც ისმენთ, - ამბობს იგი, - ჩემი კი არაა, ჩემი მომავლინებელი მამისაა" (იოან. 14:24). "კაცის ძე არ მოსულა იმისათვის, რომ ემსახურონ, არამედ იმისათვის, რომ თავად მოემსახუროს" (მათ. 20:28). ქრისტე ცხოვრობდა, ზრუნავდა და ლოცულობდა არა საკუთარი თავისთვის, არამედ სხვებისთვის. ყოველ დილით, უფალთან საუბარში გატარებული საათების შემდგომ, იგი ბრუნდებოდა ადამიანებთან, რათა მიღებული ზეციური ნათელი მათთვის გაეზიარებინა. ყოველდღიურად ინათლებოდა იგი სულიწმიდით. ახალი დღის გარიჟრაჟზე აღვიძებდა მას უფალი, თავისი მადლის ნათელს სცხებდა მის ბაგეებსა და სულს, რათა სხვებთან მიეტანა იგი. ახალ-ახალ სიტყვებს აძლევდა თავისი ზეციური სახლიდან; სიტყვებს, რომლებიც ასე საჭირო იყო მაშვრალი, დაღლილი სულისათვის. "უფალმა ღმერთმა მომცა მე მცოდნეთა ენა, - ამბობს იგი, - რომ შევძლო დაღლილის გამაგრება სიტყვით. მაღვიძებს ის ყოველ დილით, აღვიძებს ჩემს ყურს, რომ მოვისმინო მცოდნეთა მსგავსად" (ეს. 50:4). ქრისტეს მოწაფეთ დიდად აოცებდა მაცხოვრის ხანგრძლივი ლოცვები და ღმერთთან მუდმივი ურთიერთობა. ერთხელ, თავიანთ მოძღვართან მცირე ხნით განშორების შემდეგ, უფალთან საუბრისა და ლოცვის მომენტში იხილეს იგი.

მაცხოვარმა, ალბათ, ვერ შეამჩნია მათი გამოჩენა, რადგან კვლავ განაგრძობდა ლოცვას. მისმა სიტყვებმა შეძრა მოწაფეთა გული. და, როცა იესომ ლოცვა დაასრულა, მათ ერთხმად შესთხოვეს: "უფალო, გვასწავლე ლოცვა". პასუხად ქრისტემ გაუმეორათ ლოცვა, რომელიც ადრე, მთაზე ქადაგების დროს წარმოთქვა მან. შემდეგ კი იგავით ასწავლიდა მათ.
"რომელიმე თქვენგანს რომ მეგობარი ჰყავდეს და შუაღამისას მიადგეს და უთხრას: მეგობარო, მასესხე სამი პური. ვინაიდან მეგობარი მომივიდა ნამგზავრი და არაფერი გამაჩნია, წინ რომ დავუდო. და მან შიგნიდან გამოსძახოს: ნუ მაწუხებ, კარი დაკეტილია, ბავშვებიც ლოგინში მიწვანან, არ შემიძლია წამოდგომა და პურის მოცემა. გეუბნებით თქვენ: თუ არ ადგება და მეგობრობის გამო არ მისცემს პურს, მისი აბეზრობის გამო მაინც ადგება და მისცემს იმდენ პურს, რამდენიც სჭირდება".
აქ ქრისტე თავად წარმოგვიდგება როგორც მთხოვნელი, რომელიც იმისათვის ითხოვს, რომ სხვას მისცეს. მას პური სჭირდება, რადგან უპუროდ ვერ დაანაყრებს დაგვიანებულ, მშიერ მგზავრს. თუმცა მეზობელს არ სურს, რომ შეაწუხონ, მაგრამ მთხოვნელი არ წყვეტს თავის თხოვნას, რადგან მეგობარს დახმარება სჭირდება. და თავისი დაჟინებული, მომაბეზრებელი თხოვნის გამო მას აძლევენ იმას, რასაც ითხოვს.
მაცხოვრის მოწაფეებსაც ასეთივე გულმოდგინებითა და დაჟინებით უნდა გამოეთხოვათ უფლისაგან კურთხევა. უამრავი ხალხის დაპურებითა და ზეციურ პურზე ქადაგებით ქრისტემ თავის მოწაფეებს უჩვენა, თუ როგორ უნდა ეშრომათ წუთისოფელში, როგორც მის წარმომადგენელთ. მათი მოვალეობა იყო, სიცოცხლის პური მიეცათ ადამიანებისათვის. მან, ვინც მათ ეს საქმე დაავალა, კარგად იცოდა, რომ მომავალში მრავალჯერ გამოიცდებოდა მათი რწმენა; რომ ბევრჯერ მოუხდებოდათ შრომა უჩვეულო გარემოებაში; მრავალჯერ ჩაცვივდებოდნენ გამოუვალ მდგომარეობაში, როდესაც კარგად დაინახავდნენ საკუთარ უძლურებასა და ადამიანურ შესაძლებლობათა სიმცირეს. ბევრნი მივიდოდნენ მათთან სიცოცხლის პურის სათხოვნელად, ისინი კი შეიგრძნობდნენ საკუთარ უმწეობას. მათ თავად მუდმივად უნდა მიეღოთ სულიერი საკვები, წინაალმდეგ შემთხვევაში სხვას ვერაფერს გაუზიარებდნენ. მათგან კი არავინ უნდა წასულიყო მშიერ-მწყურვალი. ქრისტე მიუთითებს მათ წყაროზე, საიდანაც სულიერი პური უნდა მიიღონ. კაცმა, რომელსაც მეგობარი ესტუმრა, თუნდაც უდროო დროს - შუაღამით, უკან არ გააბრუნა იგი. თავად არაფერი ჰქონდა, რომ გამასპინძლებოდა, მაგრამ მეზობელთან წავიდა და იმდენ ხანს ევედრა, სანამ დახმარება არ მიიღო. და განა ღმერთი, რომელიც თავის მსახურთ გაჭირვებულთა დასაპურებლად აგზავნის, ყველაფერს არ მისცემთ ამ მსახურების წარმატებით გაგრძელებისათვის?
მაგრამ მეზობლის ხასიათი იგავში სულაც არ ჰგავს უფლის ხასიათს. ამ მაგალითში მაცხოვარი გვიჩვენებს არა მსგავსებას, არამედ განსხვავებას. ეგოისტი ადამიანი დააკმაყოფილებს დაჟინებულ თხოვნას, რათა სწრაფად მოიშოროს თავიდან მისი სიმშვიდის დამრღვევი. უფალს კი უხარია, როდესაც გასცემს. იგი თანაგრძნობით ეკიდება მასთან რწმენით მიმსვლელს და სიხარულით აძლევს ყოველივეს, რათა იგი, თავის მხრივ, სხვებს ემსახუროს და ამგვარად ყველაფერში მას დაემსგავსოს.

მაცხოვარი აცხადებს: "ითხოვეთ და მოგეცემათ. ეძიეთ და იპოვით. დარეკეთ და გაგეღებათ. ვინაიდან ყველა, ვინც ითხოვს, ღებულობს, და ვინც ეძიებს, პოულობს, და ვინც რეკს, გაუღებენ".
მაცხოვარი კვლავ განაგრძობს: "რომელი მამა იქნება თქვენში, რომ შვილმა პური სთხოვოს და ქვა მისცეს? ანდა თევზი სთხოვოს და თევზის წილ გველი მისცეს? ანდა, კვერცხი რომ სთხოვოს, მორიელი მისცეს? ჰოდა, თუ თქვენ, ბოროტებმა, იცით კეთილ მისაცემთა მიცემა თქვენი შვილებისათვის, მეტადრე ზეციერი მამა მისცემს სულიწმიდას იმათ, ვინც სთხოვს".
იმისათვის, რომ უფლისადმი რწმენა განგვიმტკიცოს, ქრისტე გვთხოვს, ახალი სახელით მივმართოთ მას, სახელით, რომელთანაც ადამიანის გულს მრავალი ძვირფასი მოგონება და განცდა აკავშირებს. იგი ნებას გვაძლევს, უზენაეს ღმერთს მამა ვუწოდოთ. სახელი, რომლითაც მას მივმართავთ, მის მიმართ ჩვენი სიყვარულისა და ნდობის გამოხატულების ნიშანია. მეორე მხრივ, ეს სახელი ჩვენდამი მისი მამაშვილური სიყვარულისა და მზრუნველობის საწინდარია. როდესაც უფალს ამ სახელით მივმართავთ და მისგან წყალობასა და კურთხევას ვითხოვთ, ტკბილ ჰანგებად ჩაესმის იგი მას. კადნიერებად რომ არ მივიჩნიოთ მისადმი ასეთი მიმართვა, უფალი კვლავ და კვლავ თავად გვიმეორებს მას, რადგან სურს, რომ ჩვენთვის იგი ჩვეულებრივი და ბუნებრივი იყოს.
უფალი ღმერთი თავის შვილებს გვიწოდებს. მან გამოგვისყიდა ამ ცოდვილი წუთისოფლისაგან და თავისი სამეფო ოჯახის წევრებად, სამყაროს მბრძანებლის შვილებად ამოგვარჩია. იგი გვირჩევს, უფრო ერთგულად და მტკიცედ დავენდოთ მას, ვიდრე ყრმა - თავის მიწიერ მამას. ყველა მშობელს უყვარს თავისი შვილი, მაგრამ უფლის სიყვარული უფრო ძლიერი, ღრმა და ვრცელია, ვიდრე ადამიანისა. უსაზღვრო და უსასრულოა იგი. თუკი მიწიერ მშობელს თავისი შვილისათვის კეთილი ძღვნის მიცემა შეუძლია, მით უმეტეს, ზეციერი მამა უხვად მისცემს თავის წმიდა სულს იმას, ვინც ლოცვით ითხოვს.
განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ ქრისტეს გაკვეთილებს ლოცვასთან დაკავშირებით. ლოცვა - ეს ღვთიური მეცნიერებაა და ქრისტეს შემოთავაზებული ილუსტრაცია მოიცავს პრინციპებს, რომელთა ცოდნაც ყველასათვის აუცილებელია. აქ იესო გვიჩვენებს, თუ როგორი უნდა იყოს ლოცვის ჭეშმარიტი სული; როგორ მტკიცედ და შეუპოვრად უნდა ვილოცოთ და გვარწმუნებს, რომ მისთვის სასურველია ასეთი ლოცვა და აუცილებლად უპასუხებს მას.
ჩვენს ლოცვებში მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისათვის თხოვნა არ უნდა იყოს ჩაქსოვილი. უფალს უნდა ვთხოვოთ ის, რასაც სხვებს გავუნაწილებთ. ქრისტეს ცხოვრების პრინციპები ჩვენი ცხოვრების წესად უნდა იქცეს. "ჩემს თავს განვწმედ მათთვის, - ამბობს იგი და მხედველობაში თავის მოწაფეები ჰყავს, - რათა ისინიც წმიდანი იყვნენ ჭეშმარიტებაში" (იოან. 17:19). იგივე თავგანწირვა და თავდადება, ღვთის სიტყვისადმი მორჩილება, როგორიც ქრისტეს ჰქონდა, უნდა გააჩნდეს მის მსახურთაც. ჩვენი წუთისოფელში მსახურება საკუთარი კეთილდღეობისათვის მოშურნეობად არ უნდა იქცეს. ჩვენი მიზანია, განვადიდოთ უფალი ღმერთი და ვითანამშრომლოთ მასთან ცოდვილთა გადარჩენის საქმეში. კურთხევა უნდა ვთხოვოთ უფალს იმისათვის, რომ მის ჭეშმარიტებას სხვებიც ვაზიაროთ. ახლის შეცნობა და მიღება მხოლოდ

მაშინაა შესაძლებელი, როცა მიღებულს სხვას უზიარებ. ჩვენ დავკარგავთ ზეციურ საუნჯეს, თუკი შეძენილს ჩვენ ირგვლივ მყოფთ არ მივცემთ. იგავის მოქმედი პირი, რომელიც მეზობელთან პურის სათხოვნელად მიდის, ვერ ღებულობს პურს, მაგრამ მცდელობას კვლავ განაგრძობს. იგივეს აქვს ადგილი ჩვენს ცხოვრებაში: ხშირად, თითქოსდა, ჩვენს ლოცვაზე ვერ ვღებულობთ დაუყოვნებლივ პასუხს, მაგრამ ქრისტე გვასწავლის, არ მივატოვოთ ლოცვა. იმიტომ კი არ უნდა ვილოცოთ, რომ ღმერთის ჩანაფიქრი შევცვალოთ, არამედ ლოცვით უფალთან ურთიერთობას ვამყარებთ და მასთან ჰარმონიაში ვიმყოფებით. როდესაც რაიმე თხოვნით მივმართავთ, იგი ხედავს, რომ ჩვენთვის აუცილებელია, ღრმად ჩავიხედოთ საკუთარ გულში და დანაშაული მოვინანიოთ. ამიტომ უშვებს იგი ჩვენს ცხოვრებაში გამოცდასა და განსაცდელს, რათა დავმდაბლდეთ და ადვილად დავინახოთ, რა უშლის ხელს ჩვენში სულიწმიდის მსახურებას.

არსებობს რაღაც პირობები უფლის აღთქმის აღსრულებისათვის. ლოცვა არ ათავისუფლებს ადამიანს მისი ქრისტიანული მოვალეობის შესრულებისაგან. "თუ მე გიყვარვართ, - ამბობს მაცხოვარი, - ჩემი მცნებანი დაიცავით". "ვისაც ჩემი მცნებები აქვს და იცავს მათ, მას ვუყვარვარ მე, ჩემს მოყვარულს კი ჩემი მამაც შეიყვარებს. მეც შევიყვარებ მას და მე თავად გამოვეცხადები" (იოან. 14:15,21). ის, ვინც უფლისაგან თავის ლოცვაზე პასუხს და მისი აღთქმის შესრულებას ითხოვს, მაგრამ განსაზღვრულ პირობებს არ ასრულებს, შეურაცხყოფს უზენაესს. ეს ადამიანები ქრისტეს სახელით ითხოვენ აღთქმის შესრულებას, მაგრამ მათს საქმეებში არ მოჩანს არც რწმენა და არც სიყვარული მხსნელის მიმართ.

ბევრი არ თვლის საჭიროდ იმ პირობების ასრულებას, რომლითაც მათ მამა მიიღებს. დიდი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ჩვენი რწმენის საქმეების გამოკვლევას, რომლებიც უფალთან გვაახლოებს. თუკი ჩვენ ღვთის მორჩილნი არა ვართ, ეს ნიშნავს, წარუდგინო უფალს ჩეკი ასანაზღაურებლად ამისათვის აუცილებელი პირობების შესრულების გარეშე. ჩვენ დაჟინებით მოვითხოვთ ღმერთისაგან დანაპირების შესრულებას, რაც, მსგავს ვითარებაში, შეურაცხყოფს მის წმიდა სახელს.

უფალი შეგვპირდა: "თუ ჩემში დარჩებით და ჩემი სიტყვები თქვენში დარჩება, რასაც ისურვებთ, ითხოვეთ და გექნებათ" (იოან. 15:7). იოანე კი ამბობს: "იმით გავიგებთ, რომ შევიცანით იგი, თუ დავიცავთ მის მცნებებს. ვინც ამბობს: შევიცანიო იგი და მის მცნებებს არ იცავს, ცრუა და არ არის მასში ჭეშმარიტება. ხოლო ვინც იცავს მის სიტყვას, მასშია ჭეშმარიტად აღსრულებული ღვთის სიყვარული" (1იოან. 2:3-5).

მაცხოვრის ერთ-ერთი ბოლო მცნება, მოწაფეებისადმი მიმართული, ასეთია: "გიყვარდეთ ერთმანეთი. როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, თქვენც ისე გიყვარდეთ ერთმანეთი" (იოან. 13:34). ვასრულებთ კი მის დანაბარებს თუ კვლავ ვავლენთ ჩვენს უხეშ, არაქრისტიანულ ხასიათს? თუკი ვინმეს ვაწყენინეთ, ჩვენი ვალია, გულწრფელად ვაღიაროთ დანაშაული და ყოველნაირად ვეცადოთ, მოვძებნოთ გზა შერიგებისათვის. ეს კი აუცილებელი წინაპირობაა იმისა, რომ შევძლებთ ღვთის წინაშე წარდგომას ჭეშმარიტი რწმენით მისგან კურთხევის მისაღებად.

არსებობს კიდევ სხვა რამ, რაც ლოცვით მთხოვნელს ხშირად ავიწყდება. განა ყოველთვის გულწრფელი და პატიოსანი ვართ უფლის წინაშე? მალაქია

წინასწარმეტყველის ბაგით უზენაესი გვიცხადებს: "თქვენი მამების დღეებიდან მოყოლებული არღვევდით ჩემს წესებს და არ იცავდით მათ. ახლა მოიქეცით ჩემსკენ და მეც მოვიქცევი თქვენსკენ, - ამბობს ცაბაოთ უფალი. - თქვენ კი ამბობთ: რისთვის მოვიქცეთო? განა ადამიანი მოატყუებს ღმერთს, რომ მატყუებთ მე და ამბობთ: რაში გატყუებთო? მეათედში და შესაწირავში" (მალ. 3:7,8).

ყოველგვარი კურთხევისა და კეთილდღეობის მომცემი ღმერთი თავისი უფლებამოსილებით ითხოვს მეათედ ნაწილს მთელი ჩვენი შემოსავლიდან, რომელიც მთელ წუთისოფელში სახარების გავრცელებისთვისაა გათვალისწინებული. ღვთისაგან ბოძებული მთელი ჩვენი შემოსავლის ნაწილის უფლისათვის დაბრუნება - ეს მისი ძღვნისათვის ჩვენი მადლიერების გამოხატულებაა. მაგრამ თუკი არ ვუბრუნებთ იმას, რაც მას ჭეშმარიტად ეკუთვნის, როგორ შეგვიძლია, მოვითხოვოთ მისგან კურთხევა? თუკი ჩვენ მიწიერ საქმეებში ასეთი არასაიმედონი ვართ, როგორღა გვანდობს იგი ზეციურ საქმეებს? იქნებ აქაა მიზეზი იმისა, რომ მრავალი ჩვენი ლოცვა უპასუხოდ რჩება?

მაგრამ ჩვენი მოწყალე უფალი მზადაა, მოგვიტევოს და გვიცხადებს: "მოიტანეთ მთელი მეათედი საგანძურში და იყოს საზრდო ჩემს სახლში. აბა, გამომცადეთ ამით... თუ არ გაგიხსნათ ცის საქანელნი და არ გადმოგიცალოთ კურთხევა აურწყველად. შენთვის დავაკავებ მჭამელს, რომ არ წაგიხდინოთ მიწის ნაყოფი და არ გაგიპარტახოთ მინდორში ვაზი... ნეტარად ჩაგთვლით ყოველი ხალხი, რადგან სანუკვარ ქვეყანაში იცხოვრებთ, - ამბობს ცაბაოთ უფალი" (მალ. 3:10-12).

ასეთივე დამოკიდებულება უნდა ვიქონიოთ უფლის სხვა მოთხოვნათა მიმართ. უფალი ყოველივეს გვპირდება იმ პირობით, რომ მისი მორჩილნი ვიქნებით. სავსეა ზეცა ღვთიური კურთხევებით, რომლებიც უფლის თანამშრომელთათვისაა განკუთვნილი. მის ყოველ მორჩილს შეუძლია, ითხოვოს და რწმენით ელოდოს უფლის დაპირების აღსრულებას.

მაგრამ, ამასთანავე, ჩვენ ღვთის მიმართ მტკიცე, ურყევი რწმენა უნდა გამოვავლინოთ. ხშირად უფალი არ ჩქარობს ჩვენს ლოცვაზე პასუხის გაცემას, რათა გამოსცადოს ჩვენი რწმენა და დარწმუნდეს, თუ რამდენად გულწრფელია ჩვენი სურვილები. როდესაც მას რაიმეს თავისი სიტყვის თანახმად ვთხოვთ, უნდა გვჯეროდეს, რომ იგი თავის დანაპირებს აასრულებს; ლოცვა არ უნდა შევწყვიტოთ და თხოვნაში ისეთი სიმტკიცე გამოვიჩინოთ, რომ მასზე უარის თქმა შეუძლებელი გახდეს.

უფალი არ გვეუბნება: "ილოცეთ ერთხელ და მოგეცემათ", არამედ მოგვიწოდებს: "ილოცეთ განუწყვეტლივ". განუწყვეტელი ლოცვა მთხოვნელს უფრო გულწრფელ და ღრმა გრძნობას აღუძრავს და რაიმეს შეძენის სურვილს გაუძლიერებს. ლაზარეს სამარხთან მაცხოვარმა მართას ასეთი სიტყვებით მიმართა: "თუ ირწმუნებ, ღვთის დიდებას იხილავ" (იოან. 11:40).

მაგრამ ბევრს არ გააჩნია ასეთი ცოცხალი რწმენა. ამიტომაც ხშირად ვერ ამჩნევენ ღვთის ძალის თვალსაჩინო გამოვლინებებს. მათი სისუსტე მათივე ურწმუნოების შედეგია. მათ საკუთარი შესაძლებლობების უფრო სჯერათ, ვიდრე უფლის საქმეებისა, რომელიც მიზნად მათ დახმარებას ისახავს. მათ იმედი აქვთ, რომ საკუთარ საქმეებს თავად გაართმევენ თავს. ისინი აწყობენ გეგმებსა

და პროექტებს, მაგრამ ნაკლებად ლოცულობენ, რაც უფლის მიმართ სრული უნდობლობის გამოვლენის ნიშანია. ზოგჯერ მათ ეჩვენებათ, რომ ღვთის რწმენა გააჩნიათ, მაგრამ ეს მხოლოდ წუთიერი ემოციებია. ისინი ვერ აღიქვამენ საკუთარ საჭიროებას, ვერც იმას, თუ როგორ სურს უფალს, დაგვეხმაროს. ამიტომაც არ მიმართავენ მას დაჟინებით და მტკიცედ.
ჩვენი ლოცვები ისეთივე მხურვალე და დაჟინებითი უნდა იყოს, როგორც იმ მეგობრის თხოვნა, რომელიც მასთან მისული მგზავრის საჭიროებისათვის შუაღამისას პურის სათხოვნელად წავიდა. რაც უფრო გულწრფელად და დაჟინებით ვითხოვთ, მით უფრო მჭიდრო იქნება ჩვენი სულიერი კავშირი ქრისტესთან, რის შედეგადაც ჩვენი რწმენა უფრო გაიზრდება და მეტ კურთხევასაც მივიღებთ.
ჩვენი საქმეა, რწმენით ვილოცოთ და გვჯეროდეს. გამოიჩინეთ სიფხიზლე ლოცვაში. იფხიზლეთ და ითანამშრომლეთ ღმერთთან, რომელსაც თქვენი ყოველი სიტყვა ესმის. მუდამ გახსოვდეთ, რომ "ჩვენ ღვთის თანამშრომელნი ვართ" (1კორ. 3:9). შეუფარდეთ თქვენს ლოცვებს თქვენი სიტყვა და საქმე. გამოსცადეთ საკუთარი თავი: გულწრფელია თუ არა თქვენი რწმენა? ან თქვენი ლოცვა მხოლოდ უსიცოცხლო ფორმალობა ხომ არ არის?
როდესაც გზად წინააღმდეგობები და სიძნელეები შეგხვდებათ, ნუ იქნებით ადამიანის დახმარების იმედად. მიენდეთ ღმერთს. ჩვენი პრობლემების სხვებისათვის გაზიარება ჩვენვე დაგვასუსტებს და, რა თქმა უნდა, მოსაუბრესაც ვერ გააძლიერებს. პირიქით, ჩვენი სულიერი უძლურება მას მძიმე ტვირთად დააწვება, ჩვენ კი ვერაფერს გვიშველის. ჩვენ დახმარებას მოკვდავი, ცოდვილი ადამიანისაგან ველით და გვავიწყდება უცოდველი და უზენაესი ღმერთი, რომელიც მუდამ მზადაა, თავისი ძლიერი ხელი გამოგვიწოდოს.
არ ღირს საჭირო სიბრძნის საპოვნელად შორს სიარული, როცა უფალი თქვენ გვერდითაა. ვერავითარ წარმატებას ვერ მოგიტანთ ნიჭი და უნარი, რომელიც გაგაჩნიათ ან მომავალში გექნებათ. მისი მოცემა მხოლოდ უფალ ღმერთს შეუძლია. ყოველი მორწმუნე უნდა ეყრდნობოდეს არა ადამიანთა შესაძლებლობებს, არამედ ღმერთის ძალას. მას სურს, რომ რწმენით მიმართოთ და გჯეროდეთ, რომ ის უდიდეს საქმეებს გაგიკეთებთ: შეგძენთ სიბრძნესა და გონიერებას არა მხოლოდ სულიერ საკითხთა შემეცნებისათვის, არამედ მიწიერ საქმეებში წარმატების მისაღწევადაც. მას ძალუძს, განავრცოს თქვენი ინტელექტუალური შესაძლებლობანი, შეგძინოთ ოსტატობა და სიბრძნე. გამოიჩინეთ საქმის მიმართ თქვენი ძალისხმევა და მტკიცე სურვილი, სთხოვეთ უფალს სიბრძნე და მოგეცემათ.
მიიღეთ ქრისტეს სიტყვა საიმედო საწინდრად. განა არ გიხმობთ იგი თავისთან? ნურასოდეს მიეცემით სასოწარკვეთილებასა და უიმედობას საკუთარი მძიმე მდგომარეობის გამო. წინააღმდეგ შემთხვევაში ბევრს დაკარგავთ. მძიმე ვითარებით გამოწვეული შიში და სიძნელეებისა და მოსალოდნელი უბედურების გამო ჩივილი თქვენი რწმენის სისუსტეზე მეტყველებს. ისაუბრეთ და იმოქმედეთ ისე, რომ ყველამ დაინახოს თქვენი მტკიცე რწმენა.
ყოვლისშემძლეა უფალი; სამყაროს მბრძანებელია იგი. რწმენით შეხედეთ ზეცას. ლოცვით მიმართეთ ძალის, სინათლისა და ძლიერების მფლობელს.
ჭეშმარიტ რწმენას თან ახლავს ენერგია, პრინციპულობა და მიზანდასახულობა, რომელსაც ვერაფერს დააკლებს ვერც დრო და ვერც განსაცდელი. "დაიღლებიან

ყმაწვილნი და დაიქანცებიან, ჭაბუკნი კი წაბორძიკებით წაბორძიკდებიან, ხოლო უფლის მოიმედენი ძალას განიახლებენ; ასწევენ ფრთებს, როგორც არწივები, გაიქცევიან და არ დაიქანცებიან, ივლიან და არ დაიღლებიან" (ეს. 40:30,31). შესაძლოა, ბევრს აქვს სხვების დახმარების სურვილი, მაგრამ გრძნობენ, რომ სხვათა განსამტკიცებლად არ გააჩნიათ არც სულიერი ძალა და არც ზეციური ნათელი. ურჩიეთ ამ ადამიანებს, რწმენით მიაპყრონ თვალნი მადლის ტახტს, ითხოვონ ღვთის წმიდა სული. უფალი მუდამ ერთგულია თავისი სიტყვისა. ბიბლიით ხელში მიმართეთ მას და უთხარით: "უფალო, მე შევასრულე შენი სიტყვა, ახლა კი შენი დაპირებისამებრ თხოვნით მოგმართავ, რადგან შენ თავად ბრძანე: ითხოვეთ და მოგეცემათ. ეძიეთ და იპოვით. დარეკეთ და გაგეღებათ".

არა მხოლოდ ქრისტეს სახელით ლოცვის უბრალოდ აღვლენა გვმართებს, არამედ თხოვნა სულიწმიდის შთაგონებითაც. როგორც ნათქვამია: "თვით სული შუამდგომლობს ჩვენთვის გამოუთქმელი ოხვრით" (რომ. 8:26). ასეთ ლოცვაზე ღმერთი სიხარულით გვიპასუხებს. როდესაც ქრისტეს სახელით გულწრფელად და მხურვალედ ვლოცულობთ, თვით ლოცვის მგზნებარება არის გარანტი იმისა, რომ უეჭველად გვიპასუხებს უფალი - "ვისაც... შეუძლია განუზომლად მეტის კეთება, ვიდრე ჩვენ ვთხოვთ ან ვფიქრობთ" (ეფეს. 3:20).

მაცხოვარმა თქვა: "ყველაფერს, რასაც ლოცვაში ითხოვთ, გწამდეთ, რომ მიიღებთ და თქვენი იქნება" (მარკ. 11:24). "რასაც ითხოვთ ჩემი სახელით, გავაკეთებ, რათა განდიდდეს მამა ძეში" (იოან. 14:13). უფლის საყვარელი მოწაფე, იოანე, სულიწმიდით შთაგონებული, მტკიცედ და გასაგებად აცხადებს: "როცა რამეს ვთხოვთ მისი ნებისამებრ, იგი გვისმენს. ხოლო როცა ვიცით, რომ იგი გვისმენს, რასაც კი ვთხოვთ, ისიც ვიცით, რომ გვაქვს, რაც მისგან ვითხოვეთ" (1იოან. 5:14,15). მაშ, სთხოვეთ მამას ქრისტეს სახელით. უფალი პატივს სცემს ამ სახელს და აუცილებლად გიპასუხებთ.

ცისარტყელა, რომელიც გარს აკრავს უფლის ტახტს, საწინდარია იმისა, რომ უფალი ყოველი თავისი აღთქმის ერთგულია. მუდამ უცვლელია იგი და არ არის მასში ჩრდილი ცვალებადობისა. ყველამ შევცოდეთ მის წინაშე და არავინაა მისი კურთხევის ღირსი, მაგრამ მოწყალე უფალმა თავად გვასწავლა ლოცვის საოცარი სიტყვები: "ნუ უარგვყოფ შენი სახელის გულისათვის, ნუ შეარცხვენ ტახტს შენი დიდებისა, გაიხსენე და ნუ დაარღვევ შენს აღთქმას ჩვენთან" (იერ. 14:21). როცა მის წინაშე გულწრფელად ვაღიარებთ, რა უღირსი და ცოდვილი ვართ, იგი თავად გვპირდება, რომ აუცილებლად შეისმენს ჩვენს ლოცვებს. თვით მისი ტახტის სიდიადე ჩვენთვის მოცემული მისი სიტყვის სიმტკიცეზეა დაფუძნებული.

აარონის მსგავსად, რომელიც ქრისტეს პირველსახეა, ჩვენი მაცხოვარი გულით ატარებს თავის შვილთა სახელებს ზეციურ საწმიდარში. ჩვენს უდიდეს მღვდელმთავარს ახსოვს ყოველი სიტყვა, რომლითაც გვამხნევებდა და ნდობას გვინერგავდა. არასოდეს ავიწყდება მას თავისი დაპირება.

ის, ვინც მას ეძებს, იპოვის. კარი გაეღება ყველას, ვინც დააკაკუნებს. არვინ მოისმენს მისგან: "ნუ მაწუხებ, კარი დაკეტილია". არავის ეტყვის: "ვერ დაგეხმარები". მშიერ სულთა დასანაყრებლად შუაღამისას პურის მთხოვნელი აუცილებლად მიიღებს მას.

იგავში პურის მთხოვნელს ეძლევა იმდენი, "რამდენიც სჭირდება". რა საწყავით გვაძლევს ღმერთი თავის მადლს, რომელიც სხვებს უნდა გავუნაწილოთ? წმიდა წერილი გვასწავლის: "...ქრისტესმიერი ნიჭის ზომისამებრ" (ეფეს. 4:7). უფლის ანგელოზები ყურადღებით აკვირდებიან, როგორ ექცევა ადამიანი თავის მოყვასს. როცა ხედავენ, რომ ცოდვილს ვინმე ქრისტიანული თანაგრძნობით ეკიდება, ეხმარებიან მას და იმ გამამხნევებელ სიტყვებს ახსენებენ, რომელიც მის ბაგეში სიცოცხლის პურად იქცევა ცოდვილისათვის. ამგვარად, "ღმერთი აღავსებს თქვენს ყოველ საჭიროებას, თავისი სიუხვისამებრ, დიდებით ქრისტე იესოში" (ფილ. 4:19). თქვენს გულწრფელ და მართალ სიტყვებს, რომლებიც მასზე მოწმობენ, იგი მარადიული სიცოცხლის ძალას შემატებს და თქვენი ბაგეებით წარმოთქმული ღვთის სიტყვა მტკიცე და დამაჯერებელი გახდება.
რა თქმა უნდა, მოყვასთა გადარჩენისათვის თქვენს პირად ძალისხმევას წინ სხვისი თვალისათვის დაფარული მხურვალე ლოცვები უნდა უძღოდეს. ადამიანთა გადარჩენის მეცნიერება დიდ სიბრძნეს საჭიროებს. სანამ ხალხში გახვალთ, იესოსთან მიდით. ადამიანთა მსახურებისათვის მზადება ზეციურ საწმიდარში იწყება.
დაე თქვენი გული მარად ისწრაფოდეს ცოცხალი ღმერთისაკენ. ქრისტეს ცხოვრება ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენი რამ შეუძლია გააკეთოს ადამიანმა, როცა ის ღვთიურ ხასიათს ატარებს. ჩვენც შეგვიძლია, მივიღოთ ყოველივე ის, რაც ქრისტემ მამისაგან მიიღო. ითხოვეთ და მოგეცემათ. იაკობის მტკიცე რწმენითა და დაჟინებული თხოვნით, ელიას შეუპოვრობით სთხოვეთ უფალს იმის შესრულება, რასაც დაგპირდათ.
გონებაში ჩაიბეჭდეთ უფლის უდიდესი ჩანაფიქრი. უხილავი ძაფებით დაუკავშირეთ თქვენი ცხოვრება ქრისტეს ცხოვრებას. მას, ვისი ბრძანებითაც ნათელმა წყვდიადი გააპო, თქვენს გულში შემოსვლა სურს, რათა მოგანიჭოთ ღვთიური დიდების შემეცნების უნარი იესო ქრისტეში. ღვთის წმიდა სული გაგანდობთ ღვთიურ საიდუმლოებებს და ცოცხალ ძალად გარდაქმნის მას თქვენი მორჩილი გულის განსამტკიცებლად. უსასრულობის კარიბჭესთან მიგიყვანთ მაცხოვარი. და იხილავთ დიდებას, რომელიც მრავალთათვის ნისლითაა დაფარული, რათა ადამიანებს ამცნოთ სრულყოფილება უფლისა, ჩვენი მარადცოცხალი მეოხისა.

## თავი 13 - ორი მლოცველი

ლუკ. 18:9-14

"ზოგიერთებს, ვისაც სჯეროდა, რომ მართალნი იყვნენ, სხვებს კი ამცირებდნენ", ქრისტემ უამბო იგავი ფარისევლისა და მებაჟის შესახებ. ფარისეველი შედის ტაძარში სალოცავად, მაგრამ არა იმიტომ, რომ თავი მიაჩნია ცოდვილად, რომელსაც მიტევება სჭირდება, არამედ იმიტომ, რომ თავი მართალი ჰგონია და ამისათვის შექებას ელის. ლოცვას იგი მიიჩნევს საკუთარ დამსახურებად, რომელიც მას უფლის თვალში ღირსებას შესძენს და, ამავე დროს, ცდილობს, თავისი ღვთისმოსაობით ადამიანებზე შთაბეჭდილება მოახდინოს. ამასთანავე,

უფლისა და ადამიანთა კეთილგანწყობის მოპოვებას იმედოვნებს. მისი თაყვანისცემა ანგარებითაა გამოწვეული.
ფარისეველი მხოლოდ საკუთარ თავს ამკობს ქება-დიდებით, რაც კარგად ჩანს მის ლოცვაშიც, სიარულშიც და გამომეტყველებაშიც. განცალკევებულად დგას იგი, თითქოს ამბობს: "გამეცალე, ნუ მომიახლოვდები, რადგან მე შენზე წმიდა ვარ" (ეს. 65:5). დგას და ლოცულობს "თავისთვის", საკუთარი თავით სრულიად კმაყოფილი და თვლის, რომ უფლისა და ადამიანთა აღტაცებას იმსახურებს. "გმადლობ, შენ, ღმერთო, რომ არა ვარ, როგორც სხვა ადამიანები არიან - მძარცველები, უსამართლონი, მრუშნი, ან როგორც ეს მებაჟეა". საკუთარ თავს იგი უფლის სიწმიდით კი არ ზომავს, არამედ სხვა ადამიანებთან შედარებით კმაყოფილდება. მისი საზომი ღვთიური ხასიათი კი არ არის, არამედ ადამიანთა. ამიტომ იგი კმაყოფილია.
იგი განაგრძობს საკუთარ ღირსებათა ჩამოთვლას: "კვირაში ორჯერ ვმარხულობ და მეათედს ვიძლევი ყოველი ჩემი შენაძენიდან". ფარისეველი მართლაც აკეთებს ყოველივე ამას, მაგრამ მისი ღვთისმოსაობა გარეგნულია. იგი არ ილტვის ღვთიური ხასიათის თვისებების შეძენისაკენ, რათა მის გულში სიყვარულმა და მოწყალებამ დაისადგუროს. იგი კმაყოფილდება რელიგიით, რომელიც მხოლოდ მისი ცხოვრების გარეგნულ მხარეს მოიცავს. მისი სიმართლე მხოლოდ საკუთარ საქმეებს ეყრდნობა და ადამიანთა საზომით იზომება.
ის, ვისაც საკუთარი თავი მართალი ჰგონია, მაღლიდან დაჰყურებს სხვებს. თავისი თავის სხვებთან შედარებით ფარისეველი სხვებსაც საკუთარი საზომით ზომავს და სხვებთან შედარებით თავი უფრო წმიდად წარმოუდგენია. ეს საკუთარი სიმართლე უფლებას აძლევს, ამხილოს სხვები. "სხვა ადამიანებს" იგი უფლის რჯულის დარღვევაში სდებს ბრალს. და სწორედ აქ ჩანს სატანის - ძმების ცილისმწამებლის - სული. ასეთი სულით იგი ვერ შევა ღმერთთან ურთიერთობაში. და ტაძრიდან სახლში ღვთიური კურთხევის გარეშე ბრუნდება. მებაჟეც სხვა მლოცველებთან ერთად მივიდა ტაძარში, მაგრამ მალე განერიდა მათ, რადგან თავი ღმერთის ასეთი ერთგული ადამიანების გვერდით დგომისა და მათთან ერთად ლოცვის ღირსად არ ჩათვალა. "ხოლო მებაჟე მოშორებით იდგა და ვერც კი ბედავდა, რომ ცისკენ აღეპყრო თვალი". მკერდში მჯიღს იცემდა, მწარედ ტიროდა და საკუთარი თავი სძულდა, უფლის წინაშე დამნაშავედ, უწმიდურად გრძნობდა თავს. იგი არ ელოდა თანაგრძნობას იქ მყოფ ხალხთაგან, ვინაიდან ზიზღით უმზერდნენ მას. იცოდა მებაჟემ, რომ ვერაფრით გამართლდება ღვთის წინაშე და სასოწარკვეთით ლოცულობდა: "ღმერთო, შემიწყალე მე, ცოდვილი". მას აზრადაც არ მოსვლია საკუთარი თავის სხვებთან შედარება. დანაშაულის გრძნობით შეპყრობილი, იგი თითქოს მარტოდმარტო, პირისპირ იდგა ღვთის წინაშე. მისი ერთადერთი სურვილი, ერთადერთი თხოვნა იყო - მიეღო შეწყალება და სიმშვიდე. და მიიღო კიდეც კურთხევა. "თქვენ გეუბნებით, - თქვა მაცხოვარმა, - ეს უფრო გამართლებული წავიდა შინ, ვიდრე იგი".
ფარისეველი და მებაჟე ადამიანთა იმ ორი კლასის წარმომადგენელია, რომელიც ტაძარში ღვთის თაყვანსაცემად მოდის. ისინი შედარებულნი არიან ამქვეყნად დაბადებულ ორ ყრმასთან: ფარისევლის მსგავსად, კაენიც წმიდად თვლიდა თავს და უფალს მხოლოდ სამადლობელი შესაწირავი მიართვა. მას ცოდვილად

არ მიაჩნდა თავი და არც უფლის შეწყალებას საჭიროებდა. აბელმა კი შესწირა მსხვერპლი, რომლის სისხლიც ღვთის კრავზე მიუთითებდა. იგი წარდგა უფლის წინაშე, როგორც მომნანიებელი ცოდვილი. თავის ერთადერთ იმედს იგი ამყარებდა მხოლოდ უფლის უსაზღვრო სიყვარულზე, რომელსაც არაფრით იმსახურებდა. ღმერთმა მოიწონა მისი აღსავლენი, კაენისა კი უარყო.
უპირველესი პირობა უფალთან მიახლოებისა, ეს არის იმის შეგნება და აღიარება, რომ უფლის გარეშე სიცოცხლე შეუძლებელია; რომ ცოდვილნი და საცოდავნი ვართ. "ნეტარ არიან ღარიბნი სულით, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი" (მათ. 5:3).
ამ ორივე კლასის მლოცველთათვის, რომელთაც ფარისეველი და მებაჟე წარმოადგენს, კარგი გაკვეთილია პეტრე მოციქულის ისტორია. თავისი მოციქულობის პირველ დღეებში მას ფარისეველივით დიდი წარმოდგენა ჰქონდა საკუთარ თავზე; იმით იკვეხნიდა, რომ ძლიერია და ისეთი არ არის, "როგორიც სხვა ადამიანები არიან". როდესაც ქრისტემ იუდას ღალატის წინ გააფრთხილა მოწაფეები: "ყველანი ცდუნდებით", პეტრემ მტკიცედ მიუგო: "თუნდაც ყველანი ცდუნდნენ, მაგრამ მე არა" (მარკ. 14:27-29). პეტრემ არ იცოდა, რა საფრთხე ელოდა. თავდაჯერებულობამ ცუდ მდგომარეობაში ჩააგდო. იგი დარწმუნებული იყო, რომ ყოველგვარ ცდუნებას წინ აღუდგებოდა, მაგრამ სულ მალე, სულ რაღაც რამდენიმე საათში, დადგა მისი მკაცრად გამოცდის დრო, როცა პეტრემ წყევლითა და ფიცით უარყო თავისი უფალი.
და, როცა მამლის ყივილმა გაახსენა ქრისტეს სიტყვები, მაშინ მიხვდა პეტრე, თუ რა ჩაიდინა, თავზარდაცემული მიბრუნდა და უფალს შეხედა. ამ დროს მაცხოვარმაც მოიხედა და იმ ნაღვლიან, სიყვარულითა და თანაგრძნობით აღსავსე მზერაში პეტრემ ამოიცნო საკუთარი სული; გამოვიდა და მწარედ ატირდა. სულის სიღრმემდე შეძრა იგი მაცხოვრის გამოხედვამ. მის ცხოვრებაში გადამწყვეტი მომენტი დადგა და თავისი დანაშაული ცრემლით მოინანია, რაც ძლიერ ჰგავდა მებაჟის მწუხარე მონანიებას. და, მებაჟის მსგავსად, ისიც მიტევებულ და შეწყალებულ იქნა. უფლის მზერამ დაარწმუნა იგი ამაში.
ამ წუთიდან გაქრა პეტრეს თავდაჯერებულობა. მას შემდეგ აღარასოდეს გამოუჩენია მას სიამაყე და პატივმოყვარეობა.
მკვდრეთით აღდგომის შემდეგ მაცხოვარმა სამჯერ გამოსცადა პეტრე. "სიმონ იონესო, - ჰკითხა მან, - ამათზე მეტად გიყვარვარ?" მაგრამ პეტრემ ყოველგვარი სიამაყისა და ძმების დამცირების გარეშე უპასუხა მას, ვისაც მისი ფიქრების წაკითხვა შეეძლო და უთხრა: "უფალო, შენ ყველაფერი იცი. იცი, რომ მიყვარხარ" (იოან. 21:15,17).
მაშინ მიანდო მას უფალმა ისეთი მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო საქმე, როგორიც არასოდეს ჰქონია. უფლის ცხვრებსა და კრავებზე ზრუნვა დაავალა მას. როდესაც პეტრეს მათზე ზრუნვა მიანდო, ვისთვისაც საკუთარი სიცოცხლე გაწირა, მაცხოვარმა დაადასტურა, რომ სჯერა პეტრეს რწმენის საბოლოოდ განმტკიცებისა. ოდესღაც პატივმოყვარე, ამაყი, საკუთარ თავში დარწმუნებული და ფიცხი პეტრე მორჩილ და თავმდაბალ მოციქულად იქცა. მას შემდეგ მუდამ ერთგული იყო იგი თავისი უფლისა, მისთვის თავდადებული და თავგანწირული, ქრისტეს ტანჯვათა მოზიარე. და, როცა ქრისტე თავისი დიდების ტახტზე დაჯდება, პეტრეც იქნება მისი საოცარი დიდების თანაზიარი.

ცოდვა, რომელმაც პეტრე განდგომამდე მიიყვანა, ფარისეველს კი უფალთან ცოცხალ ურთიერთობაში ხელი შეუშალა, დღესაც მრავალ ადამიანს ღუპავს. სხვა არაფერია უფრო საშიში ადამიანის სულისათვის და უცხო - ღვთისათვის, ვიდრე სიამაყე და თავდაჯერებულობა. ყველა სხვა ცოდვათა შორის ეს ყველაზე უიმედო და განუკურნებელია.
პეტრეს განდგომა გამოიწვია არა წუთიერმა სისუსტემ, არამედ მისმა თანდათანობით დაცემამ. თვითდაჯერებულობამ დაარწმუნა მოციქული, რომ იგი უკვე გადარჩენილია, რამაც ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ დასწია უკან, სანამ მთლად არ დაეცა და თავისი უფალი არ უარყო. ჩვენ არასოდეს ვიქნებით ცდუნებისაგან დაცულნი აქ, წუთისოფელში; ნურც საკუთარი თავის იმედი გვექნება. თვით ყველაზე გულწრფელმა ქრისტიანებმაც კი არ უნდა თქვან ან იფიქრონ, რომ უკვე დახსნილნი არიან. ეს შეცდომაა. თავის რწმენასა და გადარჩენის იმედს ყოველი ქრისტიანი უნდა გაუფრთხილდეს, მაგრამ შეცდომისაგან არც მაშინა ვართ დაცული, როცა ქრისტიანული გზით დავდივართ და ვიცით, რომ მაცხოვარმა უკვე მიგვიღო. ღვთის სიტყვა გვასწავლის: "მრავალი გასუფთავდება, განსპეტაკდება და გამოიწრთობა" (დან. 12:10). მხოლოდ ის, ვინც გამოცდას გაუძლებს, "მიიღებს სიცოცხლის გვირგვინს" (იაკ. 1:12).
ბევრ ახლადმოქცეულ ქრისტიანს, რომელიც დარწმუნებით აცხადებს, რომ გადარჩენილია, თავდაჯერებულობის საფრთხე ემუქრება. ასეთებს ავიწყდებათ, რომ უძლურნი არიან და მუდამ ღვთიურ დახმარებას საჭიროებენ. ისინი ჯერ კიდევ არ არიან სატანის მზაკვრულ ხრიკებთან შესახვედრად მზად და ცდუნების ჟამს პეტრეს მსგავსად ცოდვათა ჭაობში ეფლობიან. ჩვენ გვაფრთხილებენ: "ვინც ფიქრობს, რომ დგას, იფრთხილოს, რომ არ წაიქცეს" (1კორ. 10:12). ჩვენი უსაფრთხოების ერთადერთი გარანტია იმაში მდგომარეობს, რომ არასოდეს დავეყრდნოთ საკუთარ თავს და ყველაფერში მივენდოთ ქრისტეს.
პეტრეს აუცილებლად უნდა შეეცნო საკუთარი ხასიათის ნაკლი და სუსტი მხარეები, რათა მიმხვდარიყო, თუ როგორ სჭირდება ღვთიური ძალა და მადლი. უფალს არ შეეძლო, დაეცვა იგი გამოცდისაგან, მაგრამ, მოციქულის სურვილის თანახმად, შეეძლო, ეხსნა დამარცხებისაგან. პეტრეს რომ ყურად ეღო უფლის გაფრთხილებები, იგი ლოცვებში იფხიზლებდა; გაფრთხილდებოდა, რომ არ წაქცეულიყო. უფალი დაეხმარებოდა, ხელს შეაშველებდა და სატანაც ვერ შეძლებდა მის დამარცხებას.
პეტრეს დაცემის მიზეზი მისი თავდაჯერებულობა იყო. და მხოლოდ მონანიებამ და მორჩილებამ განამტკიცა კვლავ იგი. პეტრეს მაგალითი იმედისა და მხნეობის მომცემია ყოველი ადამიანისათვის, რომელიც თავის დანაშაულს ინანიებს. და, თუმცა პეტრემ საშინელი ცოდვა ჩაიდინა, მაცხოვარს იგი მაინც არ მიუტოვებია. მას კარგად ახსოვდა ქრისტეს სიტყვები: "მე ვილოცე შენთვის, რომ არ დაილიოს შენი რწმენა" (ლუკ. 22:32). სინდისის ქენჯნის მტანჯველ წუთებში ქრისტეს ამ ლოცვისა და სიყვარულითა და სინანულით სავსე მზერის გახსენება დიდ ნუგეშს სცემდა პეტრეს. მკვდრეთით აღდგომისას მაცხოვარმა გაიხსენა პეტრე და ანგელოზის მეშვეობით დედაკაცებს დაავალა: "წადით, უთხარით მის მოწაფეებს და პეტრეს: აჰა, წინ მიგიძღვით გალილეისაკენ. იქ ნახავთ მას" (მარკ. 16:7). პეტრემ მოინანია დანაშაული და უფალმაც მიუტევა.

დღესაც მსგავს თანაგრძნობას ავლენს უფალი იმ ადამიანთა მიმართ, რომელთაც ვერ გაუძლეს ცდუნებას. სატანის ჩვეული ხრიკია, აცდუნოს ადამიანი, შემდეგ კი იგი, უმწეო და უიმედო, ისეთ მდგომარეობაში მიატოვოს, რომ უფლისათვის პატიების თხოვნისაც შეეშინდეს. მაგრამ რად უნდა გვეშინოდეს, როდესაც ვიცით უფლის სიტყვები: "თუ ჩაეჭიდება ჩემს სიმტკიცეს, რათა ქმნას ჩემთან მშვიდობა, ქმნას მშვიდობა ჩემთან" (ეს. 27:5). უფალმა ღმერთმა ყველაფერი გააკეთა ჩვენს განსამტკიცებლად; ყოველივე მოგვცა, რათა გაგვამხნევოს ქრისტესკენ მიმავალ გზაზე.

ქრისტემ მსხვერპლად გაიღო თავისი ნაგვემი სხეული, რათა უფლის მემკვიდრეობა გამოესყიდა და ადამიანისათვის კიდევ ერთხელ მიეცა ღმერთთან შემორიგების შესაძლებლობა. "ამიტომაც ძალუძს სრულად გადაარჩინოს ყველა, ვინც მისი შუამდგომლობით მიეახლება ღმერთს, ვინაიდან ცოცხალია მუდამ, რათა უშუამდგომლოს მათ" (ებრ. 7:25). თავისი უმწიკვლო ცხოვრებით, მორჩილებითა და გოლგოთაზე ჯვარცმით იესო ქრისტე დაღუპული კაცობრიობის მეოხი გახდა. ახლა ჩვენი მხსნელი შუამდგომლობას გვიწევს არა როგორც უბრალო მთხოვნელი, არამედ როგოც გამარჯვებული, რომელიც თამამად აცხადებს თავის გამარჯვებას. მის მიერ გაღებული მსხვერპლი სრულყოფილია. გახდა რა ჩვენი მეოხი, იგი ასრულებს თავის შუამდგომლურ მსახურებას უფლის წინაშე წარდგენილი საცეცხლურით, რომელზედაც მისი შეუბღალავი ღირსებანი და ღვთის ერთგულთა ლოცვები, მადლიერებანი და მონანიებანია დადებული. მისი სიმართლის საკმეველის საოცარი სურნელი თვით უფლისკენ მიემართება. უძვირფასესი ძღვენია იგი უფლისათვის და უზენაესის მიმტევებლური გულმოწყალება ფარავს ყველა ცოდვას.

ქრისტემ თავად შეგვცვალა ჩვენ, გახდა ჩვენი შუამდგომელი და არავის მიატოვებს. განა ის, ვისაც ყოველი მარტოდ დარჩენილი, სასიკვდილოდ განწირული ადამიანისათვის თანაუგრძვნია, ვინც საკუთარი სიცოცხლე გაწირა ადამიანის გადარჩენისათვის, არ შეიბრალებს და თანაუგრძნობს ყოველს, ვინც მიხვდება, რომ თავს ვერ გადაირჩენს?

არც ერთ მთხოვნელს არ შეხვდება მაცხოვარი გულგრილად; ყველა დაცემულს წამოაყენებს. ის, ვინც თავისი გამომსყიდველი მსხვერპლით ადამიანს ზნეობრივ ძალთა უსასრულო მარაგი შესძინა, განა ჩვენი გადარჩენისათვის არ გამოიყენებს მას? საკმარისია მის ფერხთა წინაშე განვართხოთ ჩვენი ცოდვები და ნაღველი. უსაზღვროდ ვუყვარვართ მაცხოვარს. ყოველი მისი სიტყვა და გამოხედვა გვამხნევებს და ნდობას აღგვიძრავს. იგი აყალიბებს ჩვენს ხასიათს თავისი ნებისამებრ და აკეთილშობილებს მას.

სატანის ვერავითარი ძალა ვერ დაამარცხებს ადამიანის სულს, რომელიც უბრალოდ, სრულად მიენდობა ქრისტეს. ის "აძლევს ძალას დაღლილს და უძლურს სიმტკიცეს უმატებს" (ეს. 40:29).

"თუ ვაღიარებთ ჩვენს ცოდვებს, მაშინ ის, სარწმუნო და მართალი, მოგვიტევებს ცოდვებს და განგვწმედს ყოველგვარი უკეთურებისაგან". "ოღონდ შეიცანი შენი ურჯულოება, რომ შენი უფალი ღმერთის მიმართ ჩაიდინე დანაშაული". "და გასხურებს წმიდა წყალს, და განიწმიდებით მთელი თქვენი სიბილწისაგან და ყველა თქვენი კერპისაგან განგწმედთ თქვენ" (1იოან. 1:9; იერ. 3:13; ეზეკ. 36:25).

მაგრამ, ვიდრე მოგვეტევება და შეწყალებულ ვიქნებით, საკუთარი სული უნდა შევისწავლოთ, რათა ამან გულწრფელ მონანიებამდე მიგვიყვანოს. ფარისეველმა ამ იგავში ვერ შეიცნო თავისი ცოდვილი მდგომარეობა. სულიწმიდამ ვერ შეძლო მის გულში შეღწევა, ვინაიდან მისი სული საკუთარი სიმართლისა და სიამაყის ჯავშნით იყო შემოსილი, რომელიც ანგელოზთა ხელით გალესილმა, მისი გულისკენ მიმართულმა უფლის ისრებმაც კი ვერ გაარღვია. ქრისტეს მხოლოდ იმის გადარჩენა შეუძლია, ვინც მიხვდება, რომ ცოდვილია. ქრისტე მოვიდა "გლახაკთა სახარებლად... გულშემუსვრილთა განსაკურნებლად, ტყვეთათვის თავისუფლების და ბრმათათვის თვალის ახელის გამოსაცხადებლად, ჩაგრულთა გასათავისუფლებლად" (ლუკ. 4:18). "მკურნალი ჯანმრთელებს კი არა, სნეულებს სჭირდებათ" (ლუკ. 5:31). ჩვენ აუცილებლად უნდა ვიცოდეთ საკუთარი გულის ჭეშმარიტი მდგომარეობა, სხვაგვარად ქრისტეს დახმარების საჭიროებას ვერ ვიგრძნობთ. თუკი არ გვეცოდინება, რა ხიფათი გველის, თავშესაფრის ძებნას არ დავიწყებთ; თუკი ვერ ვიგრძნობთ წყლულების ტკივილს, განკურნების საჭიროებასაც ვერ შევიცნობთ.
მაცხოვარი გვაფრთხილებს: "შენ ამბობ: მე მდიდარი ვარ, გავმდიდრდი და არაფერი მაკლიაო. ის კი არ იცი, რომ უბედური ხარ და საცოდავი, ღატაკი, ბრმა და შიშველი. მე გირჩევ იყიდო ჩემგან ცეცხლით განწმედილი ოქრო, რომ გამდიდრდე, და თეთრი შესამოსლები, რომ შეიმოსო და აღარ ჩანდეს შენი სიშიშვლის აუგი, და თვალის მალამო, რათა წაიცხო თვალებზე, რომ ხედავდე" (გამოცხ. 3:17,18). ცეცხლით განწმედილი ოქრო - ეს არის სიყვარულით მოქმედი რწმენა. მხოლოდ მას შეუძლია ჩვენი უფალთან ურთიერთობის მოწესრიგება.
შესაძლოა, ჩვენ განუწყვეტლად, აქტიურად ვიშრომოთ და ვაკეთოთ უფლის საქმეები, მაგრამ სიყვარულის გარეშე, იმ უსაზღვრო სიყვარულისა, რომელიც ქრისტეს ჰქონდა, ვერასოდეს გავხდებით ზეციური ოჯახის წევრი.
ვერავინ შეიცნობს თავის ნაკლს საკუთარი მცდელობით. "ყველაზე ცბიერია გული, გაუსწორებელია, ვინ შეიცნობს მას?" (იერ. 17:9). ბაგეს შეუძლია, წარმოთქვას საკუთარი სულის სიდუხჭირე, მაგრამ გულმა არ აღიაროს იგი.
შესაძლოა, ვაღიაროთ უფლის წინაშე, რომ საშინლად ცოდვილნი და სულით ღარიბნი ვართ, მაგრამ, იმავდროულად, ჩვენი გული ამაყობდეს საკუთარი თავმდაბლობის, მორჩილებისა და სიმართლის გამო. საკუთარი თავის შეცნობის მხოლოდ ერთი გზა არსებობს: ქრისტეს შეცნობა. ადამიანი სწორედ იმიტომ ამაყობს საკუთარი სიწმიდითა და სიმართლით, რომ არ იცნობს ღმერთს.
საკუთარ ნაკლს, მანკიერებას, უძლურებასა და სულის სიღარიბეს - როგორიც სინამდვილეში ვართ - მხოლოდ მაშინ მივხვდებით, როცა მის სრულყოფილებასა და სიწმიდეს შევიცნობთ. მხოლოდ მაშინ დავინახავთ, თუ როგორ გამოვეწყვეთ საკუთარი სიმართლის სამოსელში; რომ არაფრით განვსხვავდებით სხვა იმედდაკარგულ, გზააბნეულ ცხვართაგან და მივხვდებით, რომ, თუკი ოდესმე გადავრჩებით კიდეც, ეს მოხდება არა ჩვენი ღირსებებითა და დამსახურებით, არამედ უფლის დიდმოწყალებითა და მადლით.
მებაჟის ლოცვა შესმენილ იქნა იმიტომ, რომ მის მუდარაში უფლისადმი სრული ნდობა ჩანდა. იგი გრძნობდა, რომ მისი ყოფნა-არყოფნა მხოლოდ უფალზეა დამოკიდებული და მის ყოვლისშემძლე ხელს მიენდო. იცის მებაჟემ, რომ მასში არაფერია წმიდა; რომ მისი სული ცოდვითა და სირცხვილითაა სავსე. ასეთად უნდა დაინახოს საკუთარი თავი უფლის ყოველმა მძებნელმა და

რწმენით, რომელიც უარყოფს ყოველგვარ თვითდაჯერებულობას, უფლის უზენაეს ძალას უნდა მიენდოს.
ვერავითარი სხვა, გარეშე რიტუალი ვერ შეცვლის ღვთისადმი უბრალო რწმენასა და საკუთარი ეგოიზმის უარყოფას. მაგრამ საკუთარი ძალისხმევით ვერავინ შეძლებს, გათავისუფლდეს მისგან. ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ ნება დავრთოთ მაცხოვარს, შეასრულოს ჩვენში ეს საქმე. ჩვენი სული უნდა ღაღადებდეს: "უფალო, მიიღე ჩემი გული, რადგან თავად მისი მოცემა არ შემიძლია. იგი შენ გეკუთვნის. განწმიდე იგი, რადგან თავად არ ძალმიძს მისი წმიდად შენახვა შენთვის. მიხსენ ჩემი "მე"-ს წინააღმდეგობის მიუხედავად მე, სუსტი, ცოდვილი ადამიანი, რომელმაც დაკარგა შენი ხატება და მსგავსება. გარდაქმენი ჩემი სული და განაახლე იგი. ამამაღლე ზეცის წმიდა მწვერვალებამდე, სადაც შენი სიყვარულის უხვი ნაკადი განმბანს ჩემი ცოდვისაგან".
საკუთარი "მე"-ს ამგვარად უარყოფა და სულის განახლება უნდა ხდებოდეს არა მხოლოდ ჩვენი ქრისტიანული ცხოვრების დასაწყისში, არამედ ზეცისკენ მიმავალ გზაზე ყოველი ნაბიჯის გადადგმისას. ჩვენი კეთილი საქმეები ჩვენ გარეშე ძალებზეა დამოკიდებული. ამიტომ ჩვენი გული მუდამ ღვთისაკენ უნდა ისწრაფოდეს. მუდამ გულწრფელად, მორჩილი გულით, მხურვალედ უნდა ვაღიარებდეთ საკუთარ ცოდვებს უფლის წინაშე. მხოლოდ საკუთარი ეგოიზმის მუდმივი უარყოფით, გულის განახლებითა და მაცხოვრისადმი ნდობით შეგვიძლია, ვიცხოვროთ უშიშრად.
რაც უფრო ახლოს გავიცნობთ მაცხოვარს და ვიხილავთ მის წმიდა, სრულყოფილ ხასიათს, მით უფრო ნათლად დავინახავთ ცოდვის საშინელებას და დაგვეკარგება საკუთარი თავის ამაღლებისა და განდიდების სურვილი. ისინი, ვისაც ზეცა წმიდად შერაცხავს, ყველაზე ნაკლებად იამაყებენ საკუთარი საქმეებით. პეტრე მოციქული ქრისტეს ერთგული მსახური იყო და უხვადაც დააჯილდოვა ზეცამ ღვთიური ნათლითა და ძალით. იგი აქტიური მონაწილე იყო ქრისტეს ეკლესიის დაფუძნების საქმეში, მაგრამ არასოდეს დავიწყებია თავისი საშინელი დაცემა. მართალია, ცოდვა მიეტევა, მაგრამ კარგად იცოდა, რომ მისი ხასიათის ის ნაკლი, რომელმაც ასე დასცა იგი, საბოლოოდ მხოლოდ ქრისტეს მადლით აღმოიფხვრებოდა. იგი ვერაფერს ხედავდა საკუთარ თავში ისეთს, რითაც იამაყებდა.
რომელიმე მოციქულსა თუ წინასწარმეტყველს არასოდეს განუცხადებია, რომ უცოდველია. ადამიანები, რომლებიც ყველაზე ახლოს იყვნენ ღმერთთან, რომლებიც შეგნებულად დანაშაულის ჩადენას სიკვდილს ამჯობინებდნენ, რომლებიც ღვთიური ძალითა და მადლით იყვნენ დაჯილდოებულნი, ყოველთვის აღიარებდნენ, რომ ცოდვილნი არიან. ისინი არასოდეს ენდობოდნენ საკუთარ ხორცს, არასოდეს ამაყობდნენ თავიანთი სიმართლითა და სიწმიდით. მათ მხოლოდ ქრისტეს სიმართლისა და მიტევების იმედი ჰქონდათ. ასევე მოიქცევა ყველა, ვინც ჩვენი მხსნელისა და მაცხოვრის, იესო ქრისტეს ავტორიტეტს დაეყრდნობა.
ჩვენს ქრისტიანულ ცხოვრებაში ყოველ ახალ გადადგმულ ნაბიჯთან ერთად უფრო გაღრმავდება ჩვენი მონანიებაც. სწორედ იმ ადამიანთა მიმართ წარმოთქვა უფალმა ეს სიტყვები, რომელთაც მიუტევა და თავისი ერი უწოდა: "და გაიხსენებთ თქვენს ბოროტ გზებს და თქვენს მოქმედებას, რომელიც

უკეთურია, და შეგძაგდებათ თქვენი თავი თქვენი ურჯულოებისა და თქვენს სისაძაგლეთა გამო" (ეზეკ. 36:31). და შემდეგ განაგრძობს: "და მე აღვადგენ ჩემს აღთქმას შენთან და მიხვდები, რომ მე ვარ უფალი, რათა გაიხსენო და შეგრცხვეს და აღარ გქონდეს შენ მეტად გასახსნელი პირი შენი სირცხვილის გამო, როდესაც მოგიტევებ ყოველივეს, რაც გააკეთე. - სიტყვა უფალი ღმერთისა" (ეზეკ. 16:62,63). მაშინ მართლაც ვერ გავხსნით ბაგეს საკუთარი თავის განსადიდებლად. გვეცოდინება, რომ მხოლოდ ქრისტეა ჩვენი ციხე-სიმაგრე. მაშინ გავითავისებთ მოციქულის ნათქვამს: "თუ დავიკვეხო, მხოლოდ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ჯვრით, რომლითაც სოფელია ჯვარცმული ჩემთვის და მე სოფლისთვის" (გალ. 6:14).
ამ გამოცდილებასთან სრული თანხმობით ჟღერს მოწოდება: "შიშით და ძრწოლით იღვაწეთ თქვენს სახსნელად. ღმერთი დაბადებს თქვენში სურვილსაც და მოქმედებასაც თავისი სათნოებით" (ფილიპ. 2:12,13). ამ სიტყვებში არ არის უფლისაგან მუქარა იმის შესახებ, რომ იგი თავის აღთქმას არ შეასრულებს, მოთმინებას დაკარგავს ან მისი თანაგრძნობის წყარო დაშრება. უნდა გვეშინოდეს მხოლოდ იმისა, რომ არაფერი მოვისურვოთ უფლის ნების საწინააღმდეგოდ; რომ ჩვენი ცხოვრება არ მართოს ჩვენი ხასიათის თანდაყოლილმა თუ შეძენილმა თვისებებმა. თავად "ღმერთი დაბადებს თქვენში სურვილსაც და მოქმედებასაც თავისი სათნოებით". გაფრთხილდით, რომ თქვენი საკუთარი "მე" არ ჩადგეს თქვენ და თქვენს უფალს შორის, რომელიც თქვენში შრომობს. გეშინოდეთ, რომ თქვენმა სურვილებმა არ დაამახინჯოს ის უზენაესი მიზანი, რომლის ჩვენში და ჩვენით განხორციელება სურს უფალს; გეშინოდეთ საკუთარ ძალებზე დაყრდნობისა, ქრისტესთან დაშორებისა და მის გარეშე ცხოვრებისა.
უნდა მოვერიდოთ ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერს, რაც ჩვენში სიამაყისა და თავდაჯერებულობის განმტკიცებას უწყობს ხელს: ხოტბის შესხმასა და პირფერობას როგორც საკუთარი, ასევე სხვების მისამართით. პირმოთნეობა - ეს სატანის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ხრიკია. იგი ისეთივე წარმატებით იყენებს მას, როგორც ცილისწამებასა და ბრალდებას. ამ ხერხებით ესწრაფვის იგი ადამიანის დაღუპვას. საკუთარ იარაღად იყენებს იგი იმ პირმოთნე ადამიანებს, რომელნიც სხვებს ქება-დიდებით ამკობენ. ქრისტეს მსახურმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიიღოს მის მიმართ თქმული სადიდებელი სიტყვები. ნუ შეუწყობთ ხელს თქვენში საკუთარი "მე"-ს აღზევებას. მხოლოდ ქრისტეა ღირსი დიდებისა. მხოლოდ მას ეკუთვნის ყოველი ადამიანის გულიდან ამოსული ქება-დიდების სიტყვები; მას, "რომელმაც შეგვიყვარა და საკუთარი სისხლით გვიხსნა ჩვენი ცოდვებისაგან" (გამოცხ. 1:5).
ღვთისმოშიში ადამიანის ცხოვრებაში ადგილი არა აქვს ნაღველსა და სასოწარკვეთას. სახეს სასოწარკვეთილებისა და მწუხარების ბეჭედი მხოლოდ მაშინ ადევს, როდესაც ადამიანი შორსაა ქრისტესგან. ასეთი ადამიანის ცხოვრება მეტად მძიმეა და მწარე. ის, ვინც საკუთარი ეგოიზმის ტყვეა და მხოლოდ საკუთარი თავი ადარდებს, არ საჭიროებს ქრისტესთან პირად, ცოცხალ ურთიერთობას. გული, რომელიც კლდეზე (ქრისტეზე) არ დაცემულა და არ დამსხვრეულა, ამაყობს თავისი სიმრთელით. ადამიანები ხშირად ეძებენ ისეთ რელიგიას, რომელიც საკუთარი ღირსების გრძნობას განუმტკიცებს მათ. თავიანთი ღირსებების სატარებლად ისინი ფართო გზას ირჩევენ.

თავმოყვარეობა, სახელის განთქმის სურვილი და დიდებისაკენ სწრაფვა მთლიანად ავსებს მათს გულს და მასში აღარ რჩება ადგილი მაცხოვრისათვის. მაგრამ ქრისტეს გარეშე მათი ხვედრია მწუხარება და სასოწარკვეთილება. ადამიანის გულში მყოფი ქრისტე კი სიცოცხლისა და სიხარულის დაუშრეტელი წყაროა. მისთვის, ვინც ქრისტე უკვე იპოვა, მისი სიტყვის თითოეული ბგერაც კი დიდი სიხარული და ბედნიერებაა.
"რადგან განდიდებული და ამაღლებული ამბობს ასე, მარადმყოფი და რომლის სახელი წმიდაა: მაღალ და წმიდა ადგილზე ვდგავარ მე, მაგრამ შემუსვრილთან და სულით თვინიერთან, რათა გამოაცოცხლოს თვინიერთა სული, და გამოაცოცხლოს შემუსვრილთა გული" (ეს. 57:15).
კლდეთა ნაპრალებში იყო ჩამალული მოსე, როცა ღვთის დიდება იხილა. ასევე ჩვენც: მხოლოდ ქრისტეში, მხოლოდ მისი განგმირული ხელით დაფარულნი გავიგონებთ უფლის ხმას, თავის ერთგულთ რომ დაელაპარაკება. და ჩვენც ისევე, როგორც მოსეს, მოგვევლინება "უფალი, ღმერთი შემბრალე და მოწყალე, სულგრძელი და დიდად მოწყალე, და ჭეშმარიტი, ინახავს წყალობას ათასეულებისათვის, შეუნდობს ბრალს და დანაშაულს, და ცოდვას" (გამ. 34:6,7).
მეტად ძნელია ადამიანისათვის გამოსყიდვის საქმის შედეგების წარმოდგენა. "რაც თვალს არ უნახავს, ყურს არ სმენია, კაცს გულში არ გაუვლია, ღმერთმა ის მოუმზადა თავის მოყვარულებს" (1კორ. 2:9). როდესაც ქრისტეს ძალით მოწოდებული ცოდვილი ჯვარცმული ქრისტეს წინაშე გულს მოიდრეკს, იგი უკვე ახალი ქმნილებაა. ახალი გულია მასში და ხელახლა იშობა იგი იესო ქრისტეში. სიწმიდისათვის მეტი არაფერია საჭირო. ღმერთი თავად არის "მართალი და იესოს მორწმუნის გამმართლებელი" (რომ. 3:26). "და ვინც გაამართლა, კიდეც განადიდა" (რომ. 8:30). გადატანილ სირცხვილზე და დაცემაზე უფრო მეტი, შეუდარებლად დიდი იქნება განდიდება და აღზევება ქრისტეს გამომსყიდველი სიყვარულის მეშვეობით. უფლის ბუნებისა და ხასიათის შეძენის მსურველთა და მოშურნეთათვის მომზადებულია ზეციური საგანძური - უპირატესობანი, რომელნიც წმინდა ანგელოზებზე მეტად აღამაღლებს მათ.
"ასე უთხრა უფალმა, ისრაელის მხსნელმა და მისმა წმიდამ ადამიანთაგან აბუჩად აგდებულთ... მეფენი იხილავენ და აღდგებიან, მთავარნი კი თაყვანს სცემენ უფლის გულისათვის, რომელიც მტკიცეა, ისრაელის წმიდას, რომელმაც ამოგარჩია" (ეს. 49:7).
"ვინაიდან ყველა, ვინც თავს აიმაღლებს, დამდაბლდება, და ვინც თავს დაიმდაბლებს - ამაღლდება" (ლუკ. 14:11).

## თავი 14 - "განა ღმერთი არ დაიცავს თავის რჩეულთ?"

ლუკ. 18:1-8

ქრისტე საუბრობდა დროის იმ მონაკვეთისა და განსაცდელის შესახებ, რომელიც ყოველ მორწმუნეს უშუალოდ მისი მოსვლის წინ დაუდგება. სწორედ ამ

მოვლენებს დაუკავშირა მან იგავი იმის შესახებ, "რომ ყოველთვის უნდა ილოცონ და არ მობეზრდეთ".
"ერთ ქალაქში იყო ერთი მსაჯული, ღვთისა არ ეშინოდა და ხალხისა არ რცხვენოდა. იმავე ქალაქში ცხოვრობდა ერთი ქვრივი. მივიდა მასთან და უთხრა: დამიცავი ჩემი მოქიშპისაგან. დიდხანს უარობდა. მერე თავისთვის თქვა: მართალია, ღვთისა არ მეშინია და ხალხისა არ მრცხვენია, მაგრამ, რაკი ეს ქვრივი მოსვენებას არ მაძლევს, დავიცავ, რომ აღარ მოვიდეს და თავი არ მომაბეზროს. თქვა უფალმა: გესმით, რას ამბობს უსამართლო მსაჯული? განა ღმერთი არ დაიცავს თავის რჩეულთ, რომელნიც დღედაღამ მას შეღაღადებენ, და არ იქნება სულგრძელი მათდამი? თქვენ გეუბნებით: მალე დაიცავს მათ". ამ იგავში წარმოდგენილ მოსამართლეს არც სამართლიანობისადმი პატივისცემა გააჩნია და არც გაჭირვებულთა მიმართ თანაგრძნობა. ქვრივს, რომელიც მისგან დაცვასა და მფარველობას ითხოვდა, მუდამ უარით ისტუმრებდა. ქვრივი მასთან სიარულს არ წყვეტდა, თუმცა მხოლოდ უსამართლობასა და გულგრილობას აწყდებოდა. მოსამართლემ იცოდა, რომ ქვრივი მართალი იყო და თავიდანვე უნდა დახმარებოდა, მაგრამ არ მოისურვა. მოსამართლეს თავისი ხელმწიფებისა და სიძლიერის გამოჩენა სურდა, ქვრივის დაუსრულებელი ხვეწნა-მუდარა და ამაო თხოვნა კი მართლმსაჯულების ამპარტავან დამცველს სიამოვნებას ანიჭებდა. მაგრამ ქვრივი იმედს არ კარგავდა და, მისი უსამართლობისა და გულგრილობის მიუხედავად, კვლავ განაგრძობდა თხოვნას მანამ, სანამ მოსამართლემ მისი საქმის შესწავლა არ დაიწყო. "მართალია, ღვთისა არ მეშინია და ხალხისა არ მრცხვენია, - თქვა მან, - მაგრამ, რაკი ეს ქვრივი მოსვენებას არ მაძლევს, დავიცავ, რომ აღარ მოვიდეს და თავი არ მომაბეზროს". საკუთარი რეპუტაციის გადასარჩენად და მიკერძოებასა და უსამართლობაში მხილების შიშით მან გადაწყვიტა, დაეცვა ეს ქვრივი.
"თქვა უფალმა: გესმით, რას ამბობს უსამართლო მსაჯული? განა ღმერთი არ დაიცავს თავის რჩეულთ, რომელნიც დღედაღამ მას შეღაღადებენ, და არ იქნება სულგრძელი მათდამი? თქვენ გეუბნებით: მალე დაიცავს მათ". აქ მაცხოვარი გვიჩვენებს იმ უდიდეს განსხვავებას, რომელიც ამ უსამართლო მსაჯულსა და ღმერთს შორის არსებობს. მოსამართლემ, ბოლოს და ბოლოს, შეიწყნარა ქვრივი, მაგრამ მან ეს მხოლოდ საკუთარი ინტერესების დასაცავად და ქვრივის თავიდან მოსაშორებლად გააკეთა და არა მის მიმართ სიბრალულისა და თანაგრძნობის გამო. ამ საცოდავი ქალის უბედურება მისთვის არაფერს ნიშნავდა. სულ სხვაა ღმერთის იმ ადამიანებისადმი დამოკიდებულება, რომლებიც მას ეძებენ. და რაოდენ დიდია უფლის თანაგრძნობა და სიბრალული მაშვრალთა და გაჭირვებულთა მიმართ.
ქალი, რომელიც სასამართლოში სიმართლის საპოვნელად მივიდა, ქვრივი იყო. ამ მარტოხელა, საბრალო ქალმა ვეღარ დაიბრუნა თავისი ადრინდელი მდგომარეობა. ასეა ნებისმიერი ადამიანი, რომელმაც დანაშაულის გამო ღმერთთან კავშირი დაკარგა. თავად მას ხსნის არავითარი საშუალება არ გააჩნია. მაგრამ ქრისტეს მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია, დავიბრუნოთ უფალთან სიახლოვე. უფლის რჩეულნი მეტად ძვირფასნი არიან მამისათვის. ეს ის ადამიანები არიან, რომელნიც უფალმა ამქვეყნიური წყვდიადიდან თავისი დიდების საოცარ ნათელში გამოიყვანა, რათა ისინი წუთისოფლის სიბნელისათვის ანთებულ სანთლებად აქციოს. უსამართლო მსაჯულს სულ არ

აინტერესებდა მასთან მოსული სიმართლის მძებნელი ქვრივის დაცვა, მაგრამ მობეზრდა ქალის დაუსრულებელი თხოვნა და იძულებული გახდა, დაეცვა იგი მოქიშპისაგან. ღმერთს კი უსაზღვროდ და უანგაროდ უყვარს თავისი შვილები. უფლისათვის დედამიწაზე ყველაზე ძვირფასი მისი ეკლესიაა.
"რადგან უფლის წილი მისი ხალხია. იაკობი სამემკვიდრო ხვედრია მისი. მან იპოვა იგი უდაბურ ქვეყანაში. უსახურობაში და უდაბნოს ყმუილში. თავს ევლებოდა იგი, თავისი თვალისჩინივით უფრთხილდებოდა მას" (რჯლ. 32:9,10).
"რადგან ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: დიდების შემდეგ მიმავლენს ხალხებთან, რომლებიც გძარცვავენ შენ, რადგან თქვენი შემხებარე მისი თვალის გუგის შემხებარეა" (ზაქ. 2:8).
ქვრივის თხოვნა: "დამიცავი ჩემი მოქიშპისაგან" - ამ იგავში ღვთის შვილთა ლოცვის სიმბოლოა. მათი უდიდესი მოქიშპე სატანაა. იგია "ჩვენი ძმების ცილისმწამებელი", რომელიც დღე და ღამე ბრალს სდებს და ცილს სწამებს მათ უფლის წინაშე (გამოცხ. 12:10). იგი მუდამ იმის მცდელობაშია, როგორმე ღვთის ხალხი დაადანაშაულოს, მოატყუოს და დაღუპოს. და მაცხოვარი ამ იგავში სწორედ სატანისა და მის მსახურთაგან თავის დასაცავად ასწავლის თავის მოწაფეთ, დაჟინებით ილოცონ.
ზაქარიას წინასწარმეტყველებაში აღწერილია სატანის მცდელობა, ბრალი დასდოს ადამიანებს და ქრისტეს საპირისპირო მოქმედება თავისი ხალხის კაცობრიობის მტრისაგან დასაცავად. წინასწარმეტყველი ამბობს: "დამანახვა მან იესო მღვდელმთავარი, უფლის ანგელოზის წინაშე მდგარი, და სატანა, მის ხელმარჯვნივ მდგარი მის მოსაყივნებლად. უთხრა უფალმა სატანას: გიკრძალავს უფალი, სატანავ! გიკრძალავს უფალი, რომელმაც იერუსალიმი აირჩია! განა ეს ცეცხლიდან მოწყვეტილი მუგუზალი არ არის? იესოს წვირიანი სამოსელი ეცვა და იდგა ანგელოზის წინაშე" (ზაქ. 3:1-3).
ღვთის ხალხი აქ სამსჯავროს წინაშე მდგარ დამნაშავედაა გამოყვანილი. იეჰოცადაკის ძე იესო, როგორც მღვდელმთავარი, კურთხევას ითხოვს თავისი ხალხისათვის, რომელიც დიდ განსაცდელშია ჩავარდნილი. მის მარჯვნივ კი დგას მისი მოწინააღმდეგე სატანა, რომელიც ბრალს სდებს ღვთის შვილთ და ცდილობს, სრულიად უიმედოდ წარადგინოს მათი საქმე უფლის წინაშე. იგი მიუთითებს მათს შეცდომებზე, ნაკლზე, მათს დანაშაულსა და ცოდვებზე იმ იმედით, რომ მათი გამოსწორების უიმედობის გამო ქრისტე უარს იტყვის მათ დახმარებაზე. იესოს, როგორც ღვთის ხალხის წარმომადგენელს, წაყენებული აქვს ბრალდება და ჭუჭყიანი სამოსელი აცვია. მან კარგად იცის თავისი ხალხის ცოდვილი მდგომარეობა და მეტად დათრგუნვილია მძიმე ბრალდებებით. სატანის ბრალდება სულს უმძიმებს და უიმედობით ავსებს მას. და, მიუხედავად სატანის ასეთი თავდასხმისა, იგი მაინც დგას და განაგრძობს თხოვნას.
ცილისწამების საქმე სატანამ ჯერ კიდევ ზეცაში დაიწყო. ადამიანის დაცემის შემდეგ კი ეს დამღუპველი საქმიანობა მან დედამიწაზე განაგრძო, რაც განსაკუთრებით მწვავე ხასიათს მიიღებს წუთისოფლის ისტორიის დასასრულის მოახლოებასთან ერთად. როდესაც დაინახავს, რომ დრო ცოტა დარჩა, სატანა უფრო გულმოდგინედ, შეუპოვრად იმოქმედებს, რათა მრავალნი აცდუნოს და დაღუპოს. ახლა კი მის უდიდეს რისხვას იწვევენ ადამიანები, რომლებიც, თუმცა უძლურნი და ცოდვილნი არიან, მაგრამ მაინც იცავენ დიდ იეჰოვას

მცნებებს. და მზაკვარი ცდილობს, ხელი შეუშალოს მათ უფლის რჯულის დაცვაში. უდიდესი სიხარული იპყრობს მას, როცა ღვთის შვილნი რაიმეში ცდებიან და ყველა ხერხს მიმართავს მათი ცდუნებისათვის, რათა ისინი ღმერთს დააშოროს. სატანა ცილს სწამებს ღმერთსაც და იმ ადამიანებსაც, რომლებიც ხელს უწყობენ უზენაესს მისი გეგმების განხორციელებაში, მოწყალებისა და სიყვარულის, თანაგრძნობისა და მიტევების საქმეების ხორცშესხმაში.
ღვთიური ძალის ყოველი გამოვლინება მის ხალხში სატანის საშინელ გაშმაგებას იწვევს. იმ დროს, როცა უფალი ადამიანთა კეთილდღეობისათვის ზრუნავს, სატანა გაორკეცებული ენერგიით ცდილობს მათ დაღუპვას. მას სძულს ყოველი, ქრისტეში გაძლიერებული. მისი მიზანია, ბოროტებისკენ უბიძგოს ხალხს და, როცა საწადელი უსრულდება, ბოროტებაში სწორედ იმას ადანაშაულებს, ვინც თავადვე აცდუნა. იგი მიუთითებს მათს გასვრილ სამოსელზე, მათს არასრულყოფილ ხასიათზე, მათს ნაკლსა და სუსტ მხარეებზე, მათს უმადურობაზე; იმაზე, რომ ეს ხალხი სრულებით არ ჰგავს ქრისტეს და მხოლოდ არცხვენს თავის მხსნელს. და აცხადებს, რომ ყოველივე ამის გამო მას აქვს უფლება, დაღუპოს ისინი. სატანა ცდილობს, შეაშინოს ადამიანები იმით, რომ მათი მდგომარეობა უიმედოა და უწმიდურებასა და მანკიერებას აღარაფერი ეშველება; ცდილობს, იმდენად შეურყიოს მათ რწმენა და ისე აცდუნოს, რომ საბოლოოდ განუდგნენ ღმერთს.
ღვთის ხალხს თავად არ ძალუძს, უპასუხოს სატანის ბრალდებას. ისინი კარგად ხედავენ თავიანთ მანკიერებას და სასოწარკვეთილებამდე მიდიან, მაგრამ იციან, რომ ჰყავთ ღვთიური შუამდგომელი, მაცხოვარი, რომელიც თავისი საქმეებითა და დამსახურებით ამართლებს მათ. ღმერთი თავად არის "მართალი და იესოს მორწმუნის გამმართლებელი" (რომ. 3:26). ღვთის შვილნი მთელი გულით ევედრებიან მაცხოვარს, უარყოს სატანის ბრალდებები და ამხილოს მისი მზაკვრობა. "დამიცავი ჩემი მოქიშპისაგან", - ევედრებიან ისინი და გოლგოთის ჯვრის დიდებული არგუმენტით აჩუმებს ქრისტე გამძვინვარებულ ცილისმწამებელს.
"უთხრა უფალმა სატანას: გიკრძალავს უფალი, სატანავ! გიკრძალავს უფალი, რომელმაც იერუსალიმი აირჩია! განა ეს ცეცხლიდან მოწყვეტილი მუგუზალი არ არის?" როცა სატანამ ღვთის ხალხის სულიერ წყვდიადში გახვევა და დაღუპვა მოისურვა, ქრისტე წინ აღუდგა მას. თუმცა ადამიანებმა შესცოდეს, მაგრამ ქრისტემ თავად იტვირთა მათი ცოდვები; წყვდიადს გამოსტაცა ადამიანები ცეცხლიდან მოწყვეტილი მუგუზლებივით. თავისი ხორციელი თვისებებით ქრისტე ადამიანებთან მჭიდროდაა დაკავშირებული, თავისი ღვთიური ბუნებით კი მარად ცოცხალ ღმერთთანაა შერწყმული. და მას ძალუძს, უშველოს ცოდვილ ადამიანს და მოხსნას ყველაზე მძიმე ბრალდება.
"იესოს წვირიანი სამოსელი ეცვა და იდგა ანგელოზის წინაშე. მიუგო და უთხრა ანგელოზმა თავის წინაშე მდგომთ: გახადეთ წვირიანი სამოსელი! უთხრა მას: აჰა, წარგხოცე უკეთურება და საზეიმო სამოსლით შეგმოსავ. თქვა: დაახურონ თავზე სუფთა თავსაბურველი და ჩააცვან სამოსელი. უფლის ანგელოზი კი იდგა. გამოუცხადა უფლის ანგელოზმა იესოს და უთხრა: ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: თუ ჩემი გზებით ივლი და ჩემს სამსახურს შეასრულებ, გაუძღვები ჩემს სახლს და თვალყურს ადევნებ ჩემს ეზოებს,

მოგცემ მისასვლელს აქ მდგომარეთა შორის" (ღვთის ტახტთან მყოფ ანგელოზთა შორისაც კი) (ზაქ. 3:3-7). ასეთი საზეიმო აღთქმა გამოუცხადა ღვთის ანგელოზმა ცაბაოთ უფლის სახელით იესოს, რომელიც უზენაესის წინაშე წარდგა, როგორც ღვთის ხალხის წარმომადგენელი.
მიუხედავად იმისა, რომ ღვთის ხალხს მრავალი ნაკლი აქვს, მაცხოვარი არ ტოვებს მათ თავისი სიყვარულისა და მზრუნველობის გარეშე. იგი მის მორწმუნეთ ხდის ჭუჭყიან, ცოდვებით დასვრილ სამოსელს და თავისი სიმართლის სამოსელს აცმევს, აკმაყოფილებს მათს თხოვნას მიტევების შესახებ და აღნიშნავს ამას ზეციურ წიგნებში მათი სახელების გასწვრივ. იგი თავის ერად აცხადებს მათ მთელი სამყაროს წინაშე. სატანას კი მკაცრად ამხილებს, როგორც მზაკვარსა და მაცდურს. უფალი ღმერთი სამართლიანობას იჩენს თავისი რჩეული ხალხის მიმართ.
ლოცვა: "დამიცავი ჩემი მოქიშპისაგან" - დაცვას ითხოვს არა მხოლოდ სატანისაგან, არამედ მის ცრუ მსახურთაგანაც, რომელნიც ატყუებენ და ღუპავენ ადამიანებს. ისინი, ვინც უფლის მცნებათა აღსრულების გზით სიარული გადაწყვიტა, საკუთარი გამოცდილებით მიხვდებიან, თუ რა ძლიერ ბოროტ, ბნელ ძალებთან აქვთ საქმე. ეს მტრები დაბრკოლებას უქმნიდნენ ქრისტეს ყოველ ნაბიჯს, მოქმედებდნენ რა ადამიანისათვის უჩვეულო სიჯიუტითა და შეუპოვრობით. ქრისტეს მოწაფენი, თავიანთი უფლის მსგავსად, მუდამ ხვდებოდნენ წუთისოფელში მსგავს ცდუნებებს.
წმიდა წერილი გვამცნობს, თუ რა მდგომარეობა იქნება წუთისოფელში ქრისტეს მეორედ მოსვლისას. იაკობ მოციქული გვეუბნება, რომ დედამიწაზე ძლიერ იმატებს სიხარბე და ძალადობა. იგი წერს: "ახლა თქვენც იტირეთ, მდიდრებო... დაუნჯებული გაქვთ განძი უკანასკნელი დღეებისათვის. აჰა, მუშაკთა საზღაური, რომელიც დაუკავეთ თქვენი ყანების მომკელთ, ღაღადებს, და მომკელთა ღაღადი უფალ ცაბაოთის ყურამდე აღწევს. თქვენ განცხრომას ეძლეოდით ქვეყანაზე და ნებივრობდით, თითქოს დაკვლის დღისთვის გულები დაისუქეთ. თქვენ მსჯავრი დასდეთ და მოჰკალით მართალი, ის კი არ გაგიძალიანდათ" (იაკ. 5:1-6). იგივე სურათს ვუმზერთ დღესაც: ძალადობისა და გამოძალვის გზით მდიდრდებიან ადამიანები მაშინ, როცა მათ გარშემო მყოფ მშიერთა და უქონელთა ღაღადი ცას სწვდება.
"უკან დაიხია სამართალმა და შორს განდგა სიმართლე, რადგან წაბორძიკდა სიმართლე მოედანზე, და პატიოსნება ვეღარ შემოდის. აღარ არის ჭეშმარიტება და ბოროტისაგან გამდგარი წარტყვევნილია" (ეს. 59:14,15). ეს წინასწარმეტყველება ჯერ კიდევ ქრისტეს დედამიწაზე ყოფნის დროს აღსრულდა მაცხოვრის ცხოვრებაში. იგი, ღვთის მცნებათა ერთგული აღმსრულებელი, ადამიანთა წესებსა და ტრადიციებზე მაღლა უფლის რჯულს აყენებდა. ამისათვის სძულდათ და დევნიდნენ. ისტორია მეორდება. დღეს ადამიანთა კანონები და წეს-ჩვეულებანი უფლის მცნებებზე მაღლა დგას, მათი ერთგულად დამცველი კი სასტიკად იდევნება და შეურაცხყოფილია. ქრისტეს ბრალად დასდეს შაბათის დარღვევა და მკრეხელობა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ უფლისადმი ერთგულება შეინარჩუნა. ეშმაკეულიც კი უწოდეს და ბელზებელად გამოაცხადეს. ასევე ადანაშაულებენ და ცრუდ წარმოადგენენ მის მიმდევართაც. ასე შეუპოვრად იღვწის სატანა, რათა აცდუნოს ადამიანები და გააყალბოს ღვთიური ჭეშმარიტებანი.

მსაჯული, რომელსაც არც ღვთისა ეშინოდა და არც ხალხის რცხვენოდა, ქრისტეს იგავში მოყვანილია იმ სამსჯავროს დასახასიათებლად, რომლის წინაშეც სულ მალე მაცხოვარი თავად უნდა წარმდგარიყო. ამ იგავით იგი ასწავლის თავის ხალხს, თუ რამდენად არასაიმედონი არიან ამა ქვეყნის მთავარნი და მსაჯულნი ადამიანის უბედურების ჟამს. უფლის ერთგულთ ხშირად უხდებათ დგომა იმ ოფიციალურ პირთა წინაშე, რომლებიც ხელმძღვანელობენ არა ღვთის სიტყვის რჩევა-დარიგებებით, არამედ თავიანთი მოუთოკავი, მანკიერი ვნებებითა და სურვილებით.

იგავით უსამართლო მსაჯულის შესახებ ქრისტე გვასწავლის, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ. "განა ღმერთი არ დაიცავს თავის რჩეულთ, რომელნიც დღედაღამ მას შეღაღადებენ?" თავად მაცხოვარს, რომელიც ჩვენთვის ყველაფერში მაგალითია, არც კი უცდია თავის მართლება და დაცვა. მან თავისი ბედი ღმერთს მიანდო. ასეთივე მოქმედება გვმართებს ჩვენც. არ არის საჭირო, ბრალდებისაგან თავის დასაცავად ბრალმდებელს ვუჩივლოთ ან საკუთარ ძალებს დავეყრდნოთ.

განსაცდელის ჟამს, რომელსაც, ჩვენი აზრით, არ ვიმსახურებთ, სიმშვიდე და თავშეკავება არ უნდა დავკარგოთ. რა უსამართლოდაც არ უნდა მოგვექცნენ, არ უნდა დავიბნეთ და ავღელდეთ; არც შურისგებაზე უნდა ვიფიქროთ, ვინაიდან ამით მხოლოდ საკუთარ სულს ვავნებთ, უფლის მიმართ უნდობლობას გამოვავლენთ და სულიწმიდას შეურაცხვყოფთ. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს მხარეზეა ერთგული მოწმე, ზეციური მაცნე, რომელიც ჩვენ ნაცვლად ებრძვის მტერს და რომელიც თავისი სიმართლის ბრწყინვალე სხივებით დაგვფარავს. სატანა ვერ შეძლებს ამ ნათელი სხივის ძლიერი ჯავშნის გარღვევას და ჩვენს დაღუპვას.

სანამ წუთისოფელში ბოროტება არსებობს, ნურავინ მოიტყუებს თავს იმით, რომ განსაცდელი გვერდს აგვივლის. რადგან სწორედ ეს სიძნელეები მიგვიყვანს უფლის ტახტთან. ყველაფერში რჩევა უნდა ვკითხოთ მას, ვინც თავად არის სრულყოფილებისა და სიბრძნის წყარო.

უფალი ამბობს: "მომიხმე მე გაჭირვების დღეს" (ფსალმ. 49:15). იგი თავისთან გვიხმობს ყოველი ჩვენი გასაჭირითა და პრობლემებით, რათა გვანუგეშოს და ღვთიური დახმარების ხელი გამოგვიწოდოს. იგი მოგვიწოდებს დაჟინებით, შეუპოვრად ვილოცოთ. როგორც კი რაიმე გაგვიჭირდება, მყისვე გულწრფელად, მგზნებარე ლოცვებით უნდა ვითხოვოთ დახმარება უზენაესისაგან. ჩვენი ასეთი ლოცვები ღვთის მიმართ ჩვენს უდიდეს ნდობაზე მეტყველებს. გაჭირვება გვაიძულებს, ვილოცოთ დაჟინებით, ჩვენი ზეციერი მამა კი ჩვენს ყველა თხოვნას ისმენს და თანაგვიგრძნობს.

ადამიანები, რომლებიც თავიანთი რწმენის გამო დევნასა და შევიწროებას განიცდიან, ხშირად ფიქრობენ, რომ ღვთისაგან მიტოვებულნი არიან. საზოგადოების თვალში ისინი ერთ მუჭა უმცირესობას წარმოადგენენ. მათი მტრები მათზე გამარჯვებას ზეიმობენ. მაგრამ ნუ შეიწუხებენ თავს მსგავსი ფიქრებით. ის, ვინც მათთვის სიცოცხლე გაწირა, ვინც მათი ტანჯვა და მწუხარება იტვირთა, არასოდეს დაივიწყებს მათ.

არ მიუტოვებია უფალს თავისი შვილები ბედის ანაბარა, დაცვის გარეშე. ლოცვა ამოძრავებს ყოვლისშემძლე ღმერთის ხელს. ლოცვით "ამარცხებდნენ სამეფოებს, იქმოდნენ სიმართლეს, აღწევდნენ აღთქმებს, პირს უკრავდნენ ლომებს,

შრეტდნენ ცეცხლის ძალას". ჩვენთვის გასაგები გახდება ყოველივე ამის მნიშვნელობა, როდესაც რწმენისათვის წამებულთა ისტორიას გავეცნობით, რომლებიც ლოცვით "დევნიდნენ უცხოთა ჯარებს" (ებრ. 11:33,34).
თუკი უფლის სამსახურში ჩავდგებით, არასოდეს შეგვექმნება ისეთი მდგომარეობა, უფალმა რომ გამოსავალი ვერ მოძებნოს. რა მძიმე ვითარებაშიც არ უნდა მოვხვდეთ, უნდა გვახსოვდეს, რომ გვყავს საიმედო მეგზური, რომელიც წინ გაგვიძღვება; საიმედო მრჩეველი, საიმედო მეგობარი, რომელიც ყოველთვის თანაუგრძნობს მარტო დარჩენილთ, მგლოვიარეთ, დამწუხრებულთ. თუკი ჩვენივე უმეცრების გამო რაიმე შეცდომას დავუშვებთ, ქრისტე არ მიგვატოვებს. მუდამ გვახსენებს იგი, წმიდა და ნათელი: "მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე" (იოან. 14:6). და იგი "იხსნის ღარიბს, მღაღადებელს, და ღატაკს, რომელსაც არ ჰყავს შემწე" (ფსალმ. 71:12). უფალი აცხადებს, რომ მასთან მისულნი, მისი ერთგული მსახურნი განადიდებენ მის სახელს. "სულს, რომელიც შენ გენდობა, იფარავ მშვიდობაში, რადგან შენზეა მონდობილი" (ეს. 26:3). ყოვლადძლიერი თავისი ხელით გვიკვალავს გზას და წინ მიგვიძღვის. პირდაპირ იარე, - ამბობს უფალი, - და მე დაგეხმარები. შენ ჩემი სახელის განდიდება გსურს და რასაც ითხოვ, მოგეცემა. მე განვდიდდები მათ წინაშე, ვინც შენს დამარცხებას ელის. იხილავენ ისინი ჩემი სიტყვის დიად გამარჯვებას. "ყველაფერს, რასაც ლოცვაში რწმენით ითხოვთ, მიიღებთ" (მათ. 21:22).
მოუხმეთ ღმერთს, ყოველნო ტანჯულნო და უსამართლოდ დევნილნო! გამოერიდეთ მათ, ვისაც გულის ნაცვლად ქვა უდევს მკერდში. შესთხოვეთ შემოქმედს ყოველი, რაც გსურთ. მასთან მონანიებით მისულს არასოდეს გაუცრუებს იმედს. არც ერთ გულწრფელ ლოცვას არ დატოვებს იგი უპასუხოდ. მის სადიდებელ ზეციურ საგალობელთა ხმებშიც კი ესმის ღმერთს უმწეო ადამიანის ლოცვა. ჩვენს ჩუმ ლოცვებში გამოთქმული გულთა სურვილები, შინ თუ გარეთ, სამყაროს მბრძანებლის ტახტს სწვდება. შესაძლოა, იგი ადამიანის ყურთაგან დაფარულია, მაგრამ არ იკარგება არც სიჩუმეში და არც წუთისოფლის საქმიან ხმაურში. შეუძლებელია ადამიანის სულის სურვილთა დათრგუნვა. იგი სცილდება ხმაურიან ქუჩებს, ამქვეყნიურ ამაოებას და სწვდება ზეციურ სავანეებს. ჩვენი ლოცვები პირდაპირ მასთან მიდის, ვისი მისამართითაც ვაგზავნით.
რაოდენ უღირსადაც არ უნდა ჩათვალოთ თავი, მიანდეთ თქვენი საქმეები ღმერთს. როდესაც უფალმა ქრისტეში თავი წუთისოფლის ცოდვებს შესწირა, მაშინ ყოველი ადამიანის საქმეც თავად იტვირთა. "ის, ვინც თავისი საკუთარი ძე არ დაინდო, არამედ გასწირა ჩვენთვის, ყველასათვის, განა მასთან ერთად ყოველივეს არ მოგვმადლებს?" (რომ. 8:32). განა ჩვენს განსამტკიცებლად და გასამხნევებლად ნათქვამ თავის მოწყალე სიტყვას არ შეასრულებს იგი? არაფერი ისე ძლიერ არ სურს ჩვენს მხსნელს, როგორც სატანის ტყვეობიდან ჩვენი გათავისუფლება. მაგრამ მისი ხელმწიფებისაგან თავის დახსნამდე, რომელიც გარედან მოქმედებს, მისგან შინაგანად უნდა გავთავისუფლდეთ. უფალი გვაძლევს გამოცდას, რათა განვიწმიდოთ ამქვეყნიური მანკიერი, უხეში, არაქრისტიანული თვისებებისაგან, სისუსტეებისა და ეგოიზმისაგან. იგი ნებას გვრთავს, ტანჯვის ძლიერმა, ღრმა ნაკადმა განბანოს ჩვენი გულები, ვინაიდან მხოლოდ ამით შევიცნობთ მას და წუთისოფელში მოსულ მის ძეს, იესო

ქრისტეს. ცხოვრებაში, შესაძლოა, შეგვხვდეს მრავალი გაჭირვება, რომელთა წყალობითაც, ბოლოს და ბოლოს, განწმედის სურვილი გაგვიჩნდება და განახლებულნი, ბედნიერებას მოვიპოვებთ. ეგოიზმით დამძიმებული გული ხშირად იწრთობა ცეცხლით გავარვარებულ ქურაში და თუკი მოთმინებით გავუძლებთ მას, ღვთიურ ხასიათს შევიძენთ. როდესაც მიზანი, რისთვისაც უფალი ჩვენს ცხოვრებაში განსაცდელს უშვებს, მიღწეულ იქნება, მაშინ იგი "გამოიტანს ნათელივით სიმართლეს შენსას და შენს სამართალს - შუადღესავით" (ფსალმ. 36:6).
ნუ შეგვაშინებს იმაზე ფიქრი, რომ უფალი არ შეისმენს და უყურადღებოდ დატოვებს თავისი ხალხის ლოცვას. საშიში მხოლოდ ის არის, რომ განსაცდელსა და გაჭირვებაში მყოფი ადამიანები სულით არ დაეცნენ, იმედი არ გაუცრუვდეთ და ლოცვაში დაჟინებული თხოვნა არ შეწყვიტონ.
ღვთიური თანაგრძნობა გამოიჩინა მაცხოვარმა სიროფინიკიელი დედაკაცის მიმართ. გულის სიღრმემდე შეძრა იგი დედის მწუხარებამ. მთელი გულით სურდა, დაერწმუნებინა ეს ქალი, რომ მისი ლოცვა შესმენილია. მაგრამ ისიც სურდა, რომ ეს შემთხვევა განსაკუთრებული გაკვეთილი ყოფილიყო მის მოწაფეთათვის. ამიტომ რამდენიმე ხანს თითქოსდა უყურადღებოდ დატოვა გატანჯული დედაკაცის თხოვნა. მაგრამ როდესაც მან თავისი მტკიცე რწმენა გამოავლინა, მოიწონა იგი მაცხოვარმა, გაამხნევა და თხოვნა აუსრულა. მოწაფეებს არასოდეს ავიწყდებოდათ ეს შემთხვევა, რომელიც წმიდა წერილშიც კი ჩაიწერა, რათა ყველას ეხილა დაჟინებული ლოცვის დიდებული შედეგი.
ქრისტემ თავად ჩაუდო გულში ამ დედაკაცს ასეთი შეუპოვარი სული, რომლის უარყოფაც შეუძლებელი იყო. თავად ქრისტემ მისცა იმ ქვრივს სულიერი სიმტკიცე, რომლითაც იგი მსაჯულისაგან სამართლიანობას ითხოვდა. თავად ქრისტემ მისცა იაკობს ურყევი რწმენა იქ, იაბოკის შესაყართან, მრავალი საუკუნის წინათ, ღამის იდუმალ ბრძოლაში გასამარჯვებლად. ნდობა და რწმენა, რომელსაც იგი ადამიანებს აძლევდა, არასოდეს რჩებოდა საზღაურის გარეშე.
ის, ვინც ზეციურ საწმიდარში სუფევს, სამართლიანი მსაჯულია. ხალხი, რომელიც ამ ცოდვილ წუთისოფელში ცდუნებებს ებრძვის, ქრისტეს ბევრად უფრო ახარებს, ვიდრე ურიცხვ ანგელოზთა გუნდი, რომელიც მის ტახტს გარს ახვევია.
მთელი ზეციური სამყარო ძლიერაა დაინტერესებული ჩვენი პატარა პლანეტით, ვინაიდან ქრისტემ უზომოდ დიდი საფასური გაიღო მის მცხოვრებთა გადასარჩენად. უხილავი ძაფებით დაუკავშირა კაცობრიობის მხსნელმა დედამიწა ზეცას, რადგან აქ უფლის გამოსყიდულნი ცხოვრობენ. ზეციური ანგელოზები დღესაც ისევე ჩამოდიან დედამიწაზე, როგორც ძველად, როცა აბრაამსა და მოსეს ესაუბრებოდნენ. დედამიწის დიდ, საქმიან ქალაქებში, მის ხალხით სავსე ქუჩებში, სავაჭრო ცენტრებსა და გართობის ადგილებში, სადაც დილიდან საღამომდე ადამიანები ამქვეყნიური საქმეებით, სპორტითა და გართობებით არიან დაკავებული, სადაც ყოველივე ეს მათ ცხოვრების მიზნად გაუხდიათ, სადაც უმრავლესობას ზეციურ განძზე ფიქრი სრულიად დავიწყებია, - უფალს ჰყავს თავისი წარმომადგენელნი და თავისი ერთგული მსახურნი. უხილავი ზეციური მეთვალყურენი ადამიანის ყოველ სიტყვასა და საქმეს უდიდესი ყურადღებით აკვირდებიან. ყოველ შეკრებაზე, საქმიანი იქნება იგი თუ

გასართობი, ყველა ღვთისმსახურებაზე მსმენელთა რიცხვი ყოველთვის უფრო მეტია, ვიდრე ადამიანის თვალი ხედავს. დროდადრო ზეციური არსებები სწევენ ფარდას, რომელიც უხილავი სამყაროსაგან გვყოფს, რათა ჩვენი ყურადღება ჩვენი ყოველდღიური ქაოსური ცხოვრებიდან ზეციურისაკენ მიმართონ და გაგვახსენონ, რომ ჩვენ გარშემო არიან უხილავი მოწმენი, ვისთვისაც ცნობილია ყოველი ჩვენი სიტყვა და საქმე.
საჭიროა, უკეთესად გავიგოთ, თუ რაში მდგომარეობს დედამიწაზე წვეულ ანგელოზთა მისია. უკეთესი იქნებოდა, თუ არ დავივიწყებდით, რომ ჩვენს საქმიანობაში მუდამ გვეხმარებიან ეს მზრუნველი არსებები. ეს ნათელი და წმიდა არსებები თავმდაბალთა და სათნოთა მოსანახულებლად მოდიან. ეხმარებიან მათ, ვისაც სჯერა უფლის სიტყვისა და ვინც რწმენით ითხოვს უფლის აღთქმის შესრულებას. ქერუბიმებს, სერაფიმებსა და ანგელოზებს, რომელთა რიცხვი ათიათასჯერ ათიათასი და ათასჯერ ათასია, უდიდესი ძალა გააჩნიათ. ისინი ქრისტეს გვერდით დგანან და "ყველანი მომსახურე სულები არიან, მათდა სამსახურად წარმოგზავნილნი, ვინც ხსნა უნდა დაიმკვიდროს" (ებრ. 1:14).
ეს ზეციური მაცნენი გულმოდგინედ იმახსოვრებენ ადამიანთა ყოველ სიტყვასა და საქმეს. ღვთის შვილთა მიმართ გამოვლენილი ყოველი სისასტიკე და უსამართლობა - ყველაფერი, რასაც ისინი ურჯულოთაგან ითმენენ, ზეციურ წიგნებში იწერება.
"განა ღმერთი არ დაიცავს თავის რჩეულთ, რომელნიც დღედაღამ მას შეღაღადებენ, და არ იქნება სულგრძელი მათდამი? თქვენ გეუბნებით: მალე დაიცავს მათ".
"მაშ, ნუ მიატოვებთ თქვენს გაბედულებას, რომელსაც დიდი საზღაური აქვს. მოთმინება გმართებთ თქვენ, რათა აღასრულოთ ღვთის ნება და მიიღოთ აღთქმული. ვინაიდან კიდევ ცოტა, ძალიან ცოტაც და მოვა, რომელიც უნდა მოვიდეს, არ დააყოვნებს" (ებრ. 10:35-37). "აჰა, მიწისმუშაკი ელოდება მიწის ძვირფას ნაყოფს, სულგრძელად ელის ადრეული და გვიანი წვიმის მოსვლას. თქვენც ისულგრძელეთ და გულები გაიმაგრეთ, რადგან მოახლოებულია უფლის მოსვლა" (იაკ. 5:7,8).
საოცრად სულგრძელია უფალი. დიდხანს ელის სამართლიანობა, სანამ მოწყალება ცოდვილისათვის შუამდგომლობს. მაგრამ "სიმართლითა და განსჯით არის წარმართული მისი ტახტი" (ფსალმ. 96:2). "სულგრძელია უფალი და დიდძალოვანი, დაუსჯელს არავის გაუშვებს. გრიგალშია უფალი და ქარბორბალშია მისი სავალი. ღრუბელი მის ფერხთა მტვერია" (ნაუმ. 1:3). წუთისოფელი თავხედურად არღვევს უფლის რჯულს. უზენაესის დიდსულოვნებას ადამიანები მისი ავტორიტეტის შელახვით პასუხობენ. ისინი ერთიანდებიან, რათა სასტიკად მოექცნენ და შეავიწროონ ღვთის მემკვიდრენი. და ამბობენ: "როგორ შეიტყობს ღმერთი? განა აქვს გაგება უზენაესს?" (ფსალმ. 72:11). მაგრამ არსებობს ზღვარი, რომელსაც ისინი ვერ გადალახავენ. ახლოა ჟამი, როცა ისინი ამ ზღვარს მიაღწევენ. დღეს უკვე თითქმის აივსო უფლის სულგრძელობის, მისი მადლისა და წყალობის თასი. მალე აღდგება უფალი თავისი სახელისა და ხალხის დასაცავად, თავის ერთგულთა გასათავისუფლებლად, რათა სამუდამოდ მოისპოს ბოროტება და უსამართლობა.

ნოეს დღეებში ადამიანებმა იმდენად დაივიწყეს უფლის რჯული, რომ შემოქმედს აღარავინ იცნობდა დედამიწაზე. იმდენად საშინელი ფორმა მიიღო ადამიანთა უწმიდურებამ, რომ უფალი იძულებული გახდა, წარღვნით გაენადგურებინა წუთისოფელი და მიწის პირისაგან აღეგავა მისი უწმიდური ბინადარნი.
თაობიდან თაობამდე ღმერთი თავისი საქმეებით ეცხადებოდა ადამიანებს. ხოლო როცა კრიტიკული მომენტი დადგა, პირადად გამოეცხადა წუთისოფელს, რათა მის საქმეებში ჩარეულიყო და სატანის გეგმები ჩაეშალა. უფალი ხშირად უშვებდა მთელი ერების, ოჯახებისა და ცალკეული პიროვნებების კრიზისულ მდგომარეობას, რათა მისი ჩარევა უფრო ცხადი და ნათელი ყოფილიყო. ასეთ მომენტებში ყველა ნათლად ხედავდა, რომ არის ღმერთი ისრაელში, რომელიც აღადგენს თავის რჯულს და დაიცავს თავის ხალხს.
დღეს ურჯულოების საყოველთაო ზეიმის ფონზე თვალნათლივ მოჩანს უკანასკნელი უდიდესი კრიზისის მოახლოება. დღეს, როცა დედამიწის ყველა კუთხეში ღვთის შვილთ მათივე თანამემამულენი ავიწროებენ და დევნიან, უფლის ჩარევა აუცილებელია.
ახლოვდება დრო, როდესაც უფალი გვეტყვის: "წადი, ჩემო ხალხო, შედი შენს ოთახებში და გამოიკეტე კარები, ერთი წამით დაიმალე, სანამ რისხვა გადაივლიდეს. რადგან უფალი გამოდის თავისი ადგილიდან, რათა დასაჯოს ქვეყნის მცხოვრებნი მათი ურჯულოებისათვის; და გამოაჩენს ქვეყანა თავის სისხლს და ვეღარ დაფარავს თავის დახოცილებს" (ეს. 26:20,21). დღეს ბევრ ეგრეთ წოდებულ ქრისტიანს ჯერ კიდევ შეუძლია, გაძარცვოს და შეავიწროოს ღარიბნი და უქონელნი; მოატყუოს ქვრივ-ობლები; გამოავლინოს თავისი სატანური სიძულვილი მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ დაიმონა ღვთის შვილთა სინდისი. მაგრამ ყოველივე ამის გამო ისინი ღვთის სამსჯავროს წინაშე წარდგებიან. და ექნება "უწყალო მსჯავრი - უმოწყალოს" (იაკ. 2:13). ახლოვდება ჟამი, როცა ეს ადამიანები მთელი წუთისოფლის მსაჯულის წინაშე წარდგებიან და პასუხს აგებენ იმ სულიერი და ფიზიკური ტკივილისათვის, რომელიც მათ უფლის მემკვიდრეთ მიაყენეს. ჯერ კიდევ შეუძლიათ, ცილი დასწამონ, დასცინონ უფლის მიერ განწესებულ მისივე საქმეების აღმსრულებელთ, დაადონ ბორკილები და საპყრობილეებში ჩააგდონ, მოსპონ და გაანადგურონ, მაგრამ ყოველი მიყენებული ტკივილისათვის, ყოველი დაღვრილი ცრემლისათვის პასუხისგება მოუწევთ. ორმაგად მიუზღავს უფალი მათ დანაშაულისათვის. განდგომილი ეკლესიის სიმბოლოსთან, ბაბილონთან, დაკავშირებით ასე მიმართავს უფალი ღმერთი მათ, ვინც მასთან ერთად უნდა აღასრულოს სამსჯავროს საქმეები: "მისმა ცოდვებმა ცას უწია და გაიხსენა ღმერთმა მისი უსამართლობანი. მიუზღეთ მას, როგორც მან მოგიზღოთ და ორმაგად მიაგეთ მისი საქმეების მიხედვით. სასმისში, რომელშიც აზავებდა ღვინოს, ორმაგად შეუზავეთ მას" (გამოცხ. 18:5,6).
ინდოეთიდან, აფრიკიდან, ჩინეთიდან, ოკეანეთა კუნძულებიდან, ეგრეთ წოდებული ქრისტიანული ქვეყნებიდან - ყოველი მხრიდან აღწევს უბედურ ადამიანთა გლოვა და ვაება. დიდხანს არ დარჩება უპასუხოდ ეს ვედრებანი. მალე განწმედს დედამიწას უფალი, მხოლოდ არა წარღვნის წყლებით, როგორც ეს ნოეს დღეებში იყო, არამედ ცეცხლით, რომელსაც ვერავინ ჩააქრობს.

"ისეთი ვაების დრო მოვა, ხალხის არსებობიდან ამ დრომდე რომ არ ყოფილა. იმ დროს შენი ხალხიდან ყველა გადარჩება, ვინც კი წიგნში ჩაწერილი აღმოჩნდება" (დან. 12:1).
მანსარდებიდან, ფარდულებიდან, სარდაფებიდან, ეშაფოტებიდან, მთებიდან და უდაბნოებიდან, გამოქვაბულებიდან და ოკეანის ფსკერიდან გამოიყვანს ქრისტე თავის ერთგულ შვილებს. აქ, წუთისოფელში, ისინი წვალობდნენ და იტანჯებოდნენ. მათგან მილიონობით ადამიანი შერცხვენილი ჩავიდა საფლავში, რადგან მათ სატანის ცრუ დაპირებებს არ დაუჯერეს. ადამიანურმა მართლმსაჯულებამ ბოროტ დამნაშავეებად შერაცხა ღვთის შვილნი. მაგრამ მალე დადგება დღე, როცა კაცობრიობას თავად უფალი ღმერთი განიკითხავს. იმ დღეს გაუქმდება ადამიანთა განაჩენი; იმ დღეს "სირცხვილს მოხოცავს თავისი ერს" მაცხოვარი (ეს. 25:8). ყოველ მათგანს თეთრი სამოსელი მიეცემა (გამოცხ. 6:11). "და უწოდებენ მათ წმიდა ერს, უფლის გამოსყიდულთ" (ეს. 62:12).
რა მძიმეც არ უნდა იყოს დედამიწაზე ღვთის შვილთა ხვედრი, რა ტანჯვა და დევნაც არ უნდა განიცადონ თვით სიკვდილამდეც კი, უხვია მათი საზღაური. ისინი "იხილავენ მის სახეს და მისი სახელი შუბლზე ეწერებათ" (გამოცხ. 22:4).

## თავი 15 - იგი "ცოდვილებს ღებულობს"

ლუკ. 15:1-10

როდესაც ქრისტესთან მებაჟენი და ცოდვილნი მოდიოდნენ, "ფარისეველნი და მწიგნობარნი ბუზღუნებდნენ და ამბობდნენ: ცოდვილებს ღებულობს და მათთან ჭამსო".
ასეთი ბრალდებით ისინი ცდილობდნენ, ჩაეგონებინათ ხალხისათვის, რომ ქრისტე ცოდვილ და უწმიდურ ადამიანებთან არჩევს მეგობრობას, არ თაკილობს მათთან ურთიერთობას და არც მათი ცოდვილი მდგომარეობა აღელვებს. იმედები გაუცრუა ქრისტემ ფარისეველთ: რატომ მხოლოდ მათთან არ მეგობრობს ასეთი კეთილშობილი ადამიანი და ხალხს მათი მეთოდებით არ ასწავლის? რატომ იჩენს იგი ასეთ თავმდაბლობას და საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელთ ასწავლის? "ის რომ ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი იყოს, - ამბობდნენ ისინი, - ჩვენთან მოვიდოდა, მებაჟეთ და ცოდვილთ არაფრად ჩააგდებდა და ისე მოექცეოდა, როგორც იმსახურებენ". საზოგადოების სადარაჯოზე მდგარ ამ მოღვაწეებს ძლიერ აღიზიანებდათ ის ფაქტი, რომ ქრისტე, რომელსაც ისინი გამუდმებით ებრძოდნენ, რომლის წმიდა ცხოვრებაც მათ ამხილებდა და, იმავდროულად, პატივისცემასაც იწვევდა, დაუფარავი თანაგრძნობით ექცეოდა და ესაუბრებოდა საზოგადოებისაგან გარიყულ ადამიანებს. ისინი არ იწონებდნენ მისი მსახურების მეთოდებს, რადგან თავს დიდად განათლებულ, განსაკუთრებულ, სრულყოფილ და უაღრესად რელიგიურ ადამიანებად თვლიდნენ, ქრისტეს ცხოვრება და საქმეები კი თავისდაუნებურად ამხილებდა მათს ეგოიზმს ყველას წინაშე. ქრისტეს სიმართლე გაღიზიანებასა და გულისწყრომას იწვევდა მათში.

მათ ისიც აღაშფოთებდა, რომ ის ადამიანები, რომელნიც რაბინებს არად აგდებდნენ და სინაგოგაში არ დადიოდნენ, ახლა იესოსკენ ილტვოდნენ და დიდი გულისყურით უსმენდნენ მის თითოეულ სიტყვას. მწიგნობართ და ფარისეველთ მსჯავრს სდებდა მაცხოვრის სიწმიდე; როგორღა გრძნობდნენ თავს მის გვერდით მებაჟენი და ცოდვილნი?
ვერ ხვდებოდნენ ფარისეველნი და მწიგნობარნი, თუ ასე რატომ ისწრაფოდნენ ცოდვილნი იესოსკენ. ვერც იმას ხვდებოდნენ, რომ ამ საიდუმლოს გასაღები მათივე სიტყვებში იყო დამალული, როცა ისინი სიძულვილით წარმოთქვამდნენ: იგი "ცოდვილებს ღებულობს". ქრისტესთან მისულნი გრძნობდნენ, რომ მათთვისაც შესაძლებელია ხსნა ცოდვისაგან. ფარისეველნი მუდამ სიძულვილით ამხილებდნენ ამ ადამიანებს, მაცხოვარი კი მათ მამის სახლიდან დროებით წასულ ღვთის შვილებად თვლიდა, რომელნიც მამას არ დავიწყებია. სწორედ მათმა უბედურებამ და ცოდვამ გამოიწვია ქრისტეში მათდამი თანაგრძნობა. რაც უფრო შორს იყვნენ ისინი ზეციური მამისაგან, მით უფრო დიდი მონდომებითა და თავგანწირვით ცდილობდა იგი მათ გადარჩენას.
ყველაფერი ეს ისრაელის რაბინებს იმ წმიდა გრაგნილებიდან უნდა სცოდნოდათ, რომელთა შენახვა და განმარტება მათ ჰქონდათ დავალებული და რითაც ისინი დიდად ამაყობდნენ. განა დავითი არ წერდა ამ სიტყვებს; დავითი, რომელმაც საშინელი ცოდვა ჩაიდინა: "დავიბენი, ვითარცა ცხვარი დაკარგული; მოძებნე შენი მორჩილი" (ფსალმ. 118:176). განა მიქა წინასწარმეტყველმა არ გააცხადა უფლის ცოდვილისადმი უსაზღვრო სიყვარული, როცა თქვა: "რომელ ღმერთს მოუთმენია შენს გარდა უკეთურება და უპატიებია ცოდვა თავისი სამკვიდროს ნატამალისთვის? ის არ მრისხანებს სამუდამოდ, რადგან წყალობის მოყვარულია" (მიქ. 7:18).

## დაკარგული ცხვარი

ამჯერად მაცხოვარს წმიდა წერილზე არ გაუმახვილებია მოწაფეთა ყურადღება, არამედ მათს საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებებზე შეჩერდა. მათ წინ იორდანეს პლატოს ნოყიერ საძოვრებს უამრავი ცხვარი შეჰფენოდა. მის ხეობებსა და ტყიან ფერდობებზე ბევრი დაკარგული ცხვარი დახეტიალებდა, რომელთაც გულმოდგინედ ეძებდნენ მზრუნველი მწყემსები, პოულობდნენ და უკან აბრუნებდნენ. იესოს მსმენელთა შორის იყვნენ მწყემსებიც და ისინიც, ვინც თავისი ფული ცხვარში დააბანდა. ამიტომ მათ კარგად ესმოდათ იესოს შეგონება: "რომელიმე თქვენგანს რომ ასი ცხვარი ჰყავდეს და ერთი დაეკარგოს, განა არ დატოვებს ოთხმოცდაცხრამეტს უდაბნოში და არ წავა დაკარგულის საძებრად, ვიდრე არ იპოვის?"
ასევე ის ადამიანები, თქვენ რომ ასე გძულთ, უფალს ეკუთვნიან, - ამას გულისხმობდა მაცხოვარი თავის სიტყვებში, - ვინაიდან მან შექმნა და გამოისყიდა ისინი. ამიტომ ყოველი მათგანი მეტად ძვირფასია მისთვის. უფალ ღმერთს ათასჯერ მეტად უყვარს თავისი ყოველი გზასაცდენილი შვილი, ვიდრე თავისი ცხვარი - მწყემსს, რომელსაც ვერაფერი დაამშვიდებს, სანამ დაკარგულ ცხვარს, თუნდაც მხოლოდ ერთს, არ იპოვის. ადამიანებს შეუძლიათ, უარყონ მისი სიყვარული, მიატოვონ იგი და სხვა პატრონი აირჩიონ, მაგრამ ისინი მაინც უფლისანი არიან და უფალს მათი უკან დაბრუნება სურს. "როგორც ეძებს მწყემსი თავის ფარას თავის გაფანტულ ცხვარში ყოფნისას, ისე მოვძებნი

ჩემს ცხვარს და ვიხსნი მათ ყველა ადგილიდან, სადაც გაიფანტნენ ღრუბლიან და ნისლიან დღეს" (ეზეკ. 34:12).
ამ იგავში მწყემსი მხოლოდ ერთი დაკარგული ცხვრის საძებნელად მიდის. ასევე ქრისტესაც: მას მხოლოდ ერთი დაკარგული სულისთვისაც კი შეეძლო, თავისი სიცოცხლე გაეწირა.
ფარას ჩამორჩენილი ცხვარი ყველაზე უმწეო არსებაა. მას უკან გზის გაგნება არ შეუძლია, ამიტომ მწყემსმა თავად უნდა მოძებნოს იგი. ასევეა უფალს დაშორებული ადამიანიც: იგი იმდენად უძლურია, რომ, სანამ ღვთიური სიყვარული არ იპოვის და დახმარების ხელს არ გაუწვდის, ღმერთთან დაბრუნებას ვერ შეძლებს.
მწყემსი, რომელიც აღმოაჩენს, რომ ერთი ცხვარი დაეკარგა, არ კმაყოფილდება თავისი ცხვრების მშვიდობიანად დაბინავებით და არ ამბობს: "ოთხმოცდაცხრამეტი ცხვარი დაბინავებული მყავს. არ ღირს ერთი დაკარგულისთვის თავის შეწუხება. თვითონ მოძებნის გზას და როცა დაბრუნდება, ფარეხის კარს გავუღებ და შემოვუშვებ". არა, ეს ასე არ არის. ფარას გამოკლებული ერთი ცხვრის დაკარგვაც კი დიდად ამწუხრებს და სიმშვიდეს ურღვევს მზრუნველ მწყემსს. იგი მრავალჯერ ამოწმებს თავის ფარას, ითვლის ცხვრებს და როცა დარწმუნდება, რომ ერთი მათგანი აკლია, მიატოვებს ოთხმოცდაცხრამეტს და მაშინვე დაკარგულის საძებნელად გაემართება. რაც უფრო ბნელია ღამე, გზა კი - საშიში, მით უფრო მეტად წუხს მწყემსი და მეტი მონდომებით ეძებს მას; ძალ-ღონეს არ ზოგავს მის საპოვნელად.
რაოდენ დიდ შვებას იგრძნობს იგი, როცა შორს, სადღაც მის უმწეო, სუსტ ბღავილს გაიგონებს. მაშინვე იქით გაემართება, საიდანაც ხმა მოესმა. კლდის ნაპრალებს მიაშურებს, უფსკრულის პირას გაივლის და საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში ჩაიგდებს. დაკარგულის ხმა სულ უფრო და უფრო სუსტდება, რაც იმის მაუწყებელია, რომ ცხვარი კვდება, მაგრამ მწყემსი არ წყვეტს ძებნას. ბოლოს და ბოლოს, მის ძალისხმევას ნაყოფი გამოაქვს: ცხვარი ნაპოვნია. იგი არ კიცხავს მას იმისათვის, რომ მისმა დაკარგვამ ამდენი მწუხარება მიაყენა. არც კომბლით მიერეკება მას შინისაკენ. იგი მხრებზე შეისვამს ამ შიშისგან აცახცახებულ არსებას, ხოლო თუ ცხვარი დაჭრილი ან დაშავებულია, ხელში აიყვანს და გულზე მიიკრავს, რათა მისი გულის სითბომ გამოაცოცხლოს იგი. და გახარებულსა და კმაყოფილს იმით, რომ მისმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო, ცხვარი შინ მიჰყავს.
მადლობა ღმერთს, რომ მან არ წარმოგვიდგინა სურათი უბედური მწყემსისა, რომელიც შინ დაკარგული ცხვრის გარეშე დაბრუნდა. ეს იგავი წარუმატებლობაზე როდი მოგვითხრობს, არამედ გადარჩენის სიხარულსა და წარმატებაზე მიგვითითებს. აქ არის რწმუნება უფლისაგან, რომ უფლის ფარეხის არც ერთი დაკარგული ცხვარი არ იქნება დავიწყებული და დახმარების გარეშე დარჩენილი. მაცხოვარი ცოდვის უფსკრულისაგან იხსნის ყველას, ვინც მას ცოდვებისაგან გამოსყიდვის საშუალებას მისცემს.
ო, სასოწარკვეთილო და სულით დაცემულო ადამიანო! რა მძიმე დანაშაულიც არ უნდა გქონდეს ჩადენილი, იმედს ნუ დაკარგავ, გამხნევდი! ნუ დაიტანჯავ თავს იმაზე ფიქრით, მოგიტევებს თუ არა უფალი ცოდვებს; მოგცემს თუ არა მასთან მისვლის ნებას. უფალმა უკვე გადადგა პირველი ნაბიჯი შენთან

შესახვედრად ჯერ კიდევ მაშინ, როცა მის წინააღმდეგ ამბოხებული იყავი. მზრუნველი და მოსიყვარულე მწყემსის მსგავსად გამოვიდა იგი შენს საძებნელად; ოთხმოცდაცხრამეტი ცხვარი მიატოვა და ერთის საპოვნელად უღრანი ტყისაკენ გასწია. და, მონახავს რა სულს, დაქანცულს, დაჭრილსა და დაწყლულებულს, დაღუპვის უფსკრულის პირად მდგომს, თავისი თბილი, მოსიყვარულე ხელებით გულში იკრავს და სიხარულით მიჰყავს უსაფრთხო თავშესაფარში.

იუდეველი რაბინები ასწავლიდნენ, რომ ადამიანი უფლის სიყვარულს ვერ დაიმსახურებს, ვიდრე არ მოინანიებს. მათი წარმოდგენით, ცოდვების მონანიება იყო ის საშუალება, რომლითაც უფლის კეთილგანწყობას იმსახურებენ. სწორედ ამით იყო გამოწვეული ფარისეველთა განრისხება, როცა აღშფოთებით წამოიძახეს: "ცოდვილებს ღებულობს". მათი აზრით, ქრისტეს თავისთან მოსვლის ნება მხოლოდ მათთვის უნდა მიეცა, ვინც მოინანია. მაგრამ იგავში დაკარგული ცხვრის შესახებ მაცხოვარი გვასწავლის, რომ ხსნა გვევლინება არა იმიტომ, რომ ჩვენ ვეძებთ ღმერთს, არამედ იმიტომ, რომ იგი თავად გვეძებს. "არავინ არის გონიერი; არავინ ეძებს ღმერთს" (რომ. 3:11). ჩვენ იმიტომ კი არ ვინანიებთ, რომ უფლის მოწონება და სიყვარული დავიმსახუროთ, არამედ იგი გვიცხადებს თავის სიყვარულს, რათა მოვინანიოთ.

დაკარგული ცხვრის შინ დაბრუნებით გამოწვეულ მადლიერებასა და სიხარულს მწყემსი მელოდიურ საგალობლებში გამოხატავს. "შინ რომ დაბრუნდება, დაუძახებს მეგობრებს, მეზობლებს და ეტყვის: თქვენც იხარეთ ჩემთან ერთად, დაკარგული ცხვარი ვიპოვეო". ასევე ხდება მაშინაც, როცა დაკარგულ სულს ზეციური მწყემსი მოძებნის: სიხარულითა და მადლიერებით ერთიანდება ცა და დედამიწა.

"ასევე მეტი სიხარული იქნება ზეცაში ერთი ცოდვილის გამო, რომელმაც მოინანია, ვიდრე იმ ოთხმოცდაცხრამეტი მართლის გამო, რომელთაც მონანიება არ სჭირდებათ". "თქვენ, ფარისეველნი, - აცხადებს ქრისტე, - თვლით, რომ ზეცა თქვენ მიმართ უფრო კეთილადაა განწყობილი, ვიდრე სხვებისადმი. თქვენ უსაფრთხოდ გრძნობთ თავს, შემოიფარგლეთ რა საკუთარი სიმართლით. უნდა იცოდეთ, რომ თუკი მონანიების საჭიროებას არ განიცდით, ჩემი მსახურება თქვენთვის არაფერს ნიშნავს. მე სწორედ ამ საცოდავი ადამიანებისათვის მოვედი, რომლებიც გრძნობენ, რომ ცოდვილნი და სულით ღარიბნი არიან. ზეციური ანგელოზებიც სწორედ მათ თანაუგრძნობენ, ვინც თქვენ ასე შეიძულეთ. თქვენს რისხვას საზღვარი არა აქვს, როცა ხედავთ, თუ როგორ სურთ მათ ჩემთან მოსვლა, აბუჩად იგდებთ და დასცინით, მაგრამ იცოდეთ: ანგელოზები ხარობენ და ზეცაში გამარჯვების ჰიმნები გაისმის".

რაბინები ხშირად იყენებდნენ საუბარში გამოთქმას: "დიდად ხარობს ზეცა, როცა კვდება ის, ვინც უფალს შესცოდა". ქრისტე კი ასწავლიდა, რომ უფალს არ სურს ადამიანის დაღუპვა. პირიქით, ზეცის დიდ სიხარულს იწვევს ადამიანში ღვთიური ხატების აღდგენა და არა მისი განადგურება.

როცა ცოდვილი, დაკარგული ადამიანი უფალთან დაბრუნებას ცდილობს, დიდ უნდობლობასა და ბოროტ კრიტიკას აწყდება საზოგადოების მხრიდან. მრავალნი დაეჭვდებიან მის გულწრფელობაში ან იტყვიან: "არ არის მასში სიმტკიცე; არ გვჯერა, რომ გაუძლებს". ეს ადამიანები უფლის საქმეს კი არ ასრულებენ, არამედ სატანისას, რომელიც "ძმების ცილისმწამებელია". ასეთი ბოროტული

კრიტიკით ისინი იმედსა და მხნეობას უკარგავენ ღმერთთან მოსულთ და უფრო აშორებენ ღმერთს. დაე უფალთან მონანიებით მოსულმა ცოდვილმა იცოდეს, თუ როგორ უხარია ზეცას ყოველი გზააბნეული შვილის შინ დაბრუნება; თუ რა დიდია უფლის მის მიმართ სიყვარული. და ნუ დაკარგავს იმედს, ნუ დაეცემა სულით ფარისეველთა კრიტიკისა და სიძულვილის გამო. რაბინებმა კარგად იცოდნენ, რომ ქრისტეს იგავი ძირითადად მებაჟეთ და ცოდვილთ ეხებოდათ, მაგრამ მასში უფრო ღრმა აზრი იყო ჩაქსოვილი. დაკარგულ ცხვარში ქრისტე გულისხმობდა არა მხოლოდ ცალკეულ ცოდვილს, არამედ ციური პლანეტებიდან ერთ-ერთს, დედამიწას, რომელიც ღმერთს განუდგა და ცოდვაში იღუპება. დედამიწა - ეს მხოლოდ იმ უსასრულო სამყაროს უმცირესი ნაწილაკია, რომელსაც ღმერთი მართავს. მაგრამ ეს პატარა, ცოდვილი პლანეტა - ერთი გზააბნეული ცხვარი - უფრო ძვირფასია მისთვის, ვიდრე დანარჩენი ოთხმოცდაცხრამეტი. ქრისტემ, ზეციურ სამყაროთა საყვარელმა მბრძანებელმა, დატოვა უზენაესის ტახტი და დიდება, რომელსაც მამასთან ერთად იზიარებდა, ამ ერთადერთი განდგომილი პლანეტის გადასარჩენად. ამისათვის დროებით დატოვა უცოდველი სამყარო, ის ოთხმოცდაცხრამეტი, რომლებიც თაყვანს სცემენ მას და ეწვია დედამიწას, რათა ჩვენს დანაშაულთა გამო დაჭრილიყო და ჩვენი ურჯულოების გამო დალეწილიყო (ეს. 53:5). ღმერთმა იესო ქრისტეში შესწირა თავი წუთისოფელს, რათა შემდგომ მთელ ზეცას ეხარა დაკარგული ცხვრის შინ დაბრუნებით.
"ნახეთ, როგორი სიყვარული მოგვცა მამამ, რათა გვეწოდოს და ვიყოთ ღვთის შვილნი" (1იოან. 3:1). ქრისტე კი მამას მიმართავს: "როგორც შენ მომავლინე სოფელში, მეც ასევე მივავლინე ისინი სოფელში" (იოან. 17:18), რათა ჭირი, "რაც ქრისტეს დააკლდა", შეევსოთ "საკუთარი ხორცით მისი სხეულისათვის, რომელიც ეკლესიაა" (კოლ. 1:24). ქრისტეს მიერ გადარჩენილი ყოველი ადამიანი მოწოდებულია, იშრომოს მისი სახელით დაკარგულთა გადასარჩენად. ძველი ისრაელი კი ხშირად ამას არ ასრულებდა. ხომ არ ავიწყდებათ ზოგჯერ ეს დღესაც იმ ადამიანებს, რომლებიც თავს სრულიად უსაფუძვლოდ თვლიან ქრისტეს მიმდევრებად?
და რამდენი გზააბნეული დააბრუნეთ მამის სახლში თქვენ, მკითხველო? ხომ არ გიფიქრიათ ოდესმე იმის შესახებ, რომ იქნებ სწორედ იმ სულებს, თქვენ რომ ხშირად ასე გულგრილად არიდებთ თვალს და გვერდს უვლით, მოუღლელად ეძებს მაცხოვარი? იქნებ სწორედ თქვენგან მათი უარყოფის წუთებში სჭირდებათ მათ თქვენი უდიდესი თანაგრძნობა? ღმერთთან მოსულ მთხოვნელთა შორის მუდამ არიან ისინი, ვისაც სულის სიმშვიდის დაბრუნება სურთ. შესაძლოა, მათი გარეგნული ქცევიდან ეს არ ჩანს, მაგრამ, სინამდვილეში, მათ ჯერ კიდევ შესწევთ სულიწმიდის ხმის შესმენის უნარი. მათ შორის ბევრი გახდება ქრისტეს მონაპოვარი.
თუკი დაკარგული ცხვარი თავის ფარეხში დაბრუნებას ვერ შეძლებს, ხეტიალში დაიღუპება. მისი ბედი ეწევა ბევრ ადამიანს, რომელსაც დროულად არ გაუწოდეს დახმარების ხელი, რათა გადარჩენილიყო. ხშირად უზომოდ უზრუნველად გამოიყურებიან ადამიანები, ცოდვაში რომ იღუპებიან, მაგრამ მათაც რომ ისეთივე შესაძლებლობა მისცემოდათ, როგორც სხვებს, უფრო მეტ კეთილშობილებასა და სასარგებლო ცხოვრებისათვის მზადყოფნას

გამოავლენდნენ. ანგელოზები დიდად სწუხან ამ გზააბნეულთა გამო. და იმის გამოც, რომ ადამიანის თვალებსა და გულში თანაგრძნობას ვერ ხედავენ. სად გაქრა ჩვენი ღრმა, სულისაღმძვრელი სიყვარული და თანაგრძნობა ცოდვილთა და გზააბნეულთა მიმართ?! ო, როგორ გვჭირდება, გვქონდეს რაც შეიძლება მეტი ქრისტიანული სული და ნაკლები ეგოიზმი!
ფარისეველნი ხვდებოდნენ, რომ ქრისტეს იგავი - ეს მათი მისამართით თქმული მხილება იყო. მათი კრიტიკის მიღების ნაცვლად, ქრისტე თავად კიცხავდა მათ მეგაჟეთა და ცოდვილთა სიძულვილის გამო. მაგრამ საჯაროდ არ აკეთებდა ამას მაცხოვარი, ვინაიდან არ სურდა, სამუდამოდ დაეკარგა მათი გული. თუმცა იგავში იგი მიუთითებდა უფლის იმ მოვალეობის შესრულების აუცილებლობაზე, რისთვისაც ისინი მეტად უსუსურნი აღმოჩნდნენ. ისრაელის მმართველნი რომ მართლაც ჭეშმარიტი მწყემსები ყოფილიყვნენ, ისინიც ამ მწყემსივით იმოქმედებდნენ: ისეთივე სიყვარულსა და მოწყალებას გამოიჩენდნენ და ქრისტეს გვერდით დადგებოდნენ ხალხის სამსახურში. მათ კი ამის უარყოფით დაამტკიცეს, თუ რაოდენ ცრუა და ზედაპირული მათი ღვთისმოსაობა. თუმცა ბევრმა ქრისტეს მხილება არ მიიღო, მაგრამ ზოგიერთი მაინც დარწმუნდა, რომ მაცხოვარი მართალი იყო. ქრისტეს ცად ამაღლების შემდგომ ამ ადამიანებზე სულიწმიდა გარდმოვიდა, რის შემდგომაც ისინი მოწაფეებს შეუერთდნენ და მათთან ერთად ასრულებდნენ საქმეს, რომელზედაც საუბარია იგავში დაკარგული ცხვრის შესახებ.

## დაკარგული დრაქმა

იგავს დაკარგული ცხვრის შესახებ ქრისტემ სხვა იგავი მოაყოლა: "ანდა დედაკაცი, რომელსაც ათი დრაქმა აქვს, ერთი დრაქმა რომ დაეკარგოს, განა არ აანთებს სანთელს და არ გამოგვის სახლს და გულმოდგინედ არ დაუწყებს ძებნას, ვიდრე არ იპოვის?"
აღმოსავლეთის ქვეყნებში ღარიბთა სახლს, ჩვეულებრივ, მხოლოდ ერთი ბნელი, უფანჯრო ოთახი წარმოადგენდა. ოთახს იშვიათად გვიდნენ და ძირს დავარდნილ დრაქმას, რა თქმა უნდა, მალე დაფარავდა მტვერი და ნაგავი. მის საპოვნელად დღისითაც კი სანთლის ანთება და მის შუქზე ოთახის გულმოდგინედ გამოგვა იყო საჭირო.
იმ დროს ქალს გათხოვებისას მზითვად, ჩვეულებრივ, ვერცხლის ფულს ატანდნენ. ქალი გულმოდგინედ ინახავდა მას, როგორც ძვირფას საჩუქარს, რათა შემდგომ თავისი ქალიშვილებისათვის გადაეცა. ერთი ასეთი მონეტის დაკარგვაც კი მათთვის დიდ უბედურებას ნიშნავდა, დაკარგულის პოვნა კი იწვევდა უდიდეს სიხარულს, რასაც ბედნიერ მპოვნელთან ერთად მისი მეზობლები და ახლობლებიც იზიარებდნენ.
"როცა იპოვის, - განაგრძობს ქრისტე, - დაუძახებს მეგობრებს და მეზობლებს და ეტყვის: ჩემთან ერთად იხარეთ, ვინაიდან ვიპოვე დაკარგული დრაქმაო. თქვენ გეუბნებით: ასევე იქნება სიხარული ღვთის ანგელოზებთან ერთი მომნანიებელი ცოდვილის გამო".
ეს იგავი ისევე, როგორც მისი წინამორბედი, გვასწავლის, რომ გულმოდგინე ძებნით შესაძლებელია ყოველი დანაკარგის პოვნა, რაც უდიდეს სიხარულს მოგვგვრის. ეს ორი იგავი ცოდვილთა ორ ტიპს წარმოგვიდგენს. დაკარგულმა ცხვარმა იცის, რომ დაიკარგა, მიატოვა თავისი ფარა, მწყემსი და უკან

დაბრუნება თავად აღარ შეუძლია. აქ საუბარია ადამიანებზე, რომლებმაც იციან, რომ უფალს დაშორდნენ, დაიბნენ, იმედი დაკარგეს და ძლიერ ცდუნებათა ზეგავლენის მსხვერპლი გახდნენ. დაკარგული დრაქმა კი იმ ადამიანთა სიმბოლოა, რომლებიც იმდენად დაატყვევა საკუთარმა ცოდვებმა და შეცდომებმა, რომ ვერც კი ხვდებიან, თუ რამდენად ტრაგიკულია მათი მდგომარეობა: ღმერთს დაშორდნენ, იღუპებიან, მაგრამ ვერ ხვდებიან და არც აღელვებთ ეს მდგომარეობა. ამ იგავით მაცხოვარი გვასწავლის, რომ იგი იმ ადამიანებსაც კი თანაუგრძნობს, რომლებსაც უფლის მოთხოვნებისადმი გულგრილი დამოკიდებულება გააჩნიათ. უფალს სურს, რომ ისინიც მოძებნონ და შინ დააბრუნონ.

ცხვარი გავიდა ფარეხიდან; გზა დაებნა მთებში ან ეკალ-ბარდებში გაიხლართა. ვერცხლის ფული კი სახლში დაიკარგა. აქვეა იგი, ახლოს, მაგრამ მეტად რთულია მისი პოვნა. გულმოდგინე ძებნაა საჭირო.

იგავი დაკარგული დრაქმის შესახებ თვალსაჩინო გაკვეთილია მთელი ოჯახისათვის, სადაც ხშირად ისადგურებს გულგრილობა და უზრუნველობა მის წევრთა სულიერი მდგომარეობის მიმართ. მათ შორის შეიძლება იყოს ისეთი, ვინც ღმერთს დაშორდა, ოჯახის სხვა წევრებს კი ეს არ აღელვებთ. და არც ის აწუხებთ, რომ მათი ახლობელი ადამიანი, რომელიც უფალმა მათ მიანდო, ღვთისათვის სამუდამოდ დაკარგული შეიძლება აღმოჩნდეს.

დაკარგული დრაქმა, შესაძლოა, მტვერმა და ჭუჭყმა დაფაროს, მაგრამ იგი მაინც ვერცხლად რჩება. პატრონი მას იმიტომ ეძებს, რომ იგი განძია მისთვის. ასევეა ყოველი ადამიანიც: რა დიდი ცოდვილიც არ უნდა იყოს იგი, უფლისათვის მეტად ძვირფასი საგანძურია. ყველა მონეტაზე გაბატონებული ძალაუფლების სიმბოლოებია გამოსახული. ასევეა ადამიანიც: მისი შექმნისას მასზე ღვთის ხატება და მსგავსება იყო აღბეჭდილი. თუმცა ეს სიმბოლო ცოდვისაგან გახუნდა და გაფერმკრთალდა, მაგრამ მაინც მოჩანს ყოველ ადამიანში. უფალს სურს, დაიბრუნოს იგი და კვლავ აღადგინოს მასში თავისი მართალი და წმიდა ხატება.

ამ იგავში დედაკაცი შეუპოვრად ეძებს თავის დაკარგულ დრაქმას: სანთელს ანთებს და ოთახს გვის. თუმცა მხოლოდ ერთი დრაქმაა დაკარგული, მაგრამ იგი მაინც არ წყვეტს ძებნას, სანამ არ იპოვის. ასევე უნდა იყოს ოჯახშიც: თუკი მისი ერთი რომელიმე წევრი ღმერთს დაშორდა, ყველაფერი უნდა გაკეთდეს მის გადასარჩენად. დაე ოჯახის ყოველმა წევრმა მკაცრად გამოიკვლიოს საკუთარი სული, თავისი ცხოვრების წესი და ხასიათი. გამოიკვლიეთ, რაიმე შეცდომა ხომ არ დაგიშვიათ ოჯახში არსებულ წესებსა და ტრადიციებში, ურთიერთობებში; შეეცადეთ, დაადგინოთ, რატომ ჯიუტობს და რატომ არ სურს დაკარგულს შინ დაბრუნება და მონანიება.

თუკი ოჯახში არის ბავშვი, რომელსაც თავისი ცოდვილი მდგომარეობა არ ესმის, მშობლებმა განგაში უნდა ატეხონ. მაშინვე აანთეთ სანთელი, გამოიკვლიეთ ღვთის სიტყვა და მის შუქზე დააკვირდით ყველაფერს სახლში, რათა, ბოლოსდაბოლოს, ბავშვის გაუცხოების მიზეზი შეიცნოთ. მშობელმაც უნდა ჩაიხედოს საკუთარ სულში, გადახედოს თავის ქცევებს და აწონ-დაწონოს თავისი მოქმედებანი. ბავშვები უფლის განძი და მემკვიდრეობაა და ყოველი ჩვენგანი პასუხს აგებს უფლის წინაშე მისი საკუთრების მართვისათვის.

ხშირად მშობლები მისიონერული მსახურებისათვის შორეული მხარეებისაკენ მიილტვიან; ბევრი მათგანი აქტიურად არის ჩაბმული ქრისტიანულ მსახურებაში სახლის გარეთ იმ დროს, როცა საკუთარი შვილები მხსნელს შორდებიან და მის სიყვარულს გაურბიან. თავის შვილებში ქრისტიანული სულის გაღვივების საქმეს მშობლები ხშირად მთლიანად ანდობენ ეკლესიის მსახურთ ან საშაბათო სკოლის მასწავლებლებს, რითაც საკუთარ მოვალეობას გაურბიან. ბავშვების ქრისტიანული სულით აღზრდა-განათლება - ეს მშობელთა უმთავრესი, უპირველესი მსახურებაა ღვთის წინაშე. ეს მსახურება დიდ მოთმინებას, ძალისხმევასა და გულმოდგინებას მოითხოვს მათგან მთელი სიცოცხლის მანძილზე. უფლის ამ დავალების თავიდან აცილებით კი უფლის ორგულ და ცრუ მნეებს დავემსგავსებით და მის წინაშე ვერაფრით გავმართლდებით მისი ნდობისადმი ასეთი გულგრილი დამოკიდებულების გამო.
მაგრამ ნურც ასეთი მშობლები დაკარგავენ იმედს. დედაკაცმა დაკარგული დრაქმა იმდენ ხანს ეძება, სანამ არ იპოვა. დაე სიყვარულით, რწმენითა და ლოცვით იშრომონ მშობლებმა თავიანთი ახლობლებისათვის, რათა შვილებთან ერთად სიხარულით მიეახლონ ღმერთს და განაცხადონ: "აი, მე და ბავშვები, რომლებიც მომცა მე უფალმა" (ეს. 8:18).
სწორედ ესაა მისიონერული მსახურება ოჯახურ პირობებში და იგი ისევე სასარგებლოა მსახურისათვის, როგორც მათთვის, ვისთვისაც იგი შრომობს. როდესაც ოჯახის წევრებსა და ახლობლებზე ვზრუნავთ, იმ ადამიანებისადმი მსახურებისათვის ვემზადებით, რომლებიც უფლის დიდ ოჯახს შეადგენენ და რომელთა გვერდით, თუკი ქრისტეს ერთგულნი ვიქნებით, უსასრულო საუკუნეთა განმავლობაში ცხოვრება მოგვიწევს. ჩვენი ქრისტიანი დებისა და ძმების ბედი ისევე უნდა გვაწუხებდეს, როგორც საკუთარი ოჯახის წევრებისა. და უფლის სურვილია, რომ ჩვენი საზოგადოებისათვის მსახურება სწორედ ოჯახში დაიწყოს. რაც უფრო მეტი იქნება ჩვენი თანაგრძნობა და სიყვარული ადამიანების მიმართ, მით უფრო გაფართოვდება ჩვენი მისიონერული მსახურების სფერო და შესაძლებლობანი. მთელი წუთისოფელი - ეს უფლის დიდი ოჯახია და მისი არც ერთი წევრის დავიწყება არ შეიძლება.
სადაც არ უნდა ვიყოთ, ყველგან გველის დაკარგულ დრაქმასთან შეხვედრა და იგი უნდა ვიპოვოთ. მაგრამ ვეძებთ კი მას? განა ყოველდღიურად არ გვიხდება შეხვედრა რელიგიისადმი გულგრილად განწყობილ ადამიანებთან, რომელთაც ჩვეულებრივ ვესაუბრებით, მაგრამ სულაც არ გვაინტერესებს მათი სულიერი მდგომარეობა? განა ვესაუბრებით მათ ჩვენს ერთადერთ მხსნელზე - ქრისტეზე? ან მაცხოვრის იმ დიდ სიყვარულზე, რომელმაც ჩვენი გული უკვე გაათბო? და როგორღა შევხედავთ ამ დაღუპულ, სამუდამოდ დაკარგულ სულებს, როცა მათთან ერთად ღვთის ტახტის წინაშე წარვდგებით, თუკი ამას არ ვაკეთებთ? როგორია ერთი ადამიანის საფასური? ვინ განსაზღვრავს მას? თუ გსურთ, გაიგოთ, წადით გეთსიმანიის ბაღში და იფხიზლეთ იქ ქრისტესთან ერთად მისი ტანჯვის წუთებში, როცა მის შუბლს სისხლიანი ოფლის წვეთები ნამავდა; მიდით და შეხედეთ გოლგოთის ჯვარზე გაკრულ მაცხოვარს; მოისმინეთ მისი სასოწარკვეთილი შეძახილი: "ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე?" (მარკ. 15:34). შეხედეთ მის სისხლით მოსვრილ შუბლს, განგმირულ სხეულს, ჭრილობებით დასერილ ფეხებს და მუდამ გახსოვდეთ, რომ ქრისტეს, შესაძლოა, ყველაფერი დაეკარგა. გახსოვდეთ, რომ ჩვენი გადარჩენისათვის საშიშროება

შეექმნა და საფრთხე დაემუქრა მთელ ზეცას. როდესაც გოლგოთის ჯვართან მიხვალთ და გააცნობიერებთ, რომ ქრისტე მხოლოდ ერთი ცოდვილისათვისაც კი გაწირავდა თავის სიცოცხლეს, მიხვდებით, რა ძვირფასია თითოეული ადამიანი.
მაცხოვართან თუ ახლო ურთიერთობა გაქვთ, მაშინ ყოველ ადამიანს მისი თვალით შეაფასებთ: ადამიანები ისევე გეყვარებათ, როგორც თქვენ უყვარხართ ქრისტეს. მაშინ გექნებათ უნარი, შეიძინოთ და არა უარყოთ, მიიზიდოთ და არა უგულებელყოთ ის ადამიანები, ვისთვისაც მაცხოვარი მოკვდა. ვერავინ დაბრუნდებოდა ღმერთთან, რომ არა იესოს ძალისხმევა და დამსახურება. თქვენც შეგიძლიათ, იშრომოთ ადამიანთა გადასარჩენად. შეუძლებელია, შეინარჩუნოთ სიმშვიდე და უზრუნველობა, როცა ხედავთ, როგორ მიექანებიან ადამიანები სიკვდილის უფსკრულისაკენ. რაც უფრო დიდია მათი ცოდვა, მათი დაცემა, მით უფრო მეტი ყურადღებისა და მზრუნველობის გამოჩენა გმართებთ მათ გადასარჩენად. მაშინ კარგად გაუგებთ მათ, ვისაც ძლიერ სტანჯავს თავისი დანაშაული ღვთის წინაშე, თანაგრძნობისა და დახმარების ხელს გაუწოდებთ და ქრისტიანული რწმენითა და სიყვარულით მოიყვანთ ქრისტესთან. იზრუნებთ და გაამხნევებთ და თქვენი ასეთი თანადგომა კიდევ უფრო განუმტკიცებს მათ მოპოვებულ რწმენას.
ზეციური ანგელოზები სიხარულით ითანამშრომლებენ თქვენთან ამ საქმეში. ყველაფერი, რაც ზეცას გააჩნია, მათ ხელთ იქნება, ვინც დაღუპულთა გადარჩენისათვის იღვწის. ანგელოზები გაგიკვლევენ გზას და დაგეხმარებიან განდგომილთა და გზააბნეულთა ძებნაში. ერთი მომნანიებელი ცოდვილის გამოც კი ძლიერ ხარობს ზეცა; სერაფიმები და ქერუბიმები ოქროს ქნარებს ახმიანებენ და სამადლობელ ჰიმნებს უძღვნიან ღმერთსა და კრავს კაცობრიობისადმი ასეთი დიდი მოწყალების, თანაგრძნობისა და სიყვარულის გამო.

## თავი 16 - "დაკარგული იყო და გამოჩნდა"

ლუკ. 15:11-32

იგავში დაკარგული ცხვრის, დაკარგული დრაქმისა და დაკარგული ძის შესახებ ნათლად ჩანს, თუ როგორ წუხს უფალი განდგომილ შვილებზე და კვლავაც როგორ უყვარს ისინი. თუმცა მათ თავად მიატოვეს ღმერთი, მაგრამ უფალი გასაჭირში არ ტოვებს მათ. იგი კეთილად, ღრმა თანაგრძნობითაა გამსჭვალული ვერაგი მტრისაგან ცდუნებული ყოველი ადამიანის მიმართ.
იგავში დაკარგულ ძეზე ნაჩვენებია, თუ როგორ ექცევა უფალი მათ, ვინც ერთ დროს კარგად იცნობდა მამის სიყვარულს, მაგრამ უფლება მისცა ეშმაკს, დაემარცხებინა და დაეტყვევებინა იგი.
"ერთ კაცს ორი ვაჟი ჰყავდა. უმცროსმა ვაჟმა უთხრა მამას: მომეცი ჩემი კუთვნილი წილი ქონებისა. და მამამ გაუყო მათ ქონება. რამდენიმე დღის შემდეგ უმცროსმა ვაჟმა მოაგროვა ყველაფერი, წავიდა შორეულ ქვეყანაში და გაფლანგა თავისი ქონება თავაშვებული ცხოვრებით".

უმცროსი ვაჟი დიდად შეაწუხა მამის სახლში გამეფებულმა მკაცრმა წესრიგმა და თვლიდა, რომ მისი თავისუფლება შეიზღუდა. არად ჩააგდო მამის სიყვარული და მზრუნველობა და გადაწყვიტა, მარტო, თავისთვის ეცხოვრა. ეს უმცროსი ვაჟი უარყოფს თავის ყოველგვარ მოვალეობას მამის მიმართ, უმადურობას იჩენს და წილს ითხოვს მამის ქონებიდან. მას სურს, ახლავე მიიღოს მემკვიდრეობა, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ ისედაც მას დარჩება; სურს, დღესვე, ახლავე დატკბეს ცხოვრებით, მომავალი კი სრულიად არ აინტერესებს.
მიიღო რა თავისი წილი, "წავიდა შორეულ ქვეყანაში", შორს მამის სახლისაგან. ახლა მას ბევრი ფული აქვს და ისე მოიქცევა, როგორც მას სურს. ბედნიერია, რომ ამდენი ხნის გულში დაფარული სურვილი აუსრულდა. არავინ გააფრთხილა იგი, არავინ უთხრა: ნუ აკეთებ ამას, თორემ თავს დაიღუპავ. ან: ასე და ასე მოიქეცი, ასე უფრო სწორიაო. ურჯულო მეგობრებმა ცოდვის უფსკრულისკენ უბიძგეს და მანაც "გაფლანგა თავისი ქონება თავაშვებული ცხოვრებით".
ბიბლია მოგვითხრობს იმ ადამიანებზე, რომელნიც "თავიანთ თავს ბრძენს უწოდებენ და გამოსულელდნენ" (რომ. 1:22). ამჯერად ეს სიტყვები უმცროს ვაჟს ეხება. მან ფუქსავატურად გაფლანგა ქონება, რომელიც მამისგან მოითხოვა. ასევე უაზროდ გაიფლანგა ახალგაზრდული ენერგია, სიყმაწვილის ძვირფასი წლები, ინტელექტი და გონიერება, ყმაწვილური სულიერი შემართება - ყველაფერი ვნებათა ცეცხლმა შთანთქა.
იმ ქვეყანაში დიდი შიმშილობა ჩამოვარდა და ყმაწვილს დიდად გაუჭირდა. წავიდა და იმ ქვეყნის ერთ მდიდარ მცხოვრებს მიეკედლა, რომელმაც თავის მინდვრებში გაგზავნა ღორების საძოვებლად, რაც ყველაზე სამარცხვინო და სათაკილო სამუშაო იყო ებრაელისათვის. ახალგაზრდა კაცი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ ასე ამაყობდა თავისუფლებით, ახლა სხვის მსახურად იქცა, ყველაზე სამარცხვინო ხუნდები დაიდო და "ცოდვის ბორკილებით" შეიბოჭა (იგავ. 5:22). მალე შეიცნობს იგი ამ ბორკილების მთელ სიმძიმეს. შიმშილისაგან განადგურებული ქვეყნის ხრიოკ მიწაზე მჯდარს მხოლოდ ღორებთან ჰქონდა ურთიერთობა და "ენატრებოდა, მუცელი იმ რკოთი მაინც ამოეყორა, რომელსაც ღორები ჭამდნენ". იმ მხიარულ მეგობართაგან, რომელნიც მისი კეთილდღეობის ჟამს მუდამ მის ირგვლივ ტრიალებდნენ, მის ხარჯზე ჭამდნენ და სვამდნენ, აღარავინ შემორჩა. სადღაა მისი ბედნიერი თავისუფლება? ადრე, როცა საკუთარი სინდისის ხმასა და სიკეთისაკენ სწრაფვის სურვილს თავადვე იხშობდა საკუთარ თავში, თავი ყველაზე ბედნიერი ეგონა. ახლა კი, როცა ფული სრულიად გაფლანგა და შიმშილი აწუხებდა; როცა ასე დამცირებული და მიწასთან გასწორებული, ზნეობადაკარგული, გაუხეშებული და უნებისყოფო აღმოჩნდა, მოკვდავთა შორის ყველაზე უბედურად გრძნობდა თავს.
ცოდვილი კაცის სამწუხარო მდგომარეობის რა ზუსტი სურათია გადაშლილი აქ! უფლისაგან კურთხეულ, მისი სიყვარულით უხვად დაჯილდოებულ ცოდვილს ყველაზე მეტად მისგან შორს ყოფნა სურს, რათა თავისი მანკიერი ვნებანი და სურვილები დაიკმაყოფილოს. ისიც უმადური ვაჟის მსგავსად ითხოვს ღმერთისგან მის წილ კეთილდღეობას, რადგან თვლის, რომ ეკუთვნის; რომ დაიმსახურა. და ამისათვის არც უფლის მადლიერია და არც სიყვარულის მსახურებით პასუხობს მას. როგორც კაენი წავიდა უფლისაგან საკუთარი სახლის

საძებნელად; როგორც უმცროსი ვაჟი "წავიდა შორეულ ქვეყანაში", - ასევე ეძებს ცოდვილი თავის ბედნიერებას ღვთისაგან შორს (იხ. რომ. 1:28).
რაოდენ მიმზიდველიც არ უნდა იყოს ასეთი ცხოვრების გარეგნული მხარე, საბოლოოდ ნათელი ხდება, რომ მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვაში გატარებული ცხოვრება - ეს არის ფუჭად გატარებული წლები. ის, ვინც უღმერთოდ ცხოვრებას ცდილობს, თავს იღუპავს; ფუჭად კარგავს თავისი სიცოცხლის ძვირფას წლებს, ინტელექტს, გულსა და სულს, რითაც საუკუნო სიცოცხლისათვის უსარგებლოს ხდის საკუთარ თავს. კაცი, რომელიც ღმერთს იმისათვის შორდება, რომ მხოლოდ საკუთარ თავზე იზრუნოს, სინამდვილეში მამონას ტყვედ იქცევა. გონება, რომელიც უფალმა ზეციურ ანგელოზებთან ურთიერთობისათვის შექმნა, მხოლოდ მიწიერისკენ, მდაბალი ვნებებისაკენ მიილტვის. საკუთარ თავზე ზრუნვას მხოლოდ ასეთი შედეგი მოჰყვება.
თუკი თქვენ ასეთ ცხოვრებას ირჩევთ, უნდა იცოდეთ, რომ თქვენს ქონებას ფლანგავთ იმაზე, რაც პური არ არის და შრომობთ იმისათვის, რაც ჭეშმარიტ კმაყოფილებას არ მოგიტანთ. დადგება დრო და თქვენ დაინახავთ თქვენს დაცემას. შორეულ ქვეყანაში მარტოდმარტო აღმოჩნდებით და სასოწარკვეთილს, აღმოგხდებათ: "უბადრუკი ადამიანი ვარ! ვინ დამიხსნის ამ სიკვდილის სხეულისაგან?" (რომ. 7:24). მარადიული, უცვლელი ჭეშმარიტებაა წინასწარმეტყველის სიტყვებში: "წყეულია კაცი, რომელიც ადამიანზეა დანდობილი და ხორცისგან მოიცემს ძალას, უფალს კი შორდება მისი გული. და იქნება შიშველივით ტრამალზე, ვერ იხილავს სიკეთის მოსვლას და იცხოვრებს გადაბუგულ უდაბნოში, მარილოვან ქვეყანაში, და ვერ დასახლდება" (იერ. 17:5,6). უფალს "თავისი მზე ამოჰყავს ბოროტთა და კეთილთა თავზე და წვიმას უგზავნის მართლებსა და უსამართლოებს" (მათ. 5:45). მაგრამ ადამიანებს ეძლევათ უფლება, უარი თქვან მზეზე და წვიმაზე. ამიტომ, იმ დროს, როცა სიმართლის მზე ანათებს და ყველას მადლის წვიმა ეძლევა, შესაძლოა, ღმერთს დავშორდეთ და "გადაბუგულ უდაბნოში, მარილოვან ქვეყანაში" აღმოვჩნდეთ.
და მაინც, უფალს კვლავ უყვარს ის, ვინც მისგან შორს ყოფნა არჩია. ყველა ღონეს ხმარობს უფალი მის დასაბრუნებლად. დაკარგული ძე, აღმოჩნდა რა ასეთ სავალალო მდგომარეობაში, "გონს მოეგო". სიცრუემ, რომლითაც სატანამ იგი ღმერთს დააშორა, ძალა დაკარგა მასზე. მიხვდა ყმაწვილი, რომ მისი უბედურება მისივე უგუნურების ბრალი იყო და გადაწყვიტა: "მამაჩემთან რამდენ მოჯამაგირეს პური თავსაყრელი აქვს, მე კი შიმშილით ვკვდები. ავდგები, წავალ მამაჩემთან". კვლავ მიეცა მამის სიყვარულისადმი რწმენა და იმედი გზააბნეულ შვილს. სწორედ ეს სიყვარული ეწეოდა მას უკან, თავისი სახლისაკენ. ასევე ხდება ყოველი ცოდვილის ცხოვრებაში: უფლის სიყვარულისადმი რწმენა აბრუნებს მას ღმერთთან. "ღვთის სახიერებას მონანიებისაკენ მიჰყავხარ" (რომ. 2:4). ღვთიური სიყვარული და მოწყალება - აი ის ოქროს ჯაჭვი, რომელიც იცავს ხიფათში მყოფ ყოველ ცოდვილს. "საუკუნო სიყვარულით შეგიყვარე... ამის გამო მიგიზიდე წყალობით" (იერ. 31:3), - ამბობს უფალი ღმერთი.
დაკარგული ძე გადაწყვეტილებას იღებს, აღიაროს თავისი დანაშაული; დაბრუნდეს მამასთან და უთხრას: "შევცოდე ზეცის მიმართ და შენს წინაშე, ღირსი აღარა ვარ, რომ შენს ძედ ვიწოდებოდე". შემდეგ განაგრძობს: "მიმიღე,

როგორც ერთი შენი მოჯამაგირეთაგანი". რა ცუდად იცნობს ყმაწვილი მამის სიყვარულს!
ყმაწვილი ტოვებს ღორების კოლტს, სალაფავს და იმედის თვალით უცქერს შინისკენ მიმავალ გზას. შიმშილისაგან დასუსტებული, აცახცახებული, დაღლილ-დაქანცული, ჯიუტად განაგრძობს გზას. ძონძებში გახვეულს არაფერი აქვს ისეთი, შიშველი სხეული რომ დაუფაროს, მაგრამ უბედურებამ სიამაყე დაავიწყა და ჩქარობს, რათა მოჯამაგირის ადგილი ითხოვოს იქ, სადაც ადრე ძედ იწოდებოდა.
არასოდეს დაფიქრებულა ეს მხიარული და უზრუნველი ახალგაზრდა კაცი, თუ რაოდენ დიდი მწუხარება და ტკივილი მიაყენა მამის გულს, როდესაც სამუდამოდ დატოვა თავისი სახლი. მას შემდეგაც, თავის თავაშვებულ ამხანაგებთან ერთად ლხინსა და დროსტარებაში გართულს, არასოდეს უფიქრია იმ მწუხარების ჩრდილზე, მისგან დატოვებულ სახლს რომ მოეფინა. და აი ახლაც, როდესაც საშინლად დაქანცული ფეხებს ძლივს მიათრევდა, ბრუნდებოდა სახლში, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ იქ არავინ ელოდა. მაგრამ, "როცა ჯერ კიდევ შორს იყო", მამამ შორიდან შენიშნა და იცნო თავისი ვაჟი. სიყვარულს მეტად მახვილი მზერა აქვს. თუმცა წლების მანძილზე აღვირახსნილმა ცხოვრებამ დიდად შეცვალა ვაჟის გარეგნობა, მაგრამ მამამ მაინც იცნო იგი; "დაინახა და შეებრალა. გაიქცა, ყელზე მოეხვია და აკოცა". მამა არ დაუშვებს, რომ ვინმემ დასცინოს მის შვილს სიღარიბისა და დახეული ტანსაცმლის გამო: თავისი ძვირფასი მანტია გაიძრო და თავის ძეს გამხდარ მხრებზე მოახურა. აქვითინდა შვილი, ინანა თავისი საქციელი და წარმოთქვა: "მამა! შევცოდე ზეცის მიმართ და შენს წინაშე. ღირსი არა ვარ, რომ შენს ძედ ვიწოდებოდე". მამამ კი ვაჟი გულში ჩაიკრა და შინისკენ გაუძღვა. აღარ დასჭირდა მას მოჯამაგირის ადგილის თხოვნა. იგი ძეა, რომელსაც მიეცემა ყოველივე საუკეთესო, რაც სახლშია; რომელსაც პატივს მიაგებენ მსახურნი და მოემსახურებიან.
მამამ მსახურთ უბრძანა: "მოუტანეთ საუკეთესო სამოსელი და ჩააცვით, გაუკეთეთ ბეჭედი ხელზე და სანდლები ჩააცვით ფეხებზე. მოიყვანეთ ნასუქალი ხბო და დაკალით. ვჭამოთ და ვიმხიარულოთ".
დაკარგულ ძეს სიყმაწვილის მღელვარე წლებში მამა მეტად მკაცრ და მომთხოვნ პიროვნებად ეჩვენებოდა. სულ სხვანაირია მამა ახლა მის თვალში! როგორ ემსგავსებიან ამ ყმაწვილს სატანისგან მწარედ მოტყუებული ადამიანები, რომელთაც უფალი სასტიკ და უმოწყალო მსაჯულად წარმოუდგენიათ. ჰგონიათ, რომ იგი მუდამ იმის მოლოდინშია, თუ როდის ჩაიდენს დანაშაულს ადამიანი, რათა შემდგომ განიკითხოს და დასაჯოს; რომ იგი არ მიიღებს ცოდვილს და არც დაეხმარება, სანამ ამის რაიმე მიზეზი გააჩნია. მრავალი ადამიანი მის რჯულს კაცობრიობის ბედნიერების დამთრგუნველ მცნებებად, მძიმე უღლად მიიჩნევს, რომლისგანაც თავის დაღწევა სწადიათ. მაგრამ ისინი, ვისაც ქრისტეს სიყვარულმა სულიერი თვალები აუხილა, კარგად ხედავენ უფლის თანაგრძნობას. ისინი მას მიიჩნევენ არა სასტიკ, დესპოტურ და უმოწყალო არსებად, არამედ მამად, რომელიც მზად არის, გულში ჩაიკრას შინ დაბრუნებული შვილი. და ცოდვილი მეფსალმუნესთან ერთად წარმოთქვამს: "როგორც მამა შეიწყნარებს შვილებს, ისე შეიწყნარა უფალმა მოშიშნი მისნი" (ფსალმ. 102:13).

იგავში არავინ დასცინის გზააბნეულ ძეს, არც მის მიერ განვლილ ბოროტ გზას ამზეურებს. ძე გრძნობს, რომ მისი წარსული საქმეები მიტევებული, დავიწყებული და სამუდამოდ წაშლილია. ამასვე ეუბნება უფალი ცოდვილს: "წარვხოცე მე, როგორც ნისლი, შენი დანაშაულებანი და როგორც ჯანღი - შენი ცოდვანი" (ეს. 44:22). "ვაპატიებ მათ ურჯულოებას და მათ ცოდვებს აღარ გავიხსენებ მეტად" (იერ. 31:34). "დატოვებს ბოროტეული თავის გზას და უსამართლო კაცი თავის ზრახვებს; დაუბრუნდება უფალს და ის შეიწყალებს მას; და ჩვენს ღმერთს, რადგან ის მრავლის მიმტევებელია" (ეს. 55:7). "იმ დღეებში და იმ დროს, - სიტყვა უფლისა, - მოიკითხავს ისრაელის ურჯულოებას და არ იქნება იგი, და იუდას ცოდვებს - და ვერ იპოვნიან, რადგან მივუტევებ მათ, ვისაც ცოცხლებში დავტოვებ" (იერ. 50:20).
აი რა მტკიცებებია აქ იმისა, რომ ღმერთს სურს მომნანიებელი ცოდვილის შინ დაბრუნება. იქნებ თქვენც ამოირჩიეთ საკუთარი გზა, ჩემო მკითხველო? იქნებ ძლიერ შორს წახვედით უფლისაგან? იქნებ თქვენც დატკბით ცოდვის ნაყოფით, რათა ოდესმე მიხვდეთ, რომ ეს მხოლოდ მტვერია თქვენს ბაგეებზე? და ახლა, როცა ძალა გამოგელიათ და დასუსტდით, როცა ცხოვრების გეგმები ჩაგეშალათ, იმედებიც გაგიცრუვდათ და სულ მარტო დარჩით, სასოწარკვეთილება ხომ არ დაგეუფლათ? სიყვარულის ხმა, რომელიც უკვე დიდი ხანია, თქვენს გულს ესაუბრება, მაგრამ მისი მოსმენაც კი არ გსურდათ, ახლაც ცხადად და გასაგებად მოგმართავთ: "ადექით და წადით, არ არის აქ განსასვენებელი ადგილი. უწმიდურების გამო გაიტანჯება და მწარე იქნება სატანჯველი" (მიქ. 2:10). დაბრუნდით მამის სახლში. მამა გიხმობთ და გაიმედებთ: "მობრუნდი ჩემსკენ, რადგან მე გამოგისყიდე შენ" (ეს. 44:22).
ნუ მოუსმენთ მტერს, რომელიც მუდამ ჩაგჩურჩულებთ, რომ შეუძლებელია ქრისტესთან მისვლა, სანამ უკეთესნი და მასთან მისვლის ღირსნი არ გახდებით. თუკი მას მოუსმენთ და ამას დაელოდებით, ვერასოდეს მიხვალთ მაცხოვართან. როცა სატანა თქვენს დასვრილ სამოსელზე მიგითითებთ, გაიმეორეთ ქრისტეს სიტყვები: "ჩემთან მოსულს გარეთ არ გავაძევებ" (იოან. 6:37). უთხარით კაცობრიობის მტერს, რომ იესო ქრისტეს სისხლი გაგწმენდთ ყოველგვარი უკეთურობისაგან. თქვენს საკუთარ ლოცვად მიიჩნიეთ დავითის ლოცვა: "მასხურე უსუპით და განვიწმიდები; განმბანე და თოვლზე მეტად განვსპეტაკდები" (ფსალმ. 50:9).
ადექით და წადით თქვენს მამასთან. ჯერ კიდევ შორს იქნებით, ის კი უკვე დაგინახავთ. როგორც კი მისკენ მონანიებით პირველ ნაბიჯს გადადგამთ, იგი მყისვე დიდი სიყვარულით ჩაგიკრავთ გულში. მუდამ ფხიზლობს იგი ტანჯული სულის ღაღადის შესასმენად. გულის პირველი სურვილიც ცნობილია მისთვის. არ არსებობს არც ერთი ლოცვა, თუნდაც მოკრძალებით და ჩუმად წარმოთქმული, არც ერთი ჩუმად დაღვრილი ცრემლი, არც ერთი მისკენ გაუბედავად გადადგმული ნაბიჯი, რომ ღვთის წმიდა სულმა ვერ შეამჩნიოს და არ დაეხმაროს. ჯერ კიდევ ლოცვის წარმოთქმამდე ან საკუთარი გულის ზრახვათა შეცნობამდე გვიგზავნის მაცხოვარი თავის მადლს იმ მადლთან შესახვედრად, რომელიც ადამიანის გულში უკვე მოქმედებს.
თქვენი ზეციერი მამა თავად გაგხდით ცოდვისაგან დასვრილ სამოსელს. ზაქარიას დიდებულ სიმბოლურ წინასწარმეტყველებაში ღვთის ანგელოზის წინაშე ჭუჭყიან სამოსელში მდგარი დიდი იესო მღვდელმთავარი ცოდვილ

ადამიანთა წარმომადგენელია. მაგრამ ანგელოზმა უფლის დავალებით წარმოთქვა: "გახადეთ წვირიანი სამოსელი! უთხრა მას: აჰა, წარგხოცე უკეთურება და საზეიმო სამოსლით შეგმოსავ. თქვა: დაახურონ თავზე სუფთა თავსაბურველი და ჩააცვან სამოსელი" (ზაქ. 3:4,5).
იესო მღვდელმთავრის მსგავსად თქვენც შეგმოსავთ უფალი ღმერთი "ხსნის ტანსაცმლით" და "სიმართლის სამოსლით" (ეს. 61:10). "თუნდაც ცხვრის ბაკებში იწვეთ, მტრედის ფრთებს ვერცხლით დაფარულს ჰგავხართ და მის ნაკრტენს მოოქროვილს" (ფსალმ. 67:14).
იგი შეგიყვანთ თავის სახლში და სიყვარული იქნება მისი ალამი თქვენს ზემოთ (ქებ. 2:4). "ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: თუ ჩემი გზებით ივლი და ჩემს სამსახურს შეასრულებ, გაუძღვები ჩემს სახლს და თვალყურს ადევნებ ჩემს ეზოებს, მოგცემ მისასვლელს აქ მდგომარეთა შორის" - ტახტის ირგვლივ მყოფ წმიდა ანგელოზთა შორის (ზაქ. 3:7).
"როგორც ნეფე ხარობს პატარძალზე, ისე შენი ღმერთი იხარებს შენზე" (ეს. 62:5). "უფალი, შენი ღმერთი, შენს წიაღშია, გმირი, რომელიც გიხსნის. სიხარულით გაიხარებს შენზე, განგაახლებს თავის სიყვარულში, სიმღერით იზეიმებს შენს გამო" (სოფ. 3:17). საზეიმო საგალობლებით შეუერთდება ცა და დედამიწა უფლის სიხარულს: "ეს ჩემი ვაჟი მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდა".
ამრიგად, მაცხოვრის ამ იგავში აქამდე არ გამოჩენილა არც ერთი ნოტი, ამ სასიხარულო შეხვედრის ჰარმონიულ სცენას რომ დაარღვევდა. მაგრამ აქ ქრისტეს კიდევ ერთი მოქმედი პირი შემოჰყავს. დაკარგული ძის დაბრუნების მომენტში "უფროსი ვაჟი მინდორში იმყოფებოდა. რომ დაბრუნდა და სახლს მიუახლოვდა, სიმღერისა და ცეკვა-თამაშის ხმა შემოესმა. დაუძახა ერთ მსახურთაგანს და ჰკითხა: ეს რა ამბავია? მან უთხრა მას: შენი ძმა მოვიდა და მამაშენმა ნასუქალი ხბო დაკლა, რაკი მრთელი დაუბრუნდა. ის კი გაბრაზდა და შესვლა აღარ უნდოდა". ეს უფროსი ვაჟი სულაც არ იზიარებდა მამის წუხილს მთელი ამ ხნის განმავლობაში და არც თავის დაკარგულ ძმას ელოდა. ამიტომ არც ახლა იზიარებს მამის სიხარულს იმის გამო, რომ ეს მაწანწალა შინ დაბრუნდა. არც ზეიმის მონაწილეთა მხიარული ხმები იწვევს მასში აღტაცებასა და სიხარულს. იგი მსახურს ეკითხება მხიარულების მიზეზს და პასუხი შურს იწვევს მასში. მას არ სურს, შევიდეს და თავის ამდენი ხნის დაკარგულ ძმას მიესალმოს. დაკარგულის მიმართ ასეთი ყურადღება მან თავის შეურაცხყოფად მიიღო.
როდესაც მამა გამოვიდა და ეს ამბავი ამცნო, მაშინ უფროსმა ძმამ სრულად გამოაჩინა თავისი მანკიერი ხასიათი: სიამაყე და შური. იგი თვლიდა, რომ მთელი თავისი სიცოცხლე მამის სახლში საზღაურის გარეშე შრომობდა; მამა კი ასეთი დიდი ზარ-ზეიმით და სიხარულით შეხვდა ახლახან დაბრუნებულ დაკარგულ ძმას. იმის ნაცვლად, რომ თავადაც ეზეიმა მამასთან ერთად ძმის დაბრუნება, მან იმაზე ფიქრი დაიწყო, თუ რამდენი ქონება ერგებოდა იმისათვის, რომ ასე პატიოსნად ცხოვრობდა. მისი სიტყვებიდან ჩანს, რომ მხოლოდ ამის გულისათვის იკავებდა იგი თავს ცოდვილი ცხოვრებისაგან. ახლა კი უფროს ძმას უსამართლობად მიაჩნია უმცროსისათვის მამის ქონების გაყოფა. მას აღიზიანებს ის, რომ უმცროს ძმას ასეთი დიდი სიხარულითა და პატივით შეხვდნენ. აქედან ჩანს: იგი რომ მამის ადგილზე აღმოჩენილიყო, დაკარგულ

ძეს არ მიიღებდა. იგი ძმადაც კი არ თვლის მას, არამედ ამბობს: "ეს შენი ვაჟი". მიუხედავად ამისა, მამა რბილად და ნაზად ელაპარაკება: "შვილო, - ეუბნება იგი, - შენ მუდამ ჩემთან ხარ და, რაც კი მაქვს, შენია". განა შენ არ მოგეცა უპირატესობა ჩემთან მეგობრული ურთიერთობისა მთელი ამ წლების განმავლობაში, შენი ძმა რომ დაკარგული იყო?
ყველაფერი, რაც შვილებს ბედნიერებას მოუტანდა, მათ ეკუთვნოდა. შვილმა არ უნდა დასვას კითხვა ჯილდოსა და საზღაურის შესახებ, რადგან ყოველივე ისედაც მას ეკუთვნის. "რაც კი მაქვს, შენია". შენ ისღა დაგრჩენია, ირწმუნო ჩემი სიყვარული და მიიღო ჯილდო, რომელიც შენთვისაა გამზადებული.
ერთ-ერთი ვაჟი დროებით განუდგა ოჯახსა და ახლობლებს; ვერ დააფასა მამის სიყვარული. მაგრამ აი ის დაბრუნდა და სიხარულმა შეცვალა ყოველგვარი დარდი. "შენი ძმა მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდა".
მიხვდა თუ არა საკუთარი სულის სიმდაბლესა და უმადურობას უფროსი შვილი? დაფიქრდა თუ არა იმაზე, რომ, თუმცა უმცროსი ვაჟი შეცდა და დაეცა, მაინც ძმა იყო მისი? მოინანია თუ არა მან თავისი ეგოისტური და ულმობელი საქციელი? ამაზე მაცხოვარი დუმს. ვინაიდან იგავში აღწერილი ამბავი კვლავ გრძელდებოდა, მსმენელს შესაძლებლობა ეძლეოდა, თავადვე განესაზღვრა მისი დასასრული.
უფროსი ძმა ამ იგავში ქრისტეს დროის ებრაელებისა და, ამასთანავე, ყველა დროის ფარისეველთა წარმომადგენელია, რომელნიც ცოდვილთ და მებაჟეთ ადამიანებად არ თვლიდნენ. მათ თავი წმიდებად მიაჩნდათ, ვინაიდან თავად ისეთ დანაშაულს არ სჩადიოდნენ, მათთვის სამხილი რომ ყოფილიყო. ქრისტე კი ამ სხვის გამკიცხავ ადამიანთა ნამდვილ ცხოვრებას ამხილებდა. უფროსი ძმის მსგავსად მათაც განსაკუთრებული უპირატესობანი მიეცათ ღვთისაგან. თავს უფლის სახლში ღვთის შვილებად თვლიდნენ, მაგრამ სული მოჯამაგირისა ჰქონდათ. თუმცა შრომობდნენ, მაგრამ არა სიყვარულის გამო, არამედ საზღაურის მიღების მიზნით. უფალს მკაცრ, მომთხოვნ ზედამხედველად თვლიდნენ. აქ კი სულ სხვა სურათს ხედავდნენ: უანგაროდ აძლევდა ქრისტე მებაჟეთა და ცოდვილთ თავის კურთხევასა და მადლს - ძღვენს, რომლის დამსახურებასაც რაბინები საკუთარი ძალისხმევით ცდილობდნენ. და შეურაცხყოფილად იგრძნეს თავი. დაკარგულ ძეთა შინ დაბრუნება, რაც ასე დიდ სიხარულს ჰგვრიდა ზეციერ მამას, მათში შურსა და ეჭვს იწვევდა მხოლოდ.
მამის მიერ უფროსი ვაჟისადმი გამოვლენილი სულგრძელობა იმ უდიდესი მოთმინების გამოხატულებაა, რომელსაც უფალი ფარისეველთა მიმართ იჩენდა. "რაც კი მაქვს, შენია". ეს არ არის საზღაური. ეს ძღვენია. დაკარგული ძის მსგავსად თქვენც შეგიძლიათ, მიიღოთ იგი, როგორც დაუმსახურებელი ჯილდო მამის ღვთიური სიყვარულისა.
საკუთარი, და არა ღვთიური, სიმართლე არა მხოლოდ წარმოდგენას უქმნის ადამიანებს უფლის შესახებ, არამედ ძმების მიმართ ამაზრზენ, სასტიკ, ულმობელ კრიტიკას იწვევს მათში. საკუთარი ეგოიზმით დაბრმავებული უფროსი ძმა მზად იყო, მუდამ ფხიზლად ედევნებინა თვალყური თავისი უმცროსი ძმისათვის, გაეკრიტიკებინა მისი ყოველი ნაბიჯი და მოქმედება და სულ მცირე ნაკლისათვისაც კი გაეკიცხა. იგი აუცილებლად შენიშნავდა ყოველ

მის შეცდომასა და არასწორ საქციელს, რითაც თავისი მიუტევებლობის სულის გამართლებას შეეცდებოდა. ბევრი ხომ დღესაც ასე იქცევა: იმ დროს, როცა ადამიანი პირველად იწყებს თავისი უდიდესი ძალისხმევის გამოვლინებას ცდუნებათა ნიაღვრის წინააღმდეგ, ისინი იქვე დგანან, ამაყნი და საკუთარი სიმართლის ლაღად მატარებელნი და მუდამ მზად არიან, გაკიცხონ და განიკითხონ. და, თუმცა ისინი თავს ღვთის შვილებად თვლიან, მათში სატანის სული მოქმედებს. მოყვასთა მიმართ ასეთი დამოკიდებულების გამო ისინი საკუთარ თავს ისეთ მდგომარეობას უქმნიან, რომ უფალს არ ძალუძს, მისცეს მათ თავისი ღვთიური ნათელი.

მრავალს აწუხებს ერთი და იგივე კითხვა: "რით წარვდგე უფალთან და თაყვანივცე მაღალ ღმერთსო? სრულადდასაწველებით, წელგამოვლილი ხბორებით ხომ არ წარვდგეო? ეამება კი უფალს ათასი ვერძი, ზეთის ათიათასი მდინარეო?" მაგრამ უფალი ამბობს: "რას ითხოვს შენგან უფალი? მხოლოდ სამართლის ქმნას, და წყალობის სიყვარულს; მოწიწებით სიარულს უფლის წინაშე" (მიქ. 6:6-8).

აი მსახურება, რომელიც უფალმა აირჩია: "გახსენი საბელნი ბოროტეულთა, შეხსენი ბორკილნი უღლისა, და გაუშვი ჩაგრულნი თავისუფლად და ყველა უღელი გაწყვიტეთ... შენს სისხლსა და ხორცს ნუ უგულვებელჰყოფ (ეს. 58:6,7). როცა თქვენ მიხვდებით, რომ ცოდვილი ხართ და მხოლოდ თქვენი ზეციერი მამის სიყვარული გადაგარჩენთ, უფრო მეტი სიყვარული და თანაგრძნობის გაწევის სურვილი გაგიჩნდებათ მათ მიმართ, ვინც ცოდვაში იტანჯება. მაშინ ეჭვის თვალით და გულგრილად აღარ შეხედავთ სხვის უბედურებასა და მონანიებას. როცა თქვენს გულში ეგოიზმის ყინული გალღვება, მაშინ სრული თანხმობა გექნებათ ღმერთთან და მთელი გულით გაიზიარებთ უფლის სიხარულს დაკარგულთა ხსნის გამო.

თქვენ თავს ჭეშმარიტად ღვთის შვილებად თვლით. და, თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ უფალთან დაბრუნებული უნდა ჩათვალოთ ძმად, რომელიც "მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდა". იგი ყველაზე ახლობელი უნდა გახდეს თქვენთვის, ვინაიდან მამამ თავის ძედ აღიარა. და, თუკი თქვენ გაცოცხლებულ ძმასთან სიახლოვეს უარყოფთ, ცხადი გახდება, რომ მამის სახლში დაქირავებული მსახური ხართ და არა უფლის ოჯახის სრულფასოვანი წევრი.

მიუხედავად იმისა, გაიზიარეთ თუ არა თქვენ დაკარგული ძმის დაბრუნებით გამოწვეული სიხარული, მიესალმეთ თუ არა მას, ლხინი მაინც გაგრძელდება; დაბრუნებული თავის ადგილს დაიჭერს მამის გვერდით და მის საქმეებში. ის, ვისაც მეტი მიეტევა, მეტად შეიყვარებს. "ვისაც არ უყვარს, მას არ შეუცვნია ღმერთი, ვინაიდან ღმერთი სიყვარულია" (1იოან. 4:8).

## თავი 17 - "დატოვე ამ წელიწადსაც"

ლუკ. 13:1-9

თავის მოძღვრებებში ქრისტე სთხოვს ადამიანებს, მიიღონ მისი მოწყალება და, იმავდროულად, სამსჯავროს შესახებ აფრთხილებს. "ძე კაცისა მოვიდა არა ადამიანთა სულების დასაღუპავად, - თქვა მან, - არამედ სახსნელად" (ლუკ. 9:56). "იმისთვის კი არ მოავლინა ღმერთმა თავისი ძე სოფლად, რომ განეკითხა სოფელი, არამედ გადარჩენილიყო სოფელი მის მიერ" (იოან. 3:17). მაცხოვრის მოწყალება და თანაგრძნობა, მისი დამოკიდებულება უფლის სამართლიანობისა და სამსჯავროსადმი კარგად გამოიხატა იგავში უნაყოფო ლეღვის ხის შესახებ. ქრისტე აფრთხილებდა ადამიანებს ღვთის სასუფევლის მოახლოების შესახებ და მკაცრად ამხილებდა მათს უმეცრებასა და გულგრილობას. ისინი კარგად ცნობდნენ ცაში ამინდის მომასწავებელ ნიშნებს, მაგრამ ნიშნები დროისა, რომლებიც ასე ნათლად მიუთითებდა მის მისიაზე, ვერ ამოიცნეს.
მაგრამ ხალხი მაშინაც ისევე, როგორც დღეს, სიამოვნებით იტყუებდა თავს იმით, რომ სწორედ ისინი არიან ღვთის რჩეული შვილები და მხილების სიტყვები მათ არ ეხება. მსმენელებმა მაცხოვარს უამბეს იმ მოვლენის შესახებ, რომელმაც ხალხში დიდი მღელვარება გამოიწვია. იუდას მმართველის - პონტოელი პილატეს მიერ მიღებულმა მკაცრმა ზომებმა ხალხის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. იერუსალიმში დიდი ალიაქოთი ატყდა და პილატემ გადაწყვიტა, ძალის გამოყენებით ჩაეხშო იგი. ერთ-ერთი შეტაკებისას ჯარისკაცები ტაძრის ტერიტორიაზე შეიჭრნენ და რამდენიმე გალილეველი მლოცველი სწორედ იმ დროს დახოცეს, როცა უფალს მსხვერპლს სწირავდნენ. ებრაელებმა ეს ტრაგედია დახოცილთა ცოდვებით გამოწვეულ საზღაურად მიიჩნიეს და ქრისტესთან ამ ამბის მომტანნიც გულის სიღრმეში ფარულ კმაყოფილებას გრძნობდნენ მის გამო. ბედნიერნი იყვნენ, რადგან ეს მოვლენა იმის უდავო მტკიცებად მიაჩნდათ, რომ ისინი ამ გალილეველებზე ბევრად უკეთესნი არიან ღვთის თვალში. მოუთმენლად ელოდნენ, რომ იესოც დაადასტურებდა ამას დაღუპულთა მიმართ გამკიცხავი სიტყვების წარმოთქმით, ვინაიდან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათ ეს სასჯელი სრულად დაიმსახურეს.
ქრისტეს მოწაფეები ამ საკითხზე თავიანთი თვალსაზრისის გამოთქმას ერიდებოდნენ და ელოდნენ, თუ რას იტყოდა მოძღვარი. მაცხოვარს ადრე უკვე ჰქონდა მათთან საუბარი სხვათა განკითხვასა და სასჯელის გამოტანასთან დაკავშირებით. და მაინც, ისინი იმედოვნებდნენ, რომ ქრისტე გალილეველ მლოცველთ გაკიცხავდა და მათ სხვებზე უფრო ცოდვილ ადამიანებად გამოაცხადებდა. რა დიდი იყო მათი გაოცება, როცა მასწავლებლის პასუხი მოისმინეს.
მაცხოვარმა კი ირგვლივ შეგროვილ ბრბოს შემდეგი სიტყვებით მიმართა: "თქვენ გგონიათ, ვითომ ეს გალილეველები ყველა გალილეველზე უფრო ცოდვილები იყვნენ, ასე რომ ევნენ? არა, გეუბნებით, მაგრამ თუ არ მოინანიებთ, ყველანი მათსავით დაიღუპებით". ამ საშინელ ტრაგედიას მათი გული უნდა მოელბო და მონანიების სურვილი უნდა აღეძრა. ახლოვდებოდა ჟამი შურისგებისა, რომელიც თავს დაატყდებოდა ყველას, ვინც ქრისტეში არ პოვა თავშესაფარი.
თავისი წინასწარმეტყველური თვალით მაცხოვარი ხედავდა მტრისაგან ალყაშემორტყმულ იერუსალიმს. ესმოდა, თუ როგორ მძიმედ, მტკიცე ნაბიჯით მიიწევდა უცხოთა ლაშქარი რჩეული ქალაქისაკენ, ალყაში ათასობით დაღუპულ ადამიანსაც ხედავდა. მრავალი ებრაელი იქნა მოკლული ტაძრის ეზოში

მსხვერპლშეწირვის მსახურებისას იმ დახოცილ გალილეველთა მსგავსად. ცალკეულ ადამიანთა თავს დამტყდარი უბედურება გაფრთხილება უნდა ყოფილიყო მთელი ერისათვის, რომელიც ისეთივე ცოდვილი იყო, როგორც დახოცილი გალილეველნი. "თუ არ მოინანიებთ, - ამბობს იესო, - ყველანი მათსავით დაიღუპებით". ხალხის გადასარჩენად მცირე ხნით გაგრძელდა მადლის ჟამი. მათ ჯერ კიდევ აქვთ დრო, შეიცნონ ყოველი, რაც მათს გულს მშვიდობას მოუტანს.

"ერთ კაცს თავის ვენახში ლეღვი ედგა, - განაგრძო მაცხოვარმა, - მივიდა, რომ ზედ ნაყოფი მოეძებნა და ვერ იპოვა. უთხრა მევენახეს: აჰა, სამი წელია მოვდივარ ამ ლეღვის ნაყოფის საძებნელად და ვერ ვპოულობ. მოჭერი იგი, რად უნდა ფიტავდეს მიწას?"

მსმენელთ კარგად უწყოდნენ, ვისზე იყო ნათქვამი ეს სიტყვები. დავითი თავის საგალობლებში ისრაელს უწოდებდა ვაზს, ეგვიპტიდან გამოტანილს. ესაია წინასწარმეტყველი კი წერდა: "უფალ ცაბაოთის ვენახი ისრაელის სახლია, და იუდას კაცი ნერგია მისი სიამისა" (ეს. 5:7). თაობა, რომელსაც მხსნელი ეწვია, იყო სწორედ ის ლეღვი უფლის ვენახში, რომელსაც მზრუნველობასა და კურთხევას არ აკლებდა უზენაესი.

უზენაესი მიზანი, რომელიც უფალმა ღმერთმა თავის ხალხს განუსაზღვრა, უდიდესი შესაძლებლობანი, მის რჩეულ ერს რომ მიეცა, დიდებულად არის წარმოდგენილი ამ მშვენიერ სიტყვებში: "უწოდებენ მათ მუხებს, უფლის დარგულთ, მის სადიდებლად" (ეს. 61:3). მომაკვდავი იაკობი სულიწმიდის შთაგონებით ასე ამბობს თავის საყვარელ შვილზე: "ნაყოფიერი ყლორტია იოსები, ნაყოფიერი ყლორტია წყაროს თავზე, გალავანზეა მისი ტოტები!" და შემდეგ განაგრძობს: "მამაშენის ღმერთისაგან - შეგეწეოდეს იგი! და ყოვლადძლიერისაგან - გაკურთხებდეს იგი ცათა კურთხევებით ზეგარდმო, ქვეშ განრთხმული უფსკრულის კურთხევებით" (დაბ. 49:22,25). ამგვარად დარგო უფალმა ისრაელი სიცოცხლის წყაროსთან, როგორც ნაყოფიერი ხე. გააშენა ვენახი "ნაყოფიერ გორაკზე. და მოხნა იგი და გაასუფთავა ქვებისაგან, და ჩაყარა რჩეული ვაზი" (ეს. 5:1,2).

"და ესავდა, რომ ყურძენს მოისხამდა, მაგრამ მოისხა მან ველური ნაყოფი" (ეს. 5:2). ეს უფლის რჩეული ერი ქრისტეს დღეებში უფრო მეტად გამოირჩეოდა თავისი გარეგნული ღვთისმოსაობით, ვიდრე წინა საუკუნეებში, მაგრამ ახლა უფრო მეტად იყო მოკლებული სულიწმიდის დიდებულ ნაყოფს. იოსების ხასიათის ის ძვირფასი თვისებები, რაც ასე ალამაზებდა და სურნელს აფრქვევდა მის ცხოვრებას, ვერ გამოვლინდა ებრაელი ერის ხასიათში. თავისი ძის მეშვეობით ეძებდა უფალი ღმერთი ისრაელში კეთილ ნაყოფს, მაგრამ ვერ იპოვა. უნაყოფო გამოდგა ისრაელი დედამიწაზე. მისი არსებობაც კი დაწყევლილი აღმოჩნდა, რადგან უფლის ვენახში იგი იკავებდა ადგილს, რომელზედაც კეთილი ხის დარგვა იყო შესაძლებელი. ამგვარი ისრაელი დაბრკოლებას წარმოადგენდა წუთისოფლისათვის, რომლისთვისაც უფალს თავისი რჩეული ერის მეშვეობით მადლი და კურთხევა უნდა მიეცა. თავისი ცხოვრების წესით ისრაელიანნი ცრუდ სახავდნენ უზენაესს სხვა ერების წინაშე. ისრაელი არა მარტო უსარგებლო იყო, არამედ სხვა ერებსაც ხელს უშლიდა უფლისკენ მოქცევაში. მათი რელიგია უფრო მცდარი და დამღუპველი იყო, ვიდრე გადამრჩენელი.

ამ იგავში მევენახეს ეჭვი არ ეპარება, რომ პატრონის განაჩენი უნაყოფო ხის მოჭრის აუცილებლობასთან დაკავშირებით სამართლიანია, მაგრამ ისიც კარგად ესმის, თუ რა დიდად არის დაინტერესებული პატრონი ამ ხის ბედით და მის გულისთქმას იზიარებს. ყველაზე დიდი სიხარული მევენახეს მხოლოდ მაშინ ეწვევა, როდესაც ამ ხეზე ნაყოფს იხილავს. იგი ხვდება, რომ პატრონსაც იგივე სურვილი აქვს და პასუხობს: "ბატონო, დატოვე ამ წელიწადსაც, ვიდრე ძირს შემოვუთოხნიდე და ნაკელს დავუყრიდე, იქნებ მოისხას ნაყოფი".
მევენახე მზად არის, კვლავაც იზრუნოს ამ თითქოსდა უიმედო ხეზე; უფრო კარგად მოუაროს და მთელი ყურადღება მასზე გადაიტანოს. პატრონიც და მევენახეც ერთნაირად არიან დაინტერესებული ამ ლეღვის ხით. ისევე, როგორც მამა და ძე ერთნი არიან თავის სიყვარულში რჩეული ერის მიმართ. ქრისტემ თავის მსმენელთ აღუთქვა, რომ მათ უფრო მეტი შესაძლებლობანი მიეცემათ. ყოველგვარი საშუალებებით იზრუნებს უფალი მათზე, მთელ თავის სიყვარულს გასცემს, რათა აქციოს ისინი სიმართლის ნერგად, რომელიც მთელ წუთისოფელს კურთხევას მოუტანს.
იგავში იესო არაფერს ამბობს მევენახის შრომაზე. აქ იგი თხრობას წყვეტს. მისი დასრულება დაევალა თაობას, რომელიც მის სიტყვებს ისმენდა. სერიოზულ გაფრთხილებად გაისმის მევენახის სიტყვები: "თუ არა და, მოჭრი მას". მსმენელზე იყო დამოკიდებული, ითქმოდა თუ არა საბოლოო განაჩენი. რისხვის დღე მოახლოებული იყო. უბედურების ჟამს, რომელიც იმ დროს ისრაელს უკვე დაატყდა თავს, ვენახის პატრონმა მოწყალებით გააფრთხილა თავისი ხალხი უნაყოფო ლეღვის ხის შესაძლო დაღუპვის შესახებ.
დღესაც ხმამაღლა გაისმის ქრისტეს ეს გაფრთხილება. ო, გულგრილო ადამიანო, დაფიქრდი; შენც ხომ არა ხარ ის უნაყოფო ხე, უფლის ვენახში დარგული? შენც ხომ არ გეხება ეს განაჩენი? რამდენი ხანია, რაც მისი წყალობა მიიღეთ? რამდენი ხანია, რაც იგი მთელი გულისყურით ადევნებს თვალს თქვენს ცხოვრებას და საპასუხო სიყვარულს ელის? ო, რა დიდი შესაძლებლობები გქონდათ, როცა უფლის ვენახში იმყოფებოდით და მევენახე სიყვარულით ზრუნავდა თქვენზე! ო, რამდენჯერ ნაზად შეეხო სახარების საოცარი ჭეშმარიტება თქვენს გულს! თქვენ ქრისტეს სახელს ატარებთ, ფორმალურად მის ეკლესიაშიც იმყოფებით, რომელიც ქრისტეს სხეულია და მაინც ვერ ხვდებით, რომ სიყვარულის წყაროსთან ცოცხალი კავშირი არა გაქვთ? არა ხართ თქვენ მისი სიცოცხლის გამტარებელი. მისი ხასიათის მშვენიერი თვისებები - "სულის ნაყოფი" - არ მოჩანს თქვენს ცხოვრებაში.
უნაყოფო ხე იღებს ყველაფერს, რაც მისი არსებობისათვის აუცილებელია: წვიმას, მზის სინათლეს, მევენახის ყურადღებასა და მზრუნველობას. ისიც, სხვა დანარჩენის მსგავსად, მიწის წვენით იკვებება. მაგრამ მისი უნაყოფო ტოტები მხოლოდ ნიადაგს ჩრდილავს; მისი ჩრდილი კი ნაყოფიერი ხეების ზრდას უშლის ხელს.!ასევე უფლის მადლი და წყალობა, რომელიც უფალმა უხვად მოგცათ, თქვენ გამო ვერ იქცა წუთისოფლის კურთხევად. თქვენ ართმევთ სხვებს იმ სიკეთეს, რომელსაც, თქვენ რომ არა, ისინი მიიღებდნენ.
თქვენთვის გასაგებია (თუმცა, შესაძლოა, ბოლომდე ვერც ჩასწვდით), რომ მძიმე ტვირთი ხართ დედამიწისათვის, მაგრამ თავისი სულგრძელობის გამო არ გჭრით უფალი. არ არის გულგრილი თქვენ მიმართ, ადვილად ვერ გთმობთ და დასაღუპავად ვერ გიმეტებთ. მწარედ ტირის უფალი თავისი ცოდვილი

შვილების გამო; ისევე, როგორც მრავალი საუკუნის წინათ ძველ ისრაელს დასტიროდა: "როგორ გაგიმეტო, ეფრემ? როგორ გადაგაგდო, ისრაელ?.. აღარ ავინთები რისხვით, აღარ აღვიძვრები ეფრემის დასაღუპავად, რადგან ღმერთი ვარ მე და არა კაცი" (ოს. 11:8,9). თითოეულ ჩვენგანზე ასე ამბობს მოწყალე მაცხოვარი: "დატოვე ამ წელიწადსაც, ვიდრე ძირს შემოვუთოხნიდე და ნაკელს დავუყრიდე".
რაოდენ დიდი სიყვარულით ემსახურებოდა ქრისტე ისრაელს მათი ხანგრძლივი გამოსაცდელი პერიოდის განმავლობაში. ასე ლოცულობდა ჯვარზე გაკრული: "მამაო, მიუტევე ამათ, რადგან არ იციან, რას აკეთებენ" (ლუკ. 23:34). მისი ცად ამაღლების შემდგომ სახარება ჯერ იერუსალიმს ექადაგა. იგივე სულიწმიდა გარდმოეფინა მის მოწაფეებს. იქვე გამოაცხადა პირველმა ეკლესიამ მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვრის ძალა და ძლიერება. სტეფანე, რომელსაც "ანგელოზის სახე" ჰქონდა (საქმე. 6:15), იერუსალიმში მოწმობდა ქრისტეს შესახებ და სიცოცხლეც იქ გაწირა. ყველაფერი, რისი მოცემაც ზეცას ადამიანებისათვის შეეძლო, თავდაპირველად იერუსალიმს მიეცა. "რა უნდა გამეკეთებინა მეტი ჩემი ვენახისათვის და არ გავუკეთე მას? - თქვა ქრისტემ (ეს. 5:4). ასევე შრომობს და ზრუნავს უფალი თქვენზე და მისი თქვენ მიმართ ერთგულება არა თუ სუსტდება, არამედ იზრდება. კვლავაც იმეორებს უფალი: "მე, უფალი, მისი მცველი ვარ, ყოველ წამს ვრწყავ მას, რათა არ დააზიანონ, ღამით და დღისით ვიცავ მას" (ეს. 27:3).

"იქნებ მოისხას ნაყოფი. თუ არა და..."
გული, რომელიც უფლის სიყვარულსა და მზრუნველობას უარყოფს, უხეშდება და, ბოლოს და ბოლოს, ღვთის წმიდა სულის ხმის შესმენის უნარს კარგავს. აი მაშინ კი წარმოითქმება განაჩენი: "მოჭერი იგი, რად უნდა ფიტავდეს მიწას?" დღესაც მოგვიხმობს უფალი ღმერთი: "მოიქეც, ისრაელო, შენი უფალი ღმერთისკენ... განვკურნავ მათ განდგომას და ნებისაებრ შევიყვარებ მათ... ვიქნები ცვარი ისრაელისათვის; აყვავდება, როგორც შროშანი და ლიბანივით გაიდგამს ფესვებს... დაბრუნდებიან მის ჩრდილში მსხდომარენი; სიცოცხლეს მიანიჭებენ ხორბალს და ვაზივით აყვავილდებიან... ჩემგან გექნება შენ ნაყოფი" (ოს. 14:2-9).

## თავი 18 - "გადი გზებზე და ორღობეებში"

ლუკ. 14:1, 12-24

ერთმა ფარისეველმა მაცხოვარი სტუმრად მიიწვია. მოწვევას იგი ღარიბებისგანაც ღებულობდა და მდიდრებისგანაც. იქ ნახულსა და გაგონილს კი, ჩვეულებისამებრ, თავის ჭეშმარიტების გაკვეთილებს უკავშირებდა. წმიდა დღესასწაულებს ებრაელები სახელმწიფო და რელიგიური დღესასწაულების წლიურ ციკლს უკავშირებდნენ და მარადიული ცხოვრების კურთხევისა და კეთილდღეობის სიმბოლოდ თვლიდნენ. თავიანთ წარმოდგენაში ისინი

ხატავდნენ უდიდეს სანადიმო სუფრას, რომელსაც ისინი აბრაამთან, ისააკთან და იაკობთან ერთად მიუსხდებოდნენ იმ დროს, როცა გარეთ დარჩენილი წარმართნი შორიდან, ხარბი თვალებით დაუწყებდნენ ცქერას. ეს მათი ყველაზე სასიამოვნო სასაუბრო თემა იყო. მათთან სტუმრობისას მაცხოვარმა თქვა იგავი, რომელიც ამჯერადაც ფარისეველთათვის გაფრთხილების თვალსაჩინო მაგალითი იქნებოდა. ეს იყო იგავი "დიდი პურობის" შესახებ. ებრაელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ღვთის კურთხევანი მხოლოდ მათ ეკუთვნოდათ როგორც ამქვეყნიურ, ასევე საუკუნო სიცოცხლეშიც. წარმართთათვის უფლის წყალობაზე კი რაიმეს გაგონებაც კი არ სურდათ. თავის იგავში ქრისტე შეეცადა, დაერწმუნებინა ებრაელები, რომ ქრისტეს წყალობაზე თვალის დახუჭვით ისინი, ფაქტობრივად, ღვთის სასუფეველს უარყოფდნენ. და გააფრთხილა, რომ თუკი ისინი ამგვარად უარს იტყვიან ამ მოწვევაზე, უფალი მოიწვევს მათთვის მეტად საძულველ ადამიანებს, რომელთა მოახლოებისას ისინი ტანსაცმლის კალთებს იწევდნენ, რათა არ შეხებოდნენ მათ, როგორც კეთროვნებს.
ფარისეველი, რომელმაც ქრისტე სტუმრად მოიწვია, სტუმრების არჩევაში თავისი ეგოისტური ინტერესით ხელმძღვანელობდა. ქრისტემ კი უთხრა მას: "როცა სადილს ან ვახშამს გამართავ, ნუ მოიწვევ შენს მეგობრებს, ნურც შენს ძმებს, ნურც შენს ნათესავებს, ნურც მდიდარ მეზობლებს, რათა მერე იმათაც არ მიგიწვიონ და არ მიიღო სამაგიერო, არამედ, როცა ლხინს გამართავ, მოიწვიე გლახაკნი, ხეიბრები, კოჭლები და ბრმები. ნეტარი იქნები, რადგან მათ არაფერი აქვთ, რომ მოგიზღან. მაგრამ შენ მართალთა აღდგომისას მოგეზღვება".
აქ მაცხოვარმა გაიმეორა სიტყვები, რომლითაც მან მოსეს მეშვეობით ისრაელს უბრძანა: "მოვიდეს... ობოლი და ქვრივი, რომელნიც შენს კარიბჭეებში არიან, და ჭამონ და გაძღნენ" (რჯლ. 14:29). ეს მოპატიჟება თვალსაჩინო გაკვეთილი უნდა ყოფილიყო ისრაელისათვის. ადამიანებს უნდა შეეცნოთ ჭეშმარიტი სტუმართმოყვარეობის სიხარული, რათა ესწავლათ, თუ როგორ ეზრუნათ ღარიბთათვის და უქონელთათვის მთელი წლის განმავლობაში. მაგრამ ამ ზეიმებში უფრო მნიშვნელოვანი გაკვეთილი იყო ჩადებული. სულიერი კურთხევანი, რომელნიც ისრაელს მიეცა, მხოლოდ მათთვის არ იყო განკუთვნილი. უფალმა მათ სიცოცხლის პური იმისათვის მისცა, რომ წუთისოფლისათვის გაეზიარებინათ იგი.
არ შეასრულეს უფლის ეს ბრძანება ებრაელებმა. ქრისტეს სიტყვამ ამხილა მათი ეგოიზმი. ფარისეველთ დიდად არ ესიამოვნათ ამის გაგონება და საუბრის თემის შეცვლის მიზნით ერთმა მათგანმა ფარისევლურად წამოიძახა: "ნეტარია, ვინც ჭამს პურს ღვთის სასუფეველში" და ეს ისეთი თვითდაჯერებულობით იყო ნათქვამი, თითქოს მას უკვე გამზადებული ჰქონდა იქ ადგილი. ეს თავდაჯერებული ფარისეველი ძლიერ ჰგავს ჩვენი დროის იმ ადამიანებს, რომელნიც სიხარულით აღნიშნავენ თავის გადარჩენას ქრისტეში, თუმცა ხსნისათვის მოცემულ პირობებს კი არ ასრულებენ. ასეთი ადამიანის სული ჰგავს ბილყამის სულს, როცა იგი ლოცულობდა: "მოკვდეს სული ჩემი მართალთა სიკვდილით, და იყოს ჩემი აღსასრული, როგორც მათი" (რიცხ. 23:10). ეს ფარისეველი იმაზე კი არ ფიქრობდა, გამოდგებოდა თუ არა ზეციური ცხოვრებისათვის, არამედ - როგორ დატკბებოდა ღვთიურ სასუფეველში. თავისი რეპლიკით მას სურდა, ნადიმზე წვეულთ ეფიქრათ არა

თავიანთ მოვალეობებზე, არამედ გასცლოდნენ რეალურ ცხოვრებას და თავიანთი ხედვა მართალთა აღდგომის შორეულ ჟამზე შეეჩერებინათ.
მაცხოვარმა წაიკითხა ამ თვალთმაქცის აზრები, ყურადღებით დააკვირდა მას და იქ შეკრებილთ განუმარტა იმ უპირატესობათა არსი და მნიშვნელობა, რომლებიც მათ იმ მომენტისათვის გააჩნდათ. და აუხსნათ, რომ მათ დავალებული აქვთ საქმე, რომლის შესრულებაზეა დამოკიდებული, გაიზიარებენ თუ არა ღვთის კურთხევას მომავალში.
"ერთმა კაცმა დიდი პურობა გამართა და ბევრი მოიწვია. პურობის დრომ რომ მოაღწია, გაგზავნა თავისი მონა, რათა წვეულთათვის ეთქვა: მობრძანდით, ყველაფერი მზად არისო", მაგრამ წვეულნი საოცრად გულგრილად შეხვდნენ ამ მოწვევას. "ყველამ ერთხმად დაიწყო მობოდიშება. პირველმა თქვა: ყანა ვიყიდე და მის სანახავად უნდა წავიდე, გთხოვ, მაპატიო; მეორემ უთხრა: ხუთი უღელი ხარი ვიყიდე და მათ გამოსაცდელად მივდივარ, გთხოვ, მაპატიო; მესამემ უთხრა: ცოლი შევირთე და ამის გამო არ შემიძლია მოსვლაო".
ამ მიზეზთაგან არც ერთი არ იყო გამართლებული, ვინაიდან აუცილებლობით არ იყო გამოწვეული. კაცს, რომელმაც ყანის სანახავად წასვლა მოიმიზეზა, იგი უკვე ნაყიდი ჰქონდა. იგი მის ნახვას ასე იმიტომ ისწრაფვის, რომ მთელი მისი ყურადღება და აზრები იქით არის მიმართული. ხარები უკვე ნაყიდი იყო და მათი გამოცდით მყიდველს მხოლოდ საკუთარი ინტერესის დაკმაყოფილება სურდა, რადგან მხოლოდ მათზე ფიქრობდა. მესამე მობოდიშებაც არ იყო უარის სერიოზული მიზეზი. ცოლის შერთვა არაფრით არ შეუშლიდა მას ხელს ნადიმზე მოსვლაში, რადგან იქ ცოლსაც სიხარულით მიიღებდნენ, მაგრამ მას თავის გეგმები ჰქონდა, რაც მისთვის უფრო მიმზიდველი აღმოჩნდა, ვიდრე ნადიმზე წასვლა, თუმცა დაპირდა კი. იგი კმაყოფილებას ვერ გრძნობდა მასპინძელთან ურთიერთობაში, რომელმაც ნადიმზე მიიწვია და სხვა საზოგადოება აირჩია. იგი არც პატიებას ითხოვს და უარის თქმისას უბრალო თავაზიანობასაც კი არ გამოხატავს. სიტყვებში - "არ შემიძლია მოსვლა", კარგად ჩანს დაფარული "არ მსურს მოსვლა".
მოწვეულთა უარის ყველა ეს მიზეზი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ მათ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო საქმე აქვთ, რომელსაც ვერ მიატოვებენ. მათ უარი თქვეს მოწვევაზე, რომელიც თავიდან მიიღეს და ასეთი უყურადღებობითა და გულგრილობით თავიანთი გულუხვი მეგობარი დიდად გაანაწყენეს.
"დიდი პურობა" ქრისტეს იგავში სახარების მიერ შემოთავაზებულ კურთხევათა სიმბოლოა. ნადიმისათვის მომზადებული საკვები, უდავოდ, ქრისტეა. იგი ზეციდან მოსული პურია; მისგანაა ხსნის ყველა წყარო. უფლის მაცნეებმა უკვე დიდი ხანია, ამცნეს ებრაელებს მაცხოვრის, მესიის წუთისოფელში მოსვლის შესახებ; ისინი მიუთითებდნენ ქრისტეზე, როგორც კრავზე, "რომელმაც აიღო სოფლის ცოდვა" (იოან. 1:29). პურობაზე, რომელიც უფალმა თავად მოამზადა, იგი ადამიანებს უდიდეს, უძვირფასეს ძღვენს სთავაზობს. ღვთიურმა სიყვარულმა მოამზადა ეს ნადიმი ძღვენთა უსასრულო მარაგით. "ვინც ამ პურს შეჭამს, საუკუნოდ იცოცხლებს" (იოან. 6:51).
მაგრამ სახარების ამ ზეიმზე მიწვევის მისაღებად თავიანთი მიწიერი ინტერესები ადამიანებმა მხოლოდ ერთ მიზანს უნდა დაუქვემდებარონ: ქრისტეს სიმართლის მიღებას. ღმერთმა ყველაფერი მისცა ადამიანს და სანაცვლოდ იმას

ითხოვს, რომ მან უფლისადმი მსახურება სხვა, ნებისმიერ მიწიერ და ეგოისტურ ინტერესებზე მაღლა დააყენოს. იგი ვერ მიიღებს დანაწილებულ გულს. ამქვეყნიურ საქმეებთან მიჯაჭვული გული ღმერთს არ ეკუთვნის.
ამ იგავში მოცემული გაკვეთილი მნიშვნელოვანია ყველა დროისათვის. ჩვენ უნდა გავყვეთ ღვთის კრავს, საითაც არ უნდა წავიდეს. იგი უნდა ავირჩიოთ ხელმძღვანელად. მასთან მეგობრობა ყველა მიწიერ მეგობრობასა და ურთიერთობაზე მაღალია. მაცხოვარი ამბობს: "ვისაც მამა ან დედა ჩემზე მეტად უყვარს, იგი არ არის ჩემი ღირსი" (მათ. 10:37).
ოჯახის სუფრასთან ყოველდღიური პურის გატეხვისას ქრისტეს დღეებში ბევრი იმეორებდა: "ნეტარია, ვინც ჭამს პურს ღვთის სასუფეველში". ქრისტემ კი აჩვენა, თუ რა ძნელია, თურმე, ამ ძვირფასი სუფრისათვის სტუმრების მოძებნა. მისი მსმენელნი ხვდებოდნენ იმ საშიშროებას, რომელიც ღვთის წყალობის უარყოფით დაიტეხეს თავს. ამქვეყნიურმა საქმეებმა და გამდიდრებისაკენ სწრაფვამ იმდენად დაატყვევა ისინი, რომ ყველამ ერთხმად უარყო მისი მოწვევა.
სამწუხაროდ, დღესაც ირგვლივ იგივე მდგომარეობას ვხედავთ. იგავში პურობაზე წვეულთა მსგავსად დღესაც ბევრი იგივე მიზეზით ამბობს უარს სახარების მიღებაზე; ადამიანები აცხადებენ, რომ ვერ მიატოვებენ თავის ამქვეყნიურ გეგმებს იმისათვის, რომ სახარების მოთხოვნები აასრულონ, რადგან ჰგონიათ, რომ მათი მიწიერი ინტერესები ზეციურ ფასეულობებზე უფრო მნიშვნელოვანია. თვით ის კურთხევანიც კი, რომელთაც ისინი ღვთისაგან იღებენ, იქცევა დაბრკოლებად, რომელიც მათს სულს მხსნელისა და შემოქმედისაგან აშორებს. ზოგი სულ მცირე ხნითაც ვერ ტოვებს თავის ამქვეყნიურ საქმეებს და ღვთის მოწყალების მაცნეთ უცხადებს: "ახლა წადი და, როცა მოვიცლი, დაგიძახებ" (საქმე. 24:25). სხვები ფრთხილობენ, არ გაირთულონ ურთიერთობა საზოგადოებასთან იმის გამო, რომ უფლის მოწოდებას დაემორჩილებიან. ეს ადამიანები აცხადებენ, რომ ვერ დაარღვევენ ერთხელ უკვე მტკიცედ ჩამოყალიბებულ ნათესაურ და მეგობრულ კავშირებს და ძლიერ ემსგავსებიან იესოს იგავის მოქმედ პირებს, რომელნიც სხვადასხვა მიზეზით ამართლებენ თავიანთ საქციელს, მაგრამ მასპინძელი მის მიმართ უპატივცემულობად თვლის მას.
იმ კაცის უკან, რომელმაც თქვა: "ცოლი შევირთე და ამის გამო არ შემიძლია მოსვლაო", ადამიანთა საკმაოდ დიდი ჯგუფი დგას. უამრავი ადამიანია წუთისოფელში, რომელიც უარყოფს უფლის მოწოდებას იმის გამო, რომ ასე სურს მის ცოლს ან ქმარს. ზოგი ქმარი ამბობს: "არ ძალმიძს ჩემს მოვალეობათა შესრულება უფლის წინაშე, რადგან ჩემი ცოლი ამის წინააღმდეგია. მისი ამ საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება ნებას არ მაძლევს, ჩემი რწმენისამებრ ვიმოქმედო". ან ცოლს ესმის მოწოდება: "მობრძანდით, ყველაფერი მზად არისო", მაგრამ აცხადებს: "გთხოვ, მაპატიო. ჩემს ქმარს არ სურს ამ მოწყალების ხმის შესმენა, ვინაიდან უამრავი საქმით არის დატვირთული. მე კი მუდამ ქმრის გვერდით უნდა ვიყო. ამიტომ პურობაზე ვერ მოვალ". ხშირად ბავშვები უფრო მეტად უხსნიან გულს ამ მოწოდებას; მათ ქრისტესთან მისვლა სურთ, მაგრამ უყვართ დედა და მამა და იმის გამო, რომ მშობლები არავითარ ინტერესს არ ავლენენ სახარების მოწოდების მიმართ,

ბავშვებიც იბნევიან და არ იციან, როგორ მოიქცნენ. და ბოლოს ისინიც ამბობენ: "გვაპატიეთ, არ შეგვიძლია".
ეს ადამიანები უარს ამბობენ მაცხოვრის მიწვევაზე იმის გამო, რომ ეშინიათ ოჯახში მოსალოდნელი განხეთქილებისა. და მიიჩნევენ, რომ ღვთისადმი მსახურების უარყოფით მშვიდობასა და სიმშვიდეს ინარჩუნებენ ოჯახში, მაგრამ ეს ილუზიაა. ის, ვინც ეგოიზმს თესავს, მასვე იმკის. ქრისტეს სიყვარულის უარყოფით ისინი უარყოფენ იმ ერთადერთს, რასაც ადამიანური სიყვარულის განწმედა და განმტკიცება შეუძლია. ეს ადამიანები არა მხოლოდ ზეცას დაკარგავენ, არამედ ვერასოდეს იგრძნობენ ჭეშმარიტ ბედნიერებას იმის გამო, რისთვისაც ასეთი დიდი მსხვერპლი გაიღო ზეცამ.
როდესაც კაცმა, რომელმაც პურობა გამართა, მოწვევაზე უარი მიიღო, დიდად განრისხდა და უთხრა თავის მონას: "გადი სასწრაფოდ, ქალაქის მოედნებზე და ქუჩებში, მომიყვანე გლახაკნი, ხეიბრები, ბრმები და კოჭლები".
ამგვარად, სახლის პატრონმა ზურგი აქცია მისი სტუმართმოყვარეობისა და უხვი წყალობის უარმყოფელთ და მოიწვია ღარიბნი და უსახლკარონი. იხმო გლახაკნი და მშიერნი, ვისაც მისი წყალობის შეფასება შეეძლო. "მებაჟეები და მეძავები, - თქვა მაცხოვარმა, - თქვენზე წინ შევლენ ღვთის სასუფეველში" (მათ. 21:31). როგორი ცოდვილიც არ უნდა იყოს ადამიანი, როგორც არ უნდა დაეცეს იგი და ამის გამო სიძულვილითაც მრავალმა აქციოს ზურგი, ღმერთი მაინც სიყვარულითა და თანაგრძნობით მოეპყრობა მას. ქრისტეს სურდა, რომ მასთან მისულიყვნენ მაშვრალნი და ტვირთმძიმენი, დაღლილ-დაქანცულნი და იმედდაკარგულნი. მას სურდა სიხარული, სიმშვიდე და სინათლე მიეცა მათთვის, რასაც ისინი სხვაგან ვერსად იპოვიდნენ. ყველაზე დაცემული ცოდვილი გულწრფელად ებრალებოდა და უყვარდა მას. იგი თავის წმიდა სულს უგზავნის მას, თანაგრძნობითა და სიყვარულით იხმობს, რათა თავისკენ მოაქციოს.
მონამ, რომელმაც ბრმები და გლახაკნი მოიყვანა, მოახსენა თავის ბატონს: "ბატონო, აღსრულებულია რაც ბრძანე, და კიდევ დარჩა ადგილი". ბატონმა უთხრა მონას: "გადი გზებზე და ორღობეებში, დაიყოლიე ისინი, რომ მოვიდნენ, რათა აივსოს ჩემი სახლი". აქ ქრისტე გულისხმობს სახარების იუდას საზღვრებს მიღმა ქადაგებას, წუთისოფლის ყველა ქალაქში და მის ყველაზე შორეულ კუთხეში.
ამ ბრძანების თანახმად გამოუცხადეს პავლემ და ბარნაბამ ებრაელებს: "პირველად თქვენთვის უნდა თქმულიყო ღვთის სიტყვა, მაგრამ ვინაიდან უარყოფთ მას და თქვენ თვითონვე საუკუნო სიცოცხლის უღირსად მიგაჩნიათ თავი, მაშინ ჩვენ წარმართებს მივმართავთ. ვინაიდან ასე გვიბრძანა ჩვენ უფალმა: მე დაგაყენე წარმართთა ნათლად, რომ იყო ხსნად ქვეყნის კიდემდე. ეს რომ ესმოდათ, წარმართები ხარობდნენ და ადიდებდნენ უფლის სიტყვას, და ყველამ ირწმუნა, ვინც საუკუნო სიცოცხლისთვის იყო განწესებული" (საქმე. 13:46-48).
სახარება, რომელსაც ქრისტეს მოციქულები ქადაგებდნენ, ადამიანებს ქრისტეს დედამიწაზე პირველ მოსვლასა და მისი რწმენით გადარჩენის სასიხარულო ამბავს ამცნობდა წუთისოფელს. იგი აგრეთვე ამცნობდა ქრისტეს მეორედ მოსვლას მის მიერ გამოსყიდულთა საბოლოო გათავისუფლებისათვის და იმედს უნერგავდა ადამიანებს, გამხდარიყვნენ უფლის საგანძურის მემკვიდრენი

რწმენისა და მორჩილების გამოისობით. ხალხს დღესაც ეძლევა იგივე სახარება, რომელიც მხსნელის მეორედ მოსვლას გვამცნობს. ნიშნები მისი მოსვლისა, რომელზედაც თავადვე მიგვითითა, უკვე აღსრულდა და, თუ ღვთის სიტყვას შევისწავლით, მივხვდებით, რომ კარსაა მომდგარი.
გამოცხადების წიგნში იოანე მოციქულმა იწინასწარმეტყველა, რომ სახარების ჭეშმარიტება ქრისტეს უშუალოდ მოსვლის წინ მთელ წუთისოფელს ემცნობოდა. მან იხილა ანგელოზი, "რომელიც ზეცის შუა დაფრინავდა. მას ჰქონდა მარადიული სახარება, მიწის მკვიდრთათვის - ყოველი ერის და ტომის, ენისა და ხალხისათვის სახარებლად. ამბობდა დიდი ხმით: გეშინოდეთ ღვთისა და დიდება მიაგეთ მას, ვინაიდან დადგა მისი სამსჯავროს ჟამი" (გამოცხ. 14:6,7). ამ წინასწარმეტყველებაში სამსჯავროს შესახებ გაფრთხილებასა და სხვა უწყებებს მოჰყვება კაცის ძის ციურ ღრუბლებზე დიდებით გამოჩენა. უფლის სამსჯავროს გამოცხადება ქრისტეს მეორედ მოსვლის მოახლოებაზე მეტყველებს. წუთისოფლისადმი მიმართულ გაფრთხილებას კი უფალი მარადიულ სახარებას უწოდებს. ამრიგად, ჭეშმარიტება ქრისტეს მეორედ მოსვლისა და ამ დღის მოახლოების შესახებ ქრისტეს სახარების განუყოფელი ნაწილია.
ბიბლია გვამცნობს, რომ ბოლო ჟამს ადამიანებს შეიპყრობს გამდიდრების სურვილი, ფულისა და გართობებისაკენ სწრაფვა. თავიანთი სულიერი სიბრმავის გამო ვერ დაინახავენ მარადიულ ფასეულობებს. მაცხოვარი ამბობს: "როგორც იყო ნოეს დღეები, ისევე იქნება კაცის ძის მოსვლაც. ვინაიდან, როგორც წარღვნამდელ დღეებში ჭამდნენ, სვამდნენ, ცოლს ირთავდნენ და თხოვდებოდნენ იმ დღემდე, ვიდრე ნოე კიდობანში შევიდოდა, და არ იცოდნენ, ვიდრე წარღვნა არ მოვიდა და ყველა არ წალეკა, - ასევე იქნება კაცის ძის მოსვლაც" (მათ. 24:37-39).
ასე ხდება დღესაც: ადამიანები ირგვლივ ქონების მოხვეჭისა და საკუთარ ვნებათა დაკმაყოფილებისაკენ ისე ისწრაფვიან, თითქოს არც ღმერთი არსებობდეს, არც ზეცა, არც მომავალი. ნოეს დღეებში ადამიანებს წინასწარვე მიეცა გაფრთხილება მოახლოებული წარღვნის შესახებ, რათა შეეგნოთ თავისი ცოდვილი მდგომარეობა და მოენანიებინათ. იგივე მიზანი აქვს მაცხოვრის მეორედ მოსვლის შესახებ სახარების ქადაგებას: გააფრთხილოს ადამიანები, რომ ამქვეყნიურმა საქმეებმა და ქაოსმა არ შთანთქას ისინი; ჩასწვდნენ მარადიულ ფასეულობებს, უარი არ თქვან უფლის მიწვევაზე და მივიდნენ მის გამართულ პურობაზე.
სახარება იწვევს ყველას, დედამიწის ყოველ მკვიდრს. იგი განკუთვნილია "ყოველი ერის და ტომის, ენისა და ხალხისათვის სახარებლად" (გამოცხ. 14:6). გაფრთხილებისა და წყალობის ამ უკანასკნელმა ჭეშმარიტებამ მთელი დედამიწა თავისი დიდებით უნდა გაანათოს. ყველამ უნდა მოისმინოს იგი: ღარიბმაც და მდიდარმაც. "გადი გზებზე და ორღობეებში, - ამბობს ქრისტე, - დაიყოლიე ისინი, რომ მოვიდნენ, რათა აივსოს ჩემი სახლი".
წუთისოფელი იღუპება იმის გამო, რომ არ იცის ღვთის ჭეშმარიტი სიტყვა. სწყურია ხალხს მისი მოსმენა. ფრიად ცოტანი არიან უფლის მხოლოდ ჭეშმარიტი სიტყვის, მისი ადამიანურ გადმოცემებთან შეურეველი სიმართლის მქადაგებელნი. ესაა მიზეზი იმისა, რომ თუმცა ადამიანებს ხელთა აქვთ ბიბლია, მაგრამ იმ კურთხევას ვერ ღებულობენ, რომელიც უფალმა მათთვის ჩადო თავის წმიდა წერილებში. უფალი მოუწოდებს თავის მსახურთ, ამცნონ

იგი კაცობრიობას. მათ, ვინც ცოდვაში იღუპება, საუკუნო სიცოცხლის სიტყვა უნდა მიეწოდოს.
მოწოდებით: "გადით გზებზე და ორღობეებში", ქრისტე სერიოზულ დავალებას აძლევს ყველა მის მსახურს. მთელი წუთისოფელი - ეს ქრისტეს მსახურთა სამოღვაწეო ველია. კაცობრიობის მთელი ოჯახი უნდა მოიცვას მან. უფლის სურვილია, რომ მისი წყალობისა და მადლის სიტყვამ ყოველი ადამიანის სულში შეაღწიოს.
გარკვეულწილად ეს მსახურება პირადი ძალისხმევით უნდა სრულდებოდეს. ეს ქრისტეს მეთოდია. მაცხოვარი თავისი მსახურებისას უმეტესწილად პირადად ესაუბრებოდა ყოველ ადამიანს. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ცალკეულ პიროვნებებთან საუბარს. ხშირად ამ ერთი მსმენელისაგან სახარება ათასთათვის ვრცელდებოდა.
ჩვენ მშვიდად არ უნდა ვისხდეთ და ველოდოთ, თუ როდის მოვა მსმენელი; თავად უნდა წავიდეთ მასთან. კათედრიდან წარმოთქმული სიტყვა - ეს სამუშაოს მხოლოდ დასაწყისია. ადამიანთა უმრავლესობა ვერასოდეს ვერ გაიგებს სახარების ჭეშმარიტებას, სანამ პირადად არ შეეხება მას.
თავდაპირველად ნადიმი ებრაელი ხალხისათვის იყო გამართული, რომელიც მსოფლიოს ხალხთა მასწავლებელი და წინამძღოლი უნდა გამხდარიყო. ეს იყო ერი, რომელსაც ხელთ ეპყრა წინასწარმეტყველური გრაგნილები, ქრისტეს დედამიწაზე მოსვლას რომ იუწყებოდნენ; ერი, რომელსაც დავალებული ჰქონდა სიმბოლური მსახურების აღსრულება, რომელიც მაცხოვრის მომავალ მისიაზე მიუთითებდა. მღვდლებსა და ხალხს ყურად რომ ეღო ზეცის მოწოდება, ისინი დედამიწაზე სახარების გავრცელების საქმეში ქრისტეს მაცნეთ შეუერთდებოდნენ. ზეცამ მათ მიანდო ჭეშმარიტება, რომელიც სხვებისთვის უნდა გაეზიარებინათ. ხოლო როცა მათ იგი უარყვეს, მიწვევა გაეგზავნა ღარიბთ, გლახაკთ, ბრმებსა და ხეიბართ, მებაჟეთა და ცოდვილთ. სახარების მოწოდების წარმართებამდე მიტანა იმავე პრინციპებით ხორციელდება. იგი თავდაპირველად იგზავნება "ქუჩებში" - ესე იგი ეძლევა წუთისოფლისათვის აქტიურ მსახურთ, სახელდობრ ხალხის წინამძღვრებსა და მასწავლებლებს. უფლის მაცნეთ უნდა ახსოვდეთ ეს. ხუცესებსა და ღვთის რჩეულ მასწავლებლებს სერიოზული მიდგომა მართებთ სახარების გავრცელების პირვანდელი მეთოდის მიმართ. ისინი განსაკუთრებული ყურადღებითა და ძმური პატივისცემით უნდა მოეკიდონ მაღალი საზოგადოების წარმომადგენელთ. საქმოსნები, მაღალი თანამდებობის პირები, მეცნიერები და შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები, სახარების მქადაგებელნი, რომელთაც ჯერ კიდევ არ მიეცათ აწმყო დროის განსაკუთრებული ჭეშმარიტებანი - ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც პირველებმა უნდა ისმინონ უფლის მოწოდება. ისინი პირველნი უნდა იყვნენ წვეულნი პურობაზე. ასევე აუცილებელია, უფლის ხმა მისწვდეს ამა ქვეყნის მდიდართ. ისინი უნდა მიხვდნენ, რომ პასუხისმგებელნი არიან იმ უხვი ძღვნისათვის, რომელიც ზეცამ მიანდო. მათ ისიც უნდა ახსოვდეთ, რომ მას, ვინც განსჯის მკვდრებსაც და ცოცხლებსაც, ანგარიში უნდა წარუდგინონ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოიხმარეს ეს სიმდიდრე. მდიდარს სჭირდება თქვენი ღვთისმოსაური, ღვთიური სიყვარულით სავსე მსახურება. მდიდარი ადამიანი ძალზე ხშირად ეყრდნობა თავის სიმდიდრეს და არ იცის, თუ რა ხიფათი ელის. უნდა დაეხმაროთ მათ; უნდა დაანახოთ, თუ რა არის ჭეშმარიტად უხრწნადი ფასეულობანი და ძალა

ჭეშმარიტი სიკეთისა, რომელიც მოგვიწოდებს: "მოდით ჩემთან, ყოველნო მაშვრალნო და ტვირთმძიმენო, და მე მოგასვენებთ თქვენ. იტვირთეთ ჩემი უღელი და ისწავლეთ ჩემგან, ვინაიდან მე მშვიდი და თავმდაბალი ვარ, და ჰპოვებთ სულის სიმშვიდეს. ვინაიდან ჩემი უღელი ადვილია და ჩემი ტვირთი - მსუბუქი" (მათ. 11:28-30).

განათლებულ, მდიდარ და მაღალი თანამდებობის მქონე ადამიანებს იშვიათად მიმართავენ იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც პირადად მათს გადარჩენას ეხება. ბევრი ქრისტეს მსახურიც გაურბის მსგავს ადამიანებთან ამ საკითხზე საუბარს. ეს არასწორია. ჩვენ არა გვაქვს უფლება, გულგრილად ვუცქიროთ, თუ როგორ იღუპება ადამიანი, მხოლოდ იმიტომ, რომ ის ადვოკატი, ვაჭარი ან მოსამართლეა. როცა ვხედავთ, რომ ადამიანი უფსკრულში იჩეხება, უყოყმანოდ უნდა შევაჩეროთ, მიუხედავად მისი თანამდებობისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისა. არაფერმა არ უნდა შეგვიშალოს ხელი ამ ადამიანთა გადარჩენაში.

არ შეიძლება, გულგრილობა გამოვიჩინოთ ადამიანის მიმართ მხოლოდ იმიტომ, რომ მისთვის ამქვეყნიური ფასეულობანი უფრო ძვირფასია. მაღალი საზოგადოების ბევრი წარმომადგენელი, მრავალი თანამდებობის პირი საჭიროებს სულიერ სიმშვიდეს, რომელიც დაკარგეს. ისინი დაღალა ამქვეყნიურმა ამაოებამ და სულიერმა სიცარიელემ. საზოგადოების უმაღლეს სფეროებში არსებობენ ადამიანები, რომელთაც გადარჩენა სწყურიათ. ბევრი მათგანი პოვებდა იმედს, უფლის მსახურნი რომ მათთან პირადად, კეთილი განზრახვით და ქრისტეს სიყვარულით სავსე გულით მისულიყვნენ.

სახარების ქადაგების წარმატება განისაზღვრება არა მჭევრმეტყველური განცხადებებითა და განათლებულობის გამოვლინებით, არა ღრმა, დამაჯერებელი მტკიცებებით, არამედ უბრალო სიტყვებით, რომელიც აქტუალური და ხელმისაწვდომი იქნება ყოველი იმ ადამიანისათვის, რომელსაც სიცოცხლის პური სწადია. "რა გავაკეთო, რომ გადავრჩე?" - აი კითხვა, რომელიც ყოველ სულს აწუხებს. ათასობით ადამიანისათვის შეიძლება მეტად დამაჯერებელი აღმოჩნდეს უბრალო, მოკრძალებით წარმოთქმული სიტყვები. მაღალი ინტელექტის მქონე, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული პიროვნებები ხშირად მხნეობასა და დახმარებას სწორედ იმ ადამიანთა უბრალო სიტყვებში პოულობენ, ვისაც ღმერთი უყვარს და ამ სიყვარულზე ისე გულწრფელად და დამაჯერებლად საუბრობს, როგორც ყველაზე საინტერესო საკითხზე საუბრობენ ხოლმე.

ხშირად წინასწარ გულმოდგინედ მომზადებული სიტყვა ვერ ახდენს სათანადო ზეგავლენას. მაგრამ ღვთის შვილის გულწრფელ, გულის სიღრმიდან ამოსულ უბრალო საუბარს შეუძლია, უდიდესი ზეგავლენა მოახდინოს ადამიანის ქრისტესა და მისი სიყვარულისათვის თითქოსდა სამუდამოდ დახურულ გულზე.

ქრისტეს მსახურს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ის საკუთარი ძალით როდი შრომობს. ამიტომ წარდგეს იგი უფლის ტახტის წინაშე იმ რწმენით, რომ მიეცემა ძალა ადამიანთა გადარჩენისათვის. შეეჭიდოს ღმერთს ლოცვებში, შემდეგ კი იშრომოს და გამოიყენოს მისთვის უფლისაგან ბოძებული ყველა ნიჭი. სულიწმიდა იქნება მასში მოქმედი ძალა; მფარველი ანგელოზები იქნებიან

მის გვერდით; ისინი მოახდენენ ზეგავლენას მსმენელთა გულზე და ჩაუბეჭდავენ ჭეშმარიტებას.
რა უდიდესი მისიონერული ცენტრი გახდებოდა იერუსალიმი, ებრაელი ერის წინამძღოლებსა და მოძღვრებს ამ ქალაქში ჭეშმარიტება რომ მიეღოთ! განდგომილი ისრაელი კვლავ უფლისკენ მოიქცეოდა. უფლის მსახურებისათვის ურიცხვი მხედრობა შეგროვდებოდა. რა სწრაფად გავრცელდებოდა სახარების ჭეშმარიტება მთელ წუთისოფელში! ასევეა დღესაც: მაღალ თანამდებობათა პირების, ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის უნარიანი და ნიჭიერი ადამიანების ქრისტესკენ მოქცევის შემთხვევაში რა დიდ შრომას გასწევდნენ ისინი დაცემულთა და უარყოფილთა გადასარჩენად, ხსნის სახარების გასავრცელებლად! მაშინ უფლის მოწოდებას ყოველი ადამიანი მოისმენდა და უფლის პურობაზე წვეულნი მის სახლს შეავსებდნენ.
მაგრამ ჩვენ უნდა ვფიქრობდეთ არა მხოლოდ დიდებულთა და ნიჭიერთა გადარჩენაზე, არამედ საწყალ ადამიანებზეც. მაცხოვარმა თავის მაცნეთ დაავალა, გასულიყვნენ მოედნებზე და ქუჩებში, ღარიბთა და ამა სოფლის დამცირებულთა მოსაძებნად. დიდი ქალაქების ეზოებსა და შესახვევებში, პატარა სოფლების მიყრუებულ ადგილებში არის მრავალი ოჯახი თუ მარტოხელა ადამიანი, შესაძლოა, უცხო მიწაზე მცხოვრები ხიზანიც კი, რომლებმაც არაფერი იციან ღვთის ეკლესიის არსებობის შესახებ და მარტოობაში ჰგონიათ, რომ უფლისაგან დავიწყებულნი არიან. მათ არ იციან, რა უნდა გააკეთონ, რომ გადარჩნენ. ბევრი მათგანი ცოდვის მორევშია ჩაფლული. ბევრია მათ შორის ტანჯვისა და გაჭირვებისაგან, ურწმუნოებისა და უიმედობისაგან სასოწარკვეთილი და მოტეხილი, სულიერად თუ ფიზიკურად დაავადებული. მათ ნუგეში და შვება სჭირდებათ, და სატანისგან ცდუნებულნი, ისინი მას საკუთარ ვნებათაღელვისა და სურვილთა დაკმაყოფილების გზით ეძებენ, რასაც ისინი დაღუპვისა და განადგურებისაკენ მიჰყავს. სატანა სოდომის ნაყოფს უწვდის მათ, რათა მათს ბაგეებზე სიკვდილის ფერფლად აქციოს იგი. ისინი საკუთარ სახსრებსა და ძალ-ღონეს ხარჯავენ არა სიცოცხლის პურის შესაძენად, არამედ იმაზე, რაც ჭეშმარიტ კმაყოფილებას არასოდეს მოუტანს მათ.
ამ გატანჯულ ადამიანებში ჩვენ უნდა ვხედავდეთ მათ, ვის სახსნელადაც ქრისტე მოვიდა. ეს მათ მოუხმობს მაცხოვარი: "ჰოი, მწყურვალნო, ყველანი მიდით წყლებთან, და ფულის უქონელნო, მიდით და იყიდეთ და ჭამეთ. მიდით და იყიდეთ ღვინო და რძე უფულოდ და უსასყიდლოდ... სმენით მომისმინეთ და ჭამეთ, რაც კარგია, და განცხრეს თქვენი სული სიმსუყეში" (ეს. 55:1-3).
უფალი ბრძანებს, რომ განსაკუთრებული ყურადღებითა და თანაგრძნობით მოვეპყრათ ხიზნებსა და უარყოფილთ, საცოდავ ადამიანებს, რომელთაც აღარ შემორჩათ მორალური და ზნეობრივი ძალა. ბევრ მათგანს, რომელთაც გარეგნულად თითქოსდა სულაც არ აღელვებთ რწმენის საკითხი, გულის სიღრმეში სწყურია მშვიდობა და სულიერი სიმშვიდე. და, თუმცა ისინი ცოდვის უფსკრულში არიან გადაჩეხილნი, მათი გადარჩენის იმედი მაინც არსებობს.
ქრისტეს მსახურნი ყველაფერში თავიანთ უფალს უნდა ბაძავდნენ. გადადიოდა რა ერთი ადგილიდან მეორეზე, მაცხოვარი კურნავდა სნეულთ და ამშვიდებდა ტანჯულთ. შემდეგ კი თავისი სასუფევლის უდიდეს ჭეშმარიტებათა

საიდუმლოს აცნობდა მათ. ასევე უნდა იქცეოდნენ მისი მიმდევრებიც. ადამიანის ფიზიკური ტანჯვის შემსუბუქებით თქვენ მოგეცემათ მათი სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობანიც. მაშინ თქვენ შეგიძლიათ, მიუთითოთ ჯვარცმულ მაცხოვარზე და უამბოთ ამ უდიდესი მკურნალის უსაზღვრო სიყვარულის შესახებ და დაარწმუნოთ, რომ იგი ერთადერთია, ვისაც მათი განახლებისა და აღდგენის ძალა შესწევს.
გაამხნევეთ ეს საწყალი, იმედდაკარგული, სულით დაცემული, გზასაცდენილი ადამიანები. თუმცა ისინი ცდუნდნენ და ხასიათის კარგი თვისებებიც არ გააჩნიათ, მაგრამ უფალი ღმერთი განაახლებს და გადარჩენის სიხარულსაც მიანიჭებს მათ. იგი მზად არის, ეს ერთი შეხედვით უსარგებლო მასალა, რომელზეც სატანამ საკმაოდ კარგად იმუშავა, თავისი უხვი წყალობისა და მადლის ობიექტად აქციოს. უფალი ბედნიერია, როცა მათ იხსნის რისხვისაგან, რომელიც ურჩებს უნდა დაატყდეს თავს. ანუგეშეთ ეს უბედურნი; უთხარით, რომ შესაძლებელია მათი განკურნებაც და განწმედაც. ყოველი მათგანისათვის არის ადგილი უფლის სუფრასთან; უთხარით, რომ ელის მათ უფალი და სიხარულით შეხვდებათ.
მოედნებსა და ქუჩებში მავალი ქრისტეს მსახურნი მრავალ გაჭირვებულ, განსხვავებული ხასიათის ადამიანებს შეხვდებიან, რომელთაც დახმარება სჭირდება. ეს ის ადამიანები არიან, რომელნიც გულწრფელად ემსახურებიან ღმერთს იმ წესით, რომელიც მათთვისაა ცნობილი. მაგრამ ხვდებიან, რომ მათ ისევე, როგორც მათ ირგვლივ მყოფ ხალხს, ესაჭიროებათ დიდი დახმარება - უფრო მეტი ცოდნა ღმერთის შესახებ. და აღიარებენ, რომ მათ ჯერ უდიდესი სინათლის მხოლოდ პირველი სხივები იხილეს. ისინი ცრემლებით სთხოვენ უფალს, გაიღოს მათთვის კურთხევა და მადლი, რომლის საჭიროებასაც ისინი გულით გრძნობენ. უამრავი ასეთი ადამიანის პოვნა შეიძლება დიდი ქალაქების უწმიდურ და მანკიერ მცხოვრებთა შორის. ბევრი მათგანი შეჭირვებულ მდგომარეობაშია და წუთისოფელი მათ ვერ ამჩნევს. ბევრი მათგანი უცნობია ეკლესიისა და მის მსახურთათვის. მაგრამ ისინი უფლის მოწმენი არიან ღარიბ-ღატაკთა და მიტოვებულთათვის. მათ, შესაძლოა, არ მიუღიათ დიდი ნათელი; არა აქვთ ქადაგების განსაკუთრებული ნიჭი, მაგრამ შიმშილის, სიცივისა და სიღატაკის სამყაროში გმირულად ემსახურებიან სხვებს. დაე ღვთის მრავალფეროვანი ნიჭებით დაჯილდოებულმა ადამიანებმა ეძებონ ეს თავდადებული მსახურნი, მიაკითხონ სახლებში და ღვთის წმიდა სულის დახმარებით შეუმსუბუქონ გაჭირვებული მდგომარეობა. შეისწავლეთ მათთან ერთად წმიდა წერილები ისეთი უბრალოებით, როგორც სულიწმიდამ გასწავლათ. ქრისტე მისცემს თავის ერთგულ მსახურთ ჭეშმარიტებას, რომელიც ყოველი სულისათვის სიცოცხლის პური იქნება. და უძვირფასესი კურთხევანი და წყალობანი გულიდან გულს, ოჯახიდან ოჯახს გადაეცემა.
იგავში ნათქვამ ქრისტეს სიტყვებს: "დაიყოლიე ისინი, რომ მოვიდნენ" - ხშირად არასწორად განმარტავენ და მას ადამიანთა იძულებით მოქცევისაკენ მოწოდებად მიიჩნევენ. სინამდვილეში კი, აქ დაბეჯითებით მოწვევის აუცილებლობა და დარწმუნების მომენტი იგულისხმება. სახარება არასოდეს აიძულებს ვინმეს ქრისტესთან მოსვლას. იგი მხოლოდ მოუწოდებს: "მწყურვალნო, ყველანი მიდით წყლებთან" (ეს. 55:1). "სული და სასძლო ამბობენ: მოდი!.. მწყურვალი მოვიდეს და მსურველმა უსასყიდლოდ აიღოს

სიცოცხლის წყალი" (გამოცხ. 22:17). უფლის მიღების სურვილს მაცხოვრის სიყვარული და მადლი აღგვიძრავს.
მაცხოვარი ამბობს: "აჰა, ვდგავარ კართან და ვრეკ. თუ ვინმე მოისმენს ჩემს ხმას და გამიღებს კარს, შევალ მასთან. მე მასთან ვივახშმებ და ის ჩემთან" (გამოცხ. 3:20). იგი არ ნებდება, როდესაც იღებს უარს, გულგრილობას, სიძულვილს, არამედ დაუღალავად ეძებს დაკარგულთ. "როგორ გაგიმეტო?" - აცხადებს მაცხოვარი (ოს. 11:8). ცოდვაში გაქვავებული გული უარს ამბობს მის სიყვარულზე, მაგრამ იგი კვლავ და კვლავ უბრუნდება მას და დაჟინებით სთხოვს: "აჰა, ვდგავარ კართან და ვრეკ". მისი ძლიერი სიყვარული იმორჩილებს ადამიანის გულს და თავისკენ იზიდავს. და ისიც პასუხობს: "განმადიდე შენი წყალობით" (ფსალმ. 17:36).
ქრისტე ისეთივე მიმზიდველი სიყვარულით აჯილდოებს თავის ერთგულ მაცნეთ, როგორითაც იგი დაკარგულთ ეძებდა. საკმარისი არაა მხოლოდ თქმა: "მობრძანდით". წვეულთა შორის არიან ისეთნიც, ვისაც ესმის მისი მოწოდება, მაგრამ მის მნიშვნელობას ვერ ხვდება. მათი სმენა და მხედველობა იმდენად შესუსტებულია, რომ მათთვის გაღებულ მადლსა და სიკეთეს ვერ ხედავენ. მრავალი აღიარებს თავის დაცემულ მდგომარეობას და ამბობს: "არა ვარ დახმარებისა და წყალობის ღირსი, თავი დამანებეთ". მაგრამ ქრისტეს მსახურნი არ უნდა დანებდნენ. გულწრფელი, მხურვალე სიყვარული და თანაგრძნობა გულს მოულბობს და დაეხმარება უძლურთ და იმედდაკარგულთ. გაუზიარეთ ამ ადამიანებს თქვენი მხნეობა, იმედები და ძალა. სიკეთით დაიმორჩილეთ ისინი და გაუღვიძეთ ქრისტესთან მოსვლის სურვილი. "ერთნი - დაეჭვებულნი შეიწყალეთ. სხვანი ცეცხლიდან გამოტაცებით იხსენით, სხვანი შიშით ამხილეთ" (იუდ. 22,23).
თუკი ღვთის მსახურნი მაცხოვრისადმი მტკიცე რწმენით ივლიან, იგი გააძლიერებს მათ. და ისინიც ისეთი ძალით წარმოუდგენენ ადამიანებს ღვთის სიყვარულს, ისე დამაჯერებლად დაუხატავენ ღვთიური მადლის უარყოფის დამანგრეველ შედეგსა და მოსალოდნელ ხიფათს, რომ ისინი იძულებულნი გახდებიან, მიიღონ სახარება. ქრისტე სასწაულებს მოახდენს, თუკი ადამიანები უფლის დავალების მათთვის განკუთვნილ ნაწილს შეასრულებენ. ჩვენს დღეებშიც ისევე არის შესაძლებელი ადამიანთა სულის განახლება და გარდაქმნა, როგორც ეს გასულ საუკუნეებში იყო. ჯონ ბუნიანი მკრეხელობისა და ბინძური ნადიმებისაგან იქნა დახსნილი; ჯონ ნიუტონი კი - მონათმოვაჭრეთაგან, რათა შემდგომ ჯვარცმულ მაცხოვარზე ექადაგათ. მსგავსი ბუნიანებისა და ნიუტონების გამოხსნა ცოდვის ხლართებისაგან დღესაც შეიძლება. ღვთიური ძალით აღმდგარ, განმტკიცებულ ადამიანთა მეშვეობით მრავალ უარყოფილთა და ცოდვის ტყვეთა ღვთისაკენ მოქცევაა შესაძლებელი, რათა შემდგომ მათაც იზრუნონ სხვებში ღვთიური ხატების აღდგენაზე. ბევრია ისეთი, ვისაც არ მიეცა ჭეშმარიტი გზით სიარულის საკმაო შესაძლებლობა; ვინც ხშირად ხდებოდა ცდუნების მსხვერპლი, ვინაიდან სხვა, უფრო უკეთესი გზა არ იცოდა. მათაც მისწვდება ღვთიური ნათელი. მათთანაც მივა ღვთის სიტყვა ისე, როგორც მაცხოვრის სიტყვები - ზაქესთან: "დღეს შენს სახლში უნდა დავრჩე" (ლუკ. 19:5). და ამ ცოდვილთა უიმედოდ გაქვავებული, გაყინული გული გალღვება და ბავშვის ნაზ გულს დაემსგავსება, ვინაიდან ქრისტემ შეამჩნია ისინი. ბევრი დატოვებს საშინელი შეცდომისა და ცოდვის

გზას და შეცვლის მათ, ვინც ვერ შეაფასა მათთვის მიცემული შესაძლებლობანი და უპირატესობანი. ისინი უფლის ძვირფას მემკვიდრეებად, მის რჩეულ ერად იქცევიან. და, როდესაც ქრისტე თავის სამეფოს მიიღებს, ისინი მის ტახტზე, მის გვერდით დასხდებიან.
მაგრამ "ფრთხილად! ნუ უარყოფ მოლაპარაკეს" (ებრ. 12:25). მაცხოვარმა თქვა: "ვერავინ იმ წვეულთაგან ვერ იგემებს ჩემს ვახშამს". მათ არ ინდომეს წვეულებაზე მისვლა და არც ერთ მათგანს ხელახლა არ დაპატიჟებენ. უარყვეს რა ქრისტე, იუდეველებმა გული გაისასტიკეს და სატანის ხელმწიფება აირჩიეს. ამიტომ ვერ მიიღეს ღვთის მადლი. იგივეს ვხედავთ დღესაც. თუკი ღვთის სიყვარულს სათანადოდ ვერ ვაფასებთ; თუკი მისი სულისჩამდგმელი, მაცოცხლებელი პრინციპებით არ ვიხელმძღვანელებთ, სამუდამოდ დავიღუპებით. უფალს არ ძალუძს ჩვენ მიმართ იმაზე მეტი სიყვარულის გამოვლენა, რაც უკვე მოგვცა. თუკი ქრისტეს სიყვარულმა ჩვენი გული ვერ დაიმორჩილა, სხვა ველარაფერი გვიშველის.
ღვთიური მოწყალების ხმის შესმენაზე ყოველი უარი თქვენში უნდობლობას უფრო აღვივებს. ქრისტესთვის თქვენი გულის კარის გაღებაზე ყოველი უარი მისი მოწოდების შესმენის უნარს სულ უფრო და უფრო გისუსტებთ და მისი მოწყალების უკანასკნელ შანსს გაკარგვინებთ. ეცადეთ, თქვენ არ შეგეხოთ ძველ ისრაელზე ნათქვამი: "შეეკრა კერპებს ეფრემი, დაეხსენით, იყოს მარტო" (ოს. 4:17).
შეეცადეთ, ისე არ გიგლოვოთ ქრისტემ, როგორც იერუსალიმს გლოვობდა: "რამდენჯერ მინდოდა შენი შვილების შეკრება, როგორც ფრინველი იკრებს ფრთებქვეშ თავის ბარტყებს, მაგრამ თქვენ არ ისურვეთ. აჰა, სახლი აოხრებული გრჩებათ" (ლუკ. 13:34,35).
უკვე დადგა ჟამი, როცა მართლაც უკანასკნელად მიეწოდება კაცობრიობას ღვთიური მადლის ხმა, უკანასკნელი მოწოდება. ბრძანება: "გადით გზებზე და ორღობეებში", სულ მალე შესრულდება. მაცხოვარი უხმობს ყველას. მისი მაცნენი გვთავაზობენ: "მობრძანდით, ყველაფერი მზად არის". ზეციური ანგელოზები ჯერ კიდევ შრომობენ ადამიანებთან ერთად. ღვთის წმიდა სულიც ყველაფერს აკეთებს ადამიანთა გადარჩენისათვის. იმედითა და მოთმინებით ელის მაცხოვარი ჩვენს გამოფხიზლებას, რათა გულის კარი გავუხსნათ მის მოწყალებას. ანგელოზები ფხიზლად ელიან ადამიანთა დაბრუნებას ქრისტესთან, რათა ზეცას ახარონ, რომ კიდევ ერთი ცოდვილი, ერთი დაკარგული ძე მოიძებნა. ზეციური არსებები მზად არიან, აახმიანონ თავიანთი ქნარები და იგალობონ სიხარულის საგალობელი კიდევ ერთი სულის შესახებ, რომელმაც კრავის ნადიმზე მიწვევა მიიღო.

## თავი 19 - "რამდენჯერ უნდა მივუტევო?"

მათ. 18:21-35

პეტრემ ჰკითხა ქრისტეს: "რამდენჯერ უნდა მივუტევო ჩემს ძმას, ჩემს წინააღმდეგ თუ შესცოდა?" რაბინები თვლიდნენ, რომ სამჯერ მიტევება საკმარისია. პეტრემ, რომელიც, როგორც თავად თვლიდა, ქრისტეს მოძღვრებას მისდევდა, ეს რიცხვი შვიდამდე გაზარდა, რადგან ეს რიცხვი სრულყოფილების სიმბოლოდ ითვლებოდა. ქრისტე კი გვასწავლის, რომ მიტევება არასოდეს უნდა გვბეზრდებოდეს. "მე არ გეუბნები, შვიდჯერ-მეთქი, - პასუხობს იგი, - არამედ სამოცდაათგზის შვიდჯერ".
შემდეგ კი განმარტავს, თუ რას ემყარება ჭეშმარიტი მიტევება და საუბრობს იმ საშიშროებაზე, რომელიც ელის ადამიანს, რომელსაც მიტევების სული არ გააჩნია. ამბობს იგავს მეფისა და მის მსახურთა შესახებ, რომელთაც სამეფოს მართვა ჰქონდათ მინდობილი. ზოგიერთი ამ მსახურთაგანი სახელმწიფო ხაზინას განაგებდა და დიდძალი ფულიც ჰქონდა ჩაბარებული. და აი, როდესაც ხელმწიფემ მორიგი შემოწმება მოაწყო, აღმოჩნდა, რომ ერთ მათგანს სახელმწიფო ხაზინის უზარმაზარი ვალი - ათი ათასი ტალანტი ემართა. მას ამ ვალის გადახდა არ შეეძლო და, იმ დროს არსებული წესის თანახმად, მეფემ ბრძანა, გაეყიდათ ვალის დასაფარავად ეს მსახური და მასთან ერთად ყველაფერი, რაც მას გააჩნდა. მაგრამ მსახური პირქვე დაემხო და მეფეს შეევედრა: "სულგრძელი იყავ ჩემს მიმართ და ყველაფერს გადაგიხდიო". ბატონს შეებრალა ის მონა, გაუშვა და ვალიც აპატია.
"ამ მონას გამოსვლისთანავე შეხვდა ერთი თავისი თანამონა, რომელსაც მისი ასი დინარი ემართა, დაიჭირა, ყელში სწვდა და უთხრა: გადამიხადე, რაც გმართებსო. პირქვე დაემხო თანამონა, შეევედრა და უთხრა: სულგრძელი იყავ ჩემს მიმართ და ყველაფერს გადაგიხდიო. მაგრამ მან არ ინდომა, არამედ წავიდა და ჩააგდო იგი საპყრობილეში, ვიდრე ვალს გადაუხდიდა. მისმა თანამონებმა რომ ნახეს, რაც მოხდა, შეწუხდნენ, მივიდნენ თავიანთ ბატონთან და აუწყეს ყოველივე მომხდარი. მაშინ დაიბარა იგი მისმა ბატონმა და უთხრა: ბოროტო მონავ! რაკი მთხოვე, მე მთელი ვალი გაპატიე. განა არ გმართებდა, შეგეწყალებინა შენი თანამონა, როგორც მე შენ შეგიწყალე? განრისხდა ბატონი და გადასცა იგი მტანჯველებს, ვიდრე მთელ თავის ვალს არ გადაუხდიდა".
ამ იგავში ბევრი ისეთი წვრილმანი დეტალია, რომელიც საერთო სურათის შესაქმნელადაა გამოყენებული და არავითარი კავშირი არა აქვს მასში გადმოცემულ სულიერ ჭეშმარიტებასთან. ნუ შევაჩერებთ ჩვენს ყურადღებას მათზე. მასში არის ზოგი ისეთი მნიშვნელოვანი, უდიდესი ჭეშმარიტება, რომელზედაც ღრმად უნდა დავფიქრდეთ.
მეფის მიერ ვალის პატიება ცოდვილი ადამიანის სრული მიტევების სიმბოლოა. აქ მეფის სახით წარმოდგენილია ქრისტე, რომელმაც თავისი გულმოწყალების გამო ასეთი დიდი ვალი აპატია თავის მონას. ადამიანი დარღვეული რჯულის წყევლის ქვეშ იმყოფება, ამიტომ საკუთარი თავის ხსნა არ შეუძლია. ამისათვის მოვიდა ქრისტე წუთისოფელში; თავის ღვთიურობა ადამიანის ხორცში დაფარა და თავისი მართალი სიცოცხლე ურჯულოთა გადარჩენას შესწირა; ჩვენი ცოდვებისათვის ევნო და ყოველი მიტევება უანგაროდ, მისი წმიდა სისხლითაა ნაყიდი. "უფალთან არის წყალობა და უხვია დახსნა მისმიერი" (ფსალმ. 129:7). აი აქ არის ძირი, რომელიც გვასწავლის, როგორ თანავუგრძნოთ ჩვენს ცოდვილ ძმებს. "თუკი ასე შეგვიყვარა ღმერთმა, ჩვენც გვმართებს ერთმანეთის

სიყვარული" (1იოან. 4:11). "უსასყიდლოდ მიგიღიათ და უსასყიდლოდვე გაეცით", - ამბობს მაცხოვარი (მათ. 10:8).
როდესაც მევალე მეფეს შეევედრა: "სულგრძელი იყავ ჩემს მიმართ და ყველაფერს გადაგიხდიო", მისთვის გამოტანილი განაჩენი გაუქმებულ იქნა და მას მთელი ვალი ეპატია. მალე ამ მიტევებულსაც მიეცა შესაძლებლობა, თავისი ბატონის მაგალითისთვის მიებაძა და სხვისთვის მიეტევებინა. მეფის სახლიდან გამოსულმა, თავისი ამხანაგი მოძებნა, რომელსაც მისთვის მცირეოდენი თანხა - სულ რაღაც "ასი დინარი ემართა". მაგრამ ის, ვინც ახლახანს ასე დიდებულად იქნა შეწყალებული, თავის მევალეს სულ სხვაგვარად მოექცა. ამხანაგმა ისეთივე თხოვნით მიმართა მას, რომლითაც სულ ცოტა ხნის წინათ თავად წარდგა მეფის წინაშე, მაგრამ ამჯერად ვედრებამ არ გაჭრა. ის, ვისაც ახლახანს ეპატია, არ იყო ისეთი მოწყალე და კეთილი, როგორც მისი ბატონი. თავად შეწყალებულმა არ შეიწყალა თავისი ამხანაგი. მას არ სურს, მოთმინება გამოიჩინოს და მას ვალის გადახდისათვის დრო მისცეს. ეს უმადური მსახური მხოლოდ იმ უმნიშვნელო თანხაზე ფიქრობს, რომელიც ვალად გასცა; დაუყოვნებლივ მის დაბრუნებას ითხოვს, რისი უფლებაც, მისი აზრით, აქვს მას. და ამხანაგს ადებს სასჯელს, რომელიც თავად მას მოწყალედ მიეტევა. დღესაც რამდენი ავლენს მსგავს მიუტევებლობის სულს! როცა ის უმადური მონა ხელმწიფისაგან შეწყალებას ითხოვდა, სწორად არც კი ესმოდა, რამდენად დიდი იყო მისი ვალი და რამდენად უიმედო იყო მისი მდგომარეობა. და ფიქრობდა, რომ თავად როგორმე შეძლებდა ვალის დაბრუნებას. "სულგრძელი იყავ ჩემს მიმართ, - ამბობს იგი, - და ყველაფერს გადაგიხდი". ამ მევალის მსგავსად ჩვენს დროშიც ცდილობენ ადამიანები, საკუთარი საქმეებით დაიმსახურონ უფლის კეთილგანწყობა. და ვერც ხვდებიან, თუ რამდენად უიმედოა მათი მდგომარეობა. მათთვის გაღებულ ღვთიურ მადლს ისინი უსასყიდლო ძღვნად არ მიიჩნევენ და საკუთარი მდგომარეობის განმტკიცებას საკუთარი სიმართლით ცდილობენ. არ არის მათს გულში მორჩილება, არც სინანული თავისი ცოდვილი ცხოვრების გამო. ამიტომ არიან ასე მკაცრნი და მომთხოვნი და უწყალონი სხვების მიმართ. ღვთის წინაშე მათს ცოდვასა და ძმების დანაშაულს შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც ათი ათას ტალანტსა და ას დინარს შორის (თითქმის მილიონი ერთთან); და მაინც ასეთი მიუტევებელნი არიან.
იგავში მეფე თავისთან იბარებს ამ უმოწყალო მონას და ეუბნება: "ბოროტო მონავ! რაკი მთხოვე, მე მთელი ვალი გაპატიე. განა არ გმართებდა, შეგეწყალებინა შენი თანამონა, როგორც მე შენ შეგიწყალე?" "განრისხდა ბატონი და გადასცა იგი მტანჯველებს, ვიდრე მთელ თავის ვალს არ გადაუხდიდა". "ასევე მოგექცევათ თქვენ ჩემი ზეციერი მამა, თუ ყოველი თქვენგანი გულით არ მიუტევებს თავის ძმას მის შეცოდებებს", - ამბობს იესო. ვისაც სხვების მიტევება არ შეუძლია, ნუ ექნება იმედი, რომ თავად მიეტევება.
მაგრამ ერთმნიშვნელოვნად ნუ განვიხილავთ ამ იგავში ჩადებულ აზრს. უფლის უანგარო მიტევება არავითარ შემთხვევაში არ ამცირებს ჩვენს მოვალეობას ღვთის წინაშე - ვიყოთ მორჩილნი. ასევე ძმების მიმართ გამოვლენილი ღვთიური მოწყალების სული არ ხსნის მათს ვალდებულებას, გადაიხადონ ვალი, რომელსაც სამართლიანად ვითხოვთ. ლოცვაში, რომელიც ქრისტემ თავის მოწაფეთ ასწავლა, მაცხოვარი ამბობს: "მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენნი,

ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა ჩვენთა" (მათ. 6:12). უფალი ამით არ ამბობს, რომ ჩვენი ცოდვების მიტევებისათვის ადამიანებს არ უნდა მოვთხოვოთ, სამართლიანად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა ჩვენ მიმართ. და, თუკი ისინი ვალს ვერ გვიხდიან (თუნდაც ეს საქმისადმი მათი არასწორი მიდგომით იყოს გამოწვეული), ნუ ჩავაგდებთ მათ საპყრობილეში; ნურც შევავიწროებთ და ნურც უხეშად მოვექცევით. მაგრამ, ამასთანავე, იგავი არ გვასწავლის, ხელი შევუწყოთ მათს უსაქმურობას. ღვთის სიტყვა აცხადებს: "ვისაც შრომა არ სურს, ის ნუღარც ჭამს" (2თეს. 3:10). უფალი არ ითხოვს, რომ ერთმა თავისი მძიმე შრომით მეორის სიზარმაცეს შეუწყოს ხელი. ხშირად სიღარიბისა და სიღატაკის მიზეზი ის არის, რომ ადამიანები ნაკლებ გულმოდგინებას იჩენენ შრომაში და დროს ფუჭად ხარჯავენ. იმ ადამიანთა დახმარება, რომელთაც ასეთი ნაკლი აქვთ და რომელნიც მის აღმოფხვრასაც არ ცდილობენ, იგივეა, რაც გახვრეტილ ტომარაში ძვირფასი ნივთების ჩაწყობა. მაგრამ ზოგ შემთხვევაში, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ადამიანი ვერ ართმევს თავს სიღარიბეს. ასეთ გაჭირვებულთა მიმართ დიდი თანაგრძნობისა და მზრუნველობის გამოჩენა გვმართებს. ყოველთვის ისე უნდა მოვექცეთ სხვებს, როგორც გვსურს, რომ მსგავს შემთხვევაში მოგვექცნენ ჩვენ.

პავლე მოციქულის მეშვეობით სულიწმიდა გვასწავლის: "თუ არის რაიმე ნუგეშისცემა ქრისტეში, თუ არის რაიმე სალბუნი სიყვარულისა, თუ არის რაიმე თანამოზიარეობა სულისა, თუ არის რაიმე თანაგრძნობა და შეწყალება, შეავსეთ ჩემი სიხარული, რათა ერთსა და იმავეს ფიქრობდეთ, გქონდეთ ერთი და იგივე სიყვარული, იყოთ ერთსულოვანნი, და ერთაზროვანნი. არაფერი გააკეთოთ ჯიბრით ან პატივმოყვარეობით, არამედ თავმდაბლობით. საკუთარ თავზე მეტად შერაცხეთ ერთმანეთი. თითოეული მარტო თავის თავზე კი ნუ იზრუნებს, არამედ სხვებზეც. თქვენშიაც იმ საფიქრალზე იფიქრეთ, რაც ქრისტე იესოშია" (ფილ. 2:1-5).

დაუშვებელია, ცოდვას გულგრილად, არასერიოზულად შევხედოთ. უფლის სურვილია, დავეხმაროთ ძმებს, გამოსწორდნენ. "თუ შენმა ძმამ შეგცოდოს, გაუწყერი მას" (ლუკ. 17:3). ცოდვას თავის სახელი უნდა დაერქვას და ცოდვილსაც გასაგებად უნდა მივუთითოთ მასზე.

სულიწმიდით შთაგონებული პავლე მოციქული ტიმოთეს ასწავლის: "იქადაგე სიტყვა, დაჟინებით, დროულად და უდროოდ, ამხილე, შერისხე, შეაგონე მთელი სულგრძელებითა და სწავლებით" (2ტიმ. 4:2). ტიტეს კი იგი სწერს: "ბევრია ურჩი, ყბედი და მატყუარა... ამხილე ისინი მკაცრად, რათა ისინი საღნი იყვნენ რწმენაში" (ტიტ. 1:10-13). "ხოლო თუ შენი ძმა შესცოდავს შენს წინააღმდეგ, მიდი და ამხილე იგი, როცა მარტონი იქნებით. თუ გაგიგონებს, შეგიძენია შენი ძმა. ხოლო თუ არ გაგიგონებს, წაიყოლე კიდევ ერთი ან ორი სხვა, რათა ორი ან სამი მოწმის პირით დამტკიცდეს ყოველი სიტყვა. თუ არც მათ გაუგონებს, ეკლესიას უთხარი; თუ არც ეკლესიას გაუგონებს, მაშინ იყოს იგი შენთვის, როგორც წარმართი და მებაჟე" (მათ. 18:15-17).

უფალი გვასწავლის, რომ ქრისტიან ძმებს შორის უთანხმოება და გაუგებრობა ეკლესიის შიგნით უნდა მოგვარდეს და არა მათ წინაშე, ვისაც ღვთის შიში არ გააჩნიათ. თუკი ქრისტიანი თავისმა მორწმუნე ძმამ გაანაწყენა, ნუ მიმართავს იგი დასახმარებლად ურწმუნოთ ან მათს სამსჯავროს. არამედ ისე მოიქცეს, როგორც ქრისტე გვასწავლის. სამაგიეროს გადახდის ნაცვლად ძმის გადარჩენას

შეეცადოს. უფალი ღმერთი დაიცავს მის მოყვარულთა და მოშიშთა ინტერესებს. ამიტომ შეგვიძლია თამამად მივენდოთ მას, რადგან სამართლიანი მსაჯულია იგი.
ხშირად ხდება ხოლმე, რომ ადამიანი კვლავ და კვლავ იმეორებს თავის დანაშაულს. და, თუმცა იგი ყოველ მათგანს აღიარებს და ინანიებს, მაგრამ ის, ვინც გაანაწყენეს, ამით უკვე დაიღალა და ფიქრობს, რომ საკმარისია, რაც აპატია. მაგრამ მაცხოვარი გასაგებად გვეუბნება: "თუ შენმა ძმამ შეგცოდოს, გაუწყერი მას. თუ მოინანიოს, მიუტევე" (ლუკ. 17:3). ნუ აგრძნობინებთ მას, რომ იგი თქვენი ნდობის ღირსი არ არის. "გაფრთხილდი, რომ შენც არ ჩავარდე განსაცდელში" (გალ. 6:1).
თუკი ძმა შეცდა, მიუტევეთ. როცა იგი მოდის და თქვენ წინაშე დანაშაულს ინანიებს, ნუ იფიქრებთ, რომ საკმარისად, სრულად არ შეიგნო თავისი არასწორი საქციელი. განა თქვენ გევალებათ მისი განსჯა? განა შეგიძლიათ, მისი გულის ფიქრები წაიკითხოთ? ღვთის სიტყვა გვასწავლის: "თუ მოინანიოს, მიუტევე. დღეში შვიდჯერ რომ შეგცოდოს და შვიდჯერვე მოიქცეს და გითხრას, ვინანიებო, მიუტევე" (ლუკ. 17:3,4).
თავად ჩვენ რაც გაგვაჩნია, უფლის მადლით გვაქვს. აღთქმის მადლით მოგვეცა ღვთის შვილობა. ქრისტეს მადლით ხდება ჩვენი გამოსყიდვა, განახლება; მისივე მადლით ვხდებით მისი მემკვიდრენი. და მოდით, ეს მოწყალება და მადლი სხვებსაც ვუჩვენოთ.
ეცადეთ, სულით არ დაეცეს ცოდვილი ძმა. ნუ გაისასტიკებთ გულს ფარისეველთა სისასტიკით და ნუ ატკენთ გულს თქვენს ძმას. ნუ დასცინებთ მას გულის სიღრმეში ან გონებაში. ნურც საუბრის კილოსა და ხმაში გამოამჟღავნებთ უპატივცემულობას. ვინაიდან, თუკი თავს ნებას მისცემთ, მითმინებიდან გამოხვიდეთ და სიტყვით ან საქციელით ცოდვილს თქვენს გულგრილობას, ეჭვსა და უნდობლობას აგრძნობინებთ, შესაძლოა, სამუდამოდ დაკარგოთ ადამიანი, რომელსაც ხსნა სჭირდება. დაცემულს გვერდით ძმა სჭირდება, უფროსი ძმის (ქრისტეს) მსგავსი; მისი გულწრფელი თანაგრძნობა, ცოდვილის გულს რომ ჩასწვდება. შეაშველეთ მას თანაგრძნობითა და სიყვარულით გაწვდილი ძლიერი ხელი და მოუხმეთ, რათა თქვენთან ერთად ილოცოს. უფალს ძალუძს თქვენი ურთიერთობის აღდგენა და გამრთელება. ლოცვა გვაერთიანებს ძმებთან და ღმერთთან. ლოცვა უხმობს ქრისტეს და აძლიერებს სუსტ, არამყარ ადამიანს; ახალი ძალებით ავსებს მას წუთისოფლის ცოდვებთან, საკუთარ ხორცთან და ეშმაკთან საბრძოლველად. ლოცვა გვეხმარება სატანის იერიშების მოგერიებაში.
როდესაც ჩვენს ყურადღებას შევაჩერებთ ქრისტეზე და არა ცოდვილი ადამიანის არასრულყოფილებაზე, ქრისტეს სული იშრომებს ჩვენს გულში და თავის ხატებად გარდაქმნის მას. მიმართეთ თქვენი ძალისხმევა იესოს აღზევებისა და განდიდებისაკენ. მარად მიმართეთ თქვენი მზერა ღვთის კრავისაკენ, "რომელმაც აიღო სოფლის ცოდვა" (იოან. 1:29). როდესაც დაცემულის გადასარჩენად იღვწით, გახსოვდეთ, "რომ ცოდვილის მომქცევი მისი ცდომილების გზიდან, სიკვდილისაგან იხსნის მის სულს და მრავალ ცოდვას დაფარავს" (იაკ. 5:20). "ხოლო თუ თქვენ არ მიუტევებთ ადამიანებს მათ შეცოდებებს, არც თქვენი მამა მოგიტევებთ თქვენს შეცოდებებს" (მათ. 6:15). არავითარი გამართლება არა აქვს შეუწყნარებლობის სულს! ვინც სხვის მიმართ გულმოწყალებას არ იჩენს,

ამით ამტკიცებს, რომ ის თავად არ არის ღვთიური მადლის მოზიარე. ღვთიური მიმტევებლობის გამოისობით ცოდვილი ადამიანი გულის კარს უფრო ადვილად უხსნის ღვთაებრივ სიყვარულს. ღვთიური თანაგრძნობა მისი სულის სიღრმეებს აღძრავს; ის კი - სხვებისას. გულმოწყალება და სათნოება, რომელიც ქრისტემ თავისი ცხოვრებით გვიჩვენა, დაამშვენებს და დიდებით შეამკობს მისი მადლის მოზიარეთ. და პირიქით: "ვისაც ქრისტეს სული არა აქვს, ის მისი არ არის" (რომ. 8:9). იგი თანდათან შორდება ღმერთს და დაზღვეული არ არის, სამუდამოდ გაუუცხოვდეს მას.
შესაძლოა, ასეთ ადამიანს ოდესღაც მიუტევა კიდეც უფალმა, მაგრამ ის უკვე აღარ ახსოვს და სხვებს სასტიკად ეპყრობა, რითაც უფლისმიერ მიმტევებლურ სიყვარულს უარყოფს. იგი დაშორდა ღმერთს და იმ მდგომარეობას დაუბრუნდა, რომელშიც მიტევებამდე იმყოფებოდა. მან არ მოისურვა, მოენანიებინა და კვლავ თავდაპირველ ცოდვაში რჩება, თითქოს არც მოენანიებინოს.
ამ იგავის უდიდესი გაკვეთილი ღვთიურ თანაგრძნობასა და ადამიანურ სისასტიკეს შორის მკვეთრ განსხვავებაში მდგომარეობს. და კიდევ იმაში, რომ ღვთის გულმოწყალება ჩვენი მიმტევებლობის შესაძლებლობათა საზომი უნდა იყოს. "განა არ გმართებდა, შეგეწყალებინა შენი თანამონა, როგორც მე შენ შეგიწყალე?"
უფალი მოგვიტევებს არა იმიტომ, რომ ჩვენ სხვებს ვაპატიეთ, არამედ მაშინ, როცა ვპატიობთ. ჭეშმარიტი მიმტევებლობის საფუძველს წარმოადგენს უფლის უანგარო სიყვარული, რომელიც არ დაგვიმსახურებია. და ირგვლივ მყოფ ადამიანებთან ჩვენი დამოკიდებულება თვალნათლივ გვიჩვენებს, არის თუ არა ჩვენში ეს სიყვარული. სწორედ ამას გულისხმობს ქრისტე, როდესაც ამბობს: "რომელი განკითხვითაც განიკითხავთ და რომელი საწყაოთიც მიუწყავთ, იმავეთი მოგეწყვებათ თქვენ" (მათ. 7:2).

## თავი 20 - დაკარგული დოვლათი

ლუკ. 12:13-21

როდესაც ქრისტე თავის მოწაფეებს ასწავლიდა, მათ გარდა, მის ირგვლივ სხვა მსმენელნიც იკრიბებოდნენ. და აი ერთხელ იგი მოწაფეებს იმაზე ესაუბრებოდა, რისი მონაწილენიც სულ მალე თავად უნდა გამხდარიყვნენ. თავისი ჭეშმარიტების გავრცელება მიანდო მათ მაცხოვარმა, რისთვისაც მრავალი დაბრკოლება და უთანხმოება ელოდათ წუთისოფლის მთავრობებთან. მისი სახელისათვის ისინი მრავალჯერ წარდგებიან ამა ქვეყნის მეფეთა, დიდებულთა და მსაჯულთა წინაშე. მაცხოვარმა აღუთქვა, რომ მისცემდა ღვთიურ სიბრძნეს, რომელსაც წინ ვერავინ და ვერაფერი აღუდგებოდა. ამ დამარწმუნებელ ძალაზე, მან რომ თავის მიმდევრებს აღუთქვა სულიწმიდის მეშვეობით, მოწმობს მისივე სიტყვები და უნარი ადამიანთა შთაგონებისა, რაც მუდამ თავგზას უბნევდა მის მზაკვარ მტრებს.
მსმენელთა შორის ბევრს სურდა, მიეღო ღვთიური მადლი მხოლოდ საკუთარი ეგოისტური სურვილების დაკმაყოფილებისათვის. ისინი კარგად ხედავდნენ მაცხოვრის საოცარ ძალას, რომლითაც ასე გასაგებად და ნათლად ქადაგებდა

თავის ჭეშმარიტებას. მათ მოისმინეს ქრისტეს აღთქმა მოწაფეებისათვის ზეციური სიბრძნის მინიჭების შესახებ, რათა ჭეშმარიტებით წარმდგარიყვნენ წუთისოფლის მმართველთა და მსაჯულთა წინაშე.
"ხალხიდან ვიღაცამ უთხრა მას: მოძღვარო, უთხარი ჩემს ძმას, რომ გამიყოს მემკვიდრეობა". მოსეს მეშვეობით ღმერთმა ებრაელ ხალხს მისცა რჯული მემკვიდრეობის გაყოფის შესახებ. ოჯახში უფროს ვაჟს მამის ქონებიდან ორმაგი წილი ეკუთვნოდა (რჯლ. 21:17). დანარჩენ ძმებს კი ქონება თანაბრად უნდა გაეყოთ. ეს კაცი თავს ძმისაგან მოტყუებულად თვლიდა მემკვიდრეობის გაყოფის საქმეში. ყოველი ღონე იხმარა მან კუთვნილის მისაღებად, მაგრამ ვერაფერს მიაღწია. მაგრამ თუ ქრისტე ამ საქმეში დაეხმარება, იგი მიზანს მიაღწევს. მას მოსმენილი ჰქონდა ქრისტეს ამაღელვებელი მოწოდებანი და მისი ფარისეველთა და მწიგნობართა მიმართ სერიოზული მხილებანი. და თუკი ასეთი ძალით ქრისტე მის ძმას მიმართავს და ამხილებს, იგი განაწყენებულ ძმას მემკვიდრეობაზე უარს ვერ ეტყვის.
უსმენდა რა ქრისტეს მოწაფეებისათვის წარმოთქმულ ამ საზეიმო შეგონებებს, ამ კაცმა მოულოდნელად თავისი ეგოისტური ზრახვები გამოამჟღავნა. მან უფლის შესაძლებლობანი მხოლოდ მიწიერ საქმეებში წარმატების მისაღწევ საშუალებად შეაფასა. ქრისტეს მოძღვრების სულიერი ჭეშმარიტებანი კი ვერ მისწვდა მის გულსა და გონებას. მისი ფიქრები მხოლოდ მემკვიდრეობის საქმეს დასტრიალებდა. იმ წუთებში კი იესო, დიდების მეფე, რომელიც იყო მდიდარი, მაგრამ ჩვენი გულისათვის გაღარიბდა, ღვთიური სიყვარულის საგანძურზე ესაუბრებოდა მას. სულიწმიდა კი "უხრწნელი, შეუბილწავი და უჭკნობი მემკვიდრეობისაკენ" მოუწოდებდა (1პეტრ. 1:4). მან საკუთარი თვალით იხილა ქრისტეს ძალა. ახლა მას შესაძლებლობა ეძლეოდა, ესაუბრა ღვთიურ მოძღვართან და გულში ღრმად ნადები სანუკვარი სურვილი გაემხილა მისთვის. მაგრამ ბუნიანის ალეგორიებში მოყვანილი კაცის მსგავსად, რომელსაც ხელში ნაკელის სახვეტი ფოცხი ეჭირა, მისი მზერა მხოლოდ მიწისკენ იყო მიჯაჭვული. სიმონ მოგვის მსგავსად (საქმე. 8:24), იგი ღვთიურ ნიჭსა და მადლს მხოლოდ მიწიერი სიმდიდრის მოსახვეჭელ საშუალებად თვლიდა. მაცხოვრის მისია დედამიწაზე სწრაფად უახლოვდებოდა თავის დასასრულს. სულ რამდენიმე თვე იყო დარჩენილი დედამიწაზე მისი მადლის სასუფევლის დამყარებამდე - იმის აღსრულებამდე, რისთვისაც იგი წუთისოფელში მოვიდა. და მაინც, ადამიანის სიხარბემ თავის უმნიშვნელოვანეს საქმეს წამით მოაცდინა მაცხოვარი და მიწის ნაკვეთზე კამათში ჩაითრია. მაგრამ იესოსათვის მთავარი მისი მისიის შესრულება იყო და ამიტომ უპასუხა: "ვინ დამაყენა თქვენს მსაჯულად ან გამყოფად?"
იესოს, რა თქმა უნდა, შეეძლო, გაერჩია მტყუანი და მართალი ძმებს შორის. მაგრამ მისთვის ცნობილი იყო ორივე ძმის სიხარბე და ქრისტეს სიტყვებში, რომლითაც განაწყენებულ ძმას მიმართა, ფაქტობრივად, ეს აზრი იყო ჩადებული: მესიის საქმე არ არის თქვენი უთანხმოების გარჩევა. იგი სხვა საქმისთვის მოვიდა წუთისოფელში: უქადაგოს ადამიანებს ჭეშმარიტი სახარება, გამოაფხიზლოს ისინი და მათი ფიქრები მარადიული ფასეულობებისაკენ წარმართოს.
ამ საქმისადმი ქრისტეს დამოკიდებულება თვალსაჩინო მაგალითი უნდა იყოს ქრისტეს ყოველი მსახურისათვის. როდესაც თორმეტ მოციქულს წუთისოფელში

მსახურებისათვის აგზავნიდა, მაცხოვარი შეაგონებდა მათ: "როცა მიხვალთ, იქადაგეთ, რომ მოახლოებულია ცათა სასუფეველი. სნეულნი განკურნეთ, მკვდრები აღადგინეთ, კეთროვანნი განწმიდეთ, ეშმაკები განდევნეთ. უსასყიდლოდ მიგიღიათ და უსასყიდლოდ გაეცით" (მათ. 10:7,8). მაცხოვარს არ დაუვალებია მათთვის ადამიანთა მიწიერი პრობლემების გადაწყვეტა. მათი საქმე ადამიანთა უფალთან შემორიგება იყო. ამ მსახურებით კურთხევა უნდა მოეტანათ ადამიანებისათვის. კაცობრიობის ცოდვებისა და ტანჯვისაგან გათავისუფლების ერთადერთი გზა ქრისტეა. მხოლოდ მისი მადლის სახარებას შეუძლია იმ მანკიერებათა აღმოფხვრა, საზოგადოებისათვის წყევლად რომ ქცეულა. ღარიბების მიმართ მდიდართა უსამართლო დამოკიდებულებასა და მდიდართა მიმართ ღარიბთა სიძულვილს ერთი და იგივე ძირი აქვს - ეგოიზმი და ანგარება. ამის აღმოფხვრა მხოლოდ ქრისტესადმი მორჩილებითაა შესაძლებელი. მხოლოდ მას ძალუძს ადამიანის ცოდვილი გულის ახალი, სიყვარულით აღსავსე გულით შეცვლა. დაე ქრისტეს მსახურებმა ზეცით მოცემული სულის ძალით იქადაგონ უფლის სახარება და ისე იშრომონ, როგორც თავად მაცხოვარი იღვწოდა ადამიანთა კეთილდღეობისათვის. მაშინ ცხადი გახდება შედეგი კურთხევისა და კაცთა აღზევებისა, რისი მიღწევაც ადამიანის არავითარ ძალისხმევას არ ძალუძს.

ჩვენმა უფალმა მიუთითა იმ პრობლემის ფესვებზე, რომელიც არა მხოლოდ მის შემკითხველს აინტერესებდა, არამედ მრავალ სხვას, ვისთვისაც ეს საკამათო საგნად ქცეულიყო: "დაუკვირდით და დაიცავით თავი ყოველი ანგარებისაგან, ვინაიდან ადამიანის სიცოცხლე მისი ქონების სიუხვეზე როდია დამოკიდებული".

"და უთხრა მათ იგავი: ერთ მდიდარ კაცს ყანაში კარგი მოსავალი მოუვიდა. იფიქრა თავისთვის: რა ვქნა? არაფერი მაბადია, რომ სადმე დავაბინავო ჩემი მოსავალი. თქვა: აი, რას ვიზამ: ჩემს ბეღლებს დავანგრევ, უფრო დიდებს ავაშენებ და იქ შევაგროვებ მთელ ჩემს ხორბალს და დოვლათს, და ვეტყვი ჩემს სულს: სულო, ბევრი სიკეთე გაქვს დაგროვილი მრავალი წლისათვის; მოისვენე, ჭამე, სვი, იმხიარულე. მაგრამ უთხრა მას ღმერთმა: უგუნურო, ამაღამ სულს მოგთხოვენ და, რაც დაიმზადე, ვიღას დარჩება? ისიც ასევეა, ვინც თავისთვის იუნჯებს და ღმერთში არ მდიდრდება".

იგავში უგუნური კაცის დოვლათის შესახებ ქრისტე თვალსაჩინოდ გვიჩვენებს იმ ადამიანთა უგუნურებას, ვინც მხოლოდ ამქვეყნიურზე ზრუნავს. ამ ადამიანს ყველაფერი მისცა უფალმა: მზე, რომელიც მის მიწას ათბობდა, რადგან იგი უნათებს მართალსაც და ცოდვილსაც; წვიმა, რომელსაც ზეცა აძლევს კეთილსაც და ბოროტსაც. უფლის ნებით აყვავდა მისი ყანა და ისეთი უხვი მოსავალი მისცა პატრონს, რომ მისი შესანახი ადგილიც კი არ ჰქონდა. ბეღლები სავსე ჰქონდა, ახალი მოსავალი კი არ იცოდა, სად წაეღო. მაგრამ მას არ გახსენებია ღმერთი, რომელმაც ასეთი სიუხვე შესძინა. არც იმაზე დაფიქრებულა, რომ უფალმა თავისი ქონების მმართველად დააყენა იგი, რათა დოვლათი გაჭირვებულთათვის გაენაწილებინა. მას შესაძლებლობა მიეცა, უფლის კურთხეული მსახური ყოფილიყო საქველმოქმედო საქმეში, მაგრამ ის მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობის განმტკიცებაზე ფიქრობდა.

რამდენი ღარიბი, ქვრივ-ობოლი, სნეული და ტანჯულია ამქვეყნად, ვის მიმართაც ამ ადამიანს ყურადღებისა და მზრუნველობის გამოჩენა შეეძლო.

რამდენი სიკეთის გაკეთება შეეძლო თავისი ქონებით, ის ზედმეტი მოსავალი გაჭირვებულთა ოჯახებისათვის რომ დაერიგებინა. რამდენ მშიერს დააპურებდა; რამდენ შიშველს ჩააცმევდა, რამდენის გულს გაახარებდა და რამდენი სამადლობელი სიტყვა მისწვდებოდა ზეცას! უფალმა ისმინა გაჭირვებულის ლოცვა და თავისი დიდმოწყალების გამო მოუმზადა ყოველივე (ფსალმ. 67:11).
ის კურთხეული უხვი მოსავალი, მდიდარს რომ მიეცა, მრავალი უქონელისა და ღარიბისათვის იყო განსაზღვრული. მაგრამ მდიდარმა ყურთ არ იღო გაჭირვებულთა ვედრება და თავის მსახურთ განუცხადა: "აი, რას ვიზამ: ჩემს ბეღლებს დავანგრევ, უფრო დიდებს ავაშენებ და იქ შევაგროვებ მთელ ჩემს ხორბალს და დოვლათს. და ვეტყვი ჩემს სულს: სულო, ბევრი სიკეთე გაქვს დაგროვილი მრავალი წლისათვის; მოისვენე, ჭამე, სვი, იმხიარულე".
ამ კაცის მიზანი და სწრაფვა პირუტყვის ყოფაზე მაღალი არ იყო. იგი ისე ცხოვრობდა, თითქოს არც ღმერთი არსებობდა, არც ზეცა და არც მომავალი ცხოვრება; თითქოს მოწეული დოვლათი მხოლოდ მისი საკუთრება იყო და არც ღმერთისთვის უნდა მიეცა რამე, არც ადამიანისათვის. ასეთ მდიდარზე მეფსალმუნე ამბობს: "თქვა უგუნურმა თავის გულში: არ არის ღმერთი" (ფსალმ. 13:1).
ეს ადამიანი მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავდა და საკუთარი გეგმები ჰქონდა. იგი ხედავს, რომ მომავალი უზრუნველყოფილი აქვს. ფიქრობს, რომ მეტი არაფერი სჭირდება, გარდა იმისა, რომ დატკბეს თავისი შრომის ნაყოფით. იგი ფიქრობს, რომ თავისი სიმდიდრის გამო სხვა ადამიანებზე მაღლა დგას და თვლის, რომ ის, რაც მას გააჩნია, თავისი ბრძნული ხელმძღვანელობის შედეგია. საზოგადოებაც პატივს სცემს, როგორც მარჯვე და წარმატებულ მოქალაქეს, რადგან ადამიანები "გადიდებენ შენ იმისათვის, რომ კეთილს იზამ" (ფსალმ. 48:19).
მაგრამ "ამ სოფლის სიბრძნე უგუნურებაა ღვთის წინაშე" (1კორ. 3:19). სანამ მდიდარი მომავალში ბედნიერ და ტკბილ ცხოვრებაზე ოცნებობს, უფალს სულ სხვა გეგმები აქვს. ორგულ მნეს მოსდის ცნობა: "უგუნურო, ამაღამ სულს მოგთხოვენ". აქ კი ფული და სიმდიდრე ვერაფერს გააწყობს და გამოტანილ განაჩენსაც ვერ შეუმსუბუქებს. ყველაფერი, რასაც წლების განმავლობაში მომავლის უზრუნველსაყოფად აგროვებდა, ერთ წამში გაუფასურდა. "რაც დაიმზადე, ვიღას დარჩება?" გაუფასურდა მისი ვრცელი ყანებიც და სავსე ბეღლებიც. "ამაოდ ფაციფუცობს, აგროვებს და არ იცის, ვის დარჩება" (ფსალმ. 38:7).
ერთადერთი ჭეშმარიტი განძი, რაც ახლა მისთვის ყველაზე ძვირფასი იქნებოდა, ამ ადამიანმა ვერ შეიძინა. საკუთარ თავზე ფიქრში მან უარყო ის ღვთიური სიყვარული, რომელიც მისი მოყვასისადმი გულმოწყალების გამოვლენით უნდა ეხილათ. თავად უფალი ღმერთი ხომ სიყვარულია და სიცოცხლეც მხოლოდ სიყვარულია. ამ ადამიანმა სულიერს მიწიერი არჩია. და, აქედან გამომდინარე, იგი მიწიერთან ერთად უნდა დაიღუპოს, სამუდამოდ უნდა გაქრეს. "ადამიანი, რომელიც პატივისცემაშია და არ გაეგება, დასაკლავ პირუტყვს ჰგავს" (ფსალმ. 48:21).
"ისიც ასევეა, ვინც თავისთვის იუნჯებს და ღმერთში არ მდიდრდება". ესაა სამართლიანობა ყველა დროისათვის. თქვენ შეგიძლიათ, დაგეგმოთ, თუ როგორ დაიკმაყოფილოთ თქვენი სურვილები მომავალში; შეგიძლიათ, მოაგროვოთ

დოვლათი; აიშენოთ მაღალი და დიდებული სახლები და დაემსგავსოთ ძველი ბაბილონის მშენებელთ; მაგრამ ვერასოდეს შეძლებთ ისეთი მაღალი კედლის ან მაგარი კარიბჭის აგებას, რომელიც ღვთის მაცნეთაგან დაგიცავთ. "მეფე ბელშაცარმა დიდებული ლხინი გაუმართა თავის ათას დიდებულს... სვამდნენ ისინი ღვინოს და ადიდებდნენ ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, რკინის, ხისა და ქვის ღმერთებს". მაგრამ უხილავი ღმერთის ხელმა საბედისწერო სიტყვები დაუწერა მას კედელზე და მტრის ლაშქრის ფეხის ხმაც მაშინვე გაისმა მისი სასახლის კარიბჭესთან. "იმავე ღამეს იქნა მოკლული ბელშაცარი, ქალდეველთა მეფე" და მოსული მტრის ბანაკიდან ახალი მონარქი ავიდა სამეფოს ტახტზე (დან. 5:30).
მხოლოდ საკუთარი თავისთვის ცხოვრება სამუდამო დაღუპვას ნიშნავს. სიხარბე და მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვა ანადგურებს სულს. რაც შეიძლება მეტის მოპოვებისა და გამდიდრების სურვილი - ეს სატანის სულია. გაცემა, თავგანწირვა, თავდადება სხვების საკეთილდღეოდ - ეს ქრისტეს სულია. "ეს არის მოწმობა, რომ ღმერთმა მოგვანიჭა საუკუნო სიცოცხლე და ეს სიცოცხლე მის ძეშია. ვისაც ძე ჰყავს, სიცოცხლე აქვს. ვისაც ძე ღვთისა არა ჰყავს, სიცოცხლე არა აქვს" (1იოან. 5:11,12).
აი რატომ გვაფრთხილებს მაცხოვარი: "დაუკვირდით და დაიცავით თავი ყოველი ანგარებისაგან, ვინაიდან ადამიანის სიცოცხლე მისი ქონების სიუხვეზე როდია დამოკიდებული".

## თავი 21 - "დიდი უფსკრულია დამყარებული"

ლუკ. 16:19-31

იგავში მდიდრისა და ლაზარეს შესახებ ქრისტე გვასწავლის, რომ ადამიანი ჯერ კიდევ მიწიერ სიცოცხლეში წყვეტს თავის საუკუნო ხვედრს. ამქვეყნიურ ცხოვრებაში - მისი გამოცდის პერიოდში - ყოველ მათგანს ღვთიური მადლი ეძლევა. მაგრამ თუკი ამ შესაძლებლობას ადამიანი ხელიდან გაუშვებს და საკუთარ ვნებათა დასაკმაყოფილებლად გამოიყენებს, თავად დაკარგავს საუკუნო სიცოცხლეს. სხვა გამოცდის პერიოდი მას არ დაუდგება. თავისი არასწორი არჩევანით ადამიანები თავად ქმნიან გადაულახავ უფსკრულს საკუთარ თავსა და ღმერთს შორის.
ეს იგავი კარგად გვიჩვენებს მკვეთრ განსხვავებას ორ ადამიანს - მდიდარსა და ღარიბს შორის. მდიდარი სრულებით არ გრძნობდა თავის ცხოვრებაში ღმერთის საჭიროებას. ღარიბის ერთადერთი იმედი და დასაყრდენი კი უფალი იყო. მაცხოვარი ამბობს, რომ დადგება დრო, როცა ადამიანთა ეს ორი ჯგუფი ერთურთს შეენაცვლება და ერთმანეთის საპირისპირო მდგომარეობაში აღმოჩნდება. მას, ვისაც მიწიერი კეთილდღეობა არ გააჩნდა, მაგრამ სრულად მიენდო ღმერთს და ტანჯვა და გაჭირვება დაითმინა, მომავალში ყველა იმ ადამიანზე მაღალი მდგომარეობა ექნება, ვინც ამ წუთისოფელში აღზევებული იყო, მაგრამ უფალთან სიახლოვე არ ჰქონია.

"იყო ერთი მდიდარი კაცი, - გვიამბობს მაცხოვარი, - ძოწეულსა და ბისონს იცვამდა, ყოველდღე დიდებულად ნადიმობდა. ასევე იყო ერთი გლახაკი, სახელად ლაზარე, რომელიც მის ჭიშკართან იწვა დაწყლულებული. ენატრებოდა მდიდრის სუფრიდან გადმოცვენილი ნამცეცებით გაძღომა".
ეს მდიდარი კაცი არ მიეკუთვნებოდა ადამიანთა იმ ჯგუფს, რომელიც სიმბოლურად უსამართლო მსაჯულითაა წარმოდგენილი; რომელიც საჯაროდ, მოურიდებლად აცხადებს თავისი ურწმუნოებისა და ადამიანების მიმართ გულგრილი დამოკიდებულების შესახებ. მდიდარი ამბობს, რომ აბრაამის ძეა. იგი უხეშად არ ეპყრობოდა გლახაკს; არც მისი დაწყლულებული სხეულის გამო აძევებდა მას თავისი ჭიშკრიდან. თუკი ეს საწყალი, უბედური, ზიზღის მომგვრელი ადამიანი მშვიდად უცქერდა მის გვერდით ჩამვლელ მდიდარს, მდიდარიც, თავის მხრივ, ითმენდა ღარიბის იქ ყოფნას. მაგრამ სრულიად გულგრილი იყო თავისი გაჭირვებული ძმის მიმართ.
იმ დროს არ არსებობდა სამკურნალო დაწესებულებები, სადაც ავადმყოფებს მოუვლიდნენ. სნეულნი და გაჭირვებულნი ცდილობდნენ, მათი ყურადღება მიეპყროთ, ვისაც უფალმა ქონება და სიმდიდრე მისცა, რათა ღარიბებს დახმარებოდნენ. ასე იყო ამ მდიდრისა და გლახაკის შემთხვევაშიც. ლაზარე დიდად გაჭირვებული იყო: არ ჰყავდა მეგობრები; არც სახლი ჰქონდა, არც ფული და არც საჭმელი. გადიოდა დღეები, მისი მდგომარეობა კი არ იცვლებოდა; ამ დროს კი მდიდარს უხვად ჰქონდა ყოველივე, რაც მის ნებისმიერ სურვილს დააკმაყოფილებდა. მას თავისუფლად შეეძლო, შეემსუბუქებინა თვისი მოყვასის ტანჯვა, მაგრამ იგი მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავდა ისევე, როგორც მრავალი ადამიანი დღეს.
ჩვენ გვერდით დღესაც მრავლად არიან მშივრები, ღატაკნი და უსახლკარონი. და ის, რომ ამ გაჭირვებულ, საწყალ ადამიანებს არაფრით ვეხმარებით, დიდი დანაშაულია, რისთვისაც ერთხელ პასუხს ვაგებთ. ნებისმიერი სახის სიძუნწე კერპთაყვანისმცემლობის ტოლფასია. საკუთარი ვნებებისა და სურვილებისადმი მსახურება მეტად შეურაცხმყოფელია უფლისათვის.
უფალმა ღმერთმა მდიდარი თავისი ქონების მმართველად დააყენა. უფლის ჩანაფიქრით, გაჭირვებულ ადამიანთა დახმარება სწორედაც რომ მისი პირდაპირი მოვალეობა იყო. ჩვენ მიმართ იყო თქმული: "და შეიყვარე უფალი, ღმერთი შენი, მთელი შენი გულითა და სულით, და მთელი შენი ძალით" (რჯლ. 6:5). "და შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენი" (ლევ. 19:18). ეს მდიდარი კაცი ებრაელი იყო და, რა თქმა უნდა, კარგად იცნობდა უფლის ამ მოთხოვნებს. მაგრამ დაავიწყდა, რომ უფლისაგან მიბარებული ქონებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა. მას უხვად მიეცა ღვთიური წყალობა, მაგრამ ეგოისტურად გამოიყენა იგი, რათა შემოქმედის ნაცვლად თავად განდიდებულიყო. დოვლათისა და სიმდიდრის ზრდასთან ერთად იზრდებოდა მისი პასუხისმგებლობაც მიბარებული ქონების ადამიანთა სასიკეთოდ გამოყენების გამო. ასეთი იყო უფლის ნება, მაგრამ აზრადაც არ მოსვლია უფლის წინაშე თავისი მოვალეობის შესრულება. იგი ხშირად სარგებლით გასცემდა სესხს, მაგრამ შემოსავლიდან ღმერთს მის ვალს არასოდეს უბრუნებდა. მას მიეცა ცოდნა და ნიჭი, მაგრამ არასოდეს უცდია, გაემრავლებინა იგი. დაივიწყა რა თავისი მოვალეობა და პასუხისმგებლობა ღვთის წინაშე, იგი სრულ თავდავიწყებას მიეცა, რასაც მთელი თავისი ძალები

შეალია. მისი საქმიანობა და გართობა, მლიქვნელური ქება-დიდება მეგობართა მხრიდან დიდად ატკბობდა მის ეგოიზმით აღსავსე სულს. იგი იმდენად იყო გართული მეგობართა წრეში, რომ სრულიად დაავიწყდა თავისი მოვალეობა, უფალთან ეთანამშრომლა მის მოწყალების მსახურებაში. მას მიეცა შესაძლებლობა, შეეცნო ღვთის სიტყვა და მისით ეხელმძღვანელა თავის ცხოვრებაში. მაგრამ ვნებათა ღელვამ სრულად ჩაითრია იგი მის მიერ არჩეულ საზოგადოებაში, შთანთქა მისი დრო და ფიქრები და სავსებით დაავიწყა მარადიული ღმერთი.

მაგრამ დადგა დრო და ამ ორი ადამიანის მდგომარეობა სრულიად საპირისპიროდ შეიცვალა. გლახაკი, რომელიც წლების მანძილზე უსიტყვოდ ითმენდა ყოველგვარ ტანჯვას, მოკვდა და დამარხეს. არავინ ჰყავდა მთელ ქვეყანაზე, რომ ეგლოვა იგი. მაგრამ თავისი დიდი მოთმინებით ქრისტიანული ხასიათი გამოამჟღავნა; მისი რწმენა გამოიცადა და ნათქვამია, რომ სიკვდილის შემდეგ იგი "მიიყვანეს აბრაამის წიაღში".

აქ ლაზარე იმ ღარიბ ადამიანთა წარმომადგენელია, რომლებსაც ქრისტე სწამს. როდესაც დადგება დრო და საყვირთა ძლიერ ხმაზე ყველა სამარხში მყოფი მოისმენს ქრისტეს ხმას, როცა ქრისტეში მკვდარნი აღდგებიან, - ისინი მიიღებენ დაპირებულ ჯილდოს, რადგან მათი უფლისადმი რწმენა მხოლოდ თეორია კი არა, ცოცხალი რეალობაა.

"მდიდარიც მოკვდა და დამარხეს. და ჯოჯოხეთში, ტანჯვა-წამებაში მყოფმა, აახილა თვალები და დაინახა შორიდან აბრაამი და ლაზარეც მის წიაღში. შესძახა და თქვა: მამაო აბრაამ, შემიწყალე და მომივლინე ლაზარე, რომ დაისველოს თავისი თითის წვერი წყალში და ენა გამიგრილოს, ვინაიდან ვიტანჯები ამ ალში".

ამ იგავში ქრისტე ადამიანებს მათივე ენაზე ესაუბრება და იყენებს იმ ცოდნასა და წარმოდგენებს, რაც იმ ჟამის მცხოვრებთ გააჩნდათ. ბევრი მათგანი თვლიდა, რომ ადამიანი თავის სიკვდილსა და აღდგომას შორის ცნობიერ მდგომარეობაში იმყოფება. მაცხოვარმა იცოდა მათ შორის არსებული ამ ცრურწმენის შესახებ, რომელიც თავის იგავში გამოიყენა, რათა ადამიანებისათვის მეტად მნიშვნელოვანი ჭეშმარიტებანი გაეცხადებინა. მან თითქოსდა სარკეში ჩაახედა ისინი, რათა უფალთან თავიანთი ნამდვილი ურთიერთობა კარგად დაენახათ. მაცხოვარმა გამოიყენა იმ დროს ეს ფართოდ გავრცელებული მცდარი აზრი, რათა მსმენელთა ყურადღება მნიშვნელოვანი ჭეშმარიტებისაკენ მიეპყრო და ესწავლებინა, რომ ადამიანის ღირსება არ განისაზღვრება მისი ქონების რაოდენობით; რადგან იგი მას არ ეკუთვნის, არამედ ყველაფერი, რაც მას აბადია, სინამდვილეში, უფლისაგან აქვს ნასესხები. ამ ქონების არასწორად გამოყენება კი იმ ყველაზე საწყალი, ღარიბი ადამიანის მდგომარეობაზე უარეს პირობებში ჩააყენებს მას, რომელსაც უფლის სიყვარული და ნდობა აქვს.

ქრისტეს სურდა, მსმენელთ გაეგოთ, რომ სიკვდილის შემდეგ სულის ხსნა უკვე შეუძლებელია. "შვილო, - მიმართავს აბრაამი მდიდარს იგავში, - გაიხსენე, რომ უკვე მიიღე შენს სიცოცხლეში სიკეთე და ლაზარემ კი - სიავე. ახლა ის აქ ნუგეშცემულია, შენ კი იტანჯები. ყოველივე ამის გარდა ჩვენსა და თქვენს შორის დიდი უფსკრულია დამყარებული, ასე რომ გადმოსვლის მსურველები ვერც ჩვენგან თქვენსკენ გადმოვლენ და ვერც თქვენგან ჩვენსკენ". ამ სიტყვებით

ქრისტე გვიჩვენებს, რომ მეორედ გამოცდის დრო ადამიანებს აღარასოდეს ექნებათ. ამქვეყნიური, მიწიერი ცხოვრება - ეს ის ერთადერთი პერიოდია, რომელიც ადამიანს საუკუნო სიცოცხლისათვის მოსამზადებლად ეძლევა. იგავში მდიდარს კვლავაც აბრაამის შვილად მოაქვს თავი და უაღრესად გაჭირვებული და სასოწარკვეთილი, აბრაამისგან ითხოვს შველას: "მამაო აბრაამ, შემიწყალე". მაგრამ იგი აბრაამს ევედრება და არა ღმერთს, რითაც აბრაამს ღმერთზე მაღლა აყენებს და ხსნის იმედსაც მასზე ამყარებს. ჯვარცმულმა ბოროტმოქმედმა თხოვნით მხოლოდ ქრისტეს მიმართა: "იესო, გამიხსენე, როცა შენს სასუფეველში მიხვალ" (ლუკ. 23:42). და პასუხიც მყისვე მიიღო: "ჭეშმარიტად გეუბნები შენ: დღესვე (ახლა, როცა ჯვარზე ვარ გაკრული, გატანჯული და დამცირებული) ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში". მდიდარმა კი შველა აბრაამს სთხოვა, რაც, რა თქმა უნდა, ვერ მიიღო. მხოლოდ ქრისტე აღამაღლა "ღმერთმა წინამძღვრად და მაცხოვრად... თავისი მარჯვენით, რომ მიეცეს ისრაელს მონანიება და ცოდვების მიტევება" (საქმე. 5:31). რადგან "სხვაში არავისში არ არსებობს ხსნა, არც არის ცის ქვეშ ხალხისთვის მიცემული სხვა სახელი, რომლითაც გადავრჩებით" (საქმე. 4:12).
მდიდარმა მთელი თავისი ცხოვრება საკუთარ თავზე ზრუნვას შეალია და ძალზე გვიან მიხვდა, რომ სრულიად მოუმზადებელია საუკუნო სასუფევლისათვის. მიხვდა იგი თავის უგუნურებას და შეშინდა, რომ ძმებსაც მისი ბედი არ სწეოდათ, თუკი ასეთივე ცხოვრებით იცხოვრებდნენ. და აბრაამს შესთხოვა: "გეხვეწები, მამაო, მიავლინე ეგ (ლაზარე) მამაჩემის სახლში. ვინაიდან ხუთი ძმა მყავს, რათა მათ დაუმოწმოს, რომ არ მოხვდნენ ამ სატანჯველ ადგილას". მაგრამ "უთხრა მას აბრაამმა: მათ ჰყავთ მოსე და წინასწარმეტყველნი. იმათ უსმინონ. მან თქვა: არა, მამაო აბრაამ, თუ ვინმე მკვდართაგანი მივა მათთან, მოინანიებენ. უთხრა მას: თუ მოსესა და წინასწარმეტყველთ არ მოუსმენენ, მკვდრეთითაც რომ აღდგეს ვინმე, არ ირწმუნებენ".
როდესაც მდიდარი თავისი ძმებისთვის დამატებით მოწმობას ითხოვდა, რათა მათ მოენანიებინათ, მას გასაგებად განემარტა, რომ მათ ასეთი მოწმობაც რომ მიეცეთ, მაინც არ ირწმუნებენ. მდიდარი კაცის ეს თხოვნა, ფაქტობრივად, ჩრდილს აყენებს უფლის სახელს. იგი ღვთისადმი საყვედურს შეიცავს: შენ რომ თავის დროზე სათანადოდ გაგეფრთხილებინე, მე აქ არ მოვხვდებოდი. აბრაამი კი იგავში პასუხობს: შენს ძმებს საკმარისად მიეცათ გაფრთხილება, ზეციური ნათელი, მაგრამ არ სურთ, შეისმინონ.
"თუ მოსესა და წინასწარმეტყველთ არ მოუსმენენ, მკვდრეთითაც რომ აღდგეს ვინმე, არ ირწმუნებენ". ეს სიტყვები ზუსტად აღსრულდა ებრაელი ხალხის ისტორიაში. ქრისტეს უკანასკნელი სასწაული, რითაც მან თავისი მისია დაასრულა წუთისოფელში, ოთხი დღის განმავლობაში სამარხში მყოფი მიცვალებულის, ბეთანიელი ლაზარეს მკვდრეთით აღდგენა იყო. ეს სასწაული მაცხოვრის ღვთიურობის უსიტყვო მტკიცება უნდა ყოფილიყო ებრაელთათვის, მაგრამ მათ ეს მოწმობა არ მიიღეს. მკვდრეთით აღმდგარი ლაზარე თავად მოწმობდა ამას, მაგრამ იუდეველებმა გაისასტიკეს გული ყოველგვარი მოწმობის მიმართ და ლაზარეს მოკვლაც კი მოისურვეს (იოან. 12:9-11).
უფლის რჯული, მოსეს მეშვეობით მოცემული და წინასწარმეტყველთა მოწმობანი - ესაა საშუალებანი, რომლებსაც უფალი ადამიანთა გადასარჩენად

იყენებს. მაცხოვარი გვაფრთხილებს იგავში: მიიღეთ ეს მოწმობანი. თუკი ღვთის დაწერილ სიტყვაში უფლის ხმა არ გესმით, ყურადღებას მკვდრეთით აღმდგართა მოწმობებსაც არ მიაქცევთ.
მათთვის კი, ვინც მოსესა და წინასწარმეტყველთ უსმენს, საკმარისია უფლის უკვე მოცემული ნათელი და სხვა, უფრო მეტი, არ ესაჭიროებათ. მაგრამ როცა ადამიანები უარყოფენ მას, რაც უკვე ხელთა აქვთ, ისინი მათთან ღვთის სიტყვის სათქმელად მისულ მკვდრეთით აღმდგარსაც არ მოუსმენენ. მათ ასეთი მოწმობაც კი ვერაფერში დაარწმუნებს, რადგან წინასწარმეტყველთა უარმყოფელნი იმდენად ისასტიკებენ გულს, რომ ჭეშმარიტების მთელ ნათელზე უარს ამბობენ.
საუბარი აბრაამსა და ამ ოდესღაც მდიდარ კაცს შორის დამრიგებლურ მეტაფორას წარმოადგენს. იგი მეტად სასარგებლო გაკვეთილია, რომელიც გვასწავლის, რომ ყოველ ადამიანს ეძლევა საკმარისი ნათელი მისი ამა თუ იმ მოვალეობის შესრულებისათვის, ღმერთმა რომ მიანდო. პასუხისმგებლობა, რომელიც ადამიანს ღმერთის წინაშე გააჩნია, მისთვის ღვთით ნაბოძები ნიჭითა და შესაძლებლობებით განისაზღვრება. უფალი ღმერთი თითოეულს იმდენ მადლსა და ნათელს აძლევს, რამდენიც მისთვის უფლის ამა თუ იმ დავალების შესასრულებლადაა საჭირო. თუ ადამიანი იმასაც არ აკეთებს, რისთვისაც მცირე ნათელი უბოძა ღმერთმა, უფრო დიდი ნათელი მხოლოდ გამოავლენს მის ორგულობასა და გულგრილობას მიღებული მადლისა და კურთხევის გამოყენებასთან დაკავშირებით. "მცირედში ერთგული ბევრშიც ერთგულია; და ვინც მცირედშიც უსამართლოა, ბევრშიც უსამართლოა" (ლუკ. 16:10). ისინი, რომლებიც მოსესა და წინასწარმეტყველთა მოწმობებს უარყოფენ და რაიმე სასწაულის ხილვას ითხოვენ, მათი ამ სურვილის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც არ ირწმუნებენ.
იგავი "მდიდარი და ლაზარე" გვამცნობს, თუ როგორ აფასებენ უხილავ სამყაროში (ზეცაში) ადამიანთა ამ ორი კლასის წარმომადგენელთ. სიმდიდრე, თავისთავად, ცოდვა არ არის, თუკი იგი მართალი გზითაა შეძენილი. მდიდარს განიკითხავენ არა მისი ქონების გამო, არამედ იმისათვის, რომ ქონებას, რომელიც მას მიანდეს, იგი თავისი ეგოისტური მიზნებისათვის იყენებს. უფლის წინაშე უკეთესი იქნებოდა, რომ ამ ადამიანს იგი კეთილი საქმეებისათვის გამოეყენებინა. მარადიულ ფასეულობათა ამგვარად მძებნელს სიკვდილი ვერაფერს დააკლებს. ის კი, ვინც სიმდიდრეს მხოლოდ საკუთარი თავისთვის აგროვებს, ზეცაში ვერაფერს წაიღებს. იგი მხოლოდ ორგული მნეა, რომელსაც სიცოცხლეში არაფერი აკლდა, მაგრამ დაივიწყა თავისი მოვალეობა ღვთის წინაშე და ზეციური საგანძურიც ამიტომ ვერ იპოვა.
იგავში აღწერილი ასეთი დიდი უპირატესობის მქონე მდიდარი წარმოგვიდგენს ადამიანს, რომელსაც მისთვის ჩაბარებული ქონება უნდა გაემრავლებინა და თავისი საქმე აეყვავებინა, რაც უფრო მეტ სულიერ კურთხევას მოუტანდა. ადამიანის გამოსყიდვის მიზანი არა მხოლოდ მისი ცოდვების მიტევებაა, არამედ ადამიანისათვის იმ სულიერ ფასეულობათა დაბრუნება, რომელიც მას ცოდვის დამანგრეველმა ძალამ დააკარგვინა. ფულს საუკუნო სასუფეველში ვერ წავიღებთ: ის იქ საჭირო არ არის. მაგრამ ადამიანთა გადარჩენისათვის, მათი ქრისტესკენ მოქცევისათვის გაკეთებული კეთილი საქმეები თან გაჰყვება მას ზეციურ სასახლეებში. ისინი კი, რომლებიც უფლის ბოძებულ ძღვენს საკუთარი

ეგოისტური მიზნებისათვის ფლანგავენ, გაჭირვებულ ძმებს არ ეხმარებიან და არაფერს აკეთებენ წუთისოფელში უფლის საქმის წინსვლისათვის, შეურაცხყოფენ თავიანთ შემოქმედს. ზეციურ წიგნებში მათი სახელების გასწვრივ აღნიშნულია, რომ ისინი ატყუებენ ღმერთს.
მდიდარს ყველაფერი ჰქონდა, რისი ფულით შეძენაც შეიძლებოდა. მაგრამ მთელი მისი მიწიერი სიმდიდრეც კი ვერ დაფარავდა მის ვალს ღვთის წინაშე. ყველაფერს, რაც გააჩნდა, მხოლოდ თავის საკუთრებად თვლიდა. მან ყურად არ იღო უფლის მოწოდება, დახმარებოდა გაჭირვებულთ და გლახაკთ. მაგრამ ბოლოს ესმის მოწოდება, რომლის წინააღმდეგაც წასვლა მის ღონეს აღემატება. უზენაესი ძალა და ჭეშმარიტი ავტორიტეტი, რომლის წინააღმდეგაც კაცი ვერაფერს გააწყობს, უბრძანებს მას, დატოვოს სამფლობელო, რომლის მნეობაც მას უკვე ჩამოერთვა. ოდესღაც ასეთი მდიდარი კაცი ახლა იქცევა გლახაკად, რომელსაც მომავალი არ გააჩნია. ქრისტეს სიმართლის სამოსელი, რომელიც ზეციურ დაზგაზეა მოქსოვილი, ვეღარასოდეს დაფარავს მის სიშიშვლეს. ის, ვინც ერთ დროს "ძოწეულსა და ბისონს იცვამდა", შიშველი დარჩა. მისი გამოცდის დრო გასრულდა. და როგორც შიშველი მოვიდა წუთისოფელში, ასევე ვერაფერს წაიღებს ამ ქვეყნიდან.
ამ იგავით ქრისტე შეეცადა, თვალი აეხილა და მკაცრი გაკვეთილი გადაეცა მღვდელმსახურთა და წუთისოფლის ძლიერთათვის, მწიგნობართა და ფარისეველთათვის: შეხედეთ ამ სურათს თქვენ, რომელთაც გაქვთ ამქვეყნიური კეთილდღეობა და დოვლათი. იქნებ დაგაფიქროთ ყოველივე ამან? ის, რაც ადამიანის თვალში დიდად ფასდება, ამაზრზენია უფლის თვალში. მაცხოვარი გვეკითხება: "რას არგებს ადამიანს, თუ მთელ ქვეყნიერებას შეიძენს, თავის სულს კი ავნებს? ან რისი მიცემა შეუძლია ადამიანს თავისი სულის სანაცვლოდ?" (მარკ. 8:36,37).

რა მნიშვნელობა ჰქონდა იგავს ებრაელი ხალხისათვის?

იმ დროს, როდესაც ქრისტე ხალხს მდიდარი კაცისა და ლაზარეს შესახებ იგავს უამბობდა, ებრაელთა შორის მრავლად იყვნენ ამ მდიდარი კაცის მსგავსი საცოდავი ადამიანები, რომელნიც უფლის წყალობას მხოლოდ საკუთარ ეგოისტურ სურვილთა დასაკმაყოფილებლად იყენებდნენ, რითაც საშინელ განაჩენს იმზადებდნენ: "სასწორზე აიწონე და მსუბუქი აღმოჩნდი" (დან. 5:27). ამ მდიდარს უხვად მიეცა მიწიერიც და ზეციური წყალობანიც, მაგრამ მან უარი თქვა ღმერთთან თანამშრომლობაზე ამ წყალობათა დანიშნულებისამებრ გამოყენების საქმეში. ასეთივე მდგომარეობა ჰქონდა ებრაელ ხალხს: უფალმა მათ თავის წმიდა ჭეშმარიტებათა განძი ჩააბარა და თავისი მადლის განმკარგულებლად დააყენა. მისცა მათ ყველა სულიერი თუ ამქვეყნიური უპირატესობანი და მოუწოდა, ეს მადლი სხვებისთვისაც გაეზიარებინათ. მათ ზუსტი მითითება მიეცათ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოქცეოდნენ თავიანთ დაცემულ ძმებს, რომელნიც თავს იღუპავდნენ; მათს კარზე მომდგარ უცხო მგზავრებსა და ხიზნებს; მათ შორის მყოფ ღარიბთ. მათ ეს სიმდიდრე მხოლოდ თავის სასარგებლოდ კი არ უნდა გამოეყენებინათ, არამედ გაჭირვებული ძმები არ უნდა დავიწყებოდათ და მათ უნდა დახმარებოდნენ. და უფალმა აღუთქვა, რომ კვლავ აკურთხებდა მათ, თუკი გაჭირვებულ ძმათა

მიმართ სიყვარულსა და მოწყალებას გამოიჩენდნენ. მაგრამ, იგავში აღწერილი მდიდარი კაცის მსგავსად, მათაც არ გაუწოდეს დახმარების ხელი გაჭირვებულ კაცობრიობას და არ შეუმსუბუქეს სულიერი თუ მიწიერი საჭიროებანი. ისინი ტრაბახობდნენ იმით, რომ უფლის რჩეულნი და მისი ნების აღმსრულებელნი არიან, სინამდვილეში კი არც ჭეშმარიტ ღმერთს ემსახურებოდნენ და არც თაყვანს ცემდნენ მას. თავიანთ რჩეულობას ისინი მხოლოდ იმ ფაქტზე ამყარებდნენ, რომ აბრაამის შთამომავალნი იყვნენ. "ჩვენ აბრაამის შთამომავალნი ვართ", - ამაყად აცხადებდნენ ისინი (იოან. 8:33). ხოლო როცა გადამწყვეტი მომენტი დადგა, აღმოჩნდა, რომ ძლიერ შორს იყვნენ უფლისაგან და მთელი თავისი იმედები აბრაამზე დაამყარეს, თითქოსდა ის იყო მათი ღმერთი. ქრისტეს ძლიერ სურდა, რომ ღვთიურ ნათელს გაენათებინა ებრაელი ხალხის წყვდიადით მოცული გონება. და ასე უპასუხა: "თქვენ რომ აბრაამის შვილები იყოთ, აბრაამის საქმეებს გააკეთებდით. ახლა კი ჩემს მოკვლას ეძებთ, კაცისას, რომელმაც გითხარით ჭეშმარიტება, რაც ღვთისაგან მოვისმინე. აბრაამს ასეთი რამ არ გაუკეთებია" (იოან. 8:39,40).

ქრისტე არავითარ ღირსებასა და უპირატესობას არ ანიჭებდა ადამიანის გვაროვნულობას. იგი ასწავლიდა, რომ სულიერი ყოველგვარ ნათესაურ ურთიერთობებზე გაცილებით მაღლა დგას. ებრაელები თავს აბრაამის შთამომავლებად თვლიდნენ. მაგრამ აბრაამის საქმეებს არ აკეთებდნენ, რითაც ამტკიცებდნენ, რომ არ არიან მისი ნამდვილი შვილები. ამგვარად, აბრაამის შთამომავლად ითვლება მხოლოდ ის, ვისაც სულიერი ერთობა და თანხმობა აქვს აბრაამთან და თანაც უფლის ნების აღმსრულებელია. თუმცა ხალხი გლახაკს ამ იგავში საზოგადოების ყველაზე დაბალ ფენას მიაკუთვნებდა, მაგრამ ქრისტემ იგი იმ ადამიანად აღიარა, რომელსაც აბრაამი თავის უახლოეს მეგობრად მიიღებდა.

ფუფუნებაში და განცხრომაში მყოფი მდიდარი კი იმდენად უმეცარი იყო, რომ აბრაამი ღმერთის ადგილას დააყენა. მას რომ თავისი დიდი უპირატესობა შეეცნო და სათანადოდ შეეფასებინა, სულიწმიდა თავის სულში შეეშვა, რათა მის გულსა და გონებაზე ზეგავლენა მოეხდინა და გარდაექმნა, მისი ხვედრი სულ სხვაგვარად წარიმართებოდა. ეს გამონათქვამი, რა თქმა უნდა, იმ ადამიანებსაც ეხება, რომელთაც სიმბოლურად ეს მდიდარი კაცი წარმოადგენს. ებრაელ ერს რომ უფლის მოწოდება შეესმინა, მისი მომავალიც სხვაგვარი იქნებოდა; ჭეშმარიტი სულიერი გამჭრიახობა და შორსმჭვრეტელობაც ექნებოდა; ღვთიური მადლიც უფრო მეტი მიეცემოდა; მისი შესაძლებლობებიც უფრო გაიზრდებოდა, რაც კაცობრიობას ზეციურ კურთხევასა და ნათელს მოუტანდა. მაგრამ ისინი იმდენად დაშორდნენ უფალს, რომ უზენაესის განზრახვას ვეღარ ხვდებოდნენ, რამაც სრულიად წარყვნა მათი ცხოვრება. მათ არ გაამართლეს უფლის იმედები და, როგორც უფლის ერთგულმა მნეებმა, დანიშნულებისამებრ ვერ გამოიყენეს უფლისგან მიბარებული სიმდიდრე; ვერ შეაფასეს მარადიული ფასეულობანი და თავიანთი უსამართლობისა და ორგულობის გამო დაღუპეს მთელი ერი.

მაცხოვარმა კარგად იცოდა, რომ იერუსალიმის დანგრევისას ებრაელები გაიხსენებდნენ მის გაფრთხილებას. ასეც მოხდა: როცა იერუსალიმს თავს საშინელი უბედურება დაატყდა, როცა მთელი ერი შიმშილისა თუ სხვა წყლულებისაგან იღუპებოდა, - მართლაც გაიხსენეს მაშინ ქრისტეს სიტყვები,

მიხვდნენ მის მიერ ოდესღაც ნათქვამი იგავის აზრს. იმასაც მიხვდნენ, რომ თავად დაიტეხეს თავს უბედურება იმით, რომ არ მოინდომეს, იმ საოცარი ნათლით შემოსილიყო წუთისოფელი, რომელიც თავად მიიღეს უფლისაგან.

უკანასკნელ დღეებში

მდიდარი კაცისა და ლაზარეს შესახებ იგავის დასასრული კაცობრიობის ისტორიის დასასრულის ილუსტრაციაა. მდიდარი თავს აბრაამის ძედ თვლიდა, სინამდვილეში კი მას აბრაამისაგან ღრმა, გადაულახავი უფსკრული - თავისი არასწორად ჩამოყალიბებული ხასიათი - ჰყოფდა. აბრაამი ღმერთს იმით ემსახურებოდა, რომ მის სიტყვას რწმენითა და მორჩილებით ასრულებდა. ეს მდიდარი კაცი კი არ უსმენდა ღმერთს და არც ადამიანთა გასაჭირი აღელვებდა. აბრაამსა და მას შორის არსებული უდიდესი უფსკრული - ეს დაუმორჩილებლობის უფსკრულია. დღესაც ბევრი ადგას ამ გზას. არიან ადამიანები, რომლებიც, თუმცა ეკლესიის წევრები არიან, მაგრამ, სინამდვილეში, ღმერთის გარეშე ცხოვრობენ. შესაძლოა, ისინი ღვთისმსახურების ცერემონიებშიც მონაწილეობენ; გალობენ ფსალმუნსაც: "როგორც ირემი მიილტვის წყლის ნაკადულებისაკენ, ისე მოილტვის ჩემი სული შენსკენ, ღმერთო!" (ფსალმ. 41:2). მაგრამ უფლის ეს ცრუ მოწმენი უფლის თვალში ისეთივე დამნაშავენი არიან, როგორც ყველაზე წყალწაღებული ცოდვილი. გული, რომელიც ამქვეყნიური ცხოვრებისაკენ მიილტვის; გონება, რომელიც ამპარტავნებითაა შემოსილი, ვერ შეძლებს, ემსახუროს ღმერთს. იგავში აღწერილი მდიდარი კაცის მსგავსად, ასეთ ადამიანს არ ძალუძს ხორციელ ვნებათა წინააღმდეგ ბრძოლა. იგი თავის მდაბალ მისწრაფებათა მონაა და ცოდვის სამყაროში ცხოვრებას ირჩევს; მოულოდნელად კვდება და საფლავში იმ ხასიათით ჩადის, რომელიც ამქვეყნად სატანის მსახურთა ძალისხმევით ჩამოუყალიბდა. საფლავში კი არჩევანი კეთილსა და ბოროტს შორის აღარ არსებობს, ვინაიდან ადამიანს "ამოუვა სული, დაუბრუნდება თავის მიწას; იმავე დღეს გაქრება მისი აზრები" (ფსალმ. 145:4; ეკლ. 9:5,6).

როდესაც უფლის ხმა მიცვალებულთ გააღვიძებს, ისინი მკვდრეთით იმავე ვნებებითა და სურვილებით, ხასიათის იგივე თვისებებით აღდგებიან, რომელიც სიცოცხლეში ჰქონდათ. უფალი არავითარ სასწაულს არ მოახდენს იმ ადამიანის აღსადგენად, რომელმაც არ მოისურვა, ახალ ქმნილებად ქცეულიყო, როცა ამისათვის ყველა შესაძლებლობა მიეცა. თავის სიცოცხლეში მან ვერ იპოვა სიხარული ღმერთში; ვერც მის მსახურებაში პოვა კმაყოფილება. არ იყო ჰარმონია მის ხასიათსა და უფალს შორის, ამიტომ იგი ზეციურ ოჯახშიც ვერ იპოვიდა ბედნიერებას.

ჩვენს დღეებშიც არსებობს კატეგორია ადამიანებისა, რომელნიც თავს წმიდებად თვლიან. ისინი არ არიან ხარბნი, არც ლოთნი, არც მრუშნი, მაგრამ მათ საკუთარი თავისთვის სურთ ცხოვრება და არა ღვთისათვის; ისინი ღმერთზე არც ფიქრობენ. ამიტომ, სინამდვილეში, ისინი ურწმუნოებად ითვლებიან. და მათ უფლის ქალაქში შესვლის შესაძლებლობაც რომ მისცემოდათ, არავითარი უფლება არ ექნებოდათ სიცოცხლის ხეზე, ვინაიდან, როდესაც მათ უფლის მცნებებისა და მათგან გამომდინარე მოვალეობათა შესრულება დაევალებოდათ, ისინი უპასუხებდნენ: არა. ღმერთს ისინი არც წუთისოფელში ემსახურებოდნენ

და საუკუნო სასუფეველშიც არ სურთ მისი სამსახური; მათ დედამიწაზე ვერ შეძლეს ღვთის სიახლოვეს არსებობა, ამიტომ მომავალშიც საცხოვრებლად ნებისმიერ ადგილს არჩევენ, გარდა ზეცისა.
შეიცნო ქრისტე, ნიშნავს, მიიღო მისი მადლი, რომელიც მისი ხასიათია. ის, ვინც სათანადოდ ვერ შეაფასა და ვერ გამოიყენა ზეცით ბოძებული ძვირფასი შესაძლებლობანი, რომლებიც მას ჯერ კიდევ დედამიწაზე ცხოვრებისას მიეცა, ზეციური წმიდა მსახურებისათვისაც ვერ გამოდგება. ასეთი ადამიანების ხასიათი ღვთის ხატად და მსგავსად ვერ ჩამოყალიბდა. მათმა გულგრილობამ და უგულისყურობამ წარმოქმნა უფსკრული, რომლის გადალახვაც შეუძლებელია. მათსა და მართლებს შორის "დიდი უფსკრულია დამყარებული".

## თავი 22 - სიტყვა და საქმე

მათ. 21:23-32

"ერთ კაცს ორი შვილი ჰყავდა. მივიდა პირველთან და უთხრა: შვილო, წადი დღეს და იმუშავე ვენახში. მიუგო და უთხრა: არ მინდა. ბოლოს კი ინანა და წავიდა. მივიდა მეორესთან და იგივე უთხრა, მან კი პასუხად უთხრა: წავალ, ბატონო. მაგრამ არ წავიდა. ამ ორთაგან რომელმა შეასრულა თავისი მამის ნება? უთხრეს: პირველმა".
მთაზე ქადაგებისას მაცხოვარმა თქვა: "ყველა, ვინც მეუბნება: უფალო, უფალო! როდი შევა ცათა სასუფეველში, არამედ ის, ვინც აღასრულებს ჩემი ზეციერი მამის ნებას" (მათ. 7:21). ღვთისადმი გულწრფელი სიყვარული დასტურდება არა სიტყვებით, არამედ საქმეებით. ქრისტე არ გვეკითხება: "განსაკუთრებულს რას ამბობთ?" არამედ - "განსაკუთრებულს რას გააკეთებთ?" (მათ. 5:47). რამდენად მნიშვნელოვანია მისი სიტყვები: "რაკი ეს იცით, ნეტარნი ხართ, თუ ამას აღასრულებთ" (იოან. 13:17). სიტყვას არავითარი ფასი არა აქვს, თუ იგი საქმეებით არ არის განმტკიცებული. სწორედ ეს გაკვეთილია მოცემული იგავში ორი ძის შესახებ.
ეს იგავი ქრისტემ იერუსალიმში უკანასკნელად ყოფნისას, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, თქვა. იქამდე კი ტაძრიდან მოვაჭრენი გააძევა, რომელთაც იგრძნეს, რომ მაცხოვარი ღვთიური ხელმწიფებით ელაპარაკებოდათ. განცვიფრებულნი და შეშინებულნი, ისინი ყოველგვარი შეკამათებისა და წინააღმდეგობის გარეშე დაემორჩილნენ მის ბრძანებას.
როცა მღვდელმსახურთ და უხუცესთ შიშმა გადაუარა და ისინი ტაძარში დაბრუნდნენ, დაინახეს, თუ როგორ კურნავდა ქრისტე სნეულთ და მომაკვდავთ. სიხარულის შეძახილები და ქება-დიდების საგალობლები შემოესმათ. განკურნებული ბავშვები პალმის ტოტებით ხელში გალობდნენ: "ოსანა დავითის ძეს!" ისინი თავიანთი ბავშვური შეძახილებით ადიდებდნენ დიდებულ მკურნალს. მაგრამ მღვდელმსახურთა და მწიგნობართა ცრურწმენისა და შურის გასაქარვებლად ყველა ეს მოწმობა საკმარისი არ აღმოჩნდა.

მეორე დღეს, როცა ქრისტე ტაძარში ასწავლიდა, მღვდელმთავარნი და ერის უხუცესნი მივიდნენ მასთან და ჰკითხეს: "რომელი ხელმწიფებით აკეთებ ამას, ან ვინ მოგცა შენ ეს ხელმწიფება?"
მღვდელმთავარნი და უხუცესნი კარგად ხედავდნენ ქრისტეს ხელმწიფების უტყუარ მტკიცებებს; ნათლად იხილეს მის სახეზე არეკლილი ზეციური უფლებამოსილება და ძალა; წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მის სიტყვებს, რომლებიც ზებუნებრივი ძალითა და ძლიერებით იყო წარმოთქმული. თავისი განკურნების სასწაულებით კი იგი სრულად პასუხობდა მათს ამ შეკითხვებს. მან დაუმტკიცა მათ თავისი ხელმწიფება, რომლის უარყოფაც შეუძლებელი იყო. მაგრამ ეს არ იყო ის მოწმობა, რომელიც მათ სურდათ. მღვდელმსახურთ და უხუცესთ უნდოდათ, იესოსგან მოესმინათ მისი განცხადება იმის შესახებ, რომ იგი არის მესია, რათა შემდგომ მისი სიტყვები დაემახინჯებინათ და ხალხი მაცხოვრის წინააღმდეგ წაექეზებინათ. მათ მაცხოვრისა და მისი სიტყვის ავტორიტეტის შელახვა და თვით ქრისტეს მოკვლაც სურდათ.
კარგად იცოდა მაცხოვარმა, რომ, თუკი ამ ხალხმა მის საქმეებსა და მოწმობებში ადრე ვერ შეიცნო მისი ღვთიური არსი, არც ახლა დაუჯერებენ, რომ განაცხადოს, ჭეშმარიტად ქრისტე ვარო. ამიტომ თავს არიდებს პირდაპირი პასუხის გაცემას, რასაც ისინი ასე მოუთმენლად ელოდნენ და, პირიქით, მათ სდებს ბრალს.
"მეც გკითხავთ თქვენ ერთ სიტყვას და თუ მიპასუხებთ, მაშინ მეც გეტყვით თქვენ, რომელი ხელმწიფებით ვაკეთებ ამას. საიდან იყო იოანეს ნათლისცემა: ზეციდან თუ კაცთაგან?"
დიდად დაიბნენ მღვდელმთავარნი და უხუცესნი. "ხოლო ისინი ერთმანეთში მსჯელობდნენ: თუ ვიტყვით: ზეციდანო, გვეტყვის, აბა, რატომ არ ერწმუნეთო მას? თუ ვიტყვით: კაცთაგანო, ხალხისა გვეშინია, ვინაიდან ყველას წინასწარმეტყველად მიაჩნია იოანე. მიუგეს იესოს და უთხრეს: არ ვიცითო. მანაც უთხრა მათ: არც მე გეტყვით თქვენ, რომელი ხელმწიფებით ვაკეთებ ამას".
მათი პასუხი: "არ ვიცითო", სიცრუე იყო. მიხვდნენ მღვდელმსახურნი, რა გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და საკუთარი უსაფრთხოების მიზნით იცრუეს. იოანე ნათლისმცემელი მოვიდა, რათა გამოეცხადებინა მისი მოსვლა, ვის ხელმწიფებასაც ისინი ახლა ეჭვის თვალით უყურებდნენ. იგი მიუთითებდა მასზე და ამბობდა: "აჰა, ღვთის კრავი, რომელმაც აიღო სოფლის ცოდვა" (იოან. 1:29). იოანემ მონათლა იგი; ნათლობის შემდეგ კი, როცა ქრისტე ლოცულობდა, გაიხსნენ ცანი და მან იხილა ღვთის სული, მტრედივით გარდმომავალი, მასზე რომ ეშვებოდა. "აჰა, ხმა იყო ციდან, რომელიც ამბობდა: ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე" (მათ. 3:17).
კარგად ახსოვდათ იოანეს წინასწარმეტყველება მესიის შესახებ და თვით ნათლობის მომენტიც, მაგრამ მღვდელმსახურებმა და უხუცესებმა მაინც ვერ გაბედეს, ეთქვათ, რომ იოანეს ნათლისცემა ზეციდან იყო. იოანე რომ წინასწარმეტყველად ეღიარებინათ, რაც გულში სჯეროდათ კიდეც, მაშინ როგორღა უარყოფდნენ იმას, რომ იესო ნაზარეველი ჭეშმარიტად ღვთის ძე იყო? მაგრამ იმის თქმაც არ შეეძლოთ, რომ იოანეს ნათლისცემა კაცთაგან იყო, ვინაიდან ეშინოდათ ხალხისა, რომელსაც სწამდა, რომ იოანე ღვთის წინასწარმეტყველი იყო. ამიტომ უპასუხეს: "არ ვიცითო".

მაშინ ქრისტემ უამბო მათ მეორე იგავი მამისა და მისი ორი ვაჟის შესახებ. როცა მამა მივიდა პირველთან და უთხრა: "შვილო, წადი დღეს და იმუშავე ვენახში", შვილმა მაშინვე უპასუხა: "არ მინდა"; არ დაემორჩილა და კვლავინდებურად უწმიდური და ბოროტი გზით სიარული არჩია. მაგრამ შემდეგ ინანა და მამის ნებას დაჰყვა.
შემდეგ მამა მივიდა მეორესთან და იგივე უთხრა: "შვილო, წადი დღეს და იმუშავე ვენახში". მან კი პასუხად უთხრა: "წავალ, ბატონო", მაგრამ არ წავიდა. ამ იგავში მამა განასახიერებს უფალს, ვენახი კი - მის ეკლესიას. ორი ვაჟით სიმბოლურად ადამიანთა ორი ჯგუფია წარმოდგენილი. პირველი ვაჟი, რომელიც ეურჩა მამას და თქვა: "არ მინდა", განასახიერებს მათ, ვინც ცხადად, დაუფარავად ეწინააღმდეგებოდა ღმერთს და არც გარეგნული ღვთისმოსაობის სახის მიღება უცდია; ვინც აშკარად ამბობდა უარს იმ შეზღუდვებსა და მორჩილებაზე, რომელსაც უფლის რჯული ითხოვდა. მაგრამ შემდგომ მრავალი ასეთი ადამიანი მიხვდა თავის შეცდომას, ინანა და უფლის მოწოდებაც მიიღო. და, როცა მოისმინეს იოანეს ქადაგება: "მოინანიეთ, ვინაიდან მოახლოებულია ცათა სასუფეველი", მოინანიეს და თავისი ცოდვებიც აღიარეს (მათ. 3:2).
ხოლო მეორე ვაჟში, რომელმაც მამას უპასუხა: "წავალ, ბატონო", მაგრამ არ წავიდა, ფარისეველთა ბუნება გამოვლინდა. იუდეველმა წინამძღოლებმა ამ ძის მსგავსად გამოავლინეს თავიანთი დაუმორჩილებლობა და თვითკმაყოფილება. ებრაელი ხალხის რელიგიური ცხოვრება მათ მიერ საკუთარი უპირატესობის შეგრძნების გამო ფორმალობად იქცა. როდესაც სინაის მთაზე უფალმა ღმერთმა მათ თავად გამოუცხადა თავისი რჯული, მთელმა ხალხმა საზეიმოდ დადო ფიცი, რომ მორჩილებით აღასრულებდა მას. მაშინ ყველამ თქვა: "წავალ, ბატონო", მაგრამ არ წავიდნენ. ხოლო როცა ქრისტე თავად მივიდა მათთან, რათა უფლის რჯული გაემყარებინა, უარყვეს იგი. იმ დღეებში ქრისტემ თავისი ღვთიური ხელმწიფებისა და ძლიერების საკმარისზე მეტი მტკიცება მისცა ებრაელ ხალხს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამაში სავსებით დარწმუნდნენ, მაინც არ მიიღეს იგი. ქრისტემ ამხილა მათი ურწმუნოება და მათში მყოფი დაუმორჩილებლობის სული. "თქვენ გააუქმეთ ღვთის მცნება თქვენი ჩვეულებით... ამაოდ მცემენ თაყვანს, რაკი ადამიანთა მცნებებს მოძღვრებასავით ასწავლიან" (მათ. 15:6,9).
ქრისტეს მსმენელთა შორის იყვნენ ფარისეველნი და მწიგნობარნი, მღვდელმსახურნი და მმართველნიც. დაამთავრა რა იგავის მოყოლა, მაცხოვარმა სწორედ მათ მიმართა: "ამ ორთაგან რომელმა შეასრულა თავისი მამის ნება?" "პირველმა", - დაუფიქრებლად უპასუხეს მათ. და არც იმაზე დაფიქრებულან, რომ ასეთი პასუხით საკუთარ თავს თავად გამოუტანეს განაჩენი. და მაშინ მაცხოვარი მეტად მკაცრ განცხადებას აკეთებს: "ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ მებაჟეები და მეძავები თქვენზე წინ შევლენ ღვთის სასუფეველში. ვინაიდან მოვიდა თქვენთან იოანე სიმართლის გზით და არ ერწმუნეთ მას, ხოლო მებაჟეები და მეძავები ერწმუნენ. თქვენ კი იხილეთ ეს და მაინც არ მოინანიეთ, რათა გერწმუნათ იგი".
ჭეშმარიტება, რომლის საქადაგებლადაც იოანე ნათლისმცემელი მოვიდა, არწმუნებდა ცოდვილთ, რომ საჭიროა მონანიება. მაშინ ისინი მათზე წინ შევლენ ღვთის სასუფეველში, ვინც საკუთარი სიმართლით იკვეხნის და ვინც ეს გაფრთხილება უარყო. მებაჟეები და მეძავები, ფარისეველთაგან განსხვავებით,

გაუნათლებელი, უვიცი ადამიანები იყვნენ. ფარისევლებმა კი კარგად იცოდნენ ჭეშმარიტი გზა. და, მიუხედავად ამისა, მათ მაინც უარყვეს ღვთის სასუფევლისაკენ მიმავალი გზით სიარული. ჭეშმარიტება, რომელიც მათთვის სიცოცხლის სუნთქვა უნდა ყოფილიყო, სასიკვდილო სუნთქვად ექცათ. ყველაზე დაცემული ცოდვილები, შეიძულეს რა საკუთარი ცოდვილი ცხოვრება, მოინათლნენ იოანესგან და მოიპოვეს ხსნა. ებრაელი ხალხის მოძღვარნი კი პირმოთნენი და თვალთმაქცნი აღმოჩნდნენ. საკუთარი გულის სისასტიკემ შეუშალა მათ ხელი ჭეშმარიტების მიღებაში; არ შეისმინეს სულიწმიდის ხმა და არც უფლის მოთხოვნების შესრულება მოისურვეს.
ქრისტეს პირდაპირ არ უთქვამს მათთვის: "თქვენ ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში". მაგრამ უჩვენა, რომ ისინი თავად იქმნიან დაბრკოლებას მის გზაზე. ღვთის სასუფევლის კარი ჯერ კიდევ გახსნილი იყო ებრაელი ხალხის წინამძღოლთათვის: მიწვევა ჯერ კიდევ ძალაში იყო და ქრისტეს ძლიერ სურდა, ერწმუნათ მისი და გადარჩენილიყვნენ.
ისრაელის მღვდელმსახურნი და წინამძღოლნი დიდი გულმოდგინებით ასრულებდნენ რელიგიურ რიტუალებს, რომლებიც, მათი აზრით, იმდენად წმიდა იყო, რომ ჩვეულებრივ საქმიანობასთან არაფერი ჰქონდა საერთო. ამის გამო მათი ცხოვრება გარეგნულად მეტად სრულყოფილი და წმიდა ჩანდა. ისინი ამ რელიგიურ ცერემონიებს ხალხის თვალწინ ასრულებდნენ, რათა ადამიანებს ეთქვათ, რა დიდად მორწმუნე და ღვთისმოსავი ხალხი ყოფილანო. მაგრამ ღვთისადმი ამ მოჩვენებითი მორჩილების ნიღბის ქვეშ, ფაქტობრივად, დაუმორჩილებლობა იმალებოდა. მათი გარეგნული ღვთისმოსაობა სრულიად არ ეთანხმებოდა მათს საქმეებს.
ქრისტემ იოანე ნათლისმცემელი ერთ-ერთ უდიდეს წინასწარმეტყველად გამოაცხადა, რაც მის მსმენელთათვის უდიდესი მოწმობა იყო იმისა, რომ იოანე ჭეშმარიტად ღვთის მაცნე იყო. მეუდაბნოეს სიტყვას უჩვეულო, ზებუნებრივი ძალა ჰქონდა. იგი გაბედულად ქადაგებდა სიმართლეს, ამხელდა მღვდელმსახურთა და ერის მთავართა ცოდვებს და მოუწოდებდა, ღვთიური საქმეები ეკეთებინათ. იოანე პირდაპირ უცხადებდა მათ თავიანთ დანაშაულს ზეციერი მამის ხელმწიფებისა და ავტორიტეტის უგულებელყოფაში, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ისინი უფლის დავალებას არ ასრულებდნენ. იოანეს არასოდეს დაუშვია კომპრომისი ცოდვასთან, რის შედეგადაც მრავალმა დატოვა ურჯულოების გზა.
ებრაელი ერის წინამძღოლები ნამდვილად რომ ისეთნი ყოფილიყვნენ, როგორადაც ხალხს თავს აჩვენებდნენ, შეისმენდნენ იოანეს სიტყვას და იესოსაც მიიღებდნენ, როგორც მესიას. მაგრამ ვერ აღმოცენდა მათს სულში მონანიებისა და სიმართლის ნაყოფი. ამიტომ ცათა სასუფეველში მათზე წინ სწორედ ისინი შევლენ, ვინც მათ ასე ძლიერ სძულდათ.
იგავში ვაჟი, რომელმაც მამას უთხრა: "წავალ, ბატონო", თავისი სიტყვით ერთგულებასა და მორჩილებას გამოხატავს; მაგრამ დრომ სრულიად საწინააღმდეგო აჩვენა. სინამდვილეში, მას არ უყვარდა თავისი მამა.
ფარისეველნი ტრაბახობდნენ თავიანთი წმიდა ცხოვრებით, მაგრამ გამოცდის ჟამს იგი საკმარისი არ აღმოჩნდა. ისინი დიდად ამძიმებდნენ უფლის რჯულს საკუთარი ინტერესების გამო; მაგრამ როდესაც რჯული თავად მათგან ითხოვდა მორჩილებას, ისინი თვალთმაქცურად, მაგრამ დასაბუთებით, ხშირად სოფიზმის

ცბიერ ხრიკთა გამოყენებითაც კი, გვერდს უვლიდნენ უფლის დადგენილებათა აღსრულებას. ეს სიტყვები მათზე თქვა მაცხოვარმა: "მათ საქმეებს ნუ მიბაძავთ, ვინაიდან ისინი ამბობენ, და არკი ასრულებენ" (მათ. 23:3). მათში არ იყო ჭეშმარიტი სიყვარული არც ღმერთისა და არც ადამიანის მიმართ. უფალმა მასთან თანამშრომლობა შესთავაზა მათ წუთისოფელში ღვთიური მადლისა და წყალობის გავრცელების საქმეში. მათ ეს გარეგნულად მიიღეს, სინამდვილეში კი ურჩობა გამოიჩინეს. ისინი საკუთარი ქველმოქმედებითა და კეთილი საქმეებით ტრაბახობდნენ, უფლის მცნებების შესრულებაზე კი უარი თქვეს. მათ არ შეასრულეს უფლის დავალება. და სწორედ მათი ამ დაუმორჩილებლობის გამო იყო უფალი მზად, ზურგი ექცია ამ ურჩი, ჯიუტი ხალხისათვის.
ადამიანთა სიმართლე - ეს არ არის ჭეშმარიტი სიმართლე. ისინი, ვინც საკუთარი სიმართლითაა მოხიბლული, დატოვებულ იქნებიან, რათა ამ დამღუპველი შეცდომის შედეგი იხილონ. დღესაც ბევრი ხმამაღლა და ამაყად აცხადებს, რომ ღვთის მცნებების ერთგული შემსრულებელია, მაგრამ, სინამდვილეში, ისინი გულით არ ატარებენ ღვთიურ სიყვარულს, რათა შემდგომ იგი სხვებს გაუზიარონ. ქრისტე იხმობს მათ თავისთან თანამშრომლობისათვის, რათა ერთად იშრომონ წუთისოფლის გადარჩენისათვის, მაგრამ ისინი მხოლოდ ამ პასუხით კმაყოფილდებიან: "წავალ, ბატონო", მაგრამ არ მიდიან. და არ სურთ მათთან თანამშრომლობა, ვინც ჭეშმარიტად ემსახურება ღმერთს. ისინი კვლავ უქმად ხარჯავენ დროს. ორგული შვილის მსგავსად, ღმერთს ცრუ დაპირებებით ატყუებენ. ამ ადამიანებმა წმიდა აღთქმა დაუდეს უფალს მთელი ეკლესიის წინაშე, რომ სრულად მიიღებენ და დაემორჩილებიან ღვთის სიტყვას; მთელ ცხოვრებას ღვთის სამსახურს მიუძღვნიან; ისინი აცხადებენ, რომ ღვთის შვილნი არიან, მაგრამ თავიანთი ცხოვრებითა და ხასიათით, ფაქტობრივად, უარს ამბობენ მის შვილობაზე; საკუთარ ნებას ღვთის ნება-სურვილს არ უმორჩილებენ და თავიანთი ცხოვრება და საქციელი თავად ამხილებს მათს სიცრუეს.
ეს ადამიანები გარეგნულად, შესაძლოა, თავიანთი აღთქმის ერთგული აღმსრულებელნი ჩანდნენ; მაგრამ ეს მანამ, სანამ რაიმე მსხვერპლის გაღება არ არის საჭირო. როცა თავდადებისა და თავგანწირვის აუცილებლობის მომენტი უდგებათ; როცა ხედავენ მძიმე ჯვარს, რომელიც უნდა ატარონ, - ისინი უკან იხევენ. ამრიგად, მოვალეობის გრძნობა უსუსტდებათ და უფლის მცნებების შეგნებული დარღვევა ჩვეულებად ექცევათ. ამ დროს ყურით კი ისმენენ ღვთის სიტყვას, მაგრამ მისი მიღებისა და გათავისების უნარი აღარ შესწევთ. გული გასასტიკდა, სინდისმაც მიიძინა.
ნუ გგონიათ, რომ, თუკი ქრისტეს მიმართ მტრული განწყობა არა გვაქვს, ამით უკვე მას ვემსახურებით. ამით მხოლოდ თავს ვიტყუებთ. როდესაც სათანადოდ არ ვიყენებთ იმას, რაც უფალმა მისი მსახურებისათვის მოგვცა: იქნება ეს ჩვენი დრო, ქონება, ნიჭი თუ სხვა საბოძვარი, უფლის საწინააღმდეგოდ ვმოქმედებთ. სატანა საკმაოდ ოსტატურად იყენებს ეგრეთ წოდებულ ქრისტიანთა გულგრილ, მძინარე მდგომარეობას საკუთარი ძალის განსამტკიცებლად და ადამიანთა საცდუნებლად. ბევრს ჰგონია, რომ კვლავ ქრისტეს მხარეზეა, თუმცა უფლის რეალურ საქმეებში არ მონაწილეობს. სინამდვილეში, ისინი მტერს უთმობენ დაუკავებელ ტერიტორიებს და ამით უპირატესობას ანიჭებენ მას. როცა ქრისტიანი უფლის მსახურებისადმი გულმოდგინებას არ იჩენს, როცა მის

დავალებებს არ ასრულებს და მის სიტყვას არ გადასცემს, - იგი ხელს უწყობს სატანას, დაისაკუთროს ადამიანები, რომელთა ქრისტესკენ მოქცევა და გადარჩენა თავად შეეძლო.
ნუ გვექნება იმედი გადარჩენისა, თუკი სიცოცხლის დღეებს უქმად და უზრუნველად ვატარებთ. ჭეშმარიტი ქრისტიანი ვერასოდეს შეძლებს უაზრო, უსარგებლო ცხოვრებით ცხოვრებას. ვერც საუკუნო სიცოცხლეში შევალთ, თუკი უბრალოდ დინებას მივყვებით. ვერც ერთი უსაქმური ვერ მოხვდება იქ. თუკი არ ვეცდებით ღვთის სასუფეველში შესვლის უფლებამოსილების მოპოვებას; თუკი გულწრფელად არ გვსურს ამ სამეფოს კანონების შეცნობა, - მასში საცხოვრებლად ვერ გამოვდგებით. ის, ვისაც უფალთან თანამშრომლობა დედამიწაზე არ სურს, არც ზეცაში ითანამშრომლებს. ასეთ ადამიანთა იქ დაშვება დიდად სახიფათოა.
მებაჟეთ და ცოდვილთ უფრო დიდი იმედი აქვთ ღვთის სასუფეველში შესვლისა, ვიდრე ღვთის სიტყვის მცოდნეთ, რომელთაც ღვთის გზით სიარული არ სურთ. ის, ვინც ხედავს თავის ცოდვილ მდგომარეობას, ვინაიდან მისი ცოდვა დაფარული არ არის, ვინც გრძნობს თავისი სულისა და სხეულის უწმიდურებას ღვთის წინაშე, მას უფალთან სამუდამო განშორების შიში ეპარება; იგი კარგად ხედავს თავის დასნეულებულ სულსა და სხეულს და განკურნებას უზენაეს მკურნალთან ეძებს, რომელმაც ბრძანა: "ჩემთან მოსულს გარეთ არ გავაძევებ" (იოან. 6:37). ასეთ ადამიანთა გამოყენება უფლის ვენახში სამუშაოდ ჯერ კიდევ შესაძლებელია.
მაცხოვარმა არ გაკიცხა საქციელი შვილისა, რომელმაც თავიდან მამის დავალების შესრულებაზე უარი თქვა, მაგრამ არც მოიწონა. თავდაპირველი წინააღმდეგობისათვის, რა თქმა უნდა, მოწონებას არ იმსახურებენ ის ადამიანები, რომელთაც იგავში პირველი შვილი წარმოადგენს. არც დაუმორჩილებლობის ასეთი გულწრფელი აღიარება ჩაეთვლებათ დამსახურებად. მხოლოდ ჭეშმარიტებითა და ღვთიური სიმართლით განწმედილი გულწრფელობა აქცევს ადამიანს ქრისტეს გაბედულ მოწმედ. მაგრამ ცოდვილის ბაგეში იგი მეტად შეურაცხმყოფელი, გამომწვევი და მკრეხელურია. ის ფაქტი, რომ ურწმუნო ადამიანი პირმოთნე არ არის, უფრო ღირსეულ ცოდვილად ვერ აქცევს მას. ჩვენ უსაფრთხოდ მხოლოდ მაშინ ვიქნებით, როცა მოხმობისთანავე დაუყოვნებლივ გავუხსნით გულის კარს ღვთის წმიდა სულს. როდესაც გაიგონებთ მოწოდებას: "წადი დღეს და იმუშავე ვენახში", უარს ნუ იტყვით მიწვევაზე. "დღეს, როცა მოისმენთ მის ხმას, ნუ გაიქვავებთ გულებს" (ებრ. 4:7). აქ საშიშია შეყოვნება და დაუმორჩილებლობა. შესაძლოა, კვლავ აღარასოდეს განმეორდეს ეს ხმა ხსნისა.
ნურც იმ იმედით დაიმშვიდებთ გულს, რომ მოვა დრო და ადვილად დატოვებთ ცოდვებს, რომელნიც დღეს არ გეთმობათ. ეს სიცრუეა. ყოველი მიუტოვებელი ცოდვა ასუსტებს ადამიანის ხასიათს და განამტკიცებს დამღუპველ თვისებებს, რის შედეგადაც თანდათანობით უწმიდურდება და იხრწნება ადამიანის სული, გონება და სხეული. თქვენ შეგიძლიათ, მოინანიოთ თქვენი არასწორი საქციელი და ჭეშმარიტების გზას დაუბრუნდეთ, მაგრამ ცოდვასთან ხანგრძლივი ურთიერთობით ჩამოყალიბებული თქვენი გონებისათვის მეტად ძნელი იქნება ბოროტისა და კეთილის ზუსტად გარჩევა, ხოლო თქვენს

ხასიათში ჩამოყალიბებულ მავნე ჩვევებს სატანა კვლავ და კვლავ თქვენზე იერიშისათვის გამოიყენებს.
მოწოდება: "წადი დღეს და იმუშავე ვენახში", ყოველი სულის გულწრფელობის გამოცდაა. მოჰყვება თუ არა სიტყვას საქმე? გამოიყენებს თუ არა ღვთისაგან მოწოდებული ადამიანი მთელ თავის ცოდნასა და გამჭრიახობას, რათა გულწრფელად, ერთგულად ემსახუროს ვენახის პატრონს?
პეტრე მოციქული გვთავაზობს მოქმედების გეგმას, რომელიც აუცილებლად უნდა მივიღოთ. "მადლი და მშვიდობა გაგიმრავლდეთ ღვთისა და ჩვენი უფლის იესოს ცოდნით, - ამბობს იგი, - ისე, როგორც მისმა ღვთიურმა ძალამ მოგვანიჭა ყოველივე, რაც სიცოცხლისა და ღვთისმოსაობისათვის გვჭირდება, მისი ცოდნით, ვინც მოგვიწოდა თავის დიდებასა და სათნოებაში, რომელთა მიერაც მოგვენიჭა უაღრესად დიდი და ძვირფასი აღთქმანი, რათა მათ მიერ გახდეთ ღვთიური ბუნების ზიარნი და ამ სოფელში განერიდოთ გულისთქმით გამოწვეულ გახრწნილებას. ამისათვის ეცადეთ, ყოველი ღონე იხმაროთ, რათა შესძინოთ თქვენს რწმენას სათნოება და სათნოებას - ცოდნა, ცოდნას - თავშეკავება, თავშეკავებას - მოთმინება, მოთმინებას - ღვთისმოსაობა, ღვთისმოსაობას - ძმათმოყვარეობა, ძმათმოყვარეობას - სიყვარული" (2პეტრ. 1:2-7).
თუკი გულმოდგინებით იზრუნებთ თქვენი სულის ვენახზე, უფალი ღმერთი თანამშრომლობას შემოგთავაზებთ მისი საქმეების აღსრულებაში. და თქვენ იშრომებთ არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, არამედ სხვებისთვისაც. ვენახი ღვთის ეკლესიაა, მაგრამ მაცხოვარი იმას კი არ გვასწავლის, რომ ჩვენი თანაგრძნობა და თანადგომა მხოლოდ ეკლესიის წევრებზე ზრუნვით შემოიფარგლოს და მხოლოდ მათთვის ვიშრომოთ. უფლის ვენახი უნდა გაიზარდოს და გაფართოვდეს. უფალს სურს, რომ მისმა ვენახმა მთელ დედამიწაზე გაიდგას ფესვი. უფლის მადლით მიღებული ცოდნა სხვებსაც უნდა გავუზიაროთ, რათა სხვებმაც ისწავლონ ძვირფასი ვაზის მოვლა. უფლის ვენახის გაზრდა მხოლოდ ამ გზით შეიძლება. უფალი ელის ჩვენგან მტკიცე რწმენის, სიყვარულისა და მოთმინების გამოვლინებას. მას სურს, დაინახოს, თუ როგორ ვიყენებთ იმ სულიერ უპირატესობებს, რომელიც აქ, ამ დედამიწაზე, უფლის ვენახში სამუშაოდ მოგვეცა, რათა შემდგომ უფლის სამოთხეში, იმ ედემში შევძლოთ შესვლა, საიდანაც თავიანთი ცოდვის გამო ოდესღაც ადამი და ევა გააძევეს.
უფლის თავის ხალხთან ურთიერთობა მამა-შვილის ურთიერთდამოკიდებულებას ემსგავსება, ამიტომ ღმერთს აქვს უფლება, ჩვენი ერთგულად მსახურების იმედი ჰქონდეს. შეხედეთ ქრისტეს ცხოვრებას: გახდა რა კაცობრიობის წინამძღოლი, იგი ასრულებდა მამის ნებას და ჩვენც მოგვცა მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს და შეიძლება იყოს მამის ყოველი ძე. დღეს უფალი ადამიანებისაგან ითხოვს მორჩილებას, რომლის მაგალითიც მაცხოვარმა წუთისოფელში ხორციელად მოსვლისას გვიჩვენა. იგი მამას თავისი ნებით, მოშურნეობითა და სიყვარულით ემსახურებოდა. "შენი სურვილის შესრულება მინდოდა, ღმერთო, - ამბობს იგი, - და რჯული შენი ჩემს გულშია" (ფსალმ. 39:9). ამისთვის გაღებულ არც ერთ მსხვერპლს არ თვლიდა ქრისტე ძალზე დიდად და ამისთვის გაწეულ არანაირ შრომას - მძიმე ტვირთად. იგი მზად იყო, ყოველგვარი ტანჯვა აეტანა იმ მისიის შესასრულებლად, რისთვისაც იგი

დედამიწაზე მოვიდა. თორმეტი წლის ასაკში მან განაცხადა: "ნუთუ არ იცით, რომ მამის სახლში უნდა ვიყო?" (ლუკ. 2:49). მან შეისმინა მოწოდება და საქმეს შეუდგა. "ჩემი საჭმელია, - თქვა მან, - ვქმნა ჩემი მომავლინებლის ნება და აღვასრულო მისი საქმე" (იოან. 4:34).
ამგვარად, ჩვენ ღმერთს უნდა ვემსახუროთ. მისი ჭეშმარიტი მსახური კი არის ის, ვინც უფლის უზენაეს რჯულს ემორჩილება. ვისაც უფლის შვილობა სურს, თავი ღმერთთან, ქრისტესთან და მის ანგელოზებთან თანამშრომლობაში უნდა გამოიჩინოს. ასე გამოიცდება ყოველი ადამიანი. თავის ერთგულ მსახურთა შესახებ უფალი ღმერთი ამბობს: "ჩემი იქნებიან ისინი... იმ დღისთვის, როცა უნჯად გავამზადებ მათ და შევიბრალებ, როგორც კაცი შეიბრალებს თავის შვილს, რომელიც მას მორჩილებს" (მალ. 3:17).
უფალი მიზნად ისახავს ადამიანთა გამოცდას, რითაც გამოიწრთობა, სწორად ჩამოყალიბდება და განვითარდება მათი ხასიათი. ამგვარად საზღვრავს იგი, არის თუ არა ესა თუ ის ადამიანი მისი ნების აღმსრულებელი. უფლის სიყვარულს ჩვენი კეთილი საქმეებით ვერ მოვიპოვებთ; ეს კეთილი საქმეები უფრო იმის მაჩვენებელია, რომ უკვე გვაქვს ეს სიყვარული. უფლის ნებისადმი მორჩილება და მისი საქმეების კეთება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამით მის სიყვარულს დავიმსახურებთ; ჩვენ უკვე მივიღეთ მისი სიყვარული, როგორც ძვირფასი ძღვენი და სწორედ ამ სიყვარულის გამო სიხარულით ვასრულებთ მის მცნებებს.
დღევანდელ წუთისოფელში არსებობს ორი კატეგორია ადამიანებისა და უფლის სამსჯავროს წინაშე წარდგება მხოლოდ ეს ორი ჯგუფი - ის, ვინც უფლის მცნებებს არღვევს და ის, ვინც მას ასრულებს. მაცხოვარი მკვეთრ ზღვარს ავლებს ჩვენს ერთგულებასა და დაუმორჩილებლობას შორის. "თუ მე გიყვარვართ, ჩემი მცნებანი დაიცავით, - ბრძანებს იგი, - ვისაც ჩემი მცნებები აქვს და იცავს მათ, მას ვუყვარვარ მე, ჩემს მოყვარულს კი ჩემი მამაც შეიყვარებს. მეც შევიყვარებ მას და მე თავად გამოვეცხადები... ვისაც არ ვუყვარვარ, არ იცავს ჩემს სიტყვებს. სიტყვა, რომელსაც ისმენთ, ჩემი კი არაა, ჩემი მომავლინებელი მამისა". "თუ ჩემს მცნებებს დაიცავთ, ჩემს სიყვარულში დარჩებით, როგორც მე დავიცავი ჩემი მამის მცნებები და ვრჩები მის სიყვარულში" (იოან. 14:15-24; 15:10).

## თავი 23 - უფლის ვენახი

მათ. 21:33-44

ებრაელი ხალხი
იგავს მამისა და მისი ორი ვაჟის შესახებ მოსდევს იგავი ბოროტ მიწისმუშაკებზე. პირველში მაცხოვარი ებრაელ ხალხს ასწავლის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ღვთისადმი მორჩილება. მეორეში კი საუბრობს იმ უხვ მადლსა და კურთხევაზე, რომელიც ისრაელს მიეცა; აგრეთვე იმ მოთხოვნათა

სამართლიანობაზე, რომელთა მიმართ მორჩილებასაც უფალი მათგან ელის. იგი მსმენელთ აცნობს უფლის იმ უდიდეს მიზანს, რომლის მიღწევაც მხოლოდ მისი ნებისადმი მორჩილების გამოვლენით არის შესაძლებელი. მაცხოვარი მომავალში ახედებს მათ და მტკიცედ აცხადებს, რომ ხალხი, რომელიც უარს იტყვის უზენაესის ჩანაფიქრის აღსრულებაზე, დაკარგავს უფლებას მის წყალობაზე და სამუდამოდ დაიღუპება.
"იყო ერთი სახლის პატრონი, - დაიყწო ქრისტემ, - რომელმაც ვაზი ჩაყარა, გარს ღობე შემოავლო, შიგნით საწნახელი ამოკვეთა და კოშკი ააგო, მიწისმუშაკთ ჩააბარა და წავიდა".
უფლის ამ ვენახს დიდებულად აღწერს ესაია წინასწარმეტყველი: "ვუმღერებ ჩემს შეყვარებულს ჩემი სიყვარულის სიმღერას მის ვენახზე. ვენახი ჰქონდა ჩემს შეყვარებულს ნაყოფიერ გორაკზე. და მოხნა იგი და გაასუფთავა ქვებისაგან, და ჩაყარა რჩეული ვაზი, და ააგო კოშკი მის შუაგულში, და საწნახელიც ამოკვეთა მასში, და ესავდა, რომ ყურძენს მოისხამდა" (ეს. 5:1,2). დაუმუშავებელი, ყამირი მიწა ამოირჩია პატრონმა; შემოღობა, გაწმინდა, დაბარა, საუკეთესო ვაზი ჩაყარა და უხვი მოსავლის მიღებას დაელოდა. იმედი ჰქონდა, რომ მიწა, რომელიც ახლა ასე მკვეთრად გამოირჩეოდა ირგვლივ მყოფი უდაბნოსაგან, გამოაჩენს მისი შრომისა და მზუნველობის შედეგს და პატივსა და დიდებას მოუტანს მას. ასევე აირჩია ღმერთმა წუთისოფელში ერთი ერი, რათა ქრისტეს აღეზარდა და გაენათლებინა იგი. წინასწარმეტყველი ამბობს: "უფალ ცაბაოთის ვენახი ისრაელის სახლია, და იუდას კაცი ნერგია მისი სიამისა" (ეს. 5:7). ამ ერს უფალმა ღმერთმა უდიდესი უპირატესობანი უწყალობა, უხვად აკურთხა თავისი ძლიერი ხელით. და ელოდა, რომ ეს ხალხი განადიდებდა მის სახელს იმით, რომ ნაყოფს გამოიღებდა. მათ ღვთიური სასუფევლის პრინციპების მთელი წუთისოფლის წინაშე გამოცხადება ევალებოდათ; ამ დაცემული, ცოდვილი კაცობრიობისათვის უფლის ჭეშმარიტი ხასიათი უნდა წარედგინათ.
უფლის ვენახს წარმართთაგან სრულიად განსხვავებული ნაყოფი უნდა გამოეღო. უფლისათვის მიუღებელ ბოროტ საქმეებს სჩადიოდნენ ეს კერპთაყვანისმცემელი, უწმიდური ხალხები. საზღვარი არ ჰქონდა ამ ხალხთა ძალადობასა და დანაშაულს, სიხარბესა და მათგან ხალხის ტანჯვას; ყველასათვის საშიში, დამღუპველი წესებით ცხოვრობდნენ ისინი. მანკიერება, გახრწნილება და უბედურება - აი როგორი იყო ამ ველური ხის ნაყოფი. მათგან სრულიად განსხვავებული უნდა ყოფილიყო უფლის დარგული ვაზი.
ებრაელი ხალხის უპირატესობა სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ კაცობრიობისათვის ღმერთის ნამდვილი სახე და ხასიათი ეჩვენებინა, ისევე, როგორც იგი მოსეს ეჩვენა. მოსეს ლოცვაზე: "მაჩვენე მე შენი დიდება", უფალი პასუხობს: "მე ჩამოვატარებ მთელ ჩემს სიკეთეს შენს წინაშე" (გამ. 33:18,19). "და გაიარა უფალმა მის წინაშე და წარმოთქვა: უფალი, უფალი, ღმერთი შემბრალე და მოწყალე, სულგრძელი და დიდად მოწყალე, და ჭეშმარიტი, ინახავს წყალობას ათასეულებისათვის, შეუნდობს ბრალს და დანაშაულს, და ცოდვას" (გამ. 34:6,7). იგივე ნაყოფს ელოდა უფალი ღმერთი თავისი ხალხისაგან. თავისი გულწრფელობით, წმიდა ცხოვრებით, გულმოწყალებით, სათნოებითა და თანაგრძნობით მას უნდა ეჩვენებინა, რომ "რჯული უფლისა სრულყოფილია, სულს განამტკიცებს" (ფსალმ. 18:8).

უფლის მიზანი იყო, ებრაელი ერის მეშვეობით თავისი უხვი მადლი და კურთხევა სხვა ერებზეც გაევრცელებინა; თავისი წმიდა, ზეციური ნათელი მთელი კაცობრიობისათვის მოეფინა. მანკიერ ვნებებსა და ჩვეულებებს აყოლილმა ადამიანებმა დაკარგეს უფლის შეცნობის უნარი. მიუხედავად ამისა, ღმერთმა შეიწყალა ისინი და არ მოსპო სამუდამოდ, არამედ შესაძლებლობა მისცა, კვლავ შეეცნოთ უზენაესი მისი ეკლესიის მეშვეობით. უფალს სურდა, მისი ერის მეშვეობით გამოცხადებული ღვთიური პრინციპები ადამიანებს საკუთარ თავში ღვთიური ზნეობისა და ხატების აღდგენაში დახმარებოდა. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად მოაშორა უფალმა აბრაამი იმ კერპთაყვანისმცემელ ხალხს, რომელთა შორისაც ცხოვრობდა და ქანაანის ქვეყანაში გაგზავნა. "და გაქცევ დიდ ერად, - აღუთქვა მან, - და გაკურთხებ, და განვადიდებ შენს სახელს და იქნები კურთხეული" (დაბ. 12:2). ეგვიპტეში მიიყვანა უფალმა აბრაამის შთამომავალნი ამ მრავალრიცხოვანი და ურწმუნო ხალხისათვის ღვთიური სასუფევლის პრინციპების გამოსაცხადებლად. იოსების გულწრფელობა და ის საოცარი საქმეები, რომლებიც მან მთელი ეგვიპტის მოსახლეობის სიცოცხლის გადასარჩენად აღასრულა, ქრისტეს ბუნებისა და ხასიათის სილამაზის გამოვლინება იყო. უფლის ერთგული მოწმენი იყვნენ აგრეთვე მოსე და ებრაელი ერის ბევრი სხვა წარმომადგენელიც.
ეგვიპტიდან ისრაელის გამოყვანისას უფალი კვლავ ავლენს თავის ძალასა და მოწყალებას. საოცარი საქმეები, რომლებიც უფალმა ეგვიპტის ტყვეობიდან ებრაელთა დასახსნელად აღასრულა და მათ მიმართ უდაბნოში გამოვლენილი მზრუნველობა უფლის მხოლოდ ამ ერთადერთი ერისადმი კეთილგანწყობას არ ნიშნავდა. ეს თვალსაჩინო გაკვეთილები იყო ირგვლივ მყოფი ყველა ხალხისათვის. თავისი საქმეებით უფალი ხალხებსა და ერებს ევლინებოდა როგორც ღმერთი, რომელიც ნებისმიერ ადამიანურ ხელმწიფებასა და დიდებულებაზე უფრო მაღალია. ნიშნებითა და სასწაულებით, რომლებსაც იგი თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის ახდენდა, იგი ამტკიცებდა, რომ თავადაა ბუნებისა და იმ ადამიანთა მბრძანებელი, რომლებიც ამ ბუნებას აღმერთებდნენ და თაყვანს სცემდნენ. უფალმა ისევე გაიარა ამაყ ეგვიპტელთა ქვეყანა, როგორც გაივლის მთელ დედამიწას უკანასკნელ დღეებში. ცეცხლითა და გრიგალით, მიწისძვრებითა და სიკვდილით გამოისყიდა თავისი ხალხი მან, ვინც ბრძანა: "მე ვარ"; მონობის ქვეყნიდან გაათავისუფლა, "გაატარა დიდსა და საშინელ უდაბნოში, სადაც გესლიანი გველები, მორიელები და ხრიოკებია, სადაც არ იყო წყალი" (რჯლ. 8:15). "გადმოაწვიმა მათზე მანანა საზრდოდ, და ციური პური მისცა მათ" (ფსალმ. 77:24). "რადგან უფლის წილი მისი ხალხია, - თქვა მოსემ, - იაკობი სამემკვიდრო ხვედრია მისი. მან იპოვა იგი უდაბურ ქვეყანაში. უსახურობაში და უდაბნოს ყმუილში. თავს ევლებოდა იგი, თავისი თვალისჩინივით უფრთხილდებოდა მას. როგორც არწივი ფხიზლობს თავის ბუდეზე, დაჰბრუნავს თავის მართვეებს, შლის თავის ფრთებს, იყვანს და ატარებს მათ თავისი ფრთებით, უფალი მარტო დაატარებდა მას და გვერდში არ ჰყოლია მას უცხო ღმერთი" (რჯლ. 32:9-12). ასე მიიყვანა უფალმა ისინი თავისთან, ყოვლისშემძლის ფრთებქვეშ დასავანებლად.
ქრისტე მიუძღოდა წინ ისრაელიანთა შვილებს უდაბნოში მოგზაურობისას, დღისით ღრუბლის და ღამით ცეცხლის სვეტში დაფარული. უდაბნოში ხიფათისაგან იფარავდა; აღთქმულ მიწაზე მიიყვანა და ურწმუნო, უღვთო

ადამიანების თვალთა წინაშე დაამყარა ისრაელი, როგორც თავისი რჩეული ერი, თავისი სამფლობელო, უფლის რჩეული ვენახი.
ღვთაებრივი გამოცხადება მიეცა ამ ხალხს. უფლის რჯული, მისი ჭეშმარიტების მარადიული პრინციპები, სიმართლე და სიწმიდე იყო ღობე უფლის ამ ვენახისა. ამ პრინციპების შესრულებას უნდა დაეცვა ისინი ცოდვის საქმეებისა და თვითგანადგურებისაგან. და ვენახის შიგნით აგებული კოშკის მსგავსად, უფალმა ამ აღთქმულ მიწაზე თავისი წმიდა ტაძარი მოათავსა.
უდაბნოშიც და შემდგომაც ქრისტე კვლავ რჩებოდა ისრაელის მასწავლებლად და ხელმძღვანელად. კარავშიც და ტაძარშიც მისი დიდება მუდამ ივანებდა წმიდათა წმიდაში, აღთქმის კიდობნის თავზე. თავისი უდიდესი მოთმინებისა და სიყვარულის საგანძურით ასაჩუქრებდა იგი თავის რჩეულ ერს.
თავისი ხალხის დიდების სიმაღლეებზე აყვანა სურდა ღმერთს. ამიტომ მიეცა ამ ხალხს ყველა სულიერი უპირატესობანი. არაფერი დაუკლია მისთვის; ყველაფერი მისცა მათში ისეთი ხასიათის ჩამოყალიბებისათვის, რომელიც ხალხთა წინაშე ღმერთს წარმოაჩენდა.
უფლის რჯულისადმი მორჩილების გამოვლენით ამ ხალხს შეეძლო, უდიდესი განვითარებისა და წარმატებისათვის მიეღწია მთელი სამყაროს წინაშე. მას, ვინც მათ თავდაპირველად ასეთი დიდი სიბრძნე და გამჭრიახობა უბოძა, შეეძლო, შემდგომაც მათ მოძღვრად დარჩენილიყო, რათა უფრო მეტად განედიდებინა და გაენათლებინა ისინი თავისი რჯულის დაცვის მეშვეობით. და მართლაც, მორჩილების შემთხვევაში თავიდან აიცილებდნენ მრავალ სნეულებას, რომელმაც სხვა ხალხებს მუსრი გაავლო. და უფრო მეტ კურთხევას - უდიდეს ინტელექტუალურ ძალას შეიძენდნენ. მათს წარმატებას უფლის დიდება, ძალა და ძლიერება უნდა გამოევლინა. და ეს ხალხი მღვდელთა და მთავართა ერად გადაიქცეოდა. უფალმა ყველაფერი მისცა მას, რათა მთელ დედამიწაზე განდიდებულიყო.
მოსეს მეშვეობით მეტად გასაგებად და ნათლად დაუსახა ქრისტემ ისრაელს უფლის მიზანი და მიუთითა წარმატების პირობებზე. "წმიდა ხალხი ხარ შენ უფლისათვის, შენი ღმერთისათვის, - ამბობს იგი, - შენ ამოგირჩია უფალმა, შენმა ღმერთმა, რომ იყოთ მისთვის უნჯ ხალხად ყველა ხალხთაგან, რომელნიც დედამიწის ზურგზე არსებობენ... იცოდე, რომ უფალი, შენი ღმერთი, არის ღმერთი, ღმერთი მტკიცე, რომელიც იცავს აღთქმას და წყალობას თავის მოყვარულთათვის და თავის მცნებათა დამცველთათვის ათას თაობამდე... დაიცავი მცნებები, წესები და სამართალნი, რომელთაც მე გამცნებ დღეს შესასრულებლად. და თუ შეისმენთ ამ სამართალს და დაიცავთ და შეასრულებთ მას, უფალი, შენი ღმერთი, შეგინახავს აღთქმას და წყალობას, რომელიც შეჰფიცა შენს მამებს. და შეგიყვარებს, და გაკურთხებს, და გაგამრავლებს, და გიკურთხებს მუცლის ნაყოფს და მიწის ნაყოფს, მარცვლეულს და ღვინოს, და ზეთს; მსხვილფეხა პირუტყვის მონაგებს და წვრილფეხა პირუტყვის მონაგებს ქვეყანაზე, რომელიც თქვენთვის მისაცემად შეჰფიცა თქვენს მამებს. კურთხეული იქნები ყველა ხალხზე მეტად... და აგაშორებს უფალი ყოველგვარ სენს. არ შეგყრის ეგვიპტელთა ყოველ მავნე სატკივარს, რომელიც იცი" (რჯლ. 7:6-15).

თუკი უფლის მცნებებს დაიცავდნენ, ღმერთი მათ საუკეთესო ხორბალს მისცემდა, მათთვის კლდიდან თაფლს ამოიღებდა, ხანგრძლივ სიცოცხლეს დაულოცავდა და მისმიერ ხსნასაც აჩვენებდა.
ღვთისადმი თავიანთი დაუმორჩილებლობის გამო დაკარგეს სამოთხის ბაღი ადამმა და ევამ; მათი დანაშაულის გამო კი მთელი ქვეყნიერება დაიწყევლა. მაგრამ უფლის ხალხი რომ ქრისტეს გზას გაჰყოლოდა, შემოქმედი აღადგენდა დედამიწას მთელი თავისი ნაყოფიერებითა და სილამაზით. უფალმა თავად ასწავლა ადამიანებს მიწის დამუშავება; ერთადერთი, რაც მათ უნდა გაეკეთებინა, იყო ის, რომ უფალთან უნდა ეთანამშრომლათ მისი აღდგენის საქმეში. მაშინ უფლის მმართველობის ქვეშ მყოფი დედამიწა სულიერი ჭეშმარიტების თვალსაჩინო გაკვეთილად გადაიქცეოდა. როგორც მიწა გამოიღებდა ნაყოფს ბუნების ღვთიური კანონებისადმი მორჩილებით, ასევე უზენაესის ზნეობრივი კანონების მორჩილ ადამიანთა გული აირეკლავდა მაცხოვრის ხასიათს. თვით წარმართნიც კი აღიარებდნენ მათს უპირატესობას, ვინც ცოცხალ ღმერთს სცემს თაყვანს და ემსახურება.
"შეხედეთ, - ამბობს მოსე, - გასწავლეთ თქვენ წესები და სამართალნი, როგორც მიბრძანა მე უფალმა, ჩემმა ღმერთმა, აღსასრულებლად იმ ქვეყანაში, სადაც თქვენ მიდიხართ დასამკვიდრებლად. დაიცავით და აღასრულეთ, რადგან ესაა თქვენი სიბრძნე და თქვენი გონიერება, სხვადასხვა ხალხების თვალწინ, რომელნიც ყურს მოკრავენ ამ წესებს და იტყვიან: "მხოლოდ ეს ხალხია ბრძენი და გონიერი, დიდი ერია ეს". რადგან რომელი დიდი ერია, რომელთანაც ისე ახლოს იყვნენ (მისი) ღმერთები, როგორც ახლოსაა ჩვენთან უფალი, ჩვენი ღმერთია ჩვენთან როცა კი ვუხმობთ მას? და რომელი დიდი ერია, რომელსაც ჰქონდეს ისეთი სამართლიანი წესები და სამართალნი, როგორც მთელი ეს რჯულია, რომელსაც მე გაძლევთ თქვენ დღეს?" (რჯლ. 4:5-8).
ისრაელიანთა შვილები უფლის მიერ მათთვის განსაზღვრულ მთელ ტერიტორიაზე უნდა გავრცელებულიყვნენ და გამრავლებულიყვნენ; ეს მიწები ისრაელს იმ ხალხებისგან უნდა რგებოდა, რომლებმაც უარი თქვეს ცოცხალი ღვთის თაყვანისცემასა და მსახურებაზე. თუმცა უფლის მიზანი იყო, ისრაელიანთა მეშვეობით თავისი ბუნება და ხასიათი სხვა ხალხებისათვის გაეცნო და გაეცხადებინა. უფლის ჭეშმარიტი სიტყვა მთელი წუთისოფლისაკენ იყო მიმართული. მსხვერპლშეწირვის მსახურებაში გაცხადებული მოძღვრებებით ქრისტე მთელი მსოფლიოს ხალხთა წინაშე უნდა განდიდებულიყო, რათა ყოველ მის მორწმუნეს ეცოცხლა. ქანაანელი რახაბისა და მოაბელი რუთის მსგავსად, რომელთაც კერპთაყვანისმცემლობა უარყვეს და ჭეშმარიტი ღმერთი ირწმუნეს, ისინიც უფლის რჩეულ ხალხს უნდა შეერთებოდნენ. ისრაელიანთა რიცხობრივად ზრდასთან ერთად მისი საზღვრებიც უნდა გაფართოებულიყო, სანამ მათი სამეფო მთელ დედამიწაზე არ გავრცელდებოდა.
უფალს სურდა, წუთისოფლის ყველა მკვიდრს მიეღო მისი მოწყალე მმართველობა; სურდა, რომ მთელ დედამიწაზე სიხარული და მშვიდობა დამკვიდრებულიყო. მან ადამიანები ბედნიერებისათვის შექმნა და ამიტომ ცდილობს, ზეციური სიმშვიდით აღავსოს მათი გული. უფლის სურვილია, ადამიანთა ოჯახები აქ, დედამიწაზე, უდიდესი ზეციური ოჯახის სიმბოლოდ იქცეს.

მაგრამ ისრაელმა ვერ განახორციელა უფლის მიზნები. უფალი ამბობს: "მე კი დაგრგე, როგორც რჩეული ვაზი, როგორც ჭეშმარიტი თესლი, და როგორ გადამექეცი ველურ, უცხო რტოდ!" (იერ. 2:21). "რქაკეთილი ვენახია ისრაელი, ნაყოფსაც თავის მსგავსს იძლევა" (ოს. 10:1). "და ახლა, იერუსალიმის მცხოვრებნო და იუდას კაცნო, გთხოვთ განმსაჯოთ მე: რა უნდა გამეკეთებინა მეტი ჩემი ვენახისათვის და არ გავუკეთე მას? რატომ ვესავდი, რომ ყურძენს მოისხამდა იგი, მაგრამ ველური ნაყოფი მოისხა? და ახლა კი გაუწყებთ თქვენ, თუ რას გავუკეთებ ჩემს ვენახს: შემოვაცლი მას კაწანს და იქნება საძოვრად, შემოვაცლი მას ღობეს და იქნება გასათელად. და უკაცრიელად ვაქცევ მას, და არ გაისხლება და არ გაიმარგლება; და გაიზრდება ის ნარ-ეკლად და ღრუბლებს ვუბრძანებ არ აწვიმონ მასზე წვიმა. რადგან უფალ ცაბაოთის ვენახი ისრაელის სახლია, და იუდას კაცი ნერგია მისი სიამისა; და ესავდა ის სამართალს და აჰა - ძალადობა! ესავდა სიმართლეს და აჰა - ღაღადი!" (ეს. 5:3-7).

უფალმა ღმერთმა მოსეს მეშვეობით თავის ხალხს განდგომილებისა და ღალატის შედეგზე მიუთითა. უზენაესის აღთქმის უარყოფით სიცოცხლის ღვთიური წყაროსაგან მოჰკვეთდა იგი საკუთარ თავს და უფლის კურთხევაც ვერ მისწვდებოდა. "და გაფრთხილდი, - მოუწოდებდა მოსე მათ, - რათა არ დაივიწყო უფალი ღმერთი, და აღარ დაიცვა მისი მცნებები, მისი სამართალნი, და მისი წესები, რომელთაც მე დღეს გიბრძანებ. როცა ჭამთ და გაძღებით, და აიშენებთ მშვენიერ სახლებს და მათში იცხოვრებთ, და გამრავლდება თქვენი მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, ვერცხლი და ოქრო გექნებათ ბევრი, და ყოველივე, რაც გაბადიათ გაგიმრავლდებათ, - არ გადიდგულდე და არ დაივიწყო, უფალი, შენი ღმერთი... და რომ არ თქვა შენს გულში: ჩემმა ძალამ და ჩემი ხელის სიმტკიცემ შემძინა მე ეს ქონება!.. და თუ დაივიწყებ უფალს, შენს ღმერთს, და გაჰყვები უცხო ღმერთების კვალს და ემსახურები, და თაყვანს სცემ მათ, მაშინ ვმოწმობ შენზე დღეს, რომ დაიღუპები; იმ ხალხებივით, რომელთაც უფალი ღუპავს თქვენს წინაშე, ასევე დაიღუპებით, თუ არ შეისმენთ უფლის, თქვენი ღმერთის, ხმას" (რჯლ. 8:11-20).

ყურად არ იღო ისრაელმა უფლის ეს სიტყვები; მაინც დაივიწყა უფალი ღმერთი და დაკარგა ამ წუთისოფელში მისი წარმომადგენლობის უდიდესი უპირატესობა. მათთვის მიცემული ღვთიური კურთხევანი არ იქცა მთელი წუთისოფლის კურთხევად. ყველა ეს უპირატესობა მხოლოდ თვითგანდიდებისათვის გამოიყენეს. და აღმოჩნდა, რომ იუდეველები ატყუებდნენ როგორც ღმერთს, რომელიც მათგან სიყვარულით მსახურებას ითხოვდა, ასევე მოყვასსაც წუთისოფელში, რადგან ვერ გაუწიეს რელიგიური ხელმძღვანელობა და ვერც სიწმიდის მაგალითი უჩვენეს. წარღვნამდელ ადამიანთა მსგავსად ისინიც მხოლოდ საკუთარ ბოროტ სურვილთა დაკმაყოფილებისათვის იღვწოდნენ; წმიდა რიტუალებს აყალბებდნენ და ამბობდნენ: "უფლის ტაძარია, უფლის ტაძარია, უფლის ტაძარია ეს!" (იერ. 7:4), მაგრამ იმავე დროს ღვთის სიტყვას ამახინჯებდნენ და უფლის წმიდა სახელსა და მის საწმიდარს შეურაცხყოფდნენ.

მევენახეებმა, რომელთაც უფალმა თავისი ვენახის მოვლა დაავალა, ვერ გაამართლეს უზენაესის ნდობა. ისრაელიანთა მღვდელმსახურნი და მოძღვარნი ვერ გახდნენ ერის ჭეშმარიტი მასწავლებლები; ვერ უჩვენეს ხალხს უფლის

ჭეშმარიტი სახე, მისი სათნო ხასიათი და გულმოწყალება; ვერც ის გააგებინეს, რომ უფალი მათგან სიყვარულსა და ერთგულ მსახურებას ითხოვდა. ისინი მხოლოდ თვითგანდიდებისაკენ ისწრაფოდნენ. ფაქტობრივად, ვენახში მოწეული ნაყოფის მითვისება განიზრახეს და ხალხისაგან ყურადღებისა და პატივისცემის დამსახურებას შეეცადნენ.
ისრაელის წინამძღოლთა დანაშაული არ ჰგავდა ჩვეულებრივი ცოდვილის დანაშაულს. მათ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ ღვთის წინაშე. მათ ერის მასწავლებლობა ითავეს, რათა ესწავლებინათ: "ასე ამბობს უფალი" და თავიანთი ყოველდღიური ცხოვრებით მორჩილების მაგალითი ეჩვენებინათ. მაგრამ ამის სანაცვლოდ ღვთის წმიდა წერილები დაამახინჯეს; ადამიანებს უსარგებლო ცერემონიების მძიმე ტვირთი აჰკიდეს, რაც მათ ცხოვრების ყველ წამს უწამლავდა. ადამიანებს მუდმივი შფოთვა და მოუსვენრობა სტანჯავდა იმის გამო, რომ არ შეეძლოთ რაბინთა ყველა მოთხოვნისა და დავალების შესრულება. და, რადგან მათთვის შეუძლებელი შეიქნა ადამიანის დადგენილებათა აღსრულება, უფლის მცნებების შესრულებაზეც აიღეს ხელი.
შემოქმედი ასწავლიდა თავის ხალხს, რომ ის იყო ვენახის პატრონი და ყველაფერი, რაც მათ გააჩნდათ, წარმოადგენდა უფლის საკუთრებას, რომელიც მისდამი მსახურებისათვის მიეცათ. მაგრამ ებრაელმა მღვდლებმა და მთავრებმა ეს წმიდა დავალება დანიშნულებისამებრ ვერ გამოიყენეს. ისინი სისტემატურად ძარცვავდნენ და ატყუებდნენ ღმერთს, ვინაიდან თვითნებურად ითვისებდნენ უფლის ამ უდიდეს საბოძვარს: წყალობასა და შესაძლებლობებს, რომელიც მისი საქმის აღსასრულებლად მიანდეს. მათი სიძუნწე და სიხარბე თვით წარმართთა შორისაც კი ზიზღს იწვევდა. ყოველივე ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ წარმართულ სამყაროს ცრუ წარმოდგენა შეექმნა ცოცხალ, ჭეშმარიტ ღმერთზე და მისი სასუფევლის კანონებზე.
მამაშვილური მოთმინებით ექცეოდა უფალი თავის ხალხს; სურდა, ზეგავლენა მოეხდინა მათს გულზე თავისი წყალობის მიცემითა თუ წართმევით. დაჟინებით მიუთითებდა მათს ცოდვებზე და მოთმინებით ელოდა, როდის შეიცნობდნენ და მოინანიებდნენ თავიანთ დანაშაულს; უგზავნიდა თავის წინასწარმეტყველთ და მაცნეთ, რომლებიც დაჟინებით ახსენებდნენ მათ, როგორც მევენახეებს, უფლის მოთხოვნების შესახებ, მაგრამ ვერ შეასმინეს. პირიქით, მათ მტრულად ხვდებოდნენ, დევნიდნენ და ხოცავდნენ. უფალი ახლა სხვებს უგზავნიდა, მაგრამ მათაც ისევე ექცეოდნენ, როგორც პირველთ, ოღონდ კიდევ უფრო მეტი სიძულვილით.
ბოლოს და ბოლოს, უფალმა უკანასკნელ საშუალებას მიმართა: თავისი ძე გაუგზავნა მათ, რადგან იფიქრა: "ჩემი ძისა მოერიდებათო". მაგრამ ადრინდელმა ურჩობამ გული ისე გაუსასტიკათ, რომ ერთმანეთს უთხრეს: "ეს მემკვიდრეა, მოდი, მოვკლათ იგი და დავისაკუთროთ მისი სამკვიდრებელი!" მათ ვენახის დასაკუთრება და მისი ნაყოფის საკუთარი სურვილისამებრ გამოყენება გადაწყვიტეს.
არ უყვარდათ უფალი ღმერთი იუდეველთ. ამიტომ განუდგნენ მას და უარყვეს ყველა მისი მცდელობა, აღედგინა თავისი სამართლიანი მოთხოვნები თავის საკუთრებაზე. ქრისტე, ღვთის საყვარელი ძე, მოვიდა როგორც ვენახის უფლებამოსილი მეპატრონე, მაგრამ მევენახეები აშკარა სიძულვილით შეხვდნენ

მას და თქვეს: ჩვენ არ გვსურს, რომ ეს კაცი ჩვენი ბატონი იყოს. შეშურდათ მათ ქრისტეს ხასიათის სილამაზე. მაცხოვრის სწავლების ამაღლებული მეთოდი არსებითად განსხვავდებოდა მათი სწავლებისაგან და არ სურდათ მისი წარმატება. იგი ასწავლიდა და მიტევებას სთავაზობდა მათ, ამხილებდა მათს პირმოთნეობასა და მათი საქმეების რეალურ შედეგს. ეს კი მათს რისხვას იწვევდა. მათთვის აუტანელი იყო მხილება, რომელსაც ვერაფრით უარყოფდნენ. მათ სძულდათ ქრისტეს საოცრად წმიდა და მართალი ხასიათი, რომელიც მის ყოველ სიტყვასა და საქმეში ვლინდებოდა. იმასაც კარგად ხედავდნენ, რომ მაცხოვრის სიტყვას სააშკარაოზე გამოჰქონდა მათი ფარული ეგოიზმი და მისი მოკვლა გადაწყვიტეს. მათ სძულდათ ქრისტეს უდიდესი სიმართლე, ღვთისმოსაობა და უზენაესი სულიერება, ყველა მის მოქმედებასა თუ სიტყვაში ასე აშკარად რომ მოჩანდა. მათი თავმოყვარეობა შელახულ იქნა ქრისტეს წმიდა ცხოვრებით. და, როცა დადგა ჟამი უკანასკნელი გამოცდისა, როცა მათ საბოლოო არჩევანი უნდა გაეკეთებინათ მორჩილებასა და დაუმორჩილებლობას - საუკუნო სიცოცხლისა და სამუდამო სიკვდილისაკენ მიმავალ გზებს შორის, - მათ უარყვეს ისრაელის წმიდა. როდესაც მათ შესთავაზეს არჩევანი ქრისტესა და ბარაბას შორის, ისინი ყვიროდნენ: "გაგვითავისუფლე ბარაბა" (ლუკ. 23:18). როდესაც პილატემ იკითხა: "იესოს რაღა ვუყო, ქრისტედ წოდებულს?" - ისინი კიდევ უფრო მეტად აყვირდნენ: "ჯვარს ეცვას!" (მათ. 27:22). პილატემ უთხრა მათ: "თქვენი მეფე ვაცვა ჯვარს?" - და მღვდელმთავრებისა და უხუცესებისაგან მიიღო პასუხი: "ჩვენ არ გვყავს მეფე, გარდა კეისრისა!" (იოან. 19:15). როდესაც პილატემ ხელები დაიბანა ხალხის წინაშე და თქვა: "უბრალო ვარ ამ მართლის სისხლისაგან", მღვდელმთავრებმა უმეცარ ბრბოსთან ერთად მტკიცედ განაცხადეს: "ჩვენზე და ჩვენს შვილებზე იყოს მაგის სისხლი" (მათ. 27:24,25). ისრაელის წინამძღოლებმა გააკეთეს თავიანთი არჩევანი. მათი გადაწყვეტილება ჩაწერილი იყო წიგნში, რომელიც იოანემ ტახტზე მჯდომარის ხელში იხილა და რომლის გადაშლაც ადამიანთაგან არავის შეეძლო. მათი ეს არჩევანი მთელი თავისი სისასტიკით წარდგება მათ წინაშე იმ საშინელ დღეს, როცა წიგნს გადაშლის ლომი იუდას ტომიდან.

ისრაელი ვერ ელეოდა იმ აზრს, რომ იგი ზეცის საყვარელი ერია; რომ იგი, როგორც ღვთის ეკლესია, მუდამ განდიდებული უნდა იყოს. ამაყობდნენ რა იმით, რომ აბრაამის შვილები არიან, საკუთარი კეთილდღეობის საფუძველს იმდენად მტკიცედ თვლიდნენ, რომ ეგონათ: ვერც ცა და ვერც დედამიწა ვერ შეარყევდა მათს უდიდეს უპირატესობებს. მაგრამ თავიანთი უწმიდური ცხოვრებით თავად ამზადებდნენ საკუთარ თავს ზეციური განკითხვისა და ღვთისაგან განდგომისათვის.

იგავში ბოროტ მიწისმუშაკებზე მაცხოვარმა ნათლად დაანახა მღვდელმსახურთ მათი საბოლოო ბოროტი გადაწყვეტილება და ბოლოს ასეთი კითხვა დაუსვა: "აბა, როცა ვენახის პატრონი მოვა, რას უზამს ამ მიწისმუშაკთ?" ისინი ისეთი დიდი ინტერესითა და გატაცებით უსმენდნენ ნაამბობს, რომ სრულებით ვერ დაუკავშირეს იგი საკუთარ თავს და სხვა მსმენელთან ერთად უპასუხეს: "ამ ბოროტეულთ ბოროტად დახოცავს და ვენახს გადასცემს სხვა მიწისმუშაკთ, რომლებიც ნაყოფს თავის დროზე მისცემენ".

უნებლიედ, არც კი დაფიქრებულან, ისე გამოუტანეს საკუთარ თავს განაჩენი. იესომ გამომცდელი მზერა მიაპყრო მათ, რითაც მიახვედრა, რომ მისთვის

ცნობილი იყო მათი გულის საიდუმლო ზრახვანი. უცბად მევენახეებში საკუთარი თავი ამოიცნეს და აღმოხდათ: "ღმერთო, დაგვიფარე!"
ღრმა მწუხარებითა და დანანებით უთხრა მათ იესომ: "ნუთუ არასოდეს წაგიკითხავთ წერილებში: ქვა, რომელიც მშენებლებმა დაიწუნეს, ქვაკუთხედად იქცა. უფლისაგან მოხდა ეს და საოცარია ჩვენს თვალში? ამიტომ გეუბნებით თქვენ, რომ წაგერთმევათ ღვთის სასუფეველი და მიეცემა ერს, რომელიც გამოიღებს თავის ნაყოფს. ის, ვინც ამ ქვაზე დაეცემა, დაილეწება, ხოლო ვისაც დაეცემა, გასრესს".
მაცხოვარი თავიდან ააცილებდა ებრაელ ერს ამ განაჩენს, მას რომ იგი მესიად მიეღო. მაგრამ შურმა და ეჭვმა შეურიგებელი და ულმობელი გახადა ეს ხალხი. და იესო ნაზარეველი ჭეშმარიტ ღვთის ძედ არ აღიარეს. უარყვეს წუთისოფლის ნათელი და ამიტომ უკუნმა წყვდიადმა მოიცვა ისინი. აღსრულდა მათთვის გამოტანილი განაჩენი; საკუთარმა მოუთოკავმა ბოროტებამ დაღუპა ეს ერი. ბრმა მძვინვარებით ანადგურებდნენ ერთმანეთს. მათმა მოუდრეკელმა ამპარტავნობამ და დაუმორჩილებლობის სულმა რომაელ დამპყრობთა რისხვა გამოიწვია. სრულად განადგურდა იერუსალიმი, ტაძარი ნანგრევებად იქცა; ადგილი კი, სადაც ის იდგა, მოხნულ მინდორს დაემსგავსა. საშინელი სიკვდილით იხოცებოდნენ იუდეველნი. მილიონობით ებრაელი ტყვედ იქნა გაყიდული წარმართთა ქვეყნებში.
ვერ შეასრულა ებრაელმა ერმა უფლის ჩანაფიქრი, ამიტომ წაერთვათ ვენახი. უპირატესობანი, რომელიც მათ ასე ბოროტად გამოიყენეს, მსახურება, რომელიც მათ არ ისურვეს - ყველაფერი სხვებს დაევალათ.

ჩვენი დროის ეკლესია
იგავი ბოროტ მიწისმუშაკებზე არა მხოლოდ ებრაელთა გასაგონად იყო თქმული. იგი ჩვენთვისაც დიდი გაკვეთილია. უფალმა ღმერთმა დღესაც უდიდესი პრივილეგიები და კურთხევა უბოძა თავის ეკლესიას და სათანადო ნაყოფსაც მოელის.
მეტად დიდი იყო ჩვენი გამოსყიდვის საფასური. მხოლოდ ამ უზარმაზარი მსხვერპლის სათანადოდ შეფასებით შევძლებთ ჩვენი გამოსყიდვის შედეგის შეცნობას. ამ დედამიწაზე, უფლის ძის ცრემლითა და სისხლით მორწყულ მიწაზე, სამოთხის ძვირფასი ნაყოფი უნდა აღმოცენდეს. ღვთის ხალხთა ცხოვრებაში მთელი თავისი დიდებით, ძლიერებითა და სრულყოფილებით უნდა გაცხადდეს ღვთის სიტყვის ჭეშმარიტება. ღვთის ხალხის მეშვეობით სრულად უნდა გამოვლინდეს მაცხოვრის ხასიათი და მისი სასუფევლის პრინციპები. სატანა კი ცდილობს, წინ აღუდგეს უფლის საქმეს და აიძულოს ადამიანები, მიიღონ მისი სატანური პრინციპები; იგი ცდილობს, მოტყუებულ ადამიანებად წარმოადგინოს უფლის რჩეული ხალხი. იგი ძმათა ცილისმწამებელია და მისი ბრალდება მართალთა წინააღმდეგაა მიმართული. უფალს სურს, თავისი ხალხის მეშვეობით გასცეს პასუხი სატანის ყველა ბრალდებას და მისი წმიდა და მართალი პრინციპებისადმი მორჩილების შედეგები წარმოაჩინოს.
ეს პრინციპები ყოველი ქრისტიანის ცხოვრებაში, ყოველ ოჯახში, ყოველ ეკლესიასა და ღვთისმსახურებისათვის შექმნილ ყველა დაწესებულებაში უნდა ვლინდებოდეს. ეს ყველაფერი იმის განსახიერება უნდა იყოს, რაც

წუთისოფლისათვის შეიძლება გაკეთდეს. სიმართლის ეს პრინციპები სახარების ჭეშმარიტებათა გადამრჩენელ ძალას უნდა წარმოაჩენდეს. ყოველივე ეს განსაზღვრულია იმის განსახორციელებლად, რაც უფალმა ღმერთმა წუთისოფლისათვის ჩაიფიქრა.
დიდად ამაყობდნენ ისრაელიანნი თავიანთი დიდებული ტაძრითა და რელიგიური ცერემონიალებით, მასში რომ ტარდებოდა. მაგრამ იქ არ იყო სამართლიანობა, გულმოწყალება და ღვთის სიყვარული. ვერც ტაძრის დიდებულებამ, ვერც მათი მსახურების ბრწყინვალებამ ვერ გაამართლა ისინი უფლის წინაშე; რადგან ისინი იმას არ სწირავდნენ, რაც ყველაზე ძვირფასი იყო მის თვალში - სული მორჩილი და მოდრეკილი. როდესაც სასუფევლის ღვთიური პრინციპები უფასურდება, რიტუალები უფრო მრავალფეროვანი და შთამბეჭდავი ხდება. როცა ხასიათის ჩამოყალიბების საკითხი თავის მნიშვნელობას კარგავს, როდესაც სულის მაღალი ზნეობრივი თვისებებით შემკობას ფასი აღარა აქვს, როცა ღვთისმოსაური უბრალოება დაკარგულია, - მაშინ ადამიანური სიამაყე და მისი გარეგნული ბრწყინვალებისაკენ სწრაფვა დიდებული ეკლესიების აგებას, ბრწყინვალე მორთულობას, შთამბეჭდავ ცერემონიებსა და რიტუალებს ითხოვს. მათში კი არ არსებობს ჭეშმარიტი ღვთისმოსაობა. ეკლესია, რომელიც მხოლოდ გარეგნული დიდებულებით, მოჩვენებითი ღვთისმოსაობითა და ბრწყინვალე ცერემონიებით შემოიფარგლება, მიუღებელია უფლისათვის. არც ზეცა ღებულობს ასეთ მსახურებას.
ეკლესია მეტად ძვირფასია უფლისათვის, მაგრამ არა მისი გარეგნული უპირატესობანი, არამედ ჭეშმარიტი, გულწრფელი ღვთისმოსაობა, რითაც იგი წუთისოფლისაგან განსხვავდება. მაცხოვარი ეკლესიას იმის მიხედვით აფასებს, თუ როგორ იზრდებიან მისი წევრები ქრისტეს შემეცნებაში; როგორ იზრდება და მრავლდება მათი სულიერი, ცოცხალი გამოცდილებები.
ჭეშმარიტი გულწრფელობისა და სიწმიდის ნაყოფის მიღება სურს მაცხოვარს თავისი ვენახიდან. სიყვარულისა და სიკეთის პრინციპებს ეძებს მასში. ხელოვნების ვერავითარი ნიმუში ვერ შეედრება ჭეშმარიტი ქრისტიანის სულის სილამაზესა და კეთილ თვისებებს. მადლის ატმოსფერო, რომელიც მორწმუნის სულს გარს აკრავს; სულიწმიდა, რომელიც მის გონებასა და გულს თავს დასტრიალებს, - მიწის მარილად აქცევს მას, მაცოცხლებელ ნელსურნელებად, რაც ადამიანის კურთხევის შესაძლებლობას აძლევს უფალს.
ღვთისმოსავთა საკრებულო, შესაძლოა, ყველაზე ღარიბად გამოიყურებოდეს მთელ დედამიწაზე; შესაძლოა, გარეგნული ბრწყინვალებაც აკლდეს; მაგრამ, თუკი მის წევრებს - დებსა და ძმებს, ქრისტეს ხასიათის თვისებები გააჩნიათ, მათ სულში მარადიული სიხარული დაისადგურებს. მათს ღვთისმსახურებას უფლის ანგელოზები შეუერთდებიან; მათი გულწრფელი მადლობის სიტყვები მისწვდება უფლის ყურს, როგორც მისთვის სასურველი შესაწირავი.
უფალს სურს, რომ მუდამ გვახსოვდეს მისი გულმოწყალება და ძლიერება. ჩვენი სამადლობელი სიტყვებითა და ხოტბით პატივს მივაგებთ მას. მაცხოვარი ამბობს: "მადლობის შემომწირავი განმადიდებს მე" (ფსალმ. 49:23). უდაბნოში მოგზაურობისას ისრაელიანნი წმიდა საგალობლებით ადიდებდნენ ღმერთს. მუსიკის ჰანგებზე ჰქონდათ მათ აწყობილი უფლის მცნებანი და აღთქმანი და მუდამ მას მღეროდნენ. ასევე შემდგომშიაც, ქანაანში, იკრიბებოდნენ რა წმიდა დღესასწაულებზე, უფლის საოცარ საქმეებს იხსენებდნენ და მადლობასა და

ხოტბას სწირავდნენ მის სახელს. უზენაესს სურდა, რომ მისი ხალხის მთელი ცხოვრება უფლის დიდება ყოფილიყო. "რათა შეიცნონ ქვეყნიერებაზე შენი გზები, რომ ყველა ხალხისთვის არის შენი შველა" (ფსალმ. 66:3).
ასე უნდა იყოს დღესაც. მაგრამ, სამწუხაროდ, დედამიწაზე ადამიანები ცრუ ღმერთებს სცემენ თაყვანს. ამიტომ მათ უნდა გავაგებინოთ მათი ცრუ მსახურების არსი, მაგრამ არა მათი კერპების დაგმობით, არამედ სხვა, უფრო უკეთესის ჩვენებით, რათა ადამიანებმა შეიცნონ ჭეშმარიტი ღმერთის სიკეთე და სათნოება. "თქვენა ხართ ჩემი მოწმენი, - სიტყვა უფლისა, - და მე ვარ ღმერთი" (ეს. 43:12).
უფალს სურს, რომ ღრმად შევიცნოთ კაცობრიობის გამოსყიდვის უდიდესი გეგმა, ბოლომდე გავაცნობიეროთ ჩვენი, როგორც ღვთის შვილთა, უდიდესი უპირატესობანი და ღრმა მადლიერება და მორჩილება გამოვიჩინოთ მის მიმართ. მისი სურვილია, განახლებული ცხოვრებით ვემსახუროთ მას და სიხარულით შევეგებოთ ყოველი ახალი დღის დადგომას. უფალს სურს, იხილოს ჩვენი გულწრფელი მადლიერება იმის გამო, რომ ჩვენი სახელები კრავის სიცოცხლის წიგნშია ჩაწერილი; იმის გამო, რომ შეგვიძლია, მთელი ჩვენი საზრუნავი მას, ჩვენს უზენაეს პატრონს, მივანდოთ. იგი მოგვიწოდებს, ვიხაროთ, ვინაიდან უფლის მემკვიდრენი ვართ; ვინაიდან ქრისტეს სიმართლე - ეს მის წმიდათა თეთრი სამოსელია; ვინაიდან გვასულდგმულებს ნეტარი სასოება ჩვენი მხსნელის მალე დაბრუნებისა.
მივაგოთ უფალს გულწრფელი დიდება და პატივი - ეს ჩვენი ისეთივე მოვალეობაა, როგორც ლოცვების აღვლენა. წუთისოფელსა და მთელ ზეციურ სამყაროს უნდა დავანახოთ, თუ რა დიდად ვაფასებთ დაცემული კაცობრიობისადმი უფლის საოცარი სიყვარულის გამოვლინებას და უფრო და უფრო მეტ კურთხევას ველით მისი უსასრულო სრულყოფილებისაგან. უფრო ხშირად, ვიდრე გვჩვევია, უნდა ვსაუბრობდეთ იმ უდიდეს ფასეულობებზე, რაც ღმერთმა ჩვენს ცხოვრებაში მოახდინა. თუკი ხშირად მოვუყვებით ადამიანებს უფლის დიდსულოვნებასა და მის მიერ თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის ჩადენილ საქმეებზე, მაშინ სულიწმიდა განსაკუთრებული ძალით მოგვეფინება, ჩვენი სიხარული უფალში უფრო გაიზრდება და ჩვენი მისადმი მსახურებაც უფრო ნაყოფიერი გახდება.
უფლის განდიდებისა და მისდამი მადლიერების სული, აძევებს რა ჩვენგან საყვედურებისა და უკმაყოფილების სულს, უკუაგდებს სატანის ძალებს. და მაცდურიც კარგავს ჩვენში თავის საყრდენს. ეს გამოცდილება ჩვენს ხასიათში ისეთ თვისებებს აყალიბებს, რომელნიც დედამიწის ბინადართ ზეციურ სავანეებში ცხოვრებისათვის ვარგისად აქცევს.
მსგავსი მოწმობა უფლის შესახებ სხვებზეც დიდ ზეგავლენას მოახდენს. არ არსებობს სხვა, ამ მოწმობაზე უფრო ეფექტური მეთოდი ადამიანების ქრისტესკენ მოქცევისა.
უფლის განდიდება ჩვენი რეალური, მეტად კონკრეტული მსახურებით უნდა ხდებოდეს. ყველა ღონეს უნდა ვხმარობდეთ იმისათვის, რომ მისი სახელი დიდებით შევმოსოთ. უფალი უხვად გვაძლევს თავის მადლსა და საბოძვარს, რათა იგი სხვებს გავუზიაროთ. ამგვარად ვამცნობთ მისი ხასიათის სილამაზეს მთელ წუთისოფელს. ებრაელთა საზოგადოებაში ძღვენი და შესაწირავი ღვთისმსახურების არსებით ნაწილს წარმოადგენდა. მათ ასწავლიდნენ, რომ

მთელი შემოსავლის მეათედი საწმიდარში მსახურებისათვის უნდა გაეღოთ. ამას გარდა, მათ უნდა გაეღოთ შესაწირავი ცოდვებისათვის, ნებაყოფლობითი ძღვენი და სამადლობელი შესაწირავები. ყველაფერი ეს იმ შორეულ წარსულში სახარების ქადაგებისათვის იყო საჭირო. ღმერთი დღესაც არანაკლებ გარჯასა და ძალისხმევას ითხოვს ჩვენგან, ვინაიდან ადამიანთა გადარჩენის საქმე მუდამ წარმატებით უნდა კეთდებოდეს. სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი საქმის აღსრულებისათვის დაუდგინა უფალმა თავის ხალხს მეათედი, ძღვენი და შესაწირავი. ყოველივე ეს სახარების ჭეშმარიტების გავრცელებისთვისაა დადგენილი. უფალმა გამოაცხადა, რომ მის მორწმუნეთა შემოსავლის მეათედი მას ეკუთვნის. და ეს იმ წმიდა მარაგად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც მის საგანძურში უნდა ჩაიდოს მისივე საქმის განსახორციელებლად. უფალი ღმერთი სხვა, ნებაყოფლობით და სამადლობელ შესაწირავსაც ითხოვს. ყველაფერი ეს მთელი დედამიწის შორეულ კუთხეებში სახარების გასავრცელებლად არის გამიზნული.
უფლისადმი მსახურება პირად მსახურებასაც გულისხმობს. ქრისტეს მოწოდება: "მოედეთ მთელს სოფელს და უქადაგეთ სახარება ყოველ ქმნილებას" (მარკ. 16:15), მისი ყოველი მორწმუნისკენაა მიმართული. ყოველი ადამიანი, ვინც ქრისტიანული ცხოვრებისთვისაა მოწოდებული, განწესებულია მოყვასის გადარჩენის საქმის აღსასრულებლად. ასეთი მორწმუნის გული ჰარმონიულადაა შერწყმული ქრისტეს გულთან; იგი ისეთივე სიყვარულს იგრძნობს მოყვასის მიმართ, როგორც ქრისტეს გააჩნია. მართალია, ყველა ერთნაირად ვერ იშრომებს ამ წმიდა საქმეში, მაგრამ ადგილი და საქმე ყოველი მათგანისათვის მოიძებნება. ძველი დროის ბიბლიური გმირები: აბრაამი, ისაკი, იაკობი და მოსე თავიანთი თავმდაბლობითა და სიბრძნით, იესო ნავეს ძე თავისი მრავალფეროვანი ნიჭებით - ყველანი ღვთის საქმეს აკეთებდნენ. უფლისათვის მნიშვნელოვანი იყო ყველაფერი - მირიამის მუსიკა, დებორას გაბედულება და ღვთისმოშიშობა, რუთის შვილური სიყვარული, სამუელის მორჩილება და ერთგულება, ელიას ურყევი რწმენა და ელისეს რბილი, დამატყვევებელი ზეგავლენა. ასეა ახლაც: ყველამ, ვისაც უფლის კურთხევა მიეცა, ჭეშმარიტი მსახურებით უნდა უპასუხოს მას. უფლის მიერ ბოძებული ყოველი ნიჭი უზენაესის სამეფოს განმტკიცებასა და მისი სახელის განდიდებას უნდა მოხმარდეს.
მან, ვინც ქრისტე საკუთარ მხსნელად მიიღო, საკუთარი ცხოვრებით უნდა დაამოწმოს სახარების ჭეშმარიტება და მისი მაცოცხლებელი, გადამრჩენელი ძალა. უფალი არაფერს ითხოვს ადამიანისაგან, ვიდრე თავისი საქმის შესასრულებლად ყოველმხრივ არ მოამზადებს მას. მხოლოდ ქრისტეს მადლით შევძლებთ იმის შესრულებას, რასაც უფალი ითხოვს. "ამით განდიდდება ჩემი მამა, - ამბობს მაცხოვარი, - თუ ბევრ ნაყოფს გამოიღებთ და ჩემი მოწაფეები იქნებით" (იოან. 15:8).
უფალი ღმერთი მთელ დედამიწას თავის ვენახად თვლის. და, თუმცა იგი დროებით ბოროტი უზურპატორის ხელთ აღმოჩნდა, მაინც უფლის საკუთრებაა. იგი უფალს ეკუთვნის არა მხოლოდ იმიტომ, რომ მის ხელთა ქმნილებაა, არამედ იმიტომაც, რომ მან გამოისყიდა. "რადგან იქამდე შეიყვარა ღმერთმა სოფელი, რომ მისცა თავისი ერთადერთი ძე" (იოან. 3:16). ამ ერთადერთი საბოძვარის წყალობით მიეცა სხვა დანარჩენი ადამიანებს. უფლის კურთხევას ყოველდღიურად იღებს წუთისოფელი. წვიმის ყოველი წვეთი, მზის ყოველი

სხივი, რომელიც ამ უმადურ კაცობრიობას ეგზავნება, ყოველი ფოთოლი, ყვავილი და ნაყოფი უფლის უდიდეს მოთმინებასა და უსაზღვრო სიყვარულზე მეტყველებს.
მაგრამ რას ღებულობს ყოველივე ამის სანაცვლოდ ჩვენი ზეციერი კეთილისმყოფელი? როგორ პასუხობენ ადამიანები უფლის მოწოდებას? ვის ემსახურება თავისი ცხოვრებით ადამიანთა უმრავლესობა? ისინი მამონას მსახურნი არიან. სიმდიდრის მოხვეჭა, საზოგადოებაში მაღალი ადგილი, ამქვეყნიური სიამტკბილობანი - აი ესაა მათი მიზანი. ისინი ქონებას იხვეჭენ არა მხოლოდ ადამიანების, არამედ თვით უზენაესის ძარცვით. ამა თუ იმ გზით შეძენილ სიმდიდრეს ისინი უმეტეს შემთხვევაში საკუთარი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად იყენებენ. ყველაფერს, რისი მიტაცებაც შეძლეს, თავიანთი ხარბი სულისა და დროსტარების სურვილთა დაკმაყოფილებისათვის იყენებენ.
წუთისოფელი დღესაც იმავე ცოდვას სჩადის, რომელმაც ძველი ისრაელი დაღუპა. ღვთისადმი უმადურობა, უზენაესის მიერ ბოძებულ კურთხევათა და შესაძლებლობათა არასწორად გამოყენება, უფლის ნიჭების ეგოისტური მისაკუთრება - ყოველივე ეს დანაშაული გახდა მიზეზი უფლის იმ უდიდესი რისხვისა, რომელიც ძველმა ისრაელმა თავის საქციელით გამოიწვია. იგივე მიზეზით დაიღუპება დღევანდელი წუთისოფელიც.
მხოლოდ იერუსალიმს როდი დასტიროდა მაცხოვარი, როცა ზეთისხილის მთიდან თავის რჩეულ ქალაქს გადმოჰყურებდა. იერუსალიმის დაღუპვაში იგი მთელი კაცობრიობის ხვედრს ხედავდა.
"ნეტავ ამ დღეს მაინც გცოდნოდა, რაც სამშვიდობოა შენთვის, მაგრამ ახლა ეს დაფარულია შენს თვალთაგან" (ლუკ. 19:42).
"ნეტავ ამ დღეს". ეს დღე დასასრულს უახლოვდება. წყალობისა და მადლის დრო მალე გასრულდება. ცაზე რისხვისა და შურისგების ღრუბლები გროვდება. უფლის მადლის უარმყოფელთა გარდაუვალი დაღუპვის დღე მოახლოვდა. ადამიანებს კი ღრმად სძინავთ. ადამიანებმა არ იციან მათი "მოხედვის ჟამი". სად უნდა იყოს უფლის ეკლესია ამ კრიტიკულ დღეებში? პასუხობენ კი მისი წევრები უფლის მოთხოვნებს? ასრულებენ კი ისინი უზენაესის დავალებას წუთისოფელში? ამცნობენ კი მას უფლის ჭეშმარიტ ხასიათს? იქცევენ კი თავიანთ მოძმეთა ყურადღებას ღვთიური შეწყალების უკანასკნელი გაფრთხილების ქადაგებით?
ადამიანებს საფრთხე ემუქრებათ. ბევრი იღუპება. მაგრამ რა ცოტანი არიან ქრისტეს ეგრეთ წოდებულ მიმდევართა შორის ისეთნი, ვისაც ნამდვილად აწუხებს ამ დაღუპულ ადამიანთა ბედი. კაცობრიობის ბედი სასწორზე ძევს. მაგრამ ეს ნაკლებად აღელვებთ მათ, ვინც თამამად აცხადებს, რომ ნამდვილად სჯერა იმ ყველაზე ყოვლისმომცველი და სრულყოფილი ჭეშმარიტებისა, რომელიც ოდესმე მოკვდავთათვის გაცხადებულა. ნაკლებად შეიმჩნევა მორწმუნეებში ის სიყვარული, რამაც ქრისტე აიძულა, დაეტოვებინა ზეციური სასახლე და ხორციელ ადამიანად ქცეულიყო, რათა განკაცებულს კაცობრიობა ღმერთთან მიეყვანა. უფლის ხალხშიც კი იჩენს თავს უგრძნობლობა და გახევება, რაც მათ თავიანთი მოვალეობის შეცნობაში უშლის ხელს.
ქანაანში შესვლისას ისრაელიანებმა ვერ განახორციელეს უფლის ჩანაფიქრი და სრულად ვერ დაისაკუთრეს აღთქმული მიწა. მიწების ნაწილობრივი დაპყრობით

დაკმაყოფილდნენ და საკუთარი გამარჯვების ნაყოფით იწყეს ტკბობა. ურწმუნოებისა და ადვილი გზით სიარულის მოყვარულებმა წინ წასვლისა და ახალი მიწების ათვისების ნაცვლად ცხოვრება უკვე დაკავებულ ტერიტორიაზე დაიწყეს. ასე დაიწყო მათი უფლისაგან განდგომა. უზენაესის ჩანაფიქრის შეუსრულებლობით ღმერთსაც ხელი შეუშალეს მათთვის აღთქმული კურთხევის აღსრულებაში. განა იგივეს არ აკეთებს დღევანდელი ეკლესია, რომელიც კარგად ხედავს, თუ როგორ სჭირდება სახარების ჭეშმარიტება მთელ წუთისოფელს, მაგრამ მისი წევრები, რომლებსაც თავი ქრისტიანებად მიაჩნიათ, მხოლოდ იქ იკრიბებიან, სადაც თავად დატკბებიან სახარებისეული უპირატესობით? ისინი ვერ გრძნობენ წინსვლის, ახალი სივრცეების ათვისებისა და ახალ ადგილებში სახარების ქადაგების საჭიროებას. ისინი, ფაქტობრივად, უარს ამბობენ ქრისტეს მოთხოვნის აღსრულებაზე: "მოედეთ მთელს სოფელს და უქადაგეთ სახარება ყოველ ქმნილებას" (მარკ. 16:15). განა ისინი იუდეველთა ეკლესიაზე ნაკლებად დამნაშავენი არიან?

ქრისტეს ყოველი მიმდევარი აუცილებლად გამოიცდება ზეცის წინაშე. მაგრამ უფლის საქმეების მიმართ გულგრილობისა და სისუსტის გამო ისინი ვერ წარდგებიან ერთგულ მსახურებად. მათ რომ მთელი გულმოდგინებით გაეკეთებინათ ის, რისი გაკეთებაც შეეძლოთ, არავითარი მსჯავრი არ დაედებოდათ; დავალების ერთგულად შესრულებით უფრო მეტის გაკეთებას შეძლებდნენ; ამ ადამიანებმაც და წუთისოფელმაც კარგად იციან, რომ ქრისტიანებს დაკარგული აქვთ თავგანწირვისა და საკუთარი ჯვრის ტარებისათვის მზადყოფნის სული. ზეციურ წიგნებში მათი სახელების გასწვრივ ჩაიწერება: "არა მუშაკი, არამედ მომხმარებელი". ბევრი მათგანი, ვინც ქრისტეს სახელს ატარებს, მალავს ადამიანთა წინაშე მაცხოვრის სიდიადეს, სილამაზესა და დიდებულებას.

ბევრი ადამიანია დღეს წუთისოფელში, რომელთა სახელი საეკლესიო წიგნშია შეტანილი, მაგრამ ისინი მაცხოვრის ხელმძღვანელობას არ ემორჩილებიან; არ ისმენენ მის რჩევა-დარიგებებს და არც მის დავალებებს ასრულებენ. აქედან გამომდინარე, ისინი კაცობრიობის მტრის მმართველობის ქვეშ იმყოფებიან; სიკეთეს პირდაპირ და გახსნილად არ ემსახურებიან და, ფაქტობრივად, უდიდესი და ურიცხვი ზიანი მოაქვთ. ვინაიდან მათი ზეგავლენა არ წარმოადგენს სიცოცხლის სურნელს სასიცოცხლოდ, იგი სიკვდილის სურნელია სასიკვდილოდ.

უფალი ამბობს: "და ამათ გამო არ დაგსჯით?" (იერ. 5:9). ვინაიდან ისრაელიანებმა უფლის განზრახვა ვერ შეასრულეს, უფალმა ღმერთმა დატოვა ისინი და თავისი საქმის შესასრულებლად სხვებს მოუხმო. და, თუკი ისინიც ორგულნი აღმოჩნდებიან, განა მათაც არ შეაქცევს ზურგს უფალი?

იგავში ბოროტი მიწისმუშაკების შესახებ ქრისტემ მევენახეებს დასდო ბრალი. ეს მათ არ დაუბრუნეს პატრონს მისი მიწის ნაყოფი; ესენი იყვნენ ებრაელი ერის მღვდელმსახურნი და მასწავლებლები, რომელთაც ხალხი სიცრუის გზით მიჰყავდათ და რომელნიც, ფაქტობრივად, ატყუებდნენ ღმერთს იმ მსახურებაში, უფალი მათგან რომ ითხოვდა. სწორედ მათი წყალობით განუდგა ხალხი ქრისტეს.

მორჩილების უდიდეს საზომად ქრისტემ ადამიანთა ტრადიციებისაგან განწმედილი უფლის რჯული წარმოგვიდგინა, რამაც რაბინთა უკმაყოფილება და

მტრული განწყობა გამოიწვია. მათ ადამიანთა მოძღვრებები უფლის სიტყვაზე მაღლა დააყენეს და ხალხსაც ასე ასწავლიდნენ, რითაც ადამიანები ღმერთს დააშორეს. მათ აღარ ისურვეს თავიანთი წესების მიტოვება და ღვთის სიტყვის მოთხოვნათა აღსრულება. თვით ჭეშმარიტების გულისთვისაც კი ვერ მიატოვეს თავიანთი გონების სიამაყე და ადამიანთაგან მიღებული დიდება. როდესაც ქრისტე მოვიდა და ხალხს თავისი მოთხოვნები წარუდგინა, მღვდლებმა და უხუცესებმა უარყვეს მისი უფლებამოსილება, ჩამდგარიყო მათსა და ხალხს შორის; არ მიიღეს მისი მხილება და გაფრთხილება და ყველა ღონე იხმარეს, რათა ხალხი მის წინააღმდეგ აემხედრებინათ და დაეღუპათ.
ისრაელიანთა რელიგიური წინამძღოლები პასუხისმგებელნი არიან ქრისტეს უარყოფისა და მისგან გამომდინარე შედეგებისათვის. ერის დანაშაულისა და დაღუპვისათვის პასუხი მათ მოეთხოვებათ.
განა დღესაც არ მოქმედებენ მსგავსი ძალები? განა უფლის დღევანდელი მევენახეები იუდეველთა წინამძღოლებს არ ემსგავსებიან? განა დღევანდელი რელიგიური მასწავლებლები სიცრუეს არ ასწავლიან, როცა აცხადებენ, რომ დღეს უფლის რჯულის შესრულება აუცილებელი არ არის? განა ისინი უფლის წინააღმდეგ არ განაწყობენ ადამიანებს იმის სანაცვლოდ, რომ ღვთის რჯულისადმი მორჩილება ასწავლონ? დღეს მრავალი ეკლესიის კათედრიდან გაისმის სწავლება იმის შესახებ, რომ ადამიანები უფლის რჯულის ბორკილებიდან გათავისუფლებულნი არიან. უფლის რჯულის ნაცვლად მყარად იდგამს ფესვებს ადამიანთა ტრადიციები, დადგენილებანი და წეს-ჩვეულებანი. უფლის მოთხოვნები უგულებელყოფილია; სანაცვლოდ კი მოწონებას იწვევს თვითკმაყოფილება და სიამაყე იმის გამო, რომ მათ აქვთ უფლის წყალობა და მადლი; უფლის მოთხოვნები კი უარყოფილია.
სამწუხაროდ, ადამიანებს არ ესმით, თუ რას მოუტანს ღმერთის რჯულის უარყოფა. უფლის რჯული - ეს უზენაესის ხასიათის ანარეკლია. მასში განსახიერებულია მისი სასუფევლის პრინციპები და ის, ვინც მათ მიღებაზე უარს აცხადებს, უფლის უდიდეს კურთხევათა გარეშე რჩება.
ისრაელისათვის ბოძებულ შესანიშნავ შესაძლებლობათა განხორციელება მხოლოდ უფლის მცნებების მორჩილებითაა შესაძლებელი. მხოლოდ მათი შესმენითა და აღსრულებით შეიძლება მოგვეცეს ჩვენც ხასიათის იგივე დიდებული თვისებები და კურთხევათა იგივე სისრულე - კურთხევა გულის, გონებისა და სხეულისათვის; კურთხევა ჩვენი სახლებისა და ყანებისათვის; კურთხევა ამქვეყნიური და მომავალი ცხოვრებისათვის.
სულიერ სამყაროში, ისევე, როგორც ბუნების წიაღში, ნაყოფის მიღება მხოლოდ უფლის მცნებების აუცილებელი დაცვითაა განპირობებული. როცა ადამიანებს უფლის რჯულის უარყოფას ასწავლიან, ისინი ხელს უწყობენ იმაში, რომ ღვთის სადიდებლად ნაყოფი არ გამოიღონ. და ეს მასწავლებლები დამნაშავენი არიან, რომ უფალი ღმერთი თავის ვენახიდან ნაყოფს ვერ ღებულობს.
უფლის მაცნენი ჩვენთან ღვთის დავალებით მოდიან. და, ქრისტეს მსგავსად, ჩვენგან ღვთის სიტყვისადმი მორჩილებას ითხოვენ; გვიხსნიან, თუ რა უფლებამოსილება გააჩნია მაცხოვარს თავისი ვენახის ნაყოფზე - სიყვარულის, მორჩილებისა და თავდადებული მსახურების ნაყოფზე. მაგრამ განა არ ღიზიანდებიან და იუდეველ წინამძღოლთა მსგავსად რისხვით არ ინთებიან დღევანდელი მევენახეებიც? განა ეს მასწავლებლები მთელ თავის ავტორიტეტს

იმას არ ანდომებენ, რომ ადამიანებს ამ რჯულის უარყოფისაკენ მოუწოდონ, როცა მათ წინაშე მის მოთხოვნათა შესრულების აუცილებლობა იჩენს თავს? სწორედ ასეთ ადამიანებს უწოდებს უფალი ბოროტ მსახურთ.
ძველი ისრაელისადმი მიმართული უფლის ეს სიტყვები საყოველთაო, მკაცრი გაფრთხილებაა დღევანდელი ეკლესიისა და მის წინამძღოლთათვის. სწორედ ისრაელისთვისაა ნათქვამი უფლის ეს სიტყვები: "დავუწერე მას მთავარი რჯული, მაგრამ უცხოდ შერაცხა იგი" (ოს. 8:12). ეს მღვდელმსახურებსა და ხალხის მასწავლებლებს მიმართავს უფლის ხმა: "მოისპობა ჩემი ერი უმეცრების გამო, რადგან შენ უარჰყავი ღვთის ცოდნა, და მეც გადაგაყენებ ჩემი მღვდლობისაგან. დავიწყებული გაქვს ჩემი რჯული და მეც დავივიწყებ შენს შვილებს" (ოს. 4:6).
მიაქცევენ კი უფლის ამ გაფრთხილებას სათანადო ყურადღებას? გამოიყენებენ კი მიცემულ შესაძლებლობებს უფლის ჭეშმარიტი მსახურებისათვის? ხომ არ შეაყოვნებს ამ მსახურებისაგან წუთისოფლის ამპარტავნობა, გონების სიამაყე, ადამიანთა ჩვეულებებისა და ტრადიციებისადმი კომპრომისი ქრისტეს მიმდევართ? ხომ არ უარყოფენ ისინიც ღვთის სიტყვას ისევე, როგორც ოდესღაც ისრაელიანთა წინამძღოლებმა - ქრისტე? ძველი ისრაელის დანაშაულის შედეგი სახეზეა. მიიღებს კი ამ გაფრთხილებას თანამედროვე ეკლესია?
"ხოლო თუ ზოგი რტო გადატყდა და შენ, ველურო ზეთისხილო, დაემყენ მათ ადგილას და გახდი ზეთის ხილის ფესვისა და წვენის თანაზიარი, ნუ იამპარტავნებ რტოთა წინაშე... ისინი გადატყდნენ, ვინაიდან არ სწამდათ, შენ კი დგახარ რწმენით. ნუ გაამაყდები, არამედ გეშინოდეს. ვინაიდან, თუ ღმერთმა არ დაინდო ბუნებრივი რტოები, შენც არ დაგინდობს" (რომ. 11:17-21).

## თავი 24 - საქორწილო სამოსლის გარეშე

მათ. 22:1-14

იგავი საქორწინო სამოსლის შესახებ მეტად მნიშვნელოვან გაკვეთილს გვასწავლის. ქორწინება ადამიანურისა და ღვთაებრივის კავშირს გულისხმობს; საქორწინო სამოსელი კი აქ წარმოგვიდგენს ხასიათის იმ თვისებებს, რომელსაც უნდა ფლობდეს ამ უზენაეს ნადიმზე მოწვეული სტუმარი.
ეს იგავი, უდიდეს პურობაზე წვეულთა შესახებ იგავის მსგავსად, წარმოგვიდგენს ღვთის მადლის სახარებისეულ მოწოდებას, რომელიც ებრაელმა ერმა უარყო და რომელიც წარმართებს მიეცათ. მაგრამ, მიგვითითებს რა მისი მოწვევის უარმყოფლებზე, იგავი ღვთიური ჭეშმარიტების უფრო დიდ გმობასა და უფრო საშინელი შურისგების შესახებ გვესაუბრება. იგავში მეფე ნადიმზე იწვევს თავის ქვეშევრდომთ. მოწვევა მოდის იმ პიროვნებისაგან, რომელსაც ბრძანების გაცემის უფლებამოსილება გააჩნია. ეს მოწვევა უდიდესი პატივია წვეულთათვის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს პატივი სათანადოდ არ იქნა შეფასებული. შელახულ იქნა მეფის ავტორიტეტი. თუკი იმ იგავში, რომელიც დიდ პურობაზე წვეულთა შესახებ მოგვითხრობს, სახლის პატრონის

მოპატიჟებას გულგრილად შეხვდნენ, აქ მეფე შეურაცხყვეს და მის მოწოდებას მკვლელობითაც კი უპასუხეს: უფლის მაცნენი "შეიპყრეს... შეურაცხყვეს და დახოცეს".
იგავში, რომელიც დიდ პურობაზე წვეულთა შესახებ მოგვითხრობს, მის მიმართ ასეთი გულგრილი დამოკიდებულებით განაწყენებულმა ბატონმა განაცხადა, რომ არც ერთი მათგანი ვახშამზე აღარ დაიშვება. ამ იგავში კი ადამიანებმა, რომელთაც მეფის ბრძანება აბუჩად აიგდეს, უფრო დიდი სასჯელი დაიმსახურეს, ვიდრე უბრალოდ წვეულ სტუმართა სიიდან ამოშლაა: მეფე "განრისხდა, გაგზავნა თავისი ლაშქარი და ამოჟლიტა ის კაცისმკვლელნი, მათი ქალაქი კი ცეცხლს მისცა".
ორივე იგავში ნადიმზე საბოლოოდ მრავალი სტუმარი იყრის თავს; მაგრამ მეორე იგავში ნაჩვენებია, რომ ყველა წვეულმა რაღაც გარკვეული მომზადება უნდა გაიაროს. და ის, ვინც ნადიმისათვის არ მოემზადა, იქიდან გაძევებულ იქნა. "მეფე შევიდა სტუმრების სანახავად და დაინახა იქ კაცი, რომელსაც საქორწილო სამოსელი არ ეცვა, უთხრა მას: მეგობარო, აქ როგორ შემოხვედი, საქორწილო სამოსელი რომ არ გაცვია? ის კი დუმდა. მაშინ უთხრა მეფემ თავის მსახურებს: გაუკარით მაგას ხელ-ფეხი და გადააგდეთ გარესკნელის ბნელში. იქ იქნება მოთქმა და კბილთა ღრჭენა".
საქორწილო ნადიმზე მოწვევა ადამიანებს ქრისტეს მოციქულთა მეშვეობით გადაეცა. ჩვენმა მაცხოვარმა წუთისოფელში გაგზავნა ჯერ თორმეტი, შემდეგ კი თავისი სამოცდაათი მოწაფე იმის სახარებლად, რომ მოახლოვდა ცათა სასუფეველი და მოუწოდა, მოენანიებინათ და ერწმუნათ მისი სახარება. მაგრამ მისი ეს მოწოდება უყურადღებოდ დარჩა. წვეულნი ნადიმზე არ მოვიდნენ; მეფემ კვლავ გაგზავნა მსახურნი სათქმელად: "აჰა, მოვამზადე ჩემი სერობა, ჩემი ხარები და ნასუქალი პირუტყვი დაკლულია, ყველაფერი მზად არის, გვეწვიეთ ქორწილში!" ეს იყო მიმართვა იუდეველი ხალხისადმი ქრისტეს ჯვარცმის შემდგომ. მაგრამ ხალხმა, რომელიც თავს განსაკუთრებულ, ღვთის რჩეულ ერად აცხადებდა, უარყო სულიწმიდის ძალით მიწოდებული ჭეშმარიტება. ბევრმა ზიზღით აქცია მას ზურგი. ბევრი კი ისე გააღიზიანა ამ გადარჩენისა და უფლის დიდების უარყოფის გამო ჩადენილი ცოდვების მონანიებისაკენ მოწოდებამ, რომ სახარების მაცნეებზე გაილაშქრეს. "მოხდა... დიდი დევნა" (საქმე. 8:1). მრავალი მორწმუნე, კაცი თუ ქალი, საპყრობილეში იქნა ჩაგდებული, ხოლო უფლის ზოგიერთი მაცნე, მათ შორის სტეფანე და იაკობი, მოკლეს.
ამგვარად დაამტკიცა იუდეველმა ერმა, რომ არ სურდა ღვთიური წყალობის მიღება. თავის იგავში ქრისტემ იწინასწარმეტყველა ამ უარყოფის საშინელი შედეგი. მეფე "განრისხდა, გაგზავნა თავისი ლაშქარი და ამოჟლიტა ის კაცისმკვლელნი, მათი ქალაქი კი ცეცხლს მისცა". აქ წარმოთქმული განაჩენი ებრაელთა ცხოვრებაშიც ზუსტად აღსრულდა: მალე იერუსალიმი დანგრეულ იქნა, მისი მცხოვრებნი კი სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ.
მესამე მოწოდება, იგავის მიხედვით, სახარების წარმართთა შორის გავრცელებას ნიშნავს. მეფემ ბრძანა: "ეს ქორწილი მზად არის, მაგრამ მოწვეულები არ იყვნენ ღირსნი. ამიტომ გადით გზაჯვარედინებზე და ყველა, ვინც შემოგხვდეთ, მოიწვიეთ ქორწილში".

მეფის მსახურნი "გავიდნენ... გზებზე და შეკრიბეს ყველა, ვინც კი შემოხვდათ, ბოროტი თუ კეთილი". ეს საკმაოდ ჭრელი საზოგადოება იყო. მათ შორის იყვნენ ისეთნიც, რომელნიც არანაკლები უპატივცემულობით ეპყრობოდნენ მასპინძელს, ვიდრე მოწვევის პირველი უარმყოფელნი. როგორც პირველწვეულნი იყვნენ უძლურნი, ფიქრობდნენ რა, რომ თავიანთ ამქვეყნიურ საქმეებს ნადიმში მონაწილეობისათვის ვერ მიატოვებდნენ, ასევე უკანასკნელი მოწოდებით თავშეყრილთა შორისაც ბევრი საკუთარ სარგებელზე ფიქრობდა. ისინი ნადიმზე კი მოვიდნენ, რათა დიდებულად მოელხინათ, მაგრამ სულაც არ სურდათ, პატივი მიეგოთ მეფისათვის, რომელმაც მოწვევა გაუგზავნა.
როდესაც "მეფე შევიდა სტუმრების სანახავად", ყველა წვეულის ჭეშმარიტი ხასიათი აშკარად გამოვლინდა. ყოველ მათგანს მეფემ საჩუქრად საქორწილო ტანსაცმელი მოუმზადა. ამ ტანსაცმლით ნადიმზე მოსვლა მასპინძლის პატივისცემას ნიშნავდა. მაგრამ სტუმართაგან ერთ-ერთმა არ მოისურვა მისი ჩაცმა და წვეულებაზე ჩვეულებრივ, თავისი ტანსაცმლით მოვიდა. იგი წვეულებისათვის ისე არ მოემზადა, როგორც ამას მეფე ითხოვდა. მან უარი თქვა სამოსელზე, რომელიც, დიდი ღირებულების მიუხედავად, მოუმზადა მას მასპინძელმა, რითაც თავისი ბატონი შეურაცხყო. მეფის კითხვას: "აქ როგორ შემოხვედი, საქორწილო სამოსელი რომ არ გაცვია?" - მან დუმილით უპასუხა, რითაც საკუთარ თავს თავად გამოუტანა განაჩენი. მაშინ მეფემ ბრძანა: "გაუკარით მაგას ხელ-ფეხი და გადააგდეთ გარესკნელის ბნელში".
მეფის მიერ ნადიმზე წვეულთა შემოწმება უფლის სამსჯავროს სიმბოლოა. სახარებისეულ ნადიმზე მოსულნი - ეს ისინი არიან, ვინც თავი ღვთის მსახურად გამოაცხადა და ვისი სახელებიც სიცოცხლის წიგნშია ჩაწერილი. მაგრამ ყველა, ვინც თავს ქრისტიანს უწოდებს, როდია მისი ჭეშმარიტი მოწაფე. მანამ, სანამ მათ საბოლოო საზღაური მიეცემათ, უნდა გადაწყდეს, რომელი მათგანი გამოდგება ჭეშმარიტების მემკვიდრედ. ეს გადაწყვეტილება ქრისტეს მეორედ მოსვლამდე, მის ციურ ღრუბლებზე გამოჩენამდე უნდა გაკეთდეს. რადგან მაცხოვარი ამბობს: "აჰა, მოვალ მალე და ჩემი საზღაური ჩემთან არის, რათა თითოეულს მისი საქმეებისამებრ მივუზღა" (გამოცხ. 22:12). ჯერ კიდევ მის მოსვლამდე განიხილება და შეფასდება ყოველი ადამიანის საქმე და ყოველ ქრისტიანს თავისი საქმეების მიხედვით მიეზღვება.
იმ დროს, როცა ადამიანები ჯერ კიდევ დედამიწაზე ცხოვრობენ, ზეცაში კვლევითი სამსჯავრო მიმდინარეობს. უფალმა თავად უნდა შეამოწმოს ყოველი ადამიანის საქმე, რომელიც თავს ქრისტიანს უწოდებს. ყოველი საქმე ზეციურ წიგნებში არსებული ჩანაწერების მიხედვით განიხილება და ამ ჩანაწერებით გადაწყდება თითოეულის საუკუნო ხვედრი.
საქორწილო სამოსელი იგავში სიმბოლურად წარმოადგენს წმიდა, უნაკლო ხასიათს, რომელიც ჭეშმარიტ ქრისტიანებს ექნებათ. ქრისტეს ეკლესიას მიეცა "რომ ჩაეცვა ნათელი და წმიდა ბისონი, ვინაიდან წმიდა ბისონი წმიდანთა სამართლიანობაა" (გამოცხ. 19:8), რათა "არ ჰქონოდა მწიკვლი ან მანკი, ან რაიმე მისი მსგავსი" (ეფეს. 5:27). ბისონი - ეს თავად ქრისტეს სიმართლეა, მისი უმწიკვლო ხასიათი, რომელიც თავისი რწმენით ეძლევა ყველას, ვინც ქრისტეს თავის პირად მხსნელად ღებულობს.
უმანკოების თეთრ სამოსელს ატარებდნენ ჩვენი წინაპრები, როდესაც უფალმა ისინი ედემის ბაღში დაასახლა. მაშინ ისინი უფლის ნებასთან სრული

თანხმობით ცხოვრობდნენ. მათი სიყვარული სრულად ეკუთვნოდა ღმერთს. საოცარი ღვთიური სინათლით იყო შემოსილი ეს წმიდა წყვილი. ეს სამოსელი ადამისა და ევას ზეციური სიწმიდისა და უმანკოების, მათი სულიერი სამოსის სიმბოლო იყო. მათი უფლისადმი მარადიული ერთგულების შემთხვევაში ისინი მუდამ ამ სამოსით იქნებოდნენ შემოსილნი. მაგრამ, როდესაც ცოდვა ჩაიდინეს, ღმერთთან კავშირი გაწყვიტეს და ზეციური ნათელიც შემოეცალათ. შერცხვათ ადამსა და ევას თავიანთი სიშიშვლისა, გადააბეს ლეღვის ფოთლები, გაიკეთეს გარშემოსარტყლები და სცადეს, შიშველი სხეული ამით დაეფარათ.
და, იმ დღიდან მოყოლებული, დღემდე ასე იქცევიან უფლის რჯულის დამრღვევნი; საკუთარ სიშიშვლეს ლეღვის ფოთლებით იფარავენ; საკუთარი ხელით შექმნილი სამოსით იმოსებიან და ცდილობენ, საკუთარი საქმეებით დაფარონ თავიანთი დანაშაული, რათა უფლისათვის მისაღებნი გახდნენ. მაგრამ ამას ვერასოდეს მიაღწევენ. ადამიანი ვერასოდეს შექმნის ისეთ რაიმეს, რაც მისი უმწიკვლობის სამოსელს შეცვლის. ვერც ლეღვის ფოთლების სამოსით, ვერც ნებისმიერ ამქვეყნიურ ტანსაცმელში ვერ დაჯდება იგი ქრისტესა და მის ანგელოზთა გვერდით კრავის საქორწილო ნადიმზე.
მხოლოდ თავად მაცხოვრის მიერ ჩვენთვის მომზადებულ სამოსელში შეგვიძლია, წარვდგეთ ღმერთის წინაშე. ესაა ქრისტეს სიმართლის სამოსელი, რომელსაც იგი ყოველ თავის მორწმუნეს ჩააცმევს. "მე გირჩევ, - ამბობს მაცხოვარი, - იყიდო ჩემგან... თეთრი შესამოსლები, რომ შეიმოსო და აღარ ჩანდეს შენი სიშიშვლის აუგი" (გამოცხ. 3:18).
ესაა ზეცაში მოქსოვილი სამოსელი, რომელსაც ადამიანის ხელით ერთი ძაფიც არა აქვს გაყრილი. წუთისოფელში ხორციელად მოსულ ქრისტეს თავისი სრულყოფილი ხასიათით სურს ჩვენი შემოსვა. "წვირიანი სამოსელივით გახდა ყოველი ჩვენი სიქველე" (ეს. 64:6). ყველაფერი, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ცოდვითაა დასვრილი. მაგრამ უფლის ძე მოვიდა, "რათა ეტვირთა ჩვენი ცოდვები, და... მასში არ არის ცოდვა". ცოდვა "ურჯულოებაა", ქრისტე კი რჯულის ყოველ მოთხოვნას ემორჩილებოდა. მან საკუთარ თავზე თქვა: "შენი სურვილის შესრულება მინდოდა, ღმერთო, და რჯული შენი ჩემს გულშია" (ფსალმ. 39:9). დედამიწაზე ყოფნისას მან თავის მოწაფეებს უთხრა: "მე დავიცავი ჩემი მამის მცნებები" (იოან. 15:10). ღვთის მცნებების სრული მორჩილებით მაცხოვარმა ყველას მისცა მათი დაცვის შესაძლებლობა. როდესაც მაცხოვარს სრულად ვემორჩილებით, მაშინ ჩვენი გული ჰარმონიულად ერწყმის მის გულს, ჩვენი ნება - მის ნებას, ჩვენი  გონება - მის გონებას, ჩვენი აზრები - მის აზრებს და ჩვენ მისი ცხოვრებით ვცხოვრობთ. სწორედ ეს ნიშნავს ქრისტეს სიმართლით შემოსვას. და, როცა უფალი კვლავ გვიცქერს, იგი ხედავს არა ლეღვის ფოთლების სამოსელს, არა ცოდვით დამახინჯებულ სიშიშვლეს, არამედ საკუთარი სიმართლის სამოსს, რომელიც იეჰოვას რჯულისადმი სრულ მორჩილებას წარმოადგენს.
მეფემ ყურადღებით გადახედა საქორწილო ნადიმზე წვეულთ და მასზე მხოლოდ ისინი დატოვა, ვინც მის მოთხოვნას დამორჩილდა და საქორწილო სამოსი ჩაიცვა. იგივე ელის კრავის საქორწილო ნადიმზე წვეულთ. ყოველი მათგანი უნდა წარდგეს უზენაესის გამომცდელი თვალის წინაშე და მასზე მხოლოდ ისინი დარჩებიან, ვინც ქრისტეს სიმართლის სამოსით შეიმოსა.

სიმართლე მართალ საქმეთა კეთებას ნიშნავს. სწორედ საქმეების მიხედვით მიეზღვება ყველას. ჩვენი ხასიათი ჩვენს საქმეებში ვლინდება; სწორედ ჩვენი საქმეები ადასტურებს ჩვენი რწმენის გულწრფელობას.
საკმარისი არაა, მხოლოდ ის გჯეროდეს, რომ იესო თვითმარქვია არ იყო; რომ ბიბლიური რელიგია ოსტატურად შეთხზული მითი არ არის. შესაძლოა, ისიც დავიჯეროთ, რომ სწორედ ქრისტეა ის ერთადერთი სახელი მთელ სამყაროში, რომლითაც ადამიანი გადარჩება, მაგრამ საკუთარ მხსნელად არ მივიღოთ. საკმარისი არაა ჭეშმარიტების მხოლოდ თეორიულად მიღება; საკმარისი არაა, თავი ქრისტეს მორწმუნედ გამოაცხადო და ეკლესიის წევრთა სიაში გაერიო. მხოლოდ "მისი (ქრისტეს) მცნებების დამცველი რჩება მასში, ის კი - მასში". "იმით გავიგებთ, რომ შევიცანით იგი, თუ დავიცავთ მის მცნებებს" (1იოან. 3:24; 2:3). ასეთია ადამიანის ჭეშმარიტი მოქცევის ჭეშმარიტი მოწმობა. ჩვენი ლაპარაკი საკუთარი სიმართლის შესახებ არაფრად ღირს, თუკი ჩვენს ყოველდღიურ საქმეებში ქრისტე არ ვლინდება.
ჭეშმარიტება ჩვენს გულში უნდა დაფუძნდეს. მან უნდა უხელმძღვანელოს ჩვენს გონებას და გააკონტროლოს ჩვენი გრძნობები. მთელ ჩვენს არსებას ღვთიურობის ბეჭედი უნდა აჩნდეს. უფლის ყოველი სიტყვა ჩვენს ყოველდღიურ საქმეებში უნდა განხორციელდეს.
ის, ვინც ღვთიური არსის მოზიარე ხდება, მუდამ თანხმობაში იქნება მისი სიმართლის უდიდეს საზომთან - მის წმიდა რჯულთან. სწორედ ამ რჯულით ხდება ადამიანთა საქმეების შეფასება. სწორედ მისით გამოიცდება ჩვენი ხასიათი სამსჯავროს წინაშე.
დღეს ბევრი თვლის, რომ ქრისტეს სიკვდილმა რჯული გააუქმა. მაგრამ ისინი თავად მაცხოვრის სიტყვებს ეწინააღმდეგებიან: "არ იფიქროთ, თითქოს რჯულის ან წინასწარმეტყველთა გასაუქმებლად მოვედი... ვიდრე ცა და მიწა არ გადაივლის, არც ერთი იოტა ანდა არც ერთი წერტილი არ გადაივლის რჯულისა, ვიდრე ყოველივე არ აღსრულდება" (მათ. 5:17,18). მაცხოვარმა საკუთარი სიცოცხლით სწორედ ღმერთის რჯულის დარღვევის შედეგებისაგან გამოისყიდა ადამიანი. ღვთიური რჯულის შეცვლა ან გაუქმება შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ქრისტეს სიკვდილიც აღარ იქნებოდა საჭირო. თავისი ცხოვრებით დედამიწაზე მაცხოვარმა უფლის რჯული განადიდა. თავისი სიკვდილით კი გაამყარა იგი. მან საკუთარი სიცოცხლე იმიტომ კი არ გაწირა, რომ ღმერთის რჯული გაეუქმებინა ან სხვა, სიმართლის უფრო დაბალი ეტალონი შეექმნა, არამედ იმისათვის, რომ განემტკიცებინა სამართლიანობა, ეჩვენებინა რჯულის აუცილებლობა და მარადიულობა.
სატანა აცხადებდა, რომ ადამიანს არ ძალუძს ღვთის მცნებების დაცვა; და, მართლაც, ეს შეუძლებელია ადამიანისათვის, რომელიც საკუთარი ძალებით შეეცდება მათ აღსრულებას. მაგრამ განკაცებულმა მაცხოვარმა თავისი სრული მორჩილების გამოვლინებით დაამტკიცა, რომ უფლის დახმარებით და მასთან თანხმობით უფლის ყოველი მოთხოვნის აღსრულებაა შესაძლებელი.
"ხოლო ვინც მიიღო იგი და ირწმუნა მისი სახელი, მისცა მათ ხელმწიფება ღვთის შვილებად გახდომისა" (იოან. 1:12). ეს არ არის ადამიანთა ხელმწიფება; ეს ღმერთის ხელმწიფებაა. როდესაც ადამიანი იღებს ქრისტეს, იღებს ძალასაც, რათა შეძლოს ქრისტიანული ცხოვრებით ცხოვრება.

თავისი შვილებისაგან უფალი ღმერთი ითხოვს სრულყოფილებას, რომლის საზომადაც მათ თავისი რჯული დაუდგინა; რჯული კი მისი ხასიათის გამოვლინებაა. სრულყოფილების ეს ეტალონი მიეცა ყველას, რათა არ ყოფილიყო რაიმე გაურკვევლობა ან შეცდომა იმასთან დაკავშირებით, თუ ხასიათის როგორი თვისებები უნდა ჰქონდეთ ადამიანებს, რომელთაც ღმერთი თავის სასუფეველში მიიღებს. ქრისტეს ცხოვრება დედამიწაზე ღვთიური რჯულის სრული გამოვლინება იყო და როცა ქრისტიანები, რომლებიც თავს ღვთის შვილებად თვლიან, თავიანთი ხასიათით ქრისტეს ემსგავსებიან, უფლის რჯულის აღმსრულებელნი იქნებიან. მხოლოდ მაშინ შეძლებს უფალი, მიიღოს ისინი ზეციურ ოჯახში. მაშინ მათ, ქრისტეს სიმართლის დიდებულ სამოსელში გახვეულთ, მიეცემათ ადგილი მეფის საქორწილო სუფრასთან და უფლება - დასხდნენ მაცხოვრის სისხლით უამრავ გამოსყიდულთა გვერდით.
კაცი, რომელიც ნადიმზე საქორწილო სამოსლის გარეშე გამოცხადდა, თვალსაჩინოდ განასახიერებს მრავალ ადამიანთა სულიერ მდგომარეობას დღევანდელ წუთისოფელში, რომლებიც თავს ქრისტიანებად თვლიან და თამამად აცხადებენ თავიანთ უპირატესობასა და უფლებამოსილებას სახარებისეულ მადლზე; მაგრამ მათ სულაც არ მიაჩნიათ საჭიროდ საკუთარი ხასიათის გარდაქმნა. მათ არასოდეს ჰქონიათ ცოდვების მონანიების ჭეშმარიტი სურვილი. არც ქრისტეს საჭიროებას გრძნობენ და არც მის მიმართ რწმენის განმტკიცებას ცდილობენ. ამ ადამიანებმა ვერ გადალახეს თავიანთი თანდაყოლილი ან შეძენილი მიდრეკილება ბოროტებისაკენ. და მაინც, თავს საკმაოდ კეთილშობილ ადამიანებად თვლიან და საკუთარ ძალებს უფრო ეყრდნობიან და ენდობიან, ვიდრე ქრისტეს. ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც მოისმინეს ღვთის სიტყვა, მოვიდნენ ნადიმზე, მაგრამ ქრისტეს სიმართლის სამოსლით არ შეიმოსნენ.
მრავალი ეგრეთ წოდებული ქრისტიანი უბრალო მორალისტია, ადამიანური გაგებით. მათ უარი თქვეს ღვთიურ ნიჭზე, რომელსაც ერთადერთს ძალუძს, მისცეს ადამიანს უნარი, მსოფლიოს წარუდგინოს ქრისტე მთელი თავისი დიდებით. სულიწმიდის მსახურება მათთვის მეტად საკვირველი საქმეა. მათ არ შეიძლება ეწოდოთ ღვთის სიტყვის აღმსრულებელნი. მათთვის გაუგებარია ის ზეციური პრინციპები, რომლებიც ამქვეყნიურ ადამიანს ქრისტიანისაგან განასხვავებს. ამგვარად, ეს ეგრეთ წოდებული ქრისტიანები უკვე აღარ წარმოადგენენ ღვთის განსაკუთრებულ, რჩეულ ხალხს. განსხვავება მორწმუნესა და ურწმუნოს შორის თითქმის შეუმჩნეველი ხდება. ადამიანები ემორჩილებიან წუთისოფელს, მის ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს, მის ეგოიზმს. ეკლესია კი, იმის ნაცვლად, რომ კაცობრიობას უფლის რჯულის მორჩილებისაკენ მოუწოდოს, თავად არღვევს ღვთის მცნებებს, რითაც წუთისოფელს ემსგავსება. იგი დღითი დღე სულ უფრო ემსგავსება ამქვეყნიურ ორგანიზაციას.
ეს ადამიანები ელიან, რომ ხსნას ქრისტეს სიკვდილის მეშვეობით მოიპოვებენ და, იმავდროულად, უარს ამბობენ, იცხოვრონ ნამდვილი ქრისტიანული ცხოვრებით. ისინი ხოტბას ასხამენ უფლის უანგაროდ მოცემული მადლის საგანძურს და ცდილობენ, გარეგნული, მოჩვენებითი სიმართლით შეიმოსონ, რითაც საკუთარი მანკიერი ხასიათის დამალვას იმედოვნებენ. მაგრამ მათი ყოველი ასეთი ძალისხმევა და მცდელობა ამაო იქნება უფლის იმ დიად დღეს.

ქრისტეს სიმართლე ვერ დამალავს ვერც ერთ დაფარულ, მოუნანიებელ ცოდვას. ზოგჯერ ადამიანი დაფარულად, გულში არღვევს ღვთის მცნებებს, სხვების დასანახად კი არავითარ დანაშაულს არ ჩადის. შესაძლოა, საზოგადოებამ იგი პატიოსან, გულწრფელ პიროვნებად ჩათვალოს, მაგრამ უფლის რჯული კარგად ხედავს მის გულში ღრმად დაფარულ ცოდვას. ადამიანის ყოველგვარი საქციელი მისი გამომწვევი მიზეზის მიხედვით განიკითხება და გამართლდება მხოლოდ ის, ვინც თავისი სურვილი უფლის ნებას დაუქვემდებარა. "ღმერთი სიყვარულია". და ეს თავისი სიყვარული მან იმით დაამტკიცა, რომ წუთისოფელს "მისცა თავისი ერთადერთი ძე, რათა არავინ, ვინც მას ირწმუნებს, არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე" (იოან. 3:16). მან ყველაფერი უხვად გაიღო მის მიერ გამოსყიდულთათვის. გვიბოძა მთელი ზეცა, რომელიც გვაძლევს ძალასა და შესაძლებლობებს ცოდვაზე გამარჯვებისათვის, რათა არ დავეცეთ და მტერმა არ გვძლიოს. მაგრამ ის ფაქტი, რომ ღმერთი სიყვარულია, არ ნიშნავს იმას, რომ იგი ცოდვას ამართლებს. ისევე, როგორც არ გაამართლა სატანის დანაშაული; არც ადამისა და კაენის ცოდვა და არც სხვა, ნებისმიერი ადამიანის ურჯულოება. იგი არასოდეს შეხედავს ჩვენს ცოდვებს გულგრილად და არც ჩვენი ხასიათის სუსტი მხარეების განვითარებას შეუწყობს ხელს. მას სურს, ყოველი ცოდვა მისი სახელით დავამარცხოთ.

ადამიანები, რომლებიც ქრისტეს სიმართლის ნიჭს უარყოფენ, ხასიათის იმ თვისებების შეძენაზე ამბობენ უარს, რომლებიც ღვთის ძეებად და ასულებად აქცევდა მათ. ისინი უარს ამბობენ იმ ერთადერთზე, რაც საქორწილო ნადიმში მონაწილეობის უფლებამოსილებას მიანიჭებს მათ.

იგავში მეფის შეკითხვაზე: "აქ როგორ შემოხვედი, საქორწილო სამოსელი რომ არ გაცვია?" - სტუმარი დუმდა. ასევე იქნება უდიდესი სამსჯავროს დღესაც. აქ, დედამიწაზე, ადამიანს ჯერ კიდევ შეუძლია, გაამართლოს თავისი ნაკლი, მაგრამ განკითხვის დღეს ამის არავითარი შესაძლებლობა არ ექნება.

დღევანდელ ქრისტიანულ ეკლესიებს უდიდესი უპირატესობანი აქვს მინიჭებული. უფალი გამოგვეცხადა მთელი თავისი უსასრულოდ მზარდი ნათლით. ჩვენი ეს დღევანდელი უპირატესობა დიდად აღემატება იმას, რაც ღვთის ხალხს ძველად გააჩნდა. ჩვენ მხოლოდ ის უდიდესი ნათელი როდი გაგვაჩნია, რომელიც ოდესღაც ძველ ისრაელს მიეცა; ჩვენთვის გაცხადებულია კიდევ უფრო დიდი მოწმობა ხსნის უსასრულო მადლისა, რომელიც ქრისტეს მეშვეობით გვებოძა. ყველაფერი, რაც ებრაელთათვის მხოლოდ სიმბოლოებსა და პირველსახეებს წარმოადგენდა, ჩვენთვის რეალობად იქცა. იუდეველთ მხოლოდ ძველი აღთქმის ისტორია გააჩნდათ; ჩვენ კი, ძველის გარდა, ახალი აღთქმაც გვაქვს. ჩვენ მოგვეცა აღთქმა მაცხოვრისა და მხსნელისა, რომელიც უკვე მოვიდა, რომელიც ჯვარს ეცვა, რომელიც შემდეგ მკვდრეთით აღდგა და იოსების სამარხთან წარმოთქვა: "მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე". ქრისტეს შემეცნებისა და მისი სიყვარულის მეშვეობით ჩვენში უკვე დამკვიდრდა მისი სასუფეველი. ქრისტე გვეცხადება ქადაგებებსა და საგალობლებში. სულიერი ნადიმი მთელი თავისი სიუხვითაა წარმოდგენილი. ფასდაუდებელი მსხვერპლით მოპოვებული საქორწილო სამოსელი თითოეულს უსასყიდლოდ ეძლევა. უფლის მაცნეებმა გაგვიხსნეს მრავალი უძვირფასესი ჭეშმარიტება: ქრისტეს სიმართლე, რწმენით გამართლება, ღვთის სიტყვის უხვი, ფასდაუდებელი აღთქმანი,

ქრისტეს მეშვეობით მამასთან თავისუფალი ურთიერთობა, სულიწმიდის ნუგეშისცემა, საიმედო აღთქმა ღვთის სასუფეველში საუკუნო სიცოცხლის შესახებ. კიდევ რისი გაკეთება შეეძლო ჩვენს ზეციერ მამას და არ გააკეთა იმისათვის, რომ ეს უდიდესი სერობა - ზეციური ნადიმი გაემზადებინა? ანგელოზებმა ზეცაში განაცხადეს: "შევასრულეთ დავალება და ვიმსახურეთ. უკუვაგდეთ ბოროტ ანგელოზთა მხედრობა. ჩვენ ვუნერგავდით ადამიანებს ჭეშმარიტების ნათელს, ვუცოცხლებდით გონებას, რათა უფრო ადვილად შეეცნოთ იესოში გაცხადებული ღვთიური სიყვარული; ჩვენ მივუთითებდით მათ გოლგოთის ჯვარზე. მათ ღრმად შეიცნეს და შეიგნეს ცოდვის არსი, რომელმაც უფლის ძე ჯვარს აცვა. მათ მოინანიეს. იხილეს ქრისტესკენ მიმავალი გზა; შეიგრძნეს სახარების ძალა; მათს გულში სათნოებამ დაისადგურა, როდესაც ღვთიური სიყვარულის სიტკბო იგრძნეს. მათ იხილეს ქრისტეს ხასიათის სილამაზე. თუმცა ზოგიერთისთვის ყოველივე ეს ფუჭი აღმოჩნდა, რადგან არ მიატოვეს თავიანთი მანკიერი თვისებები; არ გაიძვრეს ამქვეყნიური სამოსელი და არ შეიმოსნენ ზეციურით. მათი გული კვლავ ანგარების ტყვეობაში დარჩა და ქრისტეს სიყვარულს წუთისოფელთან მეგობრობა ამჯობინეს".
მეტად მკაცრი იქნება მათთვის დღე საბოლოო გადაწყვეტილებისა. ასე აღწერს ამ დღეს იოანე მოციქული თავის წინასწარმეტყველურ ხილვაში: "ვიხილე დიდი თეთრი ტახტი და ზედ მჯდომარე, რომლისგანაც გარბოდა ცა და მიწა, და არ იპოვებოდა მათთვის ადგილი. ვიხილე მკვდრები, დიდები და პატარები, რომლებიც ტახტის წინ იდგნენ, და გადაშლილი იყო წიგნები. გადაშლილი იყო სხვა წიგნიც, რომელიც სიცოცხლის წიგნია, და განკითხულ იქნენ მკვდრები წიგნებში ნაწერიდან, მათი საქმეებისამებრ" (გამოცხ. 20:11,12).
მწუხარე და საშინელი იქნება მომენტი, როდესაც მარადიულობასთან პირისპირ მათ წარსული ცხოვრების გახსენება მოუწევთ, რაც მთელი სიცხადით გადაეშლებათ კიდეც თვალწინ. ამქვეყნიური საქმეები, სიმდიდრე და დიდება ახლა სრულიად უმნიშვნელოდ მოეჩვენებათ. ადამიანები მიხვდებიან, რომ ერთადერთი ჭეშმარიტი განძი იყო და არის ქრისტეს სიმართლე, რომელიც მათ ასე სძულდათ. ახლა ისინი ცხადლივ დაინახავენ, რომ მათი ხასიათი სატანის ცდუნებათა ცრუ ზეგავლენით იქნა ჩამოყალიბებული. სამოსელი, რომელიც მათ აირჩიეს, პირველი უდიდესი მოღალატისადმი მათი ერთგულების უდავო ნიშანი იქნება. მაშინ იხილავენ საკუთარი არჩევანის შედეგს და მიხვდებიან, თუ რა მოაქვს ღვთის მცნებების დარღვევას.
მაგრამ გამოსაცდელი პერიოდი მარადიულობაში შესასვლელად მომზადებისათვის უკვე აღარ იქნება. მხოლოდ აქ, მიწიერ ცხოვრებაში გვეძლევა შესაძლებლობა, შევიმოსოთ ქრისტეს სიმართლის სამოსლით. ეს არის ჩვენი ხასიათის ჩამოყალიბების ერთადერთი შესაძლებლობა, რათა ვარგისნი ვიყოთ იმ სახლისათვის, რომელიც ქრისტემ მისი მცნებების დამცველთ მოუმზადა. ჩვენი გამოცდისათვის მოცემული დრო სწრაფად იწურება. დასასრული მოახლოებულია. ჩვენ გვაფრთხილებენ: "გაფრთხილდით, არ დამძიმდეს თქვენი გული ღრეობით, ლოთობითა და სიცოცხლეზე ზრუნვით, და იმ დღემ არ გიწიოთ უცაბედად" (ლუკ. 21:34). გაფრთხილდით, რომ მოუმზადებლად არ შეხვდეთ იმ დღეს. ყურადღებით იყავით, რომ სამეფო ნადიმზე საქორწილო სამოსლის გარეშე არ გამოცხადდეთ.

"რომელ საათზეც არ ფიქრობთ, მაშინ მოვა ძე კაცისა". "ნეტარია, ვინც ფხიზლობს და იცავს თავის სამოსელს, რათა შიშველმა არ იაროს და არ დაინახონ მისი სირცხვილი" (მათ. 24:44; გამოცხ. 16:15).

## თავი 25 - ტალანტები

მათ. 25:13-30

ზეთისხილის მთაზე ასული მაცხოვარი მოწაფეებს წუთისოფელში თავისი მეორედ მოსვლის შესახებ ესაუბრებოდა. მან ჩამოთვალა მისი მოახლოებისა და მოსვლის მანიშნებელი ზოგიერთი ნიშანი. მოწაფეებს უბრძანა, ეფხიზლათ და მუდამ მზად ყოფილიყვნენ. და კვლავ გააფრთხილა: "იფხიზლეთ, ვინაიდან არ იცით არც დღე, არც საათი, როდის მოვა კაცის ძე". შემდეგ კი აუხსნა, თუ რას ნიშნავს მაცხოვრის მოლოდინში ფხიზლად ყოფნა: ეს დრო უსაქმოდ კი არ უნდა გამოიყენონ, არამედ გულმოდგინედ უნდა იშრომონ. ეს გაკვეთილი მან მოწაფეებს ტალანტების შესახებ იგავით აუწყა.
ცათა სასუფეველი, - თქვა მან, - "ეს იმ კაცივით იქნება, რომელმაც გამგზავრებისას მოუხმო თავის მონებს და ჩააბარა თავისი ქონება. ერთს ხუთი ტალანტი მისცა, მეორეს - ორი და სხვას - ერთი, თითოეულს მისი უნარისდა მიხედვით, და წავიდა".
კაცი, რომელიც უცხო მხარეში მიემგზავრება, განასახიერებს ქრისტეს, რომელიც სულ მალე დედამიწიდან ცად უნდა ამაღლებულიყო, "მონები" ანუ მსახურნი კი - ქრისტეს მიმდევართ. ჩვენ, მორწმუნენი, საკუთარ თავს არ ვეკუთვნით, ვინაიდან ფასით ვართ ნაყიდნი (1კორ. 6:20); "არა ხრწნადი ვერცხლით ან ოქროთი... არამედ ქრისტეს ძვირფასი სისხლით" (1პეტრ. 1:18,19); "რათა ცოცხლებმა თავიანთთვის კი აღარ იცოცხლონ, არამედ იმისთვის, ვინც მათთვის მოკვდა და აღდგა" (2კორ. 5:15).
ყოველი ადამიანი ამ უდიდესი ფასით იქნა ნაყიდი. გვიბოძა რა მთელი ზეცის უსასრულო საგანძური ქრისტეს სახით, ღმერთმა შეიძინა თითოეული ადამიანის ნებისყოფა, გრძნობები, გონება და გული. ადამიანები, მორწმუნენიც და ურწმუნონიც, უფალს ეკუთვნიან. ამიტომ ყველას მართებს მისი სამსახური. ხოლო სამსჯავროს უდიდესი დღის დადგომისას ყველამ უნდა აგოს პასუხი იმაზე, თუ როგორ უპასუხა უფლის მოწოდებას.
მაგრამ ყველა როდი იღებს უფლის მოთხოვნებს. ამ იგავში მონების სახით წარმოდგენილნი არიან მხოლოდ ის ადამიანები, რომელთაც თავად გამოთქვეს მზადყოფნა ქრისტეს სამსახურისათვის.
ქრისტეს ყოველი მიმდევარი უფლის მსახურებისთვის იქნა გამოსყიდული. ჩვენი უფალი გვასწავლის, რომ ცხოვრების ჭეშმარიტი მიზანი მსახურებაა. მაცხოვარი თავად იყო ერთგული და გულმოდგინე მსახური და ყველა თავის მიმდევარს მისცა მსახურების კანონი. ესაა მსახურება ღვთისა და მოყვასისადმი. ქრისტემ წუთისოფელს ცხოვრების ახალი, უფრო ამაღლებული არსი და მნიშვნელობა წარმოუდგინა. მოყვასისადმი მსახურებით ადამიანი უფრო უახლოვდება

ქრისტეს. ამგვარად, მსახურების კანონი იქცევა ცოცხალ რგოლად, რომელიც გვაკავშირებს ღმერთთან და სხვა ადამიანებთან.
ქრისტემ თავის მსახურთ "ჩააბარა თავისი ქონება", ესე იგი ის, რაც მისდამი მსახურებისათვის უნდა გამოეყენებინათ. მან "თითოეულს მისი უნარისდა მიხედვით" დაავალა ესა თუ ის საქმე. თითოეულ ადამიანს თავისი ადგილი აქვს ზეცის მარადიულ გეგმაში. ყველამ უნდა ითანამშრომლოს ქრისტესთან ადამიანთა გადარჩენის საქმეში. რამდენადაც ჭეშმარიტებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ზეციურ სავანეებში თითოეული ჩვენგანისათვის მომზადებულია ადგილი, იმდენად სიმართლეა ის, რომ აქ, დედამიწაზეც მოგვეკუთვნა განსაკუთრებული ადგილი, სადაც უფლისათვის უნდა ვიშრომოთ.

სულიწმიდის ნიჭები
ტალანტები, რომელიც ქრისტემ თავის ეკლესიას მიანდო, წარმოადგენს სულიწმიდის ნიჭებსა და კურთხევას, რომელიც ჩვენ მოგვეცა. "ერთს სულის მიერ ეძლევა სიბრძნის სიტყვა, მეორეს - ცოდნის სიტყვა იმავე სულით. ზოგს რწმენა - იმავე სულით და ზოგს - განკურნებათა ნიჭი იმავე სულით. ზოგს - სასწაულთმოქმედება, ზოგს - წინასწარმეტყველება, ზოგს - სულების გარჩევა, ზოგს - სხვადასხვა ენები, ზოგს - ენების განმარტება. ხოლო ყოველივე ამას აკეთებს ერთი და იგივე სული, რომელიც თითოეულს საკუთრივ უნაწილებს, როგორც ნებავს" (1კორ. 12:8-11). ყოველ ადამიანს, ღვთის ყოველ მსახურს სხვადასხვა ნიჭი ეძლევა სულიწმიდის მიერ.
სანამ თავის მოწაფეთ დატოვებდა, ქრისტემ "სული შეუბერა და ეუბნება: მიიღეთ სულიწმიდა" (იოან. 20:22). და კვლავ უთხრა: "მე მოვავლენ თქვენზე მამაჩემის აღთქმულს" (ლუკ. 24:49). მაგრამ მხოლოდ მაცხოვრის ცად ამაღლების შემდგომ მიეცათ მათ ეს ნიჭი სრულად. მოწაფეებზე სულიწმიდის გარდმოფენა მხოლოდ მაშინ მოხდა, როცა ისინი გულწრფელი ლოცვებითა და მტკიცე რწმენით მოემზადნენ ქრისტეს საქმეების კეთებისათვის. სწორედ მაშინ მიანდეს განსაკუთრებულად ზეციური სიმდიდრე ქრისტეს მიმდევართ. "ავიდა მაღლობზე, დაატყვევა ტყვე და ნიჭები უბოძა ადამიანს" (ეფეს. 4:8). "ხოლო ყოველ ჩვენგანს მოცემული აქვს მადლი ქრისტესმიერი ნიჭის ზომისამებრ" (ეფეს. 4:7). "ხოლო ყოველივე ამას აკეთებს ერთი და იგივე სული, რომელიც თითოეულს საკუთრივ უნაწილებს, როგორც ნებავს" (1კორ. 12:11). ნიჭები უკვე მოგვეცა ქრისტეში, მაგრამ მათი ჭეშმარიტი შეძენა დამოკიდებულია იმაზე, მივიღებთ თუ არა სულიწმიდას.
სულიწმიდის აღთქმას არ ექცევა სათანადო ყურადღება, რის გამოც იგი ისე არ სრულდება, როგორც უნდა იყოს. სახარების მსახურების სისუსტის მიზეზიც სულიწმიდის უქონლობაა. ადამიანს, შესაძლოა, ჩინებული განათლება ჰქონდეს მიღებული; მჭევრმეტყველიც იყოს და ნიჭიერიც; ჰქონდეს ბუნებრივი ნიჭიც და გამომუშავებული უნარიც, მაგრამ სულიწმიდის ძალის გარეშე მისი გულის გარდაქმნა შეუძლებელია; უამისოდ კი ვერც ერთი ცოდვილი ქრისტეს მონაპოვრად ვერ იქცევა. მეორე მხრივ კი, ქრისტესთან კავშირისა და სულიწმიდის მიღების შემთხვევაში, ყველაზე სუსტი და გაუნათლებელი ქრისტიანიც კი შეიძენს ძალას, რომელიც ადვილად დაატყვევებს ადამიანთა

გულებს. უფალი მას აქცევს არხად, რომელიც სამყაროში ყველაზე დიდი ზეგავლენის გამტარებელი იქნება.

სხვა ტალანტები

სულიწმიდის განსაკუთრებულ ნიჭებს მხოლოდ იგავში მოცემული ტალანტები არ წარმოადგენს. იგი მოიცავს ყველა ნიჭსა და უნარს, თანდაყოლილსა თუ შეძენილს, ბუნებრივსა თუ სულიერს. ყოველი მათგანი ქრისტეს მსახურებისათვის უნდა იქნას გამოყენებული. ვხდებით რა ქრისტეს მოწაფეები, ყოველივეს მას ვუძღვნით: საკუთარ თავს და ყველაფერს, რაც გაგვაჩნია. ამ ნიჭებს იგი გვიბრუნებს განწმედილსა და გაკეთილშობილებულს, რათა ისინი შემდგომ ღვთის დიდებისა და მოყვასის სამსახურისათვის გამოვიყენოთ. ღმერთი თითოეულ ადამიანს "მისი უნარისდა მიხედვით" აძლევს. ტალანტები შემთხვევით არ რიგდება. მას, ვისაც ხუთი ტალანტის გამოყენება შეუძლია, ხუთი ეძლევა; მას, ვისაც ორის გამოყენება ძალუძს, - ორი; ხოლო ვინც ერთ ტალანტსაც კი გონივრულად გამოიყენებს, ერთი მიეცემა. ვერავინ იტყვის საყვედურს უპირატესი ნიჭის მიუღებლობის გამო, რადგან მათ მომცემს ერთნაირად განადიდებს ყოველი მათგანისათვის მინდობილი ტალანტი, დიდი იქნება ის თუ მცირე. ხუთი ტალანტის მიმღებმა ის ხუთი გამრავლებული უნდა დააბრუნოს. იგივე უნდა გააკეთოს ერთი ტალანტის პატრონმაც. უფალი ელის გულმოდგინებას "იმის მიხედვით, ვისაც რა აქვს, და არა იმის მიხედვით, რაც არა აქვს" (2კორ. 8:12).

იგავში ნათქვამია, რომ "ხუთი ტალანტის მიმღები მაშინვე წავიდა, ივაჭრა და სხვა ხუთი მოიგო. ასევე ორის მიმღებმაც ორი კიდევ სხვა მოიგო". ადამიანისათვის მიცემული ყოველი ტალანტი, რაგინდ მცირეც არ უნდა იყოს იგი, სარგებლით უნდა იქნას გამოყენებული. ჩვენ არ უნდა გვაწუხებდეს, თუ რამდენი მივიღეთ, არამედ იმაზე უნდა ვფიქრობდეთ, თუ როგორ გამოვიყენეთ ის, რაც გვაქვს. ჩვენი უპირველესი მოვალეობა ღვთისა და მოყვასის წინაშე არის ის, რომ შეძლებისდაგვარად განვავითაროთ მოცემული ნიჭი და უნარი. ვერც ერთი ადამიანი ვერ შეასრულებს მის მიმართ უფლის ჩანაფიქრს, თუკი იგი თავის ტალანტსა და ნიჭს ყოველდღიურად არ ავითარებს და მისგან სარგებელს არ იღებს. უკვე იმის განცხადებით, რომ ქრისტეს მორწმუნენი ვართ, ვალდებულებას ვიღებთ, რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოვუტანოთ უფლის საქმეს; ამისათვის უფლისაგან ბოძებული ყოველი ნიჭი უმაღლეს სრულყოფილებამდე უნდა განვავითაროთ, რათა იგი საუკეთესო საქმეებისათვის გამოვიყენოთ.

დიდი საქმეები აქვს გასაკეთებელი უფალ ღმერთს. და აქ, დედამიწაზე, მის ერთგულად და ნებაყოფლობით შემსრულებელს მომავალ ცხოვრებაში ყველაფერ საუკეთესოს მისცემს იგი. უფალი ირჩევს თავის შემწეთ ამ წუთისოფელში საქმიანობისათვის და მისი ღვთიური გეგმის განხორციელების პროცესში სხვადასხვა პირობებს უქმნის მათ რწმენისა და გამოცდილების განსამტკიცებლად. ასე პასუხობს იგი ყოველ მის მორწმუნეს, რომელიც გულწრფელად ცდილობს უზენაესის ჩანაფიქრის აღსრულებას. მაცხოვარი ირჩევს თავის წარმომადგენელთ არა იმიტომ, რომ ისინი სრულყოფილნი არიან, არამედ იმისათვის, რომ მასთან ახლო ურთიერთობით ჭეშმარიტ სრულყოფილებას მიაღწიონ.

უფალი მიიღებს მხოლოდ მათ, ვინც სრულყოფილებისაკენ ისწრაფვის. იგი ელის, რომ ყოველი მისი მსახური მთელი სრულყოფილებით შეასრულებს თავის მოვალეობას. ამასთანავე იგი თითოეულისგან ზნეობრივ სრულყოფილებას ითხოვს. ჩვენ არ უნდა დავამდაბლოთ და შევამციროთ ზნეობრივი სიწმიდის საზომი იმისათვის, რომ მას ჩვენი თანდაყოლილი თუ შეძენილი ცოდვილი არსი მოვარგოთ. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ხასიათის არასრულყოფილება - ეს ცოდვაა. ყველა წმიდა და კეთილშობილური თვისება სრულყოფილად, ჰარმონიულადაა შერწყმული ღმერთში. და ყოველ ადამიანს, რომელიც ქრისტეს თავის პირად მხსნელად მიიღებს, ექნება უპირატესობა, ამ თვისებათა მფლობელი გახდეს.
უფალთან თანამშრომლობის მოსურნე ყოველმა ადამიანმა უნდა იზრუნოს თავისი სხეულისა და გონების სრულყოფისათვის. ჭეშმარიტი განათლება - ესაა ყველა ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი ძალის მომზადება უდიდეს მოვალეობათა აღსრულებისათვის. ესაა სხეულის, სულისა და გონების ღვთიური მსახურებისათვის მომზადება. ასეთი განათლების პროცესი მარადიულობაშიც გაგრძელდება.
ყოველი ქრისტიანისაგან უფალი ითხოვს ნაყოფიერ მსახურებასა და მოცემული ნიჭების ყველა სფეროში გამოყენებას. მაცხოვარმა საკუთარი სისხლითა და ტანჯვით გაიღო ჩვენი ცოდვის საზღაური, რათა ჩვენთვის გულწრფელი, ნებაყოფლობითი მსახურების შესაძლებლობა მოეცა. იგი მოვიდა წუთისოფელში, რათა ჩვენთვის მაგალითი ყოფილიყო იმისა, თუ როგორ ვიშრომოთ ან რა სული ჩავაქსოვოთ ჩვენს მსახურებაში. მაცხოვარს სურს, ვისწავლოთ, თუ როგორ გავაუმჯობესოთ და წავწიოთ წინ მისი საქმე და განვადიდოთ მისი სახელი წუთისოფელში; როგორ შევამკოთ იგი მამის დიდების გვირგვინით, უსაზღვრო სიყვარულითა და პატივით; მამისა, რომელმაც "იქამდე შეიყვარა... სოფელი, რომ მისცა თავისი ერთადერთი ძე, რათა არავინ, ვინც მას ირწმუნებს, არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე" (იოან. 3:16). მაგრამ ქრისტეს ჩვენთვის არ უთქვამს, რომ ხასიათის სრულყოფილების მიღწევა ადვილი საქმეა. ხასიათის ჯანმრთელი, კეთილშობილური თვისებები მემკვიდრეობით არ გადაეცემა ადამიანს; არც შემთხვევით შეიძინება. ადამიანმა იგი საკუთარი ძალისხმევით, ქრისტეს მადლითა და დამსახურებით უნდა გამოიმუშაოს. ღმერთი გვაძლევს ნიჭებსა და გონების ძალას; ჩვენ კი თავად ვაყალიბებთ საკუთარ ხასიათს საკუთარ თავთან მძიმე, შეუპოვარ ბრძოლაში. ყოველდღიურად, შეუსვენებლივ უნდა ვებრძოლოთ ბოროტ თვისებებს; დიდი გულისყურითა და დაკვირვებით უნდა გამოვიკვლიოთ და კრიტიკულად შევაფასოთ საკუთარი თავი, რათა არც ერთი მანკიერი თვისება არ დაგვრჩეს გამოუსწორებელი.
ნურავინ იტყვის, რომ ვერასოდეს შეძლებს საკუთარი ნაკლოვანებების გამოსწორებას. მსგავსი დასკვნით ვერასოდეს მიაღწევთ წარმატებას და ვერც საუკუნო სასუფეველს დაიმკვიდრებთ. სურვილის უქონლობა - აი ეს არის უმთავრესი დაბრკოლება მარადიულობის მოპოვების გზაზე. თუ სურვილი არა გაქვთ, ვერც გაიმარჯვებთ. ჭეშმარიტი სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს მანკიერ, განუახლებელ გულს არ სურს, დამორჩილდეს უფლის ხელმძღვანელობას.

ბევრმა მათგანმა, ვინც უფალმა ასე უხვად დააჯილდოვა მეტად მნიშვნელოვან და რთულ ღვთიურ საქმეთა აღსასრულებლად, სათანადო შედეგს ვერ მიაღწია. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო მეტის გაკეთება არც უცდია. ათასობით ადამიანი მთელ თავის ცხოვრებას ხშირად სრულიად უმიზნოდ ატარებს და არც რაიმე მწვერვალებისაკენ მიისწრაფვის. ყოველი მათგანი საკუთარი საქმეების მიხედვით მიიღებს საზღაურს.
გახსოვდეთ, რომ თქვენ ვერასოდეს მიაღწევთ იმაზე მეტს, ვიდრე მიზნად დაისახეთ. ამიტომ საჭიროა უმაღლესი მიზნების დასახვა და შემდგომ ნაბიჯ-ნაბიჯ, ზოგჯერ დიდი ტკივილით, თავგანწირვითა და მსხვერპლით პროგრესის კიბის საფეხურებზე ასვლა, სანამ მწვერვალს არ მიაღწევთ. ნურაფერი შეგაშინებთ და შეგაჩერებთ. ბედის უკუღმართობას ჯერ არავისთვის შეუკრავს ხელ-ფეხი ისე, რომ სასოწარკვეთილებასა და უიმედობას თავი ვერ დააღწიოს. მტრულმა ვითარებამ მისი დამარცხების მტკიცე გადაწყვეტილების მიღების სურვილი უნდა გაგვიღვიძოს. გასავლელ გზაზე პირველი წინააღმდეგობის გადალახვა გამბედაობას შეგვმატებს და ახალი შემართებით გაგვაძლიერებს დარჩენილი გზის გასავლელად. შეუპოვრად განაგრძეთ გზა სწორი მიმართულებით და სულ მალე დაინახავთ, რომ თქვენ ირგვლივ შექმნილი ვითარება თქვენს სასიკეთოდ განვითარდება და არა სამტროდ.
გამოიჩინეთ გულმოდგინება და მოშურნეობა, განახორციელოთ თქვენი სურვილი საკუთარი ხასიათის ყოველი თვისების უფლის სადიდებლად გარდაქმნის საქმეში. თქვენი ხასიათის ჩამოყალიბების ყოველ ეტაპზე ეცადეთ, მადლი პოვოთ უფლის თვალში. თქვენ ამის გაკეთებას უეჭველად შეძლებთ, ვინაიდან ხომ შეძლო ენოქმა ეს საზოგადოებაში საყოველთაო მანკიერების ბატონობისა და დეგრადაციის პერიოდში. ენოქის მსგავსნი დღესაც ხომ არსებობენ.
შეინარჩუნეთ სიმტკიცე დანიელის მსგავსად; მსგავსად კაცისა, რომელიც იმდენად ერთგული იყო ღვთისა, რომ ვერავითარმა ცდუნებამ ვერ დაამარცხა. ნუ გაანაწყენებთ მას, ვინც ისე შეგიყვარათ, რომ საკუთარი სიცოცხლე შესწირა ცოდვებისაგან თქვენს გათავისუფლებას. იგი ამბობს: "უჩემოდ არაფრის კეთება არ შეგიძლიათ" (იოან. 15:5). ნუ დაივიწყებთ ამ სიტყვებს. გახსოვდეთ, რომ, თუკი საკუთარ შეცდომებში ხედავთ გაფრთხილებას მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, გამარჯვებული ხართ. ამით მარცხს გამარჯვებად აქცევთ და მხსნელის სახელს განადიდებთ, მტერს კი იმედებს გაუცრუებთ.
ღვთიური ხასიათის მსგავსად ჩამოყალიბებული ხასიათი - აი ერთადერთი სიმდიდრე, რომელიც ამ სიცოცხლიდან მომავალ სასუფეველში შეგვიძლია წავიღოთ. თუ ამქვეყნად ქრისტეს რჯულით ვხელმძღვანელობთ, ზეციურ სავანეებში თან წავიღებთ უფლის ყველა იმ მიღწევას, რომელიც ჩვენს ცხოვრებაში გამოვლინდა. და შემდეგ, მარადიულობაშიც არ შეწყდება ჩვენი განვითარება. აი რატომ ენიჭება ასეთი დიდი მნიშვნელობა ჯერ კიდევ ამ ცხოვრებაში საკუთარი ხასიათის  სრულყოფილებისათვის მუდმივ შრომას.
ზეციური ანგელოზები უეჭველად დაეხმარებიან ადამიანებს, რომელნიც მტკიცე რწმენით იღვწიან საკუთარი ხასიათის სრულყოფილებისათვის, რასაც მოქმედება სჭირდება. ყოველ ადამიანს, ვინც მიზნად დაისახა საკუთარი ხასიათის გარდაქმნა, მაცხოვარი ეუბნება: "შენ გვერდითა ვარ, დაგეხმარები".
როდესაც ადამიანის სურვილი ღვთის სურვილს ერწყმის, იგი ყოვლისშემძლე ხდება. ის, რაც უზენაესის ბრძანებით უნდა გაკეთდეს, მისივე ძალით

შესრულდება. უფლის ყოველი დავალება მის მიერვე ბოძებული ძალითა და შესაძლებლობებით სრულდება.

## გონებრივი შესაძლებლობანი

უფალი ღმერთი ჩვენგან ჩვენს გონებრივ შესაძლებლობათა განვითარებისაკენ სწრაფვას ითხოვს. მას სურს, რომ მის მსახურთ უფრო ძლიერი გონება და შორსმჭვრეტელობის უნარი გააჩნდეთ, ვიდრე წუთისოფლის ურწმუნო მკვიდრთ. იგი დიდად წუხს, როცა მისი მსახურნი უზრუნველად, უქმად ყოფნას არჩევენ ნაცვლად იმისა, რომ გახდნენ აქტიურნი, მოქმედნი და განათლებულნი ღვთიურ საქმეთა შესასრულებლად. უფალს სურს, რომ გულწრფელად, მთელი სულითა და გულით, მთელი ძალითა და გონებით გვიყვარდეს იგი. ეს კი გვავალებს, მუდმივად განვავითაროთ საკუთარი ინტელექტი მის სრულყოფამდე, რათა უკეთ შევიცნოთ და უფრო ღრმად გვიყვარდეს ჩვენი შემოქმედი.
რაც უფრო მეტად ვემორჩილებით სულიწმიდის ხელმძღვანელობას, მით უფრო სრულყოფილად ვითარდება ჩვენი ინტელექტი, რომელსაც უფრო ეფექტურად ვიყენებთ უფლის სამსახურში. უფალმა მსახურებისათვის შეიძლება გამოიყენოს სრულიად გაუნათლებელი, მაგრამ მისთვის თავდადებული ადამიანები, რომელთაც სურთ, ღვთიური კურთხევა მიუტანონ სხვებს. მაგრამ მათ, ვისაც იგივე სული ამოძრავებს და, ამასთან ერთად, განათლებაც გააჩნიათ, უფრო დიდი და მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება შეუძლიათ ქრისტესათვის, ვინაიდან უფრო მეტი შესაძლებლობანი გააჩნიათ.
მაცხოვარს სურს, მრავალმხრივ განათლებულნი ვიყოთ, რათა შევძლოთ მიღებული ცოდნის სხვებისათვის გაზიარება. არავინ იცის, სად და როგორ გამოიყენებს მას უფალი თავისი საქმის შესასრულებლად ან ღმერთის შესახებ სასაუბროდ. მხოლოდ ჩვენმა ზეციერმა მამამ იცის, თუ როგორ და სად გამოიყენოს ადამიანის შესაძლებლობანი. ჩვენ წინაშე იშლება ახალ-ახალი შესაძლებლობანი, რომელთაც ჩვენი სუსტი რწმენის გამო ვერ ვამჩნევთ. ჩვენი გონება იმდენად უნდა იყოს განვითარებული და გაწვრთნილი, რომ საჭიროების შემთხვევაში იმგვარად შევძლოთ ქრისტეს სიტყვის ჭეშმარიტების ამა ქვეყნის მაღალ ავტორიტეტთა წინაშე წარდგენა, რომ მისი სახელი განდიდებულ იქნას. ხელიდან არ უნდა გავუშვათ არც ერთი, სულ მცირე შესაძლებლობაც კი ჩვენი ინტელექტუალური ზრდისათვის, რათა უფრო წარმატებით ვემსახუროთ უფალს. დაე ახალგაზრდობამ, ვისაც განათლება ესაჭიროება, გულდაგულ, შეუპოვრად იღვაწოს თავისი ჩანაფიქრის განხორციელებისათვის. ნუ დაელოდებით რაიმე ხელსაყრელი ვითარების შექმნას გარედან; თავად შექმენით შესაძლებლობანი. გამოიყენეთ თქვენთვის მოცემული ყველაზე მცირე შესაძლებლობანიც კი. იყავით მომჭირნენი. ნუ გაფლანგავთ თქვენს სახსრებს თქვენს ფუჭ სურვილთა დასაკმაყოფილებლად ან სხვადასხვა გართობების ძებნაში. გამოიჩინეთ სიმტკიცე თქვენს გადაწყვეტილებებში, იყოთ ვარგისნი და მცოდნენი უფლის მსახურებისათვის, როგორც ეს თავად მაცხოვარს სურს. იყავით საფუძვლიანნი და ერთგულნი ნებისმიერ თქვენს წამოწყებაში. გამოიყენეთ ნებისმიერი შესაძლებლობა თქვენი ინტელექტის განვითარებისათვის. შეუთავსეთ წიგნების კითხვა სასარგებლო ფიზიკურ შრომას და მთელი მონდომებითა და რწმენით, გულმოდგინებითა და ლოცვით დაეწაფეთ სიბრძნეს, რომელიც ზეციდან გეძლევათ. ამგვარად მიიღებთ მრავალმხრივ განვითარებას, რაც უეჭველად

დაგეხმარებათ საკუთარი ხასიათის სრულყოფაში, რის შედეგადაც ადვილად შეძლებთ იმ ადამიანთა გონებაზე ზეგავლენის მოხდენას, რომელთაც პატიოსნებისა და სიწმიდის გზისკენ უნდა გაუძღვეთ.
თვითგანათლებისათვის შრომას უფრო მეტი წარმატება ექნებოდა შემოძლეულ შესაძლებლობათა და უპირატესობათა უკეთ შეცნობის შემთხვევაში. ჭეშმარიტი განათლება ნიშნავს უფრო მეტს, ვიდრე კოლეჯი იძლევა. რა თქმა უნდა, მეტად მნიშვნელოვანია სხვადასხვა მეცნიერებათა შესწავლა, მაგრამ არსებობს ჭეშმარიტი უმაღლესი განათლება, რომლის მიღებაც მხოლოდ უფალ ღმერთთან ცოცხალი კავშირით მიიღწევა. დაე განათლების მიღების ყოველმა მსურველმა გადაშალოს ბიბლია, შეისწავლოს იგი, ფართოდ გაუხსნას გული მის ჭეშმარიტებას და თვით ზეციურ მოძღვარს უსმინოს მისი ფურცლებიდან.
მოამზადეთ თქვენი გონება იმისათვის, რომ ებრძოლოთ პრობლემებს, რომელიც მრავლად შეგხვდებათ ღვთიური ჭეშმარიტების შემეცნების გზაზე.
ის, ვისაც ცოდნის შეძენა იმისათვის სწყურია, რომ სხვებისათვის კურთხევად იქცეს, თავადაც კურთხეული იქნება ღვთისაგან. ღვთის სიტყვის შესწავლა კიდევ უფრო განავითარებს ასეთ ადამიანთა გონებრივ შესაძლებლობებს, განამტკიცებს გონებას და ნაყოფიერს გახდის მათს შრომას.
ადამიანმა, რომელმაც უფლის სამსახურში ჩადგომა მოისურვა, თვითდისციპლინას დიდი მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს. მისი ასეთი ცხოვრება უფრო მრავლისმთქმელია, ვიდრე მისი მჭევრმეტყველება ან ყველაზე ბრწყინვალე ნიჭი. ჩვეულებრივი გონების მქონე ადამიანი, მოწესრიგებული და თვითდისციპლინით განმტკიცებული, უკეთესად შეასრულებს თავის საქმეს, ვიდრე ის, ვისაც უმაღლესი განათლება და ბრწყინვალე ნიჭი გააჩნია, მაგრამ მოუწესრიგებელი და უდისციპლინოა.

მეტყველება
მეტყველება - ეს ის ტალანტია, რომელიც გულმოდგინე განვითარებას საჭიროებს. უფლის მიერ ბოძებულ ყველა სხვა ნიჭთაგან განსხვავებით, მას ყველაზე მეტი კურთხევის მოტანა შეუძლია. მისი მეშვეობით ვუხმობთ და ვარწმუნებთ; ვლოცულობთ და ვადიდებთ უზენაესს; მისივე მეშვეობით მიგვაქვს მაცხოვრის სიყვარული ადამიანებამდე. სწორედ ამიტომ აქვს ასეთი დიდი მნიშვნელობა მეტყველების ყოველმხრივ განვითარებას.
მეტყველების კულტურა და მისი ქრისტიანულ ცხოვრებაში სწორად გამოყენება ხშირად მაღალი ინტელექტის მქონე ადამიანთა მიერაც კი არის უგულებელყოფილი. ზოგი იმდენად ჩუმად ან ისე სწრაფად ლაპარაკობს, რომ ძნელია მათი საუბრის გაგება. ზოგს მეტად დაბალი ხმა და გაუგებარი გამოთქმა აქვს; ზოგს კი - მეტად მკვეთრი და გამკიცხავი, რაც მტკივნეულად აღიქმება. ხშირად ბიბლიური მუხლების, ჰიმნებისა და სხვადასხვა მოხსენებების აუდიტორიის წინაშე წარდგენა იმგვარად ხდება, რომ მათი ძალა და გავლენის შესაძლებლობა სრულიად იკარგება.
ეს სერიოზული ნაკლი აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. ამას თავად ბიბლია გვასწავლის. აი რას ამბობს იგი ლევიანთა შესახებ, რომელნიც ეზრას დღეებში ხალხს წმიდა წერილებს უკითხავდნენ: "და კითხულობდნენ ისინი წიგნიდან, ღვთის რჯულიდან, გარკვევით, განმარტავდნენ და ხალხიც იგებდა წაკითხულს" (ნეემ. 8:8).

გულმოდგინე, ბეჯითი მეცადინეობის შედეგად ყველას შეუძლია, ისწავლოს გარკვევით კითხვა და სუფთა, ადვილად გასაგები და შთამბეჭდავი ხმით ისაუბროს. ამგვარი ქცევით შესამჩნევად გაიზრდება ჩვენი, როგორც ქრისტეს მსახურთა, შრომის ნაყოფიერება და ეფექტურობა.
ყოველი ქრისტიანი მოწოდებულია, ამცნოს სხვებს ქრისტეს ულევი განძის შესახებ. ამიტომაა საჭირო საკუთარი ენისა და მეტყველების სრულყოფა. ღვთის სიტყვა ისე უნდა წარმოითქვას, რომ მსმენელთა ყურადღება მიიპყროს. არ სურს უფალს, რომ ადამიანმა - მისი სიტყვის გადამცემმა საშუალებამ - უგერგილოდ და უუნაროდ გააკეთოს ეს. არც ის სურს უფალს, რომ ადამიანმა დაამციროს და დააუძლუროს ზეციურ ჭეშმარიტებათა ნაკადი, რომელიც მისი მეშვეობით წუთისოფელში მიედინება.
იესო სრულყოფილების მაგალითია ჩვენთვის. ღვთის წმიდა სულს უნდა ვთხოვოთ დახმარება იმისათვის, რომ მისი ძალით შევძლოთ ჩვენი ორგანიზმის ყოველი ნაწილის უფლის მსახურებისათვის უნაკლოდ მომზადება.
ეს განსაკუთრებით ეხება მათ, ვინც მოწოდებულია, საზოგადოებას ემსახუროს. ყოველ მქადაგებელს, ყოველ მასწავლებელს მუდამ უნდა ახსოვდეს ის, რომ იგი ადამიანებს აუწყებს ჭეშმარიტებას, რომელიც მარადიულობას შეეხება. სწორედ ეს ჭეშმარიტება განსჯის ადამიანებს საბოლოო შურისგების დიად დღეს. და ბევრისათვის გადამწყვეტი ფაქტორი მისი მიღებისა ან უარყოფისა იქნება ის, თუ როგორ მიაწოდეს მათ ეს ჭეშმარიტება. აუწყეთ ადამიანებს ღვთის სიტყვა ისე, რომ იგი მისწვდეს მათს გონებასა და გულს. აუწყეთ იგი აუჩქარებლად, გარკვევით, საზეიმო განწყობით და, ამავე დროს, გულწრფელად, დაბეჯითებით, მთელი მისი მნიშვნელობით.
მეტყველების კულტურა, სიტყვის ძალის სწორად გამოყენება აუცილებელია ქრისტიანული მოღვაწეობის ყველა სფეროში - ოჯახურ ურთიერთობებსა თუ სხვა ადამიანებთან საუბრებში. უნდა ვისწავლოთ სასიამოვნო ტონით საუბარი, ამასთანავე, ჩვენი მეტყველება სწორი და გამართული უნდა იყოს, საუბარი - თავაზიანი და დახვეწილი. სასიამოვნო და კეთილი სიტყვები - ეს ცვარი და თბილი წვიმაა ადამიანის სულისათვის. წმიდა წერილი გვამცნობს, რომ მაცხოვრის ბაგეთაგან მადლი იღვრებოდა და მას შეეძლო "დაღლილის გამაგრება სიტყვით" (ფსალმ. 44:3; ეს. 50:4). უფალიც ამასვე გვასწავლის: "თქვენი სიტყვა ყოველთვის მადლიანი იყოს" (კოლ. 4:6), "რათა მადლი მიანიჭოს გამგონეთ" (ეფეს. 4:29).
დიდი სიფრთხილით გვმართებს სიტყვის შერჩევა, როდესაც სხვებს ვასწავლით ან შეცდომის გამოსწორებაში ვეხმარებით, ვინაიდან სიტყვას შეუძლია აცოცხლოს ან მოკლას ადამიანი. შენიშვნის ან რჩევის მიცემისას ბევრი თავს ნებას აძლევს, ადამიანს უკმეხი, მკაცრი სიტყვებით მიმართოს, რაც მის დაჭრილ სულს ვერ გამოაჯანსაღებს. ასეთი სიტყვა მხოლოდ აღიზიანებს ადამიანს და ხშირ შემთხვევაში შეცდომებზე მსგავსი მითითება მის სულში წინააღმდეგობას უფრო იწვევს. ჭეშმარიტების პრინციპების დამცველთ ზეციური სიყვარულის მალამო სჭირდებათ. ნებისმიერ ვითარებაში ადამიანის მხილება სიყვარულით უნდა ხდებოდეს. და მაშინ ჩვენი სიტყვები, მიმართული ადამიანის გამოსასწორებლად, სათანადო ნაყოფს გამოიღებს და არ გააღიზიანებს მას. ჩვენს მეტყველებას მაცხოვარი სულიწმიდის მეშვეობით სრულყოფს და ძალასა და სიმტკიცეს შემატებს ჩვენს სიტყვას; ეს ხომ მისი საქმეა.

არც ერთი სიტყვა არ უნდა წარმოითქვას დაუფიქრებლად და გაუაზრებლად. არც ერთი არასერიოზული, ფუქსავატური, გამაღიზიანებელი ან მცდარი რჩევა არ უნდა დასცდეს ქრისტიანის ბაგეს. პავლე მოციქული სულიწმიდის შთაგონებით წერდა: "არავითარი უშვერი სიტყვა არ დაგცდეთ პირიდან" (ეფეს. 4:29). აქ მას მხედველობაში აქვს არა მხოლოდ ბილწი და უწმაწური გამონათქვამები, არამედ ნებისმიერი სიტყვა, რომელიც რელიგიურ სიწმიდესა და მის მაღალ პრინციპებს ეწინააღმდეგება: უწმაწური ხუმრობები, უგერგილო ქარაგმები და ცილისწამებანი. და თუკი ყოველივე ამის წინააღმდეგ სასწრაფო ზომები არ იქნა მიღებული, იგი მალე დიდ ცოდვამდე მიგვიყვანს.
ყოველი ქრისტიანული ოჯახის, ყოველი ჭეშმარიტი მორწმუნის მოვალეობაა, იბრძოლოს ყოველგვარი ბილწსიტყვაობის წინააღმდეგ. მაგალითად, თუკი რომელიმე საზოგადოებაში ყოფნისას ფუჭსიტყვაობის მოწმენი გავხდით, უნდა ვეცადოთ, შევცვალოთ საუბრის თემა, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ღვთის მადლით ჩვენ შევძლებთ, რამდენიმე სიტყვის მშვიდად და ღირსეულად წარმოთქმით სულ სხვა, უფრო სასარგებლო მიმართულება მივცეთ საუბარს. ყოველი მშობელი ვალდებულია, თავისი შვილები სწორ მეტყველებას მიაჩვიოს. ამის გაკეთება ყველაზე უკეთ შინ, ოჯახში შეიძლება. ადრეული ასაკიდანვე უნდა ვასწავლოთ ბავშვებს, პატივისცემით და თავაზიანად მოეპყრონ მშობლებსა და ოჯახის წევრებს; მათ თავიდანვე უნდა შეიმეცნონ, რომ მათი ბაგენი მხოლოდ სიმართლესა და ჭეშმარიტებას უნდა ღაღადებდნენ. ამისათვის კი თავად მშობლები უნდა იყვნენ ქრისტეს სკოლის ბეჯითი მოწაფენი და ყოველდღე სწავლობდნენ მის ჭეშმარიტებებს. და მაშინ შეძლებენ არა მხოლოდ რჩევა-დარიგებებით, არამედ საკუთარი ცხოვრების მაგალითითაც ასწავლონ შვილებს "სიტყვა ნათელი, უკიცხველი" (ტიტ. 2:8). ეს მშობლის ყველაზე დიდი და საპასუხისმგებლო მოვალეობაა.
როგორც ქრისტეს ერთგული მიმდევარნი, ჩვენ მუდამ უნდა ვეხმარებოდეთ და ვამხნევებდეთ ერთმანეთს ჩვენს ქრისტიანულ ცხოვრებაში, განსაცდელსა და გაჭირვებაში. უფრო ხშირად გვმართებს საუბარი უფალთან ურთიერთობის საკუთარ, ძვირფას გამოცდილებებზე. უფრო ხშირად უნდა ვუამბობდეთ ერთმანეთს უფლის სიყვარულსა და გულმოწყალებაზე; იმაზე, თუ როგორ გვეხმარება მაცხოვარი თავისი ჩვენდამი უსაზღვრო სიყვარულის გამო. ჩვენი ბაგეები მუდამ მადლიერებისა და ღვთის სადიდებელ სიტყვებს უნდა წარმოთქვამდნენ. თუკი ადამიანს მთელი სულითა და გულით, გულწრფელად უყვარს უფალი, ეს სიყვარული უეჭველად გამოვლინდება მის სიტყვებში, რადგან ამ შემთხვევაში მას არ გაუძნელდება, წარმოთქვას ის, რაც მთელ მის არსებას ავსებს. ამაღლებული ფიქრები, კეთილშობილური ზრახვები, ჭეშმარიტი ცოდნა სიმართლისა, უანგარო მიზნები, ღვთისმოსაობისა და სიწმიდის სურვილი - ყოველივე ამის არსებობა აუცილებლად გამოიღებს შესაბამის ნაყოფს სიტყვებში, რომლებიც გულში დაფარულ ძვირფას საგანძურს გამოავლენს. და როდესაც ჩვენს სიტყვებში ამგვარად გამოვლინდება ქრისტე, სიტყვა შეიძენს ძალას, რომელიც ადამიანებს ქრისტესკენ შემოაბრუნებს.
ქრისტეზე უნდა ვესაუბროთ მათ, ვინც ჯერ კიდევ არ იცნობს მას. და ამ დროს ქრისტეს საქციელს უნდა მივბაძოთ. სადაც არ უნდა ყოფილიყო მაცხოვარი: სინაგოგაში, გზაში, ზღვის ტალღებზე მოქანავე ნავში, ფარისეველთან გამართულ ნადიმსა თუ მებაჟის სუფრასთან, იგი საუბრის საგანს ყოველთვის

ზეცას უკავშირებდა. ბუნების მოვლენებს, ყოველდღიური ცხოვრების ამბებს მუდამ ჭეშმარიტების სიტყვასთან კავშირში გადმოსცემდა, რაც ადამიანთა გულს მისკენ იზიდავდა, ვინაიდან იგი კურნავდა სნეულთ, ამშვიდებდა და ანუგეშებდა დამწუხრებულთ, ხელში იყვანდა მათს შვილებს და აკურთხებდა. ადამიანები მთელი გულისყურით უსმენდნენ მის სიტყვას, ვინაიდან ყოველ მათგანს სიცოცხლის ძალა და სურნელი გააჩნდა.
ეს მაგალითი უნდა იყოს ჩვენთვის. სადაც არ უნდა ვიმყოფებოდეთ, ყველგან უნდა შევძლოთ მაცხოვარზე საუბარი. და თუკი ქრისტეს მსგავსად სიკეთეს დავთესავთ, ადამიანები მოგვენდობიან და გაგვიხსნიან თავიანთი გულის კარს ისევე, როგორც ეს ქრისტესთან ურთიერთობისას იყო. არა უკმეხად და უხეშად, არამედ უზენაესის სიყვარულით ნაკარნახევი ტაქტითა და თავაზიანობით უნდა ვუამბოთ მათ იმის შესახებ, ვინც ათიათასთაგან გამორჩეული და ყოვლად სანატრელია (ქებ. 5:10,16). ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე, სადაც ჩვენი მეტყველების დიდი ნიჭი შეგვიძლია გამოვამჟღავნოთ. იგი ხომ სწორედ იმისათვის გვეძლევა, რომ კაცობრიობას გავაცნოთ ქრისტე - ჩვენი მოწყალე და მიმტევებელი მხსნელი.

ზეგავლენა

უსაზღვრო და უსასრულო იყო იესო ქრისტეს ზეგავლენა ადამიანებზე, რაც მას ღმერთთან და კაცობრიობასთან აკავშირებდა. მაცხოვრის მეშვეობით უფალმა ღმერთმა იმდენად დიდი ზეგავლენა მოახდინა ადამიანზე, რომ მისთვის შეუძლებელი გახდა, მხოლოდ საკუთარი თავისთვის ეცხოვრა. თუმცა ჩვენ დამოუკიდებელი პიროვნებები ვართ, მაგრამ ყოველი ჩვენგანი დაკავშირებულია სხვა ადამიანებთან და ნაწილი ვართ ერთი მთლიანი ორგანიზმისა, რომელიც ღმერთს ეკუთვნის. აქედან გამომდინარე, ორმხრივი მოვალეობა გვაკისრია. ვერც ერთი ადამიანი ვერ იარსებებს საზოგადოებისაგან დამოუკიდებლად, ვინაიდან ერთის კეთილდღეობა ზეგავლენას ახდენს მეორეზე. უფლის მიზანია, ადამიანმა იგრძნოს, რომ იგი ვიღაცას სჭირდება და ეცადოს, ბედნიერება მოუტანოს სხვებს.
ყოველი ადამიანის გარშემო განსაკუთრებული ატმოსფერო სუფევს. ეს, შესაძლოა, იყოს ცხოველმყოფელი რწმენის, სიმამაცის, იმედისა და სიყვარულის ატმოსფერო; ან პირიქით, მძიმე და ცივი, პირქუში ატმოსფერო ირგვლივ მყოფთა მიმართ უკმაყოფილებისა და გულში არსებული ფარული ცოდვით მოწამლული საკუთარი ეგოიზმისა. სწორედ ჩვენ გარშემო არსებული ატმოსფეროს მეშვეობით ვახდენთ ზეგავლენას თითოეულ პიროვნებაზე, რომელთანაც ურთიერთობა გვაქვს.
ესაა პასუხისმგებლობა, რომლისგანაც ვერასოდეს გავთავისუფლდებით. ჩვენი ყოველი სიტყვა, საქმე, ჩაცმულობა, საუბრის კილო, სახის გამომეტყველებაც კი უდიდეს ზეგავლენას ახდენს. შთაბეჭდილებამ, რომელსაც ადამიანებზე ამგვარად ვახდენთ, შეიძლება გამოიღოს ცუდი ან კარგი ნაყოფი, რომელიც აუწყველი და შეუფასებელია. ყოველი განზრახვა, რომელიც ჩვენგან მოდის, არის თესლი, რომელიც სხვებში ითესება და რომელიც, თავის მხრივ, მათში ნაყოფს გამოიღებს. ეს მხოლოდ ერთი მცირე რგოლია სხვადასხვა ადამიანთა ცხოვრებისეულ მოვლენათა უსასრულოდ გრძელი ჯაჭვისა. თუკი ჩვენი

საკუთარი მაგალითით სხვებში კეთილი პრინციპების განვითარებას ვუწყობთ ხელს, ამით მათ ვაძლევთ ძალას კეთილ საქმეთა საკეთებლად. შემდგომ კი ისინიც, თავის მხრივ, სხვებზე მოახდენენ კეთილ ზეგავლენას, ის სხვები კი - სხვებზე და ასე უსასრულოდ. ამგვარად, ჩვენი უნებლიე ზეგავლენა, შესაძლოა, ათასობით ადამიანისათვის კურთხევად იქცეს.
ტბაში ნასროლი კენჭი ქმნის ტალღების წრეს, რომელიც შემდგომ ტალღათა სიმრავლეს იწვევს და თანდათანობით ვრცელდება, ვიდრე ნაპირს არ მიაღწევს. ასევეა ჩვენი ზეგავლენაც - შესაძლოა, ჩვენგან დამოუკიდებლად იგი ადამიანებისათვის წყევლად ან კურთხევად იქცეს.
ხასიათი - ეს უდიდესი ძალაა. ჭეშმარიტების მდუმარე მოწმობას, უანგარო, ღვთისმოსაურ ცხოვრებას უსაზღვროდ დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. ჩვენს ცხოვრებაში ქრისტიანული ხასიათის გამოვლინებით ჩვენ მაცხოვრის თანამშრომელნი ვხდებით ადამიანთა გადარჩენის საქმეში. და ჩვენი მასთან თანამშრომლობა მით უფრო წარმატებული იქნება, რაც უფრო მეტად გამოვლინდება ჩვენში მისი ხასიათი. რაც უფრო დიდია და ყოვლისმომცველი ჩვენი ზეგავლენა, მით უფრო მეტ კეთილ საქმეს გავაკეთებთ. როდესაც უფლის ერთგული მსახურნი ქრისტეს ცხოვრებას ბაძავენ, როდესაც მათთვის მაცხოვრის ყოველი სიტყვა და საქმე მაგალითია, როდესაც მისი პრინციპებით ცხოვრობენ, როდესაც ყოველი მათი მოქმედება მოწმობს, რომ მათ უყვართ ღმერთი და მოყვასი, როგორც საკუთარი თავი, მაშინ უფლის ეკლესიას ექნება ძალა, შეძრას მთელი მსოფლიო.
მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ შესაძლოა, ზეგავლენა დამღუპველ ძალად იქცეს. საკუთარი სულის დაღუპვა - ეს საშინელებაა, მაგრამ უფრო საშინელია, გახდე სხვისი სულის დაღუპვის მიზეზი. საშინელია იმაზე ფიქრიც კი, რომ ჩვენი ზეგავლენა ადამიანთა სიკვდილის მიზეზად შეიძლება იქცეს, მაგრამ ეს შესაძლებელია. მრავალი ღვთისმსახური, რომელიც თავს უფლისათვის ადამიანთა შეკრების საქმეში ქრისტეს თანამშრომელს უწოდებს, ხშირად საწინააღმდეგოს აკეთებს და მათ ღმერთს უფრო აშორებს. ამიტომაცაა ეკლესია ასეთი სუსტი. ბევრი მორწმუნე თავს ნებას აძლევს, გააკრიტიკოს და დაადანაშაულოს. თავიანთი ეჭვებით, შურითა და უკმაყოფილებით ისინი შესაძლებლობას აძლევენ სატანას, თავის იარაღად გაიხადოს ისინი. და სანამ ისინი გონს მოვლენ და მიხვდებიან, თუ რას აკეთებენ, სატანა მათი მეშვეობით უკვე ასრულებს თავის ჩანაფიქრს. ბოროტებამ უკვე იქონია თავისი ზეგავლენა: ვიღაცას სახელი უკვე შეელახა და სატანის ისრებმაც თავის მიზანს მიაღწია. ეჭვებმა, ურწმუნოებამ და აშკარა უღვთოობამ დაისადგურა იმ ადამიანთა გულში, რომელთაც სხვა ვითარებაში შეეძლოთ, ქრისტე მიეღოთ. ამასობაში სატანის მესვეურნი თვითკმაყოფილებით უცქერენ მათ, ვინც ასე სკეპტიკურად განაწყვეს, რომელთაც ამის გამო გული გაიქვავეს და ყური დაიხშეს, რათა არ შეესმინათ საყვედური ან ხვეწნა-მუდარა. ისინი თავს იმით იმშვიდებენ, რომ სხვებთან შედარებით მართალნი და კეთილმოქმედნი არიან და ვერ შეუგნიათ, რომ ამ საცოდავ ადამიანთა დაღუპვა მათი თავშეუკავებლობის, მოუთოკავი ენისა და ამბოხებული გულის ზეგავლენის შედეგია. სწორედ მათი ზემოქმედების შედეგია ის, რომ ეს სუსტი ადამიანები ცდუნდნენ.
ამგვარად ღუპავს ადამიანებს ამ ეგრეთ წოდებულ ქრისტიანთა არასერიოზულობა, დაუფიქრებლობა და საკუთარი თავისადმი შემწყნარებლობა,

უზრუნველობა და გულგრილობა. ბევრი მათგანი შიშით შეხვდება ღვთის სამსჯავროზე საკუთარი ბოროტი ზეგავლენის ნაყოფს.
მხოლოდ ღვთის მადლითაა შესაძლებელი ამ ნიჭის სწორად გამოყენება. ჩვენ თავად არაფერი გაგვაჩნია ისეთი, რაც სხვებზე კეთილ ზეგავლენას მოახდენს. და თუკი საკუთარ უსუსურობასა და უზენაესის ძალის საჭიროებას შევიცნობთ, საკუთარ თავს აღარ დავეყრდნობით. ჩვენ არ ვიცით, თუ რას მოგვიტანს დღე, საათი თუ წუთი, ამიტომ ყოველი დღე იმით დავიწყოთ, რომ ჩვენი გზები ზეციერ მამას მივანდოთ. უზენაესის ანგელოზებს ჩვენზე ზრუნვა აქვთ დავალებული. ისინი თვალყურს გვადევნებენ და თუკი მათს ხელმძღვანელობას მივენდობით, გაჭირვებისა და ხიფათის ჟამს ისინი ჩვენ გვერდით იქნებიან. და როდესაც უნებლიედ ვიღაცაზე ბოროტი ზეგავლენის მოხდენის საფრთხის ქვეშ აღმოვჩნდებით, ღვთის ანგელოზები წამსვე ჩვენთან გაჩნდებიან, რათა საჭირო სიტყვები გვიკარნახონ, ჩვენზე კეთილი ზეგავლენა იქონიონ, სწორი გადაწყვეტილება მიგვაღებინონ და სწორი გზა გვიჩვენონ. ამიტომ ჩვენი ზეგავლენა შესაძლოა იყოს უსიტყვო, ქვეცნობიერი, მაგრამ მეტად ძლიერი ქრისტესთან და ზეციურ სასუფეველთან ადამიანთა მოყვანის საქმეში.

დრო
ჩვენი დრო ღმერთს ეკუთვნის. ყოველი წამი მისია და ჩვენ დიდად მოვალენი ვართ, მის სადიდებლად გამოვიყენოთ იგი. მის მოცემულ საბოძვართა შორის ყველაზე მკაცრი ანგარიში სწორედ რომ დროის გამოყენებისათვის მოგვეთხოვება.
დრო ფასდაუდებელია. მაცხოვარი თვლიდა, რომ ცხოვრების ყოველი წამი მეტად ძვირფასი და მნიშვნელოვანია. ასევე უნდა მივიჩნიოთ ჩვენც. ცხოვრება მეტად ხანმოკლეა იმისათვის, რომ იგი ფუჭად დავხარჯოთ. მეტად მცირე დრო გვაქვს მოცემული გამოცდისათვის და საუკუნო სიცოცხლეში შესასვლელად მზადებისათვის. ჩვენ არა გვაქვს დრო იმისათვის, რომ იგი ფუჭად ვხარჯოთ ან ჩვენი ეგოისტური მოთხოვნების დაკმაყოფილებას მოვანდომოთ. ჩვენ არა გვაქვს დრო იმისათვის, რომ ცოდვა შევიწყნაროთ. ეს არის დრო, როდესაც ხდება ჩვენი ხასიათის ჩამოყალიბება საუკუნო სასუფევლისათვის. სწორედ ახლა ხდება ჩვენი მომზადება მომავალ ღვთიურ სამსჯავროზე წარსადგენად.
არცთუ ისე დიდი ხანი გავიდა ადამიანის შექმნის დღიდან და კაცობრიობამ კვდომა იწყო. ამაოა ადამიანის გამუდმებული შრომა და მცდელობა საუკუნო სიცოცხლის შესახებ ჭეშმარიტების შემეცნების გარეშე. ის, ვინც კარგად იცის მისი შრომისათვის გამოყოფილი დროის ფასი, შეძლებს ზეციურ სავანეებში - საუკუნო სასუფეველში გადასვლისათვის მომზადებას. ასეთი ადამიანი ამართლებს თავის დაბადებას.
ღვთით ბოძებული დრო სასარგებლო საქმეებისათვის უნდა გამოვიყენოთ. ფუჭად დაკარგული წუთების დაბრუნება შეუძლებელია. უკან ერთ წამსაც კი ვეღარ დავიბრუნებთ. ერთადერთი გზა დაკარგული დროის ანაზღაურებისა - ესაა დარჩენილი დროის ვარგისიანად გამოყენება უფალთან თანამშრომლობაში კაცობრიობის გამოსყიდვის უდიდესი ღვთიური გეგმის განსახორციელებლად.

ადამიანს, ვინც ამას აკეთებს, თანდათან ეცვლება ხასიათი. იგი უფლის ძედ, უზენაესის ოჯახის წევრად და ზეციური მეფის შვილად იქცევა. იგი უკვე მზადაა იმისათვის, რომ ზეციურ ანგელოზებთან ჰქონდეს ურთიერთობა.
ახლა სწორედ ის მომენტია, როდესაც მოცემული დრო მოყვასის გადასარჩენად უნდა გამოვიყენოთ. დღეს ბევრი ფიქრობს, რომ თუკი ქრისტეს საქმისათვის რაიმე ფულს გაიღებს, ეს საკმარისია და მეტი არაფერი მოეთხოვება. მაგრამ ის ძვირფასი დრო, რომელიც ადამიანს უფლისადმი პირადი მსახურებისათვის მიეცა, მათ ხელიდან გაუშვეს. უფლის საქმეებისათვის აქტიური შრომა და მსახურება - ეს უდიდესი უპირატესობა და მოვალეობაა იმ ადამიანისათვის, ვისაც ჯანმრთელობა და ძალა უწყობს ხელს. ყველა მორწმუნემ უნდა აკეთოს ქრისტეს საქმეები - იშრომოს ადამიანის გადარჩენისათვის. ფულადი შესაწირავი ვერ შეცვლის ამ მსახურებას.
ჩვენი ცხოვრების ყოველი განვლილი წამი შედეგს მომავალ საუკუნო სიცოცხლეში გამოიღებს. ჩვენ მუდამ ფხიზლად და მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რათა ვიშრომოთ იქ, სადაც უფალს დავჭირდებით. შესაძლებლობა სიცოცხლის სიტყვის თქმისა სულთათვის, რომელთაც ეს ამ მომენტში სჭირდებათ, შესაძლოა, აღარ განმეორდეს. უფალმა, შესაძლოა, უთხრას ადამიანს: "უგუნურო, ამაღამ სულს მოგთხოვენ" (ლუკ. 12:20), იგი კი მზად არ აღმოჩნდეს იმის გამო, რომ ჩვენ ჩვენი მოვალეობა არ შევასრულეთ. და რა გვექნება სათქმელი უფლის იმ დიად დღეს, როცა ღვთის სამსჯავროზე წარვდგებით?
სიცოცხლე მეტად ძვირფასი და მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ იგი ამქვეყნიურ მიზნებს, წვრილმანებზე ზრუნვასა და ამაოებას მოვახმაროთ, რაც იმდენად უმნიშვნელოა, რომ საუკუნო სიცოცხლესთან მისი შედარება არც კი შეიძლება. და, მიუხედავად ამისა, უფალმა მოგვიწოდა, მას ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც ვემსახუროთ. ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში სიბეჯითის გამოჩენა ჭეშმარიტი რელიგიის ისეთივე მნიშვნელოვანი ნაწილია, როგორც ღვთისმოსაობა. ბიბლია არ იწონებს ჩვენს უსაქმოდ ყოფნას. ესაა კაცობრიობის დიდი უბედურება, რაც მძიმე წყევლად ადევს მთელ წუთისოფელს. ყოველი ჭეშმარიტად მოქცეული ადამიანი - კაცი თუ ქალი, ღვთიურ საქმეთა მუყაითი შემსრულებელი უნდა იყოს.
ჩვენი კუთვნილი დროის სრულყოფილად გამოყენებაზეა დამოკიდებული ჩვენი წარმატება სათანადო ცოდნის მიღებისა და გონებრივ შესაძლებლობათა განვითარების საქმეში. ინტელექტის განვითარებას ხელს ვერ შეუშლის ვერც სიღარიბე, ვერც ადამიანის უბრალო წარმოშობა და ვერც არახელსაყრელი გარემო და პირობები. საჭიროა მხოლოდ ერთი რამ: კარგად გვესმოდეს, თუ რაოდენ ძვირფასია ყოველი წუთი. რამდენ ასეთ ძვირფას წუთს ვკარგავთ უაზროდ უმიზნო საუბრებში, დილაობით ლოგინში გვიანობამდე ნებივრობისას, მოგზაურობასა და ტრანსპორტის მოლოდინში, სურსათ-სანოვაგისათვის გაუთავებელ რიგებსა და იმ პირთა მოლოდინში, რომელნიც დანიშნულ შეხვედრაზე დროულად არ ცხადდებიან. დროის ეს ნაწილი წმიდა წერილების კითხვასა და წაკითხულზე მსჯელობას რომ მოვანდომოთ, რაოდენ სასარგებლო საქმეს გავაკეთებდით. დასახული მიზნებისაკენ სწრაფვა, ბეჯითი შრომა, დროის დაზოგვა და შეუპოვრობა შესაძლებლობას მისცემს ადამიანს, შეიძინოს ღრმა ცოდნა, მოიწესრიგოს გონება და მოემზადოს იმისათვის, რომ ნებისმიერ

ვითარებაში კეთილი ზეგავლენის მოხდენა და დიდი სარგებლობის მოტანა შეძლოს.
ყოველი ქრისტიანის მოვალეობაა, გამოიმუშავოს თვისებები, რომლებიც ხელს შეუწყობს, იყოს მოწესრიგებული, ბეჯითი და სრულყოფილი. არავის ეპატიება ნებისმიერი საქმის ან სამუშაოს გაჭიანურება. როდესაც ადამიანი გამუდმებით შრომობს, მაგრამ საქმეს თავს ვერ ართმევს, ეს იმის ნიშანია, რომ იგი მას უგულოდ, ენთუზიაზმის გარეშე აკეთებს. მან, ვინც ასე აუჩქარებლად მუშაობს, უნდა შეიგნოს საკუთარი ნაკლის გამოსწორების აუცილებლობა. მან ისე უნდა გამოწვრთნას საკუთარი გონება, რომ შეძლოს თავისი დროის სწორად დაგეგმვა საუკეთესო შედეგის მიღების მიზნით. ამ მეთოდის გამოყენებით იგი შეძლებს, ხუთ საათში გააკეთოს ის, რასაც სხვა ათს მოანდომებდა. მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც მუდამ, შეუსვენებლივ საშინაო საქმეებს აკეთებენ არა იმიტომ, რომ მართლაც უზომოდ დიდი დატვირთვა აქვთ, არამედ იმიტომ, რომ თავის საქმეებს ისე არ გეგმავენ, რომ დრო დაზოგონ. თავიანთი ზანტი მოქმედებებით ისინი სრულიად მარტივ საქმეს მეტად ართულებენ; მაგრამ ის, ვინც საკუთარ თავში ამ მავნე თვისებების აღმოფხვრას მოინდომებს, საწადელს უთუოდ მიაღწევს. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სამუშაოს დაწყების წინ განსაზღვრული მიზნის დასახვა. გამოთვალეთ, თუ რამდენი დრო დაგჭირდებათ მოცემული სამუშაოს შესასრულებლად, შემდეგ კი შეეცადეთ, განსაზღვრულ დროში დაამთავროთ ის. ნებისყოფის ასეთი გამოცდა ხელებსაც გაავარჯიშებს და მოხერხებულობასა და სიმარდესაც შესძენს მათ.
ასეთი გულმოდგინების უქონლობისა და საკუთარი უსუსურობის გამო ისინი, ვისაც საკუთარი თავის კონტროლი და გარდაქმნა არ ძალუძს, მცდარ მოქმედებათა სტერეოტიპებად გადაიქცევიან. ხოლო საკუთარი ნიჭისა და ნებისყოფის განმტკიცებით ისინი მშვენივრად გაართმევენ თავს საქმეს და თავიანთ მოვალეობასაც წარმატებით შეასრულებენ. მაშინ ისინი საჭირონი იქნებიან მუდამ და ყველგან; საკუთარ ღირსებებსაც გამოავლენენ და უდიდეს პატივისცემასაც დაიმსახურებენ.
ბევრი ახალგაზრდა და მოზარდი ხშირად ფუჭად ხარჯავს დროს, როცა შეუძლიათ, ეს დრო ოჯახურ საქმიანობას მოახმარონ, ოჯახს დაეხმარონ და ამით მშობლებისადმი ჭეშმარიტი სიყვარული და პატივისცემა გამოავლინონ. ახალგაზრდები მხარში უნდა ამოუდგნენ ოჯახის წევრებს, თავისი ძლიერი, ახალგაზრდული ხელი შეაშველონ მათ და მრავალი მოვალეობაც იტვირთონ. ქრისტეს ცხოვრება სიყმაწვილის წლებიდანვე აქტიური შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა. იგი მუდამ სხვებზე ზრუნავდა და არა საკუთარ თავზე. თუმცა იგი უზენაესი ღმერთის ძე იყო, თავის მიწიერ მამას, იოსებს, სახელოსნოში სადურგლო საქმეებში შველოდა. მისი ეს საქმიანობა მეტად მრავლისმეტყველი და ყურადსაღები იყო: იგი მოვიდა წუთისოფელში როგორც ადამიანის ხასიათის აღმშენებელი და ამიტომ მის ყოველ მოქმედებას სრულყოფილების ბეჭედი ესვა. ყოველი მისი ამქვეყნიური საქმიანობა ისეთივე სრულყოფილი იყო, როგორც მისი ღვთიური ძალით გარდაქმნილ ადამიანთა ხასიათი. ქრისტე ჩვენი მაგალითია.
მშობლებმა უნდა ასწავლონ შვილებს დროის ფასი და მისი სწორად გამოყენება. ასწავლეთ მათ, აკეთონ ის საქმეები, რაც დიდებას მოუტანს უფალს და

კეთილდღეობას - კაცობრიობას. თვისი სიყმაწვილის წლებშიც კი შეუძლიათ ბავშვებს, აკეთონ უფლის საქმე და მის მისიონერებად იწოდებოდნენ. უდიდეს დანაშაულსა და ცოდვას ჩადიან მშობლები, როდესაც შვილებს უსაქმოდ ყოფნის ნებას აძლევენ. ბავშვები ადვილად ეჩვევიან სიზარმაცეს, რის შედეგადაც უძლურ და უსარგებლო ადამიანებად იზრდებიან. ხოლო როცა იმ ასაკს აღწევენ, როდესაც თავად უნდა გამონახონ საარსებო წყარო და საკუთარი ცხოვრებაც უზრუნველყონ, მათ მუშაობა ეზარებათ და არც შრომისა და თავის შეწუხების სურვილი აქვთ, თუმცა, ამავე დროს, ელიან ანაზღაურებას, რომელიც არ დაუმსახურებიათ. უდიდესი განსხვავებაა ასეთ მუშაკებსა და მათ შორის, ვისაც შეგნებული აქვს, რომ იგი უფლის ჭეშმარიტი და ერთგული მნე უნდა იყოს.
უსაქმურობა და ყოველდღიური საქმიანობისადმი ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება დიდ ზეგავლენას ახდენს ამ ადამიანთა რელიგიურ ცხოვრებაზე, რის გამოც ისინი უფლის მსახურებისათვის უსარგებლონი ხდებიან. მრავალმა ადამიანმა, რომელიც თავისი მუყაითი შრომითა და სიბეჯითით წუთისოფლისათვის კურთხევად უნდა ქცეულიყო, თავი დაიღუპა თავისი უსაქმურობით. უქმად ყოფნა და უმიზნოდ ცხოვრება დაუცველს ხდის ადამიანს და გზას უხსნის მას ათასგვარი ცდუნებისაკენ. ურწმუნო მეგობრები და მანკიერი ჩვევები ღუპავენ ადამიანის გონებასა და სულს, შედეგი კი ასეთია: იღუპება იგი აწმყოსათვის და მომავალი ცხოვრებისათვისაც.
როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი სამუშაო, ღვთის სიტყვა გვასწავლის: "იბეჯითეთ და ნუ დაიღლებით. სულით აღეგზნეთ. ემსახურეთ უფალს". "ყოველივე, რასაც შენი ხელი მისწვდება გასაკეთებლად, შენი ძალისამებრ გააკეთე". "იცოდეთ, რომ მემკვიდრეობას მიიღებთ უფლისაგან საზღაურად, ვინაიდან უფალ ქრისტეს ემსახურებით" (რომ. 12:11; ეკლ. 9:10; კოლ. 3:24).

ჯანმრთელობა

ჯანმრთელობა, რომელიც ჩვენ გვეძლევა - ეს უფლის უდიდესი კურთხევაა, თუმცა ადამიანები მას ჯეროვნად არ აფასებენ. ჯანმრთელობაზე დიდადაა დამოკიდებული ჩვენი გონებრივი და ფიზიკური ძალების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობა. ყოველგვარი იმპულსები და გრძნობები ჩვენს სხეულში ისახება, ამიტომ მათ საუკეთესო ფიზიკური და სულიერი პირობები უნდა შევუქმნათ, რათა ჩვენი ნიჭები და შესაძლებლობანი დანიშნულებისამებრ, უმაღლეს დონეზე იქნას გამოყენებული.
ყველაფერი ის, რაც ჩვენს ფიზიკურ ძალებს ასუსტებს, გონებაზეც უარყოფით ზეგავლენას ახდენს და დიდად ამცირებს მის შესაძლებლობებს, განასხვავოს კარგი ცუდისაგან. ჩვენ ვკარგავთ კეთილის შეცნობისა და მიღების უნარს, ძალასა და ნებისყოფას იმის აღსასრულებლად, რაც ჭეშმარიტებად მიგვაჩნია. ჩვენი ფიზიკური ძალების არასწორად გამოყენება ამოკლებს ცხოვრების იმ წუთებსა და საათებს, რომლებიც ღვთის სადიდებლად უნდა გამოგვეყენებინა. ამის გამო ხშირად სრულიად უძლურნი ვართ და უფლის დავალებებს ვერ ვასრულებთ. საკუთარი მავნე ჩვევების მიმართ შემწყნარებლობის გამო, რაც ხშირად გვიანი ღამის საათების უმიზნოდ გატარებასა და მადის არაჯანსაღ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში გამოიხატება, ჩვენ ხშირად თავად ვუწყობთ

ხელს საკუთარი ჯანმრთელობის შერყევას. ფიზიკურ ვარჯიშთა უგულებელყოფითა და გონებისა და სხეულის გადატვირთვით ვარღვევთ ჩვენი ნერვული სისტემის წონასწორობას. ის, ვინც ბუნების კანონების უარყოფით ამგვარად იმოკლებს საკუთარი სიცოცხლის დღეებს, რის შედეგადაც ღვთის მსახურებისათვისაც არასრულფასოვანი ხდება, დანაშაულს სჩადის, რადგან უფალს ძარცვავს. ასეთი ადამიანები არა მხოლოდ უფალს ძარცვავენ, არამედ მოყვასსაც, ვინაიდან თავად იმოკლებენ სიცოცხლის დღეებსა და წუთებს, რომლებიც შეეძლოთ, იმ სასარგებლო საქმიანობისათვის გამოეყენებინათ, უფალმა რომ დაავალათ. უფალი ღმერთი დანაშაულად გვითვლის იმას, რომ თავად ვაზიანებთ ჩვენს ჯანმრთელობას ჩვენივე მანკიერი ჩვევებით, რითაც წუთისოფელსაც ვართმევთ იმ კურთხევას, რომლის მიღებაც მას ჩვენი მეშვეობით შეეძლო.
ამგვარად, ფიზიკური კანონების უარყოფით ზნეობის კანონებსაც ვარღვევთ, ვინაიდან ღმერთი არის ავტორი როგორც ფიზიკური, ასევე ზნეობრივი კანონებისა. მისი კანონი მისივე ხელითაა დაწერილი ყოველ ნერვზე, ყოველ კუნთზე და ადამიანისათვის ბოძებულ ყოველ ნიჭსა თუ უნარზე, ამიტომ ჩვენი სხეულის ნებისმიერი ნაწილის შრომისუნარიანობის არასწორად გამოყენებით უფლის კანონს ვარღვევთ.
ყოველი ადამიანი ვალდებულია, კარგად იცნობდეს საკუთარ სხეულს, მის თავისებურებებს, რათა სათანადოდ იზრუნოს მასზე და უფლის საქმის შესრულება შეძლოს. თავად უნდა დავიცვათ და განვავითაროთ ჩვენი ორგანიზმის ჯანმრთელობა, რათა ადამიანის არსში სრულად გაცხადდეს ღვთიური ბუნება. ადამიანის ფიზიკური სიცოცხლისუნარიანობისა და მისი სულიერი ცხოვრების ურთიერთდამოკიდებულება ადამიანის აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს როგორც ოჯახში, ასევე სკოლაშიც. ყველას უნდა ჰქონდეს ნათელი წარმოდგენა საკუთარი სხეულის ფიზიკურ აგებულებაზე და ადამიანის სიცოცხლის მმართველ კანონებზე. ის, ვისაც შეგნებულად არ სურს ამ კანონების ცოდნა და თავისი უმეცრების გამო არღვევს მათ, სცოდავს ღვთის წინაშე. ყველამ სათანადოდ უნდა იზრუნოს საკუთარ ჯანმრთელობაზე და სიცოცხლეზე. ჩვენი ჩვევები ჩვენმა გონებამ უნდა გააკონტროლოს, გონება კი უფლის ხელმძღვანელობას უნდა დავუქვემდებაროთ.
"ნუთუ არ იცით, - ამბობს პავლე მოციქული, - რომ თქვენი სხეულები ტაძარია თქვენში სულიწმიდისა, რომელიც ღვთისაგან გაქვთ, და რომ თქვენს თავს არ ეკუთვნით? ვინაიდან ფასით ხართ ნაყიდნი. ამიტომ ადიდეთ ღმერთი თქვენი სხეულით და თქვენი სულებით, რომლებიც ღვთისაა" (1კორ. 6:19,20).

ძალა

უფალი ღმერთი უნდა გვიყვარდეს არა მხოლოდ მთელი გულით, სულითა და გონებით, არამედ მთელი ჩვენი ძალით. ეს კი ჩვენი ფიზიკური ძალების გონივრულ გამოყენებასაც გულისხმობს.
მაცხოვარი თავად იყო მუყაითი მშრომელი და აღმსრულებელი არა მხოლოდ სულიერი, არამედ ამქვეყნიური, ყოველდღიური საქმეებისა. მის მიერ ნებისმიერ საქმეში გამოვლენილი გულმოდგინება და ნებისყოფა მამის ნებისადმი უსიტყვო

მორჩილებაზე მეტყველებდა. ზეციური და მიწიერი საქმეები უფრო მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და ქრისტეს უშუალო მეთვალყურეობასთან, ვიდრე ბევრს წარმოუდგენია. სწორედ ქრისტემ დაგეგმა პირველი მიწიერი საწმიდრის აგება; სწორედ მაცხოვარი იძლეოდა კონკრეტულ მითითებებს სოლომონის ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებით. ის, ვინც აქ, დედამიწაზე, პატარა ქალაქ ნაზარეთში უბრალო ხუროდ მუშაობდა, სინამდვილეში იყო ზეციერი არქიტექტორი, რომელმაც იმ წმიდა ტაძრის მშენებლობის გეგმა შეადგინა, სადაც მისი სახელი უნდა განდიდებულიყო.
სწორედ ქრისტემ უბოძა ტაძრის მშენებლებს თავისი ღვთიური სიბრძნე, რათა დიდი ოსტატობითა და დახვეწილობით შეესრულებინათ ეს სამუშაო. მაცხოვარმა ბრძანა: "აჰა, მე მოვუხმე სახელით ბეცალელს, ძეს ხურისა, ძისა ურისა, იუდას ტომიდან. და ავავსე იგი ღვთის სულით, სიბრძნით, გონებით, ცოდნითა და ყოველგვარი ხელოვნებით... და აჰა, მე მივეცი მას აჰოლიაბი, ძე ახისამაქისა, დანის ტომიდან, და ყოველი ბრძენის გულს მივეცი მე სიბრძნე. და მათ გააკეთონ ყოველი, რაც მე გიბრძანე შენ" (გამ. 31:2-6).
უფალს სურს, რომ მისი ყოველი მსახური - მისი ნებისმიერი საქმის აღმსრულებელი, მასში ხედავდეს იმ ერთადერთ ღმერთს, რომელმაც მისცა მას ყოველივე, რაც კი გააჩნია. ყოველი ჭეშმარიტი სიახლე, გამომგონებლობა, გამჭრიახობა და სრულყოფილება უფლისაგან მოდის, ვინაიდან იგი თავადაა საკვირველი მრჩეველი და სრულყოფილი თავის საქმიანობაში. ექიმის მარჯვე ხელის ოსტატური შეხება, რომელიც ჩვენი ყოველი ნერვისა და კუნთის მდგომარეობას განსაზღვრავს, ადამიანის ურთულესი ორგანიზმის აგებულების ღრმა ცოდნა - ყოველივე ეს უზენაესის ძალა და სიბრძნეა ტანჯულთა დასახმარებლად. ოსტატობა და მოხერხებულობა, რომლითაც ხურო თავის ჩაქუჩს ხმარობს; ძალა, რომელსაც მჭედელი თავის საქმეში იყენებს, - ყველაფერი უფლისაგან მოდის. მან მისცა ადამიანს ნიჭები და სურს, რომ რჩევისთვის მასვე მიმართონ. რა საქმეც არ უნდა დაგვავალონ, რასაც არ უნდა ვაკეთებდეთ, მაცხოვარს სურს, ჩვენს გონებას უხელმძღვანელოს, რათა ყოველ საქმეში სრულყოფილებას მივაღწიოთ.
რელიგია და ამქვეყნიური შრომა - ეს ორი სფერო არც თუ ისე შორსაა ერთურთისაგან. ყველაფერში, რასაც ჩვენ ვაკეთებთ და ვამბობთ, ბიბლიური პრინციპები უნდა იყოს ჩადებული. აუცილებელია ღვთიურისა და ადამიანურის ურთიერთშერწყმა, რათა ჭეშმარიტ წარმატებას მივაღწიოთ როგორც სულიერ, ასევე მიწიერ ცხოვრებაშიც. ეს ძალები ადამიანის მოღვაწეობის ყველა დარგში უნდა გამოვლინდეს, იქნება ეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, ვაჭრობა თუ მეცნიერული პროექტები. ღვთიური და ადამიანური უნდა გაერთიანდეს და ეს ერთიანობა ქრისტიანული მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში უნდა აისახოს. ასეთი ერთობა კი მხოლოდ იმ პრინციპებზე დაყრდნობითაა შესაძლებელი, რომლებიც უფალმა ღმერთმა დაგვიდგინა. მაცხოვრის ყოველი თანამშრომლისა და მსახურის ყოველგვარი საქმიანობის მთავარი მოტივი მისი სახელის განდიდება უნდა იყოს. ყველა საქმე უფლის სიყვარულითა და მის ნებასთან თანხმობით უნდა გაკეთდეს.
უფლის ნების გათვალისწინება რაიმე ნაგებობის მშენებლობისას ისევე აუცილებელია, როგორც რელიგიური მსახურებისას. და თუკი ქრისტეს მსახურნი საკუთარი ხასიათის ჩამოყალიბებისას ზეციური პრინციპებით იხელმძღვანელებენ,

ნებისმიერი შენობის აგების დროსაც ღვთიური მადლითა და შემეცნებით აღივსებიან.
მაგრამ ღმერთი არ მოიწონებს არც ადამიანის ყველაზე დიდ ნიჭს და არც ღვთისმსახურების ულამაზეს ცერემონიალს მიიღებს მისგან მანამ, სანამ იგი სამსხვერპლოზე არ დადებს საკუთარ ეგოიზმს, საკუთარ "მე"-ს, როგორც უფლისათვის მისაღებ ცოცხალ შესაწირავს. წმიდა უნდა იყოს ფესვი, რათა მან უფლისათვის მოსაწონი წმიდა ნაყოფი გამოიღოს.
უფალმა გონიერ მნეებად აქცია დანიელი და იოსები. და მათი მეშვეობით აღასრულა თავისი საქმე მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მისი ერთგული მსახურნი საკუთარ სურვილთა დაკმაყოფილებისათვის კი არ იღვწოდნენ, არამედ უფლის ნების შესრულება ეწადათ.
დანიელის მაგალითი ჩვენთვისაც დიდი გაკვეთილია. იგი გვიჩვენებს და გვარწმუნებს, რომ აუცილებელი არაა, საქმიანი ადამიანი მზაკვრული ხერხებით მოქმედებდეს. მას შეუძლია, თავისი ყოველი ნაბიჯი ღმერთს შეუთანხმოს და მისი ხელმძღვანელობით იმოქმედოს. ბაბილონის სამეფოს პრემიერ-მინისტრი, დანიელი, იმავე დროს ღვთის წინასწარმეტყველი იყო და ზეციურ ნათელსაც უფლისაგან იღებდა. მიწიერ სახელმწიფოთა ამბიციური მმართველნი წმიდა წერილებში შედარებულნი არიან ბალახთან, რომელიც, შესაძლოა, აყვავდეს, მაგრამ უნაყოფოა და მალე ჭკნება. უფალს სურს, იყოლიოს გონიერი მსახურნი, რომელნიც სხვადასხვა სფეროში მსახურებას შეძლებენ. მას სჭირდება საქმიანი ადამიანებიც, რომელნიც თავიანთ საქმიანობაში ღვთიური ჭეშმარიტების უდიდეს პრინციპებს დაეყრდნობიან და საკუთარ ტალანტებს ღვთის სიტყვის გულმოდგინე გამოკვლევებითა და მომზადებით სრულყოფენ. და, თუკი ვინმეს სჭირდება ყველა არსებულ შესაძლებლობათა გამოყენება უფრო მეტი სიბრძნის შესაძენად და უფრო მეტი სარგებლობის მოტანის მიზნით, ეს, უპირველეს ყოვლისა, ის ადამიანები არიან, ვინც ძალ-ღონეს არ იშურებს და აქ, დედამიწაზე, ღვთიური სასუფევლის დამკვიდრებისათვის იღვწის. თუკი დანიელის ცხოვრებასა და მოღვაწეობას დაწვრილებით გამოვიკვლევთ, მასში ვერც ერთ შეცდომას, ვერც ერთ ნაკლს ვერ ვიხილავთ. მისი ცხოვრება ყველა საქმიანი ადამიანისათვის თვალსაჩინო მაგალითი შეიძლება გახდეს. მისი ცხოვრების ისტორია გვიჩვენებს, თუ რას შეიძლება მიაღწიოს მან, ვინც მთელ თავის გონებრივ ძალებს, საქმეებს, გულსა და მთელ ცხოვრებას უფლის მსახურებას მიუძღვნის.

ფული

უფალი ღმერთი ადამიანს ფულად სახსრებსაც ანდობს და აძლევს ძალას ქონების შეძენისა და მისი სიუხვისათვის. იგი ციური ნამით რწყავს და ახალისებს დედამიწას, მზის მხურვალე სხივებით ათბობს მას, აღვიძებს ბუნების სამყაროს, რათა იგი აყვავდეს და ნაყოფი გამოიღოს. და, თავის მხრივ, იგი ადამიანებისაგან ითხოვს, დაუბრუნონ ის, რაც მას ეკუთვნის.
ფულსა და სხვა მატერიალურ საშუალებებს ღმერთი იმიტომ კი არ გვაძლევს, რომ საკუთარი თავი განვადიდოთ, არამედ, როგორც უფლის ერთგულმა მნეებმა, იგი ღმერთის სადიდებლად გამოვიყენოთ. ზოგს ჰგონია, რომ ღმერთს მათი შემოსავლის მხოლოდ ის ნაწილი ეკუთვნის, რომელსაც ისინი რელიგიური

საქმეებისა და ქველმოქმედებისათვის გამოყოფენ, სხვა დანარჩენს კი მიიჩნევენ თავის საკუთრებად, რომელსაც საკუთარი სურვილისამებრ მოიხმარენ. მაგრამ აქ ისინი ძლიერ ცდებიან. ყოველივე, რაც კი გაგვაჩნია, უფლის საკუთრებაა და ჩვენ მის წინაშე პასუხს ვაგებთ იმის გამოყენებაზე, რაც მან მოგვანდო. თითოეული ცენტის მიმართ დამოკიდებულება თვალსაჩინოდ მეტყველებს, გვიყვარს თუ არა ღმერთი ყველაზე მეტად და მოყვასი - ვითარცა თავი ჩვენი. ფული - ეს მეტად მნიშვნელოვანი მატერიალური საშუალებაა, ვინაიდან მისი მეშვეობით მრავალი კეთილი საქმის გაკეთებაა შესაძლებელი. ღვთის შვილთა ხელში იგი არის საკვები მშიერთათვის, სასმელი მწყურვალთათვის და სამოსელი შიშველთათვის; საშუალება ჩაგრულთა დასაცავად და სნეულთა დასახმარებლად. მაგრამ იგი არაფერია, თუკი მას აუცილებელ ცხოვრებისეულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, სხვათა საკურთხებლად და ღვთის საქმის წინსვლისათვის არ გამოვიყენებთ.
სიმდიდრის დაგროვება, თუკი იგი თვითმიზანს წარმოადგენს, არა მხოლოდ უსარგებლოა, არამედ უბედურების მომტანიც. მაშინ იგი სულის მახეა, რომელსაც ჩვენი ყურადღება ზეციური საგანძურიდან სხვა რამეზე გადააქვს. უფლის სამსჯავროს დიადი დღის დადგომისას ეს სიმდიდრე იქნება მოწმობა გამოუყენებელი ტალანტებისა და შესაძლებლობებისა და ბრალდება მის მფლობელთა მიმართ. წმიდა წერილი ამბობს: "მოდით, ახლა თქვენც იტირეთ, მდიდრებო, და ივაგლახეთ იმ უბედურებაზე, თქვენზე რომ მოდის. თქვენი სიმდიდრე დალპა, თქვენი სამოსელი კი ჩრჩილმა დაჭამა. თქვენი ოქრო და ვერცხლი დაჟანგდა. მათი ჟანგი იქნება მოწმობა თქვენს წინააღმდეგ, და თქვენს ხორცს ცეცხლივით შეჭამს იგი. დაუნჯებული გაქვთ განძი უკანასკნელი დღეებისათვის. აჰა, მუშაკთა საზღაური, რომელიც დაუკავეთ თქვენი ყანების მომკელთ, ღაღადებს, და მომკელთა ღაღადი უფალ ცაბაოთის ყურამდე აღწევს" (იაკ. 5:1-4).
მაგრამ ქრისტე არ იწონებს და არც გვასწავლის სიმდიდრის უმიზნოდ ფლანგვას. იგი მომჭირნეობისაკენ მოგვიწოდებს. მისი სიტყვები: "მოაგროვეთ ნამუსრევი, რომ არაფერი არ დაიკარგოს" (იოან. 6:12), ყოველ მის მიმდევარს ეხება. ის, ვისაც კარგად ესმის, რომ მისი ქონება და ფული - ეს უფლის მიერ ბოძებული ძღვენი და ძალაა, უფრო ეკონომიურად დახარჯავს მას და თავს ვალდებულად ჩათვლის, გადაინახოს იგი, რათა საჭიროების შემთხვევაში გასცეს. რაც უფრო მეტ სახსრებს ვანდომებთ ფუფუნების საგნების შეძენასა და საკუთარ სურვილთა დაკმაყოფილებას, მით უფრო ნაკლები გვრჩება მშიერთა დასაპურებლად და შიშველთა შესამოსად. ყოველი ცენტის არამიზნობრივად დახარჯვა მხარჯველს კეთილი და საჭირო საქმეების კეთების მეტად მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ართმევს. ეს კი ღმერთის გაძარცვასა და მისი ღირსებისა და დიდების შელახვას ნიშნავს, რაც, პირიქით, მისთვის უნდა შეგვეძინა მის მიერ ბოძებული ტალანტების სწორად გამოყენებით.

## დიდსულოვნება და სიკეთისაკენ სწრაფვა

დიდსულოვნება, სიკეთისაკენ სწრაფვა და სულიერება - ეს მეტად მნიშვნელოვანი და ძვირფასი ნიჭებია, რომლებიც მათს მფლობელს დამატებით პასუხისმგებლობას აკისრებს. ყოველი მათგანი უფლის მსახურებისათვის, მის

სადიდებლად უნდა გამოიყენებოდეს. თუმცა აქ ბევრი ცდება. არიან რა კმაყოფილნი იმით, რომ ეს თვისებები გააჩნიათ, ადამიანები არ ცდილობენ მათ სხვების საკეთილდღეოდ აქტიურად გამოყენებას და თავს იმით იმშვიდებენ, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში უკეთეს საქმეებს გააკეთებდნენ. მათ სძულთ გაჭირვებულთათვის ძუნწად გამღებნი, ვინაიდან კარგად იციან, რომ ძუნწი მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავს და თავისი გამოუყენებელი ტალანტებისათვის პასუხს აგებს. ისინი უდიდესი კმაყოფილებით აღნიშნავენ განსხვავებას საკუთარ თავსა და ამ უჭკუო, ხარბ ადამიანებს შორის, ფიქრობენ რა, რომ მათი მდგომარეობა ამ სულმდაბალ ადამიანთა მდგომარეობაზე გაცილებით უკეთესია. მაგრამ ამით მხოლოდ თავს იტყუებენ. ის, რომ ეს ტალანტები გააჩნიათ, მაგრამ არ იყენებენ, უფრო ამძიმებს მათს დანაშაულს და ზრდის მათს პასუხისმგებლობას. მან, ვისაც უფალმა კეთილი თვისებები და ნიჭები უხვად უბოძა, აუცილებლად უნდა გამოიყენოს იგი არა მხოლოდ თავის მეგობრებთან და ახლობლებთან, არამედ ყველა იმ ადამიანთან ურთიერთობაში, ვისაც მისი დახმარება ესაჭიროება. იმავე ტალანტებს მიეკუთვნება სოციალური უპირატესობანი, რომლებიც ყველა იმ ადამიანის საკეთილდღეოდ უნდა გამოვიყენოთ, ვისთანაც ხელი მიგვიწვდება. სიყვარულს, რომელიც მხოლოდ რამოდენიმე ადამიანისათვის იღვწის, არ ჰქვია ჭეშმარიტი სიყვარული. იგი უფრო დაფარული პატივმოყვარეობაა, ვიდრე მსახურება მოყვასის კეთილდღეობისა და უფლის სახელის განდიდებისათვის. მას, ვინც თავის ტალანტს სათანადოდ არ იყენებს, უფრო მეტი დანაშაული მიუძღვის ღვთის წინაშე, ვიდრე იმ ადამიანებს, რომელთაც ისინი ასე კიცხავენ. ბოლო ჟამს მათ ასე ეტყვიან: თქვენ იცოდით უფლის ნება, მაგრამ არ შეასრულეთ იგი.

## გამოყენების შედეგად გამრავლებული ტალანტები

მსახურების პროცესში ტალანტები კიდევ უფრო მეტად მრავლდება. წარმატება - ეს არც შემთხვევითობაა და არც ბედი; ის უფლის წინასწარხედვისა და ხელმძღვანელობის, რწმენისა და გონიერების, სიკეთისა და გულმოდგინების შედეგია. უფალს სურს, რომ მის მიერ ჩვენთვის ბოძებული ყოველი ნიჭი სრულად გამოვიყენოთ. და, თუ ასე მოვიქცევით, უფალი უფრო მეტად გვაკურთხებს და ტალანტებსაც გაგვიმრავლებს. მაგრამ თავისი სასწაულებრივი ძალით იგი არ მოგვანიჭებს ისეთ ახალ თვისებებს, რომელიც ადრე საერთოდ არ გაგვაჩნდა. ჩვენში არსებული ნიჭების დანიშნულებისამებრ გამოყენების შემთხვევაში კი თავად ღმერთი იშრომებს ჩვენში და ჩვენს შესაძლებლობებსაც დიდად გააფართოებს და განავითარებს. უფლისადმი მგზნებარე და თავდადებულ მსახურებაში უფრო მეტად გავძლიერდებით და, როდესაც ღვთის წმიდა სულს სრულად მივენდობით და მის საქმეთა აღმსრულებელ იარაღად ვიქცევით, უფლის მადლი გარდაქმნის ჩვენს სულს, ძირფესვიანად აღმოფხვრის მასში არსებულ ძველ მავნე ჩვევებს და მოგვცემს ახალს, კეთილსა და სასარგებლოს. თუკი სულიწმიდის ხმას შევისმენთ და დავემორჩილებით, ჩვენი გული ღვთიური ძალით აივსება, რაც დიდად გამოგვაფხიზლებს და უფლის საქმეთა უკეთესად შესრულებაში დაგვეხმარება. ჩვენში აქამდე მთვლემარე ძალები გაიღვიძებენ და მიძინებული ნიჭებიც ახალ სიცოცხლეს შეიძენენ.

ღვთის თავმდაბალ მსახურს, რომელიც უფლის მოწოდებას მორჩილებით უპასუხებს, შეუძლია, დარწმუნებული იყოს, რომ უზენაესი დაეხმარება. ასეთი დიდი და წმიდა პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება - ეს, თავისთავად ცხადია, მაღალ სულიერებაზე მეტყველებს. მსგავს პასუხისმგებლობას გონებრივი და სულიერი ძალების აქტიურად ამოქმედება მოსდევს, რაც განამტკიცებს გონებას და განწმედს გულს. საოცარია, რაოდენ ძალას იძენს სუსტი ადამიანიც კი ყოვლადძლიერი ღმერთისადმი რწმენით, რა მტკიცე გადაწყვეტილებებს იღებს თავის საქმეებში და რა უხვი და მნიშვნელოვანია ნაყოფი მისი ძალისხმევისა. ის, ვინც მსახურებას თავისი მცირე, მოკრძალებული ცოდნით იწყებს და თავისი თავმდაბლობის გამო მხოლოდ იმაზე საუბრობს, რაც იცის და, ამავე დროს, უფრო მეტის შეცნობისაკენ ისწრაფვის, აღმოაჩენს უმდიდრეს ზეციურ საგანძურს, რომელიც მის განკარგულებას ელის. და რაც უფრო მეტი ზეციური ნათლის გაცემას შეეცდება, მით უფრო მეტი მიეცემა. რაც უფრო მეტი გულმოდგინებითა და სიყვარულით ვასწავლით და ავუხსნით ღვთის სიტყვას სხვებს, მით უფრო გაგვიღრმავდება ცოდნა თავად. რაც უფრო მეტად გავუზიარებთ ჩვენს ცოდნას ადამიანებს და გამოვიყენებთ ჩვენს ტალანტებს წმიდა მსახურებისათვის აქ, დედამიწაზე, მით უფრო მეტი ცოდნა და ძალა მოგვეცემა.

ქრისტეს საქმისათვის გაღებული ყოველი ძალისხმევა კურთხევად დაგვიბრუნდება. და თუკი ყველა შესაძლებლობას ღვთის სადიდებლად გამოვიყენებთ, თანდათან დავრწმუნდებით, რომ უფალი უფრო მეტს მოგვცემს. როდესაც ვშრომობთ იმისათვის, რომ ადამიანები ქრისტესთან მოვიყვანოთ, საკუთარ თავზე ვიღებთ მათზე მზრუნველობას ჩვენს ლოცვებში, ჩვენი გული უფრო მეტი სიყვარულით ძგერს და ღვთიური მადლით ინთება; მთელი ჩვენი ქრისტიანული ცხოვრება უფრო რეალური, მგზნებარე და სულიერი გახდება. ადამიანის ღირსება ზეცაში მისი გულის ღვთის შემეცნებისაკენ სწრაფვით განისაზღვრება. ეს შემეცნება ჩვენი ძალის წყაროა. ღმერთმა ადამიანი იმგვარად შექმნა, რომ ყოველი მისი ნიჭი უფლის გონების ანარეკლი იყოს. და თავად უფალიც მუდამ ადამიანის გონების ღვთიურთან შერწყმას ცდილობს. იგი გვთავაზობს კურთხეულ შესაძლებლობას, ვითანამშრომლოთ ქრისტესთან მისი ღვთიური მადლის წუთისოფლისათვის გამოცხადების საქმეში, რათა ამ წმიდა მსახურებით უფრო გავამდიდროთ ჩვენი ცოდნა ზეციურ ჭეშმარიტებათა შესახებ.

იესოსთან ახლო ურთიერთობა ღმერთზე უფრო ნათელ წარმოდგენას გვიქმნის, რაც უდიდეს გარდაქმნას ახდენს ჩვენში. სიკეთე და მოყვასის სიყვარული ჩვეულებრივ მოთხოვნილებად გვექცევა. გვიყალიბდება თვისებები, რომლებიც უზენაესის არსსა და ბუნებას ემსგავსება. ვემსგავსებით რა მას, თანდათან უფრო ფართოვდება ჩვენი შესაძლებლობანი უფლის შემეცნებისა. უფრო და უფრო ღრმავდება და მტკიცდება ჩვენი ურთიერთობა ზეციურ სამყაროსთან; უფრო იზრდება ზეციური საგანძურისა და მარადიული სიბრძნის შეცნობის უნარი და შესაძლებლობანი.

ერთი ტალანტი

კაცი, რომელმაც ერთი ტალანტი მიიღო, "წავიდა, ამოთხარა მიწა და დაფლა თავისი ბატონის ვერცხლი".
ამ უმცირესი ძღვნის მიმღებმა თავისი ტალანტი ვერ გამოიყენა. ეს გაფრთხილებაა ყველასათვის, ვისაც თავისი ნიჭი იმდენად მცირედ მიაჩნია, რომ ამართლებს თავის საქციელს, როცა ქრისტესათვის მსახურებას გაურბის. მათ რომ დიდი საქმეების კეთების შესაძლებლობა და ნიჭი ჰქონოდათ, ფიქრობენ ისინი, რა დიდი სიხარულით შეუდგებოდნენ მას. მაგრამ, მათი აზრით, იმდენად მცირე ნიჭი აქვთ, რომ ქრისტესადმი მათი მსახურება სრულიად უმნიშვნელოა, ამიტომ მათს ძალისხმევას არავითარი აზრი არა აქვს. მაგრამ აქ ისინი დიდად ცდებიან. ტალანტების განაწილებით უფალი ჩვენს ხასიათს სცდის. კაცმა, რომელმაც თავისი ერთი ტალანტის გამრავლებაზე არ იზრუნა, თავი ორგულ მსახურად გამოავლინა. ამ ადამიანს ხუთი ტალანტიც რომ მიეღო, ხუთივეს იმ ერთის მსგავსად მიწაში ჩაფლავდა. მისი დამოკიდებულება თავისი ერთადერთი ტალანტისადმი ცხადყოფს, რომ იგი საერთოდ უგულებელყოფს ზეციურ საგანძურს.
"მცირედში ერთგული ბევრშიც ერთგულია" (ლუკ. 16:10). მცირედის მნიშვნელობა ხშირად შეუფასებელია მისი სიმცირის გამო. მაგრამ სწორედ მცირედზეა დაფუძნებული ცხოვრების ჭეშმარიტი წესრიგი და პრინციპები. ქრისტიანის ცხოვრებაში არ არსებობს მეორეხარისხოვანი საგნები და საკითხები. და თუკი ჩვენ მცირედის შეფასების უნარი დავკარგეთ, ჩვენი ხასიათის ჩამოყალიბების საქმეს უდიდესი საფრთხე დაემუქრება.
"ვინც მცირედში უსამართლოა, ბევრშიც უსამართლოა". თუნდაც მცირედში ორგული ადამიანი, ფაქტობრივად, ძარცვავს ღმერთს მსახურებაში, რომელიც მას შემოქმედმა უბოძა. ადამიანის ორგულობა თავადვე მას უბრუნდება. მას ეკარგება ღვთიური მადლი, ძალა, ხასიათის სიმტკიცე, რისი მოპოვებაც მხოლოდ უფლისადმი ერთგული მსახურებითაა შესაძლებელი. ქრისტესთან დაშორებით კი ადამიანი დაუცველი ხდება სატანის ცდუნების წინაშე და მრავალ შეცდომას უშვებს უფლის საქმეების კეთებისას. ვინაიდან ადამიანი მცირე საქმეებში უდიდესი ღვთიური პრინციპებით არ ხელმძღვანელობს, ვერც დიდ საქმეებში შეძლებს უფლისადმი მორჩილების გამოვლენას, რომელსაც თავის განსაკუთრებულ მოვალეობად მიიჩნევს. მცირე, უმნიშვნელო ცხოვრებისეულ საქმეებში გამოვლენილი მანკიერებანი უფრო მნიშვნელოვან საქმეებში გაჰყვება მას, ვინაიდან იგი შემდგომაც მისთვის ჩვეული პრინციპებით იმოქმედებს. მსგავსი მოქმედებები თანდათანობით ჩამოუყალიბებს მანკიერ თვისებებს, თვისებები - შესაბამის ხასიათს, ხასიათი კი განსაზღვრავს ჩვენს ხვედრს როგორც მიწიერ ცხოვრებაში, ასევე საუკუნო სასუფეველში.
მხოლოდ მცირედში ერთგულებითაა შესაძლებელი, მიაჩვიო საკუთარი თავი სწორ მოქმედებას უდიდესი და საპასუხისმგებლო საქმის შესრულებისას. ღმერთმა წაიყვანა დანიელი და მისი მეგობრები წარმართთა ქვეყანაში ბაბილონელ დიდებულებთან შესახვედრად, რათა ეს კერპთაყვანისმცემელი ხალხი ჭეშმარიტი რელიგიის პრინციპებს გასცნობოდა. და იქ, წარმართთა წინაშე, დანიელს უნდა გამოევლინა ღვთიური ხასიათი. როგორ გახდა იგი ასეთი დიდი ნდობისა და პატივის ღირსი? სწორედ მცირე საქმეებში გამოვლენილმა ერთგულებამ დაუდო საფუძველი მის შემდგომ მართალ ცხოვრებას. იგი პატივს მიაგებდა ღმერთს სულ მცირე საქმეებშიც კი და

უფალიც ეხმარებოდა. "მოჰმადლა ღმერთმა ამ ოთხ ყმაწვილს ცოდნა და გონიერება ყველა წიგნსა და სიბრძნეში. დანიელს კი ამას გარდა გაეგებოდა ყველა ხილვა და სიზმარი" (დან. 1:17).
როგორც დანიელს მოუხმო უფალმა თავის მოწმედ ბაბილონში, ასევე მოგვიწოდებს დღეს ჩვენც, ვიყოთ მისი მოწმენი დღევანდელ წუთისოფელში. როგორც მცირე, ასევე დიდ საქმეებშიც უფალს სურს, ჩვენი მეშვეობით დაანახოს ადამიანებს მისი სასუფევლის პრინციპები.
დედამიწაზე ცხოვრებისას ქრისტეს არაერთხელ უჩვენებია პირადი მაგალითი თავისი მეტად სერიოზული და ყურადღებიანი დამოკიდებულებისა მცირე საქმეების მიმართ. კაცობრიობის გამოსყიდვის უდიდესი საქმისადმი პასუხისმგებლობა მუდმივ ტვირთად აწვა მის სულს. მთელ თავის გონებრივ და ფიზიკურ ძალებს სრულად ახმარდა იგი ადამიანთა დამოძღვრასა და განკურნებას; და, მიუხედავად ამისა, არასოდეს რჩებოდა შეუმჩნეველი სულ მცირე საგნები ბუნებასა თუ მის ირგვლივ მიმდინარე ცხოვრებაში. თავის უდიდეს და უმნიშვნელოვანეს გაკვეთილებს იგი ხშირად ბუნების უბრალო მოვლენებით ხსნიდა, რითაც ღვთიური სასუფევლის ჭეშმარიტების უდიდეს პრინციპებს უცხადებდა ადამიანებს. მას არასოდეს დარჩენია შეუმჩნეველი მისი ყველაზე მცირე, მოკრძალებული მსახურის საჭიროებანი და უდიდესი მზრუნველობით ეხმარებოდა ყველა მთხოვნელს. მაცხოვარმა მაშინვე შეიგრძნო სნეული დედაკაცის შეხება ბრბოში და მყისვე უპასუხა ამ გატანჯულ ქალში რწმენის მსუბუქ გამოღვიძებას. ხოლო როდესაც იაიროსის ქალიშვილი მკვდრეთით აღადგინა, არ დავიწყებია, ერჩია მისი მშობლებისათვის, რომ გოგონა დაეპურებინათ. როდესაც თავისი ძლიერი ძალით იგი თავად აღდგა მკვდრეთით, მაშინაც არ დავიწყებია იმ ტილოების ფაქიზად დაკეცვა და დადება, რომლებშიც იგი სამარხში ჩასვენებისას გაახვიეს.
მსახურება, რისთვისაც ჩვენ, ქრისტიანები, ვართ მოწოდებულნი, - ესაა ქრისტესთან თანამშრომლობა ადამიანთა გადარჩენის საქმეში. ჩვენ აღთქმა დავუდეთ უფალს და ამ მსახურებაზე უარის თქმა ქრისტეს ღალატს ნიშნავს. მაგრამ ამ საქმის აღსრულებისათვის, უპირველეს ყოვლისა, მცირე საქმეების მიმართ ყურადღება და ერთგულება მისგან უნდა ვისწავლოთ. სწორედ ამაშია ქრისტიანული ზეგავლენისა და წარმატებების მოპოვების საიდუმლო.
უფალს სურს, მისცეს თავის ხალხს უდიდესი ნიჭები და შესაძლებლობანი, რათა მან წარმატების უმაღლეს საფეხურს მიაღწიოს და თავისი მბრძანებელი განადიდოს. უფლის მადლით ყველაფერი მოგვეცა იმისათვის, რომ ვაჩვენოთ წუთისოფელს ჩვენი მსახურება უდიდესი ღვთიური გეგმების შესასრულებლად, რომლებიც წუთისოფლის საქმეებზე ბევრად უკეთესია. ჩვენ უნდა ვუჩვენოთ წუთისოფელს უპირატესობანი ჩვენი ინტელექტისა, შემეცნებისა, დახვეწილი ცოდნისა, ვინაიდან გვაქვს რწმენა უფლისა და ვიცით, თუ რა დიდი ზეგავლენა აქვს მის ძალას ადამიანის გულზე.
მაგრამ გულს ნუ გაიტეხენ ისინი, ვისაც დიდი და მრავალმხრივი ნიჭები არ გააჩნია. დაე მათ გამოიყენონ ის, რაც აქვთ; ერთგულად იშრომონ საკუთარი ხასიათის ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და ითხოვონ ღვთის მადლი სულიერი განმტკიცებისათვის. ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში ღვთისადმი ერთგულება და გულმოდგინება უნდა ჩავაქსოვოთ, რათა საკუთარ თავში ის

თვისებები განვავითაროთ და განვამტკიცოთ, რომლებიც უზენაესის საქმეების შესრულებაში დაგვეხმარება.
თვისებები, რომლებიც უფლის საქმეების კეთებაში ხელს გვიშლის, ძირფესვიანად უნდა აღმოიფხვრას. ბევრი ადამიანი, იმიზეზებს რა ცუდ მეხსიერებას, ამით თავის ცუდ თვისებებს ამართლებს. მაგრამ განა მათ სხვების მსგავსად არ მიეცათ ინტელექტუალური შესაძლებლობანი? ამ ადამიანებმა უნდა მოიწესრიგონ გონება და ინტელექტი და, აქედან გამომდინარე, - მეხსიერებაც. აუცილებელი საქმისა და მოვალეობის აღსრულების დავიწყება ცოდვაა ღვთის წინაშე. და თუკი თქვენ ამ თვისებათა შემწყნარებელი გახდებით, შესაძლოა, საკუთარი სულის გადარჩენის ინტერესიც გაგიქრეთ და ბოლოს აღმოაჩინოთ, რომ ღვთის სასუფევლისათვის სრულიად მოუმზადებელი ხართ.
უდიდესმა ჭეშმარიტებებმა თავისი ანარეკლი მცირე საქმეებში უნდა პოვოს. პრაქტიკულმა რელიგიამ თავი ადამიანის ყოველდღიურ, წვრილმან საქმიანობებში უნდა იჩინოს. ყოველი ადამიანის დიდებასა და ღირსებას წარმოადგენს უნარი, უსიტყვოდ დაემორჩილოს ღვთის სიტყვას.
მრავალი ადამიანი საკუთარ ცხოვრებას უსარგებლოდ თვლის იმის გამო, რომ უშუალოდ არ მონაწილეობს რომელიმე მნიშვნელოვან რელიგიურ მსახურებაში და არაფერს აკეთებს უფლის დღის მოახლოებისათვის. მაგრამ ეს მცდარი აზრია. თუკი ისინი აკეთებენ რაიმეს, რაც ვინმეს უნდა გაეკეთებინა, მაშინ არ უნდა იფიქრონ, რომ უფლის საქმეებისათვის უსარგებლონი არიან. არც ერთი სულ მცირე, უმნიშვნელო საქმეც კი არ უნდა იყოს უგულებელყოფილი. ნებისმიერი მართალი, პატიოსანი საქმე კურთხეულია, მისი ერთგულად და გულმოდგინედ შესრულება კი შეიძლება გახდეს დასაწყისი შემდგომში უფრო დიდ მოვალეობათა შესრულებისა.
თავდადებით, გულწრფელად გაკეთებული საქმე, რა უმნიშვნელოც არ უნდა იყოს იგი, ისევე მისაღებია უფლისათვის, როგორც უმაღლესი და უზენაესი მსახურება. მცირედ არ ჩაითვლება არც ერთი ძღვენი, ადამიანის მიერ მთელი სულითა და გულით გაღებული.
მაცხოვარი გვაკისრებს ვალდებულებებს და, ჩვენი ადგილსამყოფლის მიუხედავად, მათ შესრულებას გვავალებს. თუკი ეს თქვენს სახლს ეხება, გულმოდგინედ და ხალისით შეუდექით მის კეთილმოწყობასა და გალამაზებას. თუ დედა ხართ, აღზარდეთ თქვენი შვილები ქრისტიანული სულისკვეთებით. ეს ყოველივე მქადაგებლის კათედრიდან მსახურების ტოლფასია. თუკი სამზარეულოში საქმიანობა გევალებათ, შეეცადეთ, კარგი მზარეული გახდეთ, რათა თქვენი მომზადებული საჭმელი იყოს სასარგებლოც, ყუათიანიც და გემრიელიც. და იმ სასარგებლო, ჯანსაღი პროდუქტების მსგავსად, სამზარეულოში სადილის მოსამზადებლად რომ იყენებთ, თქვენი გონებაც სასარგებლო, ჯანმრთელი აზრებით გამოკვებეთ. თუკი ნიადაგის დამუშავებით ან სხვა სასარგებლო საქმითა ხართ დაკავებული, ეცადეთ, საუკეთესოდ შეასრულოთ თქვენი მოვალეობები. ჩააქსოვეთ თქვენს საქმეებში მთელი თქვენი გონება და გულისხმიერება. წარმოაჩინეთ ქრისტე თქვენს ნებისმიერ მოქმედებაში. და ყველაფერი ისე გააკეთეთ, როგორც ამას თავად მაცხოვარი გააკეთებდა თქვენს ადგილას.
თქვენი უმცირესი ტალანტისთვისაც აქვს უფალს გამოძებნილი განსაზღვრული ადგილი. თქვენთვის ბოძებული იმ ერთადერთი ტალანტის ბრძნულად

გამოყენება შესანიშნავად შეასრულებს მისთვის განკუთვნილ საქმეს. უმნიშვნელო დავალების შესრულებისას სიბეჯითის გამოვლენასთან ერთად ჩვენი ნიჭების ზრდისათვისაც უნდა ვიზრუნოთ და უფალი ღმერთიც გაგვიმრავლებს მათ. და ეს მცირე საქმეები, საერთო ჯამში, უფლის საქმეში ჩადებულ ძვირფას განძად იქცევა.
აქციეთ თქვენი ცოცხალი რწმენა იმ ოქროს ჯაჭვად, რომელიც მუდამ იბრწყინებს უფლისათვის სულ მცირე საქმეების კეთებისას. და მაშინ თქვენი ნებისმიერი ყოველდღიური საქმიანობა ხელს შეუწყობს ქრისტიანობის ზრდასა და განმტკიცებას. მაშინ მთელი თქვენი ყურადღება ქრისტესკენ იქნება მიპყრობილი. მისი სიყვარული სიცოცხლეს შემატებს თქვენს ყოველ საქმიანობას. ტალანტების სწორი გამოყენებით შეგვიძლია, თავად ვიქცეთ იმ ოქროს ჯაჭვად, რომელიც წუთისოფელთან დაგვაკავშირებს. სწორედ ამაში მდგომარეობს ჭეშმარიტი კურთხევა და განწმედა, ვინაიდან განწმედა - ეს ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის სიხარულით აღსრულება და უფლის ნებისადმი სრული მორჩილებაა.
მაგრამ ხშირად ბევრი ქრისტიანი მხოლოდ იმ მოლოდინით ცხოვრობს, თუ როდის მიანდობენ რაიმე დიდ საქმეს. ისინი ვერ პოულობენ საკმაოდ ფართო ასპარეზს საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად და არ ზრუნავენ თავიანთი ყოველდღიური საქმიანობების სათანადოდ, ღირსეულად შესრულებაზე. ეს მათთვის უინტერესოა. ასე დღითი დღე უშვებენ ხელიდან შესაძლებლობას, უჩვენონ უფალს თავიანთი ერთგულება. და, სანამ ისინი ამ დიდ საქმეებს ელიან, დრო გადის, სიცოცხლის დღეები გარბიან, მიზანი კვლავ მიუღწეველია, სამუშაო კი - შეუსრულებელი.

დაბრუნებული ტალანტები
"კარგა ხნის შემდეგ მოვიდა იმ მონების ბატონი და ანგარიში მოჰკითხა მათ". როდესაც უფალი თავის მსახურთ ანგარიშს მოსთხოვს, მაშინ იგი გამოცდის მათ და იხილავს მათთვის მიცემული ტალანტების გამოყენების შედეგს. შესრულებული სამუშაო განსაზღვრავს შემსრულებლის ხასიათს.
მათ, ვინც ხუთი და ორი ტალანტი მიიღო, სარგებლით დაუბრუნეს უფალს ისინი. ამასთანავე, ამისათვის ისინი არავითარ საზღაურს არ ითხოვენ. ეს ტალანტები მათ ხომ ღმერთმა უბოძა! მართალია, მათ მოგება ნახეს, მაგრამ იმ პირველი ტალანტების გარეშე ხომ ვერ ნახავდნენ სარგებელს! და ისინი სამართლიანად მსჯელობენ, რომ მხოლოდ თავიანთ მოვალეობას ასრულებდნენ. თავდაპირველი კაპიტალი უფალს ეკუთვნოდა, მაშასადამე, სარგებელიც მისია. უფლის სიყვარული და მადლი რომ არა, ისინი არასოდეს ივარგებდნენ მარადიული სასუფევლისათვის.
მაგრამ ბატონი, იღებს რა დაბრუნებულ ტალანტებს, იწონებს მსახურთა მოქმედებას და ისე აჯილდოებს მათ, თითქოს ეს მათი დამსახურება იყოს. სიხარულითა და კმაყოფილებით უცქერს მათ და ბედნიერია, რომ მათი კურთხევის შესაძლებლობა მიეცა. მსახურებასა და შესაწირავს, რომელსაც მათგან მოელის, იგი იმიტომ კი არ ითხოვს, რომ ვალი დაიბრუნოს, არამედ იმიტომ, რომ მისი გული სავსეა მათზე მზრუნველობითა და სიყვარულით.

"კარგი, კეთილო და ერთგულო მონავ, - მიმართავს იგი მას, - მცირედზე ერთგული იყავი, მრავალზე დაგაყენებ. შედი შენი ბატონის სიხარულში". უფლის მიმართ ერთგულებასა და სიყვარულით მსახურებას ღვთიური აღიარება მოსდევს. ღვთის წმიდა სულის ყოველი შთაგონება, რომელიც ადამიანებს კეთილი საქმეების კეთებისაკენ უბიძგებს და უფლისკენ მიმავალ გზას უჩვენებს, ზეციურ წიგნებში იწერება და უფლის უკანასკნელი სამსჯავროს დღეს მსახურნი, რომელთა მეშვეობითაც ღმერთი თავის გეგმებს ახორციელებდა, უმაღლეს ჯილდოს მიიღებენ.
ისინი შევლენ თავიანთი ბატონის სიხარულში, როცა მის სასუფეველში იხილავენ საკუთარი შრომითა და ძალისხმევით გამოსყიდულ ადამიანებს. და ისინი იქაც მიიღებენ უფლის საქმეებში მონაწილეობის შესაძლებლობას, ვინაიდან წუთისოფელში მსახურებისას საუკუნო სასუფევლისათვის ვარგისნი აღმოჩნდნენ. ის, რაც ზეცაში ვიქნებით, ანარეკლი იქნება ჩვენი ხასიათისა, რომელსაც დღეს ვამჟღავნებთ წმიდა მსახურებისას. მაცხოვარმა თქვა თავის თავზე: "კაცის ძე არ მოსულა იმისათვის, რომ ემსახურონ, არამედ იმისათვის, რომ თავად მოემსახუროს" (მათ. 20:28). მისი მსახურება დედამიწაზე - ეს მისი ზეციური მსახურებაცაა. ქრისტესთან წუთისოფელში თანამშრომლობის საზღაურად მოგვეცემა უფრო დიდი ძალა და უპირატესობა მასთან ერთად მომავალ სასუფეველში მსახურებისა.
"მივიდა ისიც, რომელმაც ერთი ტალანტი მიიღო და უთხრა: ბატონო, ვიცოდი, რომ სასტიკი კაცი ხარ: იმკი, სადაც არ დაგითესავს, და კრეფ, სადაც არ დაგიბნევია. შემეშინდა, წავედი და მიწაში დავფალი შენი ტალანტი. აჰა, შენი შენვე გქონდეს".
ასე ცდილობენ ხშირად ადამიანები თავიანთი საქციელის გამართლებას, როდესაც ღვთიურ ნიჭებს უარყოფენ. ისინი ღმერთს თვლიან მკაცრ მეთვალყურედ და სასტიკ ტირანად, რომელიც მუდამ მათს შეცდომებს უთვალთვალებს, რათა დასაჯოს. და თვლიან, რომ ღმერთი ითხოვს იმას, რაც არ გაუცია და იმკის იქ, სადაც არ დაუთესავს.
ბევრი გულის სიღრმეში დარწმუნებულია, რომ ღმერთი მკაცრი ბატონია, რომელიც, მათი აზრით, მსახურებისათვის მათგან ითხოვს იმას, რაც მხოლოდ მათი საკუთრებაა. სინამდვილეში კი ჩვენ ღმერთს ვუბრუნებთ იმას, რაც ისედაც მის საკუთრებას წარმოადგენს. "ყოველივე ეს შენგან არის, - ამბობს მეფე დავითი, - ეს ყოველივე შენი ხელით მოცემული შემოგწირეთ" (1ნეშტ. 29:14). ჭეშმარიტად, ყველაფერი უფალს ეკუთვნის არა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი შექმნილია, არამედ იმიტომაც, რომ მისი გამოსყიდულია. ყოველ კურთხევას აწმყოშიც და მომავალ ცხოვრებაშიც გოლგოთის ჯვრის ბეჭედი ადევს. ამიტომ ბრალდება, რომ ღმერთი სასტიკი ბატონია და იმკის იქ, სადაც არ დაუთესავს, სრულიად უსაფუძვლოა.
იგავში ბატონი არ იცავს თავს უსამართლო მსახურის ბრალდებისაგან, არამედ გვიჩვენებს, რომ მონის საქციელი სწორედ იმიტომ არის დანაშაული, რომ მან წინასწარ იცოდა, თუ რას ითხოვდა მისი ბატონი. მას ჰქონდა ცოდნა იმის შესახებ, თუ რა გზითა და საშუალებით უნდა მიეღო სარგებელი მიბარებული ტალანტისაგან. "ჩემი ვერცხლი მოვაჭრეთათვის უნდა მიგეცა, - ამბობს ბატონი, - და დაბრუნებისას ჩემსას სარგებლითურთ მივიღებდი".

ჩვენი ზეციერი მამა ჩვენგან მხოლოდ იმას ითხოვს, რის გაკეთებასაც მისგან ბოძებული ნიჭითა და უნარით შევძლებთ. უფალი ღმერთი თავის მსახურს მხოლოდ იმას ავალებს, რის ზიდვასაც იგი შეძლებს. "ვინაიდან უწყის აგებულება ჩვენი, ახსოვს, რომ მტვერი ვართ ჩვენ" (ფსალმ. 102:14). მხოლოდ ღვთის მადლითაა შესაძლებელი ყოველივე იმის დაბრუნება, რასაც იგი ჩვენგან ითხოვს.

"ვისაც მეტი მიეცა, მეტს მოსთხოვენ" (ლუკ. 12:48). თითოეული ჩვენგანი პირადად აგებს პასუხს იმაზე, თუ ერთი იოტით ნაკლები გააკეთა, ვიდრე შეეძლო. უფალს ზუსტად აქვს გამოთვლილი ყოველი შესაძლებლობა და ნიჭი, რომელიც მსახურებისათვის მოგვეცა. გამოუყენებელი ნიჭები ისევე მოწმობს ჩვენ წინააღმდეგ, როგორც ნიჭები, რომლებიც მოგვეცა, მაგრამ ვერ განვავითარეთ. უფალი პასუხისმგებლობას გვაკისრებს ყველაფრისათვის, რაც შეგვეძლო, გავმხდარიყავით, მაგრამ ვერ გავხდით იმის გამო, რომ მოცემული ტალანტები სათანადოდ ვერ გამოვიყენეთ. ჩვენ განვისჯებით იმის მიხედვით, თუ რა უნდა გაგვეკეთებინა და არ გავაკეთეთ, ვინაიდან არც კი ვცდილვართ, რაიმე გაგვეკეთებინა უფლის განდიდებისათვის. და, თუკი საბოლოოდ არ დავიღუპებით, საუკუნო სასუფეველში შევიცნობთ ჩვენი გამოუყენებელი ტალანტების შედეგს. ყოველგვარი ცოდნა და ნიჭი, რომელიც შეგვეძლო, მიგვეღო და გაგვემრავლებინა, მაგრამ არ მოვინდომეთ, სამუდამო დანაკარგის ტოლფასი იქნება.

მაგრამ როდესაც მთელ ჩვენს ცხოვრებას ღმერთს ვუძღვნით და მის ყოველ მითითებას ვასრულებთ, უფალი თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას ჩვენთვის მოცემული დავალების აღსრულებისათვის. მას არ სურს, რომ ჩვენ ეჭვი გვღრღნიდეს საკუთარი ძალისხმევისა და მოშურნეობის შედეგად მოპოვებულ წარმატებასა თუ წარუმატებლობასთან დაკავშირებით. პირიქით, დარწმუნებული უნდა ვიყოთ საკუთარ წარმატებაში, როცა ვთანამშრომლობთ მასთან, ვინც არასოდეს მარცხდება.

ყურადღება არ უნდა გავამახვილოთ საკუთარ სისუსტეებსა და უსუსურობაზე. ეს ჩვენს ურწმუნოებასა და ღვთის სიტყვის მიმართ უნდობლობაზე მეტყველებს. როდესაც ვჩივით, თუ რა მძიმეა ჩვენი ტვირთი ან უფლის რაიმე დავალებას გავურბივართ, ეს იგივეა, როცა ვამბობთ, რომ უფალი სასტიკი ბატონია, რომელიც ჩვენგან ითხოვს იმას, რის შესასრულებლადაც ძალა არ მოუცია. ზარმაცი მსახურის მდგომარეობას ხშირად მორჩილებას ვუწოდებთ. მაგრამ ჭეშმარიტი მორჩილება - ეს სულ სხვა რამაა. იყო მორჩილი, არ ნიშნავს, დარჩე ინტელექტუალურ ჯუჯად, უარი თქვა სრულყოფილებისაკენ სწრაფვაზე, იყო მხდალი და უარი თქვა შენი ტვირთის ტარებაზე შენივე უძლურების გამო. პირიქით, ჭეშმარიტი მორჩილება ნიშნავს, მუდამ მზად იყო უფლის ნებისმიერი დავალების შესასრულებლად მისივე ძალაზე დაყრდნობით.

უფალი მოქმედებს, ვისი მეშვეობითაც სურს. ზოგჯერ იგი ირჩევს ყველაზე თავმდაბალ მსახურს ყველაზე მნიშვნელოვანი საქმის შესასრულებლად, რათა მისი ღვთიური ძალა უძლური ადამიანის მეშვეობით გაცხადდეს. ჩვენ, ადამიანები, ადამიანთათვის დამახასიათებელი საზომებით ვცხოვრობთ და, აქედან გამომდინარე, ზოგ საქმეს მნიშვნელოვანს ვუწოდებთ, ზოგს - უმნიშვნელოს; მაგრამ უფალი ჩვენი საზომით არ ზომავს. ჩვენთვის მნიშვნელოვანი და დიდი საქმე, შესაძლოა, მისთვის სრულიად უმნიშვნელო და

მცირე იყოს და პირიქით. ჩვენ არა ვართ უფლებამოსილნი, განვსაჯოთ ჩვენი ტალანტები ან თავად შევარჩიოთ ჩვენი სამოღვაწეო სფერო. ჩვენ მხოლოდ ის უნდა ვიტვირთოთ, რაზეც უფალი მიგვითითებს; ეს ტვირთი მისი გულისთვის უნდა ვზიდოთ და შესვენებისთვისაც მას უნდა მივმართოთ. ნებისმიერი დავალება გულწრფელად, სიხარულით უნდა შევასრულოთ, რაც უფლისადმი პატივისცემაზე მიუთითებს. შემოქმედს მოსწონს, როდესაც ჩვენს მოვალეობას მადლიერების გრძნობით ვასრულებთ, როცა სიხარული გვიპყრობს იმის გამო, რომ უზენაესთან თანამშრომლობის ღირსნი გავხდით.

წართმეული ტალანტი

ასეთი იყო ზარმაცი მსახურის მიმართ გამოტანილი განაჩენი: "წაართვით მაგას ტალანტი და მიეცით ათი ტალანტის მქონეს". ამ სიტყვებში ნაჩვენებია არა მხოლოდ ერთგული მსახურის საბოლოო სამსჯავროზე დაჯილდოება, არამედ საზღაურის მიგების თანდათანობითი პროცესი აქ, დედამიწაზე. სულიერ სამყაროში, ისევე, როგორც ბუნებაში, მოქმედებს კანონი: ყოველი გამოუყენებელი ნიჭი ან ძალა ნელ-ნელა სუსტდება და შემდგომ საბოლოოდ კვდება. აქტიური მოქმედება საფუძველია სიცოცხლისა, უმოქმედობა კი სიკვდილის ტოლფასია. "თითოეულს ეძლევა სულის გამოვლინება სასიკეთოდ" (1კორ. 12:7). სხვების კურთხევისათვის გამოყენებული ნიჭები იზრდება და ვითარდება, ხოლო დაფარული, მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისათვის გამოყენებული ტალანტები თანდათან სუსტდება და ბოლოს გვერთმევა. ის, ვისაც არ სურს სხვებისათვის იმის გაზიარება, რაც შეიძინა, ბოლოს მიხვდება, რომ გასაცემი აღარაფერი დარჩა; რომ იგი მივიდა ზღვრამდე, რომლის იქითაც ხდება განვითარების გარდაუვალი დაკნინება, შემდეგ კი - სულიერ ნიჭთა საბოლოო განადგურება.

ნურვინ დაიმედდება იმით, რომ იცხოვრებს მხოლოდ თავის ეგოისტურ მოთხოვნილებათა და საკუთარ ინტერესთა დაკმაყოფილებისათვის და მაინც შევა თავისი ბატონის სიხარულში. ეგოისტები ვერასოდეს გაიზიარებენ უანგარო სიყვარულს. ისინი უვარგისნი იქნებიან ზეციური სასუფევლისათვის და ვერასოდეს შეაფასებენ ზეციური სიყვარულის სიწმიდესა და ატმოსფეროს. ვერც წმიდა ანგელოზთა გალობა და მუსიკა მოჰგვრის მათ კმაყოფილებას. ზეციური მეცნიერება სრულიად გაუგებარ, ამოუცნობ გამოცანად დარჩება მათთვის. უფლის უკანასკნელი სამსჯავროს დიად დღეს ისინი, ვისაც ქრისტესთვის არ უშრომია, ვინც თავს არიდებდა ყოველგვარ პასუხისმგებლობას, მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავდა და საკუთარი კეთილდღეობისთვის იღვწოდა, უზენაესის სამსჯავროს წინაშე იმ ადამიანებთან ერთად წარდგებიან, ვინც ბოროტებას ემსახურებოდა. ისინი ყველანი ერთნაირად დაისჯებიან.

მრავალი ეგრეთ წოდებული ქრისტიანი უგულებელყოფს უფლის მოწოდებას და ამაში ცუდს ვერაფერს ხედავს. მათ კარგად იციან, რომ ღვთისმგმობელნი, მკვლელნი, მეძავნი მკაცრ სასჯელს იმსახურებენ; თავად კი მხოლოდ იმით კმაყოფილდებიან, რომ რელიგიური მსახურებით ტკბებიან. ისინი სიამოვნებით ისმენენ ქადაგებებს ქრისტეს შესახებ და ამის გამო თავს ჭეშმარიტ ქრისტიანებად თვლიან. და, თუმცა მთელ ცხოვრებას საკუთარ თავზე მზრუნველობაში ატარებენ, ძლიერ გაუკვირდებათ საკუთარი განაჩენის მოსმენა

იგავში აღწერილი იმ მსახურის მსგავსად, რომელზედაც ითქვა: "წაართვით მაგას ტალანტი". იუდეველთა მსგავსად მათაც ვერ გააცნობიერეს, რომ სიხარული ღვთისაგან ბოძებული მადლისა და კურთხევის გამო მათ სასარგებლოდ გამოყენებაში მდგომარეობს.
ბევრი თავის ქრისტიანულ საქმიანობაში პასიურ მონაწილეობას იმის მტკიცებით ამართლებს, რომ ამა თუ იმ საქმის შესრულებისათვის საჭირო ნიჭი არ გააჩნია. მაგრამ განა უფალია ამაში დამნაშავე? არასოდეს! მათი ეს უძლურება მათივე პასიური ცხოვრების შედეგი და მათი პირადი არჩევანია. საკუთარ ხასიათში ისინი უკვე ახლა ხედავენ ამ განაჩენის შედეგს: "წაართვით მაგას ტალანტი". იმის გამო, რომ მუდამ თავს არიდებდნენ საკუთარი ტალანტების სათანადოდ განვითარებას, მათ დაკარგეს სულიწმიდის ხმის შეცნობის უნარი - სინათლის ერთადერთი წყარო. განაჩენი: "უვარგისი მონა გადააგდეთ გარესკნელის ბნელში", ზეციურ ბეჭედს ასვამს იმ საბოლოო არჩევანს, რომელიც მათ თავად გააკეთეს.

## თავი 26 - "შეიძინეთ მეგობრები უსამართლობის მამონისაგან"

ლუკ. 16:1-9

ქრისტეს პირველი მოსვლის პერიოდი - ეს იყო დრო ამქვეყნიურ ინტერესთა გაძლიერებული ბატონობისა. ადამიანები ზეციურს მიწიერს ამჯობინებდნენ, მომავალ ცხოვრებას კი - ყოველდღიურ საქმეებსა და ინტერესებს; აჩრდილებს რეალობად ღებულობდნენ, რეალურ ფასეულობებს კი აჩრდილად თვლიდნენ. მათ არ იცოდნენ, როგორ ერწმუნათ უხილავი სამყარო. სატანა მეტად მომხიბვლელად და მიმზიდველად წარმოუდგენდა მათ ამქვეყნიურ ფასეულობებს და ადამიანებიც ადვილად ებმებოდნენ მისი ცდუნების მახეში. ქრისტე მოვიდა, რათა შეეცვალა ყოველივე ეს. მას სურდა, თვალი აეხილა ამ ცდუნებით დაბრმავებული ადამიანებისათვის. თავის მოძღვრებებში იგი ცდილობდა, ადამიანებისათვის თვალსაჩინოდ ეჩვენებინა განსხვავება ზეციურსა და მიწიერს შორის და მსმენელთა ყურადღება აწმყოდან მომავლისაკენ გადაეტანა. იგი მოუწოდებდა, მიეტოვებინათ დროებით კეთილდღეობაზე განუწყვეტელი ზრუნვა და საუკუნო სიცოცხლისათვის მომზადებულიყვნენ. "იყო ერთი მდიდარი კაცი, - თქვა მაცხოვარმა, - და ჰყავდა მნე, რომელზეც ამბავი მიუტანეს, რომ მის ქონებას ანიავებდა". მდიდარმა მთელი თავისი ქონება მოსავლელად თავის მსახურს ჩააბარა, მაგრამ მსახური ორგული იყო და ბატონს შეატყობინეს, რომ იგი სისტემატურად ძარცვავდა მას. აღარ მოინდომა ბატონმა მისი მნეობა, დაიბარა და ანგარიში მოსთხოვა. "ეს რა მესმის შენზე? ჩამაბარე შენი სამნეოს ანგარიში, ვინაიდან ვეღარ იქნები მნე".
სამსახურის დაკარგვის საფრთხის წინაშე დარჩენილ მნეს სამგვარი შესაძლო გამოსავალი ჰქონდა. ან თავად უნდა ემუშავა, ან მოწყალება უნდა ეთხოვა, ან უნდა ეშიმშილა. "მნემ თქვა თავისთვის: როგორ მოვიქცე? ჩემი ბატონი

მართმევს სამნეოს. ბარვა არ შემიძლია, მათხოვრობის მრცხვენია. ვიცი, როგორც უნდა მოვიქცე, რომ მიმიღონ თავიანთ სახლებში, როცა მნეობას ჩამომაშორებენ. დაიბარა თავისი ბატონის ყველა მოვალე. პირველს უთხრა: რამდენი გმართებს ჩემი ბატონისა? მან თქვა: ასი საწყაული ზეთი. უთხრა მას: მიიღე შენი ხელწერილი, დაჯექი სასწრაფოდ და დაწერე - ორმოცდაათი. მერე სხვას უთხრა: შენ რამდენი გმართებს? მან თქვა: ასი კოდი ხორბალი. მან უთხრა: მიიღე შენი ხელწერილი და დაწერე - ოთხმოცი".
ორგულმა მნემ სხვა მსახურნიც თავისი სიცრუის თანამონაწილედ აქცია. მან მოატყუა თავისი ბატონი მის მევალეთა სასარგებლოდ, მათ კი, თავის მხრივ, დათანხმდნენ რა ამ სიცრუეზე, ვალდებულად იგრძნეს თავი, იგი ოჯახის მეგობრად მიეღოთ.
"შეაქო ბატონმა უსამართლო მნე, ხერხიანად რომ მოიქცა". ამ მდიდარმა კაცმა მოუწონა თავის მნეს თვალთმაქცური საქციელი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მას ღმერთი იწონებს.
ქრისტემ არ მოიწონა ორგული მსახურის საქციელი, მაგრამ თავის იგავში გაკვეთილად გამოიყენა ეს კარგად ცნობილი ამბავი. "შეიძინეთ მეგობრები უსამართლობის მამონისაგან", - ბრძანა მან, - რომ, როცა გაღარიბდებით, მიგიღონ საუკუნო სავანეში".
ფარისევლები, როგორც ცნობილია, კიცხავდნენ მაცხოვარს მებაჟეებთან და ცოდვილებთან ურთიერთობის გამო. მაგრამ ამით მისი მათ მიმართ არც ყურადღება შენელებულა და არც ძალისხმევა შესუსტებულა. იგი ხედავდა, რომ მებაჟეთა საქმიანობა საცდური იყო მათთვის. და ეს ბოროტება მუდამ იპყრობდა მათს ყურადღებას. სიცრუისაკენ პირველი ნაბიჯის გადადგმა ადვილი იყო, შემდეგ კი უფრო სერიოზული დანაშაულისა და უწმიდურობის ჩადენა, შესაძლოა, კატასტროფული სისწრაფით მომხდარიყო. ქრისტე ცდილობდა, ნებისმიერი მეთოდებით გამოეთავისუფლებინა მებაჟენი ცოდვის საშინელი ბადისაგან და მათში ზეციური მიზნებისა და კეთილშობილური პრინციპებისაკენ სწრაფვა გაეღვიძებინა. სწორედ ეს მიზანი ამოძრავებდა მაცხოვარს, როცა ამ უზნეო მსახურის ამბავი უამბო მათ. მებაჟეთათვის, რა თქმა უნდა, საკმაოდ კარგად იყო ცნობილი მსგავსი შემთხვევები და ქრისტეს იგავში საკუთარი საქმეებიც მშვენივრად დაინახეს. ისინი დიდი გულისყურით უსმენდნენ მაცხოვარს და საკუთარ უწმიდურ, უპატიოსნო საქმეთა ამბავიც სულიერი ჭეშმარიტების უდიდესი გაკვეთილი იყო მათთვის.
მაგრამ იგავი უშუალოდ ქრისტეს მოწაფეების ყურადსაღებად იყო ნათქვამი. ჭეშმარიტების საფუარი უპირველესად მათთვის იყო განკუთვნილი, მათ კი შემდგომ სხვებისთვის უნდა გადაეცათ იგი. ქრისტეს ბევრი მოძღვრება თავდაპირველად სრულიად გაუგებარი იყო მოწაფეთათვის და მაცხოვრის ნათქვამი ხშირად დროებით დავიწყებას ეძლეოდა. მაგრამ ქრისტეს მოწაფენი სულიწმიდის ზემოქმედებით დროთა განმავლობაში აღიდგენდნენ მათ და გადასცემდნენ ახალმოქცეულთ, რომლებიც ეკლესიას უერთდებოდნენ.
ამ იგავით მაცხოვარი, რა თქმა უნდა, ფარისევლებსაც მიმართავდა. იგი არ კარგავდა იმედს, რომ თავისი სიტყვის ძალით მათს გულსაც დაიპყრობდა. და, მართლაც, ბევრი მათგანი ხვდებოდა თავის დანაშაულს და, როდესაც სულიწმიდის ზემოქმედებით უფლის ჭეშმარიტ სიტყვას ისმენდა, სჯეროდა მისი.

ფარისეველნი, კიცხავდნენ რა მაცხოვარს მებაჟეებთან და ცოდვილებთან ურთიერთობის გამო, მსმენელთა წინაშე მისი რეპუტაციის შელახვას ცდილობდნენ. ახლა კი იესო თავად კიცხავს თავის ბრალმდებელთ. მებაჟეთა უზნეო საქმეების ისტორია მან ფარისეველთა გასაგონადაც წარმოთქვა ალეგორიის სახით, რითაც ნათლად დაანახა მათ თავიანთი საქციელი და ერთადერთი გზა საკუთარი დანაშაულის გამოსყიდვისა.
იგავში ბატონმა თავისი ქონება თავის ორგულ მნეს კეთილ საქმეებში გამოსაყენებლად მიანდო. მან კი ის თავის სასარგებლოდ გამოიყენა. ასევე მოიქცა ისრაელიც. უფალმა თავის ერად აირჩია აბრაამის თესლი, თავისი ძლიერი მკლავით გაათავისუფლა ეგვიპტის ტყვეობიდან, აქცია იგი შემნახველად და დამცველად წმიდა მსახურებისა, რომლის მიზანიც მთელი წუთისოფლის კურთხევა იყო. მან ამ ერს მიანდო თავისი წმიდა წერილები, რათა მისი ნათელი სხვებისთვისაც გადაეცათ. მაგრამ მისმა მნეებმა ეს საბოძვარი არა დანიშნულებისამებრ, არამედ საკუთარი განდიდებისა და გამდიდრებისათვის გამოიყენეს.
საკუთარი არსებობის მნიშვნელობასა და სიმართლეში დარწმუნებულმა ფარისევლებმა ბოროტად გამოიყენეს უფლის მიერ მიბარებული ქონება, რომელიც უზენაესის განსადიდებლად იყო გამიზნული.
უგუნურმა მსახურმა იგავში ამ თავისი საქციელით საკუთარი მომავალიც კი ვერ უზრუნველყო. სიმდიდრე, რომელიც მას მიანდეს, მან მხოლოდ საკუთარი თავისთვის გამოიყენა, მაგრამ მან მხოლოდ აწმყოზე იზრუნა. როდესაც თავისი სამუშაო ადგილის დაკარგვის საფრთხე დაემუქრა, აღმოჩნდა, რომ თავისი არაფერი გააჩნია. მაგრამ ბატონის ქონება კვლავაც მის ხელთ იყო და გადაწყვიტა, თავისი ხელმწიფება ამ უკანასკნელადაც ბოროტად გამოეყენებინა, რათა გაჭირვების ჟამს თავის თავზე ეზრუნა. მიზნის მისაღწევად მას მოქმედების ახალი გეგმა უნდა შეემუშავებინა. მხოლოდ საკუთარი თავისთვის სიმდიდრის მოხვეჭის ნაცვლად ახლა იგი იძულებული გახდა, სხვებისთვის გაეზიარებინა ის, რათა შეეძინა მეგობრები, რომლებიც, თანამდებობის დაკარგვის შემთხვევაში, შეიფარებდნენ და დაეხმარებოდნენ. ასევე იყვნენ ფარისეველნიც, რომელთაც სულ მალე უფლის მნეობა უნდა წართმეოდათ, მაგრამ მოესმათ მოწოდება, რომლის შესმენაც თავიანთი მომავლის უზრუნველყოფას შეაძლებინებდათ. საკუთარი კეთილდღეობის მოპოვებას ისინი მხოლოდ და მხოლოდ სხვებისთვის კეთილი სამსახურის გაწევით შეძლებდნენ. საუკუნო სიცოცხლეს მხოლოდ ღვთით ბოძებული ნიჭების ირგვლივ მყოფთათვის გაზიარებით დაიმკვიდრებდნენ.
დაასრულა რა იგავი, მაცხოვარმა თქვა: "ამ სოფლის ძენი ნათლის შვილებზე მოხერხებულნი არიან თავიანთ მოდგმაში", რაც ნიშნავს: ამქვეყნიური სიბრძნის მქონე ადამიანები ზოგჯერ მეტ გონიერებასა და გულმოდგინებას ამჟღავნებენ საკუთარ თავზე ზრუნვისას, ვიდრე ღვთის შვილნი - უფლის მსახურებისას. ასე იყო ქრისტეს დღეებში; ასეა დღესაც. შეხედეთ იმ ადამიანთა ცხოვრებას, რომელნიც თავს ქრისტიანებს უწოდებენ. უფალმა ყველაფერი მისცა მათ: ნიჭი, ძალა, გავლენა; მიანდო სიმდიდრე და ფული, რათა მაცხოვართან ერთად ეშრომათ კაცობრიობის გადარჩენის უმნიშვნელოვანეს საქმეში. მათი ყოველი ნიჭი ადამიანთა სასიკეთოდ, გაჭირვებულთა დასახმარებლად და მათი მძიმე ტვირთის შესამსუბუქებლად უნდა იქნას გამოყენებული. ჩვენ უნდა დავაპუროთ

მშიერნი, შევმოსოთ შიშველნი, ვიზრუნოთ ქვრივ-ობოლზე, ვემსახუროთ სასოწარკვეთილთ და დაჩაგრულთ. უფალს არასოდეს ჰქონია სურვილი იმისა, რომ ზოგმა ფუფუნებაში იცხოვროს, ზოგს კი ლუკმაპური ენატრებოდეს. იგი ყოველთვის იმდენს აძლევს ადამიანს, რამდენიც მის აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას სჭირდება, ზედმეტი კი იმისათვის ეძლევა, რომ კეთილი საქმეები აკეთოს და კაცობრიობისათვის კურთხევად იქცეს. "გაყიდეთ თქვენი ქონება და გაიღეთ მოწყალება" (ლუკ. 12:33); იყავით "გულუხვნი და გამზიარებელნი" (1ტიმ. 6:18). "როცა ლხინს გამართავ, მოიწვიე გლახაკნი, ხეიბრები, კოჭლები და ბრმები" (ლუკ. 14:13); "გახსენი საბელნი ბოროტეულთა", "შეხსენი ბორკილნი უღლისა", "გაუშვი ჩაგრულნი თავისუფლად", "ყველა უღელი გაწყვიტეთ". გაუნაწილე შენი პური მშიერს, ღარიბნი და უსახლკარონი შემოიყვანე სახლში. "როდესაც დაინახავ შიშველს, შემოსე იგი". წამებულის სული გააძღე (ეს. 58:6,7,10). "მოედეთ მთელს სოფელს და უქადაგეთ სახარება ყოველ ქმნილებას" (მარკ. 16:15). ასეთია უფლის ბრძანება. ასრულებენ კი ყოველივე ამას ისინი, ვინც თავის თავს ქრისტიანს უწოდებს?

სამწუხაროდ, არა! რამდენი ადამიანია წუთისოფელში, უფლის უხვ საბოძვარს რომ ითვისებს და თავის საკუთრებად ასაღებს! რამდენი ვინმე ვერ კმაყოფილდება იმით, რაც გააჩნია, რაც მეტი აქვს, მით უფრო მეტის მოხვეჭა სურს და სახლს სახლზე ამატებს და მიწაზე - მიწას. რამდენი ადამიანი ფლანგავს ფულს გართობებზე, უზომო მადის დაკმაყოფილებაში, მდიდრული სახლების, ავეჯისა და ტანსაცმლის შეძენაში. მათი მოყვასნი კი ამ დროს, გაჭირვებულნი, იტანჯებიან, დანაშაულს სჩადიან, სნეულდებიან და კვდებიან. რამდენი ადამიანი იღუპება ისე, რომ მათთვის თანაგრძნობით ერთხელაც არავის შეუხედავს, არც კეთილი სიტყვით მიუმართავს და არც საქმით დახმარებია.

ბევრი ადამიანი დანაშაულს ჩადის იმით, რომ უფალს ძარცვავს. ღვთისაგან ბოძებული ქონების მხოლოდ საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება ართმევს ღმერთს დიდებას, რომელიც მას უნდა დაუბრუნდეს მას შემდეგ, რაც იგი გაჭირვებულთა დახმარებასა და ადამიანთა გადარჩენას მოხმარდება. ისინი ისაკუთრებენ იმას, რაც დროებით მიანდეს. უფალი კი აცხადებს: "მოვალ თქვენთან განსაკითხავად და ვიქნები ფიცხელი მოწმე... ხიზნის გამგდებელთა და ჩემს უშიშთა წინააღმდეგ... განა ადამიანი მოატყუებს ღმერთს, რომ მატყუებთ მე და ამბობთ: რაში გატყუებთო? მეათედში და შესაწირავში. წყევლითა ხართ დაწყევლილნი და მაინც მატყუებთ მთელი ერი" (მალ. 3:5,8,9). "მოდით, ახლა თქვენც იტირეთ, მდიდრებო... თქვენი სიმდიდრე დალპა, თქვენი სამოსელი კი ჩრჩილმა დაჭამა. თქვენი ოქრო და ვერცხლი დაჟანგდა. მათი ჟანგი იქნება მოწმობა თქვენს წინააღმდეგ... დაუნჯებული გაქვთ განძი უკანასკნელი დღეებისათვის". "თქვენ განცხრომას ეძლეოდით ქვეყანაზე და ნებივრობდით"... "აჰა, მუშაკთა საზღაური, რომელიც დაუკავეთ თქვენი ყანების მომკელთ, ღაღადებს, და მომკელთა ღაღადი უფალ ცაბაოთის ყურამდე აღწევს" (იაკ. 5:1-3,5,4).

ყველას მოეთხოვება ანგარიში ბოძებული ნიჭების მიხედვით. უკანასკნელი სამსჯავროს დღეს ადამიანთა მიერ დაგროვილი მიწიერი სიმდიდრე სრულიად უსარგებლო იქნება მათთვის, ვინაიდან თავისი საკუთარი მათ არაფერი ექნებათ.

მათ, ვინც მთელი თავისი ცხოვრება ამქვეყნიურ სიმდიდრეთა დაგროვებას შეალია, ნაკლები სიბრძნე გამოიჩინეს და ნაკლებად იზრუნეს საკუთარ კეთილდღეობაზე, ვიდრე იმ ორგულმა მნემ - თავისი მიწიერი ცხოვრების უზრუნველყოფაზე. ამ წუთისოფლის შვილები თავიანთ მოდგმაში უფრო მეტ გონიერებას იჩენენ, ვიდრე ნათლის შვილნი. სწორედ ამას ამბობს წინასწარმეტყველი ხილვაში, რომელიც უკანასკნელი სამსჯავროს დიად დღეს ეხება: "იმ დღეს გადაყრის ადამიანი თავის ვერცხლის კერპებს და თავის ოქროს კერპებს, რომლებიც გაიკეთა მან თხუნელებისა და ღამურების თაყვანის საცემად. და ჩაიმალებიან მთის ბზარებში და კლდეთა ნაპრალებში უფლის შიშისაგან და მისი დიდებულების ბრწყინვალებისაგან, როცა ის აღდგება ქვეყნის მოსასპობად" (ეს. 2:20,21).
"შეიძინეთ მეგობრები უსამართლობის მამონისაგან, - ამბობს მაცხოვარი, - რომ, როცა გაღარიბდებით, მიგიღონ საუკუნო სავანეში". უფალი ღმერთი, ქრისტე და ანგელოზები ეხმარებიან დაჩაგრულთ, ტანჯულთ და ცოდვილთ. მიუძღვენით თქვენი თავი ღმერთს ამ მსახურების აღსასრულებლად, გამოიყენეთ მის მიერ მოცემული ტალანტები და შეძლებთ ზეციურ ოჯახში შესვლას. და თქვენი გულიც ზეციურ მკვიდრთა გულივით აძგერდება, თქვენს სულსაც იგივე გრძნობები მოიცავს, რასაც ისინი განიცდიან და ხასიათითაც მათ დაემსგავსებით. თქვენ არ იქნებით უცხონი ზეციურ მკვიდრთათვის და მიწიერ დღეთა გარდასვლისას ზეციურ კარიბჭეთა მცველნი ზეციურ სავანეებში შეგიძღვებიან.
სხვათა საკეთილდღეოდ და საკურთხებლად გამოყენებული სიმდიდრე სარგებელს მოიტანს. მისი სწორად გამოყენება კეთილ ნაყოფს გამოიღებს და ქრისტეს მრავალ ადამიანს შესძენს. ის, ვინც ქრისტეს სიტყვით ცხოვრობს, უფლის სავანეში უთუოდ იხილავს მათ, ვისთვისაც შრომობდნენ და იღვწოდნენ აქ, დედამიწაზე. დიდი მადლიერებით გაიხსენებენ გამოსყიდულნი მათ, ვინც უფალმა მათი ხსნის იარაღად გამოიყენა. ზეციური სავანეები კი მეტად ძვირფასი ადგილი იქნება მათთვის, ვინც ერთგულად შრომობდა ადამიანთა გადასარჩენად.
ეს იგავი თვალსაჩინო გაკვეთილია ყველასათვის. თითოეული ადამიანი პასუხისმგებელი უნდა იყოს იმ მადლზე, რომელიც მაცხოვრისაგან მიეცა. სიცოცხლე მეტად სერიოზული და მნიშვნელოვანი რამ არის იმისათვის, რომ წარმავალმა მიწიერმა საქმეებმა შთანთქას იგი. უფლის სურვილია, გადავცეთ სხვებს ის, რაც უხილავმა და მარადიულმა ჩვენ გადმოგვცა.
ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი ტოვებს სიცოცხლეს და სამუდამოდ იღუპება იმის გამო, რომ დროულად არ გააფრთხილეს და ღვთის სიტყვა არ მიაწოდეს. ჩვენს ცვალებად, მრავალფეროვან ცხოვრებაში ყოველდღე მრავალგვარი შესაძლებლობა გვეძლევა, ადამიანებს ღვთის წმიდა სიტყვა მივაწვდინოთ და მათს გულებს ჩავწვდეთ. ეს შესაძლებლობანი მუდმივი არაა და უფალს სურს, მათი სრულყოფილად გამოყენება შევძლოთ. დრო სწრაფად მიქრის, დღე დღეს მისდევს და სულ უფრო ცოტა დრო გვრჩება ჩვენი სამუშაოს აღსრულებისათვის. სულ რაღაც რამოდენიმე წელიწადი და ხმა, რომელსაც ვერსად გავექცევით, რომ არ ვუპასუხოთ, გვეტყვის: "ჩამაბარე შენი სამნეო ანგარიში".

მაცხოვარი გვირჩევს, დავუფიქრდეთ ამას. დაე თითოეულმა აწონ-დაწონოს ყოველივე. სასწორის ერთ მხარეზეა იესო, ესე იგი მარადიული საგანძური, სიცოცხლე, ჭეშმარიტება, ზეციური სიმაღლეები და სიხარული გამოსყიდულთა გამო; მეორეზე კი - ყველა ცდუნება და ამქვეყნიური სიამენი, რომლებსაც წუთისოფელი გვთავაზობს. სასწორის ერთ მხარეს - საკუთარი სულისა და იმ ადამიანთა სიცოცხლის მარადიული დანაკარგი, რომელთა გადარჩენაც ჩვენ შეგვეძლო; მეორე მხარეს - საუკუნო სიცოცხლე; ერთ მხარეს - დროებითი და წარმავალი, მეორე მხარეს - მარადიული. დაფიქრდით ყოველივე ამაზე და უსმინეთ ქრისტეს ხმას: "რას არგებს ადამიანს, თუ მთელ ქვეყნიერებას შეიძენს, თავის სულს კი ავნებს?" (მარკ. 8:36).

უფალ ღმერთს სურს, რომ მიწიერს ზეციური ვამჯობინოთ. იგი შესაძლებლობას გვაძლევს, დავაუნჯოთ ჩვენი სიმდიდრე ზეციურ საგანძურში; იგი მოგვცემს ძალას ჩვენი ყველაზე სანუკვარი ოცნების აღსრულებისათვის და თავად დაიცავს ჩვენს საუნჯეს ზეცაში. "კაცს ბაჯაღლოზე ძვირფასად ვაქცევ, - აცხადებს უფალი, - და ადამიანს - ოფირის ოქროზე" (ეს. 13:12). როდესაც სამუდამოდ გაქრება ხრწნადი სიმდიდრე, რომელსაც ჩრჩილი და ჟანგი ჭამს, დიდად გაიხარებენ ქრისტეს ერთგულნი, ვინაიდან ზეციური განძის - უხრწნადი სიმდიდრის მფლობელნი გახდებიან.

ქრისტეს მიერ გამოსყიდულთა მეგობრობა ყოველგვარ ამქვეყნიურ მეგობრობაზე უკეთესია. რამდენად უფრო მშვენიერი და ძვირფასია, გავხდეთ იმ სავანეებში შესვლის ღირსი, რომლებიც მაცხოვარმა მოგვიმზადა, ვიდრე ვიქცეთ ყველაზე მდიდრული სასახლის მფლობელებად დედამიწაზე. ნებისმიერ ამქვეყნიურ დიდებაზე უფრო ძვირფასი იქნება ჩვენი მხსნელისა და მაცხოვრის სიტყვები, თავის ერთგულ მნეთა მისამართით ნათქვამი: "მოდით, მამაჩემის კურთხეულნო, დაიმკვიდრეთ სოფლის დასაბამიდან თქვენთვის გამზადებული სასუფეველი" (მათ. 25:34).

მაგრამ ჩვენი მაცხოვარი კვლავ აძლევს ჭეშმარიტი საუნჯის შეძენის შესაძლებლობას მათ, ვინც უფლის მიბარებული ქონება ასე გაანიავა. იგი ბრძანებს: "მიეცით და თქვენც მოგეცემათ". "დაიმზადეთ უცვეთელი ქისები, საუკუნოდ ულეველი საუნჯე ზეცაში, სადაც ქურდი ვერ მიეკარება და ჩრჩილი ვერ ავნებს" (ლუკ. 6:38; 12:33). "ამ საუკუნის მდიდრებს ამცნე... რომ იყვნენ ქველმოქმედნი, გამდიდრდნენ კეთილი საქმეებით, იყვნენ გულუხვნი და გამზიარებელნი. დაიუნჯონ საუნჯე მტკიცე საფუძვლად მომავლისათვის, რათა მიაღწიონ ჭეშმარიტ სიცოცხლეს" (1ტიმ. 6:17-19).

ამგვარად შეძენილი სიმდიდრე თქვენზე ადრე მიაღწევს ზეცას. მიანდეთ მას თქვენი ქონება. განამტკიცეთ თქვენი უფლება ქრისტეს უთვალავ სიმდიდრეზე. "შეიძინეთ მეგობრები უსამართლობის მამონისაგან, რომ, როცა გაღარიბდებით, მიგიღონ საუკუნო სავანეში".

## თავი 27 - "ვინ არის ჩემი მოყვასი?"

ლუკ. 10:25-37

კითხვა: "ვინ არის ჩემი მოყვასი?" - ებრაელთა შორის დაუსრულებელი კამათის საგანს წარმოადგენდა. წარმართებსა და სამარიელებთან დაკავშირებით ეს კითხვა ეჭვს არ იწვევდა; ისინი მათ უცხოელებად და მტრებად თვლიდნენ. მაგრამ სად იყო ზღვარი მოყვასსა და უცხოს შორის მათივე ერში და საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის? ვინ უნდა ჩათვალოს თავის მოყვასად მღვდელმსახურმა, მოძღვარმა, უხუცესმა? ისინი მთელ თავის ცხოვრებას ურიცხვ ცერემონიალთა აღსრულებას ანდომებდნენ, რათა მათი მეშვეობით განწმედილიყვნენ. ისინი ასწავლიდნენ, რომ ადამიანთა გაუნათლებელ, უმეცარ, წმიდა რიტუალების მიმართ გულგრილ ბრბოსთან ურთიერთობა მათ აუწმიდურებს და ამ უწმიდურებისაგან განწმენდა მხოლოდ მრავალი დამღლელი რიტუალითაა შესაძლებელი. და განა შეიძლება, ეს უწმიდური ადამიანები მოყვასად ჩათვალონ?
ამ კითხვას ქრისტე პასუხობს იგავით გულმოწყალე სამარიელზე და გვასწავლის, რომ ჩვენი მოყვასი მხოლოდ ის ადამიანი როდია, რომელიც ჩვენი ეკლესიის წევრი ან ჩვენი რელიგიის მიმდევარია. აქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს არც წარმოშობას, არც კანის ფერს და არც იმას, თუ საზოგადოების რომელ ფენას წარმოადგენს ადამიანი. ჩვენი მოყვასი არის ყოველი, ვინც ჩვენს დახმარებას საჭიროებს. ჩვენი მოყვასი არის მტრისაგან დაჩაგრული და დაჭრილი ყოველი სული; ჩვენი მოყვასი არის ყველა ადამიანი, ვინაიდან ყველანი ღვთის შექმნილნი ვართ.
იგავით კეთილი სამარიელის შესახებ ქრისტემ პასუხი გასცა კითხვას, რომელიც მას რჯულის მცოდნემ დაუსვა. როდესაც მაცხოვარი თავის მოწაფეებს ესაუბრებოდა, "აჰა, ერთი რჯულის მცოდნე, წამოდგა და გამოსაცდელად თქვა: რა უნდა გავაკეთო, მოძღვარო, რომ საუკუნო სიცოცხლე დავიმკვიდრო?" ეს შეკითხვა ფარისევლებმა უკარნახეს მას იმ იმედით, რომ ქრისტეს სიტყვაში გამოიჭერდნენ და პასუხს მთელი გულისყურით ელოდნენ. მაცხოვარი არ შეეკამათა, არამედ კითხვას კითხვითვე უპასუხა: "რჯულში როგორ სწერია? შენ როგორ კითხულობ?" ებრაელები კვლავაც ბრალს სდებდნენ ქრისტეს მათთვის სინაის მთაზე მიცემული უფლის რჯულის მიმართ უპატივცემულობაში, მაგრამ მაცხოვარმა კითხვა გადარჩენის შესახებ სწორედ ღვთის მცნებების აღსრულებას დაუკავშირა.
"შეიყვარე უფალი, ღმერთი შენი, მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით, მთელი შენი ძალითა და მთელი შენი გონებით, - მიუგო რჯულის მცოდნემ, - და მოყვასი შენი, როგორც თავი შენი". "სწორად მიპასუხე, - უთხრა მას იესომ, - ეგრე მოიქეცი და იცოცხლებ".
ამ რჯულის მცოდნეს არ აკმაყოფილებდა ფარისეველთა პოზიცია და მათი საქმეები. ამიტომ გულმოდგინედ სწავლობდა წმიდა წერილებს, რათა ჭეშმარიტებისათვის მიეკვლია. მას გულწრფელად აინტერესებდა პასუხი კითხვაზე, რომელიც ქრისტეს დაუსვა: "რა უნდა გავაკეთო?" თავის პასუხში რჯულთან დაკავშირებით მას არ ჩამოუთვლია მთელი რიგი ცერემონიალური და რიტუალური მოთხოვნები; მან იგი უმნიშვნელოდ ჩათვალა და წარმოთქვა მხოლოდ ორი ძირითადი პრინციპი, რომელსაც ემყარება მთელი რჯული და წინასწარმეტყველნი. მოუწონა რა პასუხი, ებრაელმა რაბინებმა ბრალი ვერაფერში დასდეს მაცხოვარს. განა შეეძლოთ მათ რჯულის მცოდნის პასუხის უარყოფა?

"ეგრე მოიქეცი და იცოცხლებ", - თქვა მაცხოვარმა. თავის მოძღვრებებში ქრისტე რჯულს მუდამ ერთიან ღვთიურ კანონად წარმოადგენდა, რითაც ასწავლიდა, რომ შეუძლებელია ერთი რომელიმე მათგანის დარღვევა და მეორის აღსრულება, ვინაიდან ყველა მცნებას ერთი საერთო საფუძველი გააჩნია. ადამიანის საბოლოო ბედი იმით გადაწყდება, თუ როგორ იცავს იგი უფლის ყველა მცნებას.
მაცხოვარმა კარგად უწყოდა, რომ რჯულის დაცვა მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით შეუძლებელია. მას სურდა, რომ ეს საკითხი რჯულის მცოდნეს უფრო დაწვრილებით, გულმოდგინედ გამოეკვლია, რათა ჭეშმარიტებისათვის მიეგნო. მხოლოდ ქრისტეს მადლისა და დამსახურების მეშვეობითაა შესაძლებელი უფლის რჯულის აღსრულება. ცოდვისაგან გამოსყიდვის რწმენა უღვიძებს დაცემულ ადამიანს უფლისადმი უდიდეს სიყვარულს, რათა უყვარდეს ღმერთი მთელი გულით და მოყვასი, როგორც თავისი თავი.
რჯულის მცოდნემ კარგად იცოდა, რომ იგი არც პირველ ოთხ მცნებას იცავდა და არც ბოლო ექვსს. იგი მიხვდა, რომ ქრისტეს სიტყვა ამხილებდა მას, მაგრამ თავისი ცოდვის აღიარების ნაცვლად მან თავის გამართლება სცადა. ჭეშმარიტების მიღების ნაცვლად იგი შეეცადა, აეხსნა, თუ რა ძნელია ამ მცნების შესრულება. ამგვარად სურდა მას ბრალდების თავიდან აცილება და ხალხის თვალში გამართლება. მაცხოვრის სიტყვებმა ცხადყო, რომ ამ რჯულის მცოდნე იუდეველის შეკითხვა ამაო იყო, რადგან მან თავადვე უპასუხა მას. მაგრამ იგი კვლავ სვამს კითხვას: "ვინ არის ჩემი მოყვასი?"
და ქრისტე კვლავ ცდილობს, კამათში არ ჩაებას. პასუხად იგი იხსენებს ერთ შემთხვევას, რომელიც ჯერ კიდევ კარგად ახსოვდათ მის მსმენელთ. "ერთი კაცი მიდიოდა იერუსალიმიდან იერიხოს და დაესხნენ ყაჩაღები, ტანსაცმელი გახადეს, დაჭრეს და წავიდნენ. ის კი ცოცხალ-მკვდარი მიატოვეს".
იერუსალიმიდან იერიხოსაკენ მიმავალ მგზავრს გზად უდაბნოზე უნდა გაევლო, სადაც კლდოვან, მიუვალ ხეობებში უამრავი ყაჩაღი ბინადრობდა. ისინი თავს ესხმოდნენ გამვლელთ და ძარცვავდნენ. სწორედ ამ ადგილას დაესხნენ ისინი თავს მგზავრს, ყველაფერი წაართვეს და ცოცხალ-მკვდარი გზაზე მიატოვეს.
შემთხვევით ერთმა მღვდელმა ჩაიარა იმ გზაზე, დაინახა დაჭრილი, გასისხლიანებული კაცი, მაგრამ გვერდი აუქცია და დახმარებაზე არც უფიქრია. შემდეგ ლევიანმა ჩაიარა, ცნობისმოყვარეობამ სძლია, შეჩერდა და დაჭრილს შეხედა. მან კარგად იცოდა, რომ გაჭირვებულს უნდა დახმარებოდა, მაგრამ მანაც თავი აარიდა. ინანა, რომ ამ გზით წამოვიდა და დაჭრილი იხილა; დაარწმუნა საკუთარი თავი, რომ ეს მისი საქმე არ იყო და გზა განაგრძო.
მერე ვიღაც სამარიელმა ჩამოიარა, დაინახა დაჭრილი და გააკეთა ის, რაც მასზე ადრე სხვებს უნდა გაეკეთებინათ, მაგრამ არ ისურვეს. გულწრფელად შეეცოდა მას გაჭირვებული, "მივიდა მასთან, ჭრილობები შეუხვია, ზეთი და ღვინო დაასხა, შესვა თავის პირუტყვზე, მიიყვანა სასტუმროში და იზრუნა მასზე. მეორე დღეს ამოიღო ორი დინარი, მისცა სასტუმროს პატრონს და უთხრა: იზრუნე მასზე და, თუ ზედმეტი ხარჯი მოგივა, რომ დავბრუნდები, მოგცემო". მღვდელი და ლევიანი საჯაროდ გაჰყვიროდნენ თავიანთი ღვთისმოსაობის შესახებ, მაგრამ ჭეშმარიტი ღვთისმოსაობა მხოლოდ სამარიელმა გამოიჩინა. თავისი სულითა და საქმეებით მან ჭეშმარიტად დაამოწმა თავისი ღვთისნიერება.

ამ იგავით ქრისტე ნათლად და დამაჯერებლად გვიჩვენებს, თუ რა პრინციპებით უნდა ვხელმძღვანელობდეთ უფლის რჯულის აღსრულებისას და ამხილებს თავის მსახურთ ამ პრინციპების დარღვევაში. მისი სიტყვები იმდენად ზუსტი და მიზანმიმართული იყო, რომ მსმენელებმა თავი ვერაფრით გაიმართლეს. რჯულის მცოდნემაც ვერაფერი ნახა მაცხოვრის მოძღვრებაში მიუღებელი და გაუქრა ყოველგვარი ეჭვი მის მიმართ. მაგრამ მაინც იმდენად ვერ დამალა სამარიელთა მიმართ თავისი მტრული განწყობა, რომ ნამდვილი სახელითაც კი არ მოიხსენია სამარიელი, რომელმაც დაჭრილის მიმართ ასეთი გულმოწყალება გამოიჩინა და მაცხოვრის კითხვაზე: "რას ფიქრობ, იმ სამიდან რომელი უფრო იყო ყაჩაღების ხელში ჩავარდნილის მოყვასი?" - უპასუხა: "რომელმაც წყალობა უყო მას".
"უთხრა მას იესომ: წადი და შენც ასევე მოიქეცი". გამოიჩინე ასეთივე გულმოწყალება და თანაგრძნობა გაჭირვებულთა მიმართ და ამით დაამტკიცებ, რომ მთელ რჯულს იცავ.
ებრაელები რწმენის საკითხში დიდად განსხვავდებოდნენ სამარიელთაგან. განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის ღვთის ჭეშმარიტი თაყვანისცემა. ფარისეველნი სამარიელებს მუდამ აუგად იხსენიებდნენ და წყევლიდნენ. მათ იმდენად რთული და მტრული ურთიერთდამოკიდებულება ჰქონდათ, რომ სამარიელ ქალს ძლიერ გაუკვირდა, ქრისტემ წყალი რომ სთხოვა. "როგორ მთხოვ შენ, იუდეველი, - ჰკითხა ქალმა, - სამარიელ დედაკაცს, დამალევინეო?" "რადგან იუდეველებს, - განმარტავს იოანე მოციქული, - არა აქვთ ურთიერთობა სამარიელებთან" (იოან. 4:9). ებრაელებმა, რომელთაც ისე ძლიერ სძულდათ მაცხოვარი, რომ მზად იყვნენ, იგი ტაძარში ჩაექოლათ, თავიანთი სიძულვილის გამოსახატავად სხვა, უფრო სასტიკი სიტყვები რომ ვერ მონახეს, წამოიძახეს: "განა კარგად არ ვამბობთ, რომ შენ სამარიელი ხარ და ეშმაკია შენში?" (იოან. 8:48). და მაინც, მღვდელმა და ლევიანმა არ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა უფლის წინაშე და თანამემამულეზე ზრუნვა გადაულოცეს სამარიელს, რომელიც ასე სძულდათ. სამარიელმა კი შეასრულა მცნება: "შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენი", რითაც აჩვენა, რომ იგი უფრო ღვთისმოსავი ადამიანი იყო, ვიდრე მისი მოძულენი. საკუთარი სიცოცხლეც კი არ დაიშურა მან (ის ხევი ხომ ყაჩაღთა ბუნაგი იყო) დაჭრილის გადასარჩენად: ჭრილობები შეუხვია და ისე იზრუნა მასზე, როგორც საკუთარ ძმაზე. ეს გულმოწყალე სამარიელი ქრისტეს განსახიერებაა. ჩვენმა მაცხოვარმა ჩვენ მიმართ ხომ ისეთი სიყვარული გამოავლინა, რომელსაც ვერავითარი ადამიანური სიყვარული ვერ შეედრება; შეგვიცოდა და დახმარების ხელი გამოგვიწოდა ჩვენ, სასიკვდილოდ განწირულთ. გვერდი არ აუვლია, უსუსურნი, უიმედოდ არ დავუტოვებივართ; დატოვა თავისი წმიდა, ბედნიერი სავანე, სადაც მთელი ზეციური მხედრობა სიყვარულით თაყვანს სცემდა; იხილა ჩვენი უბედურება, გაითავისა ჩვენი დუხჭირი მდგომარეობა და კაცობრიობის ინტერესები; იგი მოკვდა თავისი მტრების გადასარჩენად. იგი ლოცულობდა მათთვის, რომლებმაც ჯვარს აცვეს. და საკუთარ მაგალითს ანდერძად უტოვებს თავის მიმდევართ: "ამას გიდებთ მცნებად, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი", "როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, თქვენც ისე გიყვარდეთ ერთმანეთი" (იოან. 15:17; 13:34).

თავად უფალმა განაწესა მღვდელი და ლევიანი ტაძრის მსახურებად. თავად უფალმა განუსაზღვრა მათ წესები და მოვალეობანი. ტაძრის ღვთისმსახურებაში მონაწილეობა უდიდესი და უმაღლესი უპირატესობა იყო და ასეთი პატივისა და დიდების მფლობელთ, როგორც ისინი თვლიდნენ, ვიღაც მათთვის უცნობი, გზაზე უპატრონოდ მიტოვებული და გაჭირვებული კაცისათვის დახმარების გაწევა სამარცხვინო საქმედ მიაჩნდათ. მათ არ გამოიყენეს შესაძლებლობა, რომელიც უფალმა მისცათ, როგორც თავის მსახურთ, მოყვასის კურთხევისათვის.

დღესაც ბევრი იმეორებს მსგავს შეცდომას. ადამიანები თავიანთ მოვალეობებს ორ ერთმანეთისგან განსხვავებულ სფეროდ ყოფენ. ერთი მოიცავს დიდ საქმეებს, რომლებიც ღმერთის რჯულით რეგულირდება; მეორე კი - ეგრეთ წოდებულ მცირე საქმეებს, რომლებსაც მცნება: "შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენი" - თითქოს არ ეხება. ხშირად მოღვაწეობის ეს სფერო ეთმობა კაპრიზს, გატაცების საგანს ან წუთიერ გრძნობებს, რაც დიდად აზიანებს ადამიანის ხასიათს და ჭეშმარიტი ქრისტიანული რელიგიის არასწორ აღქმას იწვევს.

არიან ისეთებიც, რომლებიც გასაჭირში მყოფი ადამიანებისათვის სამსახურის გაწევას საკუთარი ღირსების შელახვად და სამარცხვინო საქმედ მიიჩნევენ. ბევრიც გულგრილად, ათვალწუნებით ეკიდება იმ გაჭირვებულთ, რომლებმაც საკუთარი სულის ტაძარი თავადვე დაინგრიეს. სხვები კი უპატივცემულობას საწყალთა მიმართ სხვა მიზეზთა გამო გამოხატავენ. ისინი თვლიან, რომ აკეთებენ დიდ, ღირსეულ ქრისტიანულ საქმეს, რომელსაც ვერ შეწყვეტენ იმისათვის, რომ გაჭირვებულთა და სასოწარკვეთილთა გასაჭირი შეამჩნიონ. თავიანთი დიდი საქმის (როგორც თავად თვლიან) წინ წაწევისათვის მათ ღარიბთა და საწყალთა შევიწროებაც კი შეუძლიათ და ფიქრობენ, რომ უფლებამოსილნი არიან, წაართვან მათ საკუთარი უფლებები, შეუქმნან მძიმე მდგომარეობა და გულგრილად მოეკიდონ მათს საჭიროებებს. მათ მიაჩნიათ, რომ ყოველივე ეს გამართლებულია, ვინაიდან ისინი ქრისტეს საქმის წინსვლისათვის შრომობენ.

ბევრს სავსებით გულგრილად შეუძლია, გაჭირვებაში მიატოვოს თავისი მოყვასი. ეს ეგრეთ წოდებული ქრისტიანები, ალბათ, ფიქრობენ, რომ ამგვარი თავშეკავებულობითა და ადამიანებისადმი გულგრილი დამოკიდებულებით ქრისტეს ხასიათს უჩვენებენ. მაგრამ ქრისტეს ეს ეგრეთ წოდებული მსახურნი სინამდვილეში სულაც არ არიან მისი თანამშრომელნი, ამიტომ ის ღვთიური სიყვარული, რომელიც მათი მეშვეობით წუთისოფელს უნდა ეხილა, ვერ აღწევს მოყვასის გულამდე. ამის გამო ადამიანის გულწრფელი სამადლობელი და ღვთის სადიდებელი სიტყვები არ უბრუნდება ღმერთს. და იძარცვება უფალი იმით, რომ სრულყოფილად არ ღებულობს იმ დიდებას, რასაც მისი წმიდა სახელი იმსახურებს. მისთვის დაკარგული არიან ადამიანები, ვისთვისაც ქრისტე მოკვდა; ვისი გადარჩენა და თავის სასუფეველში მოყვანა მას ასე ძლიერ სურს, რათა მასთან იცხოვრონ უსასრულო საუკუნეთა განმავლობაში.

ჯერ კიდევ არ არის წუთისოფელში საკმაოდ გავრცელებული და განმტკიცებული ღვთიური ჭეშმარიტება, რომელმაც ჩვენი ძალისხმევით უფრო მეტი ზეგავლენა უნდა იქონიოს კაცობრიობაზე. ბევრნი საჯაროდ, ამაყად აცხადებენ საკუთარი რელიგიურობის შესახებ, მაგრამ ეს სრულებით არაფერს

ნიშნავს. ჩვენ, შესაძლოა, გულწრფელად ჩავთვალოთ თავი ქრისტეს მიმდევრებად, დავარწმუნოთ ადამიანები, რომ გვჯერა ღვთის ყოველი სიტყვის ჭეშმარიტებისა, მაგრამ ეს ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანს ჩვენს მოყვასს, თუ თავად ჩვენ ჩვენს რწმენას ჩვენი ყოველდღიური საქმიანობით არ დავამტკიცებთ. ჩვენი რწმენის აღმსარებლობა, შესაძლოა, მაღალი იყოს, როგორც თვით ზეცა, მაგრამ იგი ვერ გადაგვარჩენს ვერც ჩვენ და ვერც ჩვენს ძმებს, თუ ჭეშმარიტად ქრისტიანული ცხოვრებით არ ვიცხოვრებთ. ჭეშმარიტ, კეთილ მაგალითს უფრო მეტის გაკეთება შეუძლია წუთისოფლის კეთილდღეობისათვის, ვიდრე ჩვენს ყველა განცხადებას საკუთარი რწმენის შესახებ.
შეუძლებელია, ქრისტესადმი მსახურებას შეუთავსო საკუთარი ეგოისტური აზრები და საქციელი. თუკი მაცხოვრის მიზანი ღარიბთა და ჩაგრულთა კეთილდღეობაა, მის მიმდევართა გულშიც უფრო ღრმა, ქრისტესმიერი თანაგრძნობა და სიყვარული უნდა არსებობდეს იმ ადამიანთა მიმართ, რომლებიც მისთვის ისე ძვირფასი არიან, რომ მათ გადასარჩენად საკუთარი სიცოცხლეც კი არ დაიშურა. მათი ფასი ღვთისათვის აღვლენილ ჩვენს ნებისმიერ შესაწირავს აღემატება. მოახმარო მთელი შენი ენერგია, შესაძლოა, მართლაც რომ მნიშვნელოვან, დიდ ღვთიურ საქმეს, მაგრამ იმავდროულად გულგრილად მოეკიდო და აითვალწუნო გაჭირვებული და ხიზანი, არ ნიშნავს ჭეშმარიტ მსახურებას, რომელსაც ღმერთი მოიწონებს.
სულიწმიდის მეშვეობით სულის განწმედა - ეს ქრისტეს ხასიათისა და ბუნების ადამიანის სულში დანერგვას ნიშნავს. სახარებისეული რელიგია - ეს ჩვენს ცხოვრებაში შემოსული ქრისტეა, ჩვენი ცხოვრების ცოცხალი, მოქმედი საფუძველი. ესაა ქრისტეს მადლი, რომელიც ადამიანის ხასიათში და მის კეთილ საქმეებში ვლინდება. სახარებისეული პრინციპების ჩვენი პრაქტიკული მოღვაწეობისაგან განცალკევება სრულიად შეუძლებელია. ქრისტიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყოველი სფერო ქრისტეს ხასიათს უნდა ირეკლავდეს.
სიყვარული ჭეშმარიტი ღვთისმოსაობის საფუძველია. რასაც არ უნდა ამბობდეს ადამიანი, მასში არ იქნება ღვთისადმი წმიდა სიყვარული, თუკი გულწრფელად არ უყვარს თვისი მოყვასი. მაგრამ ჩვენ არასოდეს გვექნება სიყვარულის ეს სული, თუკი "შევეცდებით" სხვების შეყვარებას. ერთადერთი, რაც ჩვენს გულს სჭირდება, ქრისტეს სიყვარულია. როდესაც ჩვენი "მე" ქრისტეში უჩინარდება, ჩვენს გულში სიყვარული ბუნებრივად შემოდის. ქრისტიანული ხასიათი სრულყოფილებას მხოლოდ მაშინ აღწევს, როდესაც სხვების დახმარებისა და გულმოწყალების გამოჩენის სურვილი პრინციპულ და ბუნებრივ, და რაც მთავარია, აუცილებელ შინაგან მოთხოვნილებად იქცევა; როცა ზეციური ნათელი გულს ეფინება და ადამიანის სახეზეც აღიბეჭდება.
გული, რომელშიც ქრისტე მკვიდრობს, არასოდეს გაუცხოვდება სიყვარულისათვის. თუკი ჭეშმარიტად გვიყვარს ღმერთი იმის გამო, რომ თავდაპირველად მან შეგვიყვარა, მაშინ გვეყვარება ყოველი, ვისთვისაც მაცხოვარმა საკუთარი სიცოცხლე გაწირა. შეუძლებელია ღმერთთან სიახლოვე მოყვასთან სიახლოვის გარეშე, ვინაიდან თავად მასში, სამყაროს მბრძანებელში, შერწყმულია არსი ღვთიური და ადამიანური. ქრისტესთან სიახლოვე სიყვარულის ოქროს ჯაჭვით მოყვასთანაც გვაერთიანებს. მაშინ ქრისტიანული თანაგრძნობა და გულმოწყალება ჩვენი ცხოვრების არსსაც განსაზღვრავს. მაშინ აღარ დაველოდებით, როდის მოვლენ ჩვენთან გაჭირვებულნი და დაჩაგრულნი;

მაშინ აღარ დაგვჭირდება თხოვნა, გავითავისოთ სხვისი მწუხარება; მაშინ გაჭირვებულთა და ტანჯულთათვის მსახურება ისეთივე ბუნებრივი საქმე იქნება ჩვენთვის, როგორც სიკეთე - მაცხოვრისათვის.
მუდამჟამს, როდესაც სიყვარულისა და თანაგრძნობის, სხვათა დახმარებისა და კურთხევის მოზღვავებული გრძნობა გვიპყრობს, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ჩვენში ღვთის წმიდა სულის მოქმედების ნიშანია. თვით წარმართთა შორისაც იყვნენ ადამიანები, რომლებიც კეთილად ექცეოდნენ თავის მსახურთ და ხშირად საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი იცავდნენ მათ, თუმცა არაფერი იცოდნენ დაწერილი ღვთის რჯულის არსებობის შესახებ და არც ქრისტეს სახელი გაეგონათ. მათი საქციელი მათში ღვთიური ძალის მოქმედებაზე მიუთითებდა. ღვთის წმიდა სულმა ქრისტეს მადლი ჩაუნერგა გულში ამ ველურ ხალხს; მათი ბუნებისა და აღზრდისათვის სრულიად უცხო გრძნობა - სხვისი გასაჭირისა და ტკივილის გაზიარება - გაუღვიძა მათ. "ნათელი ჭეშმარიტი, რომელიც უნათებს სოფლად მომსვლელ ყოველ ადამიანს" (იოან. 1:9), მათს სულში გაბრწყინდება და ღვთის სასუფევლისაკენ გაუძღვება მათ.
ზეციური დიდება დაცემულის წამოყენებასა და დაჩაგრულის ნუგეშისცემაში ვლინდება. ადამიანთა გულში დამკვიდრებული ქრისტეც ამგვარად ევლინება კაცობრიობას. ქრისტეს რელიგია კურთხევა და სინათლეა ყველგან, სადაც ის მოქმედებს.
უფლისთვის არ არსებობს განსხვავება ადამიანებს შორის მათი ეროვნულობის, რასისა თუ საზოგადოებრივი ფენის მიხედვით. იგი მთელი სამყაროს შემოქმედია. მთელი კაცობრიობა უფლის ერთი საერთო ოჯახია არა მხოლოდ მისი შემოქმედების, არამედ გამოსყიდვის წყალობითაც. ქრისტე მოვიდა, რათა დაენგრია ადამიანთა ტომებსა და ერებს შორის აღმართული ყოველი კედელი, რათა ფართოდ გაეხსნა სივრცეში თავისი ტაძრის ყველა კარი და გზა, მიმავალი ღვთის სასუფევლისაკენ. მისი სიყვარული იმდენად ფართოა, იმდენად ღრმა, იმდენად სრული და ყოვლისმომცველი, რომ ყველგან შეუძლია შეღწევა. იგი ხელიდან სტაცებს სატანას მის კლანჭებში მოხვედრილ, მისი ხრიკებით მოტყუებულ ადამიანებს, ათავისუფლებს მათ და მიუძღვის უფლის ტახტისაკენ, რომელსაც აღთქმის ცისარტყელა აცისკროვნებს.
ქრისტეში "უკვე აღარ არსებობს არც იუდეველი და არც ბერძენი, არც მონა და არც თავისუფალი", ვინაიდან ყველანი ერთი გავხდით მისი ძვირფასი სისხლით (გალ. 3:28; ეფეს. 2:13).
განსხვავებული რელიგიური რწმენის მიუხედავად, ყოველი გაჭირვებული ადამიანის ხმა შესმენილ უნდა იქნას და პასუხი გაეცეს. იქ, სადაც მეტად გამწვავებულია ურთიერთობა რელიგიური თვალსაზრისის სხვადასხვაობის გამო, მნიშვნელოვან გამაერთიანებელ როლს ითამაშებს მორწმუნის პირადი მსახურება. ქრისტიანის ასეთი გულითადი, სიყვარულით გამსჭვალული მსახურება დაამსხვრევს ცრურწმენის ბორკილებს და ღვთისაკენ მოაბრუნებს ადამიანებს.
ჩვენ უნდა ჩავწვდეთ სხვათა წუხილს, სიძნელეებსა და მწუხარებას; გავიზიაროთ ჭირი და ლხინი დიდისა თუ მცირისა, ღარიბისა თუ მდიდრისა. "უსასყიდლოდ მიგიღიათ და უსასყიდლოდვე გაეცით", - ამბობს მაცხოვარი (მათ. 10:8). ჩვენ ირგვლივ არიან ღარიბი და საცოდავი ადამიანები, რომელთაც სჭირდებათ დახმარება სიტყვითა თუ საქმით; ქვრივნი, რომლებიც ყურადღებას საჭიროებენ; ობოლნი, რომლებზე ზრუნვაც ქრისტემ თავის მიმდევართ დაავალა.

რა ხშირად უვლიან გვერდს მათ ადამიანები! ძონძებში გახვეული, მოუვლელი, ისინი ხშირად საშინლად გამოიყურებიან, მაგრამ განა ისინიც უფლისანი არ არიან? ისინიც ხომ უდიდესი ფასით არიან გამოსყიდულნი და ისეთივე ძვირფასნი არიან უფლისათვის, როგორც ჩვენ. ისინიც უფლის დიდი ოჯახის წევრები არიან და ჩვენ, უფლის მნეები, პასუხისმგებელნი ვართ მათ გამო. "მის სისხლს კი შენი ხელიდან მოვიკითხავ", - ამბობს უფალი.
ცოდვა - ეს ყველაზე დიდი ბოროტებაა, მაგრამ ცოდვილის დახმარება, მის მიმართ თანაგრძნობის გამოვლენა ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა. რა თქმა უნდა, ყველა ცოდვილისადმი ერთნაირი მიდგომა შეუძლებელია. ბევრი მათგანი დიდი ხანია, გრძნობს სულიერ შიმშილს. მათ ძლიერ დაეხმარებათ თბილი სიტყვა და ფრთხილი შეხსენება. ზოგი კი ცოდვის მორევში უფრო ღრმადაა ჩაფლული და ვერც კი გრძნობს თავის საშინელ მდგომარეობას. ზოგი ისე დაეცა, რომ სრულიად დაკარგა წარმოდგენა მარადიულ ფასეულობებზე და იმაზე, რომ ღვთის ხატადაა შექმნილი და ყოფნა-არყოფნისა და გადარჩენის საკითხიც აღარ აღელვებს. ასეთ ადამიანებს აღარც ღვთის რწმენა აქვთ და აღარც ადამიანებს ენდობიან. ასეთების დახმარება მხოლოდ უანგარო, კეთილი საქმეებითაა შესაძლებელი. აქ, უპირველეს ყოვლისა, მათს ფიზიკურ საჭიროებებზე: კვებაზე, სისუფთავესა და შემოსვაზე უნდა ვიზრუნოთ. და როდესაც ისინი ჩვენს უანგარო სიყვარულს დაინახავენ, ქრისტეს სიყვარულსაც უფრო ადვილად მიენდობიან.
ბევრი ადამიანი ცდება. ბევრი გრძნობს თავის დანაშაულსა და სირცხვილს, ხედავს თავის შეცდომებს და სასოწარკვეთილება იპყრობს. ასეთები უნდა გავამხნეოთ და გავაძლიეროთ. დინების საწინააღმდეგოდ მცურავი სრულად გრძნობს ნაკადის ძალას, რომელიც უკან ეწევა. გაუწოდეთ მას დახმარების ხელი ისე, როგორც წყალში ჩაძირულ პეტრეს - უფროსმა ძმამ, იესომ. უთხარით იმედის სიტყვა, რომელიც რწმენასა და სიყვარულს დაუბრუნებს მას. შენს ძმას, დასუსტებულსა და სულით დაცემულს, სჭირდები შენ; ისევე, როგორც თავად გჭირდება ძმის სიყვარული. მას ძლიერ სჭირდება გამოცდილება იმ ადამიანისა, რომელიც ოდესღაც მასავით სუსტი იყო, ვისაც მისი დახმარება და ფეხზე დაყენება შეუძლია. საკუთარი უძლურების შეგრძნება დაგვეხმარება ჩვენსავით უძლურის შველაში. არასოდეს აუაროთ გვერდი გაჭირვებულ ადამიანს და არ მიატოვოთ უყურადღებოდ. არამედ დაეხმარეთ ისე, როგორც უფალი გვეხმარება ჩვენ.
ქრისტესთან ერთიანობა, ცოცხალ მაცხოვართან ახლო ურთიერთობა საშუალებას აძლევს გონებას, გულსა და სულს, ამაღლდეს და სიმდაბლეზე გაიმარჯვოს. უამბეთ დასუსტებულ მგზავრს იმ ყოვლისშემძლე ხელის შესახებ, რომელიც ფეხზე დააყენებს მას; თავისი შვილების უზომოდ მოყვარულ ქრისტეზე, რომელიც უთუოდ შეიბრალებს და შეიწყალებს. აუხსენით, რომ საკმარისი არაა, გჯეროდეს მხოლოდ კანონისა და საკუთარი ძალისა, ან ბუნებრივი სუბსტანციებისა, რომელთაც არც თანაგრძნობა შეუძლიათ და არც მათი ხმის მოსმენა, შველას რომ ითხოვენ. მათ ადამიანთა სითბო და ნდობითა და სიყვარულით აღსავსე გული სჭირდებათ. დაე იგრძნოს მან უფლის სიახლოვე, რომლის სიყვარული არასოდეს დატოვებს მას. დაე იცოდეს მან, თუ როგორ ზრუნავს მასზე ზეციერი მამა; თუ როგორ ტკივილს აყენებს მას მისი ყოველი ცოდვა; დაე დაინახოს მისკენ კვლავ გამოწვდილი მამის ხელი; დაე ისმინოს

მამის ხმა, რომელიც კვლავ ამბობს: "თუ ჩაეჭიდება ჩემს სიმტკიცეს, რათა ქმნას ჩემთან მშვიდობა, ქმნას მშვიდობა ჩემთან" (ეს. 27:5).
თუკი თქვენ ამგვარ ძალისხმევას გამოიჩენთ და დახმარების ხელს გაუწვდით დაცემულთ, თქვენ გვერდით მუდამ იქნებიან თქვენი უხილავი დამხმარენი. ზეციურ ანგელოზებს წამითაც არ დაუტოვებიათ ის სამარიელი, იმ უცნობ დაჭრილზე რომ იზრუნა. ზეციური სავანეებიდან ჩამოსული ანგელოზნი მუდამ მის გვერდით არიან, ვინც უფლისა და მოყვასისათვის იღვწის. თავად მაცხოვარი იქნება თქვენ გვერდით. იგია უდიდესი მკურნალი; იგი დაგიფარავთ თქვენ ყოველი მსახურებისას და შედეგიც საოცრად მნიშვნელოვანი იქნება.
ამ საქმის ერთგულად შესრულებაზეა დამოკიდებული არა მხოლოდ სხვების კეთილდღეობა, არამედ თქვენი საუკუნო მომავალიც. ქრისტე ცდილობს, აამაღლოს ყველა, ვინც მასთან თანამშრომლობს, რათა ჩვენ ისევე ვიყოთ მასში, როგორც თავად იგია მამაში. იგი ხშირად უშვებს ჩვენს ცხოვრებაში ტანჯვასა და უბედურ შემთხვევებს, რათა ეგოიზმის ტყვეობიდან გაგვათავისუფლოს. მას სურს, თავისი კეთილი თვისებები - თანაგრძნობა, სიყვარული და მზრუნველობა - დანერგოს ჩვენში. სხვებისადმი გულმოდგინე მსახურებისას თავად ვღებულობთ უზენაესის გარდამქმნელ ძალას, რომელიც ღვთის სამეფოს ღირსეულ მოქალაქედ გვაქცევს. მოყვასისადმი ჩვენი მოვალეობის უგულებელყოფით კი უარვყოფთ მის რჩევა-დარიგებებს, რითაც მასთან მარადიულ განხეთქილებას ვირჩევთ.
"თუ ჩემი გზებით ივლი... - ამბობს უფალი ღმერთი, - მოგცემ მისასვლელს აქ მდგომარეთა (ანგელოზთა) შორის" (ზაქ. 3:7). აქ, დედამიწაზე, ზეციურ ძალებთან თანამშრომლობით ჩვენ მათთან ზეცაში თანამშრომლობისათვის ვემზადებით. ზეციური ანგელოზები - "მომსახურე სულები... მათდა სამსახურად წარმოგზავნილნი, ვინც ხსნა უნდა დაიმკვიდროს" (ებრ. 1:14) - თავად მიეახლებიან მათ, ვინც დედამიწაზე იმიტომ კი არ ცხოვრობდა, რომ მისთვის ემსახურათ, არამედ იმისათვის, რომ სხვების მსახური ყოფილიყო (მათ. 20:28). და ამ კურთხეული თანამშრომლობისას ჩვენ, ჩვენდა სასიხარულოდ, საბოლოოდ ვუპასუხებთ კითხვას: "ვინ არის ჩემი მოყვასი?"

## თავი 28 - მადლის საზღაური

მათ. 19:16-30; 20:1-16; მარკ. 10:17-31; ლუკ. 18:18-30

ჭეშმარიტება ღვთის მიერ ბოძებული მხსნელი მადლის შესახებ თითქმის სრულიად დაკარგული ჰქონდათ იუდეველთ. რაბინები ასწავლიდნენ, რომ უფლის წყალობა ადამიანის დამსახურებით მიიღება. ისინი გამართლებასაც საკუთარი ძალისხმევით იმედოვნებდნენ. ამგვარად, მათი მსახურება ანგარების სულისკვეთებით იყო ნაკარნახევი. თვით ქრისტეს მოწაფენიც კი ვერ გათავისუფლებულიყვნენ ამ სულისაგან. ამიტომ მაცხოვარი ხელიდან არ უშვებდა შესაძლებლობას, მიეთითებინა მათს შეცდომებზე. და ზუსტად იმის

წინ, სანამ ქრისტე ვენახის მუშაკებზე იგავს წარმოთქვამდა, მოხდა ისეთი რამ, რამაც მაცხოვარს შესაძლებლობა მისცა, თვალსაჩინოდ განემარტა ჭეშმარიტების პრინციპები.
გზაზე მაცხოვარს მდიდარი ახალგაზრდა შემოხვდა, მიუახლოვდა, მის წინაშე მუხლი მოიყარა და კრძალვით მიმართა: "მოძღვარო კეთილო, რა სიკეთე ვქნა, რომ საუკუნო სიცოცხლე მქონდეს?"
ამ ახალგაზრდა მთავარმა ქრისტეში ღვთის ძე კი ვერ ამოიცნო, არამედ მიმართა როგორც უბრალოდ ღირსეულ, პატივცემულ რაბინს. მაცხოვარმა კი მიუგო: "რატომ მიწოდებ კეთილს? კეთილი მხოლოდ ერთი ღმერთია". რის საფუძველზე მიწოდებ კეთილს? კეთილი ხომ მხოლოდ ღმერთია! და თუკი ღმერთად მაღიარებ, მაშინ უნდა მიმიღო კიდეც უფლის ძედ და მის წარმომადგენლად.
"ხოლო თუ სიცოცხლეში შესვლა გინდა, - განაგრძო მან, - დაიცავი მცნებები". უფლის ხასიათი მისივე რჯულშია გამოხატული. და ღმერთთან ჰარმონიული თანაარსებობისათვის ყოველი შენი მოქმედება მის რჯულზე უნდა იყოს დამყარებული.
ქრისტე არ ამცირებს რჯულის მოთხოვნებს. იგი პირდაპირ, არაორაზროვნად აცხადებს, რომ რჯულისადმი მორჩილება საუკუნო სასუფეველში შესვლის მთავარი პირობაა; პირობა, რომლის შესრულებასაც ადამისგან მის დაცემამდე ითხოვდნენ. უფალი დღესაც იმას ითხოვს ჩვენგან, რასაც სამოთხის ბაღში მყოფი ადამიანისაგან ითხოვდა: სრულ მორჩილებასა და უმწიკვლობას. მოთხოვნები ახალი აღთქმის მადლისა ისეთივე ყოვლისმომცველია, როგორც ედემის ბაღში იყო: სრული თანხმობა უფლის წმიდა, სამართლიან და კეთილ რჯულთან.
მაცხოვრის სიტყვებზე: "დაიცავი მცნებები", ჭაბუკს ებადება კითხვა: "რომლები?" რადგან ეგონა, რომ საუბარი მხოლოდ ცერემონიალური წესების აღსრულებაზე იყო. ქრისტე კი სინაის მთაზე მოცემულ რჯულს გულისხმობდა. მან ჩამოთვალა მეორე ფიქალის რამდენიმე მცნება, შემდეგ კი მთელი რჯული ერთ პრინციპში გააერთიანა: "შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი".
"მოძღვარო, ყოველივე ამას ჩემი სიჭაბუკიდან ვიცავდი. რაღა მაკლია კიდევ?" - უყოყმანოდ პასუხობს ჭაბუკი. მას ჯერ კიდევ საკმაოდ ზედაპირული, ზერელე წარმოდგენა ჰქონდა რჯულის შესახებ. ადამიანთა თვალსაზრისით, მას უნაკლო ხასიათი ჰქონდა; გარეგნულად მისი ცხოვრება უცოდველი ჩანდა; თავად მას კი გულწრფელად სჯეროდა, რომ უფლის რჯულის უზადო აღმსრულებელი და მორჩილი იყო. და მაინც, გულის სიღრმეში იდუმალი შიში ჰქონდა იმისა, რომ არსებობდა რაღაც ბზარი მის სულიერ ურთიერთობაში ღმერთთან. სწორედ ამით იყო გამოწვეული მისი შეკითხვა: "რაღა მაკლია კიდევ?"
"თუ გინდა, სრულყოფილი იყო, - პასუხობს ქრისტე, - წადი, შენი ქონება გაყიდე და მიეცი ღარიბებს, და გექნება საუნჯე ზეცაში; მერე მოდი და გამომყევი". "ეს სიტყვა რომ მოისმინა ჭაბუკმა, დაღონებული განშორდა, ვინაიდან დიდძალი ქონება ჰქონდა".
ადამიანი, რომელიც მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავს, უფლის ყველა მცნებას არღვევს. მაცხოვარმა ჭაბუკს ეს გამოცდა სწორედ იმიტომ მოუწყო, რომ მის გულში დაფარული ეგოიზმი გამოემზეურებინა და მისთვის მის ხასიათში არსებული ცოდვის ლაქა ეჩვენებინა. ჭაბუკისათვის საკმარისი იყო

ის, რაც გააჩნდა და საკუთარი სულის შემდგომი სრულყოფისათვის აღარც იღვწოდა. მას გულში ჰყავდა კერპი, რომელსაც ეთაყვანებოდა. მისი ღმერთი ამქვეყნიური სიმდიდრე და ქონება იყო. მას ეგონა, რომ იცავდა ღვთის მცნებებს, მაგრამ აკლდა ის მყარი პრინციპები, რომლებიც მთელი რჯულის სულსა და გულს წარმოადგენს. არ იყო მასში ჭეშმარიტი სიყვარული ღვთისა და მოყვასის მიმართ. ეს კი იმაზე მეტყველებდა, რომ აკლდა სხვა დანარჩენიც, რაც აუცილებელია ღვთის სასუფეველში შესვლისათვის. ამქვეყნიური სიმდიდრის სიყვარულისა და ეგოიზმის გამო მან ვერ შეიგნო და გაითავისა ზეცის ჰარმონიული პრინციპები.

როდესაც ეს  მდიდარი ჭაბუკი ქრისტესთან მივიდა, მოხიბლა მაცხოვარი თავისი გულწრფელობითა და მოშურნეობით. "იესო დააკვირდა მას და შეუყვარდა". მაცხოვარმა მასში მისი ღვთიური ჭეშმარიტების შესაძლო მქადაგებელი დაინახა. იგი მზად იყო, მოწაფედ მიეღო ეს გონიერი, კეთილშობილი ახალგაზრდა ისევე, როგორც ღარიბი მეთევზეები, რომლებიც გაჰყვნენ კიდეც. ამ მდიდარ ჭაბუკს მთელი თავისი ნიჭი და შესაძლებლობანი ადამიანთა გადარჩენის საქმისათვის რომ შეეწირა, ქრისტეს ერთგული და მისი საქმის მოშურნე, ბეჯითი შემსრულებელი გახდებოდა.

მაგრამ თავდაპირველად მას უნდა მიეღო პირობა, რომლითაც იგი მაცხოვრის მოწაფე გახდებოდა: მთლიანად უნდა მიეძღვნა თავი ქრისტესთვის. პირველივე მოწოდებისას იოანემ, პეტრემ, მათემ და მათმა მეგობრებმა მიატოვეს ყოველივე და უფალს გაჰყვნენ (ლუკ. 5:28). იმასვე ითხოვდნენ ამ მდიდარი ჭაბუკისაგან. ქრისტე ხომ იმაზე მეტ მსხვერპლს არ თხოულობდა, ვიდრე თავად გაიღო. "იგი, თუმცა მდიდარი იყო, თქვენს გამო გაღატაკდა, რათა თქვენ გამდიდრებულიყავით მისი სიღატაკით" (2კორ. 8:9). ჭაბუკი მოწოდებისთანავე უნდა გაჰყოლოდა მაცხოვარს.

ო, როგორ სურდა მაცხოვარს მისი სულის შენარჩუნება! როგორ უნდოდა, გაეგზავნა იგი ადამიანებთან მათივე კურთხევისათვის! იმის სანაცვლოდ, რაც ჭაბუკს უნდა გაეწირა, ქრისტე თავისთან თანამშრომლობის უპირატესობას სთავაზობდა. "გამომყევი", - უთხრა მან. ასეთ საპატიო წინადადებას სიხარულით შეხვდნენ პეტრე, იაკობი და იოანე. ეს ჭაბუკიც აღტაცებული იყო მაცხოვრით. გულიც მისკენ ეწეოდა, მაგრამ არ იყო მზად ისეთი მსხვერპლის გაღებისათვის, მაცხოვარმა რომ მიუთითა. და მან უფლის ძეს თავისი სიმდიდრე არჩია. მას მართლაც სურდა საუკუნო სიცოცხლეში შესვლა, მაგრამ ვერ დაიტია მისმა სულმა ის უანგარო სიყვარული, რომელიც ჭეშმარიტი სიცოცხლეა და დაღონებული გაშორდა მაცხოვარს.

ამის შემდეგ ქრისტემ თავის მოწაფეებს უთხრა: "ძნელია მდიდრისათვის ცათა სასუფეველში შესვლა". ამის გაგონებაზე დიდად განცვიფრდნენ მოწაფეები. მათ ხომ ყოველთვის ასწავლიდნენ, რომ სიმდიდრე - ეს ზეცის წყალობაა; მესიის სასუფევლის დადგომისას ისინი თავად ელოდნენ ამქვეყნიური ხელმწიფებისა და სიმდიდრის მოპოვებას; და, თუკი ამ სასუფეველში შესვლა მდიდრებსაც გაუძნელდებათ, მაშ, რისი იმედი უნდა ჰქონდეთ დანარჩენთ?

"იესომ კვლავ მიუგო და უთხრა მათ: შვილებო, რა ძნელია ღვთის სასუფეველში შესვლა მათთვის, ვინც სიმდიდრეზეა დანდობილი! უმალ აქლემი გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა ღვთის სასუფეველში. იმათ კი უფრო მეტად გაიოცეს". მხოლოდ ახლა მიხვდნენ მოწაფეები, რომ ეს

გაფრთხილება მათაც ეხებოდათ. მაცხოვრის სიტყვებმა ნათელი მოჰფინა მათს იდუმალ სწრაფვას ხელმწიფებისა და სიმდიდრისაკენ. და შიშით წარმოთქვეს: "ვისღა შეუძლია გადარჩენა?"
"შეხედა მათ იესომ და თქვა: ეს კაცთათვის არის შეუძლებელი და არა ღვთისათვის, რადგან ღვთისათვის ყოველივე შესაძლებელია".
მდიდარი კაცი თავისთავად ვერ შევა ზეციურ სასუფეველში. სიმდიდრე არ ანიჭებს მას წმიდათა სამკვიდრებლის მიღების უფლებას. უფლის ქალაქში შესვლა ჩვენ მიერ დაუმსახურებელი, მაგრამ ქრისტეში ბოძებული მადლითა და წყალობითაა შესაძლებელი.
სულიწმიდის სიტყვები: "თქვენს თავს არ ეკუთვნით, ვინაიდან ფასით ხართ ნაყიდნი" (1კორ. 6:19,20), მხოლოდ ღარიბთა მისამართით როდია ნათქვამი, იგი თანაბრად ეხება მდიდრებსაც და საწყლებსაც. და, როცა ადამიანები ღრმად შეიგნებენ ამ ჭეშმარიტებას, უმალ მიხვდებიან, რომ სიმდიდრე, რომელიც ღმერთმა მათ მიანდო, უფლის მითითების თანახმად, დაღუპულთა გადასარჩენად, ღარიბთა და გაჭირვებულთა დასახმარებლად უნდა გამოიყენონ. ადამიანს კი ამის გაკეთება არ შეუძლია, ვინაიდან მისი გული მიწიერ განძსაა მიჯაჭვული. ადამიანი, რომელიც მამონას სამსახურსაა მიჩვეული, ყრუა სხვისი გაჭირვების მიმართ. უფალთან ერთად კი ყოველივე შესაძლებელია. შეიცნობს რა ქრისტეს უსაზღვრო სიყვარულს, გული ეგოიზმისაგან თავისუფლდება და მორჩილი ხდება. მდიდარი ჭაბუკი კი, ალბათ, ფარისეველი სავლეს მსგავსად მივა იმ ზღვრამდე, როდესაც იტყვის: "რაც ჩემთვის მოგება იყო, წაგებად ჩავთვალე ქრისტეს გულისათვის. ახლაც ყველაფერი წაგებად მიმაჩნია ჩემი უფლის იესო ქრისტეს ცოდნის უპირატესობისათვის" (ფილიპ. 3:7,8). მაშინ იგი მიხვდება, რომ მისი ქონება მისი საკუთრება არ არის და გაიხარებს, რადგან ეცოდინება, იგი მხოლოდ მნეა უფლის ურიცხვი მადლისა და მსახურია ქრისტესი ყოველი ადამიანისათვის.
პეტრე პირველი გამოერკვა მაცხოვრის სიტყვით გამოწვეული შთაბეჭდილებისაგან და კმაყოფილებით გაიფიქრა, რომ მან და მისმა ძმებმა ყველაფერი გაიღეს ქრისტეს გულისათვის. "აჰა, - თქვა მან, - ჩვენ ყველაფერი მივატოვეთ და შენ გამოგყევით. რა გვექნება?" გაახსენდა პეტრეს, თუ რას დაპირდა იესო მდიდარ ჭაბუკს, თუკი ის მას გაჰყვებოდა: "გექნება საუნჯე ზეცაში" და ჰკითხა, თუ რა ჯილდოს მიიღებდნენ ის და მისი მეგობრები ამ შემთხვევაში.
მაცხოვრის პასუხმა საოცრად ააღელვა ეს გალილეველი მეთევზეები. მათ ოცნებაც კი არ შეეძლოთ იმ დიდებასა და პატივზე, რომელიც მომავალში ელოდათ. "ჭეშმარიტად გეუბნებით, - მიუგო მან, - რომ ვინც მე გამომყევით, მეორედ შობისას, როცა კაცის ძე თავისი დიდების ტახტზე დაჯდება, თქვენც დასხდებით თორმეტ ტახტზე ისრაელის თორმეტი ტომის განსაკითხავად". და დაუმატა: "არავინ არის, რომ ჩემი გულისთვის და სახარების გულისთვის მიეტოვებინოს სახლი ან ძმები, ან დები, ან მამა, ან დედა, ან ცოლი, ან შვილები, ან მიწები, და ასწილად არ მიეღოს ახლა, ამჟამად, სახლები, ძმები და დები, დედები და შვილები, და მიწები ამ დევნასთან ერთად, ხოლო მომავალ საუკუნეში - საუკუნო სიცოცხლე".
პეტრეს შეკითხვამ: "რა გვექნება?" ნათელი მოჰფინა ქრისტეს მოწაფეთა გულში დაფარულ სურვილებს, რომელნიც დროზე რომ არ აღმოფხვრილიყო, დიდად

შეუშლიდათ ხელს მსახურებაში და ვერც ქრისტეს მაცნენი გახდებოდნენ, ვინაიდან ეს დაქირავებული მონის სულია და არა თავისუფალი მსახურისა. მართალია, ისინი ქრისტეს სიყვარულით იყვნენ დატყვევებული, მაგრამ ფარისევლური სულისაგან ჯერ კიდევ ვერ გათავისუფლებულიყვნენ. ისინი ჯერ კიდევ მუყაითი მსახურებისათვის კუთვნილი საზღაურისათვის შრომობდნენ. მათთვის ჯერ კიდევ უცხო არ იყო თვითკმაყოფილებისა და თვითგანდიდების სული; ფარულად ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და თუკი რომელიმე მათგანი რაიმეში შეცდებოდა, სხვები მასზე უპირატესობას გრძნობდნენ.
იმისათვის, რომ სახარების პრინციპების არსი არ დაეკარგათ, ქრისტე მოწაფეებს უყვება იგავს, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ ექცევა უფალი თავის მსახურთ და ნაჩვენებია სული, რომელიც, უზენაესის სურვილისამებრ, უნდა ჰქონდეთ მათ.
"ცათა სასუფეველი წააგავს ადამიანს - სახლის პატრონს, რომელიც დილაადრიან გავიდა თავის ვენახში მუშაკთა დასაქირავებლად". იმ დროის წესისამებრ, სამუშაოს მძებნელი ადამიანები ბაზრის მოედნებზე იკრიბებოდნენ; იქვე მიდიოდნენ დამქირავებელნი მუშების მოსაძებნად. იგავში ნათქვამია, რომ ვენახის პატრონი დღის განმავლობაში სხვადასხვა დროს მიდიოდა მუშების დასაქირავებლად. დილაადრიან დაქირავებული მუშები მზად იყვნენ, ემუშავათ მთელი დღე მორიგებული ფასის თანახმად. მოგვიანებით დაქირავებულებსაც, შეთანხმების თანახმად, ის საფასური უნდა მიეღოთ, რასაც პატრონი დაჰპირდათ.
"რომ მოსაღამოვდა, ვენახის პატრონმა უთხრა თავის მოურავს: დაუძახე მუშაკებს და გადაუხადე ქირა, უკანასკნელიდან პირველამდე. მივიდნენ მეთერთმეტე საათზე დაქირავებულნი და მიიღეს თითო დინარი. პირველად მოსულებმა იფიქრეს, მეტს მივიღებთო, მაგრამ იმათაც თითო დინარი მიიღეს". დამქირავებელი, რომელმაც თავის ვენახში მომუშავეთ ანგარიში გაუსწორა, ამ იგავში განასახიერებს ღმერთს, რომელსაც განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს ადამიანთა ოჯახთან. ეს ურთიერთდამოკიდებულება დიდად განსხვავდება ადამიანთა ჩვეულებრივი წესებისაგან. ამ წუთისოფელში შრომის ანაზღაურება შესრულებული სამუშაოს მიხედვით ხდება: მუშა ღებულობს ზუსტად იმას, რაც გამოიმუშავა. იგავში კი ქრისტე ნათლად გვიჩვენებს, არა ამ ქვეყნის, არამედ თავისი სასუფევლის პრინციპებს, რომლებიც ამქვეყნიური დადგენილებებით არ იმართება. უფალი ამბობს: "ჩემი ზრახვები თქვენი ზრახვები არ არის, და თქვენი გზები ჩემი გზები არ არის!.. რადგან როგორც ცაა მაღალი დედამიწაზე, ისე ჩემი გზებია მაღალი თქვენს გზებზე და ჩემი ზრახვები - თქვენს ზრახვებზე" (ეს. 55:8,9).
იგავში ნათქვამია, რომ პირველი, დილაადრიან დაქირავებული მუშები დათანხმდნენ გარკვეულ საზღაურზე და დღის ბოლოს ზუსტად მიიღეს კიდეც შეპირებული - არც მეტი, არც ნაკლები. მოგვიანებით დაქირავებულნი კი ენდნენ ვენახის პატრონის სიტყვას: "რაც გერგებათ, მოგცემთო" და არც რაიმე უკითხავთ გასამრჯელოს რაოდენობაზე, რითაც პატრონისადმი სრული ნდობა გამოხატეს; ირწმუნეს მისი სამართლიანობა და მიუკერძოებლობა და მიიღეს კიდეც ამის საზღაური არა შესრულებული სამუშაოს მიხედვით, არამედ პატრონის გულუხვობის წყალობით.

უფლის სურვილია, ჩვენც ასევე მივენდოთ მას, ჩვენს ღმერთს, რომელიც უღირსსაც ამართლებს. იგი გვიზღავს არა ზუსტად ჩვენი დამსახურების მიხედვით, არამედ მისი საკუთარი თვალსაზრისის თანახმად, "მარადიული განჩინებით, რომელიც განახორციელა ჩვენს უფალ ქრისტე იესოში" (ეფეს. 3:11). "მან გვიხსნა არა მართალი საქმეების გამო, რომლებიც ჩვენ ჩავიდინეთ, არამედ თავისი წყალობით" (ტიტ. 3:5). ხოლო მისთვის, ვინც უფალს სრულად მიენდობა, იგი განუზომლად უფრო მეტს გააკეთებს, "ვიდრე ჩვენ ვთხოვთ ან ვფიქრობთ" (ეფეს. 3:20).
უფლისათვის გაწეული ჩვენი შრომის საფასური უფლის მიერ ფასდება არა შესრულებულ საქმეთა რაოდენობით ან მისი აშკარა შედეგით, არამედ იმით, თუ როგორი სულისკვეთებით ვასრულებთ მას. ის, ვინც ვენახში თერთმეტ საათზე მოვიდა, გახარებული იყო იმით, რომ სამუშაო მიეცა და დიდად მადლიერი - დამქირავებლის მიმართ. და ძლიერ გაუკვირდა, როცა დღის ბოლოს პატრონმა მთელი დღის საფასური გადაუხადა, ვინაიდან კარგად იცოდა, რომ ასეთი გასამრჯელო არ დაუმსახურებია. ვენახის პატრონის გულუხვობამ და სიკეთემ  სიხარულით აავსო მათი გული. ისინი არასოდეს დაივიწყებენ ასეთ საზღაურს თავისი შრომისათვის. ასევეა ის ცოდვილიც, რომელიც თერთმეტ საათზე შედის პატრონის ვენახში; მას კარგად ესმის, რომ ღირსი არ არის ასეთი წყალობისა და რომ არც ასეთი გასამრჯელო დაუმსახურებია. თავისი საქმიანობის დრო მას იმდენად მცირედ ეჩვენება, რომ გრძნობს: არავითარი მნიშვნელოვანი გასამრჯელო არ დაუმსახურებია; მაგრამ დიდ სიხარულს შეუპყრია იმის გამო, რომ უფალმა საერთოდ მიიღო იგი; მორჩილად, მთელი ნდობით მუშაობს და მადლიერია იმ უპირატესობისა და პატივისათვის, რომელსაც ქრისტეს თანამსახურება ჰქვია და რომელიც მას ხვდა წილად.
უფლის სურვილია, ვიყოთ მისი თანამსახურნი ისე, რომ კუთვნილი გასამრჯელო არ გვაინტერესებდეს. როცა ჩვენს გულში ქრისტე შემოდის, საზღაურზე ფიქრი არ უნდა იყოს მთავარი. გასამრჯელო არ არის ჩვენი მსახურების მამოძრავებელი ძალა და მიზანი. რა თქმა უნდა, ჩვენ, გარკვეულწილად, მადლიერნი უნდა ვიყოთ უფლის მიერ ბოძებული გასამრჯელოს მიღების შესაძლებლობის გამო და მუდამ უნდა გვახსოვდეს ეს. უფალს სურს, შეგვეძლოს მის მიერ აღთქმული კურთხევის დაფასება, მაგრამ არ სურს, რომ მხოლოდ გასამრჯელოსათვის ვიღვწოდეთ და ყოველი საქმის შესრულებისათვის ჯილდოს ვითხოვდეთ. ჩვენი უმთავრესი მიზანი უნდა იყოს არა გასამრჯელო, არამედ ყოველი მართალი საქმის კეთება, ანაზღაურების მიუხედავად. ჩვენი ყოველი მოქმედების მთავარი მოტივი, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს სიყვარული უფლისა და მოყვასისადმი.
ეს იგავი არ ამართლებს მათ, ვინც პირველმა გაიგონა მოწოდება მსახურებისათვის, მაგრამ არ წავიდა უფლის ვენახში. როდესაც მეპატრონე თერთმეტ საათზე გავიდა უმუშევართა შეკრების ადგილას და იქ უქმად მდგომი ხალხი იხილა, უთხრა მათ: "რატომ დგახართ აქ მთელ დღეს უქმად?" მათ კი უპასუხეს: "იმიტომ, რომ არავინ დაგვიქირავა". არც ერთი მათგანი, ვინც მოგვიანებით დაიქირავეს, არ იყო დილით ამ მოედანზე. ამიტომ ვერ გაიგონეს დილის მოწოდება, თორემ მუშაობა ყოველ მათგანს სურდა. ხშირად ადამიანები თავიდანვე არ პასუხობენ მოწოდებას და არ მონაწილეობენ უფლის

მსახურების საქმეებში, მოგვიანებით კი ნანობენ თავის საქციელს და გონს მოდიან. რა თქმა უნდა, ისინი სწორად იქცევიან, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი წყალობის უარყოფა და მოწოდების გულგრილად მიღება მეტად საშიში რამ არის.
როცა ვენახში მომუშავეთ "თითო დინარი" დაურიგეს, პირველნი დიდად განაწყენდნენ. განა თორმეტი საათი არ მოვანდომეთ აქ მუშაობას? - ამბობდნენ ისინი, - განა სამართლიანად არ უნდა მიგვეღო მათზე მეტი, ვინც მხოლოდ ერთი საათი იმუშავა დღის სიგრილეში? ბუზღუნი დაუწყეს სახლის პატრონს: "ამ უკანასკნელებმა მხოლოდ ერთი საათი წაიმუშავეს და ისინი ჩვენ გაგვიტოლე, ვინც დღის სიმძიმე და სიცხე დავითმინეთ".
"მან კი მიუგო ერთ მათგანს და უთხრა: მეგობარო, არ გაწყენინებ. განა დინარად არ მომირიგდი? აიღე შენი გასამრჯელო და წადი. მე კი მინდა, ამ უკანასკნელსაც იგივე მივცე, რაც შენ. არა მაქვს უფლება, რომ ჩემი კუთვნილი ჩემი ნებისამებრ განვაგო? იქნებ შენს თვალს შურს, კეთილი რომ ვარ?"
"ასე იქნებიან უკანასკნელნი პირველნი და პირველნი - უკანასკნელნი, ვინაიდან წვეული ბევრია, რჩეული კი - ცოტა".
ამ იგავის პირველი მსახურნი წარმოადგენენ იმ ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც თავისი თითქოსდა განსაკუთრებული მსახურების გამო პირველობაზე აცხადებენ პრეტენზიას და სურთ, სხვებისაგან გამოირჩეოდნენ. ისინი თავიანთ მსახურებას თვითგანმტკიცების შესაძლებლობად მიიჩნევენ და სულაც არ ზრუნავენ საკუთარ თავში თავდადებისა და თვითშეწირვის სულის აღორძინებისათვის. შესაძლოა, ისინი მართლაც ერთგულად ემსახურებიან უფალს მთელი სიცოცხლის განმავლობაში; შესაძლოა, მათ მართლაც უფრო მეტი სიძნელე, განსაცდელი და უბედურება დაითმინეს, რის გამოც თითქოს აქვთ კიდეც უფლება, იფიქრონ, რომ მეტი გასამრჯელო ეკუთვნით. მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი საზღაურზე უფრო ფიქრობენ, ვიდრე იმ უპირატესობასა და პატივზე, რომლებიც მათ ერგოთ, როგორც ქრისტეს მსახურთ. და ჰგონიათ, რომ მათ მიერ გაწეული შრომა და თავდადება უფლებას აძლევთ, სხვებზე მაღლა იდგნენ. და განაწყენებული რჩებიან იმის გამო, რომ სათანადო აღიარება არა აქვთ. სინამდვილეში, ისინი რომ სიყვარულისა და ნდობის სულით იღვწოდნენ, მართლაც პირველნი იქნებოდნენ. მაგრამ მათი მუდმივი ბუზღუნი და უკმაყოფილება, რაც ნამდვილად არაქრისტიანული სულის მაჩვენებელია, ამხილებს მათ, როგორც არასაიმედო მსახურთ. უკმაყოფილების ასეთი გამოხატვა ამხილებს მათს იდუმალ სწრაფვას თვითგანდიდებისაკენ, ღვთისადმი უნდობლობას, თანამოძმეთა მიმართ ეჭვსა და შურს. სიყვარული, სიკეთე და უხვი გულმოწყალება, რომელსაც მაცხოვარი სხვების მიმართაც ავლენს, მათი მუდმივი უკმაყოფილების საბაბია. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ მათსა და ღმერთს შორის არ არსებობს ცოცხალი, ახლო ურთიერთობა; რომ მათ არ შეუცნიათ შემოქმედთან ჭეშმარიტი თანამსახურების ნამდვილი სიხარული. არაფერია იმაზე შეურაცხმყოფელი უფლისათვის, ვიდრე ასეთი ანგარებიანი, ეგოიზმით აღსავსე სული. შემოქმედს არ ძალუძს ასეთ ადამიანებთან თანამშრომლობა, ვინაიდან ისინი ვერ გრძნობენ სულიწმიდის ზემოქმედების ძალას.
პირველი წვეულნი უფლის ვენახისა ებრაელები იყვნენ, რითაც ისინი ასე ამაყობდნენ. ისინი თავს ღვთის რჩეულ, განსაკუთრებულ, წმიდა ერად

თვლიდნენ და ეგონათ, რომ უფლისადმი წლობით მსახურების გამო სხვებზე მაღლა დგანან და სხვებზე მეტი გასამრჯელო დაიმსახურეს. იუდეველთათვის სრულიად მიუღებელი იყო ის აზრი, რომ წარმართნიც იგივე უპირატესობით სარგებლობდნენ უფლის საქმეში.
ქრისტემ გააფრთხილა თავისი მოწაფენი, რომელთაც პირველთ მოუწოდა, მეტოქეობის სულის მათ შორის შესაძლო არსებობის შესახებ. იგი ხედავდა, რომ საკუთარი სიმართლის გამო უპირატესობის შეგრძნება დამანგრეველი და დამღუპველი იქნებოდა ეკლესიისათვის. ადამიანები იფიქრებდნენ, რომ საკუთარი დამსახურებით შეძლებდნენ ზეციურ სასუფეველში შესვლას და როცა რაღაც მნიშვნელოვან საქმეში საკუთარ ინიციატივას გამოავლენენ, უფალი უბრალოდ დახმარებას გაუწევს მათ. ამგვარად, ისინი უფრო მეტად დაეყრდნობოდნენ საკუთარ ძალისხმევას და არა ქრისტეს. ბევრი ადამიანი ღვთისმსახურებაში რაღაც მცირე ძალისხმევის გამოჩენისთანავე ყოყოჩობს და წარმოიდგენს, რომ სხვებზე მაღლა დგას. მათ უყვართ, როცა აქებენ და შური და ეჭვი ახრჩობთ, როცა მათს საქმიანობას სათანადოდ არ აფასებენ. სწორედ ასეთ საშიშროებაზე მიუთითებს მაცხოვარი თავის მოწაფეთ ამ იგავში.
ამაოა ყოველგვარი კვეხნა და ტრაბახი საკუთარი დამსახურების გამო. "თავს ნუ შეიქებს ბრძენი თავისი სიბრძნით და თავს ნუ შეიქებს ძლიერი თავისი ძალით, და თავს ნუ შეიქებს მდიდარი თავისი სიმდიდრით. არამედ მაქებელმა იმით შეიქოს თავი, რომ მიხვდა და მიცნობს მე, რადგან მე, უფალი, ვიქმ წყალობას, სამართალსა და სიმართლეს ქვეყანაზე, რადგან ეს არის ჩემთვის სასურველი!" (იერ. 9:23,24).
საზღაური არავის ეძლევა დამსახურებისამებრ. იგი უფლის მადლია და ადამიანებს არაფერი აქვთ სატრაბახო. "რა ვთქვათ, აბრაამმა, ჩვენმა წინაპარმა ხორციელად მოიპოვა რაიმე? თუ საქმეებით გამართლდა აბრაამი, დიდება მას, ოღონდ არა ღვთის წინაშე. ვინაიდან, რას ამბობს წერილი? "ერწმუნა აბრაამი ღმერთს და ეს სიმართლედ ჩაეთვალა მას". მოქმედს საზღაური ჩაეთვლება არა მადლის, არამედ მოვალეობის მიხედვით. მაგრამ არა მოქმედს, რომელსაც სწამს იგი, ვინც ამართლებს უღვთოს, თავისი რწმენა ჩაეთვლება სიმართლედ" (რომ. 4:1-5).
ამიტომ არავის აქვს საბაბი საკუთარი თავის სხვებისაგან გამორჩევისა და კვეხნისა ან შურისა. არავინ სარგებლობს განსაკუთრებული პრივილეგიებით, არავინ დგას გამორჩეულად სხვებზე მაღლა და ვერავინ იტყვის, რომ გასამრჯელო დაიმსახურა.
პირველიც და უკანასკნელიც გაიზიარებენ უდიდეს მარადიულ ჯილდოს და პირველი სიხარულით უნდა შეხვდეს უკანასკნელს. მას, ვისაც სხვისი გასამრჯელო შურს, ავიწყდება, რომ თავად მადლითაა გადარჩენილი. იგავი ვენახში მომუშავეთა შესახებ კიცხავს ნებისმიერ ეჭვსა და შურს. სიყვარული მხოლოდ ჭეშმარიტებაში ხარობს; უცხოა მისთვის მეტოქეობა. ის, ვისაც სიყვარული გააჩნია, აღიარებს საკუთარი ხასიათის არასრულყოფილებას და მხოლოდ ქრისტეს ძლიერებას უსვამს ხაზს.
ეს იგავი გაფრთხილებაა ქრისტეს ყოველი მსახურისათვის, მიუხედავად მისი მსახურების ხანგრძლივობისა და შრომის მნიშვნელობისა. იგი გვასწავლის, რომ თანამოძმეთა სიყვარულისა და უფლისადმი მორჩილების გარეშე ჩვენ არაფერს წარმოვადგენთ. თვითგანდიდება და ჭეშმარიტი რელიგიის პრინციპები ძლიერ

შორს არიან ერთურთისაგან. საკუთარი "მე"-ს განდიდების მსურველი მალე დაკარგავს იმ მადლს, რომელსაც ერთადერთს შეუძლია, ქრისტეს ჭეშმარიტ მსახურად აქციოს იგი. იქ, სადაც ადგილი აქვს ამპარტავნობასა და თვითგანდიდებისაკენ სწრაფვას, საქმე არ კეთდება.
ჩვენს მსახურებას უფალი ღებულობს არა შრომის ხანგრძლივობის საფუძველზე, არამედ ჩვენი ერთგულებისა და მსახურებისათვის მზადყოფნის გამო. ჭეშმარიტი მსახურება უფლისადმი სრულ მიძღვნას გულისხმობს. უფალი ღმერთი სულ მცირე მოვალეობის გულწრფელად, თავდადებითა და ერთგულად შესრულებას უფრო იწონებს, ვიდრე დიდ, მნიშვნელოვან საქმეს, თვითგანდიდების სულისკვეთებით დაჩრდილულს. მას სურს, ჩვენს მსახურებაში იხილოს ქრისტეს სული და მის ხასიათთან მსგავსება. იგი აფასებს არა იმდენად შესრულებული საქმის მოცულობას, არამედ ამ მსახურებისას გამოვლენილ ქრისტიანულ სიყვარულსა და ერთგულებას.
როცა ჩვენში აღარ იარსებებს ეგოიზმი და სწრაფვა უპირატესობისაკენ, როცა გული მადლიერებით ივსება და ჩვენს ცხოვრებას სიყვარულის სურნელი გასდევს, - მხოლოდ მაშინ შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ქრისტე საბოლოოდ შემოვიდა ჩვენს სულში და რომ ჭეშმარიტად ღვთის თანამშრომელნი ვართ.
რა მძიმეც არ უნდა იყოს შრომა უფლისათვის, ქრისტეს ჭეშმარიტი მსახური არასოდეს ჩათვლის მას მძიმე ტვირთად. იგი მზადაა მსახურებისათვის და, მიუხედავად სიძნელეებისა, სიხარულით შრომობს. ესაა სიხარული უფალში, რომელიც იესო ქრისტეს მეშვეობით ვლინდება. სიხარული იმისა, რომ "ვქმნა ჩემი მომავლინებლის ნება და აღვასრულო მისი საქმე" (იოან. 4:34). ჩვენ დიდების უფალთან ვთანამშრომლობთ. ამაზე ფიქრი კი შეგვიმსუბუქებს ყველა გასაჭირს, გაგვაძლიერებს, განამტკიცებს სულს და მომავალში ყოველგვარ გასაჭირს დაგვათმენინებს. ქრისტეს ტანჯვების მოზიარეობით გაკეთილშობილებული, მორჩილი გულით მსახურება და უფლის საქმეებში სიბეჯითის გამოჩენა ხელს უწყობს სიძნელეების გადალახვას და პატივსა და დიდებას მატებს უზენაესის წმიდა სახელს.
ასეთია ღვთის ყოველგვარი მსახურების ჭეშმარიტი სული. ამ სულის გარეშე ხშირად პირველნი უკანასკნელნი ხდებიან; მისი მქონენი კი, რომლებიც, ხალხის აზრით, უკანასკნელნი არიან, - პირველნი.
მრავლად არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებმაც სრულად მიუძღვნეს თავი ქრისტეს, მაგრამ მისთვის მნიშვნელოვანი საქმეების ან რაიმე დიდი მსხვერპლის გაღების შესაძლებლობას ვერ ხედავენ. მათ უნდა იცოდნენ, რომ უფლისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მოწამებრივი ცხოვრება და ზეციური წიგნების სიაში პირველი ყოველთვის ის მსახურება როდი იწერება, რომელიც მუდმივ ხიფათთანაა დაკავშირებული, როგორც ეს ზოგიერთი მისიონერის ცხოვრებაში ხდება. უბრალო, რიგითი ქრისტიანი, რომელიც ყოველდღიურად თავის პირად ცხოვრებას უფალს უძღვნის; წმიდა ფიქრები და მიზნები ამოძრავებს და ნებისმიერ ვითარებაში მუდამ ქრისტიანულ სიმშვიდეს ინარჩუნებს; აქვს მტკიცე რწმენა, მცირედშიც კი უფლის ერთგულია და ოჯახურ გარემოცვაშიც ქრისტიანულ ხასიათს ავლენს, - შესაძლოა, უფლის თვალში უფრო ღირსეული და ძვირფასი აღმოჩნდეს, ვიდრე საზოგადოების მიერ აღიარებული რომელიმე მისიონერი ან მოწამე.

რა დიდი სხვაობაა ღმერთისა და ადამიანის იმ კრიტერიუმებსა და საზომებს შორის, რომლითაც ადამიანის ხასიათი ფასდება. უფალი ღმერთი ადამიანში ბევრ ისეთ ცდუნებას ხედავს, რომელზედაც წარმოდგენა არა აქვს არც მის უახლოეს მეგობრებს და არც საზოგადოებას; ცდუნებას, რომელიც მას ყოველ ნაბიჯზე უსაფრდება - სახლშიც და საკუთარ გულშიც. უფალი ხედავს ადამიანის მორჩილ სულს, საკუთარი უმწეობით დაუძლურებულს; ხედავს მის გულწრფელ სინანულს თავისი ცოდვილი ფიქრებისა და ნაკლის გამო; იგი ხედავს ადამიანის წრფელ მსახურებას, იცის მისი საკუთარ ეგოიზმთან ფარული ბრძოლის ყოველი წუთი; ბრძოლისა, საიდანაც მაცხოვარი გამარჯვებული გამოვიდა. ყოველივე ეს იციან ღმერთმა და ანგელოზებმა. ზეციური წიგნები ღვთის მოშიშთა და უზენაესის წმიდა სახელის მადიდებელთა შესახებ ყოვლადძლიერის თვალწინ იწერება.
ჩვენი წარმატების საიდუმლო არ მდგომარეობს არც ჩვენს განათლებაში, არც თანამდებობაში, არც ჩვენს ძალასა და ტალანტებში და არც ადამიანის ნებისყოფაში. ჩვენ ვიმარჯვებთ მხოლოდ მაშინ, როდესაც შევიცნობთ საკუთარ უძლურებას და მთელი ჩვენი არსებითა და გონებით დახმარებას ვთხოვთ ქრისტეს, ყველაზე ბრძენსა და ყველაზე ძლიერს.
და, რა უმნიშვნელოდაც არ უნდა გვეჩვენებოდეს ჩვენი მოკრძალებული მსახურება, თუკი უბრალოდ, რწმენით გავყვებით მაცხოვარს, იმედი არასოდეს გაგვიცრუვდება და ღირსეულ გასამრჯელოსაც მივიღებთ. ის, რაც, შესაძლოა, საქვეყნოდ აღიარებულმა, ცნობილმა და ბრძენმა ადამიანებმა ვერ დაიმკვიდრონ, ყველაზე სუსტსა და თავმდაბალს მიეცემა. ზეცის მარადიული ოქროს კარიბჭე ამაყი, პატივმოყვარე და ეგოისტი ადამიანების წინაშე როდი გაიხსნება, არამედ ყრმის სუსტი ხელის მოკრძალებული შეხებით გაიღება. კურთხეულ იქნება მადლის საზღაური მათთვის, ვინც რწმენითა და უანგარო სიყვარულით ემსახურება უფალ ღმერთს.

## თავი 29 - ნეფესთან შესახვედრად

მათ. 25:1-13

ზეთისხილის მთაზე იჯდა მაცხოვარი თავის მოწაფეებთან ერთად. მთების გადაღმა მზე ჩაესვენა და ცის თაღქვეშ საღამოს ბინდი ჩამოწვა. წინა მხარეს, მოშორებით, ვიღაცის კარგად განათებული, თითქოსდა სადღესასწაულოდ გამზადებული სახლი მოჩანს. მისი ფანჯრებიდან გამოსული კაშკაშა სინათლის ნაკადი გარემოს ეფინება. სახლთან უამრავი ხალხია, რომელიც, როგორც ჩანს, საქორწილო პროცესიას ელის. აღმოსავლეთის ქვეყნებში, ბევრგან, საქორწილო ზეიმი შებინდებისას იწყება. ნეფე წინასწარ გადის სასძლოს შესახვედრად და იგი თავის სახლში მოჰყავს. ჩირაღდნების შუქზე საქორწილო პროცესია სასძლოს მამის სახლიდან ნეფის სახლისაკენ მიემართება, სადაც სტუმრებისათვის საქორწილო ნადიმია მომზადებული. და აი სცენა, რომელსაც ქრისტე უყურებს: სტუმრები მოუთმენლად ელიან საქორწინო პროცესიის გამოჩენას, რათა შეუერთდნენ მას.

პატარძლის სახლთან თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი ათი ქალწული ზის. თითოეულს ხელში ლამპარი და ზეთის პატარა ჭურჭელი უჭირავს. ისინი ნეფის გამოჩენას ელიან, რომელიც მოსვლას აყოვნებს. უკვე დიდი დრო გავიდა და მოლოდინში ქალწულებმა ჩათვლიმეს. და აი შუაღამისას ისმის ყვირილი: "აჰა, ნეფე მოდის, გამოდით შესაგებებლად!" მძინარეთ გაეღვიძათ, ფეხზე წამოხტნენ და იხილეს მათკენ ანთებული ლამპრებითა და მხიარული მუსიკით მომავალი საქორწინო პროცესია. მათ გარკვევით ესმით ნეფისა და პატარძლის ხმები. ქალწულებმა სცადეს თავიანთი ლამპრების გამართვა, რათა მოახლოებულ პროცესიას შეერთებოდნენ, მაგრამ ხუთ მათგანს ჭურჭელში ზეთი არ აღმოაჩნდა. არ იცოდნენ მათ, რომ ასე დიდხანს მოუწევდათ ლოდინი და ლამპრებში ზეთი დაუმთავრდებოდათ. და სასოწარკვეთილნი, ზეთს მეგობარ ქალწულებს სთხოვენ: "გვიწილადეთ თქვენი ზეთისაგან, ვინაიდან ლამპრები გვიქრება". მაგრამ მათ უკვე გამართეს თავიანთი ლამპრები და ზეთის ჭურჭლებიც გამოცალეს. ზეთი აღარა აქვთ და მეგობრებს პასუხობენ: "რომ არც ჩვენ დაგვაკლდეს და არც თქვენ, უმჯობესია, წახვიდეთ ვაჭრებთან და იყიდოთ თქვენთვის".

როცა ზეთის საყიდლად წავიდნენ, პროცესიამ უკან მოიტოვა ისინი და გზა განაგრძო. ხუთი გონიერი ქალწული ანთებული ლამპრებით ხელში მიეგება პროცესიას და მასთან ერთად ნეფის სახლში შევიდა. და კარიც ჩაიკეტა. ხოლო როცა უგუნური ქალწულები მოვიდნენ, ისინი შიგნით არ შეუშვეს. სახლის პატრონმა მათ განუცხადა: "არ გიცნობთ". და დარჩნენ ისინი დაცარიელებული ქუჩის წყვდიადში.

იხილა რა ნეფის მომლოდინენი, მაცხოვარმა მოწაფეებს უამბო ისტორია ათი ქალწულისა, რათა მათს მაგალითზე ეჩვენებინა, თუ რა მოხდება ეკლესიაში მისი მეორედ მოსვლის წინ.

ნეფის მომლოდინე ქალწულთა ეს ორი ჯგუფი განასახიერებს ადამიანთა ორ კატეგორიას, რომლებიც თავიანთი უფლის გამოჩენას ელიან. იგავში ისინი ქალწულთა სახით არიან წარმოდგენილნი, ვინაიდან თავად აცხადებენ, რომ ჭეშმარიტი რწმენა აქვთ. ლამპრები კი ღვთის სიტყვაა. მეფსალმუნე ამბობს: "სანთელია ჩემი ფეხისათვის სიტყვა შენი და სინათლე - ჩემი ბილიკისათვის" (ფსალმ. 118:105). ზეთი სულიწმიდის სიმბოლოა. სულიწმიდა ამგვარადვეა წარმოდგენილი ზაქარია წინასწარმეტყველის სიტყვებში: "მობრუნდა ანგელოზი, რომელიც მელაპარაკებოდა, და გამაღვიძა, როგორც ძილისგან აღვიძებენ კაცს. მითხრა: რას ხედავ? ვუთხარი: ვხედავ, აჰა, მთლიანი ოქროს სასანთლეა, მის თავზე ჯამია და შვიდი ლამპარი და შვიდი საწრეტი ლამპრებზე, რომლებიც მის თავზეა. ორი ზეთისხილის ხეა მის გვერდით, ერთი ჯამი მარჯვნივ, მეორე მის მარცხნივ. ხმა გავიღე და ვუთხარი ანგელოზს, მე რომ მელაპარაკებოდა: რა არის ესენი, ჩემო ბატონო?.. მომიგო და მითხრა: ეს არის უფლის სიტყვა ზერუბაბელის მიმართ ნათქვამი: არა ძალითა და ძლიერებით, არამედ ჩემი სულითო, - ამბობს ცაბაოთ უფალი... მივუგე და ვუთხარი მას: რა არის ეს ორი ზეთისხილის ხე სასანთლის მარჯვნივ და მარცხნივ? მივუგე მეორედ და ვუთხარი მას: რა არის ეს ორი აკიდო ზეთისხილისა ორი ოქროს მილაკის გვერდით, საიდანაც ზეითუნის ზეთი იღვრება?.. მითხრა: ორნი ცხებულნი არიან ესენი, მთელი ქვეყნის უფლის წინაშე მდგარნი" (ზაქ. 4:1-14).

ორი ზეთისხილის ხიდან ოქროს მილებით ოქროს ზეთი სასანთლის ჯამებში იღვრება, იქიდან კი - ოქროს ლამპრებში, რომლებიც საწმიდარს ანათებს. ამგვარად ხდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ღვთის წინაშე მდგომ წმიდათა მეშვეობით ღმერთი თავის სულიწმიდას იმ ადამიანებს გადასცემს, რომლებმაც საკუთარი თავი უფლისადმი მსახურებას მიუძღვნეს. "ორი ცხებულის" დანიშნულებაა ღვთის ხალხისათვის იმ ზეციური მადლის გადაცემა, რომელსაც ერთადერთს შეუძლია უფლის სიტყვა ფეხისათვის ანთებულ სანთლად და ბილიკისათვის სინათლედ აქციოს. "არა ძალითა და ძლიერებით, არამედ ჩემი სულითო, - ამბობს ცაბაოთ უფალი" (ზაქ. 4:6).

იგავში ნეფის შესახვედრად ათი ქალწული გამოვიდა. ყოველ მათგანს ჰქონდა ლამპარი და ზეთის ჭურჭელი. თავიდან ისინი ერთურთისაგან არაფრით განსხვავდებოდნენ. ასევე იქნება უფლის ეკლესია ქრისტეს მოსვლამდე: ყოველ ადამიანს მიეცა ღვთის სიტყვა, ის ყველამ იცის; ყველას სმენია ქრისტეს მოსვლის მოახლოების შესახებ, ყოველი მათგანი რწმენით ელის მის გამოჩენას. ასეა დღესაც. მოლოდინის დრო იწურება. დგება რწმენის გამოცდის ჟამი. მაგრამ როდესაც გაისმის ხმა: "აჰა, ნეფე მოდის, გამოდით შესაგებებლად", ბევრი არ იქნება ამისათვის მომზადებული, არ ექნებათ ჭურჭლებში ზეთი - ღვთის წმიდა სული - თავიანთი ლამპრების გასამართავად.

ღვთის სიტყვის ცოდნა მისი სულიწმიდის გარეშე სრულიად უსარგებლოა. მხოლოდ გონებით შეძენილი, უფლის წმიდა სულით განუმტკიცებელი თეორიული ჭეშმარიტება ვერ გააცოცხლებს გულს და ვერც ცოდვილ სულს განწმედს. ადამიანმა, შესაძლოა, კარგად იცოდეს ბიბლიური მცნებანი და აღთქმანი, მაგრამ სანამ მის გულში იგი სულიწმიდით არ განმტკიცდება, ადამიანის ხასიათი არ გარდაიქმნება. სულიწმიდით განათლების გარეშე ადამიანი ვერ შეძლებს ჭეშმარიტების სიცრუისაგან გარჩევას და სატანა თავისი ეშმაკური ხრიკებით ადვილად აცდუნებს მას.

ამ იგავში მოყვანილი ქალწულები არ არიან პირმოთნეები და თვალთმაქცნი. ისინი პატივს სცემენ ჭეშმარიტებას, იცავენ მას და ჭეშმარიტ მორწმუნეებთან ურთიერთობა სურთ; მაგრამ თავად ბოლომდე არ დაემორჩილნენ სულიწმიდის გარდამქმნელ ძალას და არ დაამსხვრიეს კლდეზე - იესო ქრისტეზე - თავისი ძველი ხასიათი და ცოდვილი ბუნება.

ასეთი ტიპის ადამიანები ემსგავსებიან მათ, ვინც ალეგორიულად ქვიან ნიადაგად არის წარმოდგენილი იგავში მთესველის შესახებ. მათ მზადყოფნით მიიღეს ღვთის სიტყვა, მაგრამ მისი პრინციპები ვერ გაითავისეს. ღვთის სიტყვის ზეგავლენამ ვერ განამტკიცა მათი სული. სულიწმიდის ადამიანის გულზე ზემოქმედება ამ უკანასკნელის სურვილითა და ახალი ხასიათის შეძენისაკენ სწრაფვითაა განპირობებული. უგუნურ ქალწულთა სახით წარმოდგენილი ადამიანები კი მისი მხოლოდ გარეგნული, ზედაპირული ზემოქმედებით კმაყოფილდებიან. ისინი არ იცნობენ ღმერთს, მის ხასიათს, არ არიან მასთან ახლოს და ამის გამო არ იციან, როგორ მიენდონ ან როგორ იცხოვრონ მასში. მათი ღვთისადმი მსახურება მხოლოდ ფორმალობაა. "მოდიან შენთან, როგორც მოდის ერი, და სხდება შენს წინ ჩემი ერი და ისმენენ შენს ნათქვამს, მაგრამ არ ასრულებენ მას, რადგან სალაღობოდ აქცევენ მათ თავიანთი ბაგეებით. ანგარებას უკან მიჰყვება მათი გული" (ეზეკ. 33:31).

პავლე მოციქული ამბობს, რომ ადამიანების ასეთი დამოკიდებულება უფლისადმი განსაკუთრებით საყოველთაო ხასიათს მიიღებს უშუალოდ მეორედ მოსვლის წინ: "უკანასკნელ დღეებში საზარელი ჟამი დადგება, ვინაიდან ადამიანები იქნებიან თავის მოყვარენი... უფრო სიამეთა მოყვარულნი, ვიდრე ღვთისა, რომელთაც ღვთისმოსაობის სახე აქვთ, მის ძალას კი უარყოფენ" (2ტიმ. 3:1-5).
ეს ადამიანთა ის ჯგუფია, რომელიც გაჭირვებისა და შფოთის ჟამს გულგრილად აცხადებს მშვიდობასა და უსაფრთხოებას. ისინი გულს იმშვიდებენ, რათა არ იფიქრონ მოახლოებულ საშიშროებასა და გადარჩენაზე. ძილისაგან უეცრად გამოფხიზლებულნი, ისინი ხედავენ თავიანთ სავალალო მდგომარეობას და ახლა სხვებს სთხოვენ იმას, რისი მომარაგებაც მათ ადრე თავად შეეძლოთ. საქმე იმაშია, რომ ადამიანს ვერვინ აღუდგენს სულიერ დანაკარგს. ღვთის მადლი ყველას თანაბრად ეძლეოდა; ყველასათვის ერთნაირად ისმოდა უფლისაგან მოსული სიტყვა: "მწყურვალი მოვიდეს და მსურველმა უსასყიდლოდ აიღოს სიცოცხლის წყალი" (გამოცხ. 22:17).
შეუძლებელია, ვინმემ სხვას გადასცეს თავისი ხასიათის თვისებები; ვერვინ ირწმუნებს და ვერვინ მიიღებს სულს სხვის ნაცვლად; და ვერვინ აჩუქებს სხვას თავის ხასიათს - სულიწმიდის ზემოქმედების ნაყოფს. "ნოე, დანიელი და იობი... - სიტყვა უფალი ღმერთისა, - ვერც ძეს და ვერც ასულს ვერ გადაარჩენენ. ისინი თავიანთი სიმართლით გადაარჩენენ მხოლოდ თავიანთ სულებს" (ეზეკ. 14:20).
ადამიანის ხასიათი განსაცდელის ჟამს გამოიცდება. როდესაც შუაღამით გაისმა ყვირილი: "აჰა, ნეფე მოდის, გამოდით შესაგებებლად" და მთვლემარე ქალწულნიც გამოფხიზლდნენ, მაშინვე ცხადი გახდა, თუ ვინ იყო ამისათვის მომზადებული. არც ერთი ჯგუფი არ იყო წინასწარ სპეციალურად, სხვაგვარად გაფრთხილებული. ერთნიც და მეორენიც მოულოდნელად წამოდგნენ, მაგრამ ერთნი წინასწარ მოემზადნენ ყოველგვარი მოულოდნელობისათვის, მეორენი კი სრულიად მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ. ასეა დღესაც: მოულოდნელად თავს დატეხილი უბედურება, რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა, რომელიც ადამიანს სიკვდილის საფრთხეს უქმნის, უთუოდ გამოაჩენს, აქვს თუ არა მას რეალური რწმენა უფლის აღთქმების მიმართ; არის თუ არა მისი სული ღვთის მადლით განმტკიცებული. უკანასკნელი, უდიდესი გამოცდა ადამიანს მისი მიწიერი გზის დასასრულს ელის, როდესაც სულის საჭიროებათა შევსება უკვე გვიანია.
ათი ქალწული ნეფეს წუთისოფლის ისტორიის დასასრულს - ღამის ბინდ-ბუნდში ელის. ყოველი მათგანი აცხადებს, რომ მტკიცე რწმენა აქვს; ყოველმა მათგანმა გაიგონა მოწოდება, მიიღო ქრისტიანის წოდება, ლამპარი; ყოველი მათგანი თავს ქრისტიანად აცხადებს და მოუთმენლად ელის ქრისტეს გამოჩენას. მაგრამ ხუთი მათგანი მაინც მზად არ არის. ხუთი მათგანი დარჩება შეძრწუნებული, შეცბუნებული და იმედგაცრუებული იმის გამო, რომ ნადიმზე ვერ მოხვდა.
უკანასკნელ დღეს ბევრი დარწმუნებით განაცხადებს, რომ უფლება აქვს ღვთის სასუფეველში შესვლისა და იტყვის: "შენს წინაშე ვჭამდით და ვსვამდით, და ჩვენს ქუჩებში ასწავლიდი". "უფალო, უფალო! განა შენი სახელით არ ვწინასწარმეტყველებდით?.. განა შენი სახელით არ ვახდენდით მრავალ სასწაულს?" მაგრამ ის ეტყვით: "გეუბნებით, არ გიცნობთ, სადაურები ხართ.

გამშორდით ყველანი, უსამართლობის მოქმედნო" (ლუკ. 13:26,27; მათ. 7:22). მათ არ იციან ზეცის ენა, ვინაიდან არ ჰქონდათ ამქვეყნიურ ცხოვრებაში მაცხოვრის ნდობა და მასთან სიახლოვე; უცხოა მათთვის ზეციური სიხარული, "ვინაიდან, რომელმა ადამიანმა იცის, რა არის ადამიანში, გარდა ადამიანის სულისა, რომელიც მასშია? ასევე ღვთისა არავინ არაფერი იცის, გარდა ღვთის სულისა" (1კორ. 2:11).

ყველაზე სამწუხარო იმ სიტყვათაგან, რაც კი ოდესმე მოუსმენია მომაკვდავ ადამიანს, იქნება განაჩენი: "არ გიცნობთ". საქორწინო ნადიმის უამრავ მხიარულ სტუმართან თქვენი გაერთიანება შეეძლო მხოლოდ იმ სულთან მოზიარეობას, რომელიც თქვენ შეურაცხყავით. მაგრამ ამ ნადიმში თქვენ მონაწილეობას ვერ მიიღებთ. მისი ნათელი ვერ მისწვდება თქვენს დაბრმავებულ თვალებს; ვერც მის ჰანგებს მოისმენს თქვენი სმენადაკარგული ყური. ამ ნადიმისაგან გამოსხივებული სიყვარული და სიხარული ვეღარ გაუღვიძებს საპასუხო გრძნობებს თქვენს ხორციელ, გაქვავებულ გულებს. თქვენ გაეთიშეთ ზეცას მასთან ურთიერთობისათვის მოუმზადებლობის გამო.

ჩვენ ვეღარ მოვასწრებთ ამ შეხვედრისათვის მომზადებას მაშინ, როცა გაგვაღვიძებს ყვირილი: "აჰა, ნეფე მოდის" და ვერც მაშინ, როცა ჩვენი ცარიელი ლამპრების შევსებას შევუდგებით. შეუძლებელია, წუთისოფელში ქრისტეს გარეშე იცხოვრო და იმავდროულად ზეცაში მასთან ურთიერთობისათვის მოემზადო.

გონიერმა ქალწულებმა წინასწარ გაავსეს ჭურჭლები ზეთით თავიანთი ლამპრებისათვის, რომელთა ნათელი მუდმივი ცეცხლით ანათებდა მათი მოლოდინის ღამეს. მათი ცეცხლი ნათელს ჰფენდა გარემოს ნეფის სადიდებლად, წყვდიადს კვეთდა და ნეფის სახლისაკენ - საქორწინო ნადიმზე მიმავალ გზას ანათებდა.

სწორედ ამგვარად უნდა გაავრცელონ ღვთიური ნათელი ამ ბნელ წუთისოფელში ქრისტეს მიმდევრებმა. მაშინ სულიწმიდის მეშვეობით ღვთის სიტყვა იქცევა წუთისოფლის ნათლად, რომელიც განაახლებს და გარდაქმნის ყოველი მისი მიმღების ცხოვრებას და ჩაუნერგავს მას ღვთის სიტყვის პრინციპებსა და ღვთიურ ხასიათს. უზენაესის დიდების ნათელი - მისი ხასიათი და ბუნება - მუდამ უნდა ენთოს მის მიმდევართა გულში, რითაც ისინი განადიდებენ ღმერთს და გაუნათებენ ადამიანებს გზას ნეფის სახლისაკენ - უფლის ქალაქისაკენ, კრავის საქორწინო ნადიმზე.

იგავში ნეფე შუაღამისას - ღამის ყველაზე ბნელ მონაკვეთში გამოჩნდა. ასევე მოხდება ქრისტეს მოსვლის დროსაც, როდესაც მაცხოვარი წუთისოფლის ისტორიის ყველაზე ბნელ პერიოდში მოვა. ნოესა და ლოტის დღეები ნათლად გვიხატავს წუთისოფლის მდგომარეობას "კაცის ძის" დედამიწაზე მეორედ მოსვლის წინ. წმიდა წერილი გვამცნობს, რომ იმ დროს სატანა იმოქმედებს "ყოველგვარი ყალბი ძალით... და უსამართლობის ყველა საცდურით" (2თეს. 2:9,10). მის მზაკვრულ საქმეებს უკანასკნელ დღეებში თან მოჰყვება დიდი სულიერი სიბნელე, ყოველგვარ უჩვეულო ცდუნებათა ზეიმი, მწვალებლობა და სიცრუე. სატანა არა მხოლოდ ცალკეულ ადამიანთა თავის მაცდურ ბადეში გაბმას შეეცდება, არამედ უდიდეს გავლენას მოიპოვებს ეგრეთ წოდებულ ქრისტიანულ ეკლესიებზე. ეს უდიდესი განდგომილება გამოიწვევს სიბნელეს, შუაღამის წყვდიადის მსგავსს, რომელშიც სინათლის სხივი ვერ აღწევს. ღვთის

ხალხისათვის ეს იქნება ღამე უდიდესი გამოცდისა, განსაცდელისა, გლოვისა და ტირილისა, ჭეშმარიტებისათვის დევნისა. მაგრამ ამ უკუნეთიდან მალე სინათლის სხივი ამობრწყინდება.
"ვინაიდან ღმერთმა... ბრძანა, რომ ნათელი ბნელიდან გამობრწყინებულიყო" (2კორ. 4:6). "და მიწა იყო უსახურ-უდაბური, და იყო ბნელი უფსკრულის პირზე. და სული ღვთისა იძვროდა წყლის პირზე. და თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი" (დაბ. 1:2,3). ასევე ბრძანებს უფალი ღმერთი სულიერი სიბნელის დადგომისას: "იყოს ნათელი!" და ეტყვის თავის ხალხს: "ადექი, განათდი... რადგან მოვიდა შენი ნათელი და უფლის დიდება შენზე გაბრწყინდა" (ეს. 60:1).
"რადგან აჰა, ბნელი დაფარავს დედამიწას, - ამბობს წმიდა წერილი, - და ბურუსი - ხალხებს; შენზე კი გაბრწყინდება უფალი და მისი დიდება შენზე გამოჩნდება" (ეს. 60:2).
ესაა სიბნელე უფლის შეუცნობლობისა, რომელიც მთელ წუთისოფელს მოიცავს. აღარ ესმით ადამიანებს უფლისა, ვინაიდან მასზე ჭეშმარიტი ცოდნა დაკარგეს. ცრუდ სახავენ მას. ამიტომ დღეს ხალხს უნდა ეუწყოს სახარება უფლისა, რომელსაც ჭეშმარიტი ნათელი და გადარჩენის ძალა აქვს. უეჭველად უნდა გამოეცხადოს წუთისოფელს უზენაესის ჭეშმარიტი ხასიათი და ბუნება. და ეს უმეცრების ღამის წყვდიადი მისი დიდების, სიკეთის, გულმოწყალებისა და ჭეშმარიტების სხივმა უნდა გაკვეთოს. სწორედ ამას გულისხმობს ესაია წინასწარმეტყველი, როდესაც ამბობს: "მაღალ მთაზე ადი, სიონო, მახარობელო! ძლიერად აიმაღლე ხმა, იერუსალიმო, მახარობელო! აამაღლე, ნუ გეშინია, უთხარი იუდას ქალაქებს: აჰა, თქვენი ღმერთი! აჰა, უფალი ღმერთი ძლიერებით მოვა, და მისი მკლავი იხელმწიფებს; აჰა, მისი საზღაური მასთანაა და მისი გასამრჯელო მის წინაშეა" (ეს. 40:9,10).
ნეფის მომლოდინეებმა ადამიანებს უნდა უთხრან: "აჰა, თქვენი ღმერთი!" უფლის მადლისა და მოწყალების უკანასკნელი სხივი, დაღუპული კაცობრიობისათვის გაგზავნილი, - ეს შემოქმედის ხასიათის, უსაზღვრო სიყვარულის, გამოვლინებაა. და ეს სიყვარული ღვთის ერთგულმა შვილებმა მსოფლიოს უნდა ამცნონ; საკუთარი ცხოვრებითა და ხასიათის ღირსებებით უნდა უჩვენონ ხალხს ყველაფერი, რაც მათთვის ღვთიურმა მადლმა ქმნა. უფლის სიმართლის მზე უნდა გაბრწყინდეს მათს საქმეებში - ჭეშმარიტების სიტყვებსა და მსახურებაში.
ქრისტე - მამის დიდების ბრწყინვალება - მოევლინა ქვეყანას, როგორც წუთისოფლის ნათელი. იგი ადამიანისათვის ღმერთის ხასიათის გამოსაცხადებლად მოვიდა. წმიდა წერილში ნათქვამია, რომ მას "სცხო ღმერთმა სულიწმიდით და ძალით... დადიოდა, ქველმოქმედებდა" (საქმე. 10:38). ნაზარეთის სინაგოგაში მან თქვა: "უფლის სულია ჩემზე, ვინაიდან მან მცხო გლახაკთა სახარებლად, მომავლინა გულშემუსვრილთა განსაკურნებლად, ტყვეთათვის თავისუფლების და ბრმათათვის თვალის ახელის გამოსაცხადებლად, ჩაგრულთა გასათავისუფლებლად, უფლის შეწყალების წლის გამოსაცხადებლად" (ლუკ. 4:18,19). იგივე საქმის შესრულება დაავალა მან თავის მოწაფეთ: "თქვენ სოფლის ნათელი ხართ, - თქვა მან, - ასევე ანათებდეს თქვენი ნათელი ადამიანთა წინაშე, რათა ხედავდნენ ისინი თქვენს კეთილ საქმეებს და ადიდებდნენ თქვენს მამას, რომელიც ზეცაშია" (მათ. 5:14,16).

ესაა მსახურება, რომელსაც ესაია წინასწარმეტყველი აღწერს: "რომ გაუნაწილო შენი პური მშიერს და ღარიბნი და უსახლკარონი შემოიყვანო სახლში... როდესაც დაინახავ შიშველს, შემოსე იგი და შენს სისხლსა და ხორცს ნუ უგულვებელჰყოფ. მაშინ ცისკარივით ამოსკდება შენი სინათლე, და შენი კურნება სწრაფად აღმოცენდება, წინ წაგიძღვება შენი სიმართლე. და უფლის დიდება გარემოგიცავს" (ეს. 58:7,8).
ამგვარად გაბრწყინდება უფლის დიდება სულიერი სიბნელის ღამეში მისი ეკლესიის მეშვეობით და გაანათებს მას, წამოაყენებს დაჩოქილთ და ანუგეშებს დამწუხრებულთ.
ირგვლივ ყველგან ამქვეყნიურ ცოდვებში ჩაფლულ ადამიანთა კვნესა გაისმის. ყველგან მრავლად არიან გაჭირვებულნი და წამებულნი. და ჩვენ, უფლის ერთგული მორწმუნენი, იმისთვის ვარსებობთ ამქვეყნად, რომ მათ თავიანთი დუხჭირი ყოფა შევუმსუბუქოთ.
ასეთი მსახურება უფრო დიდ შედეგს გამოიღებს, ვიდრე უბრალოდ ქადაგება. ჩვენი საქმეა, დავაპუროთ მშიერნი, შევმოსოთ შიშველნი, შევიფაროთ უსახლკარონი. მაგრამ, ამის გარდა, უფრო მეტის გაკეთებაც გვევალება. ადამიანის სულის დარწყულება მხოლოდ ქრისტეს შეუძლია და თუკი ქრისტე ჩვენშია, გულიც ღვთიური თანაგრძნობით გვექნება სავსე და ჩვენში დაფარული გულწრფელი, ქრისტიანული სიყვარულის წყაროებიც უწყვეტ ნაკადად იდენენ. უფალი ღმერთი მოგვიწოდებს, გავიზიაროთ სხვების გაჭირვება, გავამხნეოთ და თანავუგრძნოთ ადამიანებს იმედის სიტყვითა და უანგარო დახმარებით. როდესაც ქრისტე სნეულთ კურნავდა, იგი ხელებით ეხებოდა მათ. ასეთი ახლო, მეგობრული ურთიერთობა უნდა დავამყაროთ მათთან, ვის დახმარებასაც ვაპირებთ.
ჩვენ ირგვლივ ბევრი იმედდაკარგული ადამიანია. დაუბრუნეთ მათ იმედის სხივი. ბევრი დაეცა სულით. გაამხნევეთ ისინი. ილოცეთ მათთვის. ბევრს სჭირდება სიცოცხლის პური. წაუკითხეთ მათ ღვთის სიტყვა. ბევრი სნეულის განკურნება შეუძლებელია ამქვეყნიური მალამოებითა და ექიმთა მეშვეობით. ილოცეთ მათი სულებისათვის. მიიყვანეთ ისინი იესოსთან; უთხარით, რომ არსებობს მალამო და მკურნალი გილყადში.
ნათელი საყოველთაო კურთხევა და უდიდესი განძია ამ უმადური, დაცემული, მანკიერი წუთისოფლისათვის. იგივე შეიძლება ითქვას სიმართლის მზის ნათელზე. ცოდვის, ტანჯვისა და მწუხარების წყვდიადში ჩაფლული წუთისოფელი უეჭველად უნდა განათდეს უფლის სიყვარულის შემეცნებით. ზეციური ტახტიდან გამოსული ეს სინათლის სხივი არ უნდა ასცდეს არც ერთ ადამიანს მისი სოციალური ჯგუფის, ფენისა და კლასის მიუხედავად. დედამიწის ყოველ კუთხეს უნდა მისწვდეს მოწყალებისა და იმედის სახარება. მაშინ ყოველი მსურველი შეძლებს ღვთიური ძალის მიღებას, შეიგრძნობს მის გადამრჩენელ ძალას, მივა უფალთან, აღთქმას დაუდებს და სულის სიმშვიდეს პოვებს. აღარ დარჩებიან წარმართნი შუაღამის წყვდიადში. სიმართლის მზე თავისი კაშკაშა სხივებით გაარღვევს მას და დამარცხდებიან ჯოჯოხეთის ძალები.
მაგრამ ვერც ერთი ადამიანი ვერ გასცემს იმას, რაც თავად არ მიუღია. ღვთის საქმეში ადამიანი ვერასოდეს გახდება რაიმეს საწყისი. ვერავინ შეძლებს, საკუთარი ძალისხმევით გახდეს დამტარებელი ზეციური ნათლისა. ამისათვის

ოქროს მილებში ოქროს ზეთი უნდა იყოს ჩასხმული, ოქროს ჯამებიდან ტაძრის ლამპრებისაკენ გამდინარე, ბრწყინვალე ნათლის გამომცემელი. ესაა ღვთიური სიყვარული ადამიანში, რომელსაც იგი სხვებს უზიარებს. სიყვარულის ოქროს ზეთი თავისუფლად ჩაედინება უფლის ერთგულ მსახურთა გულში, რაც ჭეშმარიტად კეთილი საქმეების კეთებაში ეხმარება მათ.
მთელი ზეციური წყაროები სულიწმიდის უსასრულო, უძვირფასეს ძღვენშია. და, თუკი ზოგჯერ მისი მადლის ნაკადი ადამიანებამდე ვერ აღწევს, ამაში უფალს ბრალი არ მიუძღვის. თუკი ადამიანები გულწრფელად მოისურვებენ ზეციური განძის შეძენას, სულიწმიდა ყოველთვის მიეცემა მათ.
ყოველ ადამიანს ეძლევა უპირატესობა, იყოს ცოცხალი არხი, რომლითაც უფალი ღმერთი თავისი მადლის განძს - ქრისტეს აურაცხელ სიმდიდრეს - წუთისოფელს გადასცემს. დიდი სურვილი აქვს მაცხოვარს, მრავლად შეიძინოს ასეთი არხები, რომელნიც ქვეყნიერებას უზენაესის არსსა და ხასიათს აუწყებენ. დღეს წუთისოფელს არაფერი სჭირდება ადამიანის მეშვეობით მაცხოვრის სიყვარულის გამოვლინებაზე მეტად. ზეცა მთელი გულისყურით ელის ახალ-ახალი არხების გამოჩენას, რომელთა დახმარებითაც წმიდა ზეთი ადამიანთა გულამდე მიაღწევს და სიხარულითა და კურთხევით აავსებს მას.
ქრისტემ ყველაფერი გააკეთა თავისი ეკლესიის განახლებისათვის, რათა იგი წუთისოფლის ნათლად და ემანუელის დიდების მატარებლად ქცეულიყო. მას სურს, ყოველი ქრისტიანი მაღალი სულიერებითა და სიყვარულით შემოსოს; მას სურს, რომ მისმა შვილებმა საკუთარი ცხოვრებით დაანახონ ადამიანებს ღვთიური სიხარული.
ადამიანის გულში სულიწმიდის ყოფნის უტყუარი ნიშანი მისი გულიდან გამომდინარე ზეციური სიყვარულია. ღვთიური სრულყოფილება სხვებს ქრისტეს ერთგულ მიმდევართა მეშვეობით გადაეცემა.
სიმართლის მზე ამობრწყინდება და "კურნება იქნება მის ფრთებზე" (მალ. 4:2). ამიტომ ყოველ ჭეშმარიტ ქრისტიანს უნდა ჰქონდეს კაცობრიობაზე კეთილი გავლენა, რომელიც სიცოცხლეს, მხნეობას, იმედსა და სიჯანსაღეს დაუბრუნებს ადამიანებს.
ქრისტეს რელიგია გულისხმობს უფრო მეტს, ვიდრე ცოდვების მიტოვება; ესაა ცოდვათა დატოვება და სულიწმიდის ნიჭებით აღვსება; ესაა ღვთიური ნათელი და სიხარული; ესაა ეგოიზმისაგან გათავისუფლებული ქრისტიანული სული. როცა გულში ქრისტე შემოდის, ადამიანი ცოდვისაგან თავისუფლდება და სულიერად იწმიდება. მასშია აღსრულება ღვთიური გეგმებისა, დიდება და სრულყოფილება. ქრისტეს მიღებას მოაქვს სრული სიმშვიდე, სრულყოფილი სიყვარული და მტკიცე რწმენა. ქრისტეს ხასიათის სილამაზე და მიმზიდველობა, ღვთის შვილთა ცხოვრებაში გაცხადებული, მოწმობს იმაზე, რომ უფალმა ღმერთმა ჭეშმარიტად მოავლინა თავისი ძე წუთისოფელში კაცობრიობის სახსნელად.
ქრისტე არ აიძულებს თავის მიმდევართ, გამოიჩინონ საკუთარი ძალისხმევა, რათა ირგვლივ მყოფთ გაუნათონ. იგი ამბობს: ანათებდეს თქვენი ნათელი. თუ ღვთის მადლი მიიღეთ, ნათელი უკვე თქვენშია. ნუ დააბრკოლებთ სინათლის სხივს და თქვენში უფლის დიდება გაცხადდება. ნათელი გაკვეთს თქვენ ირგვლივ არსებულ წყვდიადს და ვერ შეძლებთ, ირგვლივ მყოფთ არ გაუნათოთ.

ადამიანებში და მათი მეშვეობით ღვთიური დიდების გამოვლენა იმდენად მიუახლოებს ზეცას ადამიანს, რომ ადამიანის სხეულში - სულიწმიდის ტაძარში - დავანებული ღვთიური სილამაზე აშკარად გაცხადდება ყოველ ქრისტიანში. და მათი მეშვეობით გადარჩენილი მრავალი ადამიანის მადლიერებისა და ქება-დიდების ნაკადად დაუბრუნდება ყოვლისშემძლე უფალს.
"ადექი, განათდი... რადგან მოვიდა შენი ნათელი და უფლის დიდება შენზე გაბრწყინდა" (ეს. 60:1). ეს მოწოდება განკუთვნილია მათთვის, ვინც ნეფესთან შესახვედრად გამოვიდა. უდიდესი ძალითა და დიდებით მოვა ჩვენი უფალი იესო თავის წმიდა ანგელოზებთან ერთად. იმ დროს, როცა მთელი წუთისოფელი წყვდიადში იქნება ჩაძირული, ყოველი მორწმუნე, რომელშიც ღვთის წმიდა სულია დავანებული, გამოსცემს ნათელს. ისინი პირველნი მიიღებენ უფლის მეორედ მოსვლის ჭეშმარიტ ნათელს. წმიდა ნათლად გაბრწყინდება ქრისტეს დიდება და ყოველი მისი მსახური აღტაცებითა და სიხარულით შეეგებება თავის მხსნელს. უწმიდურნი კი დაემალებიან მას. დიდად გაიხარებენ მაცხოვრის მომლოდინენი. პატრიარქმა იობმა, განჭვრიტა რა მაცხოვრის მეორედ მოსვლის დღე, თქვა: "მე თავად ვიხილავ და ჩემი თვალები დაინახავენ მას და არა სხვისი" (იობ. 19:27). ქრისტე მუდმივი თანამგზავრი და ახლო მეგობარი იყო ყველა მისი ერთგული მიმდევრისა. ისინიც ყოველთვის ახლოს იყვნენ ღმერთთან. და მათში გაბრწყინდა კიდეც ღვთის დიდება. იესო ქრისტეს მეშვეობით მათში აირეკლა ღვთიური დიდების შემეცნების ნათელი. და ახლა ისინი ხარობენ თავიანთი მეფის დიდებისა და ბრწყინვალების ნათელი სხივებით გარემოცულნი. ისინი მზად არიან ზეცასთან შეხვედრისათვის, ვინაიდან მისი სასუფეველი მუდამ მათს გულში იყო. სიცოცხლის მზის ბრწყინვალე სხივებით განათებული სახეებით, სიხარულით ელიან ისინი მოახლოებულ თავისუფლებას, ნეფესთან შესახვედრად გამოდიან და აღტაცებულნი, წარმოთქვამენ: "აი, ესაა ჩვენი ღმერთი, მას ველოდით, რომ გვიხსნიდა ჩვენ" (ეს. 25:9).
"გავიგონე ხმა, როგორც ბევრი ხალხის ხმა და როგორც ბევრი წყლის ხმა, როგორც ძლიერ ქუხილთა ხმა, რომელიც ამბობდა: ალილუია! რადგან გამეფდა ჩვენი უფალი, ღმერთი ყოვლისმპყრობელი. გავიხაროთ და ვიმხიარულოთ და დიდება მივაგოთ, ვინაიდან მოვიდა კრავის ქორწილი და მისმა სასძლომ თავი გაიმზადა... მითხრა მე: დაწერე: ნეტარნი არიან კრავის საქორწინო ნადიმზე მიწვეულნი". "ის არის უფალთ უფალი და მეფეთ მეფე, და მასთან მყოფი მოწოდებულნი რჩეულნი და სარწმუნონი არიან" (გამოცხ. 19:6-9; 17:14).